საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს საინჟინრო აკადემია

ბიზნეს-ინჟინერინგი
Business-Engineering

ყოველკვარტალური რეფერირებადი და
რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

2
2013

ბიზნეს – ინჟინერინგი
Business-Engineering

ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

უაკ (UDC) 338.22+62
ბ-666

№ 2, 2013 წელი

ა. სიჭინავა (მთავარი რედაქტორი)
შ. ვეშაპიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ა. ქუთათელაძე (ელექტრონული ვერსიის ტექნიკური რედაქტორი)
თ. ლომინაძე (ელექტრონული ვერსიის რედაქტორის მოადგილე)

სარედაქციო კოლეგია: გ. აბდუშელიშვილი, გ. აბრამიშვილი, რ. არველაძე, ე. ბარათაშვილი, ბ. ბარკალაია, თ. ბაციკაძე, ბ. ბოქოლიშვილი, ზ. გასიტაშვილი, ი. გაბისონია, ჯ. გახოკიძე, ა. გლუშეცკი (რუსეთი), ივ. გორგიძე, ი. გუჯაბიძე, უ. დემირაი (თურქეთი), ც. დურული (გორი), ზ. ვაშაკიძე, რ. ვინთერი (შვეიცარია), ო. ზუმბურიძე, დ. თავხელიძე, ლ. იმნაიშვილი, ა. ინგოროყვა, კ. ისაევა (ყაზახეთი), პ. იონი (გერმანია), ირ. ვოუთერ თენ ჰაფი (ნიდერლანდი), ი. კაკუბავა, ი. კვესელავა, ლ. კლიმიაშვილი, პ. კოღუაშვილი, ე. ლობანოვა (რუსეთი), შ. ლომინაშვილი (ქუთაისი), ი. ლომიძე, ზ. ლომსაძე, გ. მალაშხია, მ. მამნიაშვილი, მ. მაცაბერიძე, გ. მჭედლიშვილი, შ. ნაჭყებია, რ. ოთინაშვილი, მ. პისანიუკი (მოლდოვა), ი. ჟორდანია, გ. სალუქვაძე, დ. სეხნიაშვილი, გ. სოსიაშვილი (გორი) კ. სოხაძე, რ. სტურუა, ჟ. სულეიმანოვი (ყაზახეთი), გ. ტყეშელაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ლ. ქარჩავა, რ. ქუთათელაძე, გ. ღავთაძე (ქუთაისი), ლ. ღოღელიანი, მ. ჩიქავა, დ. ჩომახიძე, ა. ჩხეიძე, ბ. ცხადაძე, გ. ძიძიგური, გ. ძლიერიშვილი, ჯ. ჯანაშია, დ. ჯაფარიძე, გ. ჯავახაძე, დ. ჯანგულაშვილი, გ. ჯოლია.

EDITOR : A. Sichinava
DEPUTY OF CHIEF EDITOR: Sh. Veshapidze
TECHNICAL EDITOR: A. Kutateladze
DEPUTY EDITOR: T. Lominadze

EDITOR STAFF: G. Abdushelishvili , G. Abramishvili, R. Arveladze, E. Baratashvili, B. Barkalaia, T. Batsikadze, B. Boqolishvili, M. Chikava, D. Chomakhidze, A. Chkheidze, U. Demirai (Turkey), C. Duruli (Gori), G. Dzidziguri, G. DzlieraSvili, A. Frangishvili, I. Gabisonia, J. Gakhokidze, Z. Gasitashvili, G. Gavtadze (Kutaisi), A. Glushetsky (Russia), L. Gogeliani, I. Gorgidze, I. Gujabidze, L. Imnaishvili, A. Ingorokva, K. Isaeva (Kazakhistan), J. Janashia, D. Jangulashvili, D. Japaridze, G. Javakhadze, P. John (Germany), G. Jolia, I. Jordania, I. Kakubava, L. Klimiashvili, P. Koguashvili, I. Kveselava, E. Lobanova (Russia), I. Lomidze, Sh. Lominashvili (Kutaisi), Z. Lomsadze, G. Malashkhia, M. Mamniashvili, M. Matsaberidze, G. Mchedlishvili, O. Mraz (Czech Republic), Sh. Nachkebia, R. Otinashvili, M. Pisaniuk (Moldova), L. Qarchava, R. Qutateladze, G. Saluqvadze, D. Sekhniashvili, K. Sokhadze, G. Sosiashvili (Gori), R. Sturua, J. Suleimanov (Kazakhistan), D. Tavkhelidze, B. Tskhadadze, G. Tkeshelashvili, B. Tskhadadze, Z. Vashakidze, R. Winter (Sweden), Ir. Wouter Ten Haap (Netherlands), O. Zumburidze.

პასუხისმგებელი რედაქტორი: დალი სეხნიაშვილი

გარეკანის დიზაინის ავტორი: დალი სეხნიაშვილი
ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია

რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

მისამართი:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, კორპ. VI, სართ. VI, ოფ. 613ᵇ.
ტელ.: 595 71 91 77; 599 51 80 84;
555 36 61 01; 593 30 07 65.
www. business-engineering. bpengi.com
ელ-ფოსტა :info@bpengi.com

Editorial office address:
Georgian Technical University
Tbilisi, Kostava str. 77. 613 ᵇ.
Tel.: 595 71 91 77; 599 51 80 84;
555 36 61 01; 593 30 07 65.
www. business-engineering. bpengi.com
E-mail: info@bpengi.com

ISSN 1512-0538
ISSN 1512-0538

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

გიორგი მოლაშხია
ეკონომიკურ მეცნიერებათა სწავლების ირგვლივ..... 6

Vazha (Vaja) kakabadze, Nana Maisuradze
IDENTIFYING THE WAYS OF COMPETITIVENESS OPTIMIZATION..... 11

მერაბ გველესიანი,
როგორ „გავათანამედროვოთ“ ეკონომიკური თეორია
(ეკონომიკის საფუძვლების კვლევისა და სწავლების საკითხები) 15

ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების მიზნები და მიმართულებები

ლეო ჩიქავა
უმუშევრობა საქართველოში 26

ნუნუ გიგაური
„მენეჯმენტი“ როგორც მეცნიერება და ხელოვნება 35

დავით ადვაძე
მცირე ბიზნესის საწარმოთა კლასიფიკაციის რაოდენობრივი
და ხარისხობრივი მაჩვენებლები 47

მაია სოსელია, თამარ როსტიაშვილი
ფუნქციური დონის კონკურენტული სტრატეგიები მცირე ბიზნესისათვის.....52

რამაზ ოთინაშვილი
ბიზნესის და სახელმწიფოს ურთიერთობის ფორმები და მეთოდები 55

გუგული ყურაშვილი, თამარ ბერიძე
სამუშაო ძალის მიგრაციის არსი და სახელმწიფოებრივი რეგულირება.....60

ნაზი ჭიკაიძე, მედეა კურტანიძე
სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების პრიორიტეტული მიმართულებები.....67

თამაზ ბაქრაძე, ანა ანანიაშვილი
საბანკო სისტემის როლი მცირე ბიზნესის განვითარებაში 71

მეცნიერული სწავლების მეთოდები და მეთოდოლოგიები

გურამ ჯოლია, დალი სეხნიაშვილი
ცოდნის ეკონომიკის გაზომვის (შეფასების) მეთოდოლოგია 73

ნინო ქრისტესიაშვილი, თამარ ლომინაძე, ნოდარ ლომინაძე
კონსტრუქციული სკოლა: ინდივიდუალური განსხვავებები სწავლება-შესწავლის პროცესებში.....77

ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნეს-ინჟინერინგში

თინათინ კაიშაური, გიორგი ჯაფარიძე, ნინო ყველაიძე, მზიური ბარბაქაძე
სხვადასხვა ხარისხის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მოდელი 79

ბიზნეს-ინჟინერინგი კავშირგაბმულობაში

ზურაბ რუხაძე, ლია რუხაძე
სატელეკომუნიკაციო ქსელის მართვა და მისი ზოგადი პრინციპები 82

ოთარ ზუმბურიძე, მიხეილ ზიბზიბაძე
კაპიტალის ღირებულების განსაზღვრის პრინციპები 89

ბიზნეს-ინჟინერინგი ენერგეტიკაში

ნინო მაღრაძე
საქართველოში კონკურენტული ბაზრის პირობებში ელექტროენერგიის შესყიდვაზე
პირდაპირი ხელშეკრულებების ეფექტიანობის შეფასება და მისი გაფართოების პერსპექტივები 93

ემზარ ფაჟავა
საქართველო-თურქეთის ენერგეტიკული თანამშრომლობა თანამედროვე ეტაპზე 103

დავით ჯაფარიძე, თენგიზ მაღრაძე
ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვა 107

ბიზნეს-ინჟინერინგი ქიმიასა და ფარმაციაში

მანანა მარიდაშვილი
ფარმაცევტული ბიზნესის ინოვაციური ასპექტები 116

გლობალური გამოწვევები და სოციალური პროგრამები

ბელა გოდერძიშვილი
ბიზნეს-გარემო და გლობალური კონკურენტუნარიანობა 123

ნატო გეგენავა
ბიზნესის გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები 130

ნაირა გალახვარიძე, ეკა ივანიშვილი
რეგიონთაშორისი ურთიერთობების ინფრასტრუქტურის განვითარებაში
ინსტიტუციონალური გარემოს მნიშვნელობა 135

ნანა თხელიძე, მაია გრძელიძე
ხარისხის კონტროლის როლი მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა წუნის პროფილაქტიკაში 145

ბესიკ ბარკალაია, ზურაბ ვაშაკიძე, ქეთევან ქავჯაია
ტურიზმის სფეროს ფინანსირება და საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი საკითხები 153

სამართალი და პოლიტიკა

იგორ კვესელავა
საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ორიენტაციის
ზოგიერთი საკითხი (წერილი მესამე) 156

ჯემალ გახოკიძე, მიხეილ მამნიაშვილი, ზურაბ მელქაძე, ნონა ლომიძე
ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკა უნდა შეიცვალოს 166

არჩილ კალანდია
ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობები 169

ვაჟა შუბითიძე, რეზო რუხაძე
ეროვნული დამოუკიდებლობა და ეროვნული იდეოლოგია.....172

თამარ კუპრეიშვილი
2012 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პოლიტიკური ანალიზი.....176

ინგა სიჭინავა
პიროვნების აქტიური როლი მოთხოვნილებების ჩამოყალიბებაში.....179

საგადასახადო, აუდიტისა და აღრიცხვის ტექნოლოგიები

მედეა ჭელიძე
საგადახდო ბარათების ბაზარი საქართველოში 183

მარინა ბაღათურია
საგადასახადო რეგულირების არსი და კრიტერიუმები 188

დიმიტრი აბზიანიძე, გოდერძი ტაბატაძე, თამარ მესხიშვილი
მათემატიკის მოდელირების მეთოდების გამოყენება გარემოს
დაცვის ამოცანების გადასაწყვეტად 195

პაატა გიორგაშვილი, დავით ჭელიძე
საგადასახადო კანონმდებლობა როგორც სოფლის მეურნეობის
განვითარების მასტიმულირებელი ფაქტორი 198

გიორგი ხანთაძე, ალეკო ქუთათელაძე
საქართველოს საგადახდო სისტემის სრულყოფის სამართლებრივი და აქტუალური საკითხები 209

ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო კონცეფციები

გიორგი ტალახაძე
სოციალური განწყობების განმსაზღვრელი ფაქტორები 215

ღიბრაძე რაული
ემპირიული სოციოლოგიის ფუძემდებლები.....222

როზა გაფრინდაშვილი
„ცხოვრების სტილის“ გამომუშავების მნიშვნელოვანი ფაქტორები ფსიქოანალიზში.....228

მაია ყიფიანი, ქეთევან კვესელავა
გენდერი: პრობლემები და პერსპექტივები 231

ახალი წიგნები

ბადრი ცხადაძე
რეცენზია პროფ. ლოიდ ქარჩავას წიგნზე – „კომუნიკაციები საერთაშორისო ბიზნესში“ 235

გიორგი მოლაშხია, ალექსანდრე სიჭინავა
მეურნე ილიასეული გონების თვალით
პაატა კოღუაშვილის წიგნის „ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალით“ შესახებ 239

ალექსანდრე სიჭინავა, პაატა კოღუაშვილი
ე.მ.დ. თეოლოგიის დოქტორის ქუთაისის უნივერსიტეტის სრული პროფესორის
ნიკოლოზ ჩიხლაძის ახალი ნაშრომი „მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები“.....242

თამაზ ნუცუბიძე
რა არის ეკონომიკური პოლიტიკა.....244

ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

ეკონომიკურ მეცნიერებათა სწავლების ირგვლივ

გიორგი მოლაშხია, სტუ-ს სრული პროფესორი

ბოლო ხანებში ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური ცოდნის დაუფლების სფეროში არასასურველი მდგომარეობა ჩამოყალიბდა. უმაღლეს სასწავლებლებში ეკონომიკური მეცნიერების სწავლების ფორმები, მეთოდები, შინაარსი, მასშტაბები არ შეესაბამება დროის მოთხოვნებს. სტუდენტი ახალგაზრდები, რომელთაც ეს ცოდნა როგორც მომავალ სპეციალისტებს სჭირდებათ, მის გარეშე რჩებიან ან არასრულ ცოდნას იღებენ. უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებიდან ამოღებულია ან შეკვეცილია ეკონომიკური საგნები. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ეკონომიკის თეორიული საკითხების სწავლების შესახებ. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ვერ ეუფლებიან მათ, რადგან ასეთი საგანი არც ისწავლება, ხოლო ე.წ. „ეკონომიკსები“, რომლებიც უმთავრესად განიხილავს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმს, როგორც წესი, თეორიის ძირეულ საკითხებს გვერდს უვლის. არაასახარბიელო მდგომარეობაა ეკონომიკური დისციპლინების შესაბამისი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მხრივ. ამ მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებას მიეძღვნა სპეციალური თავყრილო-ბა, რომელიც ჩატარდა პროფესორ როზეტა ასათიანის ინიციატივით და საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის, ჟურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგის“, ეკონომიკის ინსტიტუტის მხარდაჭერითა და ორგანიზაციული უზრუნველყოფით. თავყრილობამ პრობლემის გადასაწყვეტად რიგი რეკომენდაცია შეიმუშავა. ჩვენ ამჯერად გვინდა მკითხველს მივაწოდოთ ჩვენი მოსაზრებები ეკონომიკურ მეცნიერებათა, საერთოდ, და ეკონომიკური თეორიის, კერძოდ, უმაღლეს საწავლებლებში სწავლების ირგვლივ.

* * *

მიზანშეწონილია მსჯელობა დავიწყოთ იმით, თუ რა და როგორი მოთხოვნილება არსებობს მეცნიერულ ცოდნაზე. საერთოდ საზოგადოებას მოთხოვნილება მეცნიერულ ცოდნაზე ყოველთვის აქვს, რადგან იგი ცხოვრებისა და მისი გაუმჯობესების პორობების შექმნას ემსახურება. ფ. ენგელსი განმარტავს, რომ მეცნიერული და ტექნოლოგიური სიახლეები მაშინ ჩნდება, როცა საზოგადოებას მასზე მოთხოვნილება წარმოეშვება. პირველ რიგში ზოგადად არსებობს ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებათა ცოდნაზე მოთხოვნილება. შემდგომ მოთხოვნილება იმ კონკრეტულ ცოდნაზე ყალიბდება, რასაც თვით მეცნიერება სთავაზობს საზოგადოებას. ასე იქმნება ახალი თეორიები, მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეები და ახალი დარგები. მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთ დამოკიდებულებაში მთავარი ისაა, რომ მეცნიერება პასუხობდეს პრაქტიკის, ე.ი. საზოგადოების, ადამიანთა ინტერესებს, პრაქტიკა უბიძგებდეს განვითარებისკენ მეცნიერებას, ხელს უწყობდეს მას. მოთხოვნილებათა სიმწვავე კონკრეტულ პირობებში განსხვავებულია. არსებობს აზრი, რომ თეორია შუქურაა პრაქტიკისათვის. თეორია დიდი სიკეთეა, – აცხადებდა არისტოტელე. ცნობილი ფიზიკოსი ბოლცმანი განმარტავდა, რომ კარგ თეორიაზე უფრო პრაქტიკული არაფერია.

კარგ თეორიაზე მოთხოვნილება უდავოა, მაგრამ იგი პირდაპირ არ აღიქმება კონკრეტული სუბიექტების მხრივ, არაა უშუალოდ პერსონიფიცირებული, ცალკეული ინდივიდების მოთხოვნილებად. ის საერთო-საზოგადოებრივ, ერთობლივ მოთხოვნილებად გვევლინება. მოთხოვნილება თეორიულ ცოდნაზე საერთოდ არის რეალობის კანონებზე და კანონზომიერებათა ცოდნაზე მოთხოვნილება. ასეთია სა-

ერთო ხასიათის, ფუნდამენტურ ცოდნაზე მოთხოვნილება.

მოთხოვნილება ე.წ. გამოყენებით, საზოგადოების პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებულ და გამოსაყენებელ ცოდნაზე ადამიანთა გარკვეული ფენების ან ცხოვრების გარკვეულ სფეროებში არსებული მიზნებითაა განპირობებული. იგი შუალედურია და ემსახურება ადამიანთა საქმიანობის საშუალებათა კონკრეტული ფორმების შექმნას.

უფრო აშკარა, კონკრეტული და მწვავეა გამოყენებით ტექნიკურ და ორგანიზაციულ სიახლეთა დამუშავებებში (ნიმუშებში, დამზადების წესში და ა.შ) მატერიალიზებულ ახალ ცოდნაზე მოთხოვნილება. ესაა პრაქტიკის ამა თუ იმ სფეროში პირაპირ გამოსაყენებელი ცოდნა, რომელიც საქმიანობის საშუალებათა ხორცშესხმული სახით არსებობს.

ამასთან გამოყენებითი ცოდნა თეორიულ, ფუნდამენტურ ცოდნას ემყარება, ხოლო ტექნიკურ თუ ორგანიზაციულ სიხლეებში მატერიალიზებული ცოდნა – გამოყენებითი მეცნიერების მიერ მოწოდებულ ცოდნას. ვერც ერთი დიდი თუ მცირე ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული სიახლე ვერ შეიქმნება თეორიული, ფუნდანემენტისა და გამოყენებითი ცოდნის გარეშე. ამიტომ თეორიული (ფუნდამენტური), გამოყენებითი და პრაქტიკული (დამუშავებითი) მეცნიერება ერთმანეთის მხარდამხარ უნდა განვითარდეს. ისინი ზემოქმედებენ ერთმანეთზე და ხელს უწყობენ, როცა საზოგადოება მათ შეთანხმებულად ავითარებს.

მეცნიერებას შეუძლია დიდი ბიძგი მისცეს ცხოვრებას. მაგრამ ეს ბიძგი შეიძლება ორგვარი იყოს – პოზიტიური, პროგრესისაკენ და ნეგატიურიც – რეგრესისაკენ მიმართული. ეს შეესაბამება კარგი და ცუდი თეორიის, ცოდნის არსებობას, ასევე მათი გამოყენების მიზანს და ხასიათს. ამის შესაბამისად გამოყენებითმა თუ ტექნოლოგიურსა და ორგანიზაციულ სიახლეებში მატერიალიზებულმა მეცნიერულმა ცოდნამ დადებითი ან უარყოფი შედეგი შეიძლება მოუტანოს საზოგადოებას. საზოგადოება მეტწილად მეცნიერებას ქმნის და იყენებს პოზიტიური მიზნით, ადამიანთა სასარგებლოდ და არა საზიანოდ. ამასთან მისი მიღწევები საერთოდ ორნაირად გამოიყენება. მაგალითად, ბირთვული ენერგიის შესახებ ცოდნა გამოიყენება ადამიანთა ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფისათვის და ადამიანთა მოსპობის საშუალებათა წარმოებისათვისაც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეცნიერების შედეგის გამოყენების ეფექტიანობა (სარგებლობა) დამოკიდებულია გამოყენების რაციონალურობაზე, მასშტაბებზე, ხარისხზე.

ეკომომიკური მეცნიერება ამჟამად შეიძლება წარმოვიდგინოთ მეცნიერების ყველა აღნიშნული – თეორიული, გამოყენებითი და დამუშავებითი (კონკრეტულ ორგანიზაციულ ღონისძიებათა, ბერკეტთა შემმუშავებელი) დარგების სისტემის სახით. პირველს შეიძლება მივაკუთვნოთ „ეკონომიკურ თეორია“, მეორეს – „გამოყენებითი ეკონომიკა“ ან მარტივად „ეკონომიკა“ („ეკონომიკის პრინციპები“, როგორც ხშირად ეძახიან), „მენეჯმენტი“, „მარკეტინგი“, „ფინანსები“ და სხვ. მესამეა კონკრეტული ორგანიზაციული სიახლეები და სამოქმედო ღონისძიებები, რომლებიც გამოყენებით მეცნიერებაზე დაყრდნობით შემუშავდება.

სადავო არაა, რომ **ეკონომიკური მეცნიერების საფუძველს ქმნის ეკონომიკური თეორია**. ეკონომიკური თეორიის ფუნქცია და დანიშნულება პირველ რიგში სწორედ ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემის განვითარების საძირკვლის დადებაა. ეკონომიკური თეორია ეკონომიკის სფეროში კვლევის მეთოდოლოგიის, საერთო მიდგომების, კვლევის საშუალებათა ჩამოყალიბებით, ასევე საკვანძო პოსტულატების, დოქტრინების შემუშავებით უწინარესად ემსახურება **თვითგანვითარებას და ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემის განვითარებას**. ამასთანავე, ის მიმართულია იქით, რომ ცხოვრების ეკონომიკური სფეროს საერთო ეკონომიკური კანონების, კანონზომიერებათა, მოვლენათა ბუნების, განვითარების წყაროების სიღრმისეული შემეცნებით **აამაღლოს საზოგადოების ეკონომიკური ცნობიერება, როგორც საზოგადოების საერთო ცნობიერების მნიშვნელოვანი კომპონენტი**. ეკონომიკური მეცნიერება ამ გზით ხდება ცივილიზაციის ნაწილი და პირობაც, ადამიანთა მიზანმიმართული ქცევის, ფასეულობითი ორიენტაციის, შეგნებული ცხოვრების ერთ–ერთი საფუძველი. შემდეგ, **ეკონომიკური თეორია, მის მიერ შემუშავებული ცოდნის გავრცელების, პრაქტიკული ღონისძიებების, რეკომენდაციების მიწოდების შედეგად, ემსახურება საზოგადოების მეურნეობის მოწყობას, მის გაუმჯობესებას, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას, ხელისუფლების საქმიანობას**.

ეკონომიკური თეორიის ფლობა **ეხმარება ცალკეულ სუბიექტებს სხვა სპეციალური ეკონომიკური მეცნიერებების დაუფლებაში, ასევე, ეკონომიკური ქცევის სფეროში სწორად ორიენტირებაში და მით უკეთ, რაც**

უფრო სრული და ჭეშმარიტია ეს თეორია. უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური ცოდნის და უწინარესად ეკონომიკური თეორიის როლი ეკონომიკური პოლიტიკის სწორედ იმ ფუნქციის შესრულებაში, რაზეც ადამ სმითი მიუთითებდა: „პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ხალხი შემოსავლით ანუ უფრო ზუსტად უზრუნველყოს ისინი მათი მოპოვების შესაძლებლობით .“

ა. მარშალს მიაჩნდა, რომ „ეკონომიკური თეორია, ერთი მხრივ, არის სიმდიდრის გამოკვლევა, მეორე მხრივ, ადამიანის გამოკვლევის ნაწილს შეიცავს “. მართლაც, ადამიანის ფსიქიკის, მენტალიტეტის, ბუნების, ხასიათის, ინტერესების ცოდნის გარეშე, ადამიანთან დაუკავშირებელად ჩატარებული კვლევა, ეკონომიკაზე საჭირო საფუძვლიან განათლებას ვერ მოგვცემს. არ შეიძლება მხოლოდ ფაქტის ფიქსაციით, სინამდვილის პასიური შეცნობით შემოვიფარგლოთ. **ეკონომიკურმა თეორიამ, როგორც ჭეშმარიტმა მეცნიერულმა ცოდნამ, უნდა მიგვიყვანოს ადამიანთა სწორ ცნობიერებამდე და ქცევამდე**. ესაა მთავარი მომენტი, რომ მან თავისი ნამდვილი ფუნქცია – საზოგადოების საერთო კეთილდღეობის სამსახურში ეკონომიკის ჩაყენების ფუნქცია შეასრულოს. კონკრეტულად ეკონომიკური ცხოვრებაზე მეცნიერების ასეთი გავლენა შემდეგნაირად ახსნა ჯ. კეინზმა: „ეკონომიკური თეორია არ არის მზა რეკომენდაციების ნაკრები, რომლებიც შეიძლება უშუალოდ გამოვიყენოთ ეკონომიკურ პრაქტიკაში. ის არის უფრო მეთოდი, ვიდრე მოძღვრება, ინტელექტუალური ინსტრუმენტი, აზროვნების ტექნიკა, რომელიც ეხმარება იმას, ვინც მას ფლობს, მივიდეს სწორ დასკვნებამდე.“

ისტორია არასწორ და უარყოფით თეორიულ დოქტრინათა ნეგატიურ შედეგებსაც იცნობს, როცა ისინი აბნევდა ადამიანებს, ხელს უშლიდა საზოგადოების ცხოვრების სწორად მოწყობას, ამით ისტორიული პროცესს კალაპოტიდან აგდებდა. ასეთი იყო ისტორიულ პროცესზე ძალადობის ლენინიზმის თეორია, რომელიც ამტკიცებდა არსებული სოციალურეკონომიკური სისტემის ძალადობრივი წესით დამხობის მიზანშეწონილობას და ახალი „პროგრესული“ საზოგადოების ძალადობრივი გზით აშენების პრინციპებს. იგივე ითქმის მაო ძე-დუნის „დიდი ნახტომის“ თეორიაზე და სხვ.

ჭეშმარიტი ეკონომიკური თეორიის საწყისების ცოდნა უთუოდ აუცილებელი და სასარგებლოა ყოველი სპეციალისტისა და განათლებული ადმიანისათვის. მაგალითად, იურისტი, რომელიც კანონებს აკეთებს გადასახადების ან ეკონომიკური დანაშაულის შესახებ, ან კიდევ განიხილავს მსგავს საკითხებს, ხელის ცეცებით მოსიარულე ბრმის მდგომარეობაში ვარდება ეკონომიკური ცოდნის გარეშე. ასევე, ჟურნალისტი, რომელიც ტელეგადაცემას ამზადებს კორპორაციის ან საერთოდ ეკონომიკის ფინანსურ მდგომარეობაზე თუ კრიზისის შესახებ თუთიყუშის პოზაში იქნება, როცა არ ესმის ეკონომიკის თეორიის ელემენტები მაინც და ა.შ. ეკონომიკური ცოდნა ცხოვრებაში გამოადგება ყველას. ეკონომიკის თეორიის საფუძვლები უნდა ისწავლებოდეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ყველა დონეზე და სპეციალობაზე სათანადო მასშტაბით (პროგრამით). შეიძლება გავიხსენოთ, როგორი საყოველთაო ზრუნვის საგანი იყო ეკონომიკური ცოდნა ე.წ. გეგმიანი სოციალისტური სისტემის პირობებში, როცა ეკონომიკურ ურთიერთობები შეზღუდულ ჩარჩოში იყო მოქცეული. ეკონომიკური მეცნიერება ისწავლებოდა უმაღლეს სასწავლებლებში ყველა სპეციალობაზე. შესაბამის დონეზე სხვადასხვა წესით (წრეებში, ჯგუფებში) ეუფლებოდნენ ან იღრმავებდნენ ეკონომიკურ ცოდნას საწარმოებსა და წესებულებებში. **უფრო მეტადაა ის საჭირო თავისუფალ საბაზრო უთიერთობათა, ეკონომიკური სუბიექტების დამოუკიდებლობის, ეკონომიკასთან ყოველი ადამიანის მეტი შეხების არსებობისას**. ეკონომიკური თეორიის ღრმად დაუფლება განსაკუთრებით აუცილებელია ეკონომიკური სპეციალობის კადრებისათვის. მისი სათანადოდ შესწავლის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკური შინაარსის სხვა დისციპლინებში საფუძვლიანი ცოდნის შეძენა. ისიც უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური სპეციალობის კადრებისათვის აუცილებელია ისეთი ეკონომიკური დისციპლინების შესწავლაც, როგორიცაა: „ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია“, „ეკონომიკური ისტორია“, რაც მათ ცოდნას გაუღრმავებს, თვალსაწიერს გაუფართოვებს.

ეკონომიკური მოვლენების, ეკონომიკურ ურთიერთობათა სიღრმისეულად გაცნობიერებისათვის ეკონომიკური თეორია უნდა იძლეოდეს ახალ ცოდნას მუდმივად ცვალებადი, განვითარებადი ეკონომიკური სამყაროს შესახებ. ამდენად ამ სამყაროს, მის მოვლენათა შესახებ კვლევა განუწყვეტლივ უნდა მიმდინარეობდეს. ეკონომიკური თეორია თანდათან უნდა ივსებოდეს ახალი ცოდნით, გადასინჯავდეს

არსებულ კონცეფციებს, დებულებებს, შეხედულებებს, აღრმავებდეს არსებულ ცოდნას ჭეშმარიტებით. ეს შეუძლებელია მუდმივი კვლევა-ძიების გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში ამჟამად სრულიად არასახარბიელო მდგომარეობაა ბოლო ორნახევარ საუკუნესთან შედარებით, როცა მრავალი ახალი იდეით, მიმართულებით მდიდრდებოდა ეკონომიკური თეორია. უკანასკნელი ექვსი ათეული წელი ამ მხრივ შეიძლება ჩაითვალის მწირ პერიოდად. მიუხედავად ნობელიანტთა სიმრავლისა, რევოლუციური იდეები, რომელთაც შეიძლებოდა საგრძნობი თეორიული ძვრები გამოეწვია, არ ჩანს ან ყურადღების გარეშეა დარჩენილი. მთელი ძალისხმევა სიმდიდრის მოხვეჭის გზებისა და საშუალებათა კვლევაზეა მიმართული. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური თეორია გარკვეულ კრიზისს განიცდის.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა გამოყენებით დარგებში, რომლებიც იკვლევენ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების საკითხებს. მეცნიერული კვლევებიც ამ მიმართულებით უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს.

ასეთი სიტუაცია საერთოდ არასახარბიელოა ეკონომიკურ მეცნიერებათა მთელი სისტემის განვითარებისათვის. იგი ვერ მისდევს მთლიანობაში ცხოვრების ტემპს და საკმარისად ვერ პასუხობს პრაქტიკის მოთხოვნილებებს, კერძოდ, სათანადოდ ვერ უწყობს ხელს პრაქტიკის ამოცანების გადაწყვეტას, ეკონომიკურ განვითარებას მსოფლიოში, ცალკეულ ქვეყნებში, ეკონომიკურ წესრიგს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, იგი ვერ იძლევა ქმედით მეცნიერულ დებულებებს ეკონომიკის წინააღმდეგობათა გადაჭრის, კრიზისების თავიდან აცილების თუ მისი შერბილების, ეკონომიკის ჰუმანიზაციის დონის, სამართლიანობის ხარისხის, შემოსავლების განაწილების თანაბარზომიერების ამაღლების, ქვეყნების, რეგიონებისა და ადამიანთა ცხოვრებაში მწვავე უთანაბრობის ხლართების გადალახვის ირგვლივ, სათანადოდ ვერ წყვეტს ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფის, ბაზრის მანკიერებათა დაძლევის, საყოველთაო კეთილდღეობის დამკვიდრების პრობლემებს.

სრულიად გაუმართლებელია თეორიული კვლევების მნიშვნელობის უგულვებელყოფა, მისდამი ყურადღების მოდუნება, უკიდეგანო, ხშირად არაფრის მომცემ ბანალურ პრაქტიციზმში გადავარდნა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეტაპზე არსებობს არა მხოლოდ ეკონომიკური თეორიის, არამედ მეტაეკონომიკის (ეკონომიკის მეტათეორიის) განვითარების საჭიროება. მეტაეკონომიკა – ეს უფრო ღრმა და ფუნდამენტური ეკონომიკური თეორიაა, რომელიც ცხოვრების მოვლენებს სწვდება ძირეული მიზეზებისა და ღრმა სოციალურ – ენერგეტიკული წყაროების საფუძველზე. მეტაეკონომიკა, ანუ ეკო-ნომიკის მეტათეორია, საჭიროა ისწავლებოდეს ეკონომიკურ სპეციალობათა დოქტორანტურის დონეზე, უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა და მკვლევართა ფართო მსოფლმხედველობითი აზროვნების განვითარებისათვის. მეტაეკონომიკა ხელს შეუწყობს ცხოვრების სხვა სფეროების, ასევე ბუნების შემსწავლელ მეცნიერებებთან ეკონომიკის თეორიის კავშირის (დამოკიდებულების) გარკვევას, ეკონომიკურ მოვლენებზე ფართო და გაღრმავებული წარმოდგენის ჩამოყალიბებას, ფუნდამენტური ცოდნის შეძენას. ასევე მეცნიერებისა და პრაქტიკის ინტერესებისათვის საჭიროა კვლევები მიმდინარეობდეს მეტაეკონომიკურ თემებზე, რაც მიმართული იქნება ცხოვრების პრობლემათა ახლებური ღრმა გაგებისაკენ.

რაც შეეხება ეკონომიკური თეორიის კურსს, იგი ასეთი სახით წარმოგვიდგება: მასში უნდა იყოს განხილული ეკონომიკური ცხოვრებისა და მისი განვითარების საკვანძო, ფუძემდებლური საკითხები, წვრილმანი კონკრეტული მომენტებით და მასალებით გადატვირთვის გარეშე. კერძოდ, მასში ნათლად, არსებითი მხარეებისა და ნიშნების მიხედვით უნდა იყოს გადმოცემული: ეკონომიკის კვლევის (შესწავლის) საგანი, მეთოდოლოგია, უნივერსალური და სპეციალური მეთოდები, მათი გამოყენების წესი; საზოგადოებრივი მოთხოვნილებები, მათი ფორმირება და სწორად განვითარება; ეკონომიკის არსი, ადგილი საზოგადოების ცხოვრებაში, ეკონომიკურ მოვლენათა ბუნება და სპეციფიკა; ეკონომიკური კატეგორიები და კანონები, მათი მოქმედება, თავისებურება და როლი საზოგადოების ცხოვრებაში; ეკონომიკური დოვლათის (სიმდიდრის) ადგილი საზოგადოებრივ ფასეულობათა სკალაში; საქონლის ღირებულება და ფასი, მათი საფუძველი; ადამიანთა ეკონომიკური ქცევის ფორმები, მათი ენერგეტიკული, სოციალურ–ფსიქოლოგიური და ეთიკური ასპექტები; ეკონომიკურ ურთიერთობათა, მათ შორის საკუთრებით და განაწილებით ურთიერთობათა საფუძვლები, ხასიათი

და ადგილი საზოგადოებრივ ურთიერთობებში; ეკონომიკური სისტემები და მათი ცვლილების კანონზომიერება; სუბიექტებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური ქცევა, სახელმწიფოს (პოლიტიკის) როლი ეკონომიკური წესრიგის უზრუნველყოფაში; ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობა და სამართლიანობა; ეკონომიკური ზრდის, განვითარების, პროგრესის წყაროები, კანონები და კანონზომიერება; ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების შედეგები, ეკონომიკური დოვლათის ტრანსფორმაცია სოციალურ სიკეთეში; ეკონომიკურ მოვლენათა კავშირი სხვა სოციალურ მოვლენებთან; ეკონომიკური წინააღმდეგობები; ეკონომიკური და ეკოლოგიური მოვლენების ურთიერთკავშირი: ეკონომიკური განვითარების ტენდენციები, პერსპექტივა (საკითხების დასახელების ეს თანამიმდევრობა არ ნიშნავს სახელმძღვანელოში თემების დალაგების მიმდევრობას, თუმცა საკითხების ლოგიკური კავშირები გარკვეულწილად გათვალისწინებულია).

ხაზგასმული უნდა იქნეს, რომ ეკონომიკა საშუალებაა ადამიანთა ცხოვრების პირობების შესაქმნელად და არა თვითმიზანი. პირველადია ადამიანის ბედნიერი, ადამიანური ცხოვრების წესის ჩამოყალიბება, ადამიანის სულიერი სიმდიდრე, რაც სათანადო დოვლათის შექმნას განაპირობებს ყველასათვის. არაა საკმარისი უზომო დოვლათის დახვავება. ეკონომიკური თეორიის შესწავლამ ხელი უნდა შეუწყოს ინდივიდებში ფართო მსოფლხედვის, ჰუმანური მენტალიტეტის ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განაწილებით ურთიერთობებათა სამართლიანობას, ეკონომიკური ეთიკის, ჰუმანიზაციის საკითხებს.

ეკონომიკურმა თეორიამ ადეკვატური და სინამდვილეზე არსებულ ეკონომიკურ სისტემაზე სრული წარმოდგენა რომ მოგვცეს, ის უნდა იყოს ობიექტური, კრიტიკული, არ უნდა იყოს იდეოლოგიზებული, ტენდენციური, უნდა იკვლევდეს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ხარვეზებს, პრობლემებს ყველა მხრივ. ეს სასარგებლოა საზოგადოებისა და მეცნიერებისათვის.

ეკონომიკური თეორიის ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლებისათვის უნდა შეიქმნას მაღალი დონის, თანამედროვე სახელმძღვანელო. ამასთან კარგი თეორია, სიკეთესთან ერთად, ფუფუნებაა, როგორც ფუფუნების საგნები, ადვილად მისაწვდომი არაა. იგი განსაკუთრებულ ძალისხმევას, ინტელექტუალურ რესურსს მოითხოვს. მისი შექმნა შესაძლებელია უმაღლესი კვალიფიკაციის, გამოცდილი სპეციალისტების მიერ მეცნიერების უახლესი მიღწევების საფუძველზე, არსებული სახელმძღვანელოებისა და თეორიული დოქტრინების კრიტიკული განხილვის, ეკონომიკური რეალობის პროცესების კვლევის შედეგად. თავიდან უნდა შემუშავდეს სახელმძღვანელოს გაშლილი კონცეპტი, გეგმა. მისი დაწვრილებითი და მრავალჯერადი განხილვის შემდეგ ავტორთა კოლექტივის მიერ დაწერილი ტექსტები კვლავ უნდა იქნეს მრავალგზის განხილული, ასეთი განხილვების შემდეგ – სათანადო მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ რედაქტირებული. სახელმძღვანელოს ავტორებს ჯგუფს უნდა ჰქონდეს შექმნილი ყოველგვარი საჭირო პირობა, მ.შ. მატერიალური. ასეთი სახელმძღვანელო უნდა იყოს რეკომენდებული და გამოყენებული ქვეყნის ყველა უმაღლეს სასწავლებელში. ეს სახელმძღვანელო შეიძლება სამაგიდო წიგნი გახდეს პრაქტიკის ყველა სფეროს მუშაკებისათვისაც, ეკონომიკის პრობლემებით დაინტერესებული საზოგადოებრივი ფენებისათვის. სახელმძღვანელოს განახლება უნდა ხდებოდეს საჭიროებისამებრ პერიოდულად.

IDENTIFYING THE WAYS OF COMPETITIVENESS OPTIMIZATION

Vazha (Vaja) kakabadze
Doctor of Economics

Nana Maisuradze
PhD student of Sokhumi State University

Research Goals, Methods and Significance

The goal of the research is to identify, analyze and define optimization ways of enterprise competitiveness. The object under study is an enterprise (not named due to confidentiality reasons), whereas the basis of the research is the information obtained under direct observations, enterprise reports, economic theories and viewpoints.

The instrumental-methodological apparatus of the research represents the combination of the basic methods of scientific cognition, namely dialectical and systemic-structural methods with such universally acknowledge methods as mathematical analysis, induction and deduction, comparative analysis, method of electivity. Practical value of the research lies in the practical application of the elaborated statements and conclusions in the identification of the optimization ways of enterprise competitiveness.

Introduction

The majority of scholars define competition as rivalry between economic agents to gain priority on the market. Other definitions of "*competition*" are as follows: competition is the existence of certain number of economic agents on the market who possess the same market power but act in disagreement with one another; competition is a process forcing the economic agent to consider customers' demands and requirements (product price, quality and other properties); competition is determined by product's competitiveness and the combination of economic methods of enterprise activities [1; 2; 4;].

Our proposition: "Competition is a process characterized by cause-effect relations and goals. Cause is the fundamentals for starting the process while the goal of the process is to gain priority where particular importance is given to the accuracy and swiftness of information, innovations, correct predictive calculations and free action. The result can either positive or negative."

Identification of competitiveness indices of an economic subject as well as determination of the ways of their optimization have always been the urgent issues in the process of evaluating free competition problems.

Theoretical Background of the Research

The above given data highlighted fundamentals and the necessity of the research of optimization possibilities of enterprise competitiveness in free competition conditions. Hence, we can easily follow the discussion of its theoretical and analytical aspects as well as formulation of propositions and opinions.

The study of the obtained analytical materials on enterprise activities of the post-communist countries as well as enterprises within Georgia showed that the most acknowledged way of raising optimization of enterprise competitiveness in the post-communist countries in the conditions of free competition is amalgamation of enterprises. On the other hand, implementation of new technologies in production has become a secondary issue due to the lack of financial capital. This situation considerably decreases the quality of competitiveness of the given enterprise.

As it is known, free competition is an important factor for the enterprises acting on markets. The determination of proper ways of competitiveness optimization is only possible in the conditions of free competition. Furthermore, the higher is the competition, the more motivated are the enterprises to decrease expenses and improve production cycle, and consequently, the quality of a product. The outcomes of our research confirm that there exists a positive correlation between

competition and efficiency as well as between competition and productivity growth rate. This, in itself, is the main prerequisite of economic growth and the basis of optimization of enterprise competitiveness.

And we should always bear in mind that the possibilities of raising the competitiveness optimization in enterprises depend on the quality of free competition that directly forces the enterprise to accomplish measures for the reduction of expenses, i.e. competitiveness is directly defined by product competitiveness and the combination of economic methods of enterprise activities on the market. It means that the significance of such features is increased that is possessed by product and its manufacturer.

Mathematical Basis of Research

In order to strengthen the above given analysis let us apply a mathematical method that will be the basis for finding competitiveness optimization ways for an enterprise.

Before identifying the research method and direction, it is necessary to note that from the very start the identification of the ways of an enterprise's competitiveness optimization implies not only the determination of quantitative (i.e. revenues, profit, expenses) indices of competitiveness but an overall analysis of the enterprise competitiveness as well, i.e. the identification of the quantitative as well as all those indices that are connected with the production process and that can be evaluated as advantages or disadvantages of the whole enterprise as well as its separate structural divisions (individual centers: departments, workshops, etc.). Accordingly, in case of revealed disadvantages, the aim of the enterprise becomes to eliminate the ones; however, in case of advantages – the aim becomes to improve them, i.e. to optimize the competitiveness [3; 5].

An enterprise involved in free competition always strives to create savings that will enable its expansion in future. The process of creating savings shows the potential and capacity of the enterprise and eventually its creative abilities. Proceeding from its nature, savings can become material (money, land, building, etc.) and non-material (patent, project, etc.) provision for the enterprise that will be utilized for the purpose of raising competitiveness. However, in order to accomplish this goal first it is necessary to evaluate and assess competitiveness indices of the enterprise, to study the dynamics of their development and make conclusions that, as we earlier remarked, will reflect reasons causing negative processes in the enterprise and the ways of their elimination; on the other hand, in case of positive results, the determination of optimization possibilities. But in order to get a perfect picture, it is necessary not only to reveal but to evaluate as well the ways of an enterprise's competitiveness optimization. It means to compare competitiveness indices of the enterprise under study with the analogous indices of rival enterprise (enterprises) applying selection method ("selection is a necessary number of competitors enough to conduct comparisons for finding out competitiveness of economic subjects, on the basis of equal parameters") [6; 7; 8].

In order to define the efficiency growth of competitiveness in an enterprise we need to elaborate a model hat can accumulate competitiveness features into one single system. Obviously, the basis of this model should be the formula for competitiveness evaluation that will unify such indices as enterprise operative efficiency, strategic positioning and creativity of an enterprise.

Mathematical expression for competitiveness evaluation can be expressed as follows:

$$K = \frac{(Kr \times Ki)}{Ak},$$

where K – is the competitiveness of the enterprise under study, Kr – index of operational efficiency while Ki – ratio of strategic positioning, Ak – creativity ability of an enterprise, from this

$$Kr = \frac{r}{R},$$

where Kr is the ration of operational efficiency of en enterprise, R – operational efficiency according to selectivity.

In its turn, operational efficiency of an enterprise can be calculated with a formula:

$$r = \frac{B}{Z},$$

where B is gains/profit after the product realization, Z – expenses on goods production and realization.

Operational efficiency according to selectivity can mathematically be expressed in the following way (operational efficiency implies better performance of similar activities by the enterprise under study than its competitors that provides it with value added revenue during realization process):

$$R = \frac{B^S}{Z^S},$$

where B^S is gains/profit after the product realization according to selectivity, Z^S - expenses on goods production and realization according to selectivity.

The ration of strategic positioning can be determined with the formula:

$$K_I = \sqrt{\frac{I}{I^S}}$$

where I is the index of profit volume changeability of the enterprise under study, I^S - index of profit changeability determined by selectivity method; and – $I=B/B_0$, while $I^S = B^S/B_0^S$, where B is the profit of enterprise for period under study, B_0 – volume of previous year profit, B^S - profit of enterprise for period under study according to selectivity method, B_0^S - volume of previous year profit according to selectivity method.

In its turn, the product total of the indices B/B_0 and B^S/B_0^S expresses attitude towards market. While evaluating strategic positioning of an enterprise, it is necessary to determine dependence on market, changeability of the share of the enterprise as well as changeability of the share of the competitor enterprises, according to the selectivity method:

$$\frac{\Delta Dt}{\Delta Dt^S} = \frac{B}{B_0} \times \frac{B^S}{B_0^S},$$

where ΔDt is the changeability/variable of market share of the enterprise under study whereas ΔDt^S is the changeability of competitor enterprises' shares on the market, according to selectivity method.

As for the creativity abilities of an enterprise, as it is known, it is the ability to rationally use the savings, and it can be calculated with the formula (author: V. Kakabadze):

$$Ak = \frac{G}{H},$$

where $H = P/C$, from which H is creative abilities of the enterprise under study, P – profit on the expenses of savings positioning C – quantitative index of savings; whereas G is calculated with the formula: $G = Pn/Cn$, where G is the creativity ability of a competitor enterprise (enterprises), according to selectivity method; Pn - profit on the expenses of savings positioning, according to selectivity method; Cn - quantitative index of savings of competitor or competitors. The research proves that the lower the A index, the higher is the creativity ability share of the enterprise under study in the competitive environment.

Considering the above given formulas

$K = (Kr \times Kl)/Ak; Kr = r/R;$

$Ak = G/H;\ K_I = \sqrt{I/I^S}$

the following equation is received:

$$K = \left(\frac{r}{R} \times \sqrt{\frac{I}{I^S}}\right) : \frac{G}{H}$$

The given expression reflects correlation between the efficiency of economic activities of the enterprise under study and the efficiency of other economic activities according to the selective method. Numerator and denominator of this equation can be seen as the indices of efficient application of economic resources according to both – research and selection.

Finally, we can state that this method of evaluation of enterprise competitiveness gives opportunity of: deep analysis of acting factors on enterprise competitiveness; identification of optimization ways for enterprise competitiveness; and elaboration of rational measure for accomplishment of goals.

REFERENCES:

1. Azoev G.L. (2000). Competitive advantages of the company. // M.: OAO «TYPOGRAPHY NEWS». p. 254. (in Russian)
2. Basovskii L.E. (2001). Quality Management. // M.: „INFRA-M». p. 212. (in Russian)
3. Buhalkov M.I. (2000). Corporate planning. M.: // „INFRA-M». p. 400. (in Russian)
4. Kakabadze V. (2011). Investments and Projects Management. // Published by: „MERIDIANI", Tbilisi, Georgian. p. 375. (in Georgian).
5. Kakabadze V. (2009). Business, Principles and Directions. // Published by: „BARTONI», Tbilisi, Georgian. p. 557. (in Georgian).
6. Kakabadze V. (2006). Non Tariff Regulation. // Journal: „KOMERSANTI», Tbilisi, Georgian. p. 11. (in Georgian).
7. Kakabadze V. (2006). Aspects of Credit System and State Regulation. // Journal: „EKONOMIKA», № 2, Tbilisi, Georgian. p.10. (Co-authors N. Khitarishvili, N. Maisuradze) (in Georgian).
8. Kakabadze V. (2005). "Philosophy and Economy of Knowledge-based Achievements". // Publishing House "Metsniereba", Tbilisi, Georgian. p. 460. (in Georgian).

IDENTIFYING THE WAYS OF COMPETITIVENESS OPTIMIZATION

Vazha (Vaja) kakabadze, *Doctor of Economics,*

Nana Maisuradze, *PhD student of Sokhumi State University*

SUMMARY

Unlike other similar methods, the two methods of competitiveness evaluation offered in the article, bear the clearly depicted mathematical apparatus from the very roots that enable to establish exact functional connections. At the same time, the given circumstances provide possibility of wide mathematical elaboration of an enterprise competitiveness that in itself provides multi-dimensional analysis of the category under study. The proposed approach will considerably foster gathering necessary information for the determination of enterprise competitiveness and excludes costly and often inaccessible marketing research as well as hiring experts.

როგორ „გავათანამედროვოთ“ ეკონომიკური თეორია (ეკონომიკის საფუძვლების კვლევისა და სწავლების საკითხები)

მერაბ გველესიანი, *ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი*

1. საკითხი ზოგადად

ეკონომიკა ჩვენი ცხოვრების ნებისმიერი სფეროს განუყოფელი ნაწილია. მისი ანბანის დაუფლებას ამის გაცნობიერებით უნდა იწყებდეს ეკონომიკის ფაკულტეტის პირველკურსელი, არა უკეთ შეიგრძნოს, რა მასშტაბის მეცნიერებასთან აქვს საქმე და რა ადგილის დაკავებას ესწრაფოს საზოგადოებაში – სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებში, კომერციულსა თუ არაკომერციულ ორგანიზაციებში, წარმოებასა თუ მომსახურებაში, ჯანდაცვისა თუ განათლების სისტემაში.

უმაღლესი სკოლის სხვა ფაკულტეტებისათვის არანაკლებ და უფრო არაისის მნიშვნელოვანი გაიცნობიერონ თავიანთი სპეციალობის კავშირი ეკონომიკასთან. არადა, მათ უმრავლესობაზე 1990-იანი წლებიდან ეკონომიკური დისციპლინები აღარ ისწავლება. სწავლების აღდგენა ბევრი არაისი გადაწყვეტას ითხოვს, პირველ რიგში კი ითხოვს მიდგომის შეცვლას სწავლების პროცესისადმი – ისეთი მარტივი და მიმზიდველი სახელმძღვანელოების შექმნას, რომლებიც მისწვდება ეკონომიკის საფუძვლებსა და მათში მიმდინარე ძვრებს, ნათლად და მარტივად გადმოსცემს მათ და რომელთაგან თითოეულში იქნება ასახული სწავლების ფაკულტატიური სპეცი-ფიკა.

პრობლემას ბევრი კუთხე და წახნაგი აქვს. ისინი უკავშირდება სიძნელეს, რომელიც ეკონომიკური მეცნიერების სწავლებას ყოველთვის ახლდა და ახლავს დღესაც. ამ სიძნელეს კი ფესვები თვით ეკონომიკური მეცნიერების ნაკლოვანებებში აქვს გადგმული. დავიწყოთ ამით.

2008-2009 წლების გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა თითქოს თვალი აუხილაო მეცნიერებს ამ ნაკლოვანებებზე – ისინი ალაპარაკდნენ ეკონომიკური მეცნიერების კრიზისზე, თუმცა ცალკეული მკვლევარები მასზე ჯერ კიდევ დაახლოებით ოთხი ათეული წლის წინ უთითებდნენ.

ჩვენი მეცნიერების კრიზისი ზოგს ეკონომიკსის ხინჯებზე დაჰყავს. აქვს კიდეც გარკვეული საფუძველი. ოღონდ, არც უკიდურესობაში გადავარდნა ვარგა. ეკონომიკსი თავად როდია „ცუდი“ მეცნიერება – მას თავისი საგანი და თავისი ლოგიკა აქვს და მან ისინი უნდა შეინარჩუნოს. მისი საგანია საბაზრო არაის ფუნქციური კავშირები. ამით იგი წააგავს ბიოლოგიური სხეულის ფიზიოლოგიას – გვეუბნება, როგორ ურთიერთმოქმედებენ ეკონომიკური სხეულის სტრუქტურები – მისი „ორგანოები“ („გული“, „ღვიძლი“). მისი ნაკლოვანებები კი იქიდან მომდინარეობს, რომ იგი არც თვითონ ეძებს, საიდან და როგორ გაჩნდა ეს ორგანოები და მთლიანად სხეული, როგორია მათი მემკვიდრეობითობა და ცვალებადობა, და არც არაფერზე ემჩნევა, რომ საჭიროდ თვლიდეს ამის გაკეთებას – ეკონომიკის გენეტიკური ჭრილის გამოკვლევას სხვა დისციპლინაში. მოკლედ, იგი ბატონობს ჩვენს მეცნიერებაში და თავისი სამფლობელოს გაყოფის სურვილი არ გააჩნია. არადა, იმისათვის, რომ უკეთ ჩასწვდეს თავის საგანს, ეს საგანი მან თავისზე ზოგადი, ეკონომიკის გენეტიკური კავშირების შემსწავლელი მეცნიერების საფუძველზე უნდა გააანალიზოს. ხოლო ასეთი მეცნიერება არაი არის ჩამოყალიბებული. ეკონომიკსი და ზოგიერთი სხვა ეკონომიკური დისციპლინა მხოლოდ მის ცალკეულ საწყისებს შეიცავენ [1. 23-29].

პრობლემა უშუალო კავშირშია ეკონომიკის საფუძვლების კურსის განახლებასთან: კურსი ვერ იქნება მიმზიდველი, თუ მან თანამედროვეობა არ ასახა, ეკონომიკსის სქელტანიანი სახელმძღვანელოების ადაპტირებით კი ამ მიზანს ვერ მივაღწევთ: ეკონომიკსი ჩამორჩა დროს და ვერ სწვდება „ტექტონიკურ ძვრებს“, რომლებიც საბაზრო სისტემას ურყევენ ძირებს (ამ ძირების რყევაზე – იხ.: ამერიკელი მეცნიერის ლ. თუროუს გახმაურებული წიგნი „კაპიტალიზმის მომავალი“ [2]), ხოლო სტუდენტს უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ეკონომიკურ სისტემაში თანამედროვე თუ მოსალოდნელი ძვრების შესახებ. ეკონომიკსის ჩამორჩენა გახდა იმის მიზეზი, რომ ჯერ კიდევ 2000 წელს ფრანგმა სტუდენტებმა ეკონომიკური პროფილის პროფესორებს მიმართეს პეტიციით, რომელშიც ეკონომიკსს აუტიზმით დაავადებული, თანამედროვე სამყაროს რეალობას მოწყვეტილი მეცნიერება უწოდეს. მათ მოძრაობასა და მოთხოვნებს მხარი დაუჭირეს კემბრიჯის ასპირანტებმა, რომლებმაც 2011 წელს ასევე გამოაქვეყნეს პეტიცია 800-ზე მეტი ხელმოწერით, შემდეგ კი – 147 ხელმოწერით – ცნობილმა პროფესორებმა.

მოძრაობა შემდეგ კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა [3. გვ. 183-184].

რატომ ჩამორჩა ეკონომიკსი თანამედროვეობას? საბაზრო არაის ფუნქციური კავშირების შემსწავლელი მეცნიერება ხომ, წესით, პრაგმატული, ცხოვრებასთან ახლოს მდგომი უნდა იყოს? ასეთი იყო კიდეც, მაგრამ საბაზრო ასპექტები ვერ ამოწურავენ ეკონომიკის შინაარსს, რომელშიც სულ უფრო მეტად იჭრება არასაბაზრო საწყისები. ეკონომიკსის ლოგიკაში ვერ ჯდება ვერცერთი ეკონომიკური ურთიერთობა და სტრუქტურა, რომელიც მიმწოდებლისა და მომხმარებლის საბაზრო ურთიერთობის „მიღმა მდებარეობს". ამ ურთიერთობაში ვერ თავსდებიან უწინარესად საზოგადოებრივი სიკეთეები (გზები, პარკები, ბიბლიოთეკები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და მრავალი სხვა), ამიტომ – ვერც სახელმწიფო და მუნიციპალური სექტორისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ეკონომიკა; ეკონომიკსის ლოგიკაში ვერ ჯდება ვერც შინამეურნეობისა თუ ფირმის შიდაურთიერთობები, მათ შორის – ვერანაირი მენეჯმენტი. ეკონომიკსი გვერდს როდი უვლის მათ ანალიზს, ოღონდ შესაფერ ადგილს ვერ უძებნის თავის სტრუქტურაში და, ბუნებრივია, ველარც საბაზრო ურთიერთობის შინაგან კავშირს პოულობს არა. ასეთი კავშირი არსებობს და მისი დადგენა მხოლოდ ეკონომიკის გენეტიკურ ჭრილშია შესაძლებელი ანუ შესაძლებელია იმ დისციპლინის ფარგლებში, რომლის ჯერარარსებობაზე ზემოთ ითქვა.

ეკონომიკსის ფარგლებში ამ კავშირის მოძიება ვერ მოხდება. საბაზრო არაის გადმოცემას თავისი ლოგიკა აქვს და ეკონომიკურ სისტემათა საერთო გენეტიკური ძირებისას – თავისი, ერთ დისციპლინას კი (ეკონომიკსს) ერთდროულად ორი ლოგიკური ხაზი ვერ ექნება. ამიტომაა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი და ზოგი მათთანა სტრუქტურისა თუ ელემენტის ანალიზი ამძიმებს ეკონომიკსის სახელმძღვანელოებს და ეს სახელმძღვანელოები ფრაგმენტების ნაერთად აღიქმება [3; 4; 5].

დიდია ცდუნება მიიჩნიო ისინი ეკონომიკსის ორგანულ ნაწილად. როგორც ჩანს, ასეთად მიიჩნევს მათ მ. სიჭინავაც: „ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის განვითარებამ და, განსაკუთრებით, ნორმატიული ეკონომიკური გამოკვლევების წინწამოწევის საჭიროებამ ეკონომიკსის კურსის გადმოცემაში – წერს იგი, – აღნიშნულ მეცნიერებას ეკონომიკის კვლევის თითქმის ყოვლისმომცველი სახე მიაღებინა და ამით წარმოშვა კიდეც ხშირი პარალელიზმი რიგი საკითხის ეკონომიკურ გამოკვლევებში" [6. გვ. 39]. სხვა ავტორთა ნაშრომებთან ერთად, მ. სიჭინავა აქ ზემოთ დასახელებულ ჩემს წიგნსაც უთითებს და, მართლაც, ჩვენი პოზიციები აქ ძირითადად იდენტურია, თუ არ ჩავთვლით ავტორის მიერ „ყველაფრის" მიწერას ეკონომიკსის საგნისათვის. გავიმეორებ: დიახ, ეკონომიკსი დრომ გაართულა (ამას მეც აღვნიშნავდი ზემოთ დასახელებულ წიგნში [1. გვ. 24-25]), მაგრამ ამ დროში მან საანალიზოდ გზადაგზა „აკრიფა" ბევრი ისეთი ელემენტი, რომლებიც მისი საგნის – საბაზრო არაის – ორგანულ ნაწილს არ წარმოადგენენ და რომელთა საფუძვლიანი ანალიზი გენეტიკურ ჭრილში, გენეტიკური მიდგომით (მეთოდით) უნდა მოხდეს.

თავისი ზემოაღნიშნული პოზიციიდან მ. სიჭინავას გამოაქვს ჩვენი კვლევის თემისთვის საინტერესო დასკვნა, რომელსაც ქვემოთ შევეხები.

რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი კვლევისათვის „ეკონომიკური გენეტიკის" ან, როგორც მას რ. ასათიანი უწოდებს, ზოგადი ეკონომიკური თეორიის შექმნას[1]? თუ არ გავმიჯნეთ ორი დისციპლინა, რომლებზეც გვაქვს საუბარი, თუ არ გავმიჯნეთ მათი მიდგომები, მეთოდი და საგანი, მაშინ გვრჩება ის, რომ უმარტივესი დისციპლინა, რომლითაც სტუდენტებმა უნდა დაიწყონ ეკონომიკის ანბანის დაუფლება, დავიყვანოთ ეკონომიკსის შემოკლებულსა და ადაპტირებულ ვარიანტზე ან/და მის შესავალ ნაწილზე. მ. სიჭინავა თვლის, რომ ეკონომიკსის კურსი „უნდა დაიყოს მის **ზოგად** და **კონკრეტულ** ნაწილად, რომელთაგან საკუთრივ პირველს „**ეკონომიკსის ზოგადი კურსი**", ანუ სხვაგვარად „**ეკონომიკსის პროპედევტიკა**" უნდა ეწოდოს [იქვე, გვ. 39-40],

ამ დებულებაში მისაღებია ის, რომ ეკონომიკის სწავლება გამარტივებული შესავალი კურსით დაიწყოს და ჩემთვის მიუღებელია ეკონომიკსის აღიარება ერთადერთ, ყოვლისგადამწვდომ ზოგადეკონომიკურ დისციპლინად. თუ მას დავეყრდენით, მაშინ უარი უნდა ვთქვათ თანამედროვე ეკონომიკაში მიმდინარე

[1] ეკონომიკის გენეტიკური კავშირების შესწავლის საჭიროებას არაერთი ავტორი უთითებს, თუმცა ეკონომიკსისაგან გამიჯვნის კრიტერიუმი მათ კვლევებში გამოკვეთილი არ არის. ჩემს მიდგომას შედარებით უახლოვდება რ. ასათიანის პოზიცია. შემოთავაზებული სახელწოდებაც – „ზოგადი ეკონომიკური თეორია" – ვფიქრობ, შეიძლება მიღებულ იქნას. ოღონდ, ძნელია გაიზიარო ავტორის მტკიცება, თითქოს ეს დისციპლინა უკვე არსებობს, ჩვენთან ისწავლებოდა (და უნდა აღდგეს), ხოლო დასავლეთში დღესაც ისწავლება. მთავარი ხომ სახელწოდება არაა – შინაარსია. შინაარსობრივად კი, სადღეისოდ, არცერთი დისციპლინა არაა აგებული ეკონომიკის გენების ლოგიკურ ანალიზზე.

ტექტონიკური ძვრების წვდომასა და, შესაბამისად, ნათელ გადმოცემაზე, რომელსაც „აუტიზმის სენით“ შეპყრობილი ეკონომიკსი ვერ ახორციელებს. ეკონომიკსი უთუოდ იქნება ასეთი შესავალი კურსის ერთერთი წყარო და საწყის ეტაპზე იქნებ ძირითადი წყაროც (არაისის მ. სიჭინავას მიდგომა ფასეული), მაგრამ მხოლოდ იგი ვერ იკმარებს, მერედამერე კი დათმობს ძირითადი წყაროს ფუნქციას. როგორცკი ეკონომიკსს მისი კონკურენტი დისციპლინა შეავიწროებს.

დღეს სად ვეძიოთ სხვა წყაროები? ესენია კონკრეტული ეკონომიკური დისციპლინები, რომლებიც ცოცხლად ასახავენ ცხოვრების დინებას. ემპირიული მეთოდის შეზღუდულობის გამო ისინი ჯეროვნად ვერ იყენებენ ვერც ეკონომიკსის თეორიულ დასკვნებს, მაგრამ – ცდისა და გამოცდილების (ემპირიული) მეთოდით მაინც აკეთებენ ფასეულ მინიშნებებს. მიდგომების განახლებას, ეკონომიკური მეცნიერების არსენალში არსებული ზოგადთეორიული დებულებებისა და ამ კონკრეტული დისციპლინების ემპირიული დასკვნების შეჯერებას შეუძლია მოგვცეს პროდუქტი, რომელიც წაადგება როგორც მეცნიერებას, ისე სწავლებას: მეცნიერებას იგი წაადგება როგორც გენეტიკურ ჭრილში ეკონომიკის შესწავლისაკენ გადადგმული ერთერთი ნაბიჯი, სწავლებას – როგორც ეკონომიკის საფუძვლების კურსის ნაწილი.

ზოგადი საუბარი რომ არ გამოვიდეს, წერილის ბოლო ნაწილში შევეცდები გადმოვცე მაგალითი იმისა, არაისის აუცილებელი მსგავსი ძიებები და როგორ წარვმართოთ იგი; როგორ „გავაცოცხლოთ“ იმ მოვლენების ეკონომიკსისეული მშრალი და მოსაწყენი ანალიზი, რომელი მოვლენებიც, არსებითად, ცვლიან ეკონომიკის სხეულს; როგორ გამოვიყენოთ ამ საქმეში კონკრეტული ეკონომიკური დისციპლინები, რომლებიც ახლოს მიდიან ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და აგროვებენ ფასეულ მასალას. და თუ მათ განზოგადების დონე და დასკვნების სიზუსტე აკლიათ, უფრო ხშირად ეს იმის შედეგია, რომ ეკონომიკსი ვერ უქმნის მათ თეორიული ცოდნის მყარ ფუნდამეტს, ხოლო ზოგჯერ – იმის შედეგი, რომ არც ამ დისციპლინათა სახელმძღვანელოების ავტორები თვლიან საჭიროდ ასეთ ფუნდამენტს და დამოუკიდებელ ემპირიულ გზას ირჩევენ მოვლენათა ზედაპირული აღწერისაკენ. ხოლო არაეკონომიკურ ფაკულტეტებთან მომუშავე ეკონომიკის პედაგოგები უფრო ხშირად მხოლოდ ეკონომიკსის სქელტანიანი სახელმძღვანელოებიდან თუ ამოკრებენ ხოლმე შედარებით მარტივ დებულებებს აუდიტორიისთვის მისაწოდებლად. თუმცა, მათ შორის უთუოდ არიან ისეთებიც, რომლებიც ცდილობენ მიუსადაგონ სწავლება ფაკულტეტის სპეციფიკას. მათი გამოცდილება ძვირფასია ეკონომიკის საფუძვლების განახლებულ სახელმძღვანელოებზე წარმატებლი მუშაობისათვის. ძვირფასია ის გამოცდილებაც, რომელიც უფრო დიდ მასშტაბებში გროვდებოდა, სანამ ბევრგან გაუქმდებოდა ეკონომიკის სწავლება.

რატომ გაუქმდა? იოლია მთელი ბრალი ავკიდოთ საბჭოურ პოლიტეკონომიას – ეკონიმიკსზე არანაკლებ მშრალსა და, თავისი არცთუ ნიჭიერად იდეოლოგიზების შედეგად, ეკონომიკსზე უფრო მოსაწყენ დისციპლინას, რომელიც, სხვათა შორის, არაეკონომიკური ფაკულტეტების პროფესურასა და ადმინისტრაციას უფრო აღიზიანებდა, ვიდრე სტუდენტობას. ზოგი მას ვერც არჩევდა სკკპ ისტორიისა და ეგრეთწოდებული მეცნიერული კომუნიზმისაგან და თვლიდა, რომ მსგავსი საგნები აბრკოლებენ სტუდენტს უკეთ დაეუფლოს სპეციალობას. თავი და თავი კი ისევ არაის, რომ ისინი ვერ ხედავდნენ შინაგან კავშირს პოლიტეკონომიასა და ფაკულტეტის პროფილურ დისციპლინებს შორის. ან. როგორ დაინახავდნენ, თუ მასზე არც სახელმძღვანელო ამბობდა არაფერს და არც პედაგოგი. პრობლემას ვერ გადაწყვეტდა პოლიტეკონომიის ეკონომიკსით ჩანაცვლება. არა გასაკვირია, რომ როგორც კი ამ ფაკულტეტებმა ცოტა თავისუფლება (დამოუკიდებლობა) მოიპოვეს, მოიცილეს „ზედმეტი ბარგი“.

ეკონომიკის სწავლების სიძნელეს ყველა ხედავდა, მაგრამ – დასავლეთისგან განსხვავებით – მის კრიზისზე ლაპარაკს ვინ გაბედავდა? მხოლოდ ეკონომიკის ფაკულტეტებზე და მხოლოდ იმის თქმას ბედავდნენ, პოლიტეკონომიის ათვისება ახალგასტუდენტებულთათვის არისო ძნელი. ეს პრობლემა დღესაც დგას და იგი ვერ მოიხსნება სწავლების დაწყების უბრალო გადატანით პირველიდან მეორე სემესტრში ან უფრო იქით, ხოლო თუ ეკონომიკის საფუძვლების მიმზიდველ სახელმძღვანელოთა შექმნა შევძელით, „პირველი სემესტრის გამორიცხვის“ პრობლემა, ვფიქრობ, ჯობს ყველა ფაკულტეტზე პირველ სემესტრში „ჩასმის“ პრობლემამ ჩაანაცვლოს.

რატომ?

არავინ დავობს, რომ ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს და, მეტნაკლებად, არის კიდეც სპეციალობის არჩევასა თუ შეცვლაში. მაგრამ, რამდენად ადეკვატურია დღევანდელი განათლების სისტემა ამ მოთხოვნისადმი? რამდენად ეფექტიანად ხდება არჩევანის შეცვლა? ადეკვატურობისკენ ჩვენთან უდაო ნაბიჯი გადაიდგა იმით, რომ სწავლის მძებნელი აბიტურიენტობის ეტაპზე კი არ აკეთებს ამ არჩევანს,

არამედ უკვე ეროვნული გამოცდების შემდეგ ანუ – გასტუდენტებული. სტუდენტები შემდეგაც იცვლიან ფაკულტეტებს. ვფიქრობ, ამ არჩევანს უფრო ეფექტიანს გახდის პირველსავე სემესტრში ისეთი საგნების სწავლება, რომლებიც დააჩქარებენ სტუდენტის მიერ თავისი თავდაპირველი არჩევანის გადამოწმებას.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკის საფუძვლების კურსს არ მოეთხოვება ეკონომიკური სინამდვილის მკაცრი სისტემური გადმოცემა ერთიანი ლოგიკური ხაზის დაცვით (მით უფრო ამ ეტაპზე, როცა ეკონომიკურ მეცნიერებაში არ მოგვეპოვება დარგი, რომელიც ამ მოთხოვნის დაცვას შეძლებდა). ტერმინი „ეკონომიკის საფუძვლები“ უნდა გავიგოთ როგორც იმ საერთო საფძვლების გამარტივებული გადმოცემა, რომლებიც სადღეისოდ გაბნეულია სხვადასხვა სახელწოდების ეკონომიკურ დისციპლინებში. ეკონომიკის ფაკულტეტებზე, სადაც მისი სწავლების შემდეგ სხვა ეკონომიკური დის-ციპლინების სწავლება იწყება, მას შეიძლება ეწოდოს სხვა სახელიც, სახელდობრ, „შესავალი ეკონომიკურ თეორიაში“, და კურსის სტრუქტურა ამ სახელწოდებას მიესადაგოს; სხვაგან კი, როგორც ითქვა, უმჯობესია ელემენტარული საკითხებიდან შეირჩიეს და შედარებით გაიშალოს ისინი, რომლებიც ფაკულტეტის პროფილს ესადაგება.

2. ტერმინი „ეკონომიკა“: ცნებითი საზღვრების გაფართოება

ეკონომიკის საფუძვლების „გათანამედროვებაში“ მხოლოდ იმას კი არ ვგულისხმობ, რომ მასში ავსახოთ ძვრები, რომლებიც ეკონომიკური სისტემის ძირებს სწვდება. ვგულისხმობ თვით ეკონომიკის თანამედროვე, გაფართოებისკენ მიმართულ გაგებასაც. ამაზე ბევრად არის დამოკიდებული როგორც ჩვენი მეცნიერების მასშტაბის გაცნობიერება, ისე მიმდინარე ძვრების გააზრება. თავისებურად, იგი იმაზეც მიგვითითებს, რატომ არის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცოდნა ნებისმიერი სპეციალობის ადამიანისათვის. ამიტომ დავიწყებ ამ საკითხით.

სად „ვეძიოთ“ ეკონომიკა – სად არის იგი და სად არ არის? როგორ გამოვაცალკევოთ, აზრობრივად, მისი სფერო საზოგადოებრივი ცხოვრებისგან და რას მოიცავს ეს სფერო?

ნათელია, რომ საქმე ეხება საზღვრებს, რომლებშიც ეკონომიკაა მოქცეული – რომლებშიც მართებულია მისი სახელის გამოყენება. რა მნიშვნელობა აქვს ამ საზღვრების – საერთოდ, ტერმინთა გამოყენების საზღვრების – დადგენას? ძველრომაული მითოლოგიით, ტერმინი სწორედ ის ღმერთია, რომელიც საზღვრებს იცავს (როგორ არ გავისხენოთ აქ რუსთაველის „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“). ამ საწყისიდან წარმოდგა სიტყვები – ტერმინალი, ტერმინატორი და სხვა, – მაგრამ უცვლელი შინაარსით ამ ღმერთის სახელმა მხოლოდ სიტყვათა გამიჯვნის სფეროში დაიმკვიდრა ადგილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საზღვრების დასაზღვრა ყველაზე მეტად ამ სფეროშია საჭირო: თუ სიტყვათა საზღვრები მკაცრად არაა დასაზღვრული, მეცნიერები, პედაგოგოები, სტუდენტები და სხვანი და სხვანი სიტყვებს სხვადასხვა შინაარსით გამოიყენებენ და ვერ გაუგებენ ერთმანეთს.

მკითხველმა ეგებ გაიკვირვოს, რაღა საჭიროა იმ ტერმინის (ეკონომიკის) გარკვევა, რომელმაც ათასწლეულები გამოიარა და რომელიც ლამის ყველას პირს აკერიაო. მაგრამ, დროთა განმავლობაში სიტყვები შინაარსს იცვლიან და, შედეგად, იცვლიან ადგილს და ფუნქციას ენაში, მათ შორის სამეცნიერო ტერმინოლოგიაში, პოულობენ მასში უფრო შესაფერსა და უკეთ შემოსაზღვრულ – სხვა სიტყვათაგან უკეთ გამიჯნულ – ადგილს. ეკონომიკის ცნებამ ამ მხრივ განსაკუთრებული ცვლილებები განიცადა და დღესაც განიცდის. საჭიროა გავიაზროთ ამ ცვლილებების მიმართულება და შევუპირისპიროთ იგი ტერმინის ძველ სტერეოტიპულ გაგებას, რომელიც ჯერაც არაა ამოძირკვული საზოგადოებრივი ცნობიერებიდან.

მოკლედ თუ ვიტყვით, არჩევანის საზოგადოებრივი წესია ეკონომიკის ის ამოსავალი ნიშანი, რომელიც მის საზღვრებს საზღვრავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ადამიანისა თუ ადამიანთა ერთობის ყოველი ნაბიჯი ხომ მარტივი არჩევანი კი არა, არჩევანთა მთელი წყების ნაერთია, ხოლო სადაც არჩევანია, იქ ჩნდება ეკონომიკური შეფასებაც: „უბრალო“ შეფასებიდან („ეს კარგია, ეს ცუდია“) იქ გადავდივართ ეკონომიკურ შეფასებაზე („ეს მირჩევნია – ეს იმას ამდენით სჯობს“).

ახლა გავიხსენოთ, რომ მეცნიერების წარმოდგენა ეკონომიკის ფარგლების შესახებ საუკუნეების მანძილზე ფართოვდებოდა. ფიზიოკრატებისათვის (XVIII ს.) რომ გეკითხა, ეკონომიკა სად არისო, ისინი სოფლის მეურნეობასა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე მიგითითებდნენ. კიდევ უფრო შეზღუდული იყო ამ საკითხზე მერკანტილისტების (ისტორიულად პირველი ეკონომიკური სკოლის) წარმოდგენები. უფრო ადრე კი მასზე ვერც იარსებებდა რამდენიმე თანმიმდევრული, ჩამოყალიბებული აზრი, რადგან შრომა დამამცირებელ საქმიანობად ითვლებოდა, ხოლო მეც-

ნიერები საკუთარ შრომას შრომად არ თვლიდნენ და რაღა თქმა უნდა, ვერც ეკონომიკას განუსაზღვრავდნენ ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბოლო საუკუნეებში ეკონომიკის ცნებითი შინაარსიდან აღარ გამორიცხავდნენ ადამიანის საქმიანობის არცერთ სფეროს. მოგვიანებით ამას დაემატა მოხმარების სფეროც (ამ სფეროს ეკონომიკური ურთიერთობები). მაგრამ ინდუსტრიული ეპოქის გაფურჩქვნის ჟამს – XX საუკუნის შუახანებში – და შემდეგაც ეკონომიკის სახელმძღვანელოებსა თუ ცნობარებს ხშირად მაინც „ალამაზებდნენ“ ქარხნების მხრჩოლავი მილებით, ნავთობმოპოვების ჭაბურღირებულითა და ელექტროენერგიის გადამცემი ანძა-მავთულებით, რაც ასახავდა ეკონომიკაზე იმდროინდელ მოარულ წარმოდგენებს. მხოლოდ ბოლო რამდენიმე ათწლეულში ხდება, მეტნაკლებად, იმის გაცნობიერება, რომ ეკონომიკურ ფასეულობებს მიეკუთვნება ნებისმიერი ფასეულობა, რომელიც კი რომელიღაც მიმართებაში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ექვემდებარება ეკონომიკურ შეფასებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან ის როდი გამომდინარეობს, თითქოს საზოგადოებაში ყველაფერი ეკონომიკურ არჩევანზე დაიყვანება. ეს არჩევანი მხოლოდ მათი ნაწილია, მაგრამ – განუყოფელი, ყოვლისგადამწვდომი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ამიტომ ეკონომიკაც არის ყველგან, სადაც კი არის საზოგადოება და საზოგადოებრივი ურთიერთობა. იგი მათი განუყოფელი და უმნიშვნელოვანესი ნაწილია, მათი ის ასპექტია (ჭრილია), რომელიც ფასეულობათა არჩევანს ეხება. აქედან ნათელია, რომ ეკონომიკის საზღვრებზე მიგვითითებს თვით ეკონომიკური ფასეულობები ანუ სიკეთეები. ტერმინს „სიკეთეები“ აქ ვიყენებ როგორც ინგლისური „goods“-ისა და რუსული „блага“-ს შესატყვისს, ჩვენთან გავრცელებული „დოვლათი“, „რესურსები და პროდუქტები“ და მისთანანი კი ვერ მოიცავს ადამიანისეულსა და საზოგადოებისეულ ფასეულობებს, რომლებიც ისევეა ადამიანთა და საზოგადოების არჩევანის საგანი, როგორც ყავა და კიტრი. უფრო მეტიც, დღეს საკმაოდ ფართო მსჯელობა მიდის ისეთ ფასეულობათა ეკონომიკურ შინაარსზე, როგორიც არის, მაგალითად, ბედნიერება. საკითხი, რამდენად აქვს ამ ცნებას ეკონომიკური შინაარსი ან რამდენად სწორადაა იგი აღქმული ლიტერატურაში, ცალკე კვლევის საგანია, ისევე როგორც ცნებებისა „მეგობრობა“ და მისთანანი, რომელთაც შევეხე წიგნში „რა არის ეკონომიკური პოლიტიკა“ [7. გვ. 109 და სხვა]. აქ დავაფიქსიროთ მხოლოდ ეკონომიკის ცნებითი შინაარსის გაფართოების ტენდენცია და ის, რომ ეკონომიკურ მეცნიერებას მჭიდრო კავშირი აქვს აქსიოლოგიასთან – ფასეულობათა (ღირებულებათა) შემსწავლელ მეცნიერებასთან, რომელთან ასეთივე კავშირი აქვს ყველა საზოგადოებრივსა და ჰუმანიტარულ მეცნიერებას. ბოლოხნებამდე ეკონომისტები ნაკლებად ეხებოდნენ აქსიოლოგიურ პრობლემებს და მით უფრო სასიამოვნოა, რომ მათ კვლევას, ქართველ ეკონომისტთაგან პირველმა, ხელი მოჰკიდა შ. ვეშაპიძემ (სხვათა შორის: იგი მართებულად მიიჩნევს, რომ გაგება ტერმინებისა „ღირებულება“ და „ფასეულობა“ შესაძლებელია როგორც სინონიმებისა [იხ.: 8. გვ. 13-14].

საზოგადოებრივი ფასეულობები ეკონომიკურ მეცნიერებას უშუალოდაც აკავშირებს პოლიტოლოგიასა და იურისპრუდენციასთან. უფრო მეტიც, ამ მეცნიერებათა კავშირი აქსიოლოგიასთან გადის ძირითადად ეკონომიკაზე, ეს კი იმაზეც მეტყველებს, რამდენად მნიშვნელოვანია შესაბამისი ფაკულტეტებისათვის ეკონომიკური ცოდნის მიწოდება.

ეკონომიკსი ეკონომიკის ცნებითი შინაარსის სფეროშიც ამჟღავნებს შეზღუდულობას, როდესაც თავისი საგნის ფუნდამენტში მხოლოდ შეზღუდული რესურსები შეაქვს. კერძოდ, მისი ამოსავალი დებულებაა ის, რომ ადამიანთა მოთხოვნილებები უსაზღვროა, მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო რესურსები კი – შეზღუდული. სამწუხაროდ, ეს დებულება ეკონომიკური თეორიის სხვა დისციპლინებმაც გადაიღეს. მიდგომა სწორია მხოლოდ ეკონომიკსის ვიწრო საგნისათვის, რადგან საბაზრო ურთიერთობაში შეუზღუდავი რესურსები შეიძლება ჩართო მხოლოდ მათი მიწოდების ხელოვნური შეზღუდვის გზით, თუ არა და, ისინი მასში საერთოდ ვერ ხვდება და ამის მკვეთრი, ოღონდ, მხოლოდ ერთი მაგალითია ინტერნეტი. სხვა საქმეა, რომ როგორი საზოგადოებრივი წესითაც არ უნდა ხდებოდეს შეუზღუდავი სიკეთეების მოხმარება, იგიც დროში ხდება – დროში, რომელიც შეზღუდული რესურსია. სწორედ ამიტომ ვდგავართ ჩვენ ყოველთვის არჩევანის წინაშე ფასეულობათა შორის და ერთ გადაწყვეტილებაში ერთბაშად ხან ორსა, ოთხსა და მეტ არჩევანს ვატევთ. მაგრამ, ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ყოველი ეკონომიკური ფასეულობა შეზღუდულად ჩავთვალოთ? ისეირნეთ უღრან ტყეში და იცურეთ ზღვაში, რამდენიც გნებავთ, თქვენ ამაში არავინ და არაფერი გზღუდავთ თქვენი დროის და იმ რესურსების გარდა, რომლებიც ამ ტყემდე და ზღვამდე მისასვლელად გჭირდებათ.

აქედან, ბუნებრივია, რომ ეკონომიკსი მოიკოჭლებს თავისი საგნის განსაზღვრებაშიც, რომელსაც იგი

ეკონომიკურ თეორიასთან (მის განსაზღვრებასთან) აიგივებს. ავიღოთ ყველაზე ავტორიტეტული სახელმძღვანელოს ყველაზე ცნობილი და ვფიქრობ, სხვებზე უკეთესი დეფინიცია, რომელიც პოლ სამუელსონსა და ვილიამ ნორდჰაუსს ეკუთვნის: „ეკონომიკა (ეკონომიკური თეორია) არის მეცნიერება იმის შესახებ, თუ როგორ იყენებს საზოგადოება იშვიათ რესურსებს ფასეულ საქონელთა წარმოებისა და ადამიანებს შორის მათი განაწილებისათვის“ [9, გვ. 48].

გამოდის, რომ ეკონომიკური თეორია სწავლობს იმას, თუ როგორ იყენებს საზოგადოება იშვიათ რესურსებს, ხოლო წარმოების პროდუქტების („ფასეული საქონლების“) წარმოება და ადამიანთა შორის განაწილება რესურსების გამოყენების პროცესის მხოლოდ მიზანია. სინამდვილეში ეკონომიკური თეორია მათაც სწავლობს. ეს ავტორებმა უთუოდ კარგად იციან და თუ ლიტერატურულად ვერ გამართეს აზრი, ეს შემდეგი მიზეზით აიხსნება: საგნის განსაზღვრება ერთ წინადადებაში უნდა იყოს მოქცეული, რადგან იგი ამ საგნის ერთ ძირითად ნიშანზე უნდა იქნას აგებული. სწორედ ეს არის ყოველი განსაზღვრების პირველესი მოთხოვნა, რომელიც გენეტიკურ მიდგომას – ერთარსის პრინციპს უნდა ემყარებოდეს. ეს ერთი – ძირითადი – ნიშანი კი ავტორებმა ვერ „იპოვეს“ ემპირიული მეთოდის შეზღუდულობის გამო. ამიტომ მოაქციეს სხვადასხვა ნიშანი ერთ წინადადებაში.

ძირითადი ნიშანია სიკეთეთა არჩევანის საზოგადოებრივი ფორმა, ხოლო თუ უფრო ზოგადად ვიტყვით – სიკეთეთა გამოყენების საზოგადოებრივი წესი. ამ ნიშნის უქონლობა აპირობებს მოტანილი დეფინიციის უფრო სერიოზულ ხარვეზებს, ვიდრე ლიტერატურული ხარვეზია. მათ შორისაა უწინარესად ის, რომ დეფინიცია მთლიანად ვერ ასახავს საგანს – ეკონომიკას – და ამიტომ ვერც მის ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუნდ დავუშვათ, რომ დეფინიციის მეორე ნაწილი მკითხველმა „იშვიათი რესურსების გამოყენების“ უბრალო მიზნად კი არ მიიჩნია, არამედ დისციპლინის საგნის ნაწილად, ამ ნაწილში საქმე მაინც მხოლოდ წარმოებულ ფასეულობებს ეხება, პირველ ნაწილში კი – მხოლოდ იშვიათ რესურსებს. დეფინიციის მიღმა მაინც რჩება ის შეუზღდავი სიკეთეები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ – რომელთაც ადამიანისა თუ საზოგადოების არჩევანი ეკონომიკურ ფასეულობად აქცევს.

3. თეორიები, საზოგადოებრივი გონი და ეკონომიკური განვითარება

ეკონომიკის საფუძვლების სახელმძღვანელოთა მომზადება და სწავლება, როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ იმ სტუდენტებისათვის როდი იქნება სასარგებლო, რომელთა პროფილსაც სახელმძღვანელოებს მივუსადაგებთ. თვით მისადაგების პროცესი იქნება კავშირის ძიება ზოგად თეორიასა – ეკონომიკის გაშიფრულ თუ გასაშიფრ გენეტიკურ სტრუქტურებსა – და პრაქტიკას შორის.

ვფიქრობ, ამ კუთხითაც უნდა აისახოს ამ სახელმძღვანელოებში ის რამდენიმე საკვანძო პრობლემაც, რომელთაც პროფესორი რ. ასათიანი ზოგადი ეკონომიკური თეორიისათვის ასახელებს. ავტორი ნახულობს კუთხეს, რომლითაც ისინი უნდა იქნენ წარმოდგენილი კურსში, სახელდობრ, თვლის, რომ მასში უნდა გაშუქდეს „მნიშვნელოვანი ეკონომიკური მიმდინარეობები და თეორიები, მათი როლი „ველური“ კაპიტალიზმის სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკად ჩამოყალიბებაში, გლობალიზაციის წარმოქნაში, ინდუსტრიული საზოგადოების პოსტინდუსტრიულში გადაზრდაში, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოშობაში და ა.შ.“ [5. გვ. 44].

რატომაა საჭირო საზოგადოებრივი გონის, ამ შემთხვევაში – თეორიების, როლის გაშუქება ახალი მოვლენების ჩამოყალიბებაში? იმიტომ, რომ იგი უნდა განვიხილოთ როგორც ეკონომიკის იმანენტური ძალა, რომელმაც უკვე მოასწრო დიდი როლის შესრულება ჩვენი ეპოქის სახის შექმნაში და ეს როლი მომავალში უფრო გაიზრდება ანუ უფრო განმტკიცდება მისი ადგილი ეკონომიკის გენეტიკურ სტრუქტურაში. ცნობილია ჯ. კეინსის მიდგომა ამ საკითხისადმი, შედარებით ნაკლებად არის ცნობილი საპირისპირო ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლის, გერმანული სოციალური საბაზრო ეკონომიკური ეკონომიკის ერთერთი მამის ვალტერ ოიკენის მიდგომა, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი გონის, როგორც ეკონომიკური ფენომენის, გარეშე ინდუსტრია გაჭყლეტს ადამიანს [10].

მხოლოდ ამ მიმართებით უნდა ჩავრთოთ თეორიები ახალი მოვლენების ანალიზში და, ვფიქრობ, ეს ჰქონდა მხედველობაში რ. ასათიანსაც. თორემ, თუ ყოველ ცალკეულ მოვლენაზე შევუდექით თეორიების გადმოცემას, ზოგადი თეორიის ლოგიკური (გენეტიკური) ხაზიც გვერდით დაგვრჩება და ეკონომიკის საფუძვლების კურსის მიზნებიც.

რ. ასათიანის ციტატაში დასახელებულ მოვლენებს სხვა ასპექტებიც აქვთ, რომლებიც საინტერესოა ეკონომიკის საფუძვლების ვარიანტულ სახელმძღვანელოთა მომზადების კუთხით. შევეხები ორ მოვლენას. თანამედროვე მსოფლიო კრიზისის მიზეზები

სხვადასხვა კუთხით იქნება საინტერესო ფილოსოფიის, სოციოლოგიის, იურიდიული, პოლიტოლოგიისა და ზოგი სხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის. პოლიტოლოგიის – უფრო იმ კუთხით, რომ ბოლო მსოფლიო კრიზისი წლების განმავლობაში მწიფდებოდა და პოლიტიკოსებმა ყური არ ათხოვეს იმ მეცნიერებს, რომლებიც მას წინასწარმეტყველებდნენ. საინტერესო იქნება მათთვის იმიტომაც, რომ კრიზისის ერთერთი უშუალო მიზეზი სწორედ მთავრობების ნეოლიბერალური პოლიტიკა გახდა, განსაკუთრებით კი, აშშ-ს საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკა, უწინარესად დოლარის ექსპანსია, რომლის შედეგად აშშ-ს წილმა მსოფლიო მოხმარებაში დიდად (ექსპერტთა შეფასებით ორჯერ) გადაამეტა მის წილს წარმოებაში – მთლიან მსოფლიო პროდუქტში. კეინსის თეორიის საპირისპიროდ, აშშ-ში დანაზოგებმა კატასტროფულად იკლო და ამერიკელებმა მომავლის ანგარიშში – კრედიტის ხარჯზე – დაიწყეს ცხოვრება.

იურისტებიც ნახავენ ამ ასპექტებში საკუთარ კუთხეს: რატომ დასაჯა აშშ-ს მთავრობამ იპოთეკური კრიზისის აფეთქებაში „დამნაშავენი"? რა სამართლებრივი ინსტრუმენტებით შეიძლებოდა გარღვევის თავიდან აცილება? და ა.შ. მაგრამ ყოველივე ეს, რაც მეტნაკლებად სხვებისთვისაც არის საინტერესო, ვერ იქნება საკმარისი თავის საქმეში გარკვეული ფილოსოფოსისა თუ სოციოლოგისათვის და იქნებ არც ბიოლოგმა იკმაროს. მათ იციან (უნდა იცოდნენ), რომ ყოველი განვითარება, ყოველი მოძრაობა ციკლურია, რომ, მაშასადამე, უკანდახევა – კრიზისი – ყოველი მათგანის გარდუვალი ფაზაა და რომ ამიტომ მისი ძირეული მიზეზი ყოველი სახის ციკლში ერთიდაიგივეა. ასეა ეს ეკონომიკურ ციკლშიც. პოლიტიკურმა, სამართლებრივმა თუ სხვა მეორადმა ფაქტორებმა შეიძლება მხოლოდ დააჩქარონ კრიზისი ან გადაავადონ იგი, შეარბილონ ან კატასტროფული ხასიათი მიანიჭოს მას, თავიდან კი ვერ აიცილებენ. კრიზისის ახსნა და მისი გაგებაც აქედან, ძირიდან უნდა იქნას დაწყებული და მათთვის – ფილოსოფოსისა და სოციოლოგისათვის – ეკონომიკის სახელმძღვანელოს წერისას ჩვენ ჩვენი თავი უნდა ვაიძულოთ, რომ მხოლოდ და იმდენად ის თეორიები კი არ გავაშუქოთ, რომლებიც „იმ ძირს" ვერ სწვდებიან, არამედ თვითონ ჩავწდეთ მათ.

შევეხოთ გლობალიზაციასაც. ახალს რას ვიტყვი იმით, რომ ფილოსოფია დედაა ყოველი მეცნიერებისა და რომ სოციოლოგიაც საზოგადოების უფრო ზოგად ნიშნებსა და კანონებს შეისწავლის, ვიდრე ეკონომიკური მეცნიერება. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ 2003 წლის გაზაფხულზე თბილისში ამ პრობლემასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე სწორედ ფილოსოფოსებმა წამოსწიეს გლობალიზაციის არსის ამოსავალი სოციოლოგიური ნიშნები, რომლებიც ადამიანთა ზოგად, უმარტივეს სწრაფვებს ასახავს (მიმბაძველობა, ურომლისოდაც ვერ იარსებებდა გამოცდილების გაზიარებისკენ სწრაფვა და სხვა). ან, განა, როდესაც ალფერდ მარშალი ადამიანის კეთილშობილურ საწყისებსა და ალტრუისტულ სწრაფვებზე საუბრობდა, ამით ეკონომიკის თვისებრიობის ზოგადსოციოლოგიურ გენებს არ სწვდებოდა?

ამ გენების გახსნისკენ და, მაშასადამე, ფილოსოფიასა და სოციოლოგიასთან კავშირისკენ უნდა წაგვიყვანოს ზოგადი ეკონომიკური თეორიის არსებითად ყოველმა საკითხმა, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებულის – ინდუსტრიული საზოგადოების პოსტინდუსტიულში გადაზრდის – საკითხი უწინარესად ტექნიკურ მეცნიერებებთან უფრო ფართო თანამშრომლობას ითხოვს.

4. მარკეტინგის საფუძვლები ეკონომიკის საფუძვლებში (?!)

როგორც უკვე ითქვა, ეკონომიკის საფუძვლების სახელმძღვანელოებზე მუშაობისას აუცილებელია, ფაკულტეტთა პროფილის შესატყვისად მივმართოთ სპეციალურსა და სექტორულ-დარგობრივ ეკონომიკებსაც, რომლებიც ზოგად კურსზე უფრო ახლოს მიდიან ცხოვრებისეულ სიტუაციებთან.

ქვემოთ ვნახავთ, რომ მარკეტინგიც ისეთ შედარებით კონკრეტულ ეკონომიკურ მეცნიერებებს მიეკუთვნება, რომლებიც ჯერჯერობით ვერ სწვდებიან თავიანთი სფეროს გენეტიკას და ამიტომ ვერ აცნობიერებენ ვერც მის ეკონომიკურ მისიას. თუმცა, მას აქვს თავისი უპირატესობები: დღეს იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მისწვდა – შეიჭრა პოლიტიკაში (მათ შორის სახელმწიფო მართვასა თუ არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში), არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვა არაკომერციულ სტრუქტურებში (უმაღლესი და საშუალო სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღები და სხვა და სხვა). მარკეტინგის სახელმძღვანელოებში საუბარია რელიგიურ დაწესებულებათა მარკეტინგზეც კი. ფეხს იდგამს მომხმარებლის მარკეტინგი და, ვფიქრობ, მას დიდი პერსპექტივაც აქვს [11]. ანუ მარკეტინგმა დააინტერესა ადამიანთა ფართო წრეები და, შეიძლება ითქვას, მოდურ მოვლენადაც იქცა. ამიტომ, ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, არაეკონომიკური

ფაკულტეტებისათვის შექმნილი სახელმძღვანელოების „გაცოცხლება-გათანამედროვეობისათვის“ ყველაზე მომგებიანი სწორედ მარკეტინგის საკითხებით მათი გამდიდრება იქნებოდა. სხვა საქმეა, ვის რა ასპექტითა და „დოზით“ სჭირდება იგი.

მარკეტინგის სახელმძღვანელოებში განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს სისუსტე მათი მეთოდოლოგიური ფუნდამენტისა, რომელსაც მიკროეკონომიკა, ეკონომიკსი და მასზე ზოგადი სხვა დისციპლინები უნდა ქმნიდნენ. უწინარესად, ეს საგნის განსაზღვრაში იჩენს თავს. გ. არმსტრონგი და ფ. კოტლერი, რომელთა სახელმძღვანელოც ძირითად წყაროს წარმოადგენს როგორც ბევრი ჩვენი სასწავლებლის სტუდენტებისა თუ პედაგოგებისათვის, ისე ქართულ ენაზე შექმნილი არაერთი ორიგინალური სახელმძღვანელოსა თუ გამოკვლევისათვის, პრინციპში სწორად აანალიზებენ საფირმო მარკეტინგის არსს, მაგრამ ვინაიდან მარკეტინგი დღეს „ყოვლისგადამწვდომ“ მეცნიერებად იქცა, ისინი ცდილობენ მოგვცენ საგნის უფრო ზოგადი განსაზღვრება და გვთავაზობენ ასეთ, მარკეტინგის არსზე არაფრისმთქმელ დეფინიციას: „მარკეტინგი არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც ცალკეული პიროვნებები და ჯგუფები ფასეულობების შექმნითა და მათი სხვებთან გაცვლით იღებენ იმას, რაც სურთ და სჭირდებათ“ [11. გვ. 36].

მაგრამ, ადამიანები ხომ ფასეულობებს ყოველგვარი სასაქონლო ურთიერთობის დროს ცვლიან, ხოლო ქმნიან და იღებენ მათ ყოველგვარ ეკონომიკური სისტემაში. ეს განსაზღვრება ვერ გამოდგება იმის გასარკვევად, რით გამოირჩევა მარკეტინგი ამ ურთიერთობებისგან და, საერთოდ, რა არის მარკეტინგი, რომელიც – როგორც სისტემური მოვლენა – მხოლოდ გასული საუკუნის შუახნებიდან იწყებს ჩამოყალიბებას და არა უხსოვარი დროიდან, საითაც განსაზღვრება „გვგზავნის“.

რატომ – გასული საუკუნის შუახნებიდან? იმიტომ, რომ იმ დროს გაშლილმა მეცნიერულ-ტექნოლოგიურმა რევოლუციამ ეპოქალური შემობრუნება გამოიწვია როგორც ტექნოლოგიებში, ისე ადამიანთა მოთხოვნილებებისა და ეკონომიკური ურთიერთობის სტრუქტურაში. მანამდე ტექნიკური საშუალებები „ზომებშიც“ სულ უფრო იზრდებოდა და ფასებშიც. სწორედ ამან შეუწყო ხელი გასული საუკუნის დასაწყისიდან მსხვილი მონოპოლიების გაბატონებას (მანამდე ისინი სუსტები იყვნენ და ადვილად იშლებოდნენ). მეცნიერულ-ტექნოლოგიურმა რევოლუციამ კი ტექნიკურ საშუალებათა დამცრობისკენ შეაბრუნა ტენდენცია. გაჩნდა მოქნილი საწარმოო სტრუქტურები, რომლებსაც შედარებით ადვილად შეუძლიათ გადაერთნენ ერთი პროდუქტის წარმოებიდან მეორეზე, მით უფრო – პროდუქტის ერთი ნაირსახეობიდან მეორეზე. შედეგად, ბაზარმა სწრაფად იწყო დიფერენციაცია. ხოლო მარკეტინგი ვითარდება სწორედ დიფერენცირებულ ბაზარზე, სადაც თითოეული მეწარმე ეძებს თავის ნიშს – ისწრაფვის შექმნას კონკურენტთაგან განსხვავებული პროდუქტი, რომელიც მომხმარებელთა რომელიღაც წრის განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს შეესატყვისება. თავის მხრივ, ამ სწრაფვით მარკეტინგი თვითონ აღრმავებს ბაზრის დიფერენციაციის პროცესს, ამრავალფეროვნებს პროდუქტს და იწვევს მოთხოვნილებათა მრავალფეროვნების ანუ საზოგადოებრივ ფასეულობათა სიმდიდრის ზრდასაც.

განა ეს ცნობილი არ არის მარკეტინგის როგორც მეცნიერების დარგის მამისთვის – ფილიპ კოტლერისათვის? არის და სახელმძღვანელოში ზედმიწევნითაც არის აღწერილი, მაგრამ ამ აღწერილობის თეორიული განზოგადების დონე ბევრი თუ არა, ზოგი მიმართებით მაინც მოიკოჭლებს. ამაზე მეტყველებს არა მხოლოდ მარკეტინგის მისეული (კოტლერისეული – როგორც იგი მსოფლიოშია ცნობილი) განსაზღვრება. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ წიგნში ბევრგანაა საუბარი ეგრეთწოდებულ მასობრივ მარკეტინგზე და არ არის გაშიფრული ამგვარი მარკეტინგის არასრულყოფილება, მისი, როგორც მარკეტინგის დაბალი დონე – განუვითარებელი ხასიათი. ხოლო დიფერენცირებული პროდუქტის ანუ ეგრეთწოდებული მონოპოლისტური კონკურენციის ბაზრის მახასიათებლები, რომელთა განხილვაც, როგორც ვნახეთ, ძალზე მნიშვნელოვანია მარკეტინგის რაობის გარკვევისათვის, დახასიათებულია ამ უკანასკნელისგან – პირველი თავისგან – დიდი დაშორებით, მეცხრე თავში მარკეტინგის მეორე ინსტრუმენტის, ფასის განხილვისას.

ფასი ვახსენე და აქვე დავძენ: თანამედროვე ეკონომიკური აზროვნება ზღვრული სიდიდეებით აზროვნებაა, არმსტრონგისა და კოტლერის სახელმძღვანელოს კი ამისი ნიშანწყალიც არ ამჩნევია. მათ შორის არ ამჩნევია ფასწარმოქმნის თემას, სადაც ეს პრინციპი ყველაზე მეტადაა საჭირო. ფასის ქვედა ზღვრად მიჩნეულია პროდუქტის ერთელზე გაწეული დანახარჯების დონე, მაგრამ, რომელი დანახარჯებისა? აქ ჩაძიებაა საჭირო, რაკი ბუღალტერია მხოლოდ გასაშუალებულ მონაცემებს იძლევა და ამას ხშირად შეყავს შეცდომაში ფირმის ხელმძღვანელობა, რადგან ზღვრული დანახარჯები, ბევრ შემთხვევაში, საშუალოზე მაღალია და ზოგჯერ

ფასს ამეტებს ანუ გამოშვების ზრდას სხვა თანაბარ პირობებში შეუძლია მხოლოდ ზარალი მოუტანოს ფირმას. მარკეტინგული მოკვლევა სწორედ იმისათვის არის საჭირო, რომ დადგინდეს ბაზრის შესაძლებლობები, მათ შორის მომდევნო დანარჯების მოსალოდნელი დონე – გაირკვეს არა მარტო რეალური თუ პოტენციური მომხმარებლების მოთხოვნილებები და საჭიროებები (ბაზრის ტევადობა), არამედ ფირმის, (როგორც მომხმარებლის) პარტნიორ-მიმწოდებელთა შესაძლებლობები და ზრახვებიც ანუ ბაზრის რესურსული პოტენციალი.

მოკლედ, მარკეტინგის მეთოდოლოგიური არსენალი მწირია ზოგადთეორიულ ეკონომიკურ დისციპლინებთან მისი კავშირის სისუსტის გამო. ახლა ვნახოთ უკუკავშირი, უფრო სწორად, დავრწმუნდეთ იმაში, რომ იგი – უკუკავშირი – არ არსებობს და ეკონომიკური მეცნიერების ეს ორი სფერო არათუ არ ამდიდრებს ერთიმეორეს (ერთი – მეთოდოლოგიით და მეორე – ფაქტების შესწავლა-განზოგადებით), არამედ დაბალია თვით მათი ურთიერთცნობადობის დონე. დასტურად მოვიყვან ციტატას კ. მაკკონელისა და ს. ბრიუს სახელმძღვანელოდან „ეკონომიკსი“: „ბუღალტრული აღრიცხვისგან, სარეკლამო საქმისგან, კორპორაციული ფინანსებისა და მარკეტინგისაგან განსხვავებით – წერენ ავტორები, – ეკონომიკსი არ წარმოადგენს პირველ რიგში მეცნიერებას იმაზე, როგორ ვაკეთოთ ფული“ [13. გვ. 7].

აქედან გამოდის, რომ მარკეტინგი ეკონომიკსს ისევე უპირისპირდება, როგორც, არისტოტელეს თანახმად, ფულის კეთება ანუ ქრემატისტიკა – ეკონომიკას. ნუ გამოვეკიდებით ავტორთა ამ შეცდომას, შემთხვევითად და უნებლიედ მივიჩნიოთ იგი. მთავარი ის არის, რომ, ამ შეცდომის კორექტირების შემთხვევაშიც, ავტორთა მარკეტინგული „ცოდნა“ არაფრით ჩანს იმაზე ღრმა და უკეთესი, რაც რიგით არაეკონომისტს შეიძლება ჰქონდეს და, რაღა თქმა უნდა, იმ ეკონომისტსაც, რომელიც მსგავს სახელმძღვანელოებზეა აღზრდილი. ვისი ბრალია ეს? ვფიქრობ, ორივე მხარის და უწინარესად თავად მარკეტინგული თეორიისა. პრაგმატულ მიზნებს გამოკიდებული, იგი სასხვათაშორისოდ თუ მიმოიხილავს მარკეტინგულ რეალობას საფირმო საქმიანობის მიღმა, მათ შორის მომხმარებლის, პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვათა მარკეტინგულ საქმიანობას, რომელზეც ზემოთ ითქვა, ხოლო საფირმო მარკეტინგს აშუქებს იმდენად არა პოზიტიური (შემეცნებითი) კუთხით, რაც ჭეშმარიტი მეცნიერების ყოველი დარგის პირველი მოვალეობაა, არამდ ნორმატიული, გამოყენებითი კუთხით. აქედანაც უდიდესი ნაწილი მოდის იმის გარკვევაზე, როგორ უნდა მოიპოვოს და გაიერთგულოს ფირმამ მომხმარებელი, როგორ დაზვეროს და დაჯაბნოს კონკურენტი და ა.შ. ანუ მარკეტინგული თეორია დღეს მართლაც არის თავის უდიდეს ნაწილში სახელმძღვანელო ერთმანეთს შეჭიდებული ფირმებისათვის კონკურენციაში ერთიმეორის დასამარცხებლად ანუ არის კონკურენციული ბრძოლის იარაღი და, ამ აზრით, სახელმძღვანელო იმისა, როგორ მიიღონ ფირმებმა მოგება ანუ როგორ აკეთონ ფული.

მაშ რაღაში შეცდნენ კ. მაკკონელი და ს. ბრიუ? იმაში, რომ მარკეტინგული თეორიის ამ ვიწრო-პრაგმატული ორიენტაციის მიღმა მათ ვერ დაინახეს ამ მოვლენის „სული“, ის მისია, რომლითაც იგი მოევლინა საზოგადოებრივ სისტემას მისი არაერთი პრობლემის გადასაწყვეტად. ვერ დაინახეს ცვლილება, რომელიც ამ მოვლენას შეაქვს თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში. ეს ცვლილება სრულიად აახლებს სისტემას, სისტემურ ცვლილებებს კი ზოგადთეორიული დისციპლინები უნდა ეწაფებოდნენ და თავის კურსებში ასახავდნენ ზოგადობის უფრო მაღალი დონით, ვიდრე ამას აკეთებს თუ უნდა აკეთებდეს თეორიული მარკეტინგი. ეს სიახლე სწვდება ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ კუთხე-კუნჭულს, სწვდება იმდენად, რამდენადაც არ არსებობს სფერო, რომელშიც მარკეტინგის შეჭრა არ იყოს მიზანშეწონილი და არ იწყებოდეს კიდეც.

რა მისიაზე, რა სიახლესა და სისტემურ ცვლილებაზეა საუბარი? სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, მისია გავმიჯნოთ მისიის მატარებელი მოვლენის რეალური როლისგან საზოგადოების ცხოვრებაში. მონათმფლობელობის მისია ადამიანთა დამონება კი არ იყო, არამედ გონებრივი შრომის გამოთავისუფლება იმ დიდი მეცნიერებისა და ხელოვნების შესაქმნელად, რომელზეც დღესაც დგას საზოგადოება. ამავე კუთხით უნდა შეფასდეს კაპიტალიზმის მისია, ცეცხლისა (მისი დამორჩილებისა) თუ ატომური ენერგიის (მისი ათვისების) მისია საზოგადოების განვითარებაში – იმ ჩრდილებისა და უბედურებებისაგან განყენებით, რომლებიც მათ ახლდათ. მარკეტინგის მისიასაც მოვაშოროთ ჩრდილები, ოღონდ, დავიწყებას არ მივცეთ ისინი. ნუ დავივიწყებთ, მაგალითად, იმას, რომ ამერიკული „კოკა-კოლასა“ და, საქართველოს ფარგლებში მისი პოლიტიკის გამტარებლის – მისი ფრანშიზას „კოკა-კოლა ბოთლერზ ჯორჯიას“ – მარკეტინგული პოლიტიკის შედეგია ქართული ლაღიძის წყლების დათრგუნვა. რათქ-

მაუნდა, უკეთესმა – ამ აზრით, ძლიერმა – უნდა დათრგუნოს სუსტი. „კოკა-კოლასა“ და „მაკდონალდსის“ ძლევამოსილებაში ცუდი ის არის, რომ მსგავსი გიგანტები, რომელთაც დაიმკვიდრეს მონოპოლიური მდგომარეობა, ამკვიდრებენ შტამპს მოხმარებაში (ამკვიდრებენ ისევე, როგორც მთლიანად გლობალიზაციის პროცესები და არცთუ შემთხვევით უწოდებენ გლობალიზაციას მეტსახელად „მაკდონალდიზაციას“). მარკეტინგის მისიის უპირველესი გამოხატულება კი სრულიად საპირისპირო: მარკეტინგი საზოგადოებას ამდიდრებს მრავალფეროვნებით, სახელდობრ, მას მოაქვს პროდუქტთა (მათ შორის მომსახურების) სახეობებისა და ადამიანთა მოთხოვნილებების გამრავალფეროვნება.

ამ ტენდენციას, ჭეშმარიტი მარკეტინგის პირობებში, წარმოშობს უწინარესად მიმწოდებელთა დაუცხრომელი სწრაფვა სიახლისაკენ, რაც მათ საშუალებას აძლევს დაიკავონ თავიანთი ნიში საბაზრო სივრცეში, შეკრან თავის გარშემო გარკვეული მენტალობისა და გემოვნების მომხმარებელთა წრე. ამ პროცესზეა გამოჭრილი მელა ალისას სიტყვები „პინოკიოს (ბურატინოს) თავგადასავლიდან“: თუ გინდა ადგილზე დარჩე, სწრაფად უნდა ირბინო! მიმწოდებლებიც, „დარბიან“ და ეძებენ სიახლეს და ამით წინ ეწევიან საზოგადოებას.

ეს ძიება აყალიბებს ახალ ურთიერთობას მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის, ხოლო ეკონომიკური სისტემა სხვა არაფერია, თუ არა ამ ურთიერთობის სიმრავლე, აღებული მთლიანობაში. ამ სისტემაში ტიპური კონკურენტული ფირმა და ტიპური მონოპოლისტი ადგილს უთმობენ მარკეტინგულ ფირმას, რომელიც ერთდროულად თავისებური მონოპოლისტიცაა და კონკურენტიც. მონოპოლისტია იმ აზრით, რომ თავისი სტრატეგიული მომხმარებელი ყავს, რომელიც პროდუქტის მოცემული სახეობის ნაირსახეობათაგან მისას ირჩევს და რომელიც ერთგულობს ფირმას იმის გამო, რომ მისგან მომავალშიც ელის სიახლეებს. ხოლო კონკურენტია სწორედ იმ აზრით, რომ ბაზარზე გამოდის მოცემული სახეობის პროდუქტის მრავალი ნაირსახეობა და თუ მან მუდმივად არ იზრუნა თავისი მომხმარებლის მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებაზე და თუ ამ საქმეში სხვა ფირმამ გადაასწრო, ის ფირმა წაართმევს მას მომხმარებელს. ამიტომ ქვია დიფერენცირებული ბაზრის მარკეტინგულ სტრუქტურას მონოპოლისტური კონკურენცია. მისთვის მხოლოდ სიახლისკენ სწრაფვა კი არ არის ნიშანდობლივი. იმისათვის, რომ მოიპოვონ სტრატეგიული მომხმარებელი, მიმწოდებლები სწავლობენ მის კონკრეტულ მოთხოვნილებებსა და იმ საჭიროებებსაც, რომლებიც მომხმარებელს ჯერ არა აქვს გაცნობიერებული. ესეც თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ძირეული ნიშანი ხდება: მოთხოვნილება და, მით უფრო, გაუცნობიერებელი საჭიროება, რომლებიც საბაზრო მოთხოვნის მიღმა დგანან, ამ უკანასკნელს სულ უფრო მეტად ჩაანაცვლებენ მიმწოდებლის ორიენტირებში.

სახელმძღვანელოთა **ავტორებისგან განსხვავებით**, ამ მარკეტინგული პროცესის სწორ აღქმასა და **განზოგადებას გვაძლევს ბოლო 5-6 ათწლეულის** ერთერთი უდიდესი ეკონომისტი ჯონ კენეტ გელბრაითი. 2004 წელს იგი წერდა: „წარსულში ეკონომისტები ტრადიციულად ხაზს უსვამდნენ იმას, რომ... მომხმარებელი კარნახობს, რა უნდა იქნას წარმოებული, **შესყიდული და გაყიდული... ძირითად** ფუნქციას (დღეს – **მ. გ.**) წარმოადგენს ახალი პროდუქტების შემუშავება და შექმნა და არცერთი მწარმოებელი **არ მოჰკიდებს ხელს ახალი პროდუქტის** წარმოებას ისე, თუ წინასწარ არ შექმნა მასზე მოთხოვნა... ბაზრის დამოუკიდებლობა თმობს თავის პოზიციებს“ [13. გვ. 23]. შევნიშნავ, რომ ციტატაში გამოტოვილი **ტექსტი ორიგინალის აზრს არ ცვლის, მაგრამ კორექტივი შეაქვს ავტორის დამოკ**იდებულებაში მოვლენის მიმართ – ხაზს უსვამს მის, მოვლენის, ჩრდილოვან მხარეებს, რომლებზეც, როგორც შევთანხმდით, აქ არ ვისაუბრებთ).

დიახ, ეს აღარ არის ბაზარი უწინდელი აზრით – **ბაზარი, რომელიც დამოუკიდებელი იყო მიმწოდებ**ლისგან და რომელიც, პირიქით, ბატონობდა მასზე როგორც ბრმა ძალა – თავისი საფასე სიგნალებით კარნახობდა მას, სად წაეღო რესურსები და რა და როგორ ეწარმოებინა. ამას ახლა მიმწოდებელი თვითონ **საზღვრავს ბაზარზე „გადაბიჯებით“: მომხ**მარებელთან **მიდის მანამდე, სანამ პროდუქტს შექმ**ნიდეს **და მიაწვდიდეს, მიდის იმისათვის, რომ საბა**ზრო ფასს კი აღარ სდიოს, არამედ მომხმარებლის მოთხოვნილებებისა და საჭიროების შესწავლით გაარკვიოს თავისი მომავალი პროდუქტის ბედი.

ეკონომიკაში სისტემური ცვლილებები ხდება, ეკონომიკსი კი ვერ აღიქვამს მათ და მარკეტინგს ქრემატისტიკას აკუთვნებს!

მარკეტინგზე, მის მისიაზე კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება. შეიძლება თქმა მის ჩრდილებზეც, მის გადაუწყვეტელსა და ახალ პრობლემებზეც; მაგრამ რაც ითქვა, ვფიქრობ საკმარისია იმის მისანიშნებლად, თუ რა კუთხით უნდა შევიდეს მარკეტინგული თემატიკა როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური ფაკულტეტებისათვის შექმნილი

ეკონომიკური საფუძვლების კურსის სახელმძღვანელოებში. კუთხით, რომელიც უთუოდ უნდა გამდიდრეს და გაცოცხლდეს საილუსტრაციო მასალით.

ვფიქრობ, საჭირო, ასევე მიუდგეთ სხვა ახალ ეკონომიკურ მიდგომათა შემსწავლელ დისციპლინებსაც, ამით გავამდიდროთ ეკონომიკის საფუძვლების კურსი, გადავაქციოთ იგი მიმზიდველ დისციპლინად და საბოლოო ანგარიშით ზოგადი ეკონომიკური თეორიის (ეკონომიკური გენეტიკის) შექმნის წინაპირობად.

ლიტერატურა:

1. მერაბ გველესიანი. ეკონომიკური თეორია: საგანი, პრობლემები, ამოცანები, თბ., „კომენტარი“, 1999.
2. Lester C. Thurow. The Future of Capitalism. How today's economic forces shape tomorrow's world. New York. 1997.
3. Паата Леиашвили. Экономическая деятельность: телеологический анализ. Тб., Издательство «Сиахле», 2011.
4. Паата Леиашвили. Экономикс в тисках эмпиризма и догматизма (причины застоя в экономической науке, Тб., Издательство «Сиахле», 2013.
5. როზეტა ასათიანი. ზოგადი ეკონომიკური თეორია და მისი სწავლების აღდგენის აუცილებლობა. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2013.
6. მილორდ სიჭინავა. ეკონომიკსის პროპედექტიკა. ჟურნ.: „ბიზნესი და ეკონომიკა“, №3, 2011.
7. მერაბ გველესიანი. რა არის ეკონომიკური პოლიტიკა. თბ., „კომენტარი“, 2008.
8. შოთა ვეშაპიძე, კაცობრიული ღირებულებები და ეკონომიკის ღირებულებითი ორიენტირები. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“, www.nplg.gov.ge.
9. Пол А. Самуельсон, Вильям. Д. Нордхаус. Экономика. Лаборатория базовых знаний, Москва, 2011.
10. Вальтер Ойкен. Основные принципы экономической политики. Издательство «Прогресс», «Универс». Москва, 1995.
11. მერაბ გველესიანი. რა არის მარკეტინგი. თბ., „კომენტარი“, 2011.
12. გარი არმსტრონგი, ფილიპ კოტლერი. მარკეტინგის საფუძვლები. თბ., 2007.
13. Кемпбелл Р. Макконнелл, Стенли Л. Брю. Экономикс. Принципы, проблемы и политика. Тринадцатое издание. Москва, ИНФРА – Л., 2001.
14. Джон Кеннет Гелбрейт. Экономика невинного обмана. Правила нашего времени. Москва, Изд. «Европа», 2009.

ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების მიზნები და მიმართულებები

უმუშევრობა საქართველოში

ლეო ჩიქავა, *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

იმ მტკივნეულ გლობალურ პრობლემებს შორის, რომლებიც დღეისთვის კაცობრიობას აღელვებს, ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უმუშევრობას უკავია. გაეროს მონაცემებით, უმუშევართა რიცხოვნობამ მსოფლიოში 2012 წელს 197 მლნ კაცს მიაღწია. ამ მხრივ, საზოგადოების ფენებს შორის, ყველაზე ცუდი მდგომარეობა ახალგაზრდებშია, რადგან 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდების 13% დაუსაქმებელია.

უმუშევართა რიცხოვნობის მატება ძირითადად განვითარებად ქვეყნებში შეინიშნება, თუმცა, მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე, დაუსაქმებლად დარჩენილთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა განვითარებულ ქვეყნებშიც. ეს პროცესი ამჟამადაც ინტენსიურად მიმდინარეობს. გაეროს პროგნოზული გათვლებით, უმუშევართა რიცხოვნობა მსოფლიოში 2013 წელს 5,1 ხოლო 2014 წელს დაახლოებით 3 მილიონით მოიმატებს.[1]

როგორც ფაქტობრივ მაჩვენებელთა ანალიზი ცადყოფს, უმუშევრობას მეტ-ნაკლები ზომით ყველა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში აქვს ადგილი, მაგრამ საქართველოსნაირი მაღალი **ნიშნულისათვის არსად მიუღწევია.** მისი დონე, მაგალითად, 2005 წელს შეადგენდა (%-ობით): აზერბაიჯანში 1,4-ს, ბელორუსიაში – 1,7-ს, ტაჯიკეთში – 2,1-ს, ყირგიზეთში – 2,9-ს, მოლდოვაში – 6,6-ს, უკრაინაში – 7-ს, რუსეთში – 7,6-ს, ესტონეთში – 7,9-ს, სომხეთში – 8,1-ს, ლიტვაში – **8,2-ს, ყაზახეთში 8,4-ს, ხოლო საქართ**ველოში – 13,8-ს.[2] ეს თანაფარდობა არსებითად არც შემდგომ წლებში შეცვლილა, რამდენადაც, ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში 2011 წელს 83,1 ათ. კაცით მეტი უმუშევარი იყო, ვინემ 2000 წელს და 15,8 ათასით მეტი, ვინემ 2005 წელს.

უმუშევრობის მხრივ მთლიანად საქართველოსა და მის ცალკეულ რეგიონებში არსებული მდგომარეობა კონცენტრირებულად ასახულია ცხრილ 1-ში.

როგორც ცხრილში მოყვანილი ანალიტიკური მასალიდან ჩანს, ქ. თბილისში 30,1 ათასი კაცით მეტი უმუშევარია, ვინემ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, შიდა და ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, სამცხე-ჯავახეთსა და გურიაში ერთად. ეს, ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში თბილისის მოსახლეობის ერთობ მაღალი ხვედრითი წონის (26% – 2010 წ.) გათვალისწინებით, თითქოს კანონზომიერია, მაგრამ რეალურ ვითარებაზე სრულ სურათს მაინც ვერ იძლევა. საკითხის არსში უფრო სიღრმისეულად გარკვევისათვის მიზანშეწონილია უმუშევრობის დონის რეგიონულ ჭრილში განხილვა. 2011 წლის მონაცემებით, იგი ქ. თბილისში 14,2 პროცენტული პუნქტით მაღალია ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. უმუშევრობის დონე, გარდა ქ. თბილისისა, მხოლოდ აჭარის არ-სა და სამეგრელო-ზემო სვანეთში აღემატება (და ისიც უმნიშვნელოდ – 2,9 და 1,4 პროცენტული პუნქტით) ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს.

რით აიხსნება ქ. თბილისში უმუშევრობის ესოდენ მაღალი დონე? – იგი აიხსნება ქ. თბილისში დასაქმების ყველაზე დაბალი დონით – 2011 წელს 70,7%-ით, მაშინ როცა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი 84,9%-ია, ხოლო ცალკეულ რეგიონებში (კახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, „დანარჩენი რეგიონები“) 90%-ს აღემატება.

რით აიხსნება ქ. თბილისში უმუშევრობის ესოდენ მაღალი დონე? – იგი აიხსნება ქ. თბილისში დასაქმების ყველაზე დაბალი დონით – 2011 წელს 70,7%-ით, მაშინ როცა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი 84,9%-ია, ხოლო ცალკეულ რეგიონებში

[1] იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 იანვარი, 2013 წელი, № 13, გვ. 11.

[2] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2006, თბილისი, 2007, გვ. 322.

(კახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, „დანარჩენი რეგიონები“) 90%-ს აღემატება.

უმუშევრობის დონე, რეგიონთა შორის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და გურიის ნაკრებ (გამსხვილებულ) რეგიონშია ყველაზე დაბალი. ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, სხვაობა შეადგენს 8 პროცენტულ პუნქტს (2011 წ.). ეს მაჩვენებელი საშუალო დონეს ჩამორჩება აგრეთვე კახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონებში, მაგრამ არც ისე საგრძნობლად.

უმუშევრობა და მისი დონე რეგიონულ ჭრილში (2011 წ.)

ცხრილი 1

	რ ე გ ი ო ნ ე ბ ი								
	თბილისი	კახეთი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	აჭარის არ	სამეგრე-ლო-ზემო სვანეთი	იმერეთი*	დანარჩენი რეგიონები2**	საქართველო
სულ აქტიური მოსახლე-ობა (სამუშაო ძალა) (ათ. კაცი)	437,4	195,0	144,1	195,5	189,3	211,0	370,4	216,6	1959,3
სამუშაო ძალა (%)	22,3	9,9	7,3	10,0	9,7	10,9	18,9	11,0	100
უმუშევარი (ათ. კაცი)	128,0	17,4	12,8	18,3	34,0	34,8	34,3	15,4	295,1
უმუშევარი (%)	43,3	5,9	4,3	6,2	11,5	12,0	11,6	5,2	100
უმუშევრობის დონე (%)	29,3	8,9	8,9	9,4	18,0	16,5	9,3	7,1	15,1

*ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევით მიღებული ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე (geostat.ge).

* რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ჩათვლით.

** სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და გურიის ნაერთი.

უმუშევრობის დონემ უკანასკნელ პერიოდში რეგიონულ ჭრილში არაერთგვაროვანი ცვლილებები განიცადა. 2011 წელს, 2006 წელთან შედარებით, გაიზარდა (%-ობით): სამეგრელო-ზემო სვანეთში – 6,4-დან 16,5-მდე (2,6-ჯერ), კახეთში 6,5-დან 8,9-მდე (1,8-ჯერ), ქვემო ქართლში – 8,4-დან 9,4-მდე (1,2-ჯერ), „დანარჩენ რეგიონებში“ - 6,4-დან 7,1-მდე (1,1-ჯერ), ხოლო საქართველოში საშუალოდ – 13,6-დან 15,1-მდე (1,1-ჯერ). ეს მაჩვენებელი ოდნავ შემცირდა თბილისის, შიდა ქართლის, იმერეთისა და აჭარის რეგიონებში. უმუშევრობა ასაკობრივ ჭრილში ასახულია ცხრილ 2-ში.

ცხრილში მოტანილი მონაცემებით, უმუშევართა შორის ჭარბობს 20-24 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფი. მას უახლოვდება 25-29 **წლიანთა ასაკ**ობრივი ჯგუფიც. თუ გამოვრიცხავთ პირველ ასაკობრივ ჯგუფს (15-19), მომდევნო ასაკობრივ ჯგუფებში აშკარად შეიმჩნევა ასეთი ტენდენცია: ასაკის მატებასთან ერთად, მცირდება უმუშევართა შორის მათი ხვედრითი წონა. მაგალითად, 20-24 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წონა აღემატება (პროცენტული **პუნქტობით): 25-29 წლიანები**სას 4,8-ით, 30-34 წლიანებისას – 6,6-ით, 35-39 წლიანებისას – 8,3-ით, 40-44 წლიანებისას – 12,6-ით, **45-49 წლიანებისას – 11,8-ით, 50-54 წლიანებ**ისას – 12,5-ით, 55-59 წლიანებისას – 14,7-ით, 60-64 წლიანებისას – 17,7-ით, ხოლო 65 წელს გადაცილებულთა ჯგუფისას – 19,7-ით.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ გამოიყურება უმუშევრობის დონის მაჩვენებლები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. იგი ყველაზე მაღალი ისევ იმავე – 20-24 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფშია, რომელიც ქვეყნის ერთიან მაჩვენებელს 2,4-ჯერ აღემატება. საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, მკვეთრად მაღალია, აგრეთვე, 15-19 (2,2-ჯერ), 25-29 (1,6-ჯერ) და 30-34 (1,4-ჯერ) წლიანთა ასაკობრივ ჯგუფებში. უმუშევრობის დონე საშუალო მაჩვენებელს აღემატება, მაგრამ მხოლოდ 3,2 **პროცენტული პუნ**ქტით, 35-39 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფშიც. რაც შეეხება უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფებს (40-44,

45-49, 50-54, 55-59, 60-64, 65+), უმუშევრობის დონე მათში, შესაბამის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, საგრძნობლად დაბალია. მაგალითად, 60-64 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში (რომ არაფერი ვთქვათ 65 წელს გადაცილებულებზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, საერთოდ არ უნდა ფიგურირებდნენ უმუშევრებში) უმუშევრობის დონე, საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, 2,7-ჯერ დაბალია.

უმუშევრობა და მისი დონე ასაკობრივ ჭრილში (2011 წ.)*

ცხრილი 2

	მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფები											
	15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60-64	65+	სულ
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) (ათ. კაცი)	50,6	164,4	183,8	195,2	194,1	200,0	224,2	204,5	179,0	136,6	226,8	1959,3
სამუშაო ძალა (%)	2,6	8,6	9,4	10,0	9,9	10,4	11,4	10,4	9,3	6,9	11,6	100
უმუშევარი (ათ. კაცი)	16,9	59,7	45,9	40,5	35,5	22,8	25,2	22,8	16,7	7,6	1,4	295,1
უმუშევარი (%)	5,7	20,3	15,5	13,7	12,0	7,7	8,5	7,8	5,6	2,6	0,6	100
უმუშევრობის დონე (%)	33,4	36,3	25,0	20,8	18,3	11,4	11,2	11,2	9,4	5,5	0,6	15,1

*ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევით მიღებული ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე (geostat.ge)

2011 წლის მონაცემებით, საქართველოში უმუშევართა შორის მამაკაცია 59,3%, ხოლო ქალი – 40,7%. **მამაკაცებში გაცილებით მაღალია უმუშევ**რობის დონეც. იგი შეადგენს 16,7-ს, მაშინ როცა ქალებში შედარებით დაბალია (13,1%). ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ მამაკაცებს უფრო უჭირთ შესაფერისი სამუშაოს შოვნა, ვინემ ქალებს.

ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით უმუშევრობის თაობაზე უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ ცხრილი 3-დან.

2008 წლის ფაქტობრივი მონაცემებით (სამწუხაროდ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მომდევნო წლებში რატომღაც შეწყვიტა ამგვარი მაჩვენებლების გათვლები), უმუშევართა ხვედრითი წონა ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით ასეთ სურათს იძლევა. უმუშევარ მამაკაცთა ხვედრითი წონა ამავე კატეგორიის ქალთა შესაბამის მაჩვენებელს აღემატება (პროცენტული პუნქტობით): პირველ ასაკობრივ ჯგუფში (<20) 2,3-ით, 30-34 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში – 1,8-ით, 60-64 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში – 0,8-ით. პირიქით, უმუშევარ ქალთა ხვედრითი წონა ასევე უმუშევარ მამაკაცთა ხვედრით წონას აღემატებოდა (პროცენტული პუნქტობით): 20-24 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში **0,5-ით, 25-29 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფ**ში – 0,4-ით, 35-39 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში – 2-ით, 40-44 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში – 2,7-ით, 45-49 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში – 0,6-ით, 50-54 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში – 0,2-ით და 55-59 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში – 1,5-ით.

მამაკაცთა უმუშევრობის დონე ქალთა შესაბამის მაჩვენებელს 2008 წელს აღემატებოდა (პროცენტული პუნქტობით): პირველ ასაკობრივ ჯგუფში (<20) **3,2-ით, 45-49 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფ**ში – 0,7-ით, 50-54 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში – 1,8-ით, 60-64 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში – 8,7-ით და 65 წელს გადაცილებულთა ასაკობრივ ჯგუფში – 1,4-ით. პირიქით, ქალთა უმუშევრობის დონე აღემატებოდა მამაკაცთა შესაბამის მაჩვენებელს (პროცენტული პუნქტობით): 20-24 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში **11,1-ით, 25-29 წლიანთა ასა**კობრივ ჯგუფში – **7,1-ით, 30-34 წლიანთა ასაკო**ბრივ ჯგუფში – **0,7-ით, 35-39 წლიანთა ასაკო**ბრივ ჯგუფში – 2,1-ით, 40-44 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში – 3,1-ით და 55-59 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში – 0,7-ით. იკვეთება ასეთი ტენდენცია: მამაკაცთა უმუშევრობის დონე, ასაკობრივ ჯგუფებს შორის, ყველაზე მაღალია **20-24 წლიანთა ასაკო**ბრივ ჯგუფში და ყველაზე დაბალი – 65 წელს გადაცილებულებში, ხოლო ქალთა – გამორჩეულად მაღალი 25-29 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში და დაბალი – 65 წლის ასაკს გადაცილებულებში[1].

[1] ლ. ჩიქავა, დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2012, გვ. 63-65.

უმუშევრები ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით*

ცხრილი 3

	სულ	მათ შორის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით										
		<20	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60-64	65+
სულ ათ. კაცი												
2006	274,5	12,7	47,5	50,4	37,7	33,3	30,8	24,5	19,3	11,3	5,9	1,3
2007	261,0	12,5	45,2	43,2	32,4	28,0	27,4	26,4	19,0	17,2	6,1	3,5
2008	315,8	13,4	57,6	54,6	41,9	32,3	27,3	28,9	26,5	19,6	9,5	4,2
მამაკაცი												
2006	165,4	9,2	27,7	32,3	22,6	18,5	18,1	14,5	10,1	6,6	5,3	0,4
2007	143,7	7,0	24,4	23,6	18,4	15,7	14,1	14,1	10,1	9,2	4,8	2,3
2008	172,4	9,2	31,1	29,5	24,3	16,0	12,8	15,4	14,4	9,6	7,4	2,9
ქალი												
2006	109,1	3,5	19,8	18,1	15,1	14,7	12,6	10,0	9,2	4.6	0,6	0,8
2007	117,3	5,5	20,8	19,6	14,0	12,4	13,4	12,3	8,9	8,0	1,4	1,2
2008	143,4	4,2	26,5	25,1	17,6	16,3	14,5	13,6	12,1	10,1	2,1	1,3
ხვედრითი წონა, %												
სულ												
2006	100	4,6	17,3	18,4	13,7	12,1	11,2	8,9	7,0	4,1	2,1	0,5
2007	100	4,8	17,3	16,6	12,4	10,7	10,5	10,1	7,3	6,6	2,3	1,3
2008	100	4,2	18,2	17,3	13,3	10,2	8,7	9,2	8,4	6,2	3,0	1,3
მამაკაცი												
2006	100	5,6	16,7	19,5	13,7	11,2	11,0	8,8	6,1	4,0	3,2	0,3
2007	100	4,9	17,0	16,4	12,8	10,9	9,8	9,8	7,1	6,4	3,3	1,6
2008	100	5,3	18,0	17,1	14,1	9,3	7,4	8,9	8,3	5,5	4,3	1,7
ქალი												
2006	100	3,2	18,1	16,6	13,8	13,5	11,6	9,2	8,4	4,3	0,6	0,8
2007	100	4,7	17,7	16,7	11,9	10,5	11,4	10,5	7,6	6,9	1,2	1,0
2008	100	3,0	18,5	17,5	12,3	11,3	10,1	9,5	8,5	7,0	1,5	0,9

** შრომის ბაზარი საქართველოში – 2009. სტატისტიკური პუბლიკაცია. შემდგენლები: ი. გვილავა, თ. ბერბიჭაშვილი, ი. ხოსიშვილი, თ. ღონღაძე, ლ. ქურხული. რედაქტორი გ. ფანცულაია, 2009, გვ. 28.*

ამ მოვლენას ასაკობრივი დაყოფის გარეშე თუ განვიხილავთ, დავინახავთ, რომ სქესობრივი ნიშნით უმუშევრობის დონემ 2000-2011 წლებში ასეთი ცვლილება განიცადა. იგი გაიზარდა მამაკაცთა შორის 11%-დან 16,7%-მდე, ხოლო ქალთა შორის – 9,7%-დან 13,1%-მდე.

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ აქედან? – ჯერ ერთი, აშკარაა ამ ნეგატიური სოციალური მოვლენის ქრონიკული ხასიათი და ზრდის ტენდენცია (უმუშევრობის დონე მამაკაცებში თითქმის 3-ჯერ **უფრო სწრაფად მატულობს, ვინემ ქალებში**); მეორე, გამოკვეთილია მამაკაცთა უმუშევრობის უფრო ფართო მასშტაბები; და მესამე, სქესობრივი ნიშნით უმუშევრობის დონეთა შორის თანაფარდობა არასტაბილურია – სხვაობა იყო 1,3 და გახდა 3,6 პროცენტული პუნქტი.

უმუშევრობა და მისი დონე ქალაქი–სოფლის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილ 4-ში.

ცხრილის მონაცემებიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები:

– უმუშევრობა, უპირველეს ყოვლისა და მნიშვნელოვანწილად, ქალაქის მოსახლეობისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. 2011 წელს ქალაქელ უმუშევართა ხვედრითი წონა შეადგენდა 75,3%-ს, ხოლო სოფლელი უმუშევრებისა – 24,7%-ს. 2002 წელთან შედარებით, 2011 წელს ეს თანაფარდობა

რამდენადმე შეიცვალა, რაც გამოიხატა იმაში, რომ ქალაქელ უმუშევართა ხვედრითი წონა 7,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო სოფლელი უმუშევრებისა – ამდენითვე გაიზარდა, მაგრამ ის დასკვნა, რომ უმუშევრობა ძირითადად ქალაქის მოსახლეობისათვის დამახასიათებელი პრობლემაა, ეჭვს არ იწვევს;

– უმუშევრობა მატულობს როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობაში (თუმცა სოფელში უფრო სწრაფი ტემპებით, ვინემ ქალაქში) და აშკარად ქრონიკული ხასიათის მატარებელი ხდება;

– უმუშევრობის დონე გაცილებით მაღალია (4-ჯერ – 2011 წ.) ქალაქის მოსახლეობაში, ვინემ სოფლის მოსახლეობაში. ეს თანაფარდობა, 2002 წლის მაჩვენებელთან შედარებით, გარკვეული ზომით გაუმჯობესებულია (მაშინ ქალაქის მოსახლეობის უმუშევრობის დონე 6,2-ჯერ აღემატებოდა სოფლის მოსახლეობის შესაბამის მაჩვენებელს), მაგრამ სხვაობა მაინც დიდია. ამის მიზეზები, ბევრ სხვა გარემოებასთან ერთად, სოფელში ფაქტიურად უმუშევართა მნიშვნელოვანი ნაწილის, სრულიად გაუმართლებლად, დასაქმებულთა კატეგორიისადმი მიკუთვნებაში უნდა ვეძიოთ;

– უმუშევრობის დონე მატულობს როგორც ქალაქში, ისე სოფლად. მაგალითად, 2002-2011 წლებში იგი გაიზარდა ქალაქში 24,2-დან 26,5%-მდე, ხოლო სოფელში – 3,9-დან 6,5%-მდე;

– ქალაქის მოსახლეობის უმუშევრობის დონე ქვეყნის შესაბამის საშუალო მაჩვენებელს აღემატება (11,4 პროცენტული პუნქტით – 2011 წ.), ხოლო სოფლის მოსახლეობისა ამ მაჩვენებელზე ნაკლებია (8,6 პროცენტული პუნქტით – 2011 წ.).

უმუშევრობა და მისი დონე ქალაქ-სოფლის მიხედვით*

ცხრილი 4

	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
ს უ ლ										
აქტიური მოსახლეობა (ათ. კაცი)	2104,2	2050,8	2041,0	2023,9	2021,8	1965,3	1917,8	1991,8	1944,9	1959,3
უმუშევარი (ათ. კაცი)	265,0	235,9	257,6	279,3	274,5	261,0	315,8	335,6	316,9	295,1
უმუშევრობის დონე (%)	12,6	11,5	12,6	13,8	13,6	13,3	16,5	16,9	16,3	15,1
ქ ა ლ ა ქ ი										
აქტიური მოსახლეობა (ათ. კაცი)	902,5	846,2	855,1	839,6	831,9	839,2	828,2	857,0	847,8	839,5
უმუშევარი (ათ. კაცი)	218,7	186,8	207,4	220,6	216,8	200,7	239,0	247,0	230,6	222,1
უმუშევრობის დონე (%)	24,2	22,1	24,3	26,3	26,1	23,9	28,9	28,8	27,2	26,5
ს ო ფ ე ლ ი										
აქტიური მოსახლეობა (ათ. კაცი)	1201,7	1204,6	1185,9	1184,3	1189,8	1126,1	1089,6	1134,8	1097,1	1119,8
უმუშევარი (ათ. კაცი)	46,3	49,1	50,2	58,7	57,7	60,3	76,9	88,6	86,3	73,0
უმუშევრობის დონე (%)	3,9	4,1	4,2	5,0	4,8	5,4	7,1	7,8	7,9	6,5

** ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევით მიღებული ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე (გეოსტატ.გე).*

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ უმუშევრობის დონის შესაძლო მინიმუმამდე დაყვანისთვის სამთავრობო ღონისძიებანი, პირველ რიგში და მნიშვნელოვანწილად, ქალაქის მოსახლეობისკენ უნდა იქნეს მიმართული.

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს უმუშევართა განათლების დონისა და დინამიკის შესწავლას, მით უმეტეს, მამაკაცებისა და ქალების მიხედვით ცალ-ცალკე. ამის გარეშე შეუძლებელია მიზანმიმართული ზრუნვა თითოეული უმუშევრის განათლების დონის შესაბამისი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. ამ მხრივ საქართველოში არსებული ვითარება ასახულია ცხრილ 5-ში.

ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზიდან

გამომდინარე, ძირითადი დასკვნები ასეთია:

– სქესობრივი დაყოფის გარეშე, შრომის ბაზარზე მიმდინარე პროცესები გვიჩვენებს, რომ სისტემატურად მატულობს უმაღლესი, საბაზო, საშუალო და საშუალო პროფესიული განათლების მქონე უმუშევართა რიცხოვნობა, ხოლო კლებულობს დაწყებითი და დაწყებით-პროფესიული, სახელობო განათლების მქონე უმუშევართა რიცხოვნობა;

უმუშევრები განათლების დონისა და სქესის მიხედვით[1]

ცხრილი 5

	სულ ათ. კაცი	მ ა თ შ ო რ ი ს					
		დაწყებითი	საბაზო	საშუალო	დაწყებითი პროფესიული, სახელობო	საშუალო პროფესიული	უმაღლესი
სულ							
2003	235,9	0,9	9,1	83,4	17,5	32,5	91,2
2006	274,5	1,3	12,8	86,8	19,6	44,4	109,6
2007	261,0	0,4	12,9	83,0	10,1	44,0	110,5
2008	315,6	0,5	14,0	112,0	8,8	56,4	123,8
მამაკაცი							
2003	124,2	0,8	5,1	48,5	8,5	15,0	45,4
2006	165,4	0,9	8,5	61,6	10,2	19,6	64,5
2007	143,7	0,1	8,2	53,6	5,5	17,9	58,4
2008	172,4	0,4	10,1	74,8	4,9	21,4	60,7
ქალი							
2003	111,7	0,1	4,0	34,9	9,0	17,6	45,8
2006	109,1	0,4	4,3	25,2	9,4	24,7	45,1
2007	117,3	0,3	4,7	29,4	4,6	26,1	52,1
2008	143,4	0,2	4,0	37,2	3,9	35,0	63,1
ხვედრითი წონა, %							
სულ							
2003	100	0,4	3,7	34,3	7,2	16,3	37,5
2006	100	0,5	4,7	31,6	7,1	16,2	39,9
2007	100	0,2	4,9	31,8	3,9	16,9	42,4
2008	100	0,2	4,4	35,5	2,8	17,9	39,2
მამაკაცი							
2003	100	0,6	4,1	39,0	6,8	12,1	36,6
2006	100	0,5	5,2	37,3	6,2	11,9	39,0
2007	100	0,1	5,7	37,3	3,8	12,4	40,6
2008	100	0,2	5,8	43,4	2,9	12,4	35,2
ქალი							
2003	100	0,1	3,6	31,2	8,1	15,8	41,0
2006	100	0,4	4,0	23,1	8,6	22,6	41,3
2007	100	0,3	4,0	25,1	3,9	22,3	44,4
2008	100	0,1	2,8	25,9	2,7	24,4	44,0

[1]შრომის ბაზარი საქართველოში 2003–2005. სტატისტიკური პუბლიკაცია. გამოცემაზე მუშაობდნენ: პ. შავიშვილი, ნ.ორმოცაძე, ი.გვილავა, ნ.ხუჯაძე, დ.გრიგალაშვილი, ე.ნაცვლიშვილი, თ.ბერბიჭაშვილი. რედაქტორი გ.ყაველაშვილი, თბილისი, 2006, გვ.29; შრომის ბაზარი საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. შემდგენლები: ი.გვილავა, თ.ბერბიჭაშვილი, ი.ხოსისშვილი, თ. ღონღაძე, ლ. ქურხული. რედაქტორი გ.ფანცულაია, თბილისი, 2009, გვ. 29.

– უმაღლესი განათლების მქონე უმუშევართა რიცხოვნობის ზრდის საერთო კანონზომიერება ზოგიერთ წელს ირღვევა მამაკაცებში, ქალებში კი ძალიან მყარად და სტაბილურად გამოიყურება. ეს ეხება საშუალო და საშუალო პროფესიული განათლების მქონე უმუშევართა რიცხოვნობასაც;

– უმუშევართა შორის უმაღლესი განათლების მქონეთა ხვედრითი წონა, მამაკაცებთან შედარებით, გაცილებით მაღალია ქალებში;

– უმუშევართა შორის როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში დაწყებითი განათლების მქონეთა ხვედრითი წონა უმნიშვნელოა – ერთ პროცენტსაც ვერ აღწევს;

– უმუშევარ მამაკაცთა შორის უმაღლესი განათლების მქონეთა ხვედრით წონას მკვეთრად სჭარბობს საშუალო განათლების მქონეთა ხვედრითი წონა, უმუშევარ ქალთა შორის კი, პირიქით, უმაღლესი განათლების მქონეთა ხვედრითი წონა ბევრად სჭარბობს საშუალო განათლების მქონეთა ხვედრით წონას;

– საშუალო პროფესიული განათლების მქონე უმუშევარ ქალთა ხვედრითი წონა მკვეთრად აღემატება ასეთივე განათლების მქონე უმუშევარ მამაკაცთა ხვედრით წონას.

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე შრომის ბაზრის თავისებურებებთან დაკავშირებით, მინდა გავაკეთო საერთო ხასიათის ორი მნიშვნელოვანი დასკვნა. პირველი ეხება უმუშევართა არმიის თანდათანობით უფრო მაღალკვალიფიციური კადრებით შევსებას, ხოლო მეორე – **უმუშევარი (და საერთოდაც) მამაკაცებისა** და ქალების განათლების დონეთა **გამოთანაბრებას**. აღსანიშნავია ისიც, რომ რაც უფრო მაღალკვალიფიციურია უმუშევართა შემადგენლობა, მით უფრო იზრდება მოთხოვნა შესაფერის (მაღალანაზღაურებად) სამუშაო ადგილებზე, რაც, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, მნიშვნელოვან სირთულეებს უქმნის უმუშევრობის პრობლემის გადაჭრას.

დასაქმებისა და უმუშევრობის თაობაზე ზემოთ გაკეთებული დასკვნები ემყარება ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემებს, რომელიც ყოველთვის როდია სარწმუნო და დამაჯერებელი. ამასთან დაკავშირებით მინდა გავაკეთო ზოგიერთი კრიტიკული ხასიათის შენიშვნა.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ დასაქმების დონის მაჩვენებელი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით 2011 წელს შეადგენდა: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის **გათვლებით 55,4%-ს, ხოლო ჩემი გათ**ვლებით – 84,9%-ს. რითაა განპირობებული ასეთი მკვეთრი სხვაობა? იგი განპირობებულია იმით, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გათვლები ემყარება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ **შემოთავაზებულ, ჩემი აზრით, არასრულყო**ფილ მეთოდიკას, რომლის მიხედვითაც დასაქმების დონეს ანგარიშობენ ასეთნაირად: დასაქმებულთა რიცხოვნობას ყოფენ 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის **რიცხოვნობაზე და გამოხატავენ პრო**ცენტებში. **2011 წელს ქვეყნის მასშტაბით 15 წლ**ისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენდა 3005,2 ათ. კაცს, ხოლო ფაქტიურად დასაქმებულთა რიცხოვნობა – 1664,2 ათ. კაცს. ამიტომ, ზემოაღნიშნული მეთოდიკით გათვლების შედეგად, დასაქმების დონე გამოვიდა 55,4%.

არსებობის **უფლება, რა თქმა უნდა, ამ მაჩვენებ**ელსაც აქვს, მაგრამ რეალურ ვითარებას მხოლოდ მიახლოებით ასახავს და არსებითად მოკლებულია პრაქტიკულ **გამოყენებას. მის მნიშვნელობას აბუნ**დოვანებს და აფერმკრთალებს დასაქმებულთა რიცხოვნობის შეფარდება 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის **რიცხოვნობასთან, ნაცვლად ეკონომი**კურად აქტიური მოსახლეობის, ანუ სამუშაო ძალის რიცხოვნობისა, რომელიც 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის არააქტიურ ნაწილს, ანუ მოსახლეობას სამუშაო ძალის გარეთ, არ მოიცავს.

სწავლულ **ეკონომისტთა და სტატისტიკური აღ**რიცხვის **სფეროს სპეციალისტთა შორის ერთსუ**ლოვნებაა **იმის გაგებაში, რომ ეკონომიკურად აქტი**ური **მოსახლეობა შედგება დასაქმებულებისა და უმ**უშევრებისგან. ამიტომ მათმა ერთობლივმა სიდიდემ **უნდა შეადგინოს 100%. საქართველოს სტატისტი**კის ეროვნული სამსახურის გათვლებით, 2011 წელს ამ ორი კომპონენტის ჯამმა შეადგინა (%-ობით): საქართველოში მთლიანად 70,2, მ.შ. თბილისში – 68,0, კახეთში – 72,9, შიდა ქართლში – 73,3, ქვემო **ქართლში – 67,6, აჭარის ავტონომიურ რე**სპუბლიკაში – 72,8, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 75,5, **იმერეთში – 72,5, ხოლო „დანარჩენ რეგიონ**ებში“ - 72,7.[11] ჩემი გათვლებით, ეს მაჩვენებელი (დასაქმებულთა და უმუშევართა ჯამი), როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე ცალკეული რეგიონების მიხედვით, 100%-ს უდრის და ნათლად გვიჩვენებს იმას, **ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერ**თო რიცხოვნობის რამდენი პროცენტია ფაქტიურად დასაქმებული და რამდენი – უმუშევარი.

აი, რატომ მიმაჩნია უფრო გამართლებულად დასაქმების დონის გაანგარიშება სრული შრომისუნარიანი **ასაკის ფაქტიურად დასაქმებულთა რიცხოვნო**ბის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალის) **რიცხოვნობასთან შეფარდებით (გამოხატ**ული პროცენტებში). რაც შეეხება დასაქმებულთა

[1] გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე (geostat.ge).

რიცხოვნობის 15 **წლისა და უფროსი ასაკის მოსახ-**ლეობის საერთო რიცხოვნობასთან შეფარდებით გაანგარიშებულ **მაჩვენებელს, იგი შეიძლება გამოყ-**ენებულ იქნეს დამატებითი მაჩვენებლის სახით. ამით შეიძლება ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნას იმაზე, **თუ სრულწლოვანთა რა ნაწილია დასაქმე-**ბული როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე რეგიონების მიხედვით და მიღებული შედეგები გამოვიყენოთ მათ ურთიერთშესადარებლად, და გამოიყენება კიდეც.

ახლა შევეხოთ უმუშევრობის მასშტაბებისა და დონის ამსახველ მაჩვენებლებს. ამ სფეროში ჩემი კრიტიკული შენიშვნები ასეთია:

– საქართველოს სოფლის მეურნეობაში თვით-დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მით უმეტეს, ოჯახურ საწარმოში (მამულში) უსასყიდლოდ მო-მუშავე და ახლობლისთვის უსასყიდლოდ დამხმარე პირები, რომლებიც, არასრულყოფილი მეთოდიკით სარგებლობის გამო, არასწორად იქნენ ჩათვლილი დასაქმებულებად, უმუშევართა რიგებში უნდა მოხვე-დრილიყვნენ, მაგრამ ვერ მოხვდნენ. მათი უმუშევრად ჩათვლის შემთხვევაში, ამ კატეგორიის უმუშევართა საერთო რიცხოვნობა თითქმის გაორმაგდებოდა;

– როგორც ცნობილია, სტატისტიკის ეროვნუ-ლი სამსახური, შრომის საერთაშორისო ორგანიზა-ციის რეკომენდაციით, უმუშევრებს აღრიცხავდა ე.წ. მკაცრი და შერბილებული კრიტერიუმებით. მკაცრი კრიტერიუმით უმუშევრებად ითვლებიან მხოლოდ ის შრომისუნარიანი პირები, რომლებიც, მათგან დამოუ-კიდებელი მიზეზების გამო, არ მუშაობენ, მაგრამ აქტიურად ეძებენ სამუშაოს, მზად არიან მუშაო-ბისთვის და სასურველი სამუშაოს შოვნისთანავე შეუძლიათ შეუდგნენ მის შესრულებას. შერბილე-ბული კრიტერიუმით კი, უმუშევრებად ითვლებიან არა მარტო ის შრომისუნარიანი პირები, რომლებიც, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ მუშაო-ბენ, მაგრამ აქტიურად ეძებენ მას, არამედ ისინიც, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ეძებდნენ სა-მუშაოს, ვერ იპოვეს იგი და, ამ უშედეგო პროცესის მობეზრების შედეგად, უკვე არ აქტიურობენ დასა-ქმებაზე.

დაახლოებით ოთხი წელიწადია, რაც, გაურკვეველი მიზეზების გამო, შეწყვიტა საქართველოს სტა-ტისტიკის ეროვნულმა სამსახურმა შერბილებული კრიტერიუმით განსაზღვრულ უმუშევართა აღრიცხ-ვა. მათი რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით, მაგალითად, 2005 წელს 56,2 ათ. კაცს შეადგენდა.[1] უმუშევრობის ეს ფორმა ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია „ჩახშობილი უმუშევრობის“ სახელწოდებით.

მიუხედავად იმისა, რომ უმუშევართა არ-მიის ამ ტიპურ (კლასიკურ) წარმომადგენელთა შემადგენლობა დღეისთვის კიდევ უფრო გაზრდილია (ზუსტი ოდენობის დადგენა შეუძლებელია, რამეთუ სრულიად მოშლილია ამ კატეგორიის უმუშევართა აღრიცხვის სისტემა), იგი არაა შეტანილი უმუშე-ვართა შემადგენლობაში, რაც ხელოვნურად ამცი-რებს ამ მაჩვენებელს;

– XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩვენს ქვეყ-ანაში მიმდინარე გარდაქმნების კვალობაზე ბევრ-მა საწარმომ ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვიტა ფუნქციონირება, მაგრამ პერსონალი უმეტესობაში, როგორც წესი, ოფიციალურად არ განთავისუფ-ლებულა, ითვლება დასაქმებულად, თანამშრომლები იმყოფებიან უვადო და უხელფასო შვებულებაში. ე.ი. ისინი ფორმალურად დასაქმებულები, ფაქტიურად კი უმუშევრები არიან. უმუშევრობის ეს ფორმა ეკო-ნომიკურ მეცნიერებაში ცნობილია ფარული უმუშე-ვრობის სახელწოდებით. სრული შრომისუნარიანი ასაკის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის არც ეს ნაწილია შესული უმუშევრობის ზემოთ დასახე-ლებულ მაჩვენებლებში;

– უმუშევრობის ერთ-ერთი ფორმაა სეზონური უმუშევრობა. მას ადგილი აქვს ე.წ. სეზონურ დარგებში (ჩაისა და ღვინის პირველადი დამუშავების მრეწველობა, ხილბოსტნეულის კონსერვის მრეწველობა და სხვ.), რომლებიც წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე თვე ფუნქციონირებენ და შემდეგ, ახალი სეზონის დაწყებამდე, არსებითად წყვეტენ მუშაობას. ცხადია, სეზონთაშორის პერიოდში თანა-მშრომლები (ყოველ შემთხვევაში, მათი უმრავ-ლესობა მაინც) უმუშევრებად რჩებიან. იმის გამო, რომ ფორმალურად დასაქმებულებად ითვლებიან, არც ისინი აღირიცხებიან უმუშევრებში;

– ოფიციალური აღრიცხვის მონაცემებით, საქარ-თველოში 2000 წელს დასაქმებული იყო 1837,2 ათ., ხოლო 2011 წელს – 1664,2 ათ. კაცი, ანუ 173 ათ. კაცით ნაკლები. ამავე პერიოდში უმუშევართა რაოდენობა მხოლოდ 83 ათ. კაცით გაიზარდა. ბუ-ნებრივია, ისმის კითხვა: სად წავიდნენ დანარჩენი სამუშაოდან გამოთავისუფლებულები? რამდენადაც აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის არც გარე მიგრა-ციაში და არც ბუნებრივ მოძრაობაში მომხდარა მკვეთრი ცვლილებები, ადამიანთა ეს კატეგორია, თუ მთლიანად არა, ძირითადად მაინც უმუშევრებს უნდა დამატებოდა, მაგრამ ეს არ ჩანს, რაც უმუშევართა საერთო რაოდენობას ხელოვნურად ამცირებს;

– უმუშევრობის მიმდინარე ოფიციალური აღრიცხ-

[1] შრომის ბაზარი საქართველოში 2003-2005. სტატისტი-კური პუბლიკაცია. გამოცემაზე მუშაობდნენ: პ. შავიშვი-ლი, ნ. ორმოცაძე, ი. გვილავა, ნ. ხუჯაძე, დ. გრიგალა-შვილი, ე. ნაცვლიშვილი, თ. ბერბიჭაშვილი. რედაქტორი გ. ყაველაშვილი, თბილისი, 2006, გვ. 15.

ვის მონაცემებში ერთგვარი ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა მისი საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგებთან შედარებაც. 2002 წელს, აღწერის მიხედვით, რომელიც ემყარება რესპონდენტთა გამოკითხვის ანკეტურ მონაცემებს და გაცილებით საიმედოა, ქვეყნის მასშტაბით უმუშევართა რიცხოვნობა 619 ათ. კაცს და უმუშევრობის დონე 33 პროცენტს შეადგენდა,[1] ხოლო მიმდინარე აღრიცხვის მონაცემებით, რომელიც ემყარება შინამეურნეობათა სტატისტიკური შერჩევითი გამოკვლევის შედეგებს და ნაკლებად სარწმუნოა, უმუშევართა რიცხოვნობა 265 ათ. კაცს და უმუშევრობის დონე 12,6%-ს არ აღემატებოდა. ესოდენ სოლიდური სხვაობა – 354 ათ. კაცი და 20,4 პროცენტული პუნქტი უკანასკნელი წლების მაჩვენებელთა მიმართაც გვიძლიერებს ეჭვს;

– ფრიად ანგარიშგასაწევია პროფ. ი. არჩვაძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „აუცილებელია ქვეყნის ტერიტორიაზე უმუშევართა კონტინგენტს დაემატოს ქვეყნიდან გასულ შრომით მიგრანტთა რაოდენობაც, ...ვინაიდან ეს უკანასკნელნი იმიტომ გახდნენ მიგრანტები, რომ საქართველოში ვერ იშოვეს სამუშაო“. მისი ვარაუდით, ამ კატეგორიის უმუშევართა რიცხოვნობა 800 ათ. კაცს შეადგენს.[2]

შეიძლება ამ მაჩვენებლის რაოდენობრივ ასპექტებზე ვიკამათოთ, მაგრამ პრინციპში თვით საკითხის ასეთი კუთხით დასმა მართებული და საგულისხმოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტული შეფასებით, უმუშევრობის დონე საქართველოში დღეისთვის არანაკლებ 40-45%-ს შეადგენს.[3]

ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2006, თბილისი, 2007.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.
3. შრომის ბაზარი საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. შემდგენლები: ი. გვილავა, თ. ბერბიჭაშვილი, ი. ხოსისშვილი, თ. ღონღაძე, ლ. ქურხული. რედაქტორი გ. ფანცულაია, თბილისი, 2009.
4. ლ. ჩიქავა, დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2012.
5. შრომის ბაზარი საქართველოში 2003-2005. სტატისტიკური პუბლიკაცია. გამოცემაზე მუშაობდნენ: პ. შავიშვილი, ნ. ორმოცაძე, ი. გვილავა, ნ. ხუჯაძე, დ. გრიგალაშვილი, ე. ნაცვლიშვილი, თ. ბერბიჭაშვილი. რედაქტორი გ. ყაველაშვილი, თბილისი, 2006.
6. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტომი III, ნაწილი I. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება, თბილისი, 2004.
7. ი. არჩვაძე, საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი. ჟურნ. **„სოციალური ეკონომიკა“**, 2010, №1.

[1] იხ. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტომი III, ნაწილი I. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება, თბილისი, 2004, გვ. 387.

[2] ი. არჩვაძე, საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2010, №1.

[3] იხ. ლ. ჩიქავა, დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2012, გვ. 70-72.

***Leo Chikava**, Corresponding Member of the Georgian National Academy of Sciences,*
Doctor of Science in Economics, Professor

Unemployment in Georgia

SUMMARY

Unemployment represents an acute social problem of global nature. Currently the number of unemployed people approximately reaches 200 million people in the world and is characterized by growth tendency. The present paper analyzes the difficult situation caused by unemployment in Georgia in regional, gender, age, and urban-rural context. The paper proposes a number of critical comments, which elicit some deficiencies of Interantional Labor Organization's methodology of employment and uemployment rates calculation. Based on such critical approach to this problem, the author concludes that, currently, the real unemployment rate in Georgia almost three times exceeds the official rates provided by National Statistics Office.

The article offers a proposal for calculating of the employment level as the ratio between the number of actually employed persons and the number of economically active population [labor force], instead of using the number of 15-years-old and older population. The latter approach is currently practiced by the National Statistics Office.

„მენეჯმენტი“ როგორც მეცნიერება და ხელოვნება

ნუნუ გიგაური, *ეკონომიკის დოქტორი*

„მენეჯმენტი“ (ინგლ. management) ამერიკული წარმოშობისაა და განისაზღვრება, როგორც მართვა. „მენეჯმენტის“ ასეთი განსაზღვრა მის მნიშვნელობას არსებითად არ გვიჩვენებს, ვინაიდან ეკონომიკურ სისტემებში ხელმძღვანელობასაც და მართვასაც აქვს კონკრეტული სახე, რომელიც განსაზღვრავს მუშაკთა კატეგორიებს – „ხელმძღვანელი“ და „მმართველი“.

პრაქტიკაში „ხელმძღვანელში“ გულისხმობენ პირველ პირს, რომელიც აყალიბებს მიზანს, იღებს გადაწყვეტილებას და მის რეალიზაციაზე სრულ პასუხისმგებლობას კისრულობს. მმართველი – ესაა მენეჯერი, რომელიც ვალდებულია შეასრულოს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და პასუხისმგებლობას იღებს მის შესრულებაზე მისთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში.

„ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონში“ „მენეჯმენტი“ დახასიათებულია, როგორც ადამიანებთან ურთიერთობის მართვის ხელოვნება და განსაკუთრებული სახის ცოდნა.

„რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში“ „მენეჯმენტი“ განსაზღვრულია, როგორც ინტელექტუალური, ფინანსური, მატერიალური რესურსებით მართვის ხელოვნება.

მოტანილი განსაზღვრებიდან ჩანს, რომ მენეჯმენტი – ეს ერთდროულად მეცნიერებაცაა და ხელოვნებაც. სახელმძღვანელოში „მენეჯმენტი“ დასაბუთებულია, რომ ის არის „დამოუკიდებელი ცოდნის სფერო, უფრო სწორად კი დისციპლინათა შორისი სფერო. უკეთესი იქნებოდა გვეწოდებინა მეცნიერება, რომელიც თავისთავში შეათავსებს გამოცდილებას, ნოუ-ჰაუს, გამრავლებულს მმართველობით ხელოვნებაზე“.

მენეჯმენტის, როგორც მეცნიერების, დასასაბუთებლად გამოდგება შემდეგი მოსაზრებები: *მართვა – ეს მეცნიერებაა,* რომელსაც გააჩნია თავისი საგანი, კაცობრიობის დაგროვილი ცოდნის ჯამი, წარმოდგენილი სხვადასხვა კონცეფციით. მენეჯმენტის როგორც ნებისმიერ სხვა მეცნიერებას, აქვს თავისი პრინციპები და მათი გადაჭრის მეთოდები. როგორც *მეცნიერება,* მენეჯმენტი ხსნის მმართველობითი შრომის ბუნებას, მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ადამიანთა ერთობლივი შრომის ფაქტორებს და პირობებს; სწავლობს ეკონომიკურ ურთიერთობებს წარმოების, განაწილების და გაცვლის სფეროში და ემყარება ეკონომიკური კანონების და კანონზომიერებების შემეცნებას გამოყენებას.

როგორც *ხელოვნება,* მენეჯმენტი დამყარებულია საორგანიზაციო სისტემის აღრიცხვის თავისებურებებზე, აგრეთვე ყოველი ადამიანის პიროვნების, ადამიანთა ჯგუფის სპეციფიკაზე, რომლებიც ამ ორგანიზაციას შეადგენს. ნებისმიერი საორგანიზაციო სისტემა – ეს, როგორც წესი, რთული ღია სისტემაა, რომლის ფუნქციონირებაზე გავლენას ახდენს გარემოს ეგზოგენური და ენდოგენური მრავალი ფაქტორი. ასეთ პირობებში არათუ ყოველ ადამიანს, პროფესიულად მომზადებულსაც კი არ ძალუძს, მართოს სხვა ადამიანთა საქმიანობა, ოპერატიულად და ეფექტიანად მიიღოს საჭირო გადაწყვეტილება, იკისროს პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილებაზე და მოახდინოს მისი განხორციელება. სწორედ ამ უკანასკნელში მდგომარეობს მენეჯმენტის, როგორც ხელოვნების, არსი.

მენეჯერი უნდა ემყარებოდეს მართვის მეცნიერებას და ხელოვნებას, აერთიანებდეს მათ ერთიან მმართველობით პროცესს. ამისათვის აუცილებელია ხარისხობრივად ახალი სპეციალისტი – მენეჯერი, რომელსაც უნარი ექნება, გააერთიანოს ერთიან მოქმედებაში მუდმივად შევსებადი სამეცნიერო ცოდნა და პირადი თვისებები, მდიდარი გამოცდილებით თავისი პროფესიული საქმიანობის სფეროში დაგროვილი ცოდნის საფუძველზე.

მაშ ასე, ეხლა ვცადოთ განზოგადებული განსაზღვრა მივცეთ მენეჯმენტს კულტურის და ხელოვნების დარგში, მასში შემდეგი შინაარსის ჩართვით.

მენეჯმენტი კულტურის და ხელოვნების სფეროში – ეს ცალკეული მაღალინტელექტუალური პიროვნების მიერ საორგანიზაციო სისტემის კომპლექსური მიზანმიმართული ინტელექტუალური და სამეურნეო საქმიანობაა, რომელიც შექმნილია ერთი ან რამდენიმე ასეთი პიროვნების გარშემო წარმოების ფაქტორების (ინტელექტუალური და სხვა სახის შრომა, კაპიტალი, მიწა და ფინანსები) ეფექტიანი გამოყენების მიზნით; ესაა მოღვაწეობა, რომელიც დამყარებულია პრინციპების, ფუნქციების, მეთოდების სისტემაზე და ორგანიზაციის მართვის საორგანიზაციო სტრუქტურაზე, რომელიც სავსებით შეესაბამება მის გარემო პირობებს.

მენეჯმენტი კულტურის და ხელოვნების სფეროში, როგორც ადამიანთა ინტელექტუალური მოღვაწეობის დისციპლინათაშორისი სფერო, ემყარება რამდენიმე კონცეფციას, რომლებიც მოიცავს:

- ოპერაციებით, რაც მენეჯმენტის ინტელექტუალურ და ტექნიკურ ასპექტებს ხსნის ორგანიზაციაში;
- შრომითი ოპერაციების, რაც სოციალურ ასპექტს ხსნის;
- მარკეტინგს, რაც საბაზრო ასპექტს ხსნის;
- კომუნიკაციებს, რაც საინფორმაციო ასპექტს ხსნის;
- საკუთრებას, რაც მენეჯმენტის ქონებრივ ასპექტს ხსნის.

კულტურის და ხელოვნების საორგანიზაციო სისტემებში მენეჯმენტის აღნიშნული ასპექტები სისტემურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება კომპლექსურად. თუმცა საქმიანობის სახის მიხედვით, ორგანიზაციის საკუთრების ფორმების, სამართლებრივი ფორმების აქცენტი მენეჯმენტში შეიძლება გაკეთდეს ჩამოთვლილ კონცეფციათა სხვადასხვა შეხამებაზე.

ობიექტების ხელმძღვანელობის და მართვის სახით მეცნიერება „მენეჯმენტი კულტურის და ხელოვნების სფეროში“ სწავლობს ორგანიზაციულ სისტემებს ინტელექტუალურ სფეროში, რაც ართულებს მენეჯმენტის ზოგიერთ პროცედურას ინტელექტუალური საკუთრების შექმნის გაზრდილი გაურკვევლობის გამო.

მენეჯმენტი, როგორც მეცნიერება, განეკუთვნება ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემას. ამ სისტემაში გამოყოფენ ეკონომიკურ მეცნიერებათა სამ ძირითად ჯგუფს:

- ზოგადი ეკონომიკური მეცნიერებები, რომლებიც სწავლობს საწარმოო ურთიერთობებს ზოგადთეორიული და ისტორიული თვალსაზრისით (ეკონომიკური თეორია, ეკონომიკური ისტორია, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია);
- სპეციალური ეკონომიკური მეცნიერებები, რომლებიც განიხილავს საწარმოო ურთიერთობათა ცალკეულ მხარეებს და ფუნქციებს და მათ არსებით თვისებებს ეკონომიკის ყველა დონეზე (მენეჯმენტი, მარკეტინგი, საბუღალტრო აღრიცხვა და სხვ.);
- დარგობრივი ეკონომიკური დისციპლინები, რომლებიც შეისწავლის საწარმოო ურთიერთობათა თავისებურებებს ეროვნული ეკონომიკის ცალკეულ დარგებსა და ქვედარგებში, აგრეთვე კონკრეტული დარგის (დარგის ეკონომიკა, ფირმის ეკონომიკა) კანონზომიერებებსა და ტენდენციებს.

მენეჯმენტი შეიძლება საჭიროა მივაკუთვნოთ როგორც სპეციალურ, ასევე დარგობრივ ეკონომიკურ მეცნიერებებს. მენეჯმენტი კულტურის და ხელოვნების სფეროში შეისწავლის საწარმოო ურთიერთობების მართვას ინტელექტუალური საკუთრების კვლავწარმოების პროცესში და ამის საფუძველზე იკვლევს ადამიანური კაპიტალის მომზადების შესაძლებლობას. მაღალგანათლებული, კვალიფიციური სამუშაო ძალის მართვა მენეჯმენტის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ამოცანა და მისი უშუალო ფუნქციაა კულტურის და ხელოვნების სფეროში.

ზოგადთეორიული თვალსაზრისით მენეჯმენტი შემდეგ ძირითად ფუნქციებს ასრულებს კულტურის და ხელოვნების სფეროში, რომლებიც საშუალებას იძლევა, უკეთ გავიგოთ ამ დისციპლინის როლი ეკონომიკურ დისციპლინათა საერთო სისტემაში.

1. **სამეცნიერო ფუნქცია**. კულტურის და ხელოვნების სისტემაში სამეურნეო საქმიანობის კანონზომიერებების და ძირითადი ცნებების ჩამოყალიბებისას მენეჯმენტი თეორიულად გაიაზრებს და პრაქტიკულად ითვისებს რთულ პროცესებს, რომლებიც დაკავშირებულია ინტელექტუალური საკუთრების მომ-ზადებასთან, განაწილებასთან და გამოყენებასთან.
2. **შემეცნებითი ფუნქცია**. მენეჯმენტი ავლენს ეკონომიკის მართვის კანონზომიერებებს, განსაზღვრავს სხვადასხვა ეკონომიკური პრო-ცესის რთულ ურთიერთკავშირს კულტურის და ხელოვნების სფეროში.
3. **პროგნოზული ფუნქცია**. გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტში დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ პროგნოზებს და სავარაუდო მაჩვენებლებს (კერძოდ, წარმატების ან წარუმატებლობის განჭვრეტისთვის, ინტელექტუალური მოღვაწეობის სტრუქტურის სრულყოვისათვის).
4. **პრაქტიკული ფუნქცია**. შეიცნობს რა კულტურის და ხელოვნების სისტემაში ეკონომიკური პროცესების განვითარების კანონზომიერებებს, მენეჯმენტი განსაზღვრავს ეკონომიკურ იდეათა, ინოვაციურ ტექნოლოგიათა განხორციელების გზებს.

მენეჯმენტის ძირითად ფუნქციათა რეალიზაცია ხორციელდება ეკონომიკურ, საბუნებისმეტყველო, მათემატიკურ, ტექნიკურ, პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ, იურიდიულ და სოციალურ ცოდნასთან ერთიანობაში.

ამგვარად, მენეჯმენტი პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებელი სახეა, ხოლო მენეჯერი – ამ მოღვაწეობის სუბიექტი, პროფესიონალი მმართველი. მისი საქმიანობის ობიექტია ორგანიზაციის სამეურნეო და ინტელექტუალური მოღვაწეობა მთლიანობაში ან მისი კონკრეტული სფეროში.

„მენეჯერი" კონკრეტული ადამიანის მიმართ გამოხატავს მის კუთვნილებას მმართველის პროფესიისადმი, რომლის უმაღლესი დონეა ხელმძღვანელი. თუმცა, პროფესიონალიზმის ხარისხის და პრაქტიკული ჩვევების მიუხედავად, მენეჯერი უნდა ფლობდეს შემდეგ ფილოსოფიურ-ეთიკურ ინსტრუმენტარიუმს:

1) პატივს სცემდეს ყოველი თანამშრომლის პირად ღირსებას და მიაჩნდეს იგი ხელშეუხებლად;
2) მუდმივად სწავლობდეს ადამიანებს, იცოდეს ორგანიზაციის პერსონალის საჭიროებები და ინტერესები;
3) მიაჩნდეს, რომ პერსონალთან ურთიერთობაში მთავარია – მისი ნდობა;
4) ფიქრობდეს, რომ ადამიანური და საქმიანი წესიერებისთვის გარანტია სამართლიანობა და სინდისია;
5) უნდა შეეძლოს ადამიანთა ინტელექტუალური პოტენციალის გახსნა, რაც მმართველობითი ხელოვნების უმაღლესი მაჩვენებელია;
6) იყოს უწყვეტი სულიერი და პროფესიული სრულყოფის მაგალითი;
7) ეწეოდეს ცხოვრების გონივრულ წესს.

საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ მეწარმისგან განსხვავებით, რომელიც ორგანიზაციის აქტივების მფლობელია, მენეჯერი – მმართველია, რომელმაც გაიარა სპეციალური მომზადება და მი-იღო მმართველის პროფესია, რომლის ძირითადი ფუნქციაა ორგანიზაციის საქმიანობის კოორდინაცია მისი მართვის ყველა დონეზე და ორგანიზაციის პერსონალთან მუშაობა. მენეჯერი დაქირავებული მუშაკია.

ხელოვნების და ჰუმანიტარულ სფეროში მუშაობისას მენეჯერი უნდა ფლობდეს წარმოების და საზოგადოების წევრთა ინტელექტუალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ტექნოლოგიებს საზოგადოების და ადამიანის შესახებ მეცნიერების ცოდნის საფუძველზე.

დღეს კულტურა და ხელოვნება გადაიქცა ეკონომიკური საქმიანობის სფეროდ, რომელიც აწარმოებს მოხმარების – საქონელს და მომსახურებას. კულტურის და ხელოვნების განვითარების თანამედროვე დონე ხასიათდება ეკონომიკური რესურსების – მატერიალური, ფინანსური, შრომითი, მიწის, საინფორმაციო, ინტელექტუალური – გამოყენების აუცილებლობით, რომელთა შორის დიდი წილი უკავია „ცოცხალი შრომის" დანახარჯებს და საშუალებებს მის გადახდაზე. ეს აიხსნება იმით, რომ კულტურული მოღვაწეობის პროდუქტები და მომსახურება იქმნება ცოცხალი, ძირითადად კვალიფიციური და შემოქმედებითი შრომით. ბოლო ხანებში კულტურის სფეროს ახასიათებენ, როგორც ეკონომიკის დარგს, რომელიც იყენებს მატერიალური საშუალებების სულ უფრო მზარდ მოცულობას; იგი აუცილებელია კულტურული პროდუქტების უშუალოდ შესაქმნელად და მათ მოსახმარად, რაც მოიცავს მომსახურების ხარისხს ან შესაძლებელს ხდის სწორედ ასეთი მომსახურების გაწევას. იზრდება მატერიალური საშუალებების როლიც, რომელიც აუცილებელია კულტურის პროდუქტის „არაორგანიზებული" საშინაო მოხმარებისთვის, რომელთა არსებობა მოსახლეობაში საგნობრივი ფორმით წარმოდგენილი კულტურული მოღვაწეობის შედეგების განსაკუთრებული ფორმების სტიმულირებას ახდენს.

კულტურის ცნება საქართველოს საკანონმდებლო საფუძვლების შესაბამისად, კულტურა და ხელოვნება საქმიანობის შემდეგ სახეებს მოიცავს:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, შენახვას, გამოყენებას და პოპულარიზაციას;
- მხატვრულ ლიტერატურას, სცენურ, პლასტიკურ, მუსიკალურ ხელოვნებას, არქიტექტურას და დიზაინს, ფოტოხელოვნებას, ხელოვნების სხვა სახეებს და ჟანრებს; კინემატოგრაფიას და სხვა აუდიოვიზუალურ ხელოვნებას;
- მხატვრულ სახალხო რეწვას და ხელოსნობას, ხალხურ კულტურას (ენას, დიალექტს და კილოკავს, ფოლკლორს, წეს-ჩვეულებებს, ისტორიულ ტოპონიმებს);
- მხატვრული შემოქმედების თვითშემოქმედებას (მოყვარულთა); სამუზეუმო საგნების და კოლექციების, დამწერლობის ძეგლების და სხვა კულტურული ფასეულობების, საარქივო დოკუმენტების შენახვას, შესწავლას და ჩვენებას;
- კულტურული ფასეულობების შეგროვებას;
- საბიბლიოთეკო საქმეს, ბეჭდვითი ნაწარმის შექმნას, მათ გავრცელებას და გამოყენებას;
- ესთეტიკურ და მხატვრულ აღზრდას, განათლებას, პედაგოგიურ საქმიანობას ამ სფეროში;
- სამეცნიერო გამოკვლევებს კულტურის და ხელოვნების სფეროში;
- საერთაშორისო კულტურულ გაცვლას;
- მოღვაწეობას, რომლის შედეგადაც ინახავენ და ითვისებენ კულტურულ ფასეულობებს.

კულტურული მოღვაწეობის შედეგები შეიძლება

არსებობდეს მატერიალურ-ნივთიერი სახით თვით შემქმნელის ცოცხალ მოღვაწეობაშიც, როგორც მომსახურება, რომელიც საბაზრო პირობებში საქონლის ფორმას იღებს. ამასთან, მატერიალურ-ნივთიერი ფორმა დამახასიათებელია კულტურული ფასეულობებისთვის, რომლებიც ხორცშესხმულია – წიგნებში, სურათებში, აუდიო და ვიდეოპროდუქციაში. საჭიროა აღინიშნოს ის საშუალებებიც, რომელთა დახმარებითაც მომხმარებლამდე მიაქვთ კულტურის ნაწარმოები; მათ მიეკუთვნება კვლავწარმოების ყველა ტექნიკური საშუალება: აუდიო და ვიდეოტექნიკა, კინოსაპროექტო მოწყობილობა და ა.შ. კულტურის საშუალებათა შორის საჭიროა გამოვყოთ აუდიოვიზუალური ნაწარმი, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია საოჯახო კვლავწარმოებასთან და, როგორც წესი, პირად საკუთრებაშია.

კულტურის მომსახურება იყოფა ორ სახედ:

- უშუალო შემსრულებლების (მსახიობების, მომღერლების და ა.შ.) მომსახურება გაწეული კონკრეტულად მომხმარებლისთვის (მაყურებლისთვის, მსმენელისთვის);
- კულტურის კეთილდღეობის ათვისებასთან დაკავშირებული მომსახურება, რომელიც ნივთიერი ფორმითაა: ბიბლიოთეკების, კინოთეატრების, მუზეუმების, სურათის გალერეების და ა.შ. მომსახურება.

კულტურული მოღვაწეობის შედეგები, რომლებიც მატერიალურ ფორმას იღებს, ხდება სამომხმარებლო საქონელი. არამატერიალური ფორმით მომსახურება მისი სპეციალური თავისებურებების გამო კვლავწარმოების თავისებურ რეჟიმს საჭიროებს. კულტურული მოღვაწეობის შედეგის მახასიათებლები, რომლებიც მომსახურების ფორმითაა, მდგომარეობს შემდეგში:

- შემქმნელი წყაროსგან განუყოფლობაში;
- წარმოების და მოხმარების დამთხვევაში;
- შეუმჩნევლობაში;
- ხარისხის ცვალებადობაში, შემსრულებელზე მის დამოკიდებულებაში;
- უნიკალურობაში;
- მათი აღმოჩენის (კომფორტულობა და ა.შ.) გაზრდილი პირობების მნიშვნელობაში;
- რაოდენობრივ მაჩვენებლებში, (სპექტაკლების, კინოსეანსების, ექსკურსიების, საკლუბო ღონისძიებების და ა.შ. რიცხვი).

ამ მაჩვენებლების გაზომვა შეიძლება აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლებში (მოსახლეობის 1 ათას და 10 ათას კაცზე). კულტურის და ხელოვნების სფეროსთვის ამას გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ამ მაჩვენებელთა ღირსებები და ნაკლოვანებები თვალსაჩინოა, ვინაიდან, ერთი მხრივ, ისინი საშუალებას გვაძლევს, განვახორციელოთ ცალკეული სუბიექტების, მუნიციპალური წარმონაქმნების, კულტურული უზრუნველყოფის მონიტორინგი, ხოლო, მეორე მხრივ, არ ასახავს კულტურული დოვლათის და მომსახურების რეალურ მოცულობას, რომელიც დახარჯულია ამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების მოსახლეობის მიერ, ვინაიდან კულტურის დაწესებულებათა რაოდენობის ზრდას შეიძლება სდევდეს არა მარტო მნახველთა რაოდენობის ზრდა, არამედ დაცემაც. ნატურალური მაჩვენებლები მათი უთანაზომობის გამო საშუალებას არ იძლევა მოგვცეს მოსახლეობის კულტურული უზრუნველყოფის დონის შეჯამებული სურათი, ასევე ვერ ასახავს მოხმარების სტრუქტურის ცვლილებებს.

უნივერსალურია მაჩვენებლები ფულადი შეფასებით, რომლებიც დახარჯულია მოსახლეობის მიერ კულტურულ დოვლათსა და მომსახურებაზე (კულტურის დაწესებულებების, ასევე ბიუჯეტის შემოსავალი, კულტურაზე საოჯახო ბიუჯეტის დანახარჯები და ა.შ.). თუმცა კულტურის დაწესებულებათა უმრავლესობის ზარალიანობა, უფასო ან შეღავათიანი ხასიათი მათ მიერ მოსახლეობის მომსახურების გაწევისთვის განაპირობებს ფულადი შეფასების განხორციელებას დაწესებულებების ან სახელმწიფოს დანახარჯებით, რაც არ ემთხვევა საბაზრო შეფასებას და ქმნის მომსახურების და კულტურული დოვლათის რეალური მოცულობის ერთგვარ დამახინჯებას.

საყრიცხვო და საგეგმო პრაქტიკაში კულტურის და ხელოვნების განვითარების მაჩვენებლებს მიღებულია მივაკუთვნოთ:

- *ბიბლიოთეკების მიხედვით*:
  - ◇ ბიბლიოთეკათა რაოდენობა, მათ შორის 10 ათას მოსახლეზე;
  - ◇ წიგნების რაოდენობა ბიბლიოთეკებში აბსოლუტური და შეფარდებითი გამოხატულებით;
  - ◇ მკითხველთა რაოდენობა;
- *საკლუბო ტიპის დაწესებულებათა მიხედვით*:
  - ◇ კლუბების რაოდენობა, მათ შორის 1 მლნ მოსახლეობაზე ცალკე სხვადასხვა ტიპის დასახლებული პუნქტისთვის (ქალაქის, სოფლის);
  - ◇ ღონისძიებათა და კლუბურ გაერთიანებათა რაოდენობა;
- *მუზეუმების მიხედვით*:
  - ◇ მუზეუმების რაოდენობა აბსოლუტური და შეფარდებითი მნიშვნელობით და მნახველების

რაოდენობა;

- *ხელოვნების დაწესებულებათა მიხედვით*:
- ◇ თეატრების რაოდენობა (მათ შორის ჟანრების მიხედვით), მათი ტევადობა (აბსოლუტური მნიშვნელობით 10 ათას მოსახლეზე);
- ◇ ღონისძიებათა რაოდენობა, აგრეთვე ფულადი საშუალებების და საკუთარი შემოსავლების მთლიანი მოსაკრებელი;
- *კინომატოგრაფიის მიხედვით*:
- ◇ წარმოებული კინოფილმების რაოდენობა;
- ◇ კინოთეატრების რაოდენობა;
- ◇ კინოდანადგარების რაოდენობა;
- ◇ მნახველთა რაოდენობა;
- ◇ ფულადი საშუალებების მთლიანი გადასახადი;
- *რადიოსა და ტელევიზიის მიხედვით*:
- ◇ საშუალოდღიური გამოთვლით გადაცემათა მოცულობა;
- ◇ მოსახლეობის ტელე და რადიომაუწყებლობის მოცვის საშუალოშეწონილი პროცენტი.

კულტურის და ხელოვნების ცალკე ორგანიზაციის მეურნეობრიობის ეფექტიანობა საბაზრო პირობებში აგრეთვე იზომება მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევის ფორმების მიხედვით. ფასიანი კულტურული მომსახურების გაწევისას ორგანიზაციის, რომელიც შემოსავლებს იღებს, დანახარჯებთან შეჯერებისას ან მათზე გადაჭარბებისას, შეიძლება გამოვიყენოთ ეფექტიანობის კომერციული მაჩვენებლები (საკუთარი შემოსავლების ნამატი, რენტაბელობა, ზარალიანობის კლება და ა.შ.). თუმცა უმეტეს შემთხვევაში სამეურნეო ოპერაციათა ეფექტიანობა განისაზღვრება რესურსების გამოყენების რაციონალურობის ხარისხით, ან კულტურის დაწესებულების დასწრების იმავე მაჩვენებლებით და მნახველის რაოდენობით, რომელსაც ემსახურება კულტურის დაწესებულების ერთი მუშაკი, აგრეთვე – დარბაზების შევსების ხარისხით და ა.შ. შესადარებლად იყენებენ მაჩვენებლის (ნორმატიულ, საშუალო) სიდიდეს.

საჭიროა აგრეთვე განვიხილოთ ორგანიზაცია კულტურისა და ხელოვნების დარგში.

ორგანიზაცია – ეს ადამიანთა ჯგუფია, რომელთა საქმიანობის კოორდინირება და რეგულირება შეგნებულად ხდება ერთი ან რამდენიმე საერთო მიზნის მისაღწევად მატერიალური ან სხვა ინტერესებიდან გამომდინარე. ორგანიზაცია იურიდიული პირია, რომელიც რეგისტრირებულია ხელისუფლების და საგადასახადო ორგანოებში, აქვს ერთი ან რამდენიმე ანგარიშსწორების ანგარიში ბანკში, ბეჭედი, იურიდიული მისამართი, საქმიანობის წესდება, დამფუძნებლური ხელშეკრულება, ფინანსური დამოუკიდებლობა.

ინდივიდუალური მეწარმე – მოქალაქე, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას.

ადგილობრივი ერთეული – ორგანიზაციის ტერიტორიულ-განკერძოებული განყოფილება (ფილიალი, წარმომადგენლობა).

ეს ერთეული შეიძლება იყოს წარმოდგენილი: თეატრებით, კინოთეატრებით, კინო და ფოტოსტუდიებით, მუზეუმებით, მუზეუმ-კარ-მიდამოებით, საკონცერტო ორგანიზაციებით, კულტურულ-დასასვენებელი ტიპის დაწესებულებებით (კლუბები, სასახლეები, და კულტურის სახლები, კულტურის და დასვენების ცენტრები, შემოქმედებით მუშაკთა სახლები – ექიმების, მასწავლებლების, ახალგაზრდობის და სხვ.), ბიბლიოთეკებით და ა.შ.

ამგვარად, ორგანიზაცია არის სისტემა, ე.ი. რაღაც ერთიანობა და არა მისი შემადგენელი ნაწილების უბრალო ერთობლიობა, რომლის ფორმირების ძირითადი სისტემური პრინციპებია:

კულტურის და ხელოვნების სფეროში ორგანიზაციის მართვის მოდელი სისტემური მიდგომის პოზიციიდან შეიძლება განისაზღვროს როგორც:

1) კონცეპტუალური, თუკი იგი განიხილება როგორც სისტემური მართვის მოდელი ინტელექტუალური მოღვაწეობის რომელიღაც სფეროში;
2) ემპირიული, თუკი განიხილება კონკრეტული ორგანიზაცია;
3) ადამიანურ-მანქანური, თუ მართვის კონტურ-ში ჩართულია ინფორმაციის დამუშავების და შენახვის კომპიუტერული სისტემა;
4) დახურული ან ღია გარემოსთან ურთიერთკავშირის, გადასაწყვეტი ამოცანების და ამისთვის საჭირო ინფორმაციის მიხედვით – მხოლოდ შიდა ან გარემოსთან დაკავშირებული;
5) დროებითი, როცა ორგანიზაცია იქმნება გარკვეული ვადით ან პერიოდულად განიცდის ფორმალურ ან არაფორმალურ ცვლილებებს.

კულტურის და ხელოვნების სფეროში ორგანიზაცია ფუნქციონირებს როგორც მწარმოებლების განვითარების, ასევე მომხმარებლების გემოვნების და ინტერესების სრულყოფისა და მათი ინტელექტუალური საკუთრების და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მოთხოვნის დარგში. აქ, როგორც არც ერთ სხვა სფეროში, ვლინდება ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისდა მიხედვით მათი ინტერესების, მოთხოვნის და მოხმარების ზრდის და ურთიერთკავშირის კანონი.

კულტურის, ხელოვნების და ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში მწარმოებლების და მომხმარებლების ინტელექტუალური საკუთრების განვითარების მიმართულებები

ცხრილი 1

ურთიერთკავშირი ინტელექტუალური საკუთრების შექმნასა და მოხმარებაში	ინტელექტუალური საკუთრების გადაცემის ფორმა			
	მუდმივი (სტატიკური)	დინამიკური		
		ხმოვანი	მაყურებლის	კომპიუტერული
არსებობს	ფერწერა, ლიტერატურა, გაზეთი, ჟურნალი	მუსიკა თეატრი ესტრადა	თეატრი, ტელევიზია, კონომატოგრაფია	ინტერნეტი
საჭიროა განვავითაროთ	მუზეუმები, გამოფენები, ლიტერატურა	რადიო, შოუ-ბიზნესი	ტელევიზია, თეტრალური და კინოხელოვნება	გლობალური ინტერნეტი

ორგანიზაციის მართვის სისტემა შედგება ცალკეული ქვესისტემებისგან, რომელთაგან თითოეული შეიძლება აღიწეროს როგორც ერთგვარი სისტემა, თუმცა მასში შესაძლებელია გამოვყოთ კომპონენტები, რომლებიც არსებობს ორგანიზაციის იერარქიის ყველაზე ქვედა დონეზე. სისტემის კომპონენტებს გააჩნია გარკვეული თვისებები ან მახასიათებლები. ეს მახასიათებლები ზემოქმედებას ახდენს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე, მის დინამიკურობაზე, სიზუსტეზე, საიმედოობაზე, მოქნილობასა და სხვა პარამეტრებზე, რაც განსაზღვრავს ალტერნატიულობის პრინციპს ორგანიზაციის შექმნის და განვითარების დროს.

ორგანიზაცია სისტემაა, რომელიც საჭიროა დასახული ამოცანების მისაღწევად, ხოლო მათი რეალიზება პრობლემების გადაჭრითა და ოპერაციების განხორციელებით ხდება. გადაწყვეტილებების მიღებაზე პასუხისმგებელი პირები – მენეჯერები და გადაწყვეტილებათა შემსრულებლები – სპეციალისტი-მმართველები არიან, რომელთაც ურთიერთქმედების სისტემები აერთიანებთ. არსებობს ურთიერთკავშირის ორი ტიპი: ფორმალური (ვერტიკალური და ჰორიზონტალური), რომელიც ასახავს ორგანიზაციის საორგანიზაციო სტრუქტურას და არაფორმალური (ძირითადად ჰორიზონტალური), რომელიც წარმოიშობა ცალკეულ მენეჯერებსა და სპეციალისტებს, განსაკუთრებით ინტელექტუალური საკუთრების მფლობელებსა და მატარებლებს შორის ინტერესების რეალიზაციის საფუძველზე

კულტურის და ხელოვნების სფეროს ორგანიზაციებში მენეჯმენტი, როგორც მისი მმართველი ქვესისტემა (მართვის ორგანო), მრავალწახნაგოვანია, ამიტომ იგი უნდა განვიხილოთ სხვადასხვა ასპექტში და შესაბამისად მის შესახებ მივიღებთ სხვადასხვა წარმოდგენას. წარმოდგენათა ყველა მრავალფეროვნების გაერთიანება ერთ მთლიანობაში შესაძლებელია კლასიფიკატორის მეშვეობით, რომელსაც გააჩნია კლასიფიკაციის შემდეგი ნიშნები:

- ორგანიზაციასა და გარემოს შორის ურთიერთკავშირი;
- ურთიერთკავშირი მართვის ობიექტსა (შემოქმედებითი კოლექტივი) და მენეჯმენტს შორის;
- მენეჯმენტის ხელმძღვანელობის, მართვის და მომსახურების ელემენტები;
- მენეჯმენტში გადაწყვეტილებათა მიღების ეტაპები.

განვიხილოთ მენეჯმენტი როგორც კულტურის და ხელოვნების სფეროს ორგანიზაციის მართვის სისტემა გარკვეული ნიშნების ჭრილში.

ორგანიზაციის და გარემოს ურთიერთკავშირი. ორგანიზაციის მისიის, მიზნის და სტრატეგიის განსაზღვრისას გარემო განმსაზღვრელია, ვინაიდან მოიცავს მომხმარებლებს, კონკურენტებს, პარტნიორებს, მიმწოდებლებს, ფინანსურ ორგანიზაციებს, ინტელექტუალური პოტენციალის და სამუშაო ძალის წყაროებს და, რა თქმა უნდა, სხვადასხვა სახის სახელმწიფო დაწესებულებებს. ორგანიზაციის გარემო ხასიათდება სირთულით, მოძრაობით, გაურკვევლობით.

გარემოს სირთულე – ეს პირობების და ფაქტორების სიმრავლეა, რომელთა გარეშეც ორგანიზაციას არ შეუძლია ფუნქციონირება, ამასთან ვალდებულია მათზე რეაგირება მოახდინოს.

გარემოს მოძრაობა – ეს სიჩქარეა, რომლითაც ხდება ორგანიზაციის გარეშემო გარემოს ცვლილება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ორგანიზაციათა გარემოცვა მზარდი სიჩქარით იცვლება. გარემოს მოძრაობა განსაზღვრავს მრავალფეროვან

ინფორმაციაზე დამყარების აუცილებლობას, რათა მივიღოთ ეფექტიანი ზომები.

გარემოს გაურკვევლობა – ინფორმაციის რაოდენობის ფუნქციაა, რომელსაც ფლობს მმართველი ქვესისტემა კონკრეტულ ფაქტორზე, ასევე – ინფორმაციის სარწმუნოობის ფუნქცია. თუკი ინფორმაცია მცირეა ან საეჭვოა მისი სიზუსტე, გარემო ხდება უფრო გაურკვეველი, ვიდრე იმ სიტუაციაში, როცა არსებობს ადეკვატური, ზუსტი და საიმედო ინფორმაცია.

სამეურნეო სიტუაციები, რომლებშიც იღებენ გადაწყვეტილებებს, გაურკვევლობის ხარისხით შეიძლება იყოს სამი სახის: გარკვეულობის, რისკის და გაურკვევლობის.

კულტურის და ხელოვნების ორგანიზაციის გარემო ყალიბდება ორგანიზაციის შიდა გარემოს გარშემო. იგი რთულია და სამ შემადგენელს მოიცავს: პირდაპირი ზემოქმედების გარემოს, არაპირდაპირი ზემოქმედების გარემოს და გლობალურ (მსოფლიო) სოციოკულტურულ გარემოს. სურათზე 1 წარმოდგენილია თითოეული დასახელებული გარემოს კომპონენტები.

გლობალური გარემო. პოლიტიკური ფაქტორები, ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან. კანონები და სახელმწიფო ხელისუფლება. ორგანიზაციის შიდა გარემო. კონკურსები. ეკონომიკური მდგომარეობა. ტექნოლოგია. მიმწოდებლები. მომხმარებლები. სოციოკულტურული ფაქტორები.



სურ.1. ორგანიზაციის გარემოს ელემენტები

მართვის ობიექტის და მართვის სუბიექტის ურთიერთკავშირი. სისტემური მიდგომის მეთოდოლოგიის შესაბამისად, სისტემა შეიძლება განიხილებოდეს მიკროსკოპულ, მაკროსკოპულ, იერარქიულ, ფუნქციურ და პროცესულ ასპექტებში. თუკი *მაკროსკოპული წარმოდგენა* ხსნის ორგანიზაციის ურთიერთკავშირს გარემოსთან და შესაძლებლობას იძლევა, ჩავატაროთ მართვის სისტემის ეფექტიანობის შეფასება მთლიანობაში, *მიკროსკოპული წარმოდგენა* საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ მართვის ობიექტის და სუბიექტის ურთიერთკავშირის თავისებურებანი. როგორც მართვის სისტემის კიბერნეტიკული მოდელიდან ჩანს (სურ.2), მართვის ობიექტი მართვადი ქვესისტემაა, ხოლო მართვის სუბიექტი – მმართველი ქვესისტემა. ამ უკანასკნელსა და მართვის ობიექტს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი მმართველი ჯგუფის სახით რაიმე მოქმედებების ჩასატარებლად და უკუკავშირი ინფორმაციის სახით ამ მოქმედებათა შედეგების შესახებ.



სურ. 2. კულტურის და ხელოვნების სფეროს ორგანიზაციის მართვის სისტემის კიბერნეტიკული მოდელი: X – „შესავლის“ ვექტორი (ინტელექტუალური, შრომითი, მატერიალური, ფინანსური და სხვა რესურსების); M – გარემოს ზემოქმედება (მოთხოვნა) ორგანიზაციის ინტელექტუალურ მომსახურებაზე (საქონელი); Y – გამოსვლა (ინტელექტუალური პროდუქტების და მომსახურების მოთხოვნის დაკმაყოფილება მომხმარებლებისთვის)

თუ მივყვებით სისტემის *მიკროსკოპული წარმოდგენის* პრინციპს, ქვესისტემათაგან თითოეული შეიძლება წარმოვიდგინოთ იმ ელემენტებისგან, რომლებიც ქვესისტემაში შეადგენს ჰორიზონტალურ (თანაბარმნიშვნელობიან ელემენტებს შორის) რიგებს და ვერტიკალურ კავშირებს (ვერტიკალით დამოკიდებულ ელემენტების რიგებს შორის. ერთი რიგის ელემენტები ქმნის მართვის იერარქიის დონეს ორგანიზაციის მართვის ორგანოში.

კულტურის და ხელოვნების სფეროში ორგანიზაციის კონცეპტუალური და ემპირიული მოდელი შეიძლება აღიწეროს ხუთი ელემენტის დახმარებით, რომელთაც ლიტერატურაში საბაზოს უწოდებენ.

მათ მიეკუთვნება:

1) გარემო;
2) ორგანიზაციის რესურსები;
3) მიზანი (მისია);
4) საორგანიზაციო სტრუქტურა;
5) ორგანიზაციის ფუნქციონირების დრო (სასიცოცხლო ციკლი).

მათი ფორმალიზაცია საშუალებას იძლევა ავაგოთ ორგანიზაციის მოდელი და უფრო ღრმად გამოვიკვლიოთ მენეჯმენტში მომხდარი პროცესები, თუ გამოვიყენებთ „მოწესრიგებული ხუთეულის" პრინციპს, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციის ამ ხუთ ელემენტს შორის ურთიერთკავშირის აღრიცხვას. ეს ურთიერთკავშირი საშუალებას იძლევა დავადგინოთ მენეჯმენტის, როგორც ორგანიზაციის მართვის სისტემის, შემდეგი ფორმალური ლოგიკა.

ორგანიზაცია როგორც S სისტემა შედგება S◦ სტრუქტურული ელემენტებისგან, რომლებსაც მის ქვესისტემებს უწოდებენ. E◦ სისტემის სტრუქტურული ელემენტების სიმრავლე ქმნის ქვესისტემათა ელემენტარულ ბაზას: S є S◦, ხოლო S◦ є E◦.

Ŝ სისტემის გარემო ყველა ობიექტის ერთობლიობაა, რომელიც სისტემის გარშემოა და მათი თვისებები არა მარტო ზემოქმედებას ახდენს სისტემაზე, არამედ იცვლება კიდეც თვით სისტემის ზემოქმედებით. ამ კავშირის ფორმალიზება შეიძლება ფორმულით:

$$\hat{S}=x \in y,$$

სადაც x – სისტემაში გარემოდან შემავალი ობიექტების სიმრავლეა;

y – გარემოს სისტემათაგარეშე ობიექტების სიმრავლეა, რომელიც განიცდის ზემოქმედებას ამ ორგანიზაციის მხრიდან (სისტემიდან).

სისტემის რესურსები – ეს ის P ობიექტებია R სიმრავლიდან, რომელთა ცვლილება დამოკიდებულია S სისტემის სტრუქტურული ელემენტების ცვლილებების ეფექტიანობაზე, ე.ი. R є P, ხოლო S є R.

ორგანიზაციის მიზანი იბადება მისი მისიით – კონკრეტული სისტემის შესაძლებლობით, დააკმაყოფილოს ადამიანთა კულტურული და სულიერი მოთხოვნილებები. მიზნის ფორმალიზაცია დიდწილად განისაზღვრება თვით სისტემის ფორმალიზაციის დონით. ეკონომიკურ ამოცანებში საკმარისია მათემატიკური ფუნქციის მიზნის ფორმალიზება, რომელიც მიზნობრივი მიზანდასახულობის მაქსიმიზაციას, მინიმიზაციას ან რიცხობრივ შეზღუდვას ახდენს. კულტურის და ხელოვნების სფეროში კი ეს საკმარისი არაა, აუცილებელია სოციოკულტურული თვალსაზრისის კრიტერიუმები.

შესაბამისად, S ორგანიზაციის პრინციპული სტრუქტურა – ისეთი მოდელია, რომელიც განისაზღვრება ურთიერთობათა სისტემით, ის გვაძლევს სისტემის პარამეტრებს მისი იერარქიის ყოველ დონეზე:

1) საორგანიზაციო სისტემის და მისი ქვესისტემების ელემენტარული ბაზით: E◦, E1, ..., En;
2) ორგანიზაციაში შესული ყველა ქვესისტემით: S◦i є E◦, S1i є E1, ..., Sni є En;
3) ორგანიზაციის და ყველა მისი ქვესისტემისთვის გარემოთი: Ŝ◦i = x◦i є y◦i, S1i = x1i є y1i, ..., Ŝni = Xni є Yni;
4) ყოველი ქვესისტემის ელემენტების ურთიერთობის ხასიათით ერთმანეთს შორის და გარემოსთან;
5) სისტემის იერარქიის ყოველ დონეზე ელემენტების აგრეგირების საშუალებით.

ორგანიზაციის ფორმალიზაციის „მოწესრიგებული ხუთეულის" მეთოდი საშუალებას იძლევა, განვიხილოთ იგი სისტემური ანალიზის სხვადასხვა ასპექტში და მოვახდინოთ მართვის ეფექტიანი სისტემის დაპროექტება, რომელიც გარემოსთან დროში ადეკვატური იქნება. ამასთან, ცნება „დროში" ან უბრალოდ დრო ახასიათებს ბოლო საბაზო ელემენტს – ორგანიზაციის ან პროექტის სასიცოცხლო ციკლს.

კულტურის და ხელოვნების ყველა ორგანიზაციას ყოფენ სამ ჯგუფად:

პირველ ჯგუფს მიაკუთვნებენ ერის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს, (კულტურის ძეგლებს, სამუზეუმო და საარქივო ფონდებს, ხალხურ შემოქმედებას), ხელოვნების ექსპერიმენტულ სახეებს, რომლებიც არ შეიძლება იყოს საბაზრო ურთიერთობის ობიექტი მაღალი სოციალური მნიშვნელობის, არაკვლავწარმოების და შემდგომი თაობებისთვის შენახვის აუცილებლობის გამო.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება კულტურის და ხელოვნების ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც შედის შეზღუდული მოქმედების ზონაში (ბიბლიოთეკები, კლუბები და ა.შ.). ამ დაწესებულებათა მომსახურება უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ კულტურული მოხმარების სტანდარტებს (ნორმებს) და ამიტომ მოსახლეობას ეძლევა უფასოდ ან შეღავათიან საფუძველზე. თუმცა ამ ორგანიზაციებს შეუძლია მიიღოს დამატებითი შემოსავალი სამეწარმეო საქმიანობის ხარჯზე;

მესამე ჯგუფშია ორგანიზაციები, რომლებიც შედის კომერციული ექსპლოატაციის სფეროში. ამ ორგანიზაციათა შემოსავალი მთლიანად ყალიბდება

მოსახლეობიდან და კომერციული საწარმოებიდან შენატანთა ხარჯზე, აგრეთვე კერძო ან საზოგადოებრივი შეწირულობებისგან. მათ მიეკუთვნება აუდიოვიზუალური სფეროს, შოუბიზნესის, წიგნის ბეჭდვის, ბეჭდვითი და მასობრივი ინფორმაციის საეკრანო საშუალებების საწარმოები.

კულტურის და ხელოვნების ორგანიზაციის ამ ჯგუფებს შორის საზღვარი პირობითია და შეიძლება ერთმანეთში აირიოს სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკის და მისი ეკონომიკური პოტენციალის, ისტორიული და ეროვნული კულტურული ტრადიციების, მოსახლეობის სამომხმარებლო უპირატესობის ცვლილებების, ცხოვრების დონის და გადახდისუნარიანი მოთხოვნის ურთიერთობის, სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტების არსებობის, საზოგადოებრივი და კერძო შეწირულობების მიხედვით.

კულტურის და ხელოვნების სფეროში სამეწარმეო საქმიანობა აქტიურია. საქართველოს კანონით სამეწარმეო საქმიანობის შესახებ სამეწარმეო საქმიანობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია ინდივიდუალური მეწარმეები, ამხანაგობები და საზოგადოებები. ამ ფორმებს ამა თუ იმ ხარისხით შეესაბამება შემდეგი საორგანიზაციო ფორმები, რომლებიც მსოფლიო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა: კერძო ფირმა ან ერთპიროვნული საწარმო (sole proprietorship), პარტნიორობა (partnership), კორპორაცია (corporation).

ამ საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმის ღირსებებია:

ამხანაგობა – ეს ფიზიკურ პირთა გაერთიანებაა, შექმნილი სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად იმ შემთხვევაში, როცა საწარმოს ორგანიზაციაში გაერთიანებას გადაწყვეტს ორი ან მეტი მონაწილე. ამხანაგობის ყველა წევრი პირადად მონაწილეობს სამეურნეო საქმიანობაში. ანაბარი შეიძლება იყოს არა მარტო ფულადი ან მატერიალური საშუალებები, არამედ საკუთარი შრომითი ძალისხმევაც. მარტივი (უბრალო?) ამხანაგობის ხელშეკრულება, რომელიც ცნობილია ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების სახელით, მრავალმხრივი გარიგებაა. საქმიანობის მიზანთა ერთობლიობა და ერთობლივი ხასიათი საშუალებას იძლევა, დავახასიათოთ მონაწილეები ამხანაგების სახით, ხოლო თავად ხელშეკრულებას ამხანაგური ვუწოდოთ. ამ ხელშეკრულების მონაწილეები არ ქმნიან იურიდიულ პირს, ამიტომ უპასუხებს ამხანაგობის ვალდებულებებს, თუმცა წილობრივი ან სოლიდარული წესით, მაგრამ მთელი თავიანთი პირადი ქონებით. ამ ნიშნის მიხედვით ხელშეკრულება ერთობლივ საქმიანობაზე აშკარად განსხვავდება სადამფუძნებლო ხელშეკრულებისგან, რომელიც აერთიანებს მონაწილეებს ახალი იურიდიული პირის შესაქმნელად.

მარტივი ამხანაგობისგან განსხვავებით სრული ამხანაგობის და კომანდიტური ამხანაგობის მონაწილეები ერთმანეთს შორის დებენ სადამფუძნებლო ხელშეკრულებას საწარმოს ან ორგანიზაციის შექმნაზე გარკვეული სამეურნეო საქმიანობის ერთობლივი გაძღოლისთვის, პირადად მონაწილეობენ ორგანიზაციის საქმიანობის წარმართვაში და პასუხს აგებენ ამხანაგობის ვალდებულებებზე ქონებით, რომელიც შედგენილია მათი ანაბრებისგან. კომანდისტები სრული ამხანაგებისგან იმით განსხვავდებიან, რომ არ მონაწილეობენ ამხანაგობის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში.

ამხანაგობის ღირსება ისაა, რომ უბრალო ამხანაგობათა ქონებას არ წაუყენებენ იმავე მოთხოვნებს, რასაც იურიდიულ პირთა ქონებაში ანაბრებს. დასაშვებია ანაბრის სახით არა მარტო რეალური ქონების, არამედ პროფესიული და სხვადასხვა სახის ცოდნის, ჩვევების, აგრეთვე საქმიანი კავშირების და საქმიანი რეპუტაციის შეტანა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ანაბრების ხარჯზე ფინანსური ბაზის იმ მონაწილეების განმტკიცება, რომლებიც აყალიბებენ ამხანაგობის ქონებას, საშუალებას იძლევა გადავჭრათ ბიზნესის დაწყების, გაგრძელების, განვითარების და გაფართოების დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები. გარდა ამისა, წარმოებასა და მართვაში არსებობს შრომის განაწილების და სპეციალიზაციის გამოყენების შესაძლებლობა; მონაწილეთა შემადგენლობაში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ხარჯზე ამხანაგობის საქმიანობის სფეროში (იურიდიული, ფინანსური, საკონსულტაციო და სხვ.) განვითარების და ზრდის პოტენციალი მატულობს; ხელშეკრულების მიხედვით, ამხანაგთა წილობრივი საკუთრების გარდა, შეიძლება დაწესდეს თითოეული მონაწილის საკუთრებაში ერთობლივი საქმიანობის კონკრეტული შედეგების შენატანი.

ამ საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმის ნაკლია:

- უბრალო ამხანაგობის შეუზღუდავი სოლიდარული პასუხისმგებლობა თავისი ქონებით ორგანიზაციის ვალდებულებებზე;
- ამხანაგობის დაფინანსება შეზღუდულია მონაწილეთა პირადი კაპიტალით, აგრეთვე მათი პირადი კავშირებითა და რეპუტაციით;
- სოლიდარული პასუხისმგებლობა განაპირობებს, რომ თითოეულ მონაწილეს შეუძლია

გამოვიდეს მთელი ამხანაგობის სახელით და დაჟინებით მოითხოვოს თავისი კურსის გატარება;

- მონაწილეთა ინტერესების შესაძლო არათავსებადობა, რომელიც პოტენციურად იწვევს სიძნელებს და კონფლიქტებს ორგანიზაციის ერთობლივი მართვისას ან მისი ლიკვიდაციის გაფორმებისას;
- ორგანიზაციის დაშლის პოტენციური საფრთხე წინააღმდეგობათა შემთხვევაში ან საქმიდან ერთი ან რამდენიმე მონაწილის გასვლისას.

საზოგადოება – ეს იურიდიული პირია, რომელიც იქმნება მოქალაქეთა ან იურიდიულ პირთა შეთანხმებით მათი კაპიტალის გაერთიანების გზით სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად. ამხანაგობისგან განსხვავებით საზოგადოება იქმნება კაპიტალის გაერთიანების საფუძველზე და არ მოითხოვს დამფუძნებელთა (მონაწილეთა) პირად მონაწილეობას ორგანიზაციის სამეურნეო საქმიანობაში. საზოგადოება იქმნება სადამფუძნებლო კრების ან ერთადერთი დამფუძნებლის გადაწყვეტილებით და მოქმედებს წესდების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი ყალიბდება აქციებისგან, რომელთა რაოდენობა და ნომინალური ღირებულება განისაზღვრება წესდებით ან მონაწილეთა წილის ნომინალური ღირებულებით. აქციათა გამოშვება უნდა იყოს რეგისტრირებული რფ-ის საფინანსო ორგანოებში საზოგადოების რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა (მონაწილეთა) საერთო კრება. საზოგადოების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობის განსახორციელებლად ირჩევენ დირექტორთა საბჭოს (სადამკვირვებლო საბჭოს). მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობა ხორციელდება მმართველობის ან დირექტორის მიერ, რომელიც ჩვეულებრივ დანიშნულია აქციონერთა (მონაწილეთა) საერთო კრების მიერ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მონაწილეები (შპს) არ უპასუხებენ მის ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას იღებენ მხოლოდ მათ მიერ შეტანილი ანაბრების ღირებულების ფარგლებში. მათგან განსხვავებით საზოგადოების მონაწილეები დამატებითი პასუხისმგებლობით პასუხს აგებენ მთელი თავიანთი ქონებით. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი დაყოფილია წილებად, რომლებიც განსაზღვრულია საწესდებო დოკუმენტებით.

საშუალო და მსხვილ ბიზნესში ყველაზე გავრცელებულია *სააქციო საზოგადოება.* სააქციო საზოგადოება იმით გამოირჩევა, რომ უფლება აქვს მოიზიდოს აუცილებელი საშუალებები ფასიანი ქაღალდების – აქციების – გამოშვებით. აქციათა რაოდენობა და ნომინალური ღირებულება განსაზღვრულია წესდებაში. სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი ყალიბდება აქციათა გარკვეული რაოდენობისგან. ამასთან, სააქციო საზოგადოების მონაწილეები არ უპასუხებს მის ვალდებულებებს და პასუხისმგებლობა ეკისრებათ საქმიანობის შედეგებზე მათთვის კუთვნილი აქციების ღირებულების ფარგლებში. ასეთ საზოგადოებათა უმრავლესობა 1990-იან წლებში შეიქმნა სახელმწიფო ან მუნიციპალური საწარმოების პრივატიზაციის გზით.

სააქციო საზოგადოება შეიძლება იყოს ღია და დახურული. ღია სააქციო საზოგადოების მონაწილეებს უფლება აქვთ, გაყიდონ თავიანთი კუთვნილი აქციები სხვა აქციონერების თანხმობის გარეშე. ასეთ საზოგადოებას შეუძლია ჩაატაროს ღია ხელმოწერა მის მიერ გამოშვებულ აქციებზე და მათ თავისუფალ გაყიდვაზე. ღია სააქციო საზოგადოებისგან განსხვავებით დახურულ სააქციო საზოგადოებაში (დსს) აქციები ნაწილდება მხოლოდ მის დამფუძნებლებს შორის ან სხვა წინასწარ განსაზღვრული პირთა წრეში. ასეთ საზოგადოებას უფლება არ აქვს, ჩაატაროს ღია ხელმოწერა თავის მიერ გამოშვებულ აქციებზე. დსს-ის აქციონერებს აქვთ ამავე საზოგადოების სხვა აქციონერების მიერ გაყიდული აქციების შეძენის უპირატესი უფლება.

სააქციო საზოგადოების ღირსებებია:

- მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით საზოგადოებაში შეზღუდვის უქონლობა. დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. იურიდიული პირის უფლებებს და მოვალეობებს საზოგადოება იძენს სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან;
- სამეწარმეო საქმიანობის დაფინანსების ფართო შესაძლებლობები. სააქციო საზოგადოებას შეუძლია მოიზიდოს დამატებითი ინვესტიციები აქციების გამოშვების გზით. ღია სს-ს ხელი მიუწვდება კერძო ინვესტორების უზარმაზარი რაოდენობის ფულად საშუალებებზე;
- კაპიტალის ბაზარზე დაშვება აქციების და კორპორაციული ობლიგაციების გამოშვების გზით;
- მართვაში მონაწილეობაზე უფლების მიღება აქციების მფლობელთათვის, შემოსავლების მიღება დივიდენდების და ქონების ნაწილის სახით ორგანიზაციის ლიკვიდაციისას;
- საზოგადოების მონაწილეთა შეზღუდული პასუხისმგებლობა (დამატებითი პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებების გარდა), რომლებიც რისკავენ იმ თანხით, რომელიც გადაიხადეს აქციების ან საწესდებო კაპიტალის თავიანთი წილის შეძენისას;

- წარმოებაში შრომის განაწილების და სპეციალიზაციის გამოყენების შესაძლებლობა, აგრეთვე პროფესიული მენეჯერების მოზიდვა;
- თანამშრომლებისთვის სხვადასხვანაირი შელავათის არსებობა და მათი პროფესიული და კარიერაში წინსვლის ზრდისთვის შესაძლებლობა;
- საზოგადოების ფუნქციონირება არსებობის შეუზღუდავი პერიოდის და ბიზნესის შედარებითი სტაბილურობის გამო აქციების მფლობელებისგან დამოუკიდებლად და აქციების ფლობის უფლების გადაცემა. აქციონერებს თავიანთი ნებით შეუძლიათ შევიდნენ კორპორაციაში ან გამოვიდნენ მისგან, თუ უბრალოდ იყიდიან ან გაყიდიან აქციათა თავიანთ წილს. აქციების ფლობის უფლება აგრეთვე გადაცემათ მემკვიდრეობით.

სააქციო საზოგადოების ყველაზე ნიშნადი ნაკლია შემდეგი: ორმაგი დაბეგვრა – იბეგრება საზოგადოების მოგება და აქციონერთა შემოსავალი, რომლებიც დივიდენდებს იღებენ; სააქციო საზოგადოების საქმიანობის ფინანსური და სამეურნეო შედეგების საჯარო გახმაურებას და გამოქვეყნებას შეუძლია შეასუსტოს მისი საბაზრო პოზიციები, მისაწვდომი გახადოს კონკურენტებისთვის ინფორმაცია; მართვის რთული საორგანიზაციო სისტემა, რომელიც სიძნელეებს ქმნის ორგანიზაციის ადაპტაციისას ეკონომიკაში ცვლილებების მიმართ; ბიზნესის ორგანიზაციის სხვა ფორმებთან შედარებით უფრო რთული აღრიცხვის სისტემა და ანგარიშვალდებულება სხვადასხვა უწყების მიმართ; სხვადასხვა სახის ბოროტმოქმედებისთვის შესაძლებლობათა არსებობა.

სახელმწიფო (მუნიციპალური) საწარმო – იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ სამეწარმეო მიზნით. მისი ქონება შედგება სახელმწიფო (მუნიციპალური) საკუთრებისგან.

მათგან განსხვავებით არსებობს სახელმწიფო კორპორაციული საწარმოები, რომელთა საკონტროლო პაკეტი ეკუთვნის სახელმწიფოს.

სახელმწიფო და მუნიციპალური უნიტარული საწარმოები დგას სამეწარმეო საქმიანობის საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმების განსაკუთრებულ რიგში. უნიტარულ საწარმოში გულისხმობენ კომერციულ ორგანიზაციას, რომელსაც არ აქვს საკუთრების უფლება მასზე მიმაგრებული მესაკუთრის ქონებაზე. უნიტარული საწარმოს ქონება განუყოფელია და არ შეიძლება გაიყოს წილებად საწარმოს თანამშრომლებს ან სხვა პირებს შორის. უნიტარული ფორმით შეიძლება შეიქმნას მხოლოდ სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოები. შესაბამისად, უნიტარული საწარმოს ქონება სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაშია, იგი ეკუთვნის საწარმოს სამეურნეო ან ოპერატიული მართვის უფლებით.

ორგანიზაციაში მენეჯმენტის ყველა პროცესი შეიძლება დავყოთ ხელმძღვანელობად, ხელმძღვანელობის მართვად და მომსახურებად და მართვად. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება შემდეგით.

მენეჯერ-ხელმძღვანელს აქვს ორგანიზაციის განვითარების და საქმიანობის მიზნის ჩამოყალიბების უფლება, ასევე – გადაწყვეტილების მიღების, რომელზეც იგი პირადად აგებს პასუხს – მატერიალურად და მორალურად.

მენეჯერ-მმართველს ასეთი უფლება არ აქვს. მის მოვალეობაში შედის პერსონალის ხელმძღვანელობა და თავის წინაშე მენეჯერ-ხელმძღვანელის მიერ დასახული ამოცანის შესრულება.

ხელმძღვანელობის და მართვის მომსახურების სპეციალისტი ასრულებს პროცესებს, რომელთა გარეშეც შეუძლებელია კულტურის და ხელოვნების სფეროს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის და მართვის განხორციელება.

მენეჯმენტის კომპონენტების სტრუქტურიზაცია პროცესების მიხედვით მოტანილია ცხრილში 2.

ორგანიზაციაში მენეჯმენტის პროცესთა სტრუქტურიზაცია

ცხრილი 2

მენეჯმენტის პროცესები	მენეჯმენტის კომპონენტები
ორგანიზაციის ხელმძღვანელობა	ორგანიზაციის მისიის შემუშავება ორგანიზაციის მიზნის (მიზნების) შემუშავება ორგანიზაციის სტრატეგიის შემუშავება მართვის საორგანიზაციო სტრუქტურის დაპროექტება ხელქვეითთა მოქმედებების კოორდინაცია. გადაწყვეტილებების მიღება
ორგანიზაციის მართვა	მარკეტინგული გამოკვლევები ბიზნეს-დაგეგმვა წარმოების ფაქტორების მართვა ატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ინტელექტუალური პროდუქტის და მომსახურების გაყიდვა
ხელმძღვანელობის მომსახურება და მართვა	საინფორმაციო უზრუნველყოფა საორგანიზაციო მომსახურება ტექნიკური მომსახურება კონტროლი, აღიცხვა და ანალიზი

მენეჯმენტის პროცესთა კომპონენტები საჭიროა აგრეთვე განვიხილოთ როგორც მოქმედებათა თანამიმდევრულობა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია საორგანიზაციო მექანიზმის საშუალებით – მიზნით, ფუნქციებით, რესურსებით, მართვის მეთოდებით, მიზნის მიღწევის საორგანიზაციო სტრუქტურებით. ასეთი მექანიზმი განიხილავს ორგანიზაციის მართვის მოქმედებათა თანამიმდევრულობას: პროგნოზირებას, მიზანს, მიზნის დეკომპოზიციას ქვემიზნებად, რესურსების განაწილებას ქვემიზნებზე (დაგეგმვა), კონტროლს, აღრიცხვას, ანალიზს, რეგულირებას (კოორდინირებას).

ლიტერატურა:

1) მ.პ. პერევერზევი, ტ.ვ. კოსცოვი – "მენეჯმენტი კულტურისა და ხელოვნების სფეროსი". მოსკოვი "ინფრა", 2009. 7-18 გვ.
2) მ. პ. პერევერზევი "მენეჯმენტი". მოსკოვი. "ინფრა". 2005.
3) ინტერნეტ რესურსები.
4) htt://www.eutturalmanagment.ru.

SUMMARY

In article discussed category management, clearing and content management, cultural and art in organization government and guidance system.

The function lighted management and base study methodological founder.

I n work discussed species activity in culture and art feature and foundation faculity which give possibility fell know but roll thereof discipline in general system in economic object.

მცირე ბიზნესის საწარმოთა კლასიფიკაციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები

დავით ადვაძე - *საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი*

მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ ადამიანთა საზოგადოების მამოძრავებელ ძალას პირადი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის სწრაფვა წარმოადგენს. იკმაყოფილებს რა თავის პირად ინტერესებს, ადამიანი ამით სულაც არ უგულებელყოფს საზოგადოების ინტერესებს. პირიქით, როგორც ა. სმითი გვასწავლის, ყოველი ინდივიდის ინტერესების დაკმაყოფილება აუცილებლად ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებსაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველი ადამიანის ბუნებრივი თვისებაა იშრომოს და იცხოვროს თავისი და საზოგადოების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, უკეთესი მომავლის უზრუნველყოფისათვის. ამ ღირებულებათა წარმოების რეალური გზაა საკუთარ შრომაზე დამყარებული, სხვისი დიქტატის გარეშე განვითარებული მცირე ბიზნესი. იგი საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ფენომენია. ქართველი ხალხისათვის ეს გზა მხოლოდ XX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან გაიხსნა.

მცირე ბიზნესი საბაზრო ეკონომიკური სისტემის არსებითი და განუყოფელი ნაწილია. იგი ინგლისური სიტყვა «business»-იდან მომდინარეობს და საქმიანობას ნიშნავს. სწორედ ამ ნიშნის გამო, უკანასკნელ პერიოდში გამოცემულ ლექსიკონებში ხშირად აიგივებენ ბიზნესსა და მეწარმეობას.[1] ასე, მაგალითად, დიდი ეკონომიკური ენციკლოპედია ბიზნესს განმარტავს, როგორც საქმეს, მეწარმეობას, ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც ხორციელდება საკუთარი ან ნასესხები საშუალებების ხარჯზე, თავისი რისკით და თავისივე პასუხისმგებლობით; მისი მთავარი მიზანია მოგების მიღება და საკუთარი საქმის განვითარება.

ბიზნესსა და მეწარმეობას შორის ტოლობის ნიშნის დასმა ყოველთვის არ შეიძლება. მეწარმეობა, მართალია, ადამიანების საქმიანობაა, მაგრამ რამდენადმე შეზღუდული ფორმით, რომელიც მატერიალური დოვლათის წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების პროცესს გულისხმობს, ბიზნესი კი ადამიანის საქმიანობის უფრო ფართო სფეროს მოიცავს [1, გვ. 60].

მცირე ბიზნესის მთავარი ფიგურა საწარმოს მფლობელია. იმან, ვინც მცირე ბიზნესში აპირებს თავის საქმიანობის დაწყებას, ან უკვე ამ სფეროშია ჩაბმული, უნდა იცოდეს, რომ ბიზნესი ემყარება საწარმოს მფლობელის ან მისი მმართველის უნარს - მიიღოს დამოუკიდებელი და სწორი გადაწყვეტილება. ასეთი დასკვნა, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება ხალხში დამკვიდრებულ არასწორ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ თითქოს მცირე ბიზნესის წარმატების საფუძველს ფული წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ მცირე ბიზნესის აწყობის დროს მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს არა მისგან მიღებული ფულის რაოდენობის დათვლას, მისთვის კრედიტების გამოყოფას, არამედ, იმას, თუ როგორია ამ საწარმოების მართვის ხასიათი. სწორედ ეს აძლევს მცირე ბიზნესის მფლობელს იმის გარანტიას, რომ დახარჯული ფულის ყოველი ერთეული აუცილებლად მოგებით დაუბრუნდება. უფრო მეტიც, მცირე ბიზნესის საწარმოს ბევრი მფლობელი გულწრფელად არის დარწმუნებული იმაში, რომ პროცენტით მიღებული სესხი, ეფექტური მართვის პირობებში, მოგებით იქნება უკან დაბრუნებული.

უნდა ვიცოდეთ, რომ ტერმინი «მცირე ბიზნესი» პირველად აშშ-ში იქნა გამოყენებული 1953 წელს მიღებულ კანონში «მცირე ბიზნესის შესახებ». ამას წინ უძღოდა დიდი ბრიტანეთის მინისტრის მ. მილანის მიერ 1934 წელს გაკეთებული მოხსენება «დიდი ბრიტანეთის სამრეწველო და ფინანსური მდგომარეობის შესახებ», რომელშიც პირველად გამოიყენეს ტერმინი «მცირე და საშუალო საწარმოები», ხოლო 1948 წელს აშშ-ში მიღებულ იქნა კანონი «მომსახურების გარკვეული სახეების შესახებ». აქაც ლაპარაკია მცირე საწარმოების შესახებ. სამივე აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ბიზნესის კლასიფიკაციის (მცირე, საშუალო, მსხვილი) პირველ მცდელობას.

დიდ ეკონომიკურ ენციკლოპედიაში მცირე ბიზნესი განმარტებულია, როგორც მცირე და საშუალო კერძო საწარმოების ერთობლიობა. ეს არის ეკონომიკის ყველაზე მობილური სექტორი, ასრულებს მნიშვნელოვან დამბალანსებელ როლს და აერთიანებს ქვეყნის შრომითი რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს. იგი არის ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნების მეწარმეობის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ფორმა.

მცირე ბიზნესს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება

[1] მეწარმეობაც ხომ, ფაქტობრივად, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობაა.

საწარმოები, რომლებიც პასუხობენ ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან ორს მაინც: დამოუკიდებელი მართვა; საკუთარი კაპიტალი; მოქმედების ლოკალური რაიონი; წარმოების შედარებით მცირე სიდიდე; თანამშრომელთა მცირე რაოდენობა; საბრუნავი კაპიტალის შედარებით მცირე მოცულობა.

მცირე ბიზნესი თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია. იგი წარმოადგენს ეკონომიკის თანამედროვე ნეოლიბერალური მოდელის საფუძველს და საბაზრო ეკონომიკის პირობებში უზრუნველყოფს ძირითად კონკურენციულ უპირატესობას, საბაზრო მექანიზმს ანიჭებს აუცილებელ მოქნილობას და ქმნის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების წანამძღვრებს, ერთი მხრივ, ახდენს შესაბამისი კონკურენციული გარემოს ფორმირებას, ხოლო, მეორე მხრივ, - ახალი იდეების გენერირებას.

როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მცირე ბიზნესი წარმოადგენს მსხვილი კორპორაციული, მონოპოლიური კომპანიების საფუძველს.[1]

ამერიკაში გავრცელებულია გამონათქვამი, რომლის მიხედვითაც «ამერიკული ეკონომიკის ხერხემალს დიდი კორპორაციები წარმოადგენენ, მის კუნთებს კი მცირე ფირმები ქმნიან». ნიშანდობლივია, რომ უკანასკნელ წლებში აშშ-ში მცირე ბიზნესს ამერიკული ეკონომიკის ტვინსაც კი ადარებენ. ეს იმიტომ, რომ მრავალი ახალი მეცნიერებატევადი საწარმო, რომელშიც ქვეყნის სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალის დიდი ნაწილია ჩართული, მცირე კერძო ორგანიზაციების სახით არის წარმოდგენილი.

თანამედროვე პირობებში მცირე ბიზნესის საწარმოები ფუნქციონირებენ არა მარტო ისეთ ტრადიციულ დარგებში, როგორიცაა მსუბუქი და კვების მრეწველობა, არამედ სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებენ მანქანათმშენებლობაში, ოპტიკური ხელსაწყოების წარმოებაში, ქიმიურ და ელექტროტექნიკურ მრეწველობაში, განათლებაში, ხელოვნებაში, კულტურაში, ფიზკულტურასა და სპორტში, სამედიცინო, საკონსულტაციო, საყოფაცხოვრებო, რეკრეაციული, ტურისტული და მომსახურების ყველა სხვა სფეროში, რომელშიც კანონმდებლობით ადამიანის საქმიანობა აკრძალული არ არის. მათი კლასიფიკაცია ხორციელდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

რაოდენობრივი მაჩვენებლებია: საწარმოში დასაქმებულთა რიცხოვნობა (ყველაზე გავრცელებული მაჩვენებელი); წარმოების წლიური მოცულობა; გაყიდვების წლიური მოცულობა; აქტივების საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება. ამასთან, რაოდენობრივი შკალა განსხვავებულია ცალკეული ქვეყნებისა და დარგების მიხედვით (ზოგიერთ ქვეყანაში კი რეგიონების მიხედვითაც).

ხარისხობრივი მაჩვენებლებია: საწარმო ფლობს ბაზრის მცირე წილს; საწარმოს მართვა ხორციელდება პირადად მისი მფლობელის მიერ; საწარმო წარმოადგენს დამოუკიდებელს, ე.ი. არ ემორჩილება მსხვილ კომპანიას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აღნიშნული მაჩვენებლების რაოდენობრივი შეფასება სხვადასხვანაირია სხვადასხვა ქვეყნების, მოცემული ქვეყნის რეგიონებისა და დარგების მიხედვით [2. გვ. 113].

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია (ОЭСР), რომელშიც შედიან განვითარებული ქვეყნები, განსაზღვრავს საწარმოთა შემდეგ კლასიფიკაციას: 19 კაცამდე რაოდენობით - როგორც «მეტად მცირეს», 90-მდე კაცს - როგორც «მცირეს», 100-დან 499 კაცამდე - როგორც «საშუალოს» და 500-ზე მეტი – როგორც «მსხვილს».

სსრკ-ის და, მათ შორის, რუსეთის პრაქტიკაში მცირე მეწარმეობის, როგორც ეკონომიკური საქმიანობის, არსებობა დაიწყო 1988 წელს. იმ პერიოდისათვის მცირეს მიაკუთვნებდნენ სახელმწიფო საწარმოებს, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა არ აღემატებოდა 150 კაცს. სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს მიერ 1990 წილს აგვისტოში დადგენილების შესაბამისად, რომელიც მიღებული იყო, მცირე საწარმოებს მიეკუთვნებოდნენ საწარმოები, რომლებშიც ყოველწლიური დასაქმებული არ აღემატებოდა: მრეწველობაში – 200 კაცს, მეცნიერებაში და მეცნიერულ მომსახურებაში – 100 კაცს, საწარმოო სფეროს სხვა დარგებში – 50 კაცს, არამწარმოებლურ სფეროს დარგებში – 25 კაცს, საცალო ვაჭრობაში – 15 კაცს. ამასთან ერთად, გათვალისწინებული იყო სამეურნეო ბრუნვის მოცულობაც. დასაქმებულთა რაოდენობრივი მნიშვნელობის განსაზღვრის უფლება ენიჭებოდათ მოკავშირე რესპუბლიკებს, მაგრამ სამეურნეო ბრუნვის მოცულობა პრაქტიკულად, მაინც არ იქნა დადგენილი.

«მცირე მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ» რფ-ის ფედერალური კანონის (14.06.1995) შესაბამისად, მცირე მეწარმეობის სუბიექტად მიჩნეულია: კომერციული ორგანიზაციები, რომელთა საწესდებო კაპიტალში რუსეთის ფედერაციის სუბიექტების, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების), საქველმოქმედო და სხვა ფონდების წილი 25%-ს არ აღემატება; წილი, რომელიც ეკუთვნის ერთ ან რამოდენიმე პირს, რომლებიც არ წარმოადგენენ მცირე მეწარმეობის სუბიექტებს, არ აღემატება 25%-ს და რომელშიც დასაქ-

[1] უმსხვილესი თანამედროვე კორპორაციები IBM, MacDonald's, Microsoft და სხვები, სწორედ რომ, მცირე ზომის საწარმოებიდან არიან შობილი.

მებულ მუშაკთა საშუალო-წლიური რიცხოვნობა საანგარიშო პერიოდში არ აღემატება ზღვრულ დონეს:

- მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე – 100 კაცს;
- სოფლის მეურნეობასა და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში – 60 კაცს;
- საბითუმო ვაჭრობაში – 50 კაცს;
- საცალო ვაჭრობასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში – 30 კაცს;
- დანარჩენ დარგებსა და სხვა სახის საქმიანობის განხორციელებაში – 50 კაცს.[1]

მცირე საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ რამდენიმე სახის საქმიანობას (მრავალპროფილიანები), კრიტერიუმის მიხედვით მიეკუთვნებიან მცირეს იმ საქმიანობის სახით, რომლის ხვედრითი წილი წარმოადგენს ყველაზე მეტს ბრუნვის წლიურ მოცულობაში ან მოგების წლიურ მოცულობაში.[2]

განვითარებულ ქვეყნებში, საბაზრო ეკონომიკის სუბიექტების კლასიფიკაციის მიზნით, გამოყენებულია სხვადასხვა კრიტერიუმები. ასე მაგალითად:

ევროპის საბჭოში შემავალ ქვეყნებში ეკონომიკის ყველა სუბიექტი იყოფა შემდეგნაირად: მიკროსაწარმოები, მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები. ამავე ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მისაკუთვნებლად გამოყენებულია შემდეგი კრიტერიუმები:

- მიკროსაწარმოები – 1-დან – 9-მდე ადამიანის რიცხოვნობით;
- მცირე საწარმოები – 10-დან – 49-მდე ადამიანის რიცხოვნობით;
- საშუალო – 50-დან – 249-მდე ადამიანის რიცხოვნობით;
- მსხვილი საწარმოები – 250 და მეტი ადამიანის რიცხოვნობით.

ამრიგად, ევროსივრცეში ბიზნეს-ობიექტი მცირე საწარმოს რომ მივაკუთვნოთ, ადამიანების ზღვრული სიდიდე უნდა შეადგენდეს არა უმეტეს 49-ისა, მაშინ, როდესაც რუსეთის ეკონომიკის ცალკეულ დარგებში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს არა უმეტეს 100 ადამიანისა.

მთლიანად, ამ ქვეყნებში, რიცხოვნობის გარდა, გამოიყენება სხვა კრიტერიუმიც – საქონელბრუნვა (არაუმეტეს 40 მილიონი ევრო). მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს აგრეთვე მცირე საწარმოთა დამოუკიდებლობა, მაგრამ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში რაოდენობრივი კრიტერიუმები მნიშვნელოვნად განსხვავებულია:

ავსტრიაში ასეთი კრიტერიუმებია: მომუშავეთა რიცხოვნობა არაუმეტეს 50_კაცისა, ამასთან, წლიური შემოსავალი – არაუმეტეს 5 მლნ ევრო, ან აქტივების საბალანსო ღირებულება – არაუმეტეს 2 მლნ ევრო. ორივე შემთხვევაში საწარმოს საკუთრებაში გარე მესაკუთრეების ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს. ეს უკანასკნელი კრიტერიუმი შეესაბამება რუსეთის პრაქტიკას.

გერმანიაში მცირე და საშუალო საწარმოს მიკუთვნების კრიტერიუმებია: არაუმეტეს 500 კაცი, წლიური ბრუნვა – არა უმეტეს 100 მლნ ევრო.

იტალიაში მიკროსაწარმოს აკუთვნებენ ბიზნეს-ობიექტს, რომელშიც დასაქმებულია არა უმეტეს 19 კაცისა, ხოლო მცირეს – 20-დან 49 კაცამდე. მცირე და საშუალო საწარმოს წარმოადგენს საწარმო, რომელშიც მომუშავეთა რიცხვი შეადგენს 100-დან 199 კაცამდე.

პორტუგალიაში მცირე საწარმოს მიეკუთვნება საწარმო, რომელიც დასაქმებულია მატერიალური წარმოების სფეროში, სამთო-მომპოვებელ მრეწველობაში, სხვა საწარმოებისათვის მომსახურების გაწევაში, აგრეთვე საწარმოები, რომლებიც მოქმედებენ საბითუმო და საცალო ვაჭრობაში. ამასთან, წლიური ბრუნვა მცირე საწარმოებში არ უნდა აღემატებოდეს 12,1 მლნ ევროს, ხოლო სხვა საწარმოების კაპიტალში წილი არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს.

შვეიცარიაში მცირე და საშუალო საწარმოს მიეკუთვნება საწარმოები მომუშავეთა_რიცხოვნობით - არა უმეტეს 200 კაცისა. მცირე და საშუალო საწარმოთა კლასიფიკაციისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

- ზრდის სტადია (საწყისი, გადარჩენა, ზრდა);
- საქმიანობის გეოგრაფიული სფერო (ლოკალური, რეგიონული, ეროვნული მასშტაბები);
- დარგობრივი კუთვნილება;
- მფლობელებისა და მმართველების სპეციფიკური მახასიათებლები (მაგალითად, ქალი – მეწარმე, უცხოელები და ა.შ.);
- პრობლემების ტიპი, რომლებიც დამახასიათებელია საწარმოსათვის (მაგალითად, პროდუქციის ხარისხის მართვა, ფინანსირება და ა.შ.).

იაპონიაში გამოიყენება მცირემასშტაბიანი საწარმოს ცნება, მომუშავეთა რიცხოვნობით – 20 კაცამდე, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში – 5 კაცამდე.

პრაქტიკულ ინტერესს იწვევს აშშ-ის გამოცდილება. აქ მცირე საწარმოდ ითვლება საწარმო,

[1] საანგარიშო წელს მცირე საწარმოს საშუალო რიცხოვნობა განისაზღვრება მათი ყველა თანამშრომლის გათვალისწინებით, მათ შორის იანგარიშებიან ისინიც, ვინც მუშაობენ სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებით და შეთავსებით რეალურად გამომუშავებული დროის გათვალისწინებით.

[2] რუსეთის ფედერაციაში დიფერენცირებული კრიტერიუმები გამოიყენება ასევე ფედერაციის სუბიექტების მიხედვით. მაგალითად, ქ. მოსკოვის კანონებით მცირე მეწარმეობის სუბიექტს მიეკუთვნებიან ინდივიდუალური მეწარმეებიც, ე.ი. ფიზიკური პირები, რომლებიც დასაქმებულნი არიან სამეწარმეო საქმიანობით, იურიდიული პირის ჩამოყალიბების გარეშე.

რომელიც იმართება დამოუკიდებელი მესაკუთრეების მიერ და, რომელსაც დომინირებული მდგომარეობა არ უკავია ბაზარზე. რაოდენობრივ კრიტერიუმებს (დაქირავებული მუშაკების რიცხვი ან წლიური ბრუნვა) ყოველი ცალკეული დარგისათვის, სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკატორის შესაბამისად, დარგის თავისებურებებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ადგენს მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია.

მაგალითად, მშენებლობაში მცირე საწარმოს მიაკუთვნებენ საწარმოს – წლიური ბრუნვის მოცულობით 7 მლნ დოლარიდან (საქმიანობის სახეების მიხედვით), სოფლის მეურნეობაში – წლიური ბრუნვით 3,5 მლნ დოლარიდან, ცალკეულ დარგებში – 0,5 მლნ დოლარიდან.

<u>დიდ ბრიტანეთში,</u> „კომპანიების შესახებ კანონის“ (1981, 1986 და 1989 წწ. ცვლილებებით) შესაბამისად, მცირე საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან ორს მაინც: ბრუნვა - არა უმეტეს 2,3 – მლნ ფ. სტერლინგი, აქტივი – არაუმეტეს 1,5 მლნ ფ. სტერლინგი; დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა – 50 კაცამდე. გამოიყენება, აგრეთვე, უფრო კონკრეტული დარგობრივი მაჩვენებლები: მომუშავეთა რიცხოვნობა, ბრუნვა, ხოლო ტვირთზიდვაში – ავტომობილების რაოდენობა.

<u>ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში,</u> როგორც წესი, საწარმოთა მცირე საწარმოდ მიკუთვნების კრიტერიუმებს წარმოადგენს მომუშავეთა რიცხოვნობა, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში გამოიყენება სხვა მაჩ-ვენებლებიც. <u>უკრაინაში,</u> მაგალითად, ასეთ კრიტერიუმებს წარმოადგენს მხოლოდ მომუშავეთა რიცხვი. იმის მიხედვით, თუ რომელი დარგის საწარმოა, მრეწველობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე – არაუმეტეს 100 კაცისა; კვლევებში და დამუშავებებში – არაუმეტეს 60 კაცისა, საბითუმო ვაჭრობაში – არაუმეტეს 50 კაცისა, საცალო ვაჭრობაში – არაუმეტეს 20 კაცისა.

<u>ბალტიისპირა</u> ქვეყნებში გამოყენებული კრიტერიუმები იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს. <u>ლატვიაში,</u> მაგალითად, მცირე საწარმოს აკუთვნებენ ბიზნეს-ობიექტს, რომელშიც მომუშავეთა რიცხვი არ აღემატება 25 კაცს, ბრუნვა შეადგენს არაუმეტეს 200 ათასი ლატისა, ხოლო ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება – არაუმეტეს 70 ათასი ლატისა. <u>ესტონეთში</u> – მცირე საწარმოს მიაკუთვნებენ ბიზნეს-ობიექტს მომუშავეთა რიცხვით – არაუმეტეს 80 კაცისა და 15 მლნ ესტონური კრონის წლიური ბრუნვით; <u>ლიტვაში,</u> – შესაბამისად, არაუმეტეს 100 კაცისა და 2 მლნ ლიტისა.

საზღვარგარეთული და სამამულო გამოცდილების ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ მცირე ბიზნესის საწარმოებს ახასიათებს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

დადებითი მხარეებია: ადგილობრივ პირობებთან იოლი ადაპტაცია; მცირე საწარმოთა მოქმედების დიდი დამოუკიდებლობა, მოქნილობა და მიღებულ გადაწყვეტილებათა მიღებასა და შესრულებაში ოპერატიულობა; საქმიანობის განხორციელების (განსაკუთრებით მართვის დროს) შედარებით დაბალი ხარჯები; ინდივიდის დიდი შესაძლებლობა - რეალიზაცია გაუკეთოს თავის იდეებს, გამოავლინოს თავისი უნარი; საწყის კაპიტალზე შედარებით მცირე მოთხოვნილება და ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის საპასუხოდ სწრაფი ცვლილებები პროდუქციის ასორტიმენტსა და წარმოების პროცესში; საკუთარი კაპიტალის უფრო მაღალი ბრუნვადობა და სხვა.

აშშ-ს საერთაშორისო ბიუროს მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მცირე და საშუალო საწარმოებს, მსხვილ კომპანიებთან შედარებით, გააჩნიათ მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობები: ისინი ერთ მუშაკზე გაანგარიშებით ბევრად უფრო ნაკლებ კაპიტალდაბანდებებს თხოულობენ და ფართოდ იყენებენ ადგილობრივ მატერიალურ და შრომით რესურსებს.[1]

აღსანიშნავია ისიც, რომ მცირე ბიზნესის მფლობელები უფრო მეტად მიმართავენ სახსრების დაზოგვას, ორიენტირებულნი არიან ინვესტირებაზე, წარმატების მიღწევაში მათ ყოველთვის პირადი მოტივაციის მაღალი დონე აქვთ, რაც დადებითად მოქმედებს საწარმოს საქმიანობაზე. მცირე ბიზნესი უკეთესად არის ინფორმირებული ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის შესახებ, ხშირად საქონელს აწარმოებს კონკრეტული მომხმარებლის შეკვეთით, არსებობის საშუალებას აძლევს დაქირავებული მუშების მნიშვნელოვან რაოდენობას. მცირე ბიზნესი, მსხვილ საწარმოებთან შედარებით, ხელს უწყობს უმუშევარი მოსახლეობის დასაქმების ზრდას, და პროფესიონალი მუშაკების მომზადებასა და პრაქტიკული ცოდნის გავრცელებას. მცირე ბიზნესს, მსხვილთან შედარებით, ცალკეულ ქვეყნებში უკავია დომინირებული მდგომარეობა როგორც რიცხოვნობით, ასევე საქონლის (შესრულებული სამუშაოს, მომსახურების) წარმოების ხვედრითი წონის მიხედვით.

მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მცირე ბიზნესს ახასიათებს გარკვეული *უარყოფითი მხარეებიც*, რომელთა შორისაა: რისკის უფრო მაღალი დონე, რაც განაპირობებს ბაზარზე მდგომარეობის

[1] აშშ-ის ნაციონალური სამეცნიერო ფონდის შეფასებით, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოებში იმ ფირმის მიერ ჩადებული ყოველი დოლარი, რომელშიც დასაქმებულთა რიცხვი «100 კაცამდეა», ახორციელებდა 4-ჯერ უფრო მეტი სიახლეების დანერგვას, ვიდრე ფირმები რიცხოვნობით 1000-დან 10000-მდე კაცით და 24-ჯერ მეტს, ვიდრე კომპანიები დასაქმებულთა რიცხვით 10000-ზე მეტი კაცით.

ნაკლებ სიმყარეს; მსხვილ კომპანიებზე დიდი დამოკიდებულება; თავისი საკუთარი საქმის მართვაში დაშვებული შეცდომები; ხელმძღვანელთა სუსტი კომპეტენტურობა, მეურნეობრიობის პირობების ცვლილებებისადმი ამაღლებული მგრძნობელობა; დამატებითი ფინანსური სახსრების სესხებასა და კრედიტების მიღებაში სიძნელეები; სამეურნეო პარტნიორების ნაკლები თვითდაჯერებულობა, ხელშეკრულებების და -დებისას სიფრთხილე და სხვა.

რა თქმა უნდა, მცირე ბიზნესის სუბიექტების უარყოფითი მხარეები და წარუმატებლობა განისაზღვრება მათ ფუნქციონირებაში არსებული როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მიზეზებით, პირობებით. მცირე ფირმების წარუმატებლობა ყველაზე მეტად დაკავშირებულია მათი მესაკუთრეების მენეჯერულ გამოუცდელობასთან, ანუ პროფესიულ არაკომპეტენტურობასთან.[1]

მცირე ბიზნესის წარუმატებლობის მიზეზია აგრეთვე მეწარმეთა დაბალი კვალიფიკაცია. მეწარმე, რომელმაც მცირე ფირმის გაძღოლაში უკვე დააგროვა გამოცდილება, როგორც წესი, უფრო წარმატებულია.[2] მცირე ფირმების სიცოცხლისუნარიანობაზე გავლენას ახდენს ფირმის არსებობის პირველ ეტაპზე დაფინანსების სიდიდე; რაც უფრო მეტი საწყისი კაპიტალია დაბანდებული ფირმაში, მით მეტი შანსი აქვს მას შეინარჩუნოს თავისი საქმიანობა კრიზისულ პერიოდში.

მცირე ბიზნესის წარმატების შანსი იზრდება მისი მომწიფებისა და განვითარების შესაბამისად. ფირმები, რომლებიც დიდხანს არსებობენ ერთი მფლობელის ხელში, იღებენ უფრო მაღალ და სტაბილურ შემოსავალს, ვიდრე ის ფირმები, რომლებიც ხშირად იცვლიან მფლობელს. ამერიკული სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მცირე ფირმების მფლობელი ქალები უფრო წარმატებული არიან ბიზნესში, ვიდრე მამაკაცები. კვლევების შედეგები ადასტურებს, რომ წარმატებებს აღწევენ ის მცირე ფირმები, რომლებიც ბევრს მუშაობენ, მაგრამ, ამავე დროს, არ გადადიან გონივრული აზრის საზღვრებს.

დაბოლოს, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საზოგადოების მოთხოვნილებების მუდმივი ძიება და მათდამი უწყვეტი მორგება წარმოადგენს მცირე ბიზნესის სტრატეგიის საფუძველს. ზოგიერთი დასავლელი სპეციალისტი მცირე ბიზნესს განიხილავს, როგორც ახალი პიროვნული ურთიერთობების სკოლას, მომავალში მეწარმეობის განვითარების ორგანიზაციის მეთოდებისა და პრინციპების გამოცდის პოლიგონს. მაგრამ, მრავალი საწარმოსაგან განსხვავებით, მცირე ბიზნესის მეურნეობრიობის ნაკლებად ხელსაყრელი პირობები განაპირობებენ მათ ნაკლებ სიმყარესა და ნაკლებ კონკურენტუნარიანობას, ამიტომ იგი საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ეს მხარდაჭერა ხორციელდება სახელმწიფო ცენტრალური და რეგიონული პროგრამების შესაბამისად. სამწუხაროდ, საქართველოში მცირე ბიზნესისადმი მხარდაჭერის მწყობრი სისტემა ჯერჯერობით არ არსებობს.

[1] აშშ-ში რეგულარულად მიმდინარე გამოკითხვების შედეგად დადგენილია, რომ მცირე ბიზნესის წარუმატებლობის მთავარ მიზეზად ყველაზე ხშირად ასახელებენ ბიზნესმენების არაკომპეტენტურობას, დაუბალანსებელ გამოცდილებას (მაგალითად, გამოცდილი ინჟინერია, მაგრამ გამოუც-დელი კომერსანტი) და ა.შ.

[2] თუ ფირმის მართვაში მონაწილეობს არა ერთი ადამიანი, არამედ მეწარმეთა გუნდი, რომელიც შედგება ორი, სამი და ოთხი ადამიანისაგან, გადარჩენის შანსი უფრო მაღალია, ვინაიდან გადაწყვეტილების კოლექტიური მიღება უფრო პროფესიონალურია.

ლიტერატურა:

1. Большая экономическая энциклопедия. -М., 2007.
2. М.Г.Капуста, Ю.Л.Старостин. Малое предпринимательство, учебник. - Москва, 2007.
3. გველესიანი რ. მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა. - თბ., 1999.
4. სამადაშვილი უ. ბიზნესის საფუძვლები. - თბ., 2009.
5. თოდუა გრ., გოგოხია რ., ქუტიძე რ. ეკონომიკის პრინციპები. მიკროეკონომიკა (ლექციების კურსი). - თბ., 2008.
6. შენგელია თ. თანამედროვე ბიზნესის საფუძ-ვლები (ნაწილი I). - თბ., 2007.

***Advadze David** – doctoral candidate of Holy Apostle St Andrew the First-Called Georgian University of Georgian Patriarchate*

Quantitative and qualitative indicators of classification of small-scale business enterprises

SUMMARY

The article dedicates to the study of the role and place of small-scale business in national economy. The article, on the base of newest sources considers crucial issues connected with development of small-scale business: essence and economic content of small-scale business; quantitative indicator of classification of small-scale business: number of employers in enterprise, annual production, annual sale, average annual book value of assets; qualitative indicator of classification of small-scale business: enterprise owns small part of market, managing of enterprise carries out personally by the owner, enterprise represents independent unite; Criteria for recognition as small-scale business and its characteristic in different countries of the world; positive and negative sides of enterprises of small-scale business.

ფუნქციური დონის კონკურენტული სტრატეგიები მცირე ბიზნესისათვის

მაია სოსელია, *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
თამარ როსტიაშვილი, *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

ფუნქციური სტრატეგიების დედაარსი მდგომარეობს გეგმურ-მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებაში ხელსაყრელი მიზნობრივი ბაზრის დასაბუთების, მყიდველების მაქსიმალური ოდენობის მოზიდვისა და სასურველი შემოსავლების მისაღებად წარმატებული პოზიციონირებისათვის.

გასაღების მიზნობრივი ბაზრების დასაბუთების ფუნქციონალური სტრატეგია გულისხმობს გეგმურ-მმართველობითი გადაწყვეტილებების ინტეგრაციას ლოკალურ დონეზე ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: გასაღების რომელ ბაზრებზე უნდა გავიდეთ? რა დროს? რა მოცულობით ვაწარმოოთ საქონელი და მომსახურებები დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების გათვალისწინებით? როგორი მისაღები ფასებით შევუდგეთ საქონლისა და მომსახურებების რეალიზაციას?

ბაზრის დასაბუთების სტრატეგიის მთავარი მიზნობრივი ფუნქციაა მაქსიმალური შედეგების მიღება მინიმალური დანახარჯებით და რისკებით.

მომხმარებელთა მოზიდვის სტრატეგია ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს მიზნობრივი ბაზრის ათვისებაში. მომხმარებელზე ორიენტაცია სარკისებურად ასახავს მარკეტინგის ანალიტიკურ ფუნქციას, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ფირმის კომერციულ წარმატებაზე.

ფირმის მარკეტინგული ძალისხმევა სხვადასხვა მოდელების შემუშავებაზე კონცენტრირებული უნდა იყოს მომხმარებელთა მოსაზიდად. ამ ძალისხმევის საფუძველია მოხმარების მოტივაციის კომპლექსური ანალიზი, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- მოთხოვნის სტრუქტურისა და მისი ცვლილებების დინამიკის ანალიზი ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გათვალისწინებით;
- სამომხმარებლო დაკმაყოფილებულობის, ინფორმირების, შეძენის არჩევანზე გავლენის მქონე ფაქტორების ანალიზი;
- ძირითადი კონკურენტი სავაჭრო მარკების იმიჯის ანალიზი პროდუქციის საბოლოო მომხმარებლებთან;
- კორპორაციული სავაჭრო მარკის ერთგულების შეფასება და ბრენდის ფორმირების შესაძლო რეზერვების გამოვლენა.

მომხმარებელთა მოზიდვის სტრატეგიის ძირითადი არსია სეგმენტაციის პროცესი.

მომხმარებელთა სეგმენტაცია ბაზრის ნაწილის გამოყოფაა, რომელშიც მყიდველები ერთნაირად რეაგირებენ შემოთავაზებული საქონლისა და მომსახურებების სამომხმარებლო თვისებებზე. მომხმარებელთა ერთობლიობის ერთგვაროვან მიზნობრივ ჯგუფებად დაყოფის აღნიშნული პროცესი გვაძლევს შესაძლებლობას მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მყიდველთა მოთხოვნები და სასურველი მიმართულებით წარვმართოთ მარკეტინგული ძალისხმევა.

მომხმარებელთა სეგმენტაციის პროცესის შედეგებია:

- მომხმარებელთა მოთხოვნებისადმი სწრაფი ადაპტაცია და მათი მაქსიმალური დაკმაყოფილება;
- დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის გამოვლენა, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას სათანადო კორექტივები შევიტანოთ მარკეტინგულ სტრატეგიებში;
- ახალი საქონლის კონცეფციის ორგანული დაკავშირება მიზნობრივ სეგმენტში სასიცოცხლო ციკლის სტრატეგიასთან;
- კომპანიის კონკურენტული უპირატესობების გაძლიერება ფასების ზღვრის დროული შეფასების, ხელსაყრელი ასორტიმენტისა და კლიენტთა სერვისული მომსახურების ხარჯზე;
- პოზიტიური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება მყიდველთა მიზნობრივ აუდიტორიებში.

პრაქტიკაში სეგმენტაციის მრავალმხრივი პროცესი ხორციელდება მთელი რიგი კრიტერიუმისა და ნიშნის გათვალისწინებით. სეგმენტაციის პროცესის ძირითად კრიტერიუმებად გათვალისწინებული უნდა იქნას:

1. რაოდენობრივ საზღვრები, რომლებიც წარმო-

ადგენს მომხმარებელთა გამოყოფილი ჯგუფების გაზომვადობის კრიტერიუმებს, სახელდობრ: რეალური და პოტენციური მომხმარებლების რაოდენობას; სეგმენტის ფართობს; საბაზრო წილს და გაყიდვების მოცულობას; სეგმენტის ტევადობასა და პოტენციალს.

2. სეგმენტის მისაწვდომობა, რაც ასახავს კომპანიის ერთობლივ შესაძლებლობებს ინფორმაციული უზრუნველყოფის, ხელსაყრელი დისტრიბუციის, ლოგისტიკური ფორმებისა და მატერიალური ნაკადების მართვის მეთოდების თვალსაზრისით.

3. სეგმენტის მდგრადობა, რომელიც გულისხმობს მოთხოვნის სტაბილურობის შეფასებას კორპორაციულ საქონელსა და მომსახურებასთან დაკავშირებით მომხმარებელთა გადახდისუნარიანობისა და საბაზრო კანონზომიერებების გათვალისწინებით.

4. სეგმენტის სარგებლიანობა, რომელიც მოიცავს მის შემოსავლიანობას, მოგების ზრდის ტენდენციებს მიმდინარე და ხანგრძლივ პერსპექტივაში ერთობლივი დანახარჯების შესაძლო ეკონომიის გათვალისწინებით, კონკურენციისაგან დაცულობას.

5. სეგმენტის კომუნიკაციურობა გულისხმობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, საზოგადოებასთან კავშირის, მასმედიისა და ინტერნეტის ეფექტიან გამოყენებას იმიჯისა და პოზიტიური საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად.

მომხმარებელთა სეგმენტაციის პროცესის ორგანიზაცია გამოყოფს ისეთ ნიშნებს, როგორიცაა: ქცევითი, სოციალურ-დემოგრაფიული, ფსიქოგრაფიული და გეოგრაფიული.

სეგმენტაციის პროცესის კომპლექსური შეფასების შედეგად ხელმძღვანელობას გამოაქვს ვერდიქტი საბაზრო მონაწილეობის მიზანშეწონილობის, მარკეტინგულ საქმიანობაზე ბიუჯეტის ნაწილის გამოყოფის შესახებ.

მომხმარებელთა მოზიდვის სტრატეგია წარმოადგენს ფუნქციური დონის ფაქიზ ინსტრუმენტს, რომელიც მოწოდებულია პოტენციური მყიდველების მიზნობრივი ჯგუფების გამოსაყოფად ერთობლივი კრიტერიუმებისა და ნიშნების გათვალისწინებით. მოცემული სტრატეგიის წარმატება ხელს უწყობს მარკეტინგის მართვისადმი სისტემური მიდგომის გამომუშავებას.

სეგმენტირებისათვის გაწეული მუშაობა განსაზღვრავს მიზნობრივი ბაზრის არჩევანს. მიზნობრივი ბაზარი საერთო მოთხოვნილებებისა და საჭიროებების მქონე მყიდველთა ერთობლიობაა, რომლის მომსახურებასაც აპირებს კომპანია. მიზნობრივი გასაღების ბაზრის არჩევანი ხორციელდება სამ ეტაპად:

მიმზიდველი გასაღების ბაზრების რანჟირება ხორციელდება საბაზრო გარემოს ფაქტორების, კონკურენციის, შესაძლო რისკების, სახელმწიფო რეგულირების სისტემის, სამომხმარებლო მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის ხარისხის, ბაზრის წილისა და მყიდველთა მიზნობრივი აუდიტორიების ქცევის ტენდენციების კომპლექსური შეფასების გათვალისწინებით.

მიზნობრივი ბაზრის კომპლექსური ანალიზი მოიცავს: განაწილებისა და პრომოუშენის არხებს, კონკურენციის ლიდერის, ბაზრის ძირითადი მაჩვენებლების, მისი ტევადობის, კონიუნქტურის, სეგმენტაციის, საქონლის სასიცოცხლო ციკლის სტრატეგიის, სერვისულობის შესაძლო დონის ძირფესვიან შეფასებას.

სტრატეგიის შემუშავება ფირმის რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით (მესამე ეტაპი) სრულდება კომპანიის უმაღლესი ხელისუფლების მიერ პირველი ორი ეტაპის სისტემური შეფასების გამოყენებით. მუშავდება საბაზრო მონაწილეობის სტრატეგიები, მათ შორის პორტფელური, კორპორაციული და ოპერაციული.

ბაზრის სეგმენტაციის შემდეგ საჭიროა მუშაობის ჩატარება პოზიციონირების რუკის ასაგებად, რომელიც გამოიყენება საწარმოთა კონკურენტული პოზიციების შესაფასებლად.

პოზიციონირების რთული პროცესის ძირითადი მდგენელებია:

1) საბაზრო ტენდენციებისა და კანონზომიერებების მარკეტინგული კვლევები უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით;

2) მყიდველთა ქცევის სისტემური ანალიზი ყოველი კლიენტის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის საფუძვლიანად გათვალისწინების პოზიციიდან, რათა შეიქმნას მომსახურებათა ინდივიდუალური სპექტრი, რომელიც მოიცავს ფასს, ხარისხსა და საიმედოობას;

3) სტრატეგიები და მარკეტინგული პროგრამები პოზიციონირების მიმართულებების მიხედვით;

4) ბიზნესის დივერსიფიკაცია სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების ახალი სახეების შემუშავების შედეგად;

5) მარკეტოლოგების მაღალპროფესიული გუნდი, რომელიც ფლობს მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდებს.

მიზნობრივი ბაზრისა და მომხმარებელთა მოზიდვის დასაბუთებისათვის ფუნქციური სტრატეგიების

არსებითი დანამატია პოზიციური სტრატეგიები.

პოზიციური სტრატეგიებში ვგულისხმობთ გეგმურ-მმართველობითი გადაწყვეტილებებს –კომპანიის პოპულარობისა და მაღალი იმიჯის შექმნის მიზნით ეფექტიანი მარკეტინგული კომუნიკაციების ორგანიზაციისათვის

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კონკურენტული სტრატეგიები იძლევა შესაძლებლობას:

- დროულად გამოვლინდეს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა და ხარისხიანად დაკმაყოფილდეს იგი;
- რაციონალურად იქნას გამოყენებული რესურსული პოტენციალი და სწორად იქნეს წარმართული მცირე ორგანიზაციის რესურსული პოტენციალი;
- ჩამოყალიბდეს სასურველი იმიჯი და მოპოვებულ იქნეს მომხმარებელთა აღიარება.

Maya Soselia, *professor GTU*
Tamar Rostiashvili, *professor GTU*

SUMMARY

Functional content of the planned strategies for small organizations - management decisions in the development of evidence favorable target market, buyers and attract maximum amount of income you receive for successful positioning.

Competitive Strategies enables us to:

• identify unsatisfied demand for timely and quality to satisfy it;

• rational use of the resource potential and properly managed the organization's resource potential;

• establish a dignified image and obtain the recognition of consumers.

ბიზნესის და სახელმწიფოს ურთიერთობის ფორმები და მეთოდები

რამაზ ოთინაშვილი *– სტუ-ს სრული პროფესორი*

სახელმწიფო არის ხელისუფლების განსაკუთრებულად ორგანიზებული ინსტიტუტი, რომელსაც გააჩნია მართვისა და იძულების სპეციალური აპარატი. ხელმძღვანელობს რა საზოგადოებას ხელისუფლება უზრუნველყობს მის ინტეგრაციას, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ.[1] სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირობებია: სუვერენიტეტი, ტერიტორია, მოსახლეობა, დიპლომატიური აღიარება და შიდა ორგანიზაცია. ამ უკანასკნელში იგულისხმება, რომ ქვეყანას აუცილებლად უნდა ჰქონდეს გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურა. მისი გამოხატულებაა ხელისუფლება, კერძოდ მთავრობა, რომელიც ახორციელებს მართვას და უზრუნველყოფს საკუთარი მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლების დაცვას და ტერიტორიის უსაფრთხოებას.

კერძო ინტერესების დაკმაყოფილებაში საზოგადოების ეკონომიკური რესურსების ჩართვის ეფექტიანი საშუალება შეიძლება გახდეს ბაზარი და კონსტრუქციული დიალოგი სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის. *საკუთარი მიზნების რეალიზაციის პროცესში მეწარმეობა ობიექტურად, თავისი ნება-სურვილისგან დამოუკიდებლად ასრულებს მთელ რიგ საზოგადოებრივ ფუნქციებს, რომლებიც ასე თუ ისე ემთხვევა სახელმწიფოს ფუნქციებს. ამ გაგებით ბიზნეს პოტენციალის გარკვეული წილი უშუალოდ "მუშაობს" არა მხოლოდ საკუთარი – კერძო, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის,* (*ა. სმითის* „უხილავი ხელის თეორია").[2]

სახელმწიფოს გააჩნია არცთუ მცირე, მაგრამ შეზღუდული ეკონომიკური რესურსი საკუთარი ინტერესების ეფექტიანი და სრული რეალიზებისათვის. იგი დაინტერესებულია მათ ზრდაში კერძო ბიზნესის ეკონომიკური რესურსების მოზიდვის ხარჯზე - მთლიანი საზოგადოებისათვის განკუთვნილი რესურსების წილის ზრდაში და ოპტიმალურ გამოყენებაში. ურთიერთქმედების მიზანია მეწარმეობის საზოგადოებრივი ფუნქციების გაფართოება. ერთ შემთხვევაში ეს მიიღწევა ირიბი გზით, სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ეფექტური მოტივაციური მექანიზმის აგების გზით. რომელიც სტიმულს აძლევს მოცემული მიმართულების ბიზნესს. მეორეში - კანონმდებლობით რეგლამენტირებული საშუალებების მეშვეობით სახელმწიფოს მიერ სოციალური ფუნქციების რეალიზების მიზნით უპირატესად საბაზრო თვითრეგულირების "დისფუნქციების" ადგილებში, რომელთა შესრულების მიმართაც მეწარმეობა უკეთეს შემთხვევაში ინდიფერენტულია.

სახელმწიფოს ზემოთაღნიშნული ქმედებები არ უნდა თრგუნავდეს ბიზნეს აქტიობას, არამედ უზრუნველყოფდეს მათ აუცილებელ ეკონომიკურ თავისუფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო „მოჭრის იმ ტოტს", რომლითაც უზრუნველყოფილია მისი და მაშასადამე საზოგადოების კეთილდღეობა. ამ დროს აქტუალურია, ერთი მხრივ, განისაზღვროს ეკონომიკური თავისუფლების ოპტიმალური საზღვრები, მეორე მხრივ, მაქსიმალურად ჩაიდოს საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმები სახელმწიფოს ფუნქციების რეალიზაციის სტრუქტურებში - სახელისუფლებო და ბიზნეს სტრუქტურების კონსტრუქციული ურთიერთქმედების ძირითად მიზანში.

ურთიერთქმედების დამახასიათებელ ნიშნებსა და პრინციპებს განეკუთვნება:

- მხარეების ეკონომიკური ინტერესების კონსენსუსის უზრუნველყოფა;
- ურთიერთქმედების სუბიექტების ლეგიტიმურობა;
- ორმხრივი მორალურ-ეთიკური, გარკვეულ ფარგლებში - შესაბამისი კანონმდებლობით რეგლამენტირებული მხარეთა მატერიალური, ადმინისტრაციული და სამართლებრივი პასუხისმგებლობა;
- ურთიერთქმედების ეფექტურად მოქმედი ორმხრივი მოტივაციური მექანიზმის არსებობა;
- ეროვნული ეკონომიკური რესურსების ოპტიმალური გამოყენება, მისი მყარი ზრდისა და მთელი საზოგადოების სოციალური პროგრესის მიზნით;
- სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე საბაზრო თვითრეგულირებისა და სახელმწიფო ზემოქმედების მექანიზმების

[1] ზურაბიშვილი დ., ნაციონალიზნმი და გლობალიზაცია, თბ.2003.-445გვ.

[2] სმიტი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის მიზეზებისა და ბუნების შესახებ, თარგმანი ინგლისურიდან. თბილისი 1938.

ბალანსის უზრუნველყოფა.

ბიზნეს და სახელისუფლებო სტრუქტურების ურთიერთქმედების მექანიზმი დინამიურია. იგი იცვლება და იხვეწება საზოგადოების მწარმოებელ ძალთა, ტექნოლოგიების და საწარმოო ურთიერთობების განვითარების კვალობაზე. ინდუსტრიული საზოგადოება წარმოების განზოგადოების მაღალი დონის გამო კანონზომიერად გულისხმობს ხელისუფლებისა და ბიზნესის ურთიერთქმედების განსხვავებულ ფორმებსა და ხარისხს ვიდრე თავისუფალი კონკურენციის ეპოქის კაპიტალიზმი. თავის მხრივ, პოსტინდუსტრიული საზოგადოება, რომლის საფუძველია ინფორმაციული ტექნოლოგიები მოითხოვს, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ეროვნული პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციაში ბიზნეს სტრუქტურების მონაწილეობის თვისობრივად ახალ ფორმებს, ისე ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის ზღვრული, შუალედური ზონების მნიშვნელობის გაძლიერებას. *ურთიერთქმედების განსხვავებული ფორმები და მეთოდები უფრო მეტად დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკური სისტემებისათვის.*

სახელისუფლებო და ბიზნეს სტრუქტურების ურთიერთობების დიაპაზონი საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია და რეალიზდება საზღვრებში, რომლებიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც ეკონომიკური და სახელისუფლებო სტრუქტურების "ურთიერთქმედების ველი". იგი გულისხმობს ეკონომიკურ, ინსტიტუციონალურ, ორგანიზაციულ-სამართლებრივ და სოციალურ სივრცეს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ბიზნესის ურთიერთქმედება სახელმწიფოს ცენტრალურ და მუნიციპალური მართვის ორგანოებთან.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ახდენს ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ქონებრივი, ფისკალური, შრომითი და სხვა ურთიერთობების რეგლამენტირებას. ურთიერთიერთობების ორგანიზაციულ-სამართლებრივი მდგენელი მოიცავს ბიზნესს სტრუქტურების ჩართულობას ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის გამომუშავების პროცესში:

- მთლიანად ბიზნეს-საქმიანობა;
- კერძო საკუთრების ურთიერთობათა რეგულირება, სამეწარმეო კაპიტალისა და შემოსავლების დაბეგრვა, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა, ფასწარმოქმნის მექანიზმი;
- ეკონომიკური საქმიანობის გარკვეული სახეების ლიცენზირება.

ურთიერთობები ორგანიზაციულ-სამეურნეო სფეროში ვრცელდება:

- ბიზნეს სტრუქტურების კონსტრუქციული მონაწილეობა სახელმწიფო ფინანსურ, სამრეწველო, სტრუქტურულ და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება-რეალიზაციაში;
- სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების ხარჯზე საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სისტემას, ეროვნული ეკონომიკის კერძო სექტორში ზოგადსახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის შესაბამისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით;
- ერთობლივ (შერეულ) სახელმწიფო და კერძო მეწარმეობას;
- კვოტების არსებობას ბიზნეს სტრუქტურების საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში;
- ეკონომიკის სასაზღვრო, შუალედური „მესამე სექტორის" ფუნქციონირებასა და განვითარებას;
- სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონებისა და სხვა რესურსების იჯარით, რწმუნებით მართვას, ურთიერთმომგებიანი პირობების გამოყენებით;
- სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების განკარგულებაში არსებული სამეცნიერო კვლევების შედეგების, მონაცემთა ინფორმაციული ბაზის გამოყენების წესს;
- ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას;
- ბიზნეს აქტიურობის ხელშემწყობი "ცენტრების" გახსნას;
- ბუნებრივი მონოპოლიების საქმიანობის რეგულირებას და კეთილსინდისიერი კონკურენციის მხარდაჭერას;
- ცენტრალური და რეგიონული ბიზნესის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას და გაფართოებულ კვლავწარმოებას.

ურთიერთქმედება სოციალურ სფეროში მოიცავს:

- სოციალური პარტნიორობის სისტემის ჩამოყალიბებას, ფუნქციონირებას და განვითარებას, ქვეყნის განვითარების ისტორიული თავისებურებების გათვალისწინებით;
- რაციონალური სოციალური ინფრასტრუქტურის მშენებლობას, რაც უზრუნველყოფს ეფექტური ბიზნეს საქმიანობის შესაბამის პირობებს;
- მეწარმეებისა და მენეჯერების მომზადებისა და გადამზადების სისტემის ჩამოყალიბებას და ა.შ.

აღნიშნული სტრუქტურების ურთიერთქმედების დონე და სიხშირე დამოკიდებულია მრავალ ფაქ-

ტორზე. ურთიერთქმედების მეთოდების, ფორმებისა და ტექნოლოგიების სპეციფიკა, მისი სივრცითი მახასიათებლები ლოგიკურად განაპირობებს ამ ურთიერთობების სუბიექტების რაოდენობრივ და ხარისხობრივ განსაზღვრულობას. სახელისუფლებო სტრუქტურების მხრიდან ასეთი სახით მათთვის შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭებით შეიძლება გამოვიდეს როგორც ფედერალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების და მართვის ყველა დონე. მაგალითად, საქართველოში სამართალშემოქმედებით საქმიანობაში სახელისუფლებო სტრუქტურების მხრიდან მონაწილეობს შესაბამისი დონის (ფედერაციის, მისი სუბიექტის, ადგილობრივი თვითმმართველობის) საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოები.

სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში, სახელმწიფო გვევლინება ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების სახით. ამ ფუნქციას უშუალოდ ასრულებენ ცალკეული სახელმწიფო და მუნიციპალური მოხელეები, რომელთაც გააჩნია შესაბამისი უფლებამოსილება, რამაც შეიძლება შექმნას და ქმნის კიდეც რეალურ შესაძლებლობებს სუბიექტური გადაწყვეტილებებისათვის ბიზნეს სტრუქტურებთან ურთიერთობებში.

ეკონომიკური და სახელისუფლებო სტრუქტურების ურთიერთქმედების მექანიზმი გვევლინება პრინციპებისა და მეთოდების, ეკონომიკური და სამართლებრივი ნორმების ერთობლიობით, რომელთა მეშვეობით აიგება ურთიერთობები ხელისუფლებასა და ეკონომიკას შორის. ეს მექანიზმი წარმოადგენს ურთიერთობათა კონკრეტულ ფორმებს, რომლებიც ყალიბდება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის მისი განხორციელების ყველა დონეზე (ცენტრალურ, რეგიონულ, მუნიციპალურ) და ბიზნეს, როგორც საბაზრო ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას შორის ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების პროცესში.

სახელმწიფოსთან ბიზნეს-სუბიექტების ურთიერთობების ფორმები და მეთოდები გულისხმობს ურთიერთქმედების სუბიექტებში ეკონომიკური ძალაუფლების საჭირო პოტენციალის არსებობას. სწორედ ამ მიზეზის გამო სახელისუფლებო სტრუქტურებთან ურთიერთქმედების მთავარ სუბიექტებად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, გვევლინება მსხვილი ბიზნეს სტრუქტურები.

გადაწყვეტილებები მიიღება აზრთა ფართო გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე სამრეწველო წრეების, პროფკავშირების, მეცნიერ-ექსპერტების და ა.შ. მონაწილეობით. პოლიტიკის რეალიზება ხდება შესაბამის დარგებში თანამშრომლობის მეშვეობით, ამა თუ იმ ღონისძიებების ჩასატარებლად მათი სტიმულირების გზით.

ბიზნესის მხრიდან სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელისუფლებო სტრუქტურებთან ურთიერთქმედების სუბიექტებად გვევლინება:

- ბიზნეს სუბიექტები;
- მსხვილი კორპორაციული სტრუქტურები;
- მეწარმეთა გაერთიანებები, რომლებიც ორგანიზებულია დარგობრივ, რეგიონულ, ხშირად პოლიტიკურ, ასევე ეთნიკურ საფუძველზე.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ურთიერთქმედების თითოეული ზემოაღნიშნული პრინციპი გულისხმობს ამ ურთიერთობების დომინანტი სუბიექტის არსებობას. აქ მოქმედებას იწყებს ლობირების ინსტიტუტი. ბუნებრივია ლობირების სუბიექტი სახელმწიფო დონეზე ვერ იქნება ცალკეული წვრილი ან საშუალო მეწარმე. მთავარი სუბიექტებია სტრუქტურები, რომლებსაც გააჩნიათ ბიზნეს ძალაუფლების საკმაო პოტენციალი. სწორედ ამ მიზეზის გამო მსხვილი ბიზნეს სტრუქტურები გაცილებით ნაკლებად საჭიროებენ სამეწარმეო ასოციაციების „მომსახურებას“. მათ ურჩევნიათ ზემოქმედება მათთვის საჭირო გადაწყვეტილებათა მიღებაზე პერსონალური კონტაქტების დამყარების გზით სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებთან.

მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ლობირების ერთადერთი არხია მეწარმეთა დარგობრივი და რეგიონული კავშირები და საერთო-ეროვნული გაერთიანებები. სწორედ მათ შეუძლიათ გამოხატონ მრავალრიცხოვანი მცირე ეკონომიკური აგენტების კონსოლიდირებული ინტერესი და გამოვიდნენ სახელისუფლებო სტრუქტურებთან ურთიერთიერთობების მთავარ სუბიექტებად.

ბიზნეს კავშირები და მსხვილი ბიზნეს სტრუქტურები მონაწილეობენ სამთავრობო კომისიების, სამუშაო ჯგუფების და სხვა საკონსულტაციო-საექსპერტო ორგანიზაციების საქმიანობაში. ძალაუფლება წარმოადგენს აუცილებელ კომპონენტს სახელისუფლებო სტრუქტურებთან ურთიერთქმედებაში.

რაც შეეხება ურთიერთმომგებიან ეკონომიკურ თანამშრომლობას, რომელიც ხორციელდება შერეულ, კერძო და სახელმწიფო ბიზნესს, სახელმწიფო ქონების ფლობისა და სარგებლობის, სახელმწიფო და ადგილობრივი საინვესტიციო პროექტების რეალიზებაში, სახელმწიფო საჭიროებისათვის საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და მიწოდების ფარგლებში. აქ საბაზრო ეკონომიკის პირობებში

სახელისუფლებო სტრუქტურებთან ურთიერთქმედების მთავარ სუბიექტად გამოდის მსხვილი ბიზნეს სტრუქტურები და სხვადასხვა ასოციაციები.

მაგალითად, აშშ-ის საგარეო-ეკონომიკური კურსის ფორმირებაში სახელმწიფო სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მრავალი შერეული - კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლებიც გამოხატავს ქვეყნის ყველა დარგისა და რეგიონის მეწარმეთა ინტერესებს. აშშ მთავრობას ამ სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას აუცილებლად მიაჩნია მოიპოოს საქმიანი წრეების და ისეთი გავლენიანი ორგანიზაციების მხარდაჭერა, როგორიცაა სავაჭრო პალატა, მეწარმეთა ეროვნული ასოციაცია და ა.შ.[1]

ეს მსხვილი საერთო-ეროვნული ბიზნეს ორგანიზაციები ათობით ათასი, სავაჭრო პალატაში კი - ასობით ათასი წევრით, გამოხატავს მეწარმეთა ყველა ფენის შეთანხმებულ ინტერესს. სავაჭრო პალატის წევრთა 90%-ს შეადგენს მცირე ფირმები. მათ უკვე უდაოდ უწევს ანგარიშს მსხვილი ბიზნესი მთავრობისათვის აქტუალურ პრობლემებზე ზოგადი რეკომენდაციების მომზადებისას. პერიოდული გამოცემების, მოხსენებების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით სავაჭრო პალატა ზეწოლას ახდენს მთავრობაზე და წარმართავს საზოგადოებრივ აზრს საჭირო მიმართულებით.

გავლენით სარგებლობენ მსხვილი ბიზნესის ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა ბიზნესის საბჭო, ბიზნესის "მრგვალი მაგიდა", საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ამერიკული საბჭო. როგორც წესი, მათ უკავიათ კონსერვატიული პოზიციები. პირდაპირ არ ერევიან საკანონმდებლო პროცესში. პოულობენ მთავრობაზე ეფექტიანი ზემოქმედების გზებს, ძირითადად ადმინისტრაციასთან უშუალო კონტაქტების დამყარებით.

გერმანიაში მრეწველობის ფედერალური საბჭო როგორც ეკონომიკის კერძო სექტორში მეწარმეთა კავშირების და გაერთიანებების სათაო ორგანიზაცია აერთიანებს მრეწველობის 36 დარგობრივ კავშირს. მის ძირითად ამოცანას, წარმოადგენს გაერთიანებული მეწარმეების ინტერესების დაცვა (პოლიტიკურის გარდა) და მათთვის ხელშეწყობის აღმოჩენა. ეკონომიკური კავშირები აერთიანებს გერმანიის მრეწველობის საწარმოებს დარგების მიხედვით, აგრეთვე მათ სათაო ორგანიზაციებს.[2]

კავშირის წარმომადგენლები არიან სხვადასხვა საკონსულტაციო ორგანოების მუდმივი წევრები სამთავრობო დაწესებულებებში: ეკონომიკის, ფინანსთა, თავდაცვის და სხვა სამინისტროებში. მის ფარგლებში ფუნქციირებს 19 კომიტეტი და 11 სამუშაო ჯგუფი. მისი საქმიანობის მთავარ მიმართულებებზე, რომლებშიც შედიან, როგორც კავშირის წევრი ფირმებისა და გაერთიანებების წარმომადგენლები, ისე სამეცნიერო-კვლევითი, საკრედიტო-საფინანსო და სხვა ორგანიზაციებისა და სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლები. ამ ქვედანაყოფებში მზადდება და მუშავდება კავშირის ძირითადი გადაწყვეტილებების, რეკომენდაციებისა და მოსაზრებების პროექტები, მათივე მეშვეობით მყარდება მჭიდრო კავშირი სამთავრობო სტრუქტურებთან.

მთლიანობაში გერმანული მრეწველობის ფედერალური კავშირი იცავს გერმანელი მეწარმეების, პირველ რიგში მსხვილი მონოპოლიების ინტერესებს. ძლიერ გავლენას ახდენს მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამომუშავებაზე. ის წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც იცავს გერმანული მრეწველობის გლობალურ ინტერესებს, ახდენს მეწარმეთა საქმიანობის კოორდინაციას.

იტალიაში უდიდესი გავლენით სარგებლობს იტალიური მრეწველობის კონფედერაცია („კონფინდუსტრია"). ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს იტალიის სოციალურ-ეკომონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი ძირითადი მიზანია წევრების ხელშეწყობა, ბაზარზე მათი პროდუქციის წარმოჩენაში და ინტერესთა დაცვაში მთავრობასთან, პროფკავშირებთან, მუშა-მოსამსახურეებთან და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან ურთიერთობებისას. „კონფინდუსტრიის" წევრები არიან არა მხოლოდ ცალკეული საწარმოები, არამედ მათი ტერიტორიული და დარგობრივი ასოციაციები. მასში შედის 130 ათასზე მეტი ფირმა და სამრეწველო საწარმო, რომლებიც გაერთიანებული არიან 106 ტერიტორიულ და 99 დარგობრივ ასოციაციად.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ხელოვნების სავაჭრო პალატები იტალიაში აერთიანებენ ძირითადად წვრილ და საშუალო ფირმებსა და ბანკებს ქალაქებისა და ოლქების დონეზე. სავაჭრო პალატების საქმიანობა კონტროლდება და იმართება იტალიის ვაჭრობის სამინისტროს მიერ. იტალიის საგარეო ვაჭრობის სამინისტრომ უფლება მიანიჭა ამ კავშირს "კონფინდუსტრიასთან", "კონფაგრიკულტურასთან" და "კონფაპისთან" თანამშრომლობაში მოახდინოს იტალიური ფირმების საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაცია.[3]

იაპონიაში ამა თუ იმ დარგების განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები არ ხორციელდება ცალმხრი-

[1] Налоговые системы развитых стран мира, справочник, М.:Экономика, 1995.- 223с.;

[2] Гребеник В.,Основы бизнесса; Учебное пособие, Мю2005.-172с.;

[3] Рыночное хозяйство и риски.-СПб.:Наука,2000-263с.;

ვი, შესასრულებლად სავალდებულო სამთავრობო დირექტივების საფუძველზე. გადაწყვეტილებები მიიღება მოსაზრებების ფართო გაცვლის საფუძველზე სამრეწველო წრეებს, პროფკავშირებს, სამომხმარებლო ორგანიზაციებს, მეცნიერებს შორის. პოლიტიკის რეალიზება ხდება მეწარმეებთან თანამშრომლობის სისტემის მეშვეობით, შესაბამის დარგებში მათი სტიმულირების გზით ამა თუ იმ ღონისძიებათა გასატარებლად. ამ მიზნით სამრეწველო პოლიტიკის ჩამოყალიბებისას იქმნება სპეციალური საბჭოები, რომლებიც შედგება დაინტერესებულ პირთა ფართო წრისგან.[1]

ურთიერთქმედების პრაქტიკა ვრცელდება ფუნდამენტურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე და მის რეალიზებაზე კონკრეტულ ეკონომიკურ პოლიტიკაში. მაგალითად, იაპონიის მთავრობის გეგმიურ-ეკონომიკური მმართველობის სტრუქტურა მოიცავს სამეცნიერო-კვლევით ქვედანაყოფს - პროგრესის კვლევის ეროვნულ ინსტიტუტს. მისი ძირითადი ფუნქციაა მსოფლიო განვითარების ახალი პრობლემების შესწავლა. მომავლის პროგნოზირების მიხედვით ხდება ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიული საფუძვლების ფორმირება.

სამხრეთ კორეაში რამდენიმე უმსხვილესი ეკონომიკური ორგანიზაცია აერთიანებს ქვეყნის პრაქტიკულად ყველა კომპანიას, რაც ასრულებს ქმედით რგოლს როგორც სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, ისე საერთაშორისო სარბიელზე. მათ შორის ყველაზე გავლენიანია კორეელ მეწარმეთა ფედერაცია. მასში გაერთიანებულია დაახლოებით 440 წევრი, რომლებიც წარმოადგენენ 1500-მდე ძირითადი კომპანიის ინტერესებს, რაზედაც მოდის სამხრეთ კორეაში საქონლისა და მომსახურების წარმოების 70%.[2]

კორეელ მეწარმეთა ფედერაცია არის სოლიდური ორგანიზაცია, რომელიც მთავრობაზე ახდენს მნიშვნელოვან გავლენას. ატარებს კვლევებს და ამზადებს რეკომენდაციებს ეკონომიკური საქმიანობის ისეთ სპექტრზე, როგორიცაა ეკონომიკური განვითარების ზოგადი ტენდენციები, ინვესტიციები, სამრეწველო წარმოების სტრუქტურა, ფინანსური პოლიტიკა, დაბეგვრა, საგადახადო ბალანსი, ახალი ტექნოლოგიები, ენერგორესურსები და ა.შ. ფედერაცია მონაწილეობდა რიგი უმსხვილესი ეკონომიკური პროექტების მომზადებაში (ინდუსტრიული ცენტრების, საექსპორტო ზონების, საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების და სხვ. შექმნა).

[1] *Fukuyama F.,* Trast: The Social virtues and the creation of prosferity, 1995, ?4, p.24.;

[2] *Fukuyama F.,* Trast: The Social virtues and the creation of prosferity, 1995, ?4, p.24.;

შთამბეჭდავია ბოლო პერიოდში ინდოეთის ეკონომიკური მიღწევები. სახელმწიფოს მთავარ კონტრაგენტებს, რომელთა მონაწილეობის გარეშე ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება პრაქტიკულად წარმოუდგენელია, წარმოადგენს ინდოეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ფედერაცია (*ისსპფ*) და ინდოეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის გაერთიანება (*ისსპგ*). ფედერაცია აერთიანებს მრეწველობის, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროებს. *ისსპფ*-სა და *ისსპგ*-ს მიერ შემუშავებული წინადადებები განიხილება ამ მიზნით სპეციალურად შექმნილ ანალიტიკურ-საკონსულტაციო ცენტრებში და მიიღება შესაბამისი რეკომენდაციები. მეწარმეთა ამგვარი ორგანიზაციები არსებობს სხვა ქვეყნებშიც.[3]

საქართველო დგას ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების როლის სრულიად ახლებურად გააზრების აუცილებლობის წინაშე.[4] XXI საუკუნის დასაწყისში, მთელი აქტუალურობით დადგა თვისობრივად ახალი პრობლემები, რომლებიც ცენტრალიზირებული ეკონომიკის კრახმა წარმოშვა. გარდამავალი პერიოდის სპეციფიკა არასათანადოდაა გაცნობიერებული.[5]

XX საუკუნის დასასრულს ეკონომიკურმა მეცნიერებამ და პრაქტიკამ დააგროვა იმდენი ცოდნა და გამოცდილება, რომ შეიძლებოდა ზემოთ აღნიშნული გარდამავალი პერიოდის შემცირება და ცივილიზირებულ ფორმებში მოქცევა. ამაზე მეტყველებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, ჩეხეთის, პოლონეთის, ჩინეთის და სხვა ქვეყნების მაგალითი. სამწუხაროდ, ზოგიერთ პოსტსოციალისტური ქვეყანის - ყოფილი იუგოსლავიის (სერბია, კოსოვო), აზერბეიჯანის, სასომხეთის და მათ შორის საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ანკლავებში, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას, რატომღაც მოჰყვა ეთნოკონფლიქტების ხელოვნური ინსპირირება. აღნიშნული მნიშვნელოვან წინააღმდეგობად იქცა რეფორმების ცივილიზირებულ ფორმებში განსახორციელებლად. საქართველოს ეკონომიკა დღესაც გარდამავალ პერიოდში იმყოფება, საიდანაც გამოსვლა დამოკიდებული იქნება სახელმწიფოს სწორ ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

[3] ოთინაშვილი რ., ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის ანტიკრიმი-ნალური ასპექტები, თბილისი: სტუ, 2005.-440გვ.;

[4] ჭითანავა ნ., გარდამავალ პერიოდში შერეული, სოციალური მიმართულების ეკონომიკის თავისებურება, / გაზ. "საქ. რესპუბლიკა" 264, თბილისი 1999, გვ.6-8.

[5] ჭითანავა ნ., გარდამავალ პერიოდში შერეული, სოციალური მიმართულების ეკონომიკის თავისებურება, / გაზ. "საქ. რესპუბლიკა" 264, თბილისი 1999, გვ.6-8.

სამუშაო ძალის მიგრაციის არსი და სახელმწიფოებრივი რეგულირება

გუგული ყურაშვილი, *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
თამარ ბერიძე, *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

შრომის უფლება ადამიანის უმნიშვნელობანეს სასიცოცხლო უფლებათა რიგს განეკუთვნება. ნებისმიერი საზოგადოების წევრთა უმრავლესობისათვის შრომითი შემოსავალი ფიზიკური არსებობისა და მატერიალური კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენს.ამასთანავე შრომა არის პიროვნების თვითრეალიზაციის, საზოგადოებაში დამკვიდრების, მისი გონებრივი და სულიერი პოტენციალის გამოვლენის საშუალება.

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი, რომელიც გამოიხატება სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერებაში, ამჟღავნებს ქვეყნებს შორის არსებულ დიფერენციაციას შრომის ნაყოფიერებაში, ანაზღაურებასა და შრომის პირობებში, რაც თავის მხრივ ზრდის შრომითი მიგრაციის სურვილს. ლიტერატურაში შრომითი მიგრაციის განსხვავებულ განმარტებებს ვხვდებით. ჯ.ა. ზაიონჩკოვსკაია შრომით მიგრაციას განსაზღვრავს, როგორც ადამიანთა დინამიურ, მოქნილ და ყველაზე დიდ მიგრაციულ ნაკადს, რომელიც სტიმულირდება მძიმე ეკონომიკური სიტუაციით. მოსახლეობის გადასახლებისაგან განსხვავებით, შრომითი მიგრაცია არ ნიშნავს საცხოვრებელი ადგილის სამუდამოდ შეცვლას, ყოველ შემთხვევაში თავდაპირველ პერიოდში. იგი უკავშირდება შრომის ანაზღაურებას და გამომუშავებული თანხით განსაზღვრული პერიოდის ბოლოს უკან დაბრუნებას.

საერთაშორისო მიგრაციის კლასიფიკაციისას გამოყოფენ შემდეგ სახეებსა და ფორმებს: მუდმივი, ხანგრძლივვადიანი, დროებითი, ტრანზიტული, იძულებითი, ნებაყოფლობითი, ლეგალური, არალეგალური, უკანონო, შრომითი, სეზონური, ქანქარისებური, საზღვრისპირა, კომერციული, ეპიზოდური, სასწავლო, რეკრეაციული, სამკურნალო, სამივლინებო მიგრაციები.

შრომით მიგრაციას განასხვავებენ ეკონომიკური მიგრაციისაგან და ამ განსხვავებაშიც თავს იჩენს სიტყვა ,,დროებითი", რადგან ეკონომიკური მიგრაცია შეიძლება იყოს მუდმივიც, რაც დაკავშირებულია იმიგრანტ-ინვესტორებთან და ტრანსნაციონალურ კორპორაციების შექმნასთან.

ხშირად შრომითი მიგრაცია განმარტებულია, როგორც მიგრანტთა რაციონალური არჩევანი, როდესაც იციან გადაადგილების დანახარჯები და მისგან მიღებული სარგებელი. იგი შრომის ანაზღაურების ყველაზე ხელმისაწვდომ საშუალებად განიხილება, მათ შორის მათთვისაც, ვინც ვერ იპოვა თავისი ადგილი ეროვნულ შრომის ბაზარზე ან,საერთოდ, იგნორირებულ იქნა მის მიერ. საშოვარზე სამუშაოდ წასვლა _ ეს ის გზაა, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს თითოეულმა მოქალაქემ. განსაკუთრებით დიდია მისი გადამრჩენი როლი იმ საშუალო და მცირე ქალაქების მოსახლეობისათვის,სადაც მოხდა წარმოების სრული გაჩერება.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (შსო) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (მსო) შრომით მიგრაცას განსაზღვრავს, როგორც ,,მოსახლეობის გადაადგლება მშობლიური ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში დასაქმების მიზნით".

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ასამბლეამ 1990 წლის 18 აპრილს მიიღო კონვენცია ,,ყველა შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრების დაცვის შესახებ ", რომლის თანხმადაც ტერმინი ,,შრომითი მიგრანტი" აღნიშნავს პირს, რომელიც იმუშავებს, მუშაობს და მუშაობდა ანაზღაურებად სამუშაზოზე სახელმწიფოში, რომლის მოქალაქედაც ის არ ითვლება.

შრომით მიგრანტებს კონვენცია მიაკუთვნებს დაქირავების გარეშე თვითდასაქმებითმომუშავე მიგრანტებსაც, რამდენადაც აღნიშნული ფორმა მეტად ფართოდაა გავრცელებული დსთ-ს ქვეყნებში და მთელ მსოფლიოში. კონვენციით აღნიშნული განმარტებულია შემდეგნაირად: ,,ტერმინი ,,მომუშავე დაქირავების გარეშე" ნიშნავს მომუშავე-მიგრანტს, რომელიც ანაზღაურებად სამუშაოზეა დასაქმებული განსხავებით დაქირავების ხელშეკრულებით დასაქმებისაგან და, რომელიც უზრუნველყოფს ანაზღაურების ხარჯზე საკუთარ არსებობას, საქმიანობას, როგორც წესი, დამოუკიდებლად ან ოჯახის წევრებთან ერთად". იგი შეიძლება გავაიგივოთ ვაჭრობა-ბიზნესში დასაქმებულებთან, რომლებსაც დასავლეთის ლიტერატურაში მოიხსენიებენ ეპიზოდურ ანუ კომერციულ მიგრანტებად.

ჩვენი აზრით, ისინი არიან ქანქარისებური შრომითი მიგრანტები, რომლებმაც

შეიძინეს ახალი ელემენტები: მასში მონაწილეობს უმეტესწილად თვითდასაქმებული სამუშო ძალა; გადაადგილების ხანგრძლივობა არის ერთიდან სამ თვემდე და წელიწადში 3-4-ჯერ მეორდება; გადაადგილების სივრცე დიდია და სასაზღვრო ქვეყნებისთვისაა უფრო მეტად დამახასიათებელი; ოპერაციის განხორციელებაში, სიტუაციიდან გამომდინარე, შეიძლება ოჯახის წევრები შეენაცვლონ ერთმანეთს.

მიზანშეწონილი იქნებოდა თუ ვაჭრობა-ბიზნესით დაკავებულ მიგრანტებთან ერთად გამოვყოფდით საზღვრისპირა მიგრანტებს. განმასხვავებული ნიშანია ის, რომ ისინი არიან არა თვითდასაქმებულნი, არამედ დაქირავებული და დამქირავებლისაგან იღებენ შესრულებული სამუშაოს საფასურს. თუმცა ორივე ქანქარისებურ შრომით მიგრანტებს განეკუთვნება.

რ. ბილსბროუ და გ. ჰიუგო შრომით მიგრანტებს უწოდებენ პირებს, რომლებიც ქვეყნის მიერ მოზიდულნი არიან მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობის მიზნით და არ წარმოადგენენ მათ მოქალაქეებს.

თუ შევაჯამებთ სხვადასხვა მეცნიერულ განმარტებას, მივიღებთ შრომითი ემიგრაციის თანამედროვე დეფინიციას: შრომითი ემიგრაცია არის გარკვეული დროით (როგორც წესი 3 თვეზე მეტი) საზღვარგარეთ დასაქმება შემოსავლის მიღების მიზნით. იგი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისისგან თავდაღწევის მოქნილი სოციალური სტაბილიზატორია, მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაა, მოსახლეობის საშუალო კლასისა და საბაზრო ურთიერთობების ფორმირების ფაქტორია, საერთაშორისო ეკონომიკური გამოცდილების, პროფესიული ცოდნისა და კულტურის გაზიარების საშუალებაა. მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: სამუშაო დროის ხანგრძლივობაზე, შრომითი რესურსების ასაკზე, სქესზე, განათლებაზე, პროფესიულ მომზადებაზე, გამოცდილებასა და ა.შ.

სამუშაო ძალის ტრანსასაზღვრო გადაადგილება, როგორც წესი, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. მატულობს ამასთან დაკავშირებული ხარჯებიც – დამატებითი დატვირთვა ინფრასტრუქტურაზე და სოციალურ სფეროზე, რეგიონები იცლება მოსახლეობისაგან, ჩნდება შემოსავლის განაწილების პრობლემები და სხვ.

შრომითი მიგრაციის თეორიებში აღნიშნულ მოვლენას უფრო ეკონომიკურ ახსნას უკეთებენ. მიკროეკონომიკის დონეზე ჩატარებული გამოკვლევები ავლენენ ისეთ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ მიგრაციის შესახებ წინასწარ ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებას, ესენია: უმუშევრობა, არასრული დასაქმება; მცირე შემოსავალი; ქვეყნების შორის შრომის ანაზღაურებაში დიდი განსხვავება; სულ უფრო მზარდი ეკონომიკური სავაჭრო კავშირები; გაუმჯობესებული კომუნიკაციები და სატრანსპორტო მომსახურების ფინანსურად ხელმისაწვდომობა; აგენტების, დამქირავებლებისა და ადვოკატების ინსტიტუციონალიზებულიდაკომერციალიზებულიქსელების აქტივიზაცია; სოფლად გაჩენილი ჭარბმოსახლეობა; უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა ზეჭარბი წარმოება და თანამედროვე ტექნოლოგიებთან პროფესიული მომზადების შეუსაბამობა;. ქვეყნის მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე; დემოგრაფიულად დაბერებულ ქვეყნებში მუშახელზე მოთხოვნის ზრდა; მდიდარი და ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური შესაძლებლობების სულ უფრო მზარდი განსხვავება, ეკონომიკის გლობალური ინტეგრაცია და ა..შ. ამას ემატება პოლიტიკური, სოციალური, დემოგრაფიული, რელიგიური, ეთნიკური, ბუნებრივი ფაქტორები, რაც იწვევს მოსახლეობის მასობრივ გადაადგილებას, რომელიც ხშირად გადის იძულებითი შრომითი მიგრაციის ფაზებს და მთავრდება სტაციონალური მიგრაციით.

მეტად საინტერესო და რთული ამოცანაა შრომითი მიგრაციის, როგორც მოვლენის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება. რატომღაც მის დადებით ეკონომიკურ როლზე აქცენტი ნაკლებადაა გამახვილებული, უარყოფითზე კი (გადასახადების შემცირების მიზნით შემოსავლების დამალვა, კრიმინალური ვითარების გამწვავება, არალეგალურ დასაქმებასთან დაკავშირებული გაუთვალისინებელი სიძნელეები და სხვ.) ბევრს წერენ და საუბრობენ. როცა შრომითი მიგრანტი ტოვებს თავის ქვეყანას, უდიდეს რისკს ეწევა, მაგრამ გამართლების შემთხვევაში მოგებული რჩება. არა მარტო ის და მისი ოჯახი, არამედ სახელმწიფო და მსოფლიოს საზოგადოებაც. სამუშაო ძალის ექსპორტის შედეგად სახელმწიფოები იღებენ მნიშვნელოვან შემოსავალს ვალუტის სახით. იგი გამოიხატება ემიგრანტთა გზავნილების ფორმით.

ქვეყნის ეკონომიკაზე გზავნილების გავლენა შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: შემოსავლების მიღება, წარმოების ხელშეწყობა, შესაძლო ინფლაცია, რისკების ზრდა. მას ცვლილებები შეაქვს სოციალურ-დემოგრაფიულ სტრუქტურაში, შრომის ბაზარსა და სოფლის მეურნეობაში, არის პოტენციური განვითარების წყარო და ა.შ.

სამუშაო ძალის ექსპორტისაგან სახელმწიფოს სავალუტო შემოსავლების პირდაპირ წყაროებს მიეკუთვნება: 1. გადასახადები საშუამავლო ფირმების შემოსავლებიდან; 2. გადასახადები მიგრანტთა უშუალო გზავნილებზე; 3. მიგრანტების პირადი ინვესტირება

(სამშობლოში ჩამოტანილი წარმოების საშუალებები და უძრავი ქონება,მიწისა და უძრავი ქონების,ფასიანი ქაღალდების შეძენა). 4. სამუშაო ძალის იმპორტიორი ქვეყნის კაპიტალი, რომელიც გათვალისწინებულია შრომითი რესურსების აღწარმოებაზე, სოციალურ დაცვაზე; 5. გარდა ამისა, გამოკვლევებით დადგენილია, რომ მიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებისას მოაქვთ იმ თანხის ტოლი ფასეულობანი და დანაზოგები, რომელიც მათ მიერაა განხორციელებული გზავნილების სახით. შესაბამისად, სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში გზავნილებათა თანხა ორმაგდება.

სამუშაო ძალის მიგრაციის მოდელები სავაჭრო ნაკადების დინამიკის მსგავსია, მაგრამ სასაქონლო ბაზრისაგან განსხვავებით, სამუშაო ძალის ექსპორტისაგან მიღებული შემოსავლების მისაღებად დონორ ქვეყანაში არაა საჭირო ერთდროული საწარმოო დანახარჯების განხორცილება. მუშების გამგზავნი ბევრი ქვეყნისთვის გზავნილები იმპორტის ,,შესყიდვის" მნიშვნელოვანი წყაროა. მაგალითად, 2001 წელს ინდოეთის შიგა ეროვნული პროდუქტის 14% გზავნილებზე მოდიოდა, მექსიკასა და ეგვიპტეში – 8,4%, საბერძნეთში – 5,6%, ტაჯიკეთში – 7,7%, მოლდოვაში – 14,3%.

გზავნილები გავლენას ახდენს დონორი ქვეყნის განვითარებაზე. გზავნილები იხარჯება ბავშვების განათლებისათვის, მაღალხარისხოვანი და საფუძვლიანი მკურნალობისათვის, უძრავი ქონების შესაძენად, ოჯახის სტატუსის ამაღლებაზე,

გზავნილები ყოველთვის დაკავშირებულია რისკთან. მათზე დამოკიდებული ქვეყნები შეიძლება ეკონომიკური შოკის ქვეშ აღმოჩნდნენ. ასეთ დღეში აღმოჩნდნენ იორდანია და იემენი, როდესაც სპარსეთის ყურეში ომი დაიწყო და მიგრანტი მუშები გააძევეს.

დონორ ქვეყანაში ემიგრაცია ხელს უწყობს უმუშევრობის დონის შემცირებას და ამცირებს სოციალურ დაძაბულობას, თუმცა ამ შემთხვევასაც აქვს მეორე მხარე - ემიგრაციაში დონორი ქვეყნის მოსახლეობის მცირე ნაწილი მონაწილეობს და უმუშევრობის პრობლემას ამით ვერ გადაწყვეტს, ამასთან, მუშახელის ნაკლებობამ შეიძლება ინფლაცია გამოიწვიოს (იშვიათი შემთხვევაა,აღინიშნა ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში). გარკვეულ სექტორში შეიძლება შემცირდეს უმუშევრობა (მაგალითად, ემიგრანტთა პროფესიის მქონეთ უკვე უადვილდებათ სამუშაოს მოძებნა), მაგრამ ზოგიერთი სფერო ისევ ისე შევსებულია. დამქირავებლები უპირატესობას იმას ანიჭებენ, ვინც უკვე მუშაობს, რადგან თავიდან აიცილონ მუშახელის მომზადება. მათ ურჩევნიათ, კაპიტალი უფრო მეტად ტექნოლოგიებში დააბანდონ და წარმოება ამ გზით განავითარონ.

დონორი ქვეყნებისათვის მეტად სავალალოა ინტელექტუალური სამუშაო ძალის გადინება. დღეს მსოფლიოს შრომის ბაზრის უდიდესი ცენტრები იზიდავენ უმეტესად უკვე კვალიფიცირებულ, უმაღლესი ტექნოლოგიების სპეციალისტებს. ისევე, როგორც სავაჭრო ბარიერების შემოღებისას, იმიგრაციული შეზღუდვების შედეგად მსოფლიოს არაკვალიფიციური სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ჩაკეტილი რჩება. გამგზავნი ყვეყანა კი კარგავს ყველაზე ენთუზიასტ და უნარიან ახალგაზრდობას, მათ პროფესიულ მომზადებასა და განათლებაზე გაწეულ დანახარჯებს.

დემოგრაფიული ეფექტი ისაა, რომ გამგზავნ ქვეყანაში შეიძლება შეამციროს მოსახლეობის სიმჭიდროვე და ის პრობლემები, რომლებიც ზრდასრული მუშახელის დაკმაყოფილებას ესაჭიროება. ამ დროს იზრდება დამოკიდებული მოსახლეობის (ეკონომიკურად არააქტიური) - ბავშვთა და ხანდაზმულთა ხვედრითი წილი. ზოგი ქვეყანა შეიძლება დეპოპულაციის წინაშეც კი დადგეს.

სოციალური ეფექტი. სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტებს ახალ უფრო კულტურულ გარემოში შეძენილი ღირებულებები და ჩვევები თან ჩამოაქვთ. მაგალითად, თურქეთის ევროპიზაციაში დიდი როლი რეემიგრანტებს მიუძღვით. ახალი ცოდნის შეძენისა და სამშობლოში ჩამოტანილი სიმდიდრის გამო მათ უფრო მეტ პატივს სცემენ. თუმცა შესაძლებელია ტრადიციულ ოჯახში გარკვეული დაძაბულობაც წარმოქმნას:

როგორც ცნობილია, შრომითი მიგრანტების უმეტესობა მამაკაცებია, რაც ოჯახში ქალთა პასუხისმგებლობას და როლს ზრდის, ბავშვები მოკლებულნი არიან მამის მზრუნველობას, სუსტდება ოჯახური ურთიერთობები, წარმოიშობა თაობათა შორის კონფლიტი.

მოსახლეობის ნაწილის ემიგრაციაში წასვლა თავისებურ ჩრდილს აყენებს ქვეყნის მცხოვრებთა ეროვნულ სიამაყეს, რაც გასათვალისწინებელია ემიგრაციული პოლიტიკის მხარდაჭერისას. მაგალითად, აზერბაიჯაინის ეროვნული მეურნეობიდან გასულია მამაკაცების ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. რუსეთის სასურსათო ბაზრებზე მათი კონტროლი და ოჯახის გარეთ ,,დროებით ყოფნის" მუდმივი მდგომარეობა იწვევს აზერბაიჯანელი ეთნოსისა და საზოგადოების სტრუქტურის სოციალურ დეფორმაციას, რის შედეგადაც ხდება ნაციონალური ტრადიციების დაკრგვა.

სისტემატური სასკოლო და უმაღლესი განათლების მიუწვდომლობა ფართო მასებისათვის იწვევს ახალგაზრდობის დენაციონალიზაციას.

იმიგრანტებს ხშირად დაუმსახურებლად ადანაშაულებენ არეულობის შექმნაში, დანაშაულის ზრდაში, მიწისა და საცხოვრებელი სახლების ნაკლებობაში. ზოგჯერ უცხოელი სამუშაო ძალა აწყდება ფანატიზმამდე მისულ გაღიზიანებას ადგილობრივი მოსახლეობის იმ ჯგუფებისაგანაც კი, რომლებიც იმიგრაცით მოგებული რჩებიან.

საერთაშორისო შრომითი მიგრაცია ინტეგრაციული პროცესების განვითარების დაჩქარებას უწყობს ხელს. საბოლოო ჯამში, მზარდმა საერთაშორისო კომუნიკაციამ შეიძლება საერთაშორისო მშვიდობის დამყარებას შეუწყოს ხელი. მაგალითად, რუსეთიდან ტრანსფერული სახით გზავნილების ხარჯზე ცხოვრობს დსთ-ს ქვეყნების ბევრი მცხოვრები. ეს, რა თქმა უნდა, რუსეთს გარკვეული საფრთხის წინაშე აყენებს, მაგრამ თუკი სხვა კუთხით მივუდგებით, ამ გზავნილებს რუსეთის საზღვრების, განსაკუთრებით კავკასიაში, დაცვასა და სტაბილურობაში დიდი წვლილი შეაქვთ. სტაბილიზაცია – ეს ხომ სერიოზული რესურსია, რომლისთვისაც უნდა გადაიხადო!

ამრიგად, შრომით მიგრაციას აქვს დადებითი და უარყოფითი შედეგები მიმღები და დონორი ქვეყნებისათვის, თვით მიგრანტებისა და მათი ოჯახებისათვის. მთლიანობაში, იგი დადებითი მოვლენაა. მთავარია ის, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს შრომითი მიგრაცია ისე, რომ მისგან საზოგადოებამ მიიღოს მეტი ეფექტი.

სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საერთაშორისო ემიგრანტები უმთავრესად საშუალო ფენებიდან გამოსული, ზოგჯერ თვით ავანტიურული ხასიათის ადამიანები არიან. გასვლამდე პოტენციური ემიგრანტების შემოსვალი დონორი ქვეყნის საერთო შემოსავლის ნაწილია, მაგრამ მათი გამგზავრება აქ უმუშევრობის დონეს შეამცირებს, შეიქმნება მუშახელის დასაქმებისა და ხელფასების გადიდების შესაძლებლობები. გამშვებ ქვეყანაში დარჩენილი სამუშაო ძალის საშუალო შემოსავალი გაიზრდება, რითაც ის კმაყოფილი დარჩება. თუმცა ამ ქვეყნის საერთო შემოსავალი შემცირდება. იზარალებენ ასევე მეწარმეები, რომლებსაც მოუწევთ ახალი სამუშაო ძალის მომზადება-გადამზადება და ანაზღაურების გადიდებაც. საერთო შემოსავალი შეიძლება შემცირდეს, მაგრამ მასთან ერთად მცირდება სახელმწიფო ხარჯები განათლებაზე, მრავალშვილიანი დედებისა და არასრულწლოვანი ბავშვების დახმარებაზე, სოციალურ დაზღვევაზე, დახმარებები სიღატაკის გამო, ეკოლოგიური დანახარჯები. სამწუხაროდ, ამ შემთხვევასაც აქვს მეორე მხარე: მატულობს წმინდა საბიუჯეტო დანაკრგების წარმოშობის ალბათობა, ვინაიდან საზოგადოებრივ საქონელზე მოთხოვნის ზრდა და მიგრაცია ადამიანთა სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპებს შეესაბამება. მიგრანტები ძირითადად ის ასაკობრივი ჯგუფებია (25-45 წწ.), რომელმაც უკვე მიიღო გარკვეული განათლება გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე და როცა თავისი შემოსავლებიდან უკვე მოწიფულ ასაკში თავად უნდა იხადოს გადასახადები, მაშინ ტოვებს საკუთარ ქვეყანას.

საზოგადოებისათვის დიდი ზარალია ისიც, რომ არცთუ იშვიათად, მოკლე ხანში უკან ბრუნდებიან ხელმოცარული მიგრანტები, რომლებმაც ვერ მოახერხეს თავიანთი უნარისა და შესაძლებლობების ადაპტირება მიმღები ქვეყნის მოთხოვნებთან.

სულადობრივი და საერთო შემოსავლებზე ემიგრაციის შედეგების შეფასების დროს შეუძლებელია არ შევაფასოთ ემიგრანტების მიერ ოჯახებისათვის და ნათესავ-მეგობრებისათვის ფულადი გზავნილების როლი. ქვეყნის საერთო შემოსავალი, რომელსაც აკლდება ემიგრანტებზე წასვლამდე გაღებული სიკეთე, აკლდება მათი წასვლის გამო არაგანხორციელებული საშემოსავლო, ქონებრივი ბრუნვიდან, ხელფასდან გადასახადები აღება, საგრძნობლად ივსება ვალუტის სახით შემოსული ფულადი გზავნილებით.

ფულადი გზავნილი ასევე არ არის დანაკრგი არც მიგრანტისთვის, ვინაიდან იგი ნებაყოფლობითი საჩუქარია და არც იმიგრაციული ქვეყნისთვის, რადგანაც იგი იგზავნება უცხოელი სამუშაო ძალის მიერ გამომუშავებული სახსრებიდან, რასაც ნაკლებმოსალოდნელია, რომ მთლიანად დახარჯავდეს იმიგრანტი მიმღები ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე.

აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ ემიგრაციულ ქვეყანაში დარჩენილი მოსახლეობის საშუალო შემოსავალი მატულობს გზავნილებისა და დასაქმების გაზრდის ხარჯზე, საზოგადოებრივი საქონელი კი უფრო ნაკლებ მოსახლეობაზე ნაწილდება.

უცხოელთა შრომის გამოყენება მიმღები ქვეყნის საერთო შემოსავალსა და მოსახლეობის საშუალო შემოსავალზეგარკვეულ გავლენას ახდენს. ზოგადად, მიგრანტები ზედმეტ ტვირთს წარმოადგენენ მიმღები ქვეყნის ბიუჯეტისათვის, რადგანაც იზრდება სიღატაკისათვის დახმარების გაცემა; ზედმეტად იტვირთება საზოგადოებრივი სკოლები; მატულობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხარჯები; იზრდება ოჯა-

ხის გაერთიანებაზე, მათ პოლიტიკურ თავისუფლებასა და მომავლის გარკვევაზე გაღებული ხარჯები, პოლიტიკური ლტოლვილების ასიმილაციისათვის გამიზნული ხარჯები; რეპატრიაციის ხარჯები, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ იმიგრანტები გადასახადების სახით ბევრად მეტს იხდიან, ვიდრე მათი ჩამოსვლა უჯდება ბიუჯეტს, რაც ადამიანთა სასიცოცხლო ციკლის ეფექტით გარკვევით აიხსნება. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არალეგალური მუშებიც ნეტოგადამხდელებად გვევლინებიან მაშინ, როცა პრაქტიკულად მათთვის საზოგადოებრივი დოვლათი სრულად მიუღწეველია- არალეგალობის თუ ლეგალობის მიუხედავდ, მიგრანტებს ახალ ქვეყანაში პენსიასა და დაზღვევაზე უარის თქმა უწევთ. ყველაფერი ეს ცხადს ხდის, რომ მიმღები ქვეყანა საერთო შემოსავლის მატების თვალსაზრისით იგებს, მაგრამ ადგილობრივი სამუშაო ძალა აწყდება უცხოელთა კონკურენციას შრომის ბაზარზე და დგება საშუალო შემოსავლის შემცირების საფრთხის წინაშე.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ახორციელებს ვაჭრობის ლიბერალიზაციას და პრაქტიკულად საერთაშორისო მიგრაციის შემზღუდველ ღონისძიებებს ატარებს. საერთაშორისო მიგრაციის თეორიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი იწვევს წარმოების ერთობლივი მოცულობის ზრდას, თუმცა მიგრაციის ეკონომიკური სარგებლის განაწილება ქვეყნებს და სოციალურ ჯგუფებს შორის არათანაბრად ხდება. ამასთან, მიგრაციის დადებითი ეკონომიკური ეფექტები შეიძლებანეგატიურმაგადაფაროს. უარყოფით შედეგებს შორის მნიშვნელოვანია ის ფინანსური ტვირთი, რომელსაც იმიგრანტები სამუშაო ძალის მიმღები ქვეყნების ბიუჯეტებს აკისრებენ. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მაშინ, როდესაც განვითარებული ქვეყანა შემოსაზღვრულია განვითარებადი ქვეყნებით: მეზობლობის დროს ლეგალური და არალეგალური იმიგრანტების ნაკადები იზრდება, რაც მატერიალური მხარდაჭერისათვის, ან თუნდაც დეპორტაციისათვის ფინანსურ გასავლებს მოითხოვს.

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის პრობლემებმა მოითხოვეს საერთაშორისო ნაკადების სახელმწიფოებრივი და სახელმწიფოთაშორისი რეგულირება. მისი ფორმები და ინსტრუმენტები მრავალფეროვანია. ამასთან, საკითხის აქტუალობა იზრდება მცირერიცხოვანი მოსახლეობის მქონე ქვეყნებისთვის, სადაც სამუშაო ძალის გადინებამ შესაძლოა ქვეყნის შიგნით ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები წარმოშვას.

ჩვეულებრივ, სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების მეშვეობით, რომლებიც მიმართულია სამუშაო ძალის უცხოური ნაკადის შეზღუდვისა ან რეემიგრაციისათვის.მრავალი ქვეყანა მიგრაციის რეგულირების სელექციურ მეთოდს იყენებს: არ აბრკოლებს ქვეყანაში იმ კატეგორიის მუშების შესვლას, რომლებიც წარმოებაში სჭირდება, სხვა დანარჩენს კი ზღუდავს.

მიმღები ქვეყნის სახელმწიფო ინსტიტუტები დაკავებულნი არიან შრომითი იმიგრაციის პრობლემებით. ისინი მოქმედებენ ეროვნული კანონმდებლობის, ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. იმიგრაციის პროცესების პრობლემათა გადაწყვეტაში მინიმუმ სამი სახელმწიფო უწყება მონაწილეობს: საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომლის საკონსულო განყოფილებაც გასცემს ვიზებს; იუსტიციის სამინისტრო ან სასაზღვრო კონტროლის სხვა სამსახური, რომელიც შრომითი რესურსების მოძრაობის რეგულირებას კანონის რეჟიმში ახორციელებს და შრომის სამინისტო, რომელიც ზედამხედველობას უწევს უცხოური სამუშაო ძალის გამოყენებას.

ბევრ მიმღებ ქვეყანაში იმიგრაციის ნორმატიულ-სამართლევრივი ბაზა წარმოდეგენილია უმარავი კანონით და კანონქვემდებარე აქტით.იმიგრაციის კანონმდებლობის ძირითადი მიმართულებებია:

- პროფესიული კვალიფიკაცია - მრავალი მიმღები ქვეყნისთვის დადგენელია მკაცრი მოთხოვნები განათლების დონესა და სპეციალობის მიხედვით სამუშაო სტაჟზე;
- კერძო ხასიათის შეზღუდვები - მიღები ქვეყნის კანონმდებლობა მკაცრ მოთხოვნებს უყენებს იმიგრანტების ჯანმრთელობას. იმიგრანტების ასაკობრივი ცენზი კანონმდებლობით მტკიცდება, იმისდა მიხედვით, თუ წარმოების რომელ დარგში უნდა იმუშაოს მან, კანონმდებლობითი მოთხოვნები იმიგრანტების პოლიტიკური და სოციალური ორიენტაციის მიმართ.
- რაოდენობრივი კვოტირება - რაოდენობრივი კვოტები შესაძლებელია დაწესდეს მთლიანად ეკონომიკის მიხედვით და განსაზღვროს უცხოური სამუშაო ძალის მაქსიმალური წილი მთელ შრომით რესურსებში;
- ეკონომიკური რეგულირება-იგი მოიცავს გარკვეულ საფინანსო შეზღუდვებს, რომელიც იმიგრანტების რიცხვის შეზღუდვას უზრუნველყოფს.
- დროითი შეზღუდვა - მრავალი ქვეყნის კანონ-

მებლობით დგინდება ტერიტორიაზე უცხოელი მუშების ყოფნის მაქსიმალური ვადა, რომლის ამოწურვის შემთხვევაშიც მათ უნდა დატოვონ მიმღები ქვეყანა ან კომპეტენტური ორგანოებისგან მიიღოს ნებართვა ვადის გახანგრძლივების შესახებ.

- გეოგრაფიული პრიორიტეტები - პრაქტიკულად იმიგრანტების მიმღები თითოეული ქვეყანა კანონით ადგენს იმიგრაციის გეოგრაფიულ და ნაციონალურ სტრუქტურას.

კანონით დგინდება სანქციები იმიგრაციის წესების დარღვევისას. ისინი შეიძლება გავრცელდეს როგორც მიგრანტებზე, ასევე მათ ხელშემწყობებზე. ქვეყანაში უკანონო შეღწევა დანაშაულად ითვლება და აღმოჩენის შემთხვევაში დგინდება დეპორტაცია, ფულადი ჯარიმა ან ციხეში დაკავება.

რეემიგრაციის რეგულირება ხორციელდება პროფკავშირების ან სხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ზეწოლის პირობებში, რომლებიც უმუშევრობის მთავარ მიზეზს იმიგრანტთა ნაკადების ზრდაში ხედავენ. რეემიგრაციის სახელმწიფო ზომების ტრადიციული მეთოდებია:

- რეემიგრაციის სტიმულირების პროგრამები - ისინი მოიცავენ ღონისძიებათა ფართო წრეს, არაკანონიერი იმიგრანტების რეპატრიაციიდან დაწყებული იმიგრანტების მატერიალური დახმარებით დამთავრებული (ვისაც სამშობლოში დაბრუნების სურვილი აქვს). დასავლეთ ევროპის ქვეყნებში რეემიგრაციის მატერიალური წახალისების პროგრამები დასაბრუნებელი თანხების გადახდის მეთოდით ხორციელდება. ნებაყოფლობითი რეემიგრაციის ზოგიერთ შემთხვევაში თანხების გადახდა ხდება გამგზავრებამდე, ზოგჯერ კი სამშობლოში ჩასვლისას;
- იმიგრანტების როფესიული მომზადების პროგრამები – სამშობლოში დაბრუნების სტიმულირების მიზნით ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა (საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია) განიხილავს იმიგრანტების პროფესიული განათლების პროგრამებს, რომლის საფუძველზეც განვითარებულ ქვეყნებში განათლების მიღებით იმიგრანტებს უჩნდებათ სამშობლოში დაბრუნებისა და იქ მაღალანაზღაურებადი სამუშაოს მიღების სურვილი;
- მასობრივი ემიგრაციის ქვეყნებისთვის ეკონომიკური დახმარების პროგრამები – განვითარებული ქვეყნები სამუშაო ძალის ექსპორტიორ ქვეყნებთან დებენ შეთანხმებას სამუშაო ძალის სამშობლოში დაბრუნების ინვესტირებაზე და განვითარებად ქვეყნებში ისეთი ახალი საწარმოების შექმნაზე,სადაც დასაქმებული იქნებიან რეემიგრანტები. მაგალითად, გერმანული კაპიტალით შექმნილი თურქული კომპანიები რეემიგრანტთა მიზიდვის პუნქტი გახდა და თურქეთიდან ემიგრანტთა ნაკადიც შემცირდა.

ემიგრანტთა ნაკადებს საქართველოში არეგულირებს ,,ემიგრაციის კანონი", რომლის თანახმად საქართველოდან ემიგრაციის შეზღუდვის საფუძველს წარმოადგენს: პირზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ან განაჩენით შეფარდებული მოუხდელი სასჯელი; აღძრულია სამოქალაქო სარჩელი; წვევამდელი ასაკის პირის მოუხდელი სამხედრო ბეგარა; სახელმწიფო საიდუმლოებათა ცოდნა; ემიგრაციაზე შუამდგომლობის შეტანისას ყალბი დოკუმენტების წარდგენა და სხვ.

შრომითი მიგრაციით მოგებული არიან მიგრანტები, დამქირავებლები და შესაბამისად, მიმღები ქვეყნის ბიუჯეტი და ემიგრაციის ქვეყანაში დარჩენილი სამუშაო ძალა. ზარალს განიცდის მიმღებ ქვეყანაში მუშახელი და გამგზავნი ქვეყნის მეწარმეები. მიმღები ქვეყანა იგებს სამუშაო ძალის ბაზარზე ცვლილებების ხარჯზეც და სახელმწიფო ბიუჯეტზეც დადებითად მოქმედებს. დონორი ქვეყანა კარგავს ორივეს ამ ფაქტორის მიხედვით, თუ არ გავითვალისწინებთ მიგრანტთა ფულად გზავნილებს.

ცნობილია, რომ მიგრანტთა შრომითი დასაქმებით მიღებული შემოსავლები თავიანთი სიდიდით ნავთობისა და ნარკოტიკული ნივთიერებების შემდგომ მესამე ადგილზეა. დასაქმების ფირმების არალეგალური საქმინობის შედეგად, ხშირად, ეს ყველაფერი ფარულად ,,ჩრდილოვანი ეკონომიკის" სფეროში ექცევა. შრომითი მიგრაცია მსოფლიოში წამყვან ბიზნესად იქცა. ოფიციალური მონაცემებით ოთხმოცდაათიან წლებში 30 მლნ შრომითი მიგრანტ წარმომშობ ქვეყანაში გზავნიდა 67 მლრდ აშშ დოლარს. 2003 წლის მონაცემებით _ მსოფლიო ფულადმა გზავნილებმა მიაღწია 93 მლრდ-ს, რაც 20%-ით აღემატება 2001 წლის მონაცემებს და რომელიც მსოფლიოში ჩამორჩება მხოლოდ ნედლი ნავთობის გაყიდვით მიღებულ შემოსავალს.

მაშასადამე, მთლიანად მსოფლიო, ეკონომიკური თვალსაზრისით, მოგებული რჩება, რადგან მიგრაციის თავისუფლება ადამიანებს საშუალებას აძლევს, გადავიდნენ იმ ქვეყანაში, სადაც მეტ წვლილს შეიტანენ

მსოფლიო წარმოებაში. როცა შრომის ბაზრები პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში ხელისუფლების მიერ ვერ რეგულირდება, მოქმედებას იწყებს მასობრივი პროცესი _ შრომითი მიგრაცია.

ამგვარად, საერთაშორისო მიგრაციის რეგულირება ხორციელდება მიმღები და ექსპორტიორი ქვეყნების მთავრობათა კანონმდებლობით სახელმწიფოთაშორისი და უწყებათაშორისი ხელშეკრულებების საფუძველზე. რეგულირება ხორციელდება ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამებით, რომელიც მიმართულია უცხოური სამუშაო ძალის ნაკადის შეზღუდვაზე ან იმიგრანტთა რეემიგრაციაზე. ბევრი მიმღები ქვეყანა იყენებს იმიგრაციის რეგულირების შერჩევით მეთოდს. რეემიგრაციის სტიმულირება კი ხდება წამსვლელთა მატერიალური კომპენსაციით, მათი პროფესიული გადამზადებით, სამუშაო ადგილების შექმნით და მასობრივი ემიგრაციის ქვეყნებისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევით.

ლიტერატურა:

1. ჯოლია გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. "ტექნიკური უნივერსიტეტი", თბ. 2008.
2. ზუბიაშვილი თ. თანამედრვე საერთაშორისო მიგრაცია. თსუ, თბ. 1999.
3. ოთინაშვილი რ. საქართველოს ეკონომიკა. "ტექნიკური უნივერსიტეტი", თბ. 2010.
4. ჭელიძე ნ. შრომითი მიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში. გამომცემლობა ლეგა, თბ. 2006.
5. ჭითანავა ნ.,თაკალნძე ლ. სოციალური ეკონომიკა. თბ. 2006.

The Concept of Immigration of Labor Force and State Regulation

SUMMARY

The immigration of labor force is defined as the rational choice of immigrants, when they know the costs and profit of immigration. The immigration is the most accessible mean to earn a wage including for those, who couldn't find job at the national labor market or had been ignored by such market. Immigrant can be each citizen. The role of immigration is especially high for the population of middle-sized and small cities, where production has ceased to exist.

It's very interesting and complex task to estimate advantages and disadvantages of the immigration of labor force. For some reason many is said about the negative results of immigration (hiding incomes to reduce taxes, worsening of criminal situation, unforeseen problems related to illegal employment, etc.), but the positive aspects of immigration remain largely unnoticed. When the immigrant leaves the country, it's a risky affair, but if he/she succeeds, not only his/her family, but the whole country and the world society will gain. States collect revenues as a result of export of labor force and parcels of immigrants. International immigration of labor force promotes the development of integration processes and in the end growing international communications may help to establish international peace.

Therefore, immigration of labor force brings positive and negative results for recipient and supplier countries as well as for immigrants and their families. Generally, immigration is the positive phenomenon, but we must determine how to regulate the immigration of labor force for the benefit of population.

სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების პრიორიტეტული მიმართულებები

ნაზი ჭიკაიძე, *ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
მედეა კურტანიძე, *სტუ-ს დოქტორანტი*

ბიზნესი გარკვეულ სოციალურ და პოლიტიკურ-კულტურულ გარემოში წარიმართება და, ბუნებრივია, მას არ შეუძლია საზოგადოების ინტერესების უგულებელყოფა. სოციალური გარემოს განვითარება და გაუმჯობესება ბიზნესისა და ეკონომიკური სუბიექტების გრძელვადიან ინტერესებს პასუხობს.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის დოქტრინა ამჟამად დიდი მხარდაჭერით სარგებლობს მსოფლიოში. ბიზნესკომპანიებისაგან ელიან არა მხოლოდ მოგებისაკენ სწრაფვას, არამედ «კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის» გაცნობიერებასა და განხორციელებას ეკოლოგიური და სოციალური პორბლემების გადაწყვეტით.

არ არსებობს სოციალური პასუხისმგებლობის ერთი, საბოლოოდ დადგენილი განსაზღვრება. სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ორგანიზაცია, სხვადასხვაგვარად აყალიბებს იმას თუ რას ნიშნავს სოციალური პასუხისმგებლობა, თუმცა არსებითად, ყველას არსი ერთდაიგივეა. ერთ-ერთი განსაზღვრებაა.

კსპ (კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა **Corporate Social Responsibility** - CSR) – არის თუ როგორ მართავენ ბიზნესკომპანიები თავიანთ ბიზნესსაქმიანობას, რათა მოახდინონ საზოგადოებაზე ყოვლისმომცველი დადებითი ზეგავლენა.

მდგრადი განვითარების მსოფლიო ბიზნესსაბჭო (World Business Council for Sustainable Development) სოციალური პასუხისმგებლობის ამგვარ დეფინიციას გვთავაზობს: კსპ (კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა) არის ბიზნესის მუდმივი სურვილი ეთიკურად მოვიქცეთ და წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მის მიერ დაქირავებული მუშახელისა და მათი ოჯახების, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობისა და მთელი საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესებით.

ევროპული მოდელი სოციალური პასუხისმგებლობისა უფრო მეტად ორიენტირებულია ბიზნესის წარმოებაზე სოციალური პასუხისმგებლობის შეგნებითა და გათვალისწინებით. ეს გულისხმობს მოსახლეობის საჭიროებებში ინვესტიციას, რაც საბოლოოდ სერიოზულ დადებით ზეგავლენას ახდენს თავად ბიზნესზე.

მრავალი ანალიტიკოსის აზრით, ევროპული გაგება ბევრად უფრო მდგრადია შემდეგი მიზეზების გამო:

1. სოციალური პასუხისმგებლობა სიმდიდრის შექმნის პროცესის განუყოფელი ნაწილი ხდება, რომელიც სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში ზრდის ბიზნესის კონკურენტუნარიანობას, იმავდროულად საზოგადოებისათვის ზრდის ცალკეული კომპანიების მიერ სიმდიდრის დაგროვების პროცესის მნიშვნელობას;

2. ბიზნეს-კომპანიისათვის მძიმე პერიოდებში ევროპული მოდელი იძლევა სტიმულს სოციალური პასუხისმგებლობის უფრო უკეთ და აქტიურად განხორციელებისა, ხოლო როდესაც სოციალური პასუხისმგებლობა წმინდა ფილანტროპიაა და ბიზნესის წარმოებისათვის პერიფერიულია, კომპანია, პირველ რიგში, მასზე იტყვის უარს.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა განიხილება დონეების მიხედვით: საბაზისო დონე ითვალისწინებს გადასახადების, შრომის ანაზღაურების დროულ გადახდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; მეორე დონე ითვალისწინებს მუშაკების არა მხოლოდ მუშაობის, არამედ ცხოვრების ადეკვატური პირობებით უზრუნველყოფას: მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, საცხოვრებელი ბინების მშენებლობას, სოციალური სფეროს განვითარებას. პასუხისმგებლობის ასეთ ტიპს პირობითად „კორპორაციულ პასუხისმგებლობას“ უწოდებენ. უმაღლესი დონე გულისხმობს საქველმოქმედო საქმიანობას.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს კონცეფციას, რომლის თანახმადაც კომპანია ნებაყოფლობით ითვალისწინებს საკუთარი მომხმარებლების, მომწოდებლების, თანამშრომლების, ბიზნესპარტნიორების და ზოგადად საზოგადოების ინტერესებს ბიზნესოპერაციების განხორციელებისას. ეს, არსებითად, არის ბიზნესის კეთილი ნება, საკუთარ თავზე აიღოს უფრო მეტი პასუხისმგებლობა, ვიდრე მას კანონით ეკისრება, შეგნებულად გასცდეს მოგების მიღების თავდაპირველ ფუნქციას და ნებაყოფლობით იზრუნოს აგრეთვე საზოგადოების კეთილდღეობაზე, დადებითი წვლილი შეიტანოს

სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში. აღსანიშნავია, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ადრეული განსაზღვრებები ძირითადად ფილანთროპიულ და საქველმოქმედო საქმიანობებზე კონცენტრირდებოდა. დღესდღეობითაც, განვითარებად ქვეყნებში ხშირად სოციალური პასუხისმგებლობა კვლავ ძირითადად ქველმოქმედებად არის გააზრებული, თუმცა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ის გაცილებით ფართო კონცეფციას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ფილანტროპია/ქველმოქმედება სოციალური პასუხისმგებლობის მოძველებული ფორმებია.

კორპორაციული პასუხისმგებლობა არსებითად არის ბიზნესის წარმოების ახალი მეთოდი, რომელიც გულისხმობს სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების ჩართვას როგორც ბიზნესსტრატეგიაში, ისე კომპანიის საქმიანობის ყველა სფეროსა და კომპონენტში. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ბიზნესგადაწყვეტილების მიღებისას ან ბიზნესოპერაციის განხორციელებისას, პასუხისმგებელი კომპანია ითვალისწინებს მოცემული გადაწყვეტილებისა თუ საქმიანობის შესაძლო ზეგავლენას ბუნებრივ გარემოზე, ადგილობრივ საზოგადოებასა და სოციო-ეკონომიკურ სისტემებზე, ცდილობს შეამციროს უარყოფითი ზეგავლენა და გააძლიეროს დადებითი შედეგები.

დღევანდელი გაგებით, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა: კორპორაციული მართვა და ეთიკა; ადამიანის უფლებათა და თანამშრომლებთან შრომითი საქმიანობის ძირითადი უფლებების დაცვა მომწოდებლებსა და მომხმარებ-ლებთან ურთიერთობისას; გარემოს დაცვა და გარემოზე მოხდენილი უარყოფითი ზეგავლენის შემცირება; საზოგადოების/თემის საჭიროებებზე ზრუნვა; მექრთამეობასთან ბრძოლა და კორუფციის დაუშვებლობა; მომხმარებელთა უფლებების დაცვა და პროდუქციაზე პასუხისმგებლობა; მომწოდებლებთან ურთიერთობა ადგილობრივ და საერთაშორისო მოწოდების ქსელებში; გამჭვირვალობა და ანგარიშგება. ამრიგად, ეს ძალიან ფართო და მრავლის მომცველი კონცეფციაა.

უკანასკნელი წლების კვლევები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ საზოგადოების წინაშე მორალური ვალდებულების შესრულება, ის კეთილმყოფელ გავლენას ახდენს კომპანიის უშუალო ბიზნესსაქმიანობაზეც, რადგანაც ხელს უწყობს კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მისი იმიჯის გაუმჯობესებას, ეხმარება კომპანიას უკეთ მართოს საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები, მოიზიდოს ინვესტორები, ხანგრძლივად შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა თანამშრომლებთან, მომწოდებლებთან, კლიენტებთან და ა.შ. ორგანიზაციებს, რომლებიც ითვალისწინებენ გარემოსდაცვით, სოციალურ და მასშტაბურ ეკონომიკურ საკითხებს თავიანთ ძირითად ბიზნესსაქმიანობასთან კავშირში, უკეთესი ფინანსური მაჩვენებლები აქვთ. ამის გათვალისწინებით, სულ უფრო მეტი კომპანია ნერგავს საკუთარ საქმიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტებს, თუმცა სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება დადებით ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ კომპანიების საქმიანობაზე, არამედ ზოგადად ქვეყნის განვითარებაზე. ის განიხილება როგორც ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდის, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის, ვაჭრობისა და ინვესტიციების მოზიდვის, აგრეთვე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მექანიზმი. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ჩშღ შეიძლება გახდეს მძლავრი იარაღი, რომელიც წვლილს შეიტანს ქვეყნის აღორძინებასა და საზოგადოებრივი მიზნების მიღწევაში.

როგორც ცნობილია, საქართველო რამდენიმე ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციისა და ინიციატივის წევრია, რომელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს სწორედ CSR-ის განვითარება წარმოადგენს. საქართველო აგრეთვე მიერთებულია მრავალ საერთაშორისო შეთანხმებას, რომლებიც საერთაშორისო დონეზე არეგულირებს CSR-ის ამა თუ იმ კომპონენტის (ადამიანის უფლებებს, შრომით უფლებებს, გარემოს დაცვასა და ა.შ.) განხორციელებას სხვადასხვა სექტორისა და ინსტიტუტის, მათ შორის ბიზნესკომპანიის მიერ (ამ შეთანხმებებს მიეკუთვნება, მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; ILO «დეკლარაცია შრომით საქმიანობაში ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ»; ორჰუსის კონვენცია და მრავალი სხვა).

ამდენად საქართველოში CSR-ის განვითარება ხელს შეუწყობს საერთაშორისო დონეზე ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესებას, საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების უფრო ეფექტურ განხორციელებას (ამ ვალდებულებათა განხორციელებაში ბიზნესსექტორის ნებაყოფლობითი ჩართვის გზით) და სხვადასხვა საერთაშორისო სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციას. კერძოდ, ევროკავშირთან ინტეგრაციას, ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის აღსრულების,

საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ამოქმედებისათვის საჭირო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ათასწლეულის განვითარების მიზნების შესრულებას და ა.შ.

სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეროვნული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების განხორციელებაში და ცალკეულ სექტორებში (ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით სექტორებში) არსებული პრობლემების მოგვარებაშიც.

CSR-ის განვითარება საქართველოს ხელს შეუწყობს ისეთი სოციო-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას, როგორიცაა: სიღარიბე, უმუშევრობა (განსაკუთრებით, სოციალურად მარგინალიზებული ჯგუფების დასაქმების პრობლემა), შემოსავლების არათანაბარი განაწილება, საჯარო სერვისების მიწოდების არაეფექტურობა და ა.შ.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება ასევე მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს გარემოსდაცვთი პრობლემების მოგვარებაშიც. როგორც ცნობილია, კორპორაციული პასუხისმგებლობის ერთ-ერთ წამყვან თემას სწორედ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა წარმოადგენს, რაც გულისხმობს სხვადასხვა ხერხით გარემოზე კომპანიის საქმიანობით მოხდენილი მავნე ზემოქმედების შემცირებას.

საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ერთ-ერთი შედეგი იქნება ქვეყანაში მინიმალური სტანდარტების უფრო ეფექტური დანერგვა (ისეთ სფეროებში, როგორიცაა: გარემოს დაცვა, შრომითი საქმიანობა, ადამიანის უფლებები, პროდუქციაზე პასუხისმგებლობა და ა.შ.). ეს კი მნიშვნელოვანია ზოგადად ქვეყნის განვითარებისათვის და კეთილმყოფელ ზეგავლენას მოახდენს საქართველოს უფრო ქმედით ინტეგრირებაზე საერთაშორისო სტრუქტურებში, რადგანაც ამ სტანდარტების დაცვა მოითხოვება საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომლებსაც საქართველო არის მიერთებული.

როგორც ცნობილია, ბოლო წლებში საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად კურსს წარმოადგენს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა და ქართული პროდუქციისა და სერვისების გასვლა ახალ უცხოურ ბაზრებზე. ამ კონტექსტში ჩშღ-ს მნიშვნელოვანი როლი შეუძლია ითამაშოს ხსენებული მიზნების მიღწევაში.

დღესდღეობით, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ინვესტორთა დიდი უმრავლესობა საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას და ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასებისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქვეყანაში პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის სტანდარტების შესრულებას.

დღევანდელ მსოფლიოში სწრაფად იზრდება ისეთი საინვესტიციო ფონდების რაოდენობა, რომლებიც ფინანსური მიზნების გარდა სოციალურ, ეკოლოგიურ და ეთიკურ მიზნებს ისახავენ. ეს მიდგომა ცნობილია «სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირების» სახელით. ეთიკურ მიზეზებთან ერთად, მას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ კომპანია, რომელიც ეფექტურად ახორციელებს CSR მიდგომებს, უკეთ იმართება, უფრო ეფექტურად ახერხებს რისკების პრევენციას და, შესაბამისად, უკეთესი ფინანსური მაჩვენებლები აქვს. შესაბამისად, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას სულ უფრო მეტად ითვალისწინებენ თავიანთი შეფასების სისტემებში სოციალური პასუხისმგებლობის კრიტერიუმებს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოში დამატებითი ინვესტიციების მოსაზიდად CSR-ის განვითარება მეტად მნიშვნელოვანია. იმისათვის, რომ ქართულ კომპანიებს ხელი მიუწვდებოდეთ სოციალურად პასუხისმგებელი საფინანსო ინსტიტუტების თანხებზე, მათ უნდა გარდაქმნან თავიანთი ყოველდღიური საქმიანობა და ჩართონ მასში სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპები.

ბიზნესის წარმოების ეფექტურობის გაზრდითა და პროდუქციისა და სერვისების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფით CSR-ის განვითარება საქართველოში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საგარეო ვაჭრობის განვითარებასა და ქართული პროდუქციის ახალ ბაზრებზე გასვლას.

დღევანდელ მსოფლიოში მუდმივად იზრდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა. დასავლეთის მომხმარებლებს და, შესაბამისად, გამსაღებელ კომპანიებს, აინტერესებს არა მხოლოდ პროდუქციის ხარისხი, არამედ მისი წარმოების პროცესის სოციალური და ეკოლოგიური პარამეტრები, რაც სწორედ CSR-ის მეშვეობით რეგულირდება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპისა და ამერიკის განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე გასასვლელად, თუმცა ნელ-ნელა ეს პარამეტრი აქტუალური ხდება განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე მრავალი ქვეყნისათვის.

CSR-ის განვითარების კიდევ ერთ მამოძრავებელ ძალას, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, წარმოადგენს გლობალურ მოწოდების ჯაჭვებში ადგილობრივი კომპანიების ჩართვის შესაძლებლობა.

ეს განსაკუთრებით აქტუალურია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.

საქართველოში CSR-ის განვითარება ქართულ მცირე და საშუალო კომპანიებს შესაძლებლობას გაუხსნის ჩაერთონ მსხვილი მულტინაციონალური კომპანიების მოწოდების ჯაჭვებში, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან დადებით ზეგავლენას იქონიებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში ბიზნესის სოციალური როლის, მისი სოციალური პასუხისმგებლობის, ბიზნესის მიერ დაფინანსებული სოციალური ინვესტიციების გაზრდის პრობლემას სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა უპირატესად ქველმოქმედების სახით გვევლინება ანუ იგი ლოკალურად ფარულ ხასიათს ატარებს.შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა თავისი განვითარების საწყის ეტაპზეა. ამის მიზეზად ქართველი ბიზნესმენები მრავალ ფაქტორს ასახელებენ: სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობისა და სტიმულირების არ არსებობა, საგადასახადო შეღავათების არარსებობა, არაჯანსაღი ბიზნესგარემო. ასევე მნიშვნელოვანია შიდა ფაქტორებიც: ცოდნისა და ინფორმირებულობის ნაკლებობა სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ფორმების შესახებ, სოციალური პასუხისმგებლობის პროექტების დაგეგმვის, მართვისა და შედეგების შეფასების გამოცდილების ნაკლებობა.

აღსანიშნავია, რომ ქართველ მეწარმეთათვის სოციალური პასუხისმგებლობის ცნება უცხო არასდროს არ ყოფილა. XIX საუკუნის დამლევს, როდესაც აშშ-ში ზოგიერთი მსხვილი მეწარმე გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ფირმები უნდა გამოეხმაურონ საზოგადოების პრობლემებს და თავიანთი წვლილი შეიტანონ მათ გადაჭრაში, საქართველოში მოღვაწე მეწარმეთა საქმიანობა უკვე სოციალური პასუხისმგებლობის მაგალითს წარმოადგენდა.

დღეს სოციალური პასუხისმგებლობა, თავისებურ ბიზნესად და ფულის შოვნის საშუალებად იქცა, იგი მარკეტინგისა და ბაზარზე პოზიციერების თავისებური ტექნოლოგიაა, რადგან, მართალია, სოციალურ და ფილანტროპიულ პროექტებში ჩართვით, ბიზნესმენი ამცირებს მიმდინარე შემოსავალს, მაგრამ, გრძელვადიან პერსპექტივაში, ქმნის კეთილსაიმედო სოციალურ გარემოცვას და თავადაც იქმნის მყარ რეპუტაციასა და იმიჯს, დამაჯერებელ რეკლამას და იღებს დივიდენდებს ამ საქმიანობიდან. შესაბამისად, მთელს ცივილიზებულ სამყაროში სოციალური პასუხისმგებლობა დიდი ხანია წმინდა ეკონომიკურ კატეგორიას მიეკუთვნება. საბოლოო ჯამში, ფილანტროპია ფულის ეკონომიას უწყობს ხელს და ქართული ბიზნესიც, თუ უნდა, რომ ცივილიზებული ეკონომიკის ნაწილი გახდეს, აუცილებლად დაამკვიდრებს თავის არსენალში სოციალურ, კორპორაციულ პასუხისმგებლობას.

ლიტერატურა:

1. Hildebrand, D., Sen, S. & Bhattacharya, C.B. 2011. Corporate Social Responsibility: A Corporate Marketing Perspective. European Journal of Marketing.
2. Lindgreen, A., SwAen, V. & JohnSton, w. 2009. the Supporting Function oF MArketing in corporAte SociAL reSponSibiLity. Corporate reputation review.
3. Нещадина О. `*Социальная* ответственность *бизнеса* .viperson.ru/wind.php?ID=215079
4. *www.epfound.ge/files/lela_khopheria__geo.ppt*
5. *www.csrdg.ge/index.php?module=multi...id.*
6. *www.nplg.gov.ge/.../library.exe?*
7. *www.financial.ge/index.php?option=com.*
8. *www.bpi.ge/index.php?..*
9. *www.csrdg.ge/index.php?module=multi...id...*

Chikaidze Nazi, *the academic doctor of economy*

SUMMARY

Corporate social responsibility (CSR) is an issue of global relevance in the modern world. It is commonly recognized that the private sector is one of the strongest and most influential players inthe market economy. Neither global nor local issues can be solved without an active participation by business.

Corporate social responsibility is a company's voluntary choice to act ethically, consider the expectations of various groups of the society, and make a positive impact through its work, social and natural environments. Accordingly, the strength of this concept, apart from its moral value, is the diverse and long-term benefit that the introduction of social responsibility brings to all stakeholders.

Considering the above, the development of corporate social responsibility in Georgia becomes of the utmost importance: it will contribute to a more stable development of the country, the implementation of the national policy objectives, a more effective solution of numerous internal problems and deepening of international relations.

საბანკო სისტემის როლი მცირე ბიზნესის განვითარებაში

თამაზ ბაქრაძე, *სტუ-ს სრული პროფესორი,*
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიკოსი
ანა ანანიაშვილი, სტუ-ს დოქტორანტი

მცირე ბიზნესის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური როლის გამო, მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანაში მათ ხელს უწყობს სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც სპეციალურად მცირე ბიზნესის განვითარებისთვის არიან დაფუძნებულნი. მცირე ბიზნესის სახელმწიფო ხელშეწყობა არ ნიშნავს ცუდად მომუშავე საწარმოს დახმარებას. სახელმწიფო მიმართულია იმ პრობლემების გადაჭრისკენ, რომლებიც საწარმოს მცირე შესაძლებლობების გამო წარმოიშვება და შეიძლება ითქვას, არათანაბარკონკურენტულ პირობებში აყენებს მსხვილ საწარმოსთან მიმართებაში. მრავალი კვლევა არსებობს იმის შესახებ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ მცირე ბიზნეს, რა როლს თამაშობს მის განვითარებაში და შესაბამისად პარალელების ივლება ქართულ რეალობასთან.

მსოფლიო პრაქტიკაში მცირე ბიზნესის ერთ ერთ მთავარ პრობლემას მწირი ფინანსები და მათი მოპოვების სირთულე წარმოადგენს. საწარმოს ზომისა და მეწარმის გამოუცდელობს გამო არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ მეწარმე შეძლებს კრედიტის დროულ დაფარვას. ამგვარი პრობლემები დიდ ზიანს აყენებენ მცირე ბიზნესის განვითარებას და ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. ამ და სხვა პრობლემების აღმოსაფრქველად მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ მცირე ბიზნესი იდეალურად ლიბერალურ პირობებში ვერ განვითარდებოდა. ნებისმიერი სახის ბიზნესისათვის საბანკო სექტორთან ურთიერთობა ძალიან დიდ მნიშვნელობას ატარებს, როგორც მომსახურების ასევე სესხებისა და კრედიტების კუთხით. მცირე ბიზნესისათვის საბანკო კრედიტები, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, მისი განვითარება შეუძლებელია კაპიტალის გარეშე. მცირე ბიზნესში კაპიტალის შევსების ყველაზე მთავარი წყარო საბანკო კრედიტებია. ამაზეა დამოკიდებული მეწარმის წარმატებული საქმიანობა, ანუ მეწარმის კეთილდღეობა. ზემოთ აღნიშნული, მცირე ბიზნესის სოციალურ- ეკონომიკური სიკეთე დიდწილადაა დამოკიდებული ბანკების საქმიანობაზე. შეიძლება ითქვას, საქართველოში დასაქმების პრობლემის მოგვარებისა და სიღარიბის დაძლევის თემა პირდაპირაა დაკავშირებული საბანკო მომსახურებების სიტუაციასთან შესაბამისობასა და ხარისხთან.

საქართველოში ყველაზე განვითარებული ეკონომიკური სფერო საბანკო სექტორია. ბუნებრივია, ქართულ სამეწარმეო საქმის დღევანდელ მდგომარეობაში საბანკო სექტორის წვლილი დიდია. დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში 20-ზე მეტი კომერციული ბანკი საქმიანობს. რამდენიმე მათგანის ძირითადი პრიორიტეტი ბეზნეს სესხების გაცემა მომსახურებაა, ამას ემატება რამდენიმე მიკრო საფინანსო ორგანიზაცია, რომელთა ძირითადი ორიენტირიც მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის მომსახურება, საბანკო სექტორისთვისაც მნიშვნელოვანია. თუმცა, ქართულ საბანკო სექტორს ახასიათებს გარკვეული თავისებურებები, რომლითაც მისი დამოკიდებულება განვითარებულ ქვეყნებში არსებული სიტუაციისგან საკმაოდ განსხვავდება. ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ სახელმწიფოს როლზე და ფუნქციაზე მცირე ბიზნესის განვითარებაში. მსგავსი მნიშვნელობა აკისრია საბანკო სექტორს. ისეთ ქვეყნებში სადაც მცირე ბიზნესს სახელმწიფოს მხრიდან ყურადრება ექცევა, მეწარმეობის ამ სფეროში თავისი საქმიანობის გაღრმავების მნიშვნელოვანი მოტივაცია საბანკო სექტორსაც უჩნდება. ღაც მეტია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მით უფრო ნაკლები რისკის გაწევა უხდებათ ბანკებს კრედიტების გაცემისას, შესაბამისად, სესხები გაცილებით დაბალპროცენტიანი და ადვილად ხელმისაწვდომი შეიძლება გახდეს. დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს მცირე მეწარმეობის დეფინიცია, აქედან გამომდინარე ბანკებსაც ურთულდებათ ამ კატეგორიის ბიზნესისათვის სპეციალური შეთავაზებების გაკეთება. ამის გამო, საქართველოში ნებისმიერი ბიზნეს სესხის საპროცენტო განაკვეთი 14 იდან 18 პროცენტამდე მერყეობს. თანაბარი საკრედიტო პირობები მცირე ბიზნესს დიდ ბიზნესთან თანაარსებობას ძალიან ურთულებს. გარდა პროცენტების სიძვირისა კრედიტების მიღების საკითხებიც გართულებულია. გერმანიაში არსებობს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მეწარმეს საკუთარი მოთხოვნის მიღება ინტერნეტითაც შეუძლია. საქართველოში კი მრავალი ფორმალური ბარიერი არსებობს.

განვითარებულ ქვეყნებში არსებობენ სახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებიც მეწარმეს ეხმარებიან იურიდიულ, ეკონომიკურ თუ სხვა პრობლემების მოგვარებაში. ანუ სახელმწიფო თავად არის დაინ-

ტერესებული ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. განცხადების შეტანის შემდეგ ბანკის კრედიტ ოფიცერი მიდის მსესხებელი პირის საწარმოში, ხდება გასაუბრება, რის შემდეგაც კრედიტ ოფიცერი ბანკის საკრედიტო კომიტეტს აცნობს მსესხებლის პირობებს. კომიტეტი აფასებს საწარმოს გადახდისუნარიანობას, საწარმოს ურთიერთობებს სხვა ბანკებთან და ორგანიზაციებთან. ყოველივე ამის შემდეგ იღებს გადაწვეტილებებს მისცეს თუ არა მეწარმეს კრედიტი. სესხის დროული და სრული დაბრუნების უზრენველყოფისათვის და შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად ბანკი მსესხებელ საწარმოს სთხოვს დატოვოს საგირავნო უზრუნველყოფა. ეს შეიძლება იყოს ძვირფასეულობა, ავტომობილი, ფასიანი ქაღალდები და ა.შ. ამ მხრივ ბანკი ამცირებს რისკს. მეწარმე პროცენტის გადახდის გადაცდენის შემთხვევაში იხდის ბანკის მიერ დადგენილ საპროცენტო ჯარიმას, ხოლო გადახდისუუნარობის დროს კი ბანკი იძულებულია მფლობელობაში დაიტოვოს საგირავნო ობიექტები. კრედიტით სარგებლობის პერიოდში ბანკი გარეკვეულწილად თვალყურს ადევნებს მეწარმის საქმიანობას, იგი ამოწმებს მსესხებელი საწარმოს ბუღალტერიას. ჩვენი აზრით, მცირე და საშუალო მეწარმეობის დაკრედიტებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მეწარმის საქმიანობის სფერო, დიფერენცირებული უნდა იქნას ვაჭრობის, მომსახურებისა და წარმოების სფერო. მიზნობრივი სესხების გაცემით ბანკები უკეთ მოახერხებენ მეწარმის საქმიანობის სწორად შეფასებას, თავის მხრივ ასეთი მეთოდი მეწარმეებსაც მისცემს საშუალებას სწორად წარმართონ თავიანთი საქმიანობა. ქართული საბანკო სექტორის სპეციფიკური განვითარება, სხვა კუთხითაც უქმნის მეწარმეობის განვითარებას პრობლემებს. უნდა ითქვას, საბანკო მომსახურებებით სარგებლობა მეწარმეს მეტნაკლებად სრულყოფილად მხოლოდ დედაქალაქში შეუძლია. რეგიონებში საბანკო სისტემა გაცილებით სუსტია, ვიდრე თბილისში. თბილისში სესხის აღება გაცილებით მარტივია ვიდრე, თუნდაც წყალტუბოში, ამიტომ რეგიონში მცხოვრებ მეწარმეებს, საბანკო კრედიტებთან ხელი ნაკლებად მიუწვდებათ. შესაბამისად რეგიონებში სამეწარმეო საქმიანობის წარმოება გაცილებით ძნელია, რაც უამრავ ეკონომიკურ თუ სხვა შინაარსის პრობლემას იწვევს. სამეწარმეო საქმიანობის მასშტაბურად განვითარებას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ არცერთ ბანკს არ აქვს შეთავაზებები დამწყები ბიზნესმენებისათვის. ეს არც «იაფი კრედიტის» პროგრამაშია გათვალისწინებული. იმ დროს, როცა ქვეყანაში ოფიციალურად 250 000 ადამიანია უმუშევარი, და არ არსებობს მათთვის საკუთარი ბიზნესის დასაწყებად გათვალისწინებული კრედიტი, მათი დასაქმება და სიღარიბის დაძლევა მართლაცრთული საკითხია. კერძობანკს ვერ მოვთხოვთ გამოუცდელ ადამიანზე სესხის გაცემის რისკის გაწევას. როცა სახელმწიფომ გაამარტივა სამეწარმეო საქმიანობის დაწყების პროცედურა და გააადვილა ნებართვების გაცემა, პარალელურად, მან უნდა იმუშაოს იმაზე, რომ დამწყები ბიზნესმენებისთვისაც გახდეს სესხები ხელმისაწვდომი.

საქართველოში არსებული კომერციული ბანკების მხრიდან ნაკლებად არსებობს მხარდამჭერი ღონისძიებები რითაც, შეიძლება განვითარდეს მცირე და საშუალო ბიზნესი. ჯერჯერობით ქართული საბანკო სექტორი მზად არაა იმისათვის, რომ ქვეყანასი მცირე ბიზნესის განვითარებაზე იმუშაოს. ვფიქრობთ, რომ სახელმწიფომ საბანკო სექტორსა და მეწარმეებს შორის შუამავალის ფუნქცია უნდა იკისროს, ვინაიდან საბანკო სექტორი ობიექტურად ვერ იქნება სოციალურ შედეგებზე ორიენტირებული, სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ სამეწარმეო საქმიანობა არ იყოს მნიშვნელოვან რისკებთან დაკავშირებული.

MR.Tamaz Bakradze, *full professor GTU*
Ana Ananiashvili,

The role of Banking system in the Small Business Development Process

SUMMARY

For the Small Business it is very important to keep a good relations with Banking System, AS Banking System provides it with services and with loans. Capital reimbursement process of the Small Business is impossible without loans and generally without banking products. There are direct relations between Poverty Reduction and quality of Banking service. In Highly developed Countries are created State Agencies for providing small Business with legal services, giving them economic advices and helping Small Business in solving their problems. In other words country has a direct interest to provide small business with support. Commercial Banks In Georgia do not provide small business with sufficient financial support, as they are not ready to fully encourage business development process in the country. Having such kind of situation government should play the role of intermediary between the business sector and Banking System, as the country has a responsibility of creating such conditions, in which there will be a low level of business risks.

მეცნიერული სწავლების მეთოდები და მეთოდოლოგიები

ცოდნის ეკონომიკის გაზომვის (შეფასების) მეთოდოლოგია

გურამ ჯოლია, *სტუ-ს სრული პროფესორი*
დალი სეხნიაშვილი, *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

ის, რაც შეიძლება გაიზომოს, ყოველთვის არაა მნიშვნელოვანი,
ხოლო, რაც მნიშვნელოვანია, ყოველთვის არ შეიძლება გაიზომოს.
ა. აინშტაინი

რაოდენობრივი გაზომვის (შეფასების) პრობლემა ყოველი მეცნიერებისათვის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა და, ამ მხრივ, საზოგადოებრივი და სოციალური მეცნიერებები არაა გამონაკლისი. ბოლო წლებში ეკონომიკურ თეორიაში ცოდნის ეკონომიკის სფერო ინტენსიური მეცნიერული კვლევის საგანი გახდა. შესაბამისად ამისა, ცოდნის ეკონომიკის გაზომვაც (შეფასება) მეტად აქტუალური შეიქმნა. აღნიშნულს ისიც ადასტურებს, რომ ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში ცოდნის ეკონომიკის ფორმირება და განვითარება ეკონომიკური ზრდის ერთადერთ ალტერნატივად განიხილება.

ცოდნის ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ქვეყნებისათვის. მაგალითად, ცოდნის ეკონომიკა:

- მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში ქმნის კონკურენტულ უპირატესობას მაღალტექნოლოგიური წარმოებისა და ეფექტური მომსახურების სფეროში;
- რესურსული ეკონომიკის ქვეყნებში ხელს უწყობს მდგრად განვითარებას და ზედმეტი ღირებულების ზრდის კვალობაზე წარმოების ტექნოლოგიისა და პროდუქციის ხარისხის სრულყოფას;
- განვითარებად ქვეყნებში საშუალებას იძლევა შემცირდეს ეკონომიკური განვითარების ეტაპები, მოხდეს „ტექნოლოგიური ნახტომი“ და ქვეყანა სწრაფად ინტეგრირდეს მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში უცხოელი ინვესტორებისათვის მიმზიდველობის ამაღლების პირობებში.

ცოდნის ეკონომიკის შესახებ მსოფლიო საზოგადოებას პირველად აცნობა ავსტრო-ამერიკელმა ეკონომისტმა ფრიც მახლუპმა (1902-1983). მან, 1958 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში „ცოდნის წარმოება და გავრცელება აშშ-ში“, აღნიშნა, რომ ცოდნის ეკონომიკის სექტორმა აშშ-ის მთლიან შიდა პროდუქტში 29%-ანი წვლილი შეიტანა. ცოდნის ეკონომიკის სექტორში ფრიც მახლუპმა ადამიანის საქმიანობის მრავალი სახეობა გამოყო და ისინი ხუთ ჯგუფში გააერთიანა.

ეს ჯგუფებია:

1. განათლება (44,1%);
2. მეცნიერული კვლევები და დამუშავებები (8,1%);
3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (რადიო, ტელევიზია, ტელეფონი და ა.შ.) (28,1%);
4. საინფორმაციო ტექნიკა (6,5%);
5. საინფორმაციო მომსახურება (13,2%)[1].

მახლუპის შეხედულებით ცოდნის ეკონომიკა არის ისეთი ეკონომიკა, რომელშიც ცოდნა გადამწყვეტ როლს ასრულებს, ხოლო ცოდნის წარმოება განიხილება როგორც ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტუნარიანობის მთავარი წყარო.

ცოდნის ეკონომიკის თეორიული დებულებების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამერიკელმა სოციოლოგმა, პოსტინდუსტრიული (ინფორმაციული) საზოგადოების თეორიის ფუძემდებელმა დანიელ ბელმა (1919-2011). მისი აზრით, პოსტინდუსტრიული საზოგადოება ხასიათდება არა შრომითი ღირებულების თეორიით, არამედ ცოდნაზე დაფუძნებული ღირებულების თეორიით. ამ უკანასკნელის თავისებურება ისაა, რომ ვინმესთვის ცოდნის გადაცემის დროს იგი არ იკარგება, არ ქრე-

[1] Махлуп Ф. Производство и распространение знаний в США. М., Прогресс, 1966. С. 35.

ბა, არ იხარჯება, პირიქით, არსებული ცოდნა კიდევ უფრო იხვეწება, სრულყოფილი ხდება, ვი-თარდება და მის მესაკუთრესთან გამდიდრებული რჩება.[1]

ცოდნის ეკონომიკას ახასიათებს „ქოლგური" ეფექტი. იგი თავისი „მფარველობის" ქვეშ აქცევს მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროში არსებითი ხასიათის იდეებს, კონცეფციებსა და ინდიკატორებს და მათ ერთიან, კომპლექსურ კონცეპტუალურ სისტემად აყალიბებს.

ცოდნა აუცილებელია ყოველი საზოგადოების ფუნქციონირების, მით უფრო მისი განვითარებისათვის. მაგრამ, ცოდნის ეკონომიკას თუ სისტემურად განვიხილავთ, შევამჩნევთ, რომ საზოგადოების ცოდნამ შეცვალა თვით ცოდნის ხასიათი. ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, სამართლებრივი და ა.შ.) და კომპანიის მართვაში გადაწყვეტილების მიღებად უმთავრესი გახდა თეორიული ცოდნა. გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია არა უბრალოდ ინფორმაცია, არა უბრალოდ სასარგებლო ცნობათა ერთობლიობა, არამედ სისტემური, მოწესრიგებული ცოდნა.

ქვეყნის ინოვაციური განვითარების დონის განსაზღვრისათვის სხვადასხვა მეთოდოლოგია არსებობს. მაგალითად, ჯერ კიდევ 2000 წელს, ევროკომისიამ ევროკავშირის წევრი და არაწევრი-ქვეყნებისათვის დაამუშავა **ჯამური ინოვაციური ინდექსის** გაანგარიშების მეთოდიკა. თავდაპირველად ინოვაციური განვითარების გაზომვის ევროპული შკალა 17 ინდიკატორს შეიცავდა და ორ ჯგუფად იყოფოდა: ინოვაციების წყაროები და წარმოებული ინოვაციები. ამ მეთოდიკაში ცვლილებები ყოველწლიურად შედიოდა. 2005 წელს ჯამური ინოვაციური ინდექსი 26-მდე გაიზარდა და სამ ჯგუფად დაიყო: ინოვაციური გამტარებლები, ცოდნის შექმნა, ინოვაციები და მეწარმეობა. თავის მხრივ, პირველი ჯგუფი ორ ასპექტში იყო წარმოდგენილი: ინოვაციების გამოყენება და ინტელექტუალური საკუთრება. კვლევაში იყენებდნენ კორელაციის, რეგრესიული ანალიზისა და მთავარი კომპონენტის გამოყოფის მეთოდებს. გარდა ამისა, გამოიყენებოდა სხვადასხვა სქემები და საწყისი მონაცემების ნორმირების მეთოდები.

ევროკომისიის 2008-2010 წლების მეთოდოლოგიაში შეფასების ინდიკატორები სამ ჯგუფად წარმოგვიდგება:

პირველი - ინოვაციური საქმიანობის მხარდამჭერები (ადამიანის რესურსები და სახელმწიფოს ფინანსური დახმარება);

მეორე - კომპანიების საქმიანობა (ინოვაციების დამუშავება და დანერგვა, ინოვაციური კომპანიის თანამშრომლობა სახელმწიფოსთან და სამეწარმეო სექტორთან, ინტელექტუალური საკუთრება);

მესამე - ინოვაციური კომპანიის საქმიანობა შიდა და გარე ბაზრებზე.

ცოდნის ეკონომიკის გაზომვის (შეფასების) ზემოაღნიშნული მეთოდიკა დღესაც სადისკუსიოა, რადგან არ არსებობს ანალიტიკურად შემოწმებული და ოფიციალურად გაფორმებული ისეთი მეთოდიკა, რომელიც სხვადასხვა სახის რესურსებს კომპლექსურად შეაფასებს და დაადგენს ცოდნის შექმნასა და ცოდნის, როგორც ეკონომიკური პროდუქტის ურთიერთკავშირს.

არსებობს მეორე, მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ 2004 წელს სპეციალური პროგრამის „ცოდნა განვითარებისათვის" (Knowledge for Development - K4D)[2] ფარგლებში შემუშავებული „ცოდნის შეფასების მეთოდოლოგია" (The Knowledge Assessment Methodology – KAM). იგი მოიცავს 4 ფუნქციურ ბლოკში გაერთიანებულ 109 სტრუქტურულ და ხარისხობრივ მაჩვენებელს. ეს ბლოკებია:

1. **ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეჟიმის ინდექსი** (The Economic Incentive and Institutional Regime) - პირობები, რომელშიც ვითარდება ეკონომიკა და საზოგადოება მთლიანად, ეკონომიკური და სამართლებრივი გარემო, რეგულირების ხარისხი, ბიზნესი და კერძო ინიციატივა, საზოგადოებისა და მისი ინსტიტუტების უნარიანობა არსებული ცოდნის გამოყენებისა და ახალი ცოდნის შესაქმნელად. ამ ინდექსში სამი მაჩვენებელი გამოიყენება: სატარიფო და არასატარიფო ბარიერების დონე, ეკონომიკის რეგულირების ხარისხი (ფასების კონტროლი, საბანკო საქმიანობის, საგარეო ვაჭრობისა და ბიზნესის განვითარების რეგულირება), კანონების შესრულების დონე (კრიმინალური ვითარების შეფასება, სახელშეკრულებო სამართლებრივი ნორმების გამოყენება).

2. **განათლების ინდექსი** (Education and Human Resources) - მოსახლეობის განათლების დონე და ცოდნის შექმნის, განაწილებისა და გამოყენების უნარი. განათლება ცოდნის ეკონომიკის ფუნდამენტური ფაქტორია. ცოდნას განათლებული და შემოქმედებითი ადამიანები ქმნიან, ავრცელებენ და ეფექტიანად იყენებენ. ცოდნის ეკონომიკა მოითხოვს მოქნილ საგანმანათლებლო სისტემას და მომუშავეთა მთელი შრომითი მოღვაწეობის პერიოდში უწყვეტ განათლებას. განათლების დონის შესაფასებლად გამოიყენება ზრდასრული მოსახლეობის წიგნიერების მაჩვენებელი, ასევე რეგისტრირებული მოსწავლეებისა და სტუდენტების ხვედრითი წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში.

3. **ინოვაციების ინდექსი** (The Innovation System) - ეროვნული ინოვაციური სისტემის განვითარების დონე, რომელიც მოიცავს იმ კომპანიებს,

[1] Белл Д. Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования. М., Academia, 2004, С. CLII.

[2] http://www.worldbank.org/kam

კვლევით ცენტრებს, უნივერსიტეტებს, პროფესიულ გაერთიანებებსა და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც გლობალურ ცოდნას იღებენ ადგილობრივი საჭიროებისათვის, ასევე ქმნიან ახალ ცოდნას და მასში განივთებულ ახალ ტექნოლოგიებს. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სფეროში მეცნიერ-მუშაკების რაოდენობა, დარეგისტრირებული პატენტების რაოდენობა, სამეცნიერო ჟურნალების რაოდენობა და ტირაჟი;

4. **საინფორმაციო და საკომუნიკაციური ტექნოლოგიების ინდექსი** (Information and Communication Technology – ICT) - საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე (1 000 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ტელეფონებისა და პერსონალური კომპიუტერების რაოდენობა, ასევე 10 000 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა).

ყოველი ჯგუფის მაჩვენებლები ფასდება ბალებით 1-დან 10-მდე. რაც მეტია ბალის დონე, მით მაღალია ქვეყნის განვითარების ხარისხი მოცემული კრიტერიუმის მიხედვით. ამასთან გაანგარიშების დროს გაითვალისწინება საერთო ეკონომიკური და სოციალური ინდიკატორები, კერძოდ, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი და ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი.

ცოდნის შეფასების მეთოდოლოგია გვთავაზობს ორ კრებსით ინდექსს. ესენია:

1. **ცოდნის ეკონომიკის ინდექსი** (The Knowiedge Economy Index – KEI) - კომპლექსური მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ცოდნის ეფექტურ გამოყენებას კონკრეტული ქვეყნის (რეგიონის) მიერ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. იგი გვიჩვენებს ამა თუ იმ ქვეყნის (რეგიონის) განვითარების დონეს ცოდნის ეკონომიკასთან მიმართებით.

2. **ცოდნის ინდექსი** (The Knowiedge Index – KI) - კომპლექსური მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ქვეყნის (რეგიონის) უნარს ცოდნის შექმნას, გავრცელებასა და გამოყენებას. იგი გვიჩვენებს ამა თუ იმ ქვეყნის (რეგიონის) პოტენციალს ცოდნის ეკონომიკასთან მიმართებით.

ცოდნის ეკონომიკის ინდექსი 4 ინდექსის (ეკონომიკური და ინსტიტუციონა-ლური რეჟიმის ინდექსი, განათლების ინდექსი, ინოვაციების ინდექსი, საინ-ფორ-მაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინ-დექსი) საშუალო არითმეტიკული სიდიდეა, ცოდნის ინდექსი კი, მათ შორის, 3 ინდექსის (განათლების ინდექსი, ინოვაციების ინდექსი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინდექსი) საშუალო არითმეტიკული სიდიდე. ეს ინდექსები გაიანგარიშება ყოველი ქვეყნისა და რეგიონისათვის ცალ-ცალკე, ასევე მთლიანად მსოფლიოსათვის (იხ. ნახ. 1).



ნახ. 1. ცოდნის ეკონომიკისა და ცოდნის ინდექსის სტრუქტურა

მოცემული მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა სხვადასხვა ქვეყნის მაჩვენებლები ერთმანეთს შედარდეს. შედარება შესაძლებელია როგორც კრებსითი ინდიკატორების, ისე ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით.

მონაცემების ნორმალიზაცია შემდეგნაირად ხდება: ერთ-ერთი მაჩვენებლის მიხედვით ყველა ქვეყანა ჯგუფდება. ამის შემდეგ იმ ქვეყნების რაოდენობა (N_1) გამოითვლება, რომლებსაც ეს მაჩვენებელი მოცემული ქვეყნის მაჩვენებელზე უარესი (დაბალი) აქვს და ქვეყნების საერთო რაოდენობას (N) შედარ-დება.

მაშასადამე,

ნორმალიზებული მაჩვენებელი $= 10 \text{ X } (N_1 : N)$

მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ცოდნის ეკონომიკის ინდექსით პირველ ათეულს ლიდერობენ შვედეთი, ფინეთი და დანია. ამასთან შვედეთი პირველ პოზიციას იკავებს ცოდნის ინდექსით, ინოვაციებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინდექსების მიხედვით, თუმცა ჩამორჩება ფინეთს ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეჟიმის ინდექსით (იხ. ცხრილი 1).

ცოდნის ეკონომიკის ინდექსით მსოფლიოს 10 მოწინავე ქვეყნიდან 7 (ანუ 70%) ევროპული ქვეყანაა, ხოლო 7 (ანუ 70%) მცირე ბუნებრივი რესურსების მქონე პატარა სახელმწიფოა. სამწუხაროდ, საქართველოს პოზიცია საკმაოდ მოკრძალებულია (68-ე ადგილი). საქართველოს ცოდნის ეკონომიკის ინ-

დექსი მსოფლიო ქვეყნების საშუალო მაჩვენებლის დონეზე დაბალია, ხოლო პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩამოვრჩებით ესტონეთს, ლიტვას, ლატვიას, რუსეთსა და უკრაინას. ამ ინდიკატორის მიხედვით საქართველო ახლოსაა სამხრეთ აფრიკასთან, ტაილანდთან, პანამასთან, თურქეთთან, სომხეთთან.

ცოდნის ეკონომიკის ინდექსი და მისი მაჩვენებლები მსოფლიო ქვეყნებში (2012)

ცხრილი 1.

რეიტინგი	ქვეყანა	KEI	KI	ინსტიტუტები	ინოვაციები	განათლება	ICT
1	შვედეთი	9,43	9,38	9,58	9,74	8,92	9,49
2	ფინეთი	9,33	9,22	9,65	9,66	8,77	9,22
3	დანია	9,16	9,00	9,63	9,49	8,63	8,88
4	ნიდერლანდი	9,11	9,22	8,79	9,46	8,75	9,45
5	ნორვეგია	9,11	8,99	9,47	9,01	9,43	8,53
6	ახ. ზელანდია	8,97	8,93	9,09	8,66	9,81	8,30
7	კანადა	8,92	8,72	9,52	9,32	8,61	8,23
8	გერმანია	8,90	8,83	9,10	9,11	8,20	9,17
9	ავსტრალია	8,88	8,98	8,56	8,92	9,71	8,32
10	შვეიცარია	8,87	8,65	9,54	9,86	6,90	9,20
...							
68	საქართველო	5,19	4,49	7,28	5,15	4,61	3,72

ცოდნის ეკონომიკის ინდექსი მსოფლიო რეგიონების მიხედვით საინტერესო სურათს იძლევა (იხ. ცხრილი 2). ამ მხრივ ლიდერობს ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა და ცენტრალური აზია, მე-3 და მე-4 პოზიციებს იკავებენ აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანეთი, ლათინური ამერიკა, ასევე საშუალო მსოფლიო მაჩვენებელთან შედარებით უარესი დონე აქვთ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონს, სამხრეთ აზიასა და აფრიკას.

ცოდნის ეკონომიკის ინდექსი და მისი მაჩვენებლები მსოფლიო რეგიონების მიხედვით (2012)

ცხრილი 2.

რეიტინგი	ქვეყანა	KEI	KI	ინსტიტუტები	ინოვაციები	განათლება	ICT
1	ჩრდილოეთ ამერიკა	8,80	8,70	9,11	9,45	8,13	8,51
2	ევროპა და ცენტ. აზია	7,47	7,64	6,95	8,28	7,13	7,50
3	აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანეთი	5,32	5,17	5,75	7,43	3,94	4,14
4	ლათინური ამერიკა	5,15	5,13	4,66	5,80	5,11	5,02
5	მსოფლიო	5,12	5,01	5,45	7,72	3,72	3,58
6	ახლო აღმოსავ. და ჩრდ. აფრიკა	4,74	4,51	5,41	6,14	3,48	3,92
7	სამხრეთ აზია	2,84	2,77	3,05	4,23	2,17	1,90
8	აფრიკა	2,55	2,43	2,91	3,95	1,44	1,90

ლიტერატურა:

1. Махлуп Фриц. Производство и распространение знаний в США. - М.: Прогресс, 1966. - 462 с.
2. Нонака И., Такеучи Х., Компания – создатель знаний. «Олимп-Бизнес. М., 2003.
3. David Pariby, Knowiedge Management Research Report KPMG Consulting: http://www.kpmg.co.uk/
4. Букович У., Уильямс Р. Управление знаниями: руководство к действию. –М., 2002.
5. Гаврилова Т., Хорошевский В. Базы знаний интеллектуальных систем. – СПб: Питер. 2000.
6. Гаврилова Т., Григорьев Л., Бизнес держится на знаниях, сам того не зная // Ж. «Персонал-Микс», N2, 2004.- с.107-112.
7. Поиск знаний – основа управления знаниями. Весть-Мета технология, www.vest.msk.ru/tech/knowledge/ Knowledge-Management-Rus.pdf.
8. Karl Wiig, Robert de Hoog, Rob van der Spek Supporting knowledge management: a selection of methods and techniques. 2002.
9. *Минаева О. Н. Измерение экономики знаний: проблемы и перспективы.* www.econorus.org/consp/files/8cku.doc

Guram Jolia, Dali Sekhniashvili

The Methodology Measurement (Estimate) of Knowledge Economy

SUMMERY

Knowledge is essential to the functioning and development of society. The formation and development of the knowledge economy is an important factor in the country's economic growth. Therefore, the measurement (estimate) of the knowledge economy is more urgency.

Even today, there is no analytical tested and officially signed method to be able to fully assess the resources, are also not able to determine the connection between the Knowledge creation and knowledge as economic products.

In the European Commission methodology for 2008-2010, indicators are presented in three groups: supporters of innovative activities (human resources and state financial aid); company activities (development and introduction of innovations, innovative companies in the state and entrepreneurial sectors, intellectual property) and innovative company in the domestic and external markets.

In special program of the World Bank Group "Knowledge for Development" (Knowledge for Development - K4D, 2004) developed the "Knowledge Assessment Methodology" (The Knowledge Assessment Methodology - KAM). It consists of 4 functional blocks of the 109 structural and qualitative indicators.

Unfortunately, the position of Georgia is rather modest (68 place). Knowledge Economy Index of Georgia is low than worldwide average level and we are behind of Estonia, Lithuania, Latvia, Russia and Ukraine.

კონსტრუქციული სკოლა: ინდივიდუალური განსხვავებები სწავლება-შემსწავლის პროცესებში

ნინო ქრისტესიაშვილი, თამარ ლომინაძე, ნოდარ ლომინაძე

ინფორმაციის მოთავსება ინტერნეტ-სივრცეში ან მისი მიბმა სხვა ციფრულ რესურსებზე არ ნიშნავს ელექტრონულ, ონ-ლაინ სწავლებას. ონლაინ სწავლება მიმდინარეობს მაშინ, როდესაც ადამიანები თანამიმდევრულად იღრმავებენ ცოდნას ინტერნეტისა და სხვა ტექნოლოგიების მეშვეობით მიღებული ინსტრუქციებით, როგორც წესი, ინდივიდუალურ რეჟიმში.

ბიჰევიორიზმის, კოგნიტივიზმის, კონსტრუქციზმის ინსტრუმენტები და მათი სხვადასხვაგვარი კომბინაცია უკვე დიდი ხანია გამოიყენება ონლაინ მასალის დიზაინისათვის და მომავალშიც გაგრძელდება მათი გამოყენება ელექტრონული სასწავლო გარემოსა და მასალისა გაუმჯობესების მიზნით. ცნობილია, რომ ელექტრონული სწავლების დიდაქტიკური მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპების მიხედვით, საუკეთესო შედეგების მისაღებად ბიჰევიორისტური სტრატეგიების გამოიყენება უნდა მოხდეს ფაქტების შესასწავლად, კოგნიტიური სტრატეგიებისა - პროცესებისა და პრინციპების შესასწავლად, ხოლო კონსტრუქტივიზმის სტრატეგიებით კი პერსონალური, კონტექსტური სწავლების პროცესი უნდა წარიმართოს. ამით ელექტრონული სწავლების მონაწილეს ეძლევა შესაძლებლობა, ააგოს საკუთარი ცოდნა, ინდივიდუალური ინტერნპრეტაცია მისცეს დისტანციურად მოწოდებულ ინფორმაციას.

კონსტრუქტივიზმი მსმენელს სასწავლო პროცესის აქტიურ მონაწილედ განიხილავს. ამ მოძღვრების თანახმად, ცონდის მიღება გარემოდან ან რაიმე სახის წყაროდან პირდაპირი გადმოდინებით არ ხდება. პირიქით, ეს არის მიღებული ინფორმაციის ინდივიდუალური დამუშავება და ინტერპრეტაცია. თეორიის მიხედვით, მსმენელი არის ცენტრალური ფიგურა სასწავლო პროცესში. მასში ასევე ჩართულია პედაგოგი, ინსტრუქტორი, რომელსაც ამ შემთხვევაში დამხმარის, მრჩევლის ფუნქცია აქვს დაკისრებული. სტუდენტმა თვითონ უნდა "ააშენოს" ცოდნა და არა მიიღოს იგი პედაგოგებისა და სხვა წყაროებისაგან მზა სახით. ასეთი ტიპის სწავლების ძირითადი ქვაკუთხედი არის ცოდნის კონტექსტუალიზაცია: მიღებული ინფორმაციის, ცოდნის გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში, რაც, როგორც წესი, მულტიკონტექსტური სავარჯიშოებით მიიღწევა.

თავის ტრანსფორმაციულ თეორიაში, მეზიროვმა (1991) გამოიყენა ორივე - კოგნიტიური და კონსტრუქციული მოძღვრება - იმის ასახსნელად თუ როგორ სწავლობენ ადამიანები. იგი წერს: ტრანსფორმაციული სწავლება მოიცავს „რწმენის, შეხედულების, მოსაზრებებისა და ემოციების თანამიმდევრულ ტრანსფორმაციას, რაც შეადგენს ჩვენ აზრობრივ სქემას და ახდენს ჩვენი აზრობრივი პერსპექტივების ტრანსფორმაციას." მეზიროვის აზრით, სწავლების პროცესი მოიცავს ხუთ ინტერაქტიულ კონტექსტს:

- ცნობიერების ჩარჩო ანუ აზრობრივი პერსპექტივა;
- კომუნიკაციის პირობები;
- ქმედება;
- პესონალური წარმოსახვა;
- გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი სიტუაციები, რომელიც სწავლის პროცესში წარმოიქმნება;

სწავლება უნდა იყოს აქტიური პროცესი. თუ კი მოხდება მსმენელების შენარჩუნება აქტიურ პროცესში, მაშინ ცოდნის უმაღლესი დონე მნიშვნელოვანი სასწავლო დავალებების მუდმივი შესრულებით მიიღწევა. მაგალითად, თუკი მსმენელებს მიეცემათ დავალება გამოიყენონ მიღებული ინფორმაცია პრაქტიკულ სიტუაციაში, ეს არის აქტიური პროცესი, რომელიც განაპირობებს მიღბული ცოდნის პერსონალურ ინტერპრეტაციას.

ონლაინ გარემოში ახალ ინფორმაციას სტუდენტი იღებს ე.წ. „პირველი ხელიდან" და არა გაფილტრულს და დამუშავებულს მასწავლებლის (ინსტრუქტორის) მიერ, რომლის განათლების დონე და წარსული გამოცდილება უმეტეს შემთხვევაში განსხვავებულია სტუდენტისაგან. ტრადიციული ლექციის შემთხვევაში კი ჯერ ლექტორი ახდენს ინფორმაციის პერსონალიზაციას და კონტექსტუალიზაციას და შემდეგ აწვდის მას სტუდენტებს, რათა მიიღოს სასწავლო პროცესის წინასწარ განსაზღვრული შედეგები. პრობლემა ამ შემთხვევაში არის ის, რომ სტუდენტი ერთგვარად ექცევა ლექტორის ან მასწავლებლის გავლენის ქვეშ და ინფორმაციის გადამუშვება არ ხდება თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური კოგნიტიური და მენტალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ელექტრონული სწავლების ყველაზე დიდი უპირატესობა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ მსმენელებს ეძლევათ შესაძლებლობა მათთვის მისაღები მეთოდით, დამოუკიდებლად გადაამუშავონ ინფორმაცია და მოახდინონ მისი კონტექსტუალიზაცია.

მეორეს მხრივ, ურთიერთქმედება და თანამშრომ-

ლობა ხელს უწყობს კონსტრუქციულ სწავლებას. სხვა სტუდენტებთან ერთად მუშაობა სტუდენტებს აძლევს გუნდური მუშაობის გამოცდილებას და აძლევს მათ საშუალებას რეალურად შეაფასონ საკუთარი ცოდნა და უნარები. როგორც წესი, გუნდური მუშაობისას ხდება სტუდენტების ჯგუფებად დაყოფა. ცხადია, რომ ეს უნდა მოხდეს მათი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ისე რომ გუნდის თითოეულ წევრს შეეძლოს სარგებელი ნახოს ამ ურთიერთობით და ისწავლოს ერთმანეთისაგან. როგორც გამოცდილებამ ცხადყო, სასწავლო პროცესში ის გუნდი აღწევს ყველაზე მეტ წარმატებას, რომელიც შედგება როგორც შედარებით ძლიერი, ასევე სუსტი სტუდენტებისგან. ასეთ შემთხვევაში, სუსტი სტუდენტები სწავლობენ ძლიერებისგან, ხოლო ძლიერი სტუდენტები უფრო მეტად განიმტკიცებენ ცოდნას მაშინ, რომელსაც ასწავლიან სხვებს. შესაბამისად გუნდის ყოველი წევრი იღებს მაქსიმალურ სარგებელს გუნდური მუშაობიდან.

როგორც აღვნიშნეთ, სწავლა სხვა არაფერია თუ არა კომუნიკაცია: ახალი ცოდნის, გამოცდილებისა და ჩვევების მიღება, რომელსაც სტუდენტი მომავალში სხვადასხვა გარემოებასა და სიტუაციაში გამოიყენებს. ამიტომ, სწავლა უნდა იყოს ინტერაქტიული, რათა მას პერსონალური და სოციალური მნიშვნელობა მიენიჭოს და სტუდენტებმა შეძლონ ახალი ინფორმაციის უკვე არსებულ ინფორმაციასთან დაკავშირება და გრძელვადიანი შესწავლის უზრუნველყოფა. დინსტანციური სწავლებისას ეს ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, რადგან ამ შემთხვევაში სტუდენტები ინფორმაციას ტექნოლოგიების მეშვეობით იღებენ, ამუშავებენ მას, ახდენენ ახალი მასალის პერსონალიზაციასა და კონტექსტუალიზაციას. ინფორმაციის ამ ტრანსფორმაციის პროცესში მათ უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ სასწავლო მასალასთან, არამედ სხვა სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ურთიერთობის საშუალება იმისათვის, რომ შეამოწმონ ნასწავლი და აღმოაჩინონ და აღმოფხვრან ნაკლოვანებები.

ზოგადად, ურთიერთქმედების ჩარჩო დისტანციური მეთოდით სწავლებისას შეიცავს 3 დონეს. პირველი დონე სტუდენტის საკუთარ თავთან ურთიერთობაა, რომელიც განაპირობებს თვითმოტივაციას და თვითმონიტორინგს. მეორე დონე არის სტუდენტის ურთიერთობა სასწავლო რესურსებთან, ხოლო მესამე დონე კი სტუდენტი-ინსტრუქტორის ურთიერთობა, რომელიც შეიცავს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებს დასახული სასწავლო შედეგების მისაღებად.

კონსტრუქციული სკოლა განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ახალი ცოდნის მიღების პროცესი არ არის განყენებული პროცესი: შესწავლა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ძველი ცოდნა, ბაზისი, რომელზეც «დაშენდება» ახალი ინფორმაცია. სწორედ ამის გამო იძენს კომუნიკაცია ასეთ დიდ მნიშვნელობას ცოდნის მიღებისას. განსაკუთრებით საინტერესოა ე.წ. «კოლექტიური ცოდნის (Collective Intelligence)» კონცეფცია, რაც ინტერნეტის ქსელის განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. მართლაც, როდესაც ინდივიდის ცოდნა ხდება მთელი ვირტუალური თანამეგობრობის, გუნდის, საკუთრება, გაცილებით უფრო ეფექტურად მიმდინარეობს ცოდნის მიღების პროცესი ამ თანამეგობრობის თითოეული წევრისათვის. ამიტომ ბოლო დროს აქტიურად ვითარდება ახალი სასწავლო თეორია, კონექტივიზმი, რომელიც კონსტრუქტივიზმის გაფართოებას წარმოადგენს სწორედ ზემოთაღნიშნული მიმართულებით.

ლიტერატურა:

1. Ally, M. (1980). *An investigation of the relative effectiveness of prose and pictorial advance organizers on reading from prose.* Unpublished master's thesis, Concordia University, Montreal, Canada.
2. Ally, M. (2002, August). *Designing and managing successful online distance education courses.* Workshop presented at the 2002 World Computer Congress, Montreal, Canada.
3. Berge, Z. L. (2002). Active, interactive, and reflective learning. *The Quarterly Review of Distance Education, 3(2),* 181-190.
4. Carliner, S. (1999). *Overview of online learning.* Amherst, MA: Human Resource Development Press.
5. Clark, R. E. (2001). A summary of disagreements with the "mere vehicles" argument. In R. E. Clark (Ed.), *Learning from media: Arguments, analysis, and evidence* (pp. 125-136). Greenwich, CT: Information Age Publishing Inc.
6. Ertmer, P. A., & Newby, T. J. (1993). Behaviorism, cognitivism, con- structivism: Comparing critical features from an instructional design perspective. *Performance Improvement Quarterly, 6(4),* 50-70.
7. Garrison, D. R. (1999). Will distance disappear in distance studies? A reaction. *Journal of Distance Education, 13(2),* 10-13.
8. Heinich, R., Molenda, M., Russell, J. D., & Smaldino, S. E. (2002). *Instructional media and technologies for learning.* Upper Saddle River, NJ: Pearson Education.
9. Hirumi, A. (2002). A framework for analyzing, designing, and sequencing planned e-learning interactions. *The Quarterly Review of Distance Education, 3(2),* 141-160.

ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნეს-ინჟინერინგში

სხვადასხვა ხარისხის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მოდელი

თინათინ კაიშური, გიორგი ჯაფარიძე, ნინო ყველაიძე, მზიური ბარბაქაძე

კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები მიმართულია **ინფორმაციული უსაფრთხოების** უზრუნველყოფის ცალკეული ასპექტების რეალიზებაზე, რაც ვერ უზრუნველყოფს დაცვის სისტემის მართვის ანალიზისა და სინთეზის ამოცანების კომპლექსურ გადაწყვეტას და ოპტიმალური დაცული ინფორმაციული სისტემებისა და მონაცემთა ბაზების შექმნას.

ამიტომ დიდი ყურადღება ექცევა ინფორმაციული ტექნოლოგიების დაცვის საკითხებს. აქ ძირითადი მოთხოვნაა ინფორმაციული პროდუქტების ინტეგრირებული დაცვის სისტემების შექმნა, რომლებიც ორგანიზებულია მონაცემთა ბაზების სახით.

მონაცემთა ბაზებში ინახება მრავალფეროვანი ინფორმაცია არა მარტო წარმოდგენის ფორმის თვალსაზრისით, არამედ კონფიდენციალობის დონის მიხედვითაც. კორპორაციული, ინფორმაციული, საერთო და შეზღუდული გამოყენების მუქარის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ინფორმაციული დაცვის სისტემების ორგანიზაციისათვის აუცილებელია დამუშავდეს ინფორმაციული ტექნოლოგია, რომელშიც შეზღუდული მოხმარების დოკუმენტებთან ერთად გათვალისწინებული იქნება მუშაობის მოთხოვნები. ეს მოთხოვნები სახელმწიფოში შესაბამისი კანონით, კანონებით ან სხვა ნორმატიული დოკუმენტების უნდა იყოს განსაზღვრული. ჩვენ მიერ წარმოდგენილი ტექნოლოგია უზრუნველყოფს ინფორმაციასთან დაშვების მრავალდონიან კონტროლს კრიპტოგრაფიული დაცვით, რაც საშუალებას იძლევა ღია საკომუნიკაციო არხებით შენახული და გადაცემული სხვადასხვა კონფიდენციალობის მქონე ინფორმაცია მაღალი საიმედოობით დავიცვათ.

ჩვენ ინფორმაციის დაცვის კონფიდენციალურ მოდელში ვგულისხმობთ პროცესს, რომელიც შედგება ინფორმაციული პროდუქტების (მონაცემთა ბაზები, ელექტრონული დოკუმენტები, შეტყობინებები და ა. შ.) დაცული ოპერაციებისაგან. მრავალდონიანი დაცვისას ხდება სხვადასხვა დონისა და კატეგორიის მონაცემების შენახვა და დამუშავება მაშინ, როდესაც არსებობს პერსონალის სხვადასხვა დონე. ამით გამოირიცხება ინფორმაციასთან იმ პირების დაშვება, რომელებიც არ პასუხობენ საიდუმლოობის შესაბამის დონეს.

კვლევის ობიექტი არის ინფორმაცია კონფიდენციალობის სხვადასხვა ხარისხით. ის ინახება მონაცემთა ბაზებში და გადაიცემა კავშირის ღია არხებით. ჩვენი მიზანია გადაწყდეს კონფიდენციალობის შენარჩუნების ამოცანა შეზღუდული მოხმარების ინფორმაციისთვის და მთლიანობის ურღვევობის ამოცანის მხარდაჭერა საერთო ხელმისაწვდომი ინფორმაციისათვის. სხვადასხვა კონფიდენციალობის ხარისხის ინფორმაციული რესურსების დაცვისას ძირითად მოდელებს შორის ურთიერთკავშირი მიიღწევა ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თითოეული ტექნოლოგიური ეტაპის ამოცანების გადაწყვეტის შედეგების გამოყენებით, რომლებიც სტრუქტურირებული და ორგანიზებულია სპეციალურად დაპროექტებული მონაცემთა ბაზებისა და მეტამონაცემების ბაზების სახით.

მონაცემთა ბაზებში შენახული ინტეგრირებული ინფორმაციის კონფიდენციალობის უზრუნველყოფა მიიღწევა ინფორმაციის დაცვის მართვის ამოცანების ეტაპობრივი გადაწყვეტით. ამაში შედის დაშვების მანდატური გამიჯვნით სისტემის აგების მოდელი და კრიპტოსისტემების აგების მოდელი. მანდატური გამიჯვნით სისტემის მოდელში მოიაზრება დაცვის სუბიექტების და ობიექტების დამუშავება, მონაცემთა ბაზებთან დაშვების სახეებისა და უფლებების კონტროლი და ანალიზი, მრავალდონიანი დაცვით მონაცემთა ბაზების შექმნა და ფუნქციონირება, ან-

გარიშების გენერირება. კრიპტოსისტემების აგების მოდელში შედის მონაცემების დაშიფვრა საიმედოობის მოცემული მახასიათებლებით, ასევე გასაღებების გენერაცია და გავრცელება.

მონაცემთა მთლიანობის კონტროლი ხორციელდება ხარისხის შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: სისრულე (მიმდინარეობს მონაცემთა სტრუქტურის სრული აღწერის შემოწმება), არაწინააღმდეგობრიობა (მოწმდება მონაცემებს შორის ლოგიკური კავშირები, გამოვლინდება ჭარბი და წინააღმდეგობრივი აღწერები, ხდება მნიშვნელობების დიაპაზონის საზღვრების კონტროლი) და აქტუალობა (მონაცემთა ბაზებში ხდება ერთდროული და ცალკეული ცვლილებების შეყვანის კონტროლი).

მრავალდონიანი დაცვის სისტემის ბირთვს წარმოადგენს მოთხოვნების დამუშავების მონიტორი, რომელიც ამოწმებს მომხმარებლის ყოველ მიმართვას მონაცემებთან ან პროგრამასთან, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი იმ მოქმედებების სიას, რომელიც დაშვებულია მომხმარებლისათვის. მრავალდონიანი დაცვის სისტემა ლოგიკური დაშვების კონტროლისას საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული გაურკვევლობის ელემენტები.

დაშვების მანდატური გამიჯვნისას მრავალდონიანი დაცვით მონაცემთა ბაზებში ხდება ფორმირებადი დაცვის სუბიექტებისა და ობიექტებისათვის ხისებრი სტრუქტურის მინიჭება, რაც იძლევა დაშვების მართვის ოპტიმალურ სურათს და უზრუნველყოფს კორექტული მართვისათვის დაშვების ისეთი წესების რეალიზებას, როგორიცაა "ახალი ობიექტების შექმნის უფლება", "დაშვების უფლებების გადაცემა სუბიექტებს შორის", "მოთხოვნის რეალიზაციის უფლება". სუბიექტის მოთხოვნის რეალიზაციის უფლების შემოწმება აუცილებალია იმ შემთხვევაში, როდესაც დაშვების საკმარისი კატეგორიისას სუბიექტს შეიძლება ჰქონდეს მინიჭებული უფლება გაეცნოს კონკრეტულ შემოსულ დოკუმენტს საიდუმლოობის შედარებითი ხარისხით.

გათვალისწინებულია აგრეთვე დაცვის სუბიექტებისა და ობიექტებისათვის ძირითადი პარამეტრების მინიჭება მათი ინფორმაციული დაცულობის დონის მიხედვით. დაცვის სუბიექტისათვის ინფორმაციის ნაწილი საიმედოდ უნდა იყოს დაშიფრული. მაღალეფექტური და საიმედო გამოთვლითი სისტემების პროექტირებისას სიმეტრიული კრიპტოსისტემების მიმართ გამოიყენება შიფრაციისა და დეშიფრაციისადმი არატრადიციული მიდგომა, რომელიც საშუალებას იძლევა მოვახდინოთ კრიპტოალგორითმის საიდუმლოობის ვარირება ნებისმიერი კლასის საიდუმლო ინფორმაციის დაცვის დონის გათვალისწინებით.

შემოთავაზებული დაშიფვრის არატრადიციული მეთოდით მიიღწევა კრიპტომდგრადობა, რომელის დამოკიდებულია არა მარტო გასაღების სიგრძეზე, არამედ შერეული პოლინომიალური საფუძვლის სისტემაზე.

შეზღუდული მოხმარების ინფორმაციის დამუშავების, შენახვის ან გადაცემისას გამოიყენება ისეთი მექანიზმები და საშუალებები, რომლებიც ერთდროულად უზრუნველყოფენ დაცულობის საჭირო დონეს და აკმაყოფილებს შეზღუდვებს ამ საშუალებების და პროექტებისა და ექსპლუატაციის ღირებულებაზე.

შექმნილმა მონაცემთა ბაზამ უნდა უზრუნველყოს დაცვის ტექნოლოგიის საიმედო ფუნქციონირება, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ თვითონაც შეიძლება გახდნენ ბოროტგანმზრახველების ზემოქმედების ობიექტები.

ინფორმაციის დაცვის მართვის მოდელირებისას უნდა განისაზღვროს დასახარჯი რესურსების ჩამონათვალი და მათი შემდგომი გამოყენების ოპტიმალური ვარიანტები. უნდა განისაზღვროს აგრეთვე დაცვის უზრუნველყოფის ღირებულება, დაცვის სისტემის ეფექტურობა, დაცვისათვის გამოყენებული ყველა მეთოდის გატეხის ალბათობა და ღირებულება, დაცვის ყველა მეთოდის გატეხვით მიყენებული ზარალის სიდიდე.

ჩვენ მიერ შემოთავაზებულ მრავალდონიან დაცვის მოდელში რეალიზებულია დაშვების უფლებათა გაფართოებული სია და დაშვების უფლებების მართვა არსებული ნორმატიული დოკუმენტებისა და ორგანიზაციული ტიპის განაწილებულ მონაცემთა ბაზებში კრიტიკული ინფორმაციის დამუშავების წესების დაცვით. დამუშავებულია დაცვის სუბიექტებისა და ობიექტების იერარქიების გამოყოფის პროცედურები, აგრეთვე სუბიექტების, როგორც ობიექტების მფლობელების ქვესიმრავლეების, დანაწილება ინტერფეისის ნდობით აღჭურვილ და სისტემის მოშორებულ აბონენტებს შორის.

კრიპტოგრაფიული დაცვის სისტემა, რომელიც ინტეგრებულია დაშვების მანდატურ გამიჯვნასთან, საშუალებას იძლება მოცემულ იქნას კრიპტოგარდასახვის საიმედოობის მახასიათებლები შენახული ან გადასაცემი ინფორმაციის საიდუმლოობის ხარისხის მიხედვით.

შემოთავაზებული ალგორითმების მაღალი კრიპტოგრადობა საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილი იქნას შეზღუდული მოხმარების ინფორმაციის კონფიდენციალობა და მთლიანობა მისი შენახვისას და

ღია კავშირით გადაცემისას. დამუშავებული მოდელები და მეთოდები ითვალისწინებს მონაცემთა ბაზების მომხმარებლების საგნობრივი არის თავისებურებებს და აპარატურულ-პროგრამული პლატფორმების მახასიათებლებს, ინფორმაციული რესურსების საიდუმლოობის დონის მიმართ მოთხოვნებს და კონფიდენციალურ ინფორმაციასთან მომხმარებლების დაშვების უფლებებს.

ლიტერატურა:

1. Конявский В. А., Гадасин В. А., Осноы понимания феномена электронного обмена информацией. – Минск: Беллифонд, 2004.
2. Конявский В. А., Гадасин В. А., Информационные технологии как объект защиты и классификация антивирусных программ // Управление защитой информации. 2007, т. 11, №4.
3. Защита от несанкционированного доступа к информации. Термины и определения: Рук. док-т // Сб. рук. док-в по защите информации от несанкционированного доступа. М.: Гостехкомиссия России. 1928.
4. Горковенко Е. В. Контроль и анализ задания видов и прав доступа;
5. O.Shonia, T. Kaishauri, I. Kartvelishvili, Software Complex of Automated System, Supporting Security of Wireless Networks, Georgian International Journal of Science and Technology, Nova Science Publishers, Volume 4, Issue 4, 1, 2 (2012)https:www.novapublishers.com/catalog/product info.php? products id=34525
6. ო. შონია, თ. შეროზია, ინფორმაციული ტექნოლოგიები და უსაფრთხოება, სტუ, დამხმარე სახელმძღვანელო, 2008.
7. გ. გოგიჩაიშვილი, ო. შონია, კ. ოდიშარია, ინფორმაციის დაცვა ავტომატიზებულ სისტემებში, დამხმარე სახელმძღვანელო, 2008.

Protection Model of Confidential Information of Different Levels

SUMMARY

Protection mechanisms of confidential information ensure security of information. Complex solution of the tasks of analysis and synthesis of protection system management requires creation of optimally protected informational systems and data bases. By multi-level protection, tree-shaped structure is assigned to the formed protection subjects and objects, providingoptimal picture of access and ensuring realization of access rules for correct management. High-level protection of the proposed algorithms allows ensuring of confidentiality and integrity of information of limited use in the case of its storage and transfer through open connection.

ბიზნეს-ინჟინერინგი კავშირგაბმულობაში

სატელეკომუნიკაციო ქსელის მართვა და მისი ზოგადი პრინციპები

ზურაბ რუხაძე, *სტუ-ის ასოც. პროფესორი*
ლია რუხაძე, *სტუ-ის დოქტორანტი*

შესავალი

ადამიანების რიცხვის ზრდასთან ერთად, რომლებიც ცდილობენ დაუკავშირდნენ ერთმანეთს, მიიღონ ან გასცენ ინფორმაცია, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მსოფლიოს სულ უფრო მეტ ქვეყნებს მოიცავს. გასული წელს ინფო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) სფეროში მზარდი განვითარება შეინიშნებოდა, რაც გამოიხატებოდა მისი შესაბამისი ყველა ინდიკატორის მნიშვნელობის ამაღლებით, გარდა ფიქსირებული სატელეფონო ხაზების რაოდენობისა, რომელიც 2005 წლიდან მოყოლებული, შემცირდა.

ყოველივე ამან განაპირობა კავშირგაბმულობის ქსელების კომპლექსური მართვის აუცილებლობა. კავშირგაბმულობის ქსელების მართვის საკითხის ეფექტურ გადაწყვეტას ეძღვნება ე.წ. "სატელეკომუნიკაციო ქსელის მენეჯმენტის კონცეფცია" (telecommunication management network, TMN).

TMN-ის გამოყენების აქტუალობა და მიზანშეწონილობა გამოწვეულია მთელი რიგი მიზეზებით: ახალი, მულტიმედიური სატელეკომუნიკაციო მომსახურებების დანერგვა, სატელეკომუნიკაციო ქსელში ტრაფიკის ინტენსივობის შესაბამისი ზრდა, ინფორმაციული უსაფრთხოება, ქსელის ტოპოლოგიისა და არქიტექტურის გართულება. ასეთ პირობებში საჭიროა ისეთი ინსტრუმენტული საშუალებების არსებობა, რომელიც ნებისმიერი ქსელის მოწყობილობის და სისტემის რეალურ დროში კონტროლის საშუალებას იძლევა.

TMN შემადგენელი ელემენტები და მათი დანიშნულება

ტერმინი „სატელეკომუნიკაციო ქსელის მენეჯმენტი" (Telecommunication Management Network, TMN) საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU-T M.3010) მიერ 1992 წელს დამკვიდრდა. TMN მართვის კონცეფცია ძირითადად დაფუძნებულია ღია სისტემების მართვის საბაზისო პრინციპებზე. ITU-T M.3010 -ის თანახმად, TMN - ეს არის დამოუკიდებელი ქსელი, ტრადიციულ სატელეკომუნიკაციო ქსელზე „დანამატი". TMN ქსელი უზრუნველყოფს მართვას, ოპერატიულ კონტროლს (მონიტორინგს) და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების ოპერატიულ ექსპლუატაციას (სურ. 1.1). TMN გამოიყენება სატელეკომუნიკაციო ქსელის სერვისების მართვისთვის, ქსელური მოწყობილობების ადმინისტრირებისთვის ნორმატიული ხარისხის სერვისის უზრუნველყოფის მიზნით და ასევე, ინფორმაციული უსაფრთხოებისთვის.

TMN ქსელის მართვის ობიექტებს სატელეკომუნიკაციო ან ქსელის რესურსები წარმოადგენენ, ისეთები როგორიცაა - ფუნქციური ბლოკები, მოდულები, მართვის პროგრამული უზრუნველყოფები, რომელთა განსაზღვრული თვისებებისა და მახასიათებლების მიზანმიმართული მართვაა შესაძლებელი. TMN სტანდარტით ქსელის მართვის შემთხვევაში სატელეკომუნიკაციო მოწყობილობას ჩვეულებრივ, ქსელის ელემენტს (network element, NE) უწოდებენ.

TMN-სა და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობებს შორის მართვის ბრძანებების და სხვა სახის ინფორმაციის გაცვლა სრულდება შესაბამისი პუნქტების გავლით, რომელიც TMN სტანდარტული ან არასტანდარტული ინტერფეისის შესაბამისადაა რეალიზებული. სიგნალების და ბრძანებების გადაცემისთვის TMN სატელეკომუნიკაციო საშუალებებს მონაცემთა გადაცემის ქსელის (data communication network, DCN) მეშვეობით უკავშირდება. მონაცემთა გადაცემის ქსელი (DCN) სტანდარტული ღია სისტემების ურთიერთკავშირის (OSI – open Systems Interconnection) შვიდდონიანი ეტალონური მოდელის



სურ. 1.1 – TMN და სატელეკომუნიკაციო ქსელი (ITU-T M.3010 რეკომენდაციის თანახმად)

მსგავსად უზრუნველყოფს TMN სატრანსპორტო დონის რეალიზაციას. TMN სააპლიკაციო დონის ფუნქციების რეალიზაცია ერთი ან რამოდენიმე ოპერაციული ან მმართველი სისტემის საშუალებით (operations systems, OS) ხორციელდება.

სატელეკომუნიკაციო ქსელის საინფორმაციო მოდელი წარმოადგენს სატელეკომუნიკაციო ფიზიკური ობიექტების ლოგიკურ აღწერას ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.

TMN ფუნქციები და არქიტექტურა

TMN ფუნქციები

TMN ქსელს გააჩნია შემდეგი ფუნქციონალური შესაძლებლობები:

- TMN-სა და სატელეკომუნიკაციო ქსელებს შორის მართვის ინფორმაციის გაცვლა;
- სხვადასხვა საკომუნიკაციო სისტემისათვის ხვადასხვა სახის ინფორმაციის ერთ ფორმატში გარდაქმნა, TMN ქსელში მონაცემთა შესაბამისობისა და ურთიერთთავსებადობის უზრუნველყოფის მიზნით;
- TMN ქსელის სხვადასხვა კომპონენტებს შორის მართვის ინფორმაციის გადაცემა;
- მიღებული მართვის ინფორმაციის ანალიზი და მასზე დროული რეაგირება;
- ინფორმაციის გრაფიკული გამოსახულების საშუალებით, მართვის სისტემის ადმინისტრატორისა თუ ოპერატორისთვის მისაღებ ფორმატში ინფორმაციის გარდაქმნა;
- მართვის ინფორმაციასთან უსაფრთხო წვდომა.

კონფიგურაციის მართვა (ცონფიგურატიონ მანაგემენტ) მოიცავს მართვის შემდეგ ფუნქციებს:

- ქსელის დაგეგმვა და დაპროექტება, მოწყობილობის მონტაჟი, ექსპლუატაციაში გაშვება;
- სისტემური და ქსელური მოწყობილობების ხელმისაწვდომობის და ფუნქციონირების კონტროლი (საპასპორტო მონაცემების შესაბამისობა, მოწყობილობის ექსლუატაციისთვის ხელმისაწვდომობა);
- სათადარიგო ნაწილებითა და სარეზერვო კომპლექტებით მოწყობილობის უზრუნველყოფა.

შეცდომების მართვა (fault management) მოიცავს მართვის შემდეგ ფუნქციებს:

- შეცდომების შესახებ შეტყობინებების შეგროვება და დამუშავება;
- შეცდომის ლოკალიზება;
- შეცდომის ან დაზიანების აღმოფხვრა;
- ტესტირება და ექსპლუატაციაში ხელახლა გაშვება;
- პრევენციული ღონისძიებების გატარება.

სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ანგარიშსწორების მართვა (account management) მოიცავს მართვის შემდეგ ფუნქციებს:

- გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაციის შეგროვება (მონაცემები შეერთებების შესახებ, იმპულსური მრიცხველები);

- ტარიფიცირებული მონაცემების ტექნიკური შესრულება და შენახვა.

უსაფრთხოების მართვა (security management) მოიცავს მართვის შემდეგ ფუნქციებს:

- ქსელის ელემენტებთან და TMN კომპონენტებთან დაშვების შეზღუდვა და კონტროლი;
- ოპერატორთა მიერ განხორციელებული ქმედებების აუდიტი;
- TMN სისტემის დაზიანების (შეცდომის) შესახებ შეტყობინებების გენერირება და დამუშავება;
- საკომუნიკაციო ქსელისა და სისტემის მოწყობილობების აღდგენა (პროგრამული და აპარატურული).

საკომუნიკაციო ქსელის შესაძლებლობების (სამუშაო მახასიათებლები) მართვა (performance management) მოიცავს მართვის შემდეგ ფუნქციებს:

- ქსელის ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის მოძიება და შეგროვება;
- ტრაფიკის გადამისამართება, დინამიური მართვა.
- გარკვეული პერიოდულობით ქსელის ფუნქციონირების მაჩვენებლების ანალიზი (trend analysis).

არსებობს TMN ქსელის მახასიათებლების აღწერის რამოდენიმე საშუალება და ყოველი მათგანი შეესაბამება ქსელის გარკვეულ მახასიათებლებს. ტერმინოლოგიურად TMN გულისხმობს TMN ქსელის არქიტექტურის აღწერას, რაშიც განიხილება TMN ქსელის კომპონენტებისა და სტრუქტურის ერთობლიობა, TMN კომპონენტების განაწილების აღწერა, TMN კომპონენტების ურთიერთქმედების საშუალებების განსაზღვრა როგორც აღნიშნულ კომპონენტებს შორის, ისე გარე სამყაროსთან.

TMN არქიტექტურა

ITU-T M.3010 რეკომენდაცია განსაზღვრავს TMN მართვის ზოგად კონცეფციას და წარმოადგენს მართვის არქიტექტურის შემდეგ სახეობებს:

1. TMN მართვის ფუნქციების აღწერის ფუნქციონალური არქიტექტურა.
2. TMN ფიზიკური არქიტექტურა, რომელიც განსაზღვრავს მართვის ფუნქციის რეალიზაციის ტექნიკურ და პროგრამულ საშუალებებს.
3. TMN ინფორმაციული არქიტექტურა, რომელიც ISO სტანდარტის საფუძველზე აღწერს TMN სისტემას ობიექტზე ორიენტირებული მიდგომით (Object-Oriented).
4. TMN ლოგიკური მრავალდონიანი არქიტექტურა გვიჩვენებს, როგორ შეიძლება ქსელის მართვის სტრუქტურირება ქსელის ადმინისტრაციის სხვადასხვა მოთხოვნების შესაბამისად.

TMN ფუნქციონალური არქიტექტურა

TMN ფუნქციონალური არქიტექტურა შემდეგი ძირითადი კომპონენტებისგან შედგება:

ფუნქციონალური ბლოკები (functional blocks) - TMN ფუნქციონალურობის ელემენტარული ერთეული, რომელიც შეიძლება სტანდარტიზებული იყოს;

მართვის აპლიკაციების ფუნქციები (management application functions, MAF) - ფუნქციები, რომელთა საშუალებით ხდება ერთი ან რამოდენიმე მართვის მომსახურება. მართვის აპლიკაციების ფუნქციები შეიძლება აღინიშნოს იმ ფუნქციონალური ბლოკებით, რომელ მათგანზეც გამოიყენება. როგორც წესი, ერთ ფუნქციონალურ ბლოკში სრულდება მართვის აპლიკაციის ერთი ფუნქცია.

TMN მართვის ფუნქცია (TMN management function, TMN MF) და TMN მართვის ფუნქციების სიმრავლე (TMN management function sets) - სისტემაში უზრუნველყოფს კავშირს ორ - გადამცემ და მიმღებ აპლიკაციებს შორის.

ურთიერთკავშირის წერტილი (reference point) წარმოადგენს TMN შესაბამისი ინტერფეისების მოთხოვნათა აღწერას.

ფუნქციონალური ბლოკები აღწერენ TMN ფუნქციებს, კერძოდ:

- მონაცემთა გადაცემის ქსელის ფუნქციები;
- სადგურის ფუნქციები;
- ადამიანი-მანქანა (Man-Machine) ინტერფეისის ფუნქციები;
- ქსელის მართვის მონაცემთა ბაზის ფუნქციები;
- TMN ქსელის უსაფრთხოების ფუნქციები;
- შეტყობინებათა გაცვლის ფუნქციები.

განასხვავებენ შემდეგი ტიპის ფუნქციონალურ ბლოკებს (სურ. 2.1):

- ოპერაციული სისტემის ფუნქციონალური ბლოკი (operations systems function block, OSF);
- ქსელის ელემენტის ფუნქციონალური ბლოკი (network element function block, NEF);
- სადგურის ფუნქციონალური ბლოკი (workstation function block, WSF);
- გარდაქმნის ფუნქციონალური ბლოკი (transformation function block, TF).

TMN ქსელის ზღვარს შიგნით სრულადმოხვედრილი ფუნქციონალური ბლოკები სრულად არის აღწერილი TMN რეკომენდაციების მიხედვით. დანარჩენი ბლოკები (WSF, NEF და TF) განლაგებულია საზღვრის ხაზზე, რაც ნიშნავს, რომ მათი ფუნქციების მხოლოდ ნაწილია



სურ. 2.1 – TMN საწყისი წერტილები და ფუნქციური ბლოკები

ასევეგაწერილი TMN რეკომენდაციაში. ანალოგიურად, ათვლის წერტილების სამი კლასი (q, f და x) სრულად არის გაწერილი TMN რეკომენდაციებში. სხვა კლასები (g და m) - მხოლოდ ნაწილობრივ.

TMN ფიზიკური არქიტექტურა

ფუნქციონალური არქიტექტურის შემდეგ განისაზღვრება TMN ქსელის ფიზიკური არქიტექტურა, სადაც ხდება ფუნქციონალური ბლოკების ფიზიკური ბლოკების საშუალებით (physical blocks) რეალიზაცია.

ფიზიკურ ბლოკებს გააჩნიათ შესაბამისი კავშირგაბმულობის მოწყობილობა, სისტემური ან სააპლიკაციო პროგრამული უზრუნველყოფა. TMN ქსელის ფიზიკური არქიტექტურა შემდეგი ფიზიკური ბლოკებისგან შედგება:

- ქსელის ელემენტი NE;
- მედიაციის ხელსაწყო (Mediation Device, MD);
- Q-ადაპტერი (QA);
- ოპერაციული სისტემა, OS;
- სადგური, WS;
- მონაცემთა გადაცემის ქსელი, DCN.

ფიზიკური ბლოკები ერთგვაროვანი ფუნქციონალური ბლოკების რეალიზაციას ახდენენ. მაგალითად, ბლოკი „ქსელის ელემენტი“ ასრულებს ქსელის ელემენტების ე.ი. კავშირგაბმულობის საშუალებების ფუნქციებს.

TMN ინტერფეისები

ინტერფეისები შეიძლება განხილული იქნას, როგორც TMN ქსელის ათვლის წერტილების ფიზიკური რეალიზაციის პროცესი. ინტერფეისი შეგვიძლია შევადაროთ გასასვლელებს (Gateway), რომლის საშუალებითაც მართვის სერვისები ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის. ინტერფეისი უზრუნველყოფს სხვადასხვა ელემენტებს შორის კავშირს და ასევე, TMN ქსელის გარესამყაროსთან ურთიერთქმედებას. TMN ქსელისთვის ინტერფეისი ფიზიკურ ბლოკებს შორის კავშირის საშუალებას წარმოადგენს, ბლოკების ტიპისა და მისი მწარმოებელი ფირმის მიუხედავად. ამასთან ერთად, ინტერფეისს ენიჭება ათვლის წერტილის შესაბამისი დასახელება. ათვლის წერტილების შესაბამისი ინტერფეისების ურთიერთკავშირი შემდეგნაირად გამოიყურება:

TMN ინტერფეისების სპეციფიკაციას სხვადასხვა ორგანიზაციები ამუშავებენ, მათ შორის ITU-T, ETSI, TMF. ინტერფეისის სპეციფიკაცია, როგორც წესი, შეიცავს ობიექტის ფორმალურ აღწერას, აღწერის შერჩეული მეთოდისა და ინტერფეისის გამოყენების სცენარის დახმარებით. ზოგჯერ TMN ინტერფეისის მოხმარების წესი არ არის სტანდარტიზებული. TMN ინტერფეისის სპეციფიკაციებში მითითებულია მართვის ყველა ხელმისაწვდომი რესურსი და ინფორმაციასთან დაშვების საშუალებები. TMN ინტერფეისის სპეციფიკაცია განსაზღვრავს მის ფუნქციონალურობას. სპეციფიკაციებში არ შედის ინტერფეისის მიერ ინფორმაციის გაცვლის პროცესში გამოყენებული პროტოკოლის აღწერა. TMN ინტერფეისის დაპროექტებისა და დამუშავების პროცესში გამოსაყენებელი მეთოდოლოგია გაწერილია რეკომენდაციაში ITU-T M.3020.

TMN ინფორმაციული არქიტექტურა

ინფორმაციული არქიტექტურა, რომლის ფარგლებშიც აღწერილია მართვის ობიექტებისა და

მართვის მონაცემების გაცვლა, დაფუძნებულია ISO სტანდარტულ მოდელზე (რეკ. ITU-T X.720), და იყენებს ობიექტზე ორიენტირებულ მიდგომას. TMN ინფორმაციული არქიტექტურა პირდაპირ გავლენას ახდენს ამავე ქსელის ინტერფეისების სპეციფიკაზე. ინფორმაციული არქიტექტურის საკვანძო ელემენტებია ინფორმაციული ელემენტები, ელემენტების ურთიერთქმედების მოდელი და ინფორმაციული მოდელის სტრუქტურა. ობიექტზე ორიენტირებული მიდგომის და ღია სისტემების ურთიერთკავშირის პრინციპების გათვალისწინებით, სატელეკომუნიკაციო ქსელი მართვა იყოფა მმართველ და მართულ ობიექტებად.

მართული ობიექტის აღწერა ხდება მმართველი ობიექტის საზღვრის საშუალებით (managed object boundary), სადაც მიეთითება მართვისთვის ხელმისაწვდომი ობიექტის მახასიათებლები. მართული ობიექტის აღწერის საერთო სტრუქტურა ნაჩვენებია სურათზე 2.4.



სურ. 2.4 - მართული ობიექტის აღწერა

მართული ობიექტის შემადგენლობა:

- მართული ობიექტის თვისებების აღმწერი ატრიბუტები (attributes);
- ქმედებები ან ოპერაციები (actions), რომლებიც შეიძლება ბრძანების მიხედვით შესრულდეს ობიექტზე;
- შემოსული ბრძანების პასუხად გათვალისწინებული ობიექტის ქცევა ან მუშაობის რეჟიმი (behavior);
- გაფრთხილება ან საპასუხო შეტყობინება (replays), რომელსაც ობიექტი გასცემს რაიმე მოქმედების ან ოპერაციის პასუხად.

„მენეჯერი-აგენტი" მოდელის ფარგლებში შესრულებული ყველა მართვის ოპერაცია შეიძლება წარმოვადგინოთ 4 პრიმიტივის სახით - მართვის სერვისების მომხმარებელთა ელემენტარული შეტყობინებები, ანუ აგენტები და მენეჯერები. პრიმიტივებს გააჩნიათ შესაბამისი დასახელებები. მაგალითად, კავშირის დამყარება აღიწერება პრიმიტივით CONNECT, მენეჯერსა და აგენტს შორის მონაცემთა გადაცემა - პრიმიტივით DATA, პრიმიტივები შემდეგნაირად გამოიყენება:

1. აგენტზე ოპერაციის შესრულების მიზნით, მენეჯერი აგზავნის მართვის ბრძანებას მოთხოვნა-შეტყობინების სახით (Request Primitive).
2. როდესაც შეტყობინება მიდის აგენტამდე, ის მიიღება როგორც მითითება და აგენტზე ინდიკაციის პრიმიტივის ინიცირებას (Indication Primitive) ახდენს, აგენტის მიერ საჭირო პროცედურების გამოძახების აუცილებლობის მითითებით.
3. გამოძახებული პროცედურის ფარგლებში აგენტი ასრულებს აუცილებელ ქმედებებს, პრიმიტივი პასუხის სახით (Response Primitive) მენეჯერს უგზავნის შეტყობინება-პასუხს.
4. შეტყობინება-პასუხს მენეჯერი ღებულობს, როგორც შეტყობინება - დასტურს პრიმიტივი დასტურის (Confirm Primitive) სახით.

მენეჯერებისა და აგენტების გათვალისწინებით, TMN ფუნქციონალური არქიტექტურა შემდეგნაირად გამოიყურება (სურ. 2.6).



სურ. 2.6 - TMN ფუნქციონალური არქიტექტურა

TMN მართვის საინფორმაციო მოდელი წარმოადგენს მოწესრიგებულ კონსტრუქციას, რომელიც მოიცავს საინფორმაციო მოდელს, მენეჯერ-აგენტისა და მონაცემთა ბაზის ტექნოლოგიებს საერთო მართვის შესახებ ცოდნით (shared management knowledge, SMK). SMK ცოდნა შეიძლება დაიყოს რამოდენიმე კვანძად ანუ TMN ოპერაციულ სისტემად.

ზოგადად, მართვის საინფორმაციო მოდელი მართვისთვის დასაშვები ქსელის რესურსებისა და ასევე, მართვის დასაშვები ოპერაციების აბსტრაქტულ აღწერას წარმოადგენს. საინფორმაციო მოდელი შეიცავს მართვის ობიექტების კლასების დეტალურ აღწერას.

TMN ლოგიკური მრავალდონიანი არქიტექტურა (LLA)

TMN კონცეფციის ფარგლებში აღიარებულია, რომ არსებობს ამა თუ იმ ობიექტის მართვასთან დაკავშირებული „მოვალეობების“ განსაზღვრული იერარქია, რომელიც შეგვიძლია განვსაზღვროთ ტერმინით „მართვის დონე“; შესაბამისად, დონეებად აღწერილ არქიტექტურას ეწოდება TMN ქსელის ლოგიკური მრავალდონიანი არქიტექტურა (logical layered architecture, LLA).

დონეების კონცეფცია უმნიშვნელოვანესია TMN ქსელის არქიტექტურისთვის. LLA გამოჩენა აიხსნება იმით, რომ ქსელური მართვის დავალებები საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია. მართვის გამარტივებისა და მართვის პროცესში სხვადასხვა უფლებების შეზღუდვისათვის, სხვადასხვა ლოგიკურ დონეზე TMN ფუნქციონალური შესაძლებლობები საჭირო ინფორმაციასთან ერთად დეკომპოზირებულია (დაშლილია).

- ქსელის ელემენტის დონე (network element layer, NEL).
- ელემენტის მართვის დონე (element management layer, EML).
- ქსელის მართვის დონე (network management layer, NML);
- სერვისების მართვის დონე (service management layer, SML).
- ბიზნესის მართვის დონე (business management layer, BML).



სურ. 2.8 - TMN ლოგიკური მრავალდონიანი არქიტექტურა და კავშირი სხვა სახის არქიტექტურებთან

ქსელის ელემენტის დონე (network element layer, NEL) სატელეკომუნიკაციო მოწყობილობაა ფუნქციონირებადი პროგრამა-აგენტით, რომელიც აგროვებს ინფორმაციას და ამუშავებს ელემენტის მართვის დონიდან მოწოდებულ მართვის ქმედებებს.

ქსელის ელემენტის მართვის დონე (element manager layer, EML). ქსელის ელემენტების მართვა E-OSF ფუნქციის მეშვეობით სრულდება ელემენტების მართვის დონეზე. ამ დონეზე ხდება მოცემული მოწყობილობის სპეციფიკურ ფუნქციებთან ურთიერთქმედება, რომელთა რეალიზებაც დამოკიდებულია მოწყობილობის მომწოდებელზე. შედეგად, სპეციფიკური ფუნქციები „იმალება“ LLA სხვა დონეებისთვის და განთავსდება ელემენტების მართვის დონეზე.

ქსელის მართვის დონე (network management layer, NML). ქსელის მართვის დონე ასრულებს მართვის ფუნქციებს, რაც გულისხმობს მრავალი სახის სატელეკომუნიკაციო მოწყობილობებს შორის კავშირს. ქსელის მართვის დონეზე ქსელის ელემენტის შიდა სტრუქტურა „უხილავია“, ანუ ამ დონეზე ვერ ხდება, მაგალითად, მიღება/გადაცემის ბუფერის, მოწყობილობის ტემპერატურის და სხვ. პირდაპირი მართვა და კონტროლი. თუმცა, ხელმისაწვდომია ინფორმაცია შიდა პორტების, შემაერთებელი ხაზების, ქსელის ელემენტების ჩატვირთვის პროცესის შესახებ.

საკომუნიკაციო სერვისების მართვის დონე (service management layer, SML). სერვისების მართვის დონე მოიცავს სატელეკომუნიკაციო სერვისების სამომხმარებლო ღირებულებებთან უშუალოდ დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული დონის მომხმარებლები შეიძლება იყვნენ ოპერატორის კლიენტები, საკომუნიკაციო ქსელის აბონენტები, ასევე, საკომუნიკაციო ოპერატორების ადმინისტრაცია და სერვის-პროვაიდერები. სერვისების მართვა სრულდება ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელსაც აწვდის ქსელის მართვის დონე; ამასთან ერთად, სერვისების მართვის დონე „ვერ ხედავს“ ქსელის დეტალურ შიდა სტრუქტურას. ეს საკმაოდ სასარგებლო თვისებას წარმოადგენს საინფორმაციო უსაფრთხოებისა და ოპერატორის კომერციული საიდუმლოს დაცვის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

ბიზნესის მართვის დონე (business management layer, BML). ბიზნესის მართვის დონე ასრულებს სატელეკომუნიკაციო საწარმოს ან კომპანიის მართვას. ის ფართო კონტექსტში განიხილება და ამასთან, ქსელის და საკომუნიკაციო სერვისების მართვა ბიზნესის მართვის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს. ბიზნესის მართვა პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ ასპექტში სატელეკომუნიკაციო ქსელების მართვის სტრატეგიასთან და არ ეხება სატელეკომუნიკაციო ქსელების ოპერატიულ-ტექნიკურ მართვას.

დასკვნა

დასკვნის სახით ასევე გვინდა წარმოგიდგინოთ TMN ქსელის როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები:

ძლიერი მხარეები:

- TMN წარმაოდგენს ეფექტურ ჩარჩოს სატელე-კომუნიკაციო მენეჯმენტის მიზნებისთვის, ვინაიდან:
  - განსაზღვრავს განსხვავებულ აბსტრაქციის დონეებს;
  - ქსელისა და სერვისის მენეჯმენტთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტას უზრუნველყოფს სტრუქტურული მიდგომით;
  - ფართოდ აღიარებული სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს საყოველთაოდ გასაგებ სისტემას;
- TMN განსაკუთრებით მძლავრია TMN პირამიდის ქვედა დონეებზე, იყენებს რა OSI სისტემების მენეჯმენტსა და მასთან დაკავშირებულ ობიექტურ მიდგომებს;
- მაღალი დონის თავსებადობა, რომელიც ითვალისწინებს სტანდარტიზაციას: High interoperability by standardizing;
  - პროტოკოლის
  - საინფორმაციო მოდელის
  - სერვისების
  - მართვის შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ბაზებს (MIB)
- კომპლექსური ტიპები (სტრუქტურები)
- საზღვრების განსაზღვრა და ფილტრაცია (OSI მოდელირება)
- TMN უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, რაც არსებითია EML და X ინტერფეისებისთვის.
- სუსტი მხარეები:
- TMN დანერგვა არ არის მარტივი
- TMN Q3 ინტერფეისი ემყარება სრულ OSI სტეკს (OSI პროტოკოლების ნაკრებს)
- TMN ფუნქციონალური არქიტექტურა სრულყოფილად არ წარმოაჩენს სერვისის მენეჯმენტს და მიმართულია პირამიდის ქვედა დონეებიდან.

უზრუნველყოფილი რომ იქნას სერვისის მიწოდების ხარისხი, პრინციპით „ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე“, აუცილებელია არა მხოლოდ საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების მართვა და ტექნიკური კონტროლი, არამედ საჭიროა მიღებული სტატისტიკური მონაცემების მუდმივად შედარება იმ სტატისტიკურ მონაცემებთან, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან დადებული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების SLA მიხედვით. ამ შემთხვევაში სერვისის გარანტირებული ხარისხით მიწოდებისთვის უმნიშვნელოვანესი ხდება ტექნოლოგიური პროცედურები, ღონისძიებები და პროგრამულ-აპარატული საშუალებები.

ლიტერატურა:

1. Боро Б. Междоменное взаимодействие – необходимое звено управле- ния сетью будущего// Вестник связи.– 2000.– №4.
2. Гребешков А.Ю. Управление сетями электросвязи по стандарту TMN: Учеб. пособие.– М.: Радио и связь, 2004 г.
3. Гребешков А.Ю. Стандарты и технологии управления сетями электросвязи. Москва: Эко–Трендз, 2003 г.
1. http://www.simpleweb.org/tutorials/tmn/tmn.pdf
2. http://www.ITU.org
3. http://en.wikipedia.org/wiki/Telecommunications_Management_Network

SUMMARY

The paper refers to the general principles of the unified Communications Network Management according to the so called telecommunication management network, TMN, dedicated to the issues of telecommunication management network effective solution. The paper explores the reasons that stipulate TMN actuality and expediency: management, operational control (monitoring) and telecommunications equipment maintenance. The article summarizes TMN advantages and disadvantages as well as the essential technology procedures, events and hardware tools for providing the high quality of the service.

კაპიტალის ღირებულების განსაზღვრის პრინციპები

ოთარ ზუმბურიძე, სტუ-ს სრული პროფესორი
მიხეილ ზიბზიბაძე, სტუ-ს დოქტორანტი

კომპანიის ღირებულების შესაფასებლად, დისკონტირებული ფულადი ნაკადის მეთოდით სარგებლობისას, მომავალი თავისუფალი ფულადი ნაკადების დისკონტირების განაკვეთად გამოიყენება კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება. აღნიშნული წარმოადგენს ინვესტორების ალტერნატიულ ღირებულებას, რომელიც წარმოიქმნება ერთი ბიზნესის ნაცვლად, მეორე, იმავე რისკის მატარებელ ბიზნესში ფინანსური რესურსების ინვესტირებისას.

თავისუფალი ფულადი ნაკადები წარმოადგენს ყველა ფინანსური ინვესტორისთვის განკუთვნილ რესურსს. ამიტომ, კომპანიის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულებაც უნდა ასახავდეს ყველა ინვესტორის მიერ მოთხოვნილ უკუგების ნორმას. ამის უზრუნველსაყოფად კაპიტალის ღირებულება უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ის უნდა ასახავდეს ყველა ინვესტორის, მათ შორის, სესხის და საკუთარი (აქციონერული) კაპიტალის მფლობელების ალტერნატიულ ღირებულებას, ვინაიდან თავისუფალი ფულადი ნაკადი ეკუთვნის ყველა რისკის გამწევ ინვესტორს.
- კომპონენტების წონები უნდა განისაზღვროს არა საბალანსო, არამედ საპროგნოზო საბაზრო ღირებულების მიხედვით.
- ფინანსირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეღავათი ან ხარჯი, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული თავისუფალი ფულადი ნაკადების გამოთვლისას (მაგალითად, პროცენტის ხარჯთან დაკავშირებული საგადასახადი ფარი) გათვალსიწინებული უნდა იქნას კაპიტალის ღირებულებაში.
- კაპიტალის ღირებულება უნდა ეფუძნებოდეს ინფლაციასთან დაკავშირებულ იგივე დაშვებებს, რომელიც გაკეთდა თავისუფალი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისას.

აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, კონკრეტული კომპანიისთვის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების გამოსათვლელად განსაზღვრული უნდა იქნას სამი კომპონენტი: საკუთარი კაპიტალის ღირებულება, ნასესხები კაპიტალის ღირებულება და კომპანიის კაპიტალის სამიზნე სტრუქტურა. ვინაიდან არცერთი ცვლადი არაა პირდაპირ ხელმისაწვდომი, საჭიროა გამოვიყენოთ სხვადასხვა მიდგომები და დაშვებები თითოეული კომპონენტის დასადგენად. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ იგივე რისკისმქონეალტერნატიულიინვესტიციებისთვის მოთხოვნილი უკუგების ნორმა.

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება უდრის, საკუთარი კაპიტალისა და ნასესხები კაპიტალის (გადასახადების შემდეგ) შეწონილი სიდიდეების ჯამს:

$$WACC = (D / V)\, k_d\, (1-T_m) + (E / V)\, k_e$$

სადაც D / V = სესხის სამიზნე მნიშვნელობისა და საწარმოს ღირებულების განაყოფს. (სიდეედები უნდა განისაზღვროს საბაზრო ღირებულების და არა საბალანსო ღირებულების მიხედვით).

E / V = საკუთარი კაპიტალისა და საწარმოს ღირებულების განაყოფს. (ამ შემთხვევაშიც სიდიდეები უნდა განისაზღვროს საბაზრო ღირებულებების მიხედვით).

k_d = ნასესხები კაპიტალის ღირებულებას

k_e = საკუთარი კაპიტალის ღირებულებას

T_m = კომპანიის მოგების გადასახადის ზღვრულ განაკვეთს.

გამოსახულებაში მოცემულია კომპანიის კაპი-

ტალის საშუალო შეწონილი ღირებულების სამი მნიშვნელოვანი კომპონენტი: საკუთარი კაპიტალის ღირებულება, ნასესხები კაპიტალის ღირებულება გადასახადით დაბეგვრის შემდეგ და მათი შესაბამისი წონები.

საკუთარი კაპიტალის ღირებულებას განსაზღვრავს სამი ფაქტორი: უკუგების ურისკო განაკვეთის ნორმა, საბაზრო რისკის პრემია (რომელიც გამოითვლება საბაზრო პროტფელზე მიღებული უკუგებისა და ურისკო ობლიგაციებზე მიღებული უკუგების სიდიდეთა სხვაობით) და რისკის მაჩვენებელი, რომელიც ასახავს თითოეული კომპანიის რისკის დონეს საშუალო კომპანიასთან შედარებით. ფინანსური აქტივების შეფასების მოდელის (CAMP) თანახმად კომპანიის თანმდევი, სპეციფიკური რისკის გათვალისიწინება ხდება ბეტა კოეფიციენტის საშუალებით, რომელიც ზომავს კომპანიის ფასიანი ქაღალდის (აქციის) ცვალებადობას ბაზართან შედარებით. მაღალი ბეტა კოეფიციენტის მქონე აქციები უნდა უზრუნველყოფდნენ საბაზრო რისკის პრემიაზე მაღალ უკუგების მაჩვენებლებს და პირიქით, დაბალი ბეტა კოეფიციენტის მქონე აქციები უნდა უზრუნველყოფდნენ საბაზრო რისკის პრემიაზე დაბალ უკუგების მაჩვენებლებს.

საინვესტიციო დონის კომპანიისთვის, რომლის ობლიგაციებიც ღიად ივაჭრება ბაზარზე, სესხის ღირებულების (გადასახადის შემდეგ) გამოსათვლელად უნდა გამოვიყენოთ ობლიგაციების დაფარვამდე უკუგების ნორმა. ხოლო თუ კომპანიის ობლიგაციები იშვიათად ივაჭრება, დაფარვამდე უკუგების ნორმის გამოსათვლელად შეგვიძლია გამოვიყენოთ კომპანიის სასესხო რეიტინგი. ვინაიდან თავისუფალი ფულადი ნაკადების გამოთვლა ხდება პროცენტის ხარჯთან დაკავშირებული საგადასახადო ფარის გარეშე, სასესხო კაპიტალის ღირებულება უნდა განისაზღვროს კომპანიის მოგების ზღვრული გადასახადის განაკვეთის გათვალსიწინებით.

საკუთარი კაპიტალის ღირებულების გამოსათვლელად ყველაზე ხშირად იყენებენ ფინანსური აქტივების შეფასების მოდელს (CAMP). ფინანსური აქტივების შეფასების მოდელი ფასიანი ქაღალდის (აქციის) რისკს განსაზღვრავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ცვლილების მიმართ მისი მგძნობიარობის გათვალისწინებით.

ფინანსური აქტივების შეფასების მოდელის თანახმად, ფასიან ქაღალდზე მოსალოდნელი უკუგების ნორმა გამოითვლება ურისკო განაკვეთზე ფასიანი ქაღალდის ბეტა კოეფიციენტისა და საბაზრო რისკის პრემიის ნამრავლის დამატებით:

$$E(R_i) = r_f + \beta_i[E(R_m) - r_f]$$

სადაც, $E(R_i) = i$ აქციაზე მოსალოდნელი უკუგების ნორმა

r_f = ურისკო განაკვეთი

β_i = ბაზრის მიმართ აქციის მგძნობიარობის ხარისხი

$E(R_m)$ = საბაზრო პორტფელზე მოსალოდნელი უკუგების ნორმა

ფინანსური აქტივების შეფასების მოდელში ურისკო განაკვეთი და საბაზრო რისკის პრემია, რომელიც უდრის საბაზრო პორტფელზე მოსალოდნელ უკუგების ნორმასა და ურისკო განაკვეთის სხვაობას, საერთოა ყველა კომპანიისთვის. მხოლოდ ბეტა კოეფიციენტი იცვლება კომპანიებს შორის. ბეტა კოეფიციენტი წარმოადგენს კარგად დივერსიფიცირებული ინვესტორისთვის პორტფელში აქციის დამატებით წარმოქმნილ რისკს და ასახავს აქციის ცვალებადობის დონეს ბაზართან შედარებით.

მიხედავად იმისა, რომ ფინანსური აქტივების შეფასებისმოდელიეფუძნებაკარგადდასაბუთებულ თეორიას, ის მაინც ნაკლებ დახმარებას გვიწევს ღირებულების შეფასების პროცესში. კერძოდ ისმის შეკითხვა, კომპანიის შეფასების პროცესში რომელი უსრისკო განაკვეთი უნდა იქნას გამოყენებული? როგორ განვსაზღვროთ საბაზრო რისკის პრემია და ბეტა კოეფიციენტი? ზოგადი

სახის პასუხები ამ შემკითხვებზე შემდეგნაირად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ:

- განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებში ურისკო განაკვეთის გამოთვლა ეფუძნება მაღალლიკვიდურ, გრძელვადიან სახელმწიფო ობლიგაციებს.
- ისტორიულ მაჩვენებლებზე და მომავლის პროგნოზებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საბაზრო რისკის პრემია აღმოჩნდება 4.5 და 5.5 პროცენტს შორის.
- კომპანიის ბეტა კეოფიციენტის გამოსათვლელად უნდა გამოვიყენოთ მოცემული დარგისთვის განსაზღვრული ბეტა კეფიციენტი (სესხის კომპონენტის გათვალსიწინების გარეშე) და შემდეგ გავითვალისწინოთ კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა ბეტა კოეფიციენტის შესასწორებლად.

ურისკო განაკვეთის გამოსათვლელად საჭიროა დავაკვირდეთ სახელმწიფო ობლიგაციებს. კომპანიის შეფასებისას ურისკო განაკვეთის განსაზღვრისას არ შეიძლება მოკლევადიანი სახელმწიფო ობლიგაციების გამოყენება. ინვესტორები გრძელვადიან ობლიგაციებზე ითხოვენ უკუგების მაღალ ნორმებს, ვინაიდან ელიან საპროცენტო განაკვეთების ზრდას გრძელვადიან პერიოდში. მოკლევადიანი ობლიგაციების უკუგების ნორმის გამოყენებით, ჩვენ ფაქტობრივად გამოვრიცხავთ მათი დაფარვის შემდეგ ინვესტორების მიერ თანხის უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით ინვესტირების შესაძლებლობას.

საბაზრო რისკის პრემიის გამოთვლა, რომელიც წარმოადგენს ბაზარზე მოსალოდნელ უკუგების ნორმასა და ურისკო განაკვეთის ნორმას შორის სხვაობას, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე საკამათო საკითხს ფინანსურ სექტორში. აქციების მიერ გრძელვადიან პერიოდში ობლიგაცებზე მაღალი უკუგების განაკვეთების ნორმების გამომუშავების (გენერირების) უნარი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომპანიების ღირებულების შეფასების და საინვესტიციო პორტფელების ფორმირების პროცესში. ჯერჯერობით ბაზარზე მოსალოდნელი უკუგების ნორმის გამოთვლის არცერთი მოდელი არაა უნაკლო და უნივერსალური.

ფინანსური აქტივების შეფასების მოდელის თანახმად, აქციაზე მოსალოდნელი უკუგების განაკვეთი დაკავშირებულია ბეტა კოეფიციენტთან, რომელიც ზომავს აქციისა და მთლიანი ბაზრის ერთდროულად მოძრაობის ხარიხს. ამიტომ მნიშვნელოვანია ბეტა კოეფიციენტის მნიშვნელობის განსაზღვრა. თავდაპირველად უნდა მოხდეს ბეტა კოეფიციენტის გამოთვლა წრფივი რეგრესიის გამოყენებით, ხოლო შემდგომ მიღებული შედეგის გაუმჯობესება კონკრეტული დარგის სხვადასხვა შესადარისი სიდიდეების და დაგლუვების ტექნიკების გამოყენებით.

ბეტა კოეფიციენტის გამოსათვლელად ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$R_i = \alpha + \beta R_m + \varepsilon$$

აღნიშნული მოდელის გამოყენების დროს ერთმანეთს დარდება აქციის უკუგების განაკვეთი (და არა ფასი) და ბაზრის უკუგების განაკვეთი.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს წრფივი რეგრესიის მეთოდისთვის შესაფერისი სტანდარტული პერიოდი, ბეტა კოეფიციენტის გამოსათვლელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხუთი წლის ნამძილზე ყოველთვიური მონაცემების გამოყენება. ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევებიც ადასტურებს ხუთ წლიანი პერიოდის გამოყენების უპირატესობას.

ბეტა კოეფიციენტის გამოსათვლელად ასევე მიზანშეწონილია მოცემული დარგისთვის დამახასიათებელი ბეტა კოეფიციენტის გამოყენება, ვინაიდან ერთი და იგივე დარგში მომუშავე კომპანიები ხასიათდებიან ერთნაირი საოპერაციო რისკებით. ცალკეული კომპანიებისთვის გამოთვლილი ბეტა კოეფიციენტი ხშირად ნაკლებად

ზუსტია დარგისთვის ზოგად ბეტა კოეფიციენტთან შედარებით.

საბოლოოდ საკუთარი და სასესხო კაპიტალის ღირებულებები უნდა შეიწონოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის სამიზნე სიდიდეების გათვალსიწინებით. განვითარების სტაბილურ ფაზაში მყოფი კომპანიების შემთხვევაში, კაპიტალის სამიზნე სტრუქტურა დაუახლოვდება კაპიტალის სტრუქტურის არსებულ მაჩვენებელს.

ლიტერატურა:

1. Brigham F E., Ehrhardt C M. - Financial Management: Theory & Practice. South-Western College Pub; 13 edition (March 3, 2010). 1184 გვერდი.
2. Benninga Z S., Sarig H O. – Corporate Finance: A Valuation Approach. McGraw-Hill/Irwin; 1 edition (August 1, 1996) 446 გვერდი
3. Rosenbaum J., Pearl J., Perella R J. - Investment Banking: Valuation, Leveraged Buyouts, and Mergers and Acquisitions. Wiley; 1 edition (May 4, 2009). 304 გვერდი.

SUMMARY

When we analyze the value of a company, we need to know the cost of raising debt and equity. The cost of capital is a weighted average cost of the various components of financing. The weights of these components are based on the market values of each component. The cost of debt is the market rate at which the firm can borrow with any tax advantages taken into consideration. The cost of equity should reflect the riskiness of equity to investors in the company and have three basic inputs: the riskless rate, the risk premium and the beta for the company.

ბიზნეს-ინჟინერინგი ენერგეტიკაში

საქართველოში კონკურენტული ბაზრის პირობებში ელექტროენერგიის შესყიდვაზე პირდაპირი ხელშეკრულებების ეფექტიანობის შეფასება და მისი გაფართოების პერსპექტივები

ნინო მაღრაძე, დოქტორანტი

მსოფლიოში დერეგულირების და ლიბერალიზების შედეგად დანერგილი ელექტროენერგეტიკული ბაზრების სავაჭრო მექანიზმი განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. პრაქტიკაში განიხილება ორი ძირითადი მეთოდი: პირველი მათგანი წარმოაგენს ორმხრივ ვაჭრობას მყიდველსა და გამყიდველს შორის და იქმნება ორმხრივი პირდაპირი ხელშეკრულებების დეცენტრალიზებული ბაზარი; მეორე მათგანი კი წარმოადგენს ცენტრალიზებულ ანუ ინტეგრირებულ ვაჭრობას, სადაც სპეციალურად ორგანიზებულ სავაჭრო მოედანზე ე.წ. ,,პულზე" ხორციელდება ელექტროენერგიით ვაჭრობა [6].

ორმხრივი ვაჭრობისას მხარეები თავად პოულობენ პარტნიორს და დამოუკიდებლად აფორმებენ ხელშეკრულებებს ან/და შუამავლის მეშვეობით. ცენტრალიზებული ვაჭრობის მეთოდის დროს ვაჭრობა შესაძლებელია ენერგო ბირჟის მეშვეობით. დასავლეთ ევროპაში აჟამად 15 ელექტროენერგეტიკული ბირჟა ფუნქციონირებს ასევე რამოდენიმეა აღმოსავლეთ ევროპაში, თუმცა მათგან ყველაზე ძველს წარმოადგენს ,,ნორდ-პული", რომელიც აერთანებს შვედეთს, ფინეთს, ნორვეგიას, დანიას და ესტონეთს. ასევე ,,ნორდ-პული" მოიცავს გერმანიის ბაზარსაც, სადაც მონაწილეებს სთავაზობს გარკვეული სახის ხელშეკურლებებს [3].

ორმხრივი ხელშეკრულებებით ვაჭრობა გაცილებით უფრო მოქნილია და ითვალისწინებს მყიდველის და გამყიდველის ინდივიდუალურ მოთხოვნებს. გარდა ამისა ორმხრივი ხელშეკრულებებით ვაჭრობისას კონკურენტული დამოკიდებულება იქმნება მყიდველსა და გამყიდველს შორის, მხარეები ცდილობენ მივიდნენ ისეთ შეთანხმებამდე, რომელიც თითოეულისათვის უფრო სასარგებლო იქნება. თუმცა პარტნიორის მოძებნა, მოლაპარაკებები და ხელშეკრულების ინდივიდუალური გაფორმება მოითხოვს გარკვეულ დროს. ამავე დროს საკმაოდ სარისკოა პარტნიორის საიმედოობა და ფინანსური მხარე ორივე მონაწილისათვის.

ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმებამ უნდა უზრუნველყოს სისტემის სტაბილურობის გაზრდა, მასში გრძელვადიანი ტარიფის ფიქსირებით. ასეთის სახის ხელშეკრულებები არაა გამჭვირვალე და ბაზრის ოპერატორებს არ აძლევს იდენტური მოქნილობის საშუალებას ბაზარზე ტრანზაქციების განხორციელებისას, რომლის დროსაც მწარმოებლებს და მომხმარებლებს შეუძლიათ შეცვალონ თავიანთი გადაწყვეტილება, გაყიდონ თუ იყიდონ ელექტროენერგია „ერთი დღით ადრე" ბაზარზე [4].

ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობაში (მაგალითად გერმანია, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი) ელექტროენერგიით ვაჭრობა ძირითადად ხორციელდება ორმხრივი ხელშეკრულებებით, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში როგროიცაა იტალია, ესპანეთი, სკანდინავიის ქვეყნები და ა.შ., ვაჭრობა ძირითადად ხორციელდება ენერგო ბირჟის მეშვეობით.

არსებობს ორი ტიპის სავაჭრო ბაზრები: 1. ფულადი ან ფიზიკური, სადაც მოთხოვნის დასაბალანსებლად ხორციელდება ელექტროენერგიის შესყიდვა. 2. „დერივატივები" ან ქაღალდები, რაც მოიცავს ,,ფიუჩერსებს", ,,ოფციონებს" და „სვაფს" [2].

რისკების დაზღვევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა ჰეჯირება, ესაა ღონისძიებების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მომავალში ფინანსური ოპერაციების დროს ვალუტის კურსის, ფასების, საპროცენტო განაკვეთის და ა.შ შეზღუდვას. ელექტროენერგეტიკაში ასეთი სახის ზომებად მიღებულია ,,დერივატივები". ჰეჯირების სტრატეგია ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი პირობაა ელექ-

ტროენერგიის ბაზარზე ვაჭრობისას, რომელიც საშუალებას აძლევს მწარმოებლებს იმოქმედონ აგრესიული პოლიტიკით და გაანეიტრალონ ახალი მონაწილეების შემოსვლის საშიშროება ბაზარზე. კალიფორნიის მაგალითმა ძალზედ უარყოფითი შედეგი აჩვენა მკაცრი რეგულირების გამო ფინანსურ ბაზარზე ჰეჯირების არ დაშვებით [4].

მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია გარკვეული ხელშეკრულებების სტანდარტიზება [10]. ერთ-ერთი ასეთი ყველაზე გავრცელებული ხელშეკრულებაა ენერგო ტრეიდერების ევროპული გაერთიანების მიერ შემუშავებული ხელშეკრულება ტრანსასაზღვრო ვაჭრობისათვის. აღნიშნული საკმაოდ წარმატებით გამოიყენება ევროპის ქვეყნებში ტრანსასაზღვრიო ვაჭრობისას. თითოეული ქვეყანა რიგ შემთხვევაშ ახდენს ამ ხელშეკრულების ადაპტაციას ადგილობრივ კანონმდებლობასთან თუმცა მასში ცვლილების განხორციელება მხოლოდ მცირე დოზით ხდება. ეს მაგალითი წარმოადგენს საკმაოდ წარმატებულ ხელშეკრულებას, ვინაიდან აიოლებს მხარეებს შორის მოლაპარაკებების როგორც იურიდიული კუთხით ასევე დროის დაზოგვის კუთხითაც, მითუმეტეს რომ საქმე ეხება სხვადასხვა ქვეყნებს შორის ურთიერთობას.

რაც შეეხება სხვადასხვა ქვეყნის შიგნით არსებულ ორმხრივი ხელშეკრულებების მოცულობას, მაგალითისათვის თურქეთის რესპუბლიკაში ორმხრივი ხელშკეურლებებით ხდება 70% ელექტროენერგიის ყიდვა/გაყიდვა, დაახლოებით 13%-ს ყიდვა/გაყიდვა ხორციელდება ერთი დღით ადრე ბაზარზე, და 17% -საბალანსო ბაზარზე [15].

ჩინეთმა ორმხრივი ხელშეკრულებების მეშვეობით მოახერხა ინვესტიციების გარანტირებული ამოღება. ხელშეკრულებებში ხდებოდა ფასის ფიქსირება, იმ დონეზე, რომ უზრუნველყოფდა წლიურად 15%-ზე მეტ ინვესტიციების ამოღებას [11].

ბრაზილიაში კი მყიდველები და გამყიდველები ვალდებულნი არიან ელექტროენერგიის 100%, გრძელვადიანი ორმხრივი ხელშეკრულებებით შეისყიდონ/გაყიდონ, როგორც მოკლევადიანი ასევე გრძელვადიანი მიზნებისათვის. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ტარდება აუქციონები. გამარჯვებული მოქმედი მწარმოებელი კომპანიებისათვის ყოველწლიურად ფორმდება 3-დან 15 წლამდე ვადის ხელშეკრულებები, ხოლო ახალი მშენებარე სიმძლავრეებისათვის 3-იდან 5 წლამდე პერიოდით ადრე. თბოსადგურებისთვის ხელშეკრულების ვადა 15 წლით განისაზღვრება, ხოლო ჰიდროსადგურებისათვის 30 წლით [11].

დიდ ბრიტანეთში წესები მოითხოვს მთელი ელეტროენერგიის გაყიდვა ხორციელდებოდეს ორმხრივი ხელშეკრულებებით, რომლებიც რამოდენიმე წელზეა დადებული და მოხდეს ,,სპოტ“ ერთი დღით ადრე ბაზრის ლიკვიდაცია [9].

სკანდინავიის ქვეყნებში ელექტროენერგიის ძირითადი მოცულობა ორმხრივი ხელშეკრულებებით ივაჭრება და კარგადაა განვითარებული ,,დერივატივების“ ბაზარი [2].

ავსტრალიაში კი ქვეყნისათვის საჭირო მთელი ელექტროენერგიით ვაჭრობა ბაზარზე ხორციელდება ერთი დღით ადრე ,,სპოტ“ ბაზარზე და ქვეყანაში გრძელვადიანი ორმხრივი ხელშეკრულებები არ გამოიყენება [11].

საქართველოს ენერგეტიკა წინა წლებთან შედარებით სტაბილურ მდგომარეობაში იმყოფება. აღნიშნულის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია ელექტროენერგიით სავაჭრო მოდელის ორმხრივ ხელშკერულებებზე გადასვლა, რამაც უზრუნველყო ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლის 100%-მდე ზრდა.

2006 წლის 31 აგვისტოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მიერ დამტკიცებული №77 ბრძანებით ამოქმედებული ,,ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების მიხედვით სისტემის მართვა ხორციელდება ელექტროენერგიის ყიდვა/გაყიდვაზე გაფორმებული პირდაპრი ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლის მხარეებიც არიან კვალიფიციური საწარმოები (გამონაკლისი, ექსპორტის ან იმპორტის შემთხვევაში შესაბამისი სხვა ქვეყანაში მოქმედი კომპანია): წარმოების და განაწილების ლიცენზიანტები (რომელთა წლიური მოხმარება აღემატება 120 მლნ კვტსთ-ს), პირდაპირი მომხმარებლები (რომელთა წლიური მოხმარება აღემატება 7 მლნ კვტსთ-ს), იმპორტიორები, ექსპორტიორები და ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო).

მხარეებს შორის გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულებები სავალდებულო რეგისტრაციას გადიან დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტთან (სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“), რის შედეგადაც იწყება მათი აღსრულება. საბალანსო ელექტროენერგიით უზრუნველყოფას ახორციელებს ესკო ანუ აღნიშნული ეხება ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ელექტროენერგიის ყიდვა/გაყიდვას, რაც შეიძება გამოწვეული იყოს ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა მოხმარების/გამომუშავების შემცირება ან გაზრდა, ფორს-მაჟორული გარემოებები და ა.შ.

2008 წლიდან მოხდა 13 მგვტ-მდე არსებული ჰიდრო სადგურების დერეგულაცია, ასევე დერეგულირებულია 2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ აშენებული

სადგურებიც, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მათგანი ბაზარზე დაიშვებიან ლიცენზიის გარეშე და ვაჭრობა შეუძიათ განახორციელონ თავისუფალი ტარიფით. დანარჩენი სადგურებისათვის კი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სეწმეკ) მიერ თითოეულისათვის ცალ-ცალკე დადგენილია ზედა ზღვრული ტარიფები და აღნიშნული განსაზღვრავს მხარეებს შორის ხელშეკრულების გაფორმებისას ფასის დაწესების ლიმიტს.

ამდენად ელექტროენერგიით ვაჭრობაში მონაწილე თითოეული მხარე თავად ირჩევს პარტნიორს და მათთვის მისაღებ ტარიფებს სთავაზობენ ერთმანეთს, და ამ შემთხვევაში (გარდა მარეგულირებელი სადგურებისა, რომელთაც ფიქსირებული ტარიფი აქვთ დაწესებული) გამყიდველს უფლება აქვს შესთავაზოს კომისიის მიერ დადგენილ ტარიფზე დაბალი ფასიც კი, მითუმეტეს რომ ქვეყანაში მოქმედებს საბალანსო ბაზარზე გასაყიდი სეზონური ტარიფები. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს კონკურენციის ერთ-ერთ თავისებურებას და წინაპირობას ბაზრის სრულ კონკუტენულ მოდელზე გადასვლისა.

ნახაზ №1-ზე მოცემულია საქართველოში ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე მონაწილე სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის სქემატური გამოსახულება, მათ შორის დამაკავშირებელი ხაზები მიუთითებს ხელშეკრულების სახეობას.



ნახაზი №1. საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზაზრე მონაწილე სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები

როგორც ნახაზიდან ჩანს ბაზრის წესების შესაბამისად ნებისმიერი სახის მომსახურების ანაზღაურება, დაკავშირებული ელექტროენერგიის მიწოდება/მოხმარებასთან, ხორციელდება ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე. აღნიშნული უზრუნველყოფს საწარმოების შორის ურთიერთ ვალდებულების მკაფიო განსაზღვრას და შედეგად გაწეული მომსახურების საფასურის სტაბილურ გადახდებს.

პირდაპირი ხელშეკრულება ელექტროენერგიის ყიდვა/გაყიდვაზე, ფორმდება პირდაპირ მომხმარებლებსა, გამანაწილებელ კომპანიებს და მწარმოებელ სადგურებს შორის. ამ შემთხვევაში ყველა ხელშეკრულება ინდივიდუალურია პირობების, ვადების და ფასების მიხედვით. თუმცა სეწმეკი-ს მიერ დადგენილი ელექტროენერგიის ტარიფების მიხედვით სადგურებს (გარდა დერეგულირებულისა) გააჩნიათ გასაყიდი ზედა ზღვარი.

საბალანსო ელექტროენერგიის ყიდვა/გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულება სტანდარტული პირობებით, ხორციელდება იმ შემთხვევაში თუ მწარმოებლებმა მის მიერ გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მოცულობაზე მეტი ელექტროენერგია გამოიმუშავა და შესაბამისად მომხმარებლის მიერ საბალანსო ელექტროენერგიის შესყიდვა ხდება იმ შემთხვევაში თუ მის მიერ მოხმარებულ ელექტროენერგიაზე ნაკლები მოცულობით ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულებები.

გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა/გაყიდვის ხელშეკრულება სტანდარტული პირობებით, მოქმედებს ესკო-სა და გამანაწილებელ, პირდაპირ მომხმარებელ და ექსპორტიორ კომპანიებს შორის, ასევე ესკო-სა და გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველმყოფელ სადგურებს შორის. აღნიშნული მომსახურების საფასური გადახდა მომხარებლების მიერ ხორციელდება თითოეულ კვტსთ-ზე და მაგალითისათვის 2012 წლის მონაცემებთ თვეების მიხედვით მერყეობდა 0,32-დან 0,77 თეთრი/კვტსთ-ს ფარგლებში [14].

ზოგადად ორივე ზემოთ ხსენებული სტანდარტული პირობების ხელშეკრულებები, წარმოადგენენ წინასწარ ჩამოყალიბებულ მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნულ სახელშეკრულებო პირობებს, რომელსაც ესკო უდგენს კვალიფიციურ საწარმოებს და კვალიფიციური საწარმოს სტატუსის მინიჭებისთანავე ავტომატურად ხდებიან ორივე სახის ხელშეკრულების მეორე მხარე [8].

მომხმარებელს შეუძლიათ შეისყიდოს თავისი მოხმარებისდიდინაწილიორმხრივიხელშეკრულებების მეშვეობით. ამასთანავე ხელშეკრულების მოცულობა შესაძლოა იცვლებოდეს იმის მიხედვით თუ როგორია ფასების დინამიკა საბალანსო ბაზარზე. ანუ მომხმარებელს შეუძლია შეამციროს ელექტროენერგიის შესყიდვის რისკი ორმხრივი ხელშეკრულებების

გაფორმებით და ამასთანავე ჰქონდეს საშუალება მთლიანი შესყიდვების საფასურის მინიმიზირება გააკეთოს ბაზარზე წარდგენილი შეთავაზებებით. ანუ მომხმარებელმა შესაძლოა უარი განაცხადოს მოცულობის შესყიდვაზე ამ ორი მიზნის ერთდროულად მისაღწევად. ანალოგიურად შეუძლია მწარმოებელს შეამციროს ელექტროენერგიის გაყიდვის რისკი და ამავდროულად გაზარდოს შემოსავალი. ცხრილ №1-ში მოცემულია კვალიფიციური საწარმოების მიერ (პირდაპირი მოხმარებლების და გამანაწილებელი კომპანიების) მიერ ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე და საბალანსო ბაზაზრე შესყიდული ელექტროენერგიის მოცულობები, ხოლო ნახაზ №2-ზე ნაჩვენებია მათი პროცენტული გამოსახულება.

ორმხრივი ხელშეკრულებებით შესყიდული ელექტროენერგიის მოცულობების ანალიზი 2007-2012 წწ

ცხრილი №1

		2007	2008	2009	2010	2011	2012
სულ მოხმარება	[ათასი კვტსთ]	8603	8930	8533	10141	10383	10087
კვალიფიციური საწარმოების მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგია	[ათასი კვტსთ]	1364	1386	1211	1434	2159	1729
პირდაპირი ხელშეკრულებებით შესყიდული ელექტროენერგია	[ათასი კვტსთ]	7239	7542	7347	8707	8224	8357



ნახაზი №2 კვალიფიციური საწარმოების მიერ პირდაპირი ხელშეკრულებებით და ესკო-ს მეშვეობით შესყიდული ელექტროენერგია 2007-2012 წწ. (%)

მონაცემების მიხედვით 2007 წლიდან დღემდე, სტაბილურად ელექტროენერგიის ყიდვა/გაყიდვა ორმხრივი ხელშეკრულებებით ხორციელდება. მაგალითისათვის 2012 წელს ორმხრივი ხელშეკრულებებით შესყიდული იქნა ქვეყნის მთლიანი მოხმარების 82%, ხოლო საბალანსო ელექტროენერგიის მოცულობა წლების მიხედვით მერყეობს 13%-იდან 21%-მდე.

გაფორმებული და რეგისტრირებული ხელშეკრულებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როგორც ეს ნახაზ №3-დან ჩანს ხელშეკრულებების რაოდენობა წლების მიხედვით იზრდება და ზოგ შემთხვევაში წინა წლებთან შედარებით თითქმის ორჯერაა გაზრდილი. თუმცა ეს რაოდენობა არაა დამოკიდებულებაში ხელშეკრულებებით გაყიდული ელექტროენერგიის მოცულობაზე, არამედ აღნიშნული განპირობებულია წლის მანძილზე ხელშეკრულებების ფარგლებში გაფორმებული დამატებითი შეთანხმებებით.



ნახაზი №3 კვალიფიციურ საწარმოებს შორის ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვაზე გაფორმებული და რეგისტრირებული პირდაპირი ხელშეკრულებების რაოდენობა 2006-2011 წწ.

ელექტრენერგიის შემსყიდველი შესაძლოა ასევე მწარმოებელიც იყოს, იმ შემთხვევაში და დროის იმ მონაკვეთში, როდესაც სხვადასხვა მიზეზების გამო საკუთარი მოხმარებისათვის საჭირო ელექტროენერგიის წარმოებას ვერ უზრუნველყოფენ. საქართველოშიც ზოგიერთი მწარმოებელი ბოლო წლების მანძლზე, ბაზრის წესების ფარგლებში ახორციელებს საკუთარი მოხმარებისათვის საჭირო ელექტროენერგიის შესყიდვას როგორც პირდაპირი ხელშეკრულებებით ასევე საბალანსო ბაზარზე შესყიდვით (იხ. ცხრილი №2).

მწარმოებლების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის საჭირო ელექტროენერგიის უზრუნველყოფის წყაროები (იმ შემთხვევაში, როდესაც სადგური გაჩერებულია) 2007-2012 წწ.

ცხრილი №2

		2007	2008	2009	2010	2011	2012
ელექტროენერგია, მათ შორის შესყიდვის წყაროების წილობრივი მონაწილეობა:	[ათასი კვტსთ]	5496	9697	11817	13198	35272	13179
პირდაპირი ხელშეკრულებებით	[%]	48%	10%	7%	14%	4%	21%
საბალანსო ესკო-დან	[%]	52%	90%	32%	86%	96%	79%

უმეტეს შემთხვევაში სადურების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის ელექტროენერგიის შესყიდვა ხდება იმ პერიოდში როდესაც სადგური სრულად გაჩერებულია და სამეურნეო პროცესისათვის საჭიროა ელექტროენერგია, ამასთანავე შესაძლოა ზოგიერთი სადგურისათვის, რომელთაც გამომუშავებული ელექტროენერგიის დიდი ტარიფი აქვთ დადგენილი, საბალანსო ბაზარზე ან/და ორმხრივი ხელშეკრულებებით შესყიდვის განხორციელებისას გარკვეული ხარჯების დაზოგვის ეფექტიც ქონდეთ.

საქართველოს რეალობაში ორმხრივი ხელშეკრულებების ეფექტიანობის განსაზღვრისათვის მოყვანილია სამი პირდაპირი მომხარებლის მაგალითი. ცხრილ №3-ში ნაჩვენებია კომპანიების მიერ 2008-2011 წლებში ელექტროენერგიის მოხმარების დონე და მათ მიერ პირდაპირი ხელშკრულებებით ან/და საბალანსო ბაზარზე შესყიდული ელექტროენერგიის მოცულობები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, აღნიშნულ კომპანიებს ქვეყნის შიდა მოხმარებასთან შედარებით საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი გააჩნიათ, მათ შორის „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ მოიხმარს ქვეყნის შიდა მოხმარების დაახლოებით 2%-ს, „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ კი 0,6%-მდე. ასევე შედარებით მცირე სიმძლავრის მომხმარებელია სინათლის ქალაქი. ხსენებული კომაპნიების მცირე მოხმარების მიუხედავად, ძალზე საინტერესოა მათ მიერ მიღებული ეფექტი პირდაპირი ხელშეკრულებებით ელექტროენერგიის შესყიდვისას.

ნახაზი №4 ზე მოცემულია კომპანია სინათლის ქალაქის მიერ 2008-2010 წლებში შესყიდული ელექტროენერგიის ღირებულების მაჩვენებლები.

კომპანიების მიერ პირდაპირი ხელშეკრულებებით და საბალანსო ბაზარზე შესყიდული ელექტროენერგია 2008-2011 წწ.

ცხრილი №3

	წელი	მოხმარება [მლნ კვტსთ]	პირდაპირი ხელშეკრულებით [%]	საბალანსო [%]
თბილისის სატრანსპორტო კომპანია	2008	63,1	88,8%	11,2%
	2009	62,1	71,0%	29,0%
	2010	62,9	82,5%	17,5%
	2011	64,02	46,1%	53,9%
სინათლის ქალაქი	2008	41,5	59,5%	40,5%
	2009	44,3	56,7%	43,3%
	2010	46,9	73,0%	27,0%
	2011	5,631	_	_
ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი	2008	294,9	98,4%	1,6%
	2009	286,6	100,0%	0,0%
	2010	287,0	100,0%	0,0%
	2011	284,04	93,4%	6,6%



ნახაზი №4 ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი კომპანია სინათლის ქალაქისათვის 2008-2010 წწ.

ორმხრივი ხელშეკრულებების შედეგად კომპანია სინათლის ქალაქისათვის მიერ მიღებული ეფექტი ასახულია ნახაზ №5-ზე, სადაც მოყვანილია შედარება კომპანიის მიერ ფაქტიური არსებული ხელშეკრულებების საფუძველზე და გამანაწილებელი კომპანიის აბონენტად ყოფნის შემთხვევაში მიღებული ტარიფები. კერძოდ აღნიშნულის შედარებით კომპანიამ სამი წლის მანძილზე საშუალოდ 37%-ით ნაკლები ხარჯი გაიღო ელექტროენერგიის შესყიდვაზე.



ნახაზი №5 ჯორჯიან უოთრ ენდ ფაუერისათვის ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი პირდაპირი ხელშეკრულებების და სადისტრიბუციო კომპანიის აბონენტად ყოფნის შემთხვევაში 2008-2011 წწ.

ასევე საინტერესოა თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მაგალითის განხილვა, რომელიც ელექტროენერგიის მოხმარების მხრივ არ ითვლება ე.წ. დიდ მომხმარებლად, თუმცა უზრუნველყოფს დედაქალაქის მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირებას, შესაბამისად ძალზე მნიშვნელოვანია მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი იყოს მისი გამოყენების ტარიფები, კომპანიის ერთ-ერთ ძირითად ხარჯს კი მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური შეადგენს. ნახაზ #6-ზე მოცემულია კომპანიის მიერ კვტსთ ელექტროენერგიის შესყიდვის ტარიფები. 2011 წელს ზამთრის თვეებში აღნიშნული ტარიფი საკმაოდ მაღალი იყო და წინა წლებთან შედარებით იგივე თვეებში 2-ჯერ მეტიც კი შეადგინა. აღნიშნული გამოიწვია კომპანიის მიერ საბალანსო ელექტროენერგიის უფრო დიდი მოცულობით შესყიდვის განხორციელების აუცილებლობამ. მიუხედავად ამისა, როგორც ნახაზ №7-ზე ჩანს, კომაპნიის საშუალო წლიური ტარიფი თითქმის 20%-ით ნალებია იმ ტარიფზე, რაც კომპანიას განმაწილებელი კომპანიის აბონენტად გახდომის შემთხვევაში დაუჯდებოდა.



ნახაზი №6 ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის 2008-2011 წწ.



ნახაზი №7 თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი პირდაპირი ხელშეკრულებების და სადისტრიბუციო კომპანიის აბონენტად ყოფნის შემთხვევაში 2008-2011 წწ.

ორივე ზემოთ განხილული კომპანიისათვის ელექტროენერგიის ტარიფი ზამთრის პერიოდში უფრო მაღალია, ვინაიდან ამ პერიოდში მოხმარების დაბალანსებისათვის შესყიდული საბალანსო ელექტროენერგიის საფასური საკმაოდ მაღალია.

ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის მაგალითის განხილვა მეტად საინტერესოა, ვინაიდან ამ შემთხვევაში კომპანია ელექტროენერგიის შესყიდვას საკუთარი წყაროდან ახორციელებს. ნახაზ №8-ზე მოცემულია კომპანიის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ტარიფი 2008-2011 წწ. თვეების მიხედვით, სადაც სხვადასხვა მომსახურების ღირებულებას დამატებული აქვს მის საკუთრებაში არსებული სადგურის - ჟინვალჰესის მარეგულირებელი კომისიის მიერ დამტკიცებული ფასის ზედა ზღვარი. შესაბამისად კომპანიისათვის ელექტროენერგიის ტარიფი ამ პერიოდებში მუდმივად სტაბილურია.



ნახაზი №8 ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისათვის 2008-2011 წწ.

გამანაწილებელი კომპანიის აბონენტად ყოფნის შემთხვევაში აღნიშნული ხარჯი საგრძნობლად მაღალი იქნება. ნახაზ №9-ზე ჩანს, რომ 2011 წელს კომპანიის მიერ მიღებული ტარიფის ეფექტი 58%-ს შეადგენდა.

კონკურენტულ მოდელზე გადასვლით და პირდაპირი ხელშეკრულებების ამოქმედებით საქართველოში უპირველეს ყოვლისა საგრძნობლად გაუმჯობესდა ფულადი სახსრების ამოღების მაჩვენებელი, რაც უპირველეს ყოვლისა აისახა კომპანიების შემოსავლებზე და მათ საშუალება მიეცათ გრძელვადიანი დაგეგმვით მოახდინონ დარგში ინვესტიციების განხორციელება. **ნაშრომში განხილული** პირდაპირი მომხმარებლების მაგალითი კიდევ ერთხელ ცხადყოფს ორმხრივი ხელშეკრულებების როლს და მის ეფექტურობას.



ნახაზი №9 ჯორჯიან უოთრ ენდ ფაუერისათვის ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი პირდაპირი ხელშეკრულებების და სადისტრიბუციო კომპანიის აბონენტად ყოფნის შემთხვევაში 2008-2011 წწ.

გარდა ამისა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ რომ ამ გზით შესყიდული ელექტროენერგია უზრუნველყოფს გარანტირებულ შემოსავლებს და დარგის სტაბილურ განვითარებას. ამავე დროს მსოფლიო ქვეყნებში ორმხრივი ხელშეკრულებებით შესყიდული/გაყიდული ელექტროენერგიის წილი რიგ შემთხვევაში საქართველოში არსებული მაჩენებლის ფარგლებშია.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან კომპანიების მიერ მიღებული სარგებელი გამოსახული ფულად ერთეულში მოცემულია ცხრილ №4-ში.

კომპანიების სარგებელი პირდაპირი ხელშეკრულებებით ელექტროენერგიის შესყიდვისას 2008-2011 წწ.

ცხრილი №4

წელი	კომპანია	ელექტროენერგიის ტარიფი ს/ხ გათვალისწინებით [თეთრი/კვტსთ]	ელექტროენერგიის ტარიფი სადისტრ. კ. აბონენტის შემთხვევაში [თეთრი კვტსთ]	მოხმარება [მლნ. კვტსთ]	სულ ხარჯი ს/ხ შემთხვევაში [მლნ. ლარი]	სულ ხარჯი სადისტრ. აბონენტის შემთხვევაში [მლნ. ლარი]	სხვაობა [მლნ. ლარი]	სხვაობა [%]
2008 წ.	თბილისის სატრანსპორტო კომპანია	7,49	12,62	63,10	4,73	7,96	3,23	41%
	სინათლის ქალაქი	9,37	12,62	41,45	3,88	5,23	1,35	26%
	ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი	5,21	12,62	294,87	15,36	37,21	21,85	59%
2009 წ.	თბილისის სატრანსპორტო კომპანია	8,25	12,62	62,06	5,12	7,83	2,71	35%
	სინათლის ქალაქი	8,37	12,62	44,32	3,71	5,59	1,88	34%
	ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი	5,10	12,62	286,56	14,61	36,16	21,55	60%
2010 წ.	თბილისის სატრანსპორტო კომპანია	7,43	12,62	62,91	4,67	7,94	3,26	41%
	სინათლის ქალაქი	8,27	12,62	46,86	3,87	5,91	2,04	34%
	ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი	5,23	12,62	287,01	15,00	36,21	21,21	59%
2011 წ.	თბილისის სატრანსპორტო კომპანია	10,76	12,62	64,03	6,89	8,08	1,19	15%
	სინათლის ქალაქი	–	–	–	–	–	–	–
	ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი	5,88	12,62	284,04	16,71	35,84	19,13	53%

კომპანიების მიერ მიღებული შემოსავალი პირდაპირი ხელშეკრულებებით ელექტროენერგიის შესყიდვისას, სადისტრიბულიო კომპანიის აბონენტად ყოფნასთან შედარებით, წლების მანძილზე 15%-იდან 60%-მდეც იზრდება. ფულად გამოსახულებაში აღნიშნული დანაზოგი თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის 2011 წლის

მოანცემებით 1,19 მლნ ლარს შეადგენს, ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისათვის კი 19,13 მლნ ლარს, მაშინ როდესაც ხსენებული კომპანიების წლიური ფაქტიური ხარჯი ელექტროენერგიაზე შესაბამისად შეადგენს 6,89 მლნ და 16,71 მლნ ლარს.

ვინაიდან საქართველოს ელექტროენრგეტიკული ბაზრის მიზანი კონკურენციისთვის სრული გახსნაა, მნიშვნელოვანია მასზე ეტაპობრივად მოხდეს გადასვლა და დარგში თანდათან დაიხვეწოს და ჩამოყალიბდეს ჯანსაღი გარემო.

საქართველოს პარლამენტის დადგენილების „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თაობაზე დოკუმენტში დასახელებულია, რომ 2013 წლიდან წლის მანძილზე 3 მლნ. კვტსთ-მდე ელექტროენერგიის მომხმარებელ საწარმოს საშუალება ექნება თავად აირჩიოს მომწოდებელი, 2016 წლიდან კი არანაკლებ 1 მლნ კვტსთ-ს მქონე მომხმარებლებს, ხოლო სრული გახსნა განხორციელდება 2017 წლიდან. მომხმარებლების რაოდენობის ზრდა გამოიწვევს პირდაპირი ხელშეკრულებების ზრდას. ცხრილ №5-ში მოცემულია მოხმარების დონეების მიხედვით გამანაწილებელი კომპანიები: თელასის და ენერგო-პრო ჯორჯიას აბონენტების რიცხვი. მათგან ენერგო-პრო ჯორჯიას 21 აბონენტს ამჟამადაც შეუძლიათ „კვალიფიციური საწარმოს“ სტატუსის მიღება და პირდაპირი ხელშეკრულებების გაფორმება. 3 მლნ კვტსთ-მდე ბაზრის გახსნის შემთხვევაში უკვე დამატებით 47 მომხმარებელს შეეძლება ბაზაზრე თავისუფლად შემოსვლა, ხოლო 1 მლნ კვტ-სთმდე გახსნის შემთხვევაში ჯამში 257 მომხმარებელი იქნება ბაზარზე.

სადისტრიბუციო კომპანიის მომხმარებლები წლიური მოხმარების დონის მიხედვით

ცხრილი №

	>7 მლნ. კვტსთ	3-7 მლნ. კვტსთ-მდე	1-3 მლნ. კვტსთ-მდე
ენერგო-პრო ჯორჯია	21	27	90
თელასი	1	20	92

ბაზრის თანდათანობითი გახსნის შემთხვევაში ქვემოთ მოცემულია მათ მიერ პირდაპირ ხელშეკრულებებზე გადასვლის შემთხვევაში მიღებული სარგებელი.

ნაშრომის [12] მიხედვით საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზაზრე შესასყიდი ელექტროენერგიის საშუალოშეწონილი პროგნოზული ტარიფი 2013 წლისათვის შეადგენს (ზედა ზღვარი) 4,815 თეთრს კვტსთ-ზე, 2014 წ. 4,481 თეთრი/კვტსთ-ზე, ხოლო 2015 წელს 4,808 თეთრი/კვტსთ-ზე. აღნიშნულ ტარიფზე შესაბამისი მომსახურების ტარიფის ერთეულების დამატებით (გადაცემა/დისპეტჩერიზაციის მომსახურების ტარიფი, რეზერვის ტარიფი, ესკო-ს მომსახურების ტარიფი, სადისტრიბუციო კომპანიის მიერ გატარების მომსახურების ტარიფი) შესაბამისად მიიღება 2013 წლისათვის - 8,954 თეთრი/კვტსთ-ზე, 2014 წლისათვის 8,620 თეთრი/კვტსთ-ზე, 2015 წელს კი 8,947 თეთრი-კვტსთ.

ცხრილ №6-ში კრებსითადაა ნაჩვენები მომავალი „კვალიფიციური საწარმოების“ მიერ დარგში კონკურენციის გაზრდით მისაღები შესაძლო შემოსავალი. ენერგო-პრო ჯორჯიას აბონენტები, რომლებიც ამჟამად 7 მლნ კვტს-ზე მეტს მოიხმარენ, მათ მიერ პირდაპირი ხელშეკრულებების გაფორმების შემთვევაში 36 მლნ. ლარამდე დანაზოგის გაკეთებას შეძლებენ, ხოლო მომვალაში ორივე გამანაწილებელი კომპანიის 1-დან 3 მლნ კვტსთ-მდე მომხმარებელი საწრმოები საბოლოო ჯამში 9,5 მლნ ლარამდე შეძლებენ დანაზოგის გაკეთებას.

კომპანიების ხარჯი სადისტრიბუციო კომპანიების აბონენტად ყოფნის და პირდაპირი ხელშეკრულებების გაფორმების შემთხვევაში

ცხრილი №6

	მოხმარების მოცულობა [მლნ კვტსთ]	სულ ხარჯი პ/ხ შემთხვევაში [მლნ ლარი]	სულ ხარჯი სადისტრ. აბონენტის შემთხვევაში [მლნ ლარი]	სხვაობა [მლნ ლარი]	სხვაობა [%]
ენერგო-პრო ჯორჯიას აბონენტები					
>7 მლნ. კვტსთ	975,4	87,3	123,1	35,8	29%
3-7 მლნ. კვტსთ-მდე	123,1	11,0	15,5	4,5	29%
1-3 მლნ. კვტსთ-მდე	106,3	9,5	13,4	3,9	29%
თელასის აბონენტები					
>7 მლნ. კვტსთ	8,8	0,8	1,1	0,3	29%
3-7 მლნ. კვტსთ-მდე	89,9	8,8	12,5	3,6	29%
1-3 მლნ. კვტსთ-მდე	152,7	13,7	19,3	5,6	29%

აღნიშნული კომპანიების მიერ პირდაპირი ხელშეკრულებების გაფორმებით მიღებული სარგებელი პროგნოზული ზედა ზღვრული ტარიფის პირობებშიც კი 29%-ს აღწევს.

ზემოთ მოყვანილმა კვლევამ აჩვენა, რომ ელექტრო-ენერგიის კონკურენტულ ბაზარზე

პირდაპირი ხელშეკრუ-ლებებით ვაჭრობა მაღალი ეფექტიანობის მატარებელია. იგი უზრუნველყოფს საბაზრო ძალის განმტკიცებას, ფასე-ბისა და მოთხოვნის გაზრდასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას. პირდაპირი ვადიანი ხელშეკრულებები მნიშ-ვნელოვან წილად განაპირობებენენ ენერგეტიკაში ინვეს-ტიციების მოზიდვის გაფართოებას. მომხმარებლების ელექტროენერგიით უწყვეტ და საიმედო მომარაგებას.

ანალიზით დადგენილია, რომ ელექტროენერგიის ბაზარზე დასაშვები ზღვარის მინიმუმ 1 მლნ კვტსთ-მდე შემცირება, მომხმარებელს აძლევს დიდ ეკონომიკურ ეფექტს და ამ სახის ხელშეკრულებებით ვაჭრობის გაფართოება არის ერთ-ერთი ეფექტური გზა ელექტროენერგიაზე ტარიფების შემცირებისა.

ლიტერატურა:

1. Designing the optimal bilateral contract in the competitive electricity market. Koohyung Chung, Dongjoo Kang and Balho H. Kim. Department of Electrical Engineering, Hongik University, 72-1, Sangsuk-dong, Mapo-gu, Seoul, Korea. Korea Electro technology Research Institute (KERI), 665, Naeson-Dong, Euiwang, Gyunggi-do, Korea, 2006.
2. Understanding today's Electricity Business. Bob Shively, John Ferrare. Enerdynamics 2012
3. How does bilateral trading differ from electricity pooling? EgheosaOnaiwu. ხელმისაწვდომია: http://www.dundee.ac.uk/cepmlp/gateway/index.php?news=30882. უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 20.03.2012
4. Spot, Bilateral and Futures Trading in Electricity Markets. Implications for Stability. Valeria Termini and Laura Cavallo.IEM – International Energy Markets. NOTA DI LAVORO 19.2007. ხელმისაწვდომია: http://www.feem.it/getpage.aspx?id=73&sez=Publications&padre=20&tab=1 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 21.03.2012
5. Impact of bilateral contracts on the Italian electricity marketA. Berizzi C. Bovo M. Delfanti M.S. Pasquadibisceglie. Bulk Power System Dynamics and Control - VI, Cortina d'Ampezzo, Italy, 2004.
6. "Рынок Электроенергии:от монополии к конкуренции", А.А.Тукеновб 2003г.
7. საქართველოს ელექტროენერგეტიკის მენეჯმენტის ბიზნეს-ინჟინერინგის პრინციპებზე ფორმირების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. დ. ჯაფარიძე, ზ. გაჩეჩილაძე, ნ. მაღრაძე. ჟურნალი ბიზნეს ინჟინერინგი #1, 2010 წ. გვ 83-96
8. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მიერ 2006 წლის 31 აგვისტოს #77 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტროენერგიის (სიმძავრის) ბაზრის წესები".
9. Bilateral Contracting in Deregulated Electricity Markets. A report to the American Public Association. Erza Hausman, Rick Hornby, Allison Smith. April 18, 2008.
10. ენერგოტრეიდერებისევროპულიფედერაციაhttp://www.efet.org/ უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 23.03.2013 წ.
11. საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზაზრე შესასყიდი ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ტარიფის პროგნოზირება. დ. ჯაფარიძე, ნ. კიკაბიძე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების კრებული, 2013 წ.

Assessment of the effectiveness of Direct Contracts on electricity purchase in Georgian competitive electricity market and its expansion prospects

SUMMERY

The paper discusses the types of contracts for electricity trading expanded in the world practice, electricity contracts established on Georgian market after implementing existing "Electricity (Capacity) Market Rules", contractual relationships between customers and suppliers, the benefits of Direct Contracts and its development prospects.

Studies have shown that competitive electricity markets are highly effective, with bilateral Direct Contracts. It provides strengthening of market forces and reduces risks related to the increase in prices and demand. Direct contracts stipulate investment expansion in the field, by providing fixed-term contracts with fixed prices.

Analysis determined that the allowable margin of at least 1 million kWh of electricity consumption, makes a huge economic benefit to consumers. Expansion of electricity trade with this kind of contracts is one of the effective ways to reduce electricity tariffs and provide reliable supply to the consumers.

საქართველო-თურქეთის ენერგეტიკული თანამშრომლობა თანამედროვე ეტაპზე

ემზარ ფაჟავა

თურქეთ-საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ენერგეტიკის სფერო წარმოადგენს ქვეყანაში თურქეთის ინვესტიციით შენდება ახალი ჰიდროელექტროსადგურები და გადამცემი ხაზები, საქართველო კი თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტს ახორციელებს. ელექ-ტროენერგიის ექსპორტი და საქართველოს ჰიდ-როპოტენციალის ათვისების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, გააძლიეროს ტრანსასაზღვრო მაღალი ძაბვის გადამცემი მოცულობა. ამ მიზნით 2010 წელს დაიწყო 500/400 კვ მაღალი ძაბვის ელექტროგადამ- ცემი ხაზის (შავი ზღვის ეგხ) მშენებლობა თურქეთ-საქართველოს შორის. შავი ზღვის 500/400 კვ ეგხ პროექტის მთლიანი ღირებულება 260 მლნ ევროა და მისი დაფინანსება ისეთმა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა განახორციელეს, როგორიცაა: KfW, EBRD და EIB. ხაზი ფუნქციონირებას 2012 წლის მაისში დაიწყებს და სრულად 2013 წლის 1 იანვრისათვის დაიტვირთება. აღსანიშნავია, რომ ხაზით სარგებლობის პრიორიტეტი ახლადაშენებულ ელექტროსადგურებს მიენიჭება. გარდა ამისა, იგეგმება 500კვ ხაზის მშენებლობა აზერბაიჯანთან და 400 კვ ხაზის მშენებლობა სომხეთთან. ზემოაღნიშნულიპროექტებისდასრულების შემდეგ საქართველო რეგიონის უმნიშვნელოვანესი ელექტროენერგეტიკული კვანძი გახდება. იუწყება ეერგეტიკის სამინისტრო.

აღნიშნულ პროექტში ასევე აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირი. მან სატენდერო დუკუმენ-ტაციის მოსამზადებლად და ალტერნატიული გზის მოსაძიებლად 8 მლნ ევროს ოდენობის გრანტი გამოყო საქართველო–თურქეთის მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობისათვის. ევროკავშირმა ცოტა ხნის წინ განახორციელა კვლევა პროექტის-თვის ,,ტრანსკასპიური – შავი ზღვის გაზის დერეფანი.“ გარდა ამისა, ევროკავშირმა არაერთი პროექტი დააფინანსა ენერგეტიკის სფეროში, ძირითადად ტექ-ნიკური დახმარების სახით. ენერგეტიკის საკითხები როგორც ევროკავშირისათვის, ისე საქართველოსათვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ეს მნიშვნელობა ასახულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში. ამ ინიციატივის ფარგლებში ევროკავშირსა და მის პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ძლიერდება ენერგეტიკასთან დაკავშირებულ სფეროში (რეგი-ონული ენერგობაზრების შექმნა, ენერგოეფექტუ-რობის გაზრდა და განახლებადი ენერგეტიკის ხელშეწყობა, ენერგეტიკისა და უსაფრთხოების ერთობლივი მექანიზმის შემუშავება და ა.შ.)[1] დღეისათვის საქართველოში 40 ჰესის მშენებლობის პროექტი ხორციელდება, რომელთა ჯამური დად-გმული სიმძლავრე 1872 მგვტ-ია ხოლო საშუალო წლიური გამომუშავება 7350 მლნ კვტ/სთ-ს აჭარბებს. აღნიშნულ პროექტებში განსახორციელებელი სავა-რაუდო ინვესტიცია 3 მილიარდ აშშ დოლარს აღ-წევს. ჰიდროელექტროსადგურების ძირითადი ნაწი-ლის მშენებლობა 2018 წლისათვის დასრულდება. ამ პროექტებიდან თურქი კომპანიები 10 ჰესის მშე-ნებლობაში იღებენ მონაწილეობას და მათი კაპი-ტალდაბანდება შეადგენს 479. 77 მილიონ დოლარს. ისინი შემდეგ აპირებენ ჰიდროელექტრო სადგურების აშენებას:

ფარავანი ჰესი მდ.ფარავანი Georgian Urban Energy (თურქეთი) სიმძლავრე – 78.00 მგვტ წლიური გამომუშავება – 425.00 გვტ.სთ მშენებლობის დაწყება – 2009 წ. 24 ივლისი მშენებლობის დასრულება – 2013 წ. 24 ივლისი დასაქმებულთა რაოდენობა – 360 სავარაუდო ინვესტიცია – 125.00 მლნ აშშ დოლარი.

გუბაზეული 6 ჰესი მდ. გუბაზეული EMCT (თურ-ქეთი) სიმძლავრე – 3.10 მგვტ წლიური გამომუშავება – 20.25 გვტ.სთ მშენებლობის დაწყება – 2011 წ. 15 დეკემბერი მშენებლობის დასრულება – 2013 წ. 15 დეკემბერი დასაქმებულთა რაოდენობა – სავარაუდო ინვესტიცია – 4.20 მლნ აშშ დოლარი.

ხელვაჩაური ჰესი 1 მდ. ჭოროხი Achar Energy (თურქეთი) სიმძლავრე – 36.38 გამომუშავება – 154 გვტ.სთ მშენებლობის დაწყება – 2012 წ. 1 იანვარი მშენებლობის დასრულება – 2016 წ. 31 დეკემბერი დასაქმებულთა რაოდენობა – 7 სავარაუდო ინვესტიცია – 57,23 მლნ აშშ დოლარი.

ხელვაჩაური ჰესი 2 მდ. ჭოროხი Achar Energy (თურქეთი) სიმძლავრე – 34.65 მგვტ წლიური გამომუშავება – 168 გვტ.სთ მშე-ნებლობის დაწყება – 2012 წ. 1 იანვარი მშენებლობის დასრულება – 2016 წ. 31 დეკემბერი დასაქმებულთა რაოდენობა – 7 სავარაუდო ინვესტიცია – 69.57 მლნ აშშ დოლარი.

კირნათი ჰესი მდ. ჭოროხი Achar Energy (თურქეთი) სიმძლავრე – 34.64 მგვტ წლიური გამომუშავება – 173 გვტ.სთ მშენებლობის დაწყება – 2012 წ. 1 იანვარი მშენებლობის დასრულება – 2016 წ. 31 დეკემბერი დასაქმებულთა რაოდენობა – 7 სავარაუდო ინვესტიცია – 69.22 მლნ აშშ დოლარი.

ლექარდე ჰესი მდ. მაგანა ATAÇ (თურქეთი) სიმძლავრე – 20.00 მგვტ წლიური გამომუშავება – 107.00 გვტ.სთ მშენებლობის დაწყება – 2013 წ. 5 მაისი მშენებლობის დასრულება – 2016 წ. 5 იანვარი სავარაუდო ინვესტიცია – 31.75 მლნ აშშ დოლარი. **ბახვი 1 ჰესი** მდ. ბახვისწყალი KGM (თურქეთი) სიმძლავრე – 15.0 მგვტ წლიური გამომუშავება – 85.00 გვტ.სთ მშენებლობის დაწყება – 2013 წ. 1 ივნისი მშენებლობის დასრულება – 2017 წ. 1 აგვისტო სავარაუდო ინვესტიცია – 42.00 მლნ აშშ დოლარი. **ბახვი-2 ჰესი** მდ. ბახვისწყალი KGM (თურქეთი) სიმძლავრე – 20.00 მგვტ წლიური გამომუშავება – 110.00 გვტ.სთ დაწყება – 2011 წ. 1 დეკემბერი მშენებლობის დასრულება – 2013 წ. 30 ნოემბერი დასაქმებულთა რაოდენობა – სავარაუდო ინვესტიცია – 35.00 მლნ აშშ დოლარი.

ბახვი-3 ჰესი მდ. ბახვისწყალი KGM (თურქეთი) სიმძლავრე – 6.00 მგვტ წლიური გამომუშავება – 35.00 გვტ.სთ მშენებლობის დაწყება – 2011 წ. ოქტომბერი მშენებლობის დასრულება – 2012 წ. აგვისტო დასაქმებულთა რაოდენობა – 100 სავა-რაუდო ინვესტიცია – 9.70 მლნ აშშ დოლარი.

ბახვი-5 ჰესი მდ. ბახვისწყალი KGM (თურქეთი) სიმძლავრე – 2.00 მგვტ წლიური გამომუშავება – 11.00 გვტ.სთ მშენებლობის დაწყება – 2012 წ. 10 იანვარი მშენებლობის დასრულება – 2013 წ. 1 ივლისი სავარაუდო ინვესტიცია –3.40 მლნ აშშ დოლარი. **მაგანაჰესი** მდ. მაგანა ATAÇ (თურქეთი) სიმძლავრე – 20.60 მგვტ წლიური გამომუშავება – 106.40 გვტ.სთ მშენებლობის დაწყება – 2013 წ. 5 მაისი მშენებლობის დასრულება – 2016 წ. 5 იანვარი სავარაუდო ინვესტიცია – 32.70 მლნ აშშ დოლარი. [2] უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთავრობაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასეთ თანამშრომლობას თურქეთთან და ახალი ერთობლივი საინვესტიციო პროექტების განხორციელებაზე მუშაობენ. ახალ პროექტებში ინვესტირების საშუალებას კი თურქე-

თის სწრაფად მზარდი ეკონომიკა იძლევა, რომლის განვითარების ტემპი ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპს მიუახლოვდა და 2010 წლის მანძილზე 10 პროცენტი შეადგინა. ამ თანამშრომლობას ჯანსაღს უწოდებს ენერგეტიკული უსაფრთხოების ექსპერტი გია ხუხაშვილი: "ჩვენ, ფაქტობრივად, აზერბაიჯანსა და თურქეთთან ერთად ვიქეცით აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიან გეოპოლიტიკურ კვანძად და ერთობლივად შევიძინეთ გარკვეული გეოპოლიტიკური ფუნქცია. ელექტროენერგიის სფეროშიც არის გარკვეული თანამშრომლობა, რაშიც მე ნეგატივს ვერ ვხედავ."[3] ამ ურთიერთობებზე საუბრობს ყოფილი თურქეთის ელჩი საქართველოში ლევენთ მურად ბურჰანი. მისი აზრით, "საქართველო-თურქეთის ენერგეტიკულ თანამშრომლო- ბას სტრატეგილი მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყნისათვის" [4]

ამდენად, საქართველო თურქეთის ძალიან მნიშვნელოვანი ენერგოპარტნიორია. ორივე სატრანზიტო ქვეყანა კასპიის ენერგო რესურსების მთავარი გამტარია დასავლეთ ევროპის მიმართულებით და აღნიშნულ თანამშრომლობას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყნების მომავლისათვის. [5]

2012 წლის 20 იანვარს თბილისში საქართველო-თურქეთის ენერგეტიკული კონფერენცია გაიმართა, რომლის დროსაც ორი ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ელექტროენერგიით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შესახებ. ამ ხელშეკრულების გაფორმება მოაწესრიგებს ორი ქვეყნის დამაკავშირებელი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციას. თბილისის კონფერენციაზე გადაწყვეტილად გამოცხადდა კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მდინარე მტკვრის ჰიდრორესურსების გამოყენებას, კერძოდ, ორ ქვეყანას შორის მდინარე მტკვრის ჰიდრორესურსების ექსპლუატაციის თაობაზე არსებული აზრთა სხვადასხვაობა აღარ არსებობს. საქმე ეხება თურქეთის „ბეშიქ ჰაიას" კაშხლის პროექტს, რომლის მიხედვითაც მტკვრის ჰიდრორესურსების ნაწილს მიმართულება უნდა შეეცვალა და შავ ზღვაში მოხვედრილიყო. ამ იდეას საქართველოს საზოგადოების წინააღმდეგობა მოჰყვა და ოფიციალურმა თბილისმა ანკარას პროექტის იმდაგვარად განხორციელება შესთავაზა, რომ მდინარე მტკვრის დინება უცვლელი დარჩეს. საქართველოს წინადადებაზე შეთანხმება დაადასტურა თბილისში მყოფმა თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა თანერ ილდიზმა. თურქეთსა და საქართველოს შორის უკვე მიმდინარეობს მოლა-პარაკება მდინარე მტკვარზე ჰესის მშენებლობის პროექტთან დაკავშირებით. საქართველოს მხარის მტკიცებით, უკვე არსებობს ხელშეკრულების პრო-ექტი, რომლის მიხედვითაც მდინარე მტკვარზე კაშხალი საქართველოს ტერიტორიაზე, საზღვართან ახლოს აშენდება და მის ექსპლუატაციას ორივე ქვეყანა მოახდენს.

საქართველო-თურქეთის მჭიდრო ენერგეტიკული თანამშრომლობის შედეგია ხელშეკრულება ბორჩა-

ახალციხის ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების შესახებ. აღნიშნული ხაზი შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის ფარგლებში შენდება. ამ ქსელის შესაქმნელად აშენდება 400 და 500 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზები და დამონტაჟდება 700 მეგავატი მუდმივი დენის ჩანართი, ასევე არსებულ ინფრასტრუქტურას ჩაუტარდება რეაბილიტაცია [6].

საქართველოს მდგრადი ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ენერგეტიკის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ენერგოინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენერგორესურსებისა და მათი მომწოდებლების შემდგომ დივერსიფიკაციას და საერთაშორისო და რეგიონულ ენერგოპროექტებში მონაწილეობის გაფართოებას. ამ კუთხით საქართველოს ხელისუფლება მიესალმება სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის ფარგლებში ახალი პროექტების განხორციელებას, მათ შორის, იმ პროექტებისას, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ევროპისათვის ნავთობისა და ბუნებრივი აირის მიწოდება კასპიისა და ცენტრალური აზიის რეგიონებიდან საქართველოს გავლით.

საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნების ნაწილია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური გავითარებისათვის. საქართველო აცნობიერებს იმ როლს, რომელიც საქართველოს ენიჭება კასპიის ზღვის დაშუაა ზიისრეგიონებიდანდანარჩენიმსოფლიოსათვის ენერგეტიკული რესურსების ალტერნატიული გზებით მიწოდების პროცესში. საქართველოს შავი ზღვის პორტები, ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენები, ასევე ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი უკვე მოქმედ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროექტებს წარმოადგენს. საქართველოს ხელისუფლება მოწოდებულია, უზრუნველყოს ამ პროექტების ეფექტიანი ფუნქციონირება და პერსპექტიული პროექტების შემდგომი განვითარება. ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ენერგოინფრასტრუქტურის განვითარება და ჰიდრორესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენება. ელექტროენერგიის გადამცემი ახალი ხაზებისა და ელექტროსადგურების მშენებლობა, ძველი ჰესების რეაბილიტაცია უზრუნველყოფს საკუთარი ჰიდრორესურსების ათვისების გზით იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შემცირებას და ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების ამაღლებას.

საქართველოს მიზანია, გახდეს ელექტროენერგიის მსხვილი რეგიონული ექსპორტიორი, რისთვისაც ენერგიის გამომუშავების ზრდის გარდა აუცილებელია ქვეყნებს შორის დამაკავშირებელი ახალი გადამცემი ხაზების მშენებლობაც. სტრატეგიული ენერგორესურსების რეზერვების შექმნა ახალი ჰესებისა და ბუნებრივი აირის საცავების მშენებლობისა და განახლებადი ენერგიის გამომუშავების გზით ხელს შეუწყობს ენერგოკრიზისების პრევენციასა და მართვას და ენერგეტიკული უსაფრთხოების შემდგომ ამაღლებას [7].

საკუთარი ნავთობისა და ბუნებრივი აირის ნაკლებობა, უხვი ჰიდრო პოტენციალი და დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობები რუსეთთან აიძულებს საქართველოს საკუთარი და არა მარტო საკუთარი ენერგო უსაფრთხოების უზრუნველყოფას შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

1. შიდა ენერგორესურსების განვითარება;
2. რეგიონალურ დონეზე ენერგეტიკული თანამშრომლობის, გაცვლისა და ვაჭრობის განვითარება;
3. ქვეყნის საერთაშორისო ენერგეტიკული ტრანზიტის შესაძლებლობების გაზრდა, განსაკუთრებით სამხრეთ კორიდორის ჭრილში.

ეს სამივე მიმართულება კარგ საშუალებას წარმოადგენს საერთაშორისო რეგიონული თანამშრომლობისათვის და შესაძლოა გახდეს მონაწილეთა ეკონომიკური ზრდის, უსაფრთხოების გაძლიერებისა და გარემოს უკეთესი დაცვის საწინდარი. ასეთი წინსვლის უზრუნველყოფა შესაძლებელია მოხდეს დასავლური სტანდარტების შესაბამისი, გამჭვირვალე სახელშეკრულებო და მარეგულირებელი გარემოს ჩამოყალიბებით [8].

ლიტერატურა

1. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
2. http://eeas.europa.eu/delegations/georgia/projects/overview/infrastructure_environment_rural_dev/index _ka.htm
3. ენერგეტის სამინისტრო http://www.menr.gov.ge/4757
4. მჭედლიძე კახა, "საქართველო-თურქეთის ეკონომიკური თანამშრომლობა ღრმავდება". რადიო თავისუფლება.
5. http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2174469.html
6. Gürcistan'a hangi Türk şirketi enerji yatırımı yaptı?
7. http://www.microsofttranslator.com
8. Huriye Yildirim. Türkiye-Gürcistan İlişkileri: İşbirliği Alanları, Sorunlar ve Çözüm Önerileri (2) 18/01/2013 · http://akademikperspektif.com/2013/
9. ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24458486.html
10. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. 2012
11. მარგველაშვილი მ, მუხიგულიშვილი გ. "ენერგეტიკული უსაფრთხოება - ხედვა საქართველოდან"

EMZAR PAZHAVA

ENERGETIC COOPERATION BETWEEN TURKEY AND GEORGIA IN MODERN PERIOD

SUMMARY

Since Georgia's independence, Turkey is an important regional partner, which recognizes the sovereignty and territorial integrity, and supports its energetic, political and security institutions development.

Turkish - Georgian energetic relations are highly important as in a country, so for security in the region. On the other hands, significant priorities of Georgia's energetic security policy are supporting increment of hydro energetic export potential of the country, broadening and strengthening foreign energetic contacts, Active participation in international energetic projects.

Even for Turkey its own geopolitical and security policies based on the cooperation has special importance to its geographical location that, because Georgia is the main connecting bridge Caspian Basin countries, besides on Georgia runs as a major transport - communication projects such as pipelines: the Baku - Tbilisi – Ceyhan (BTC) and Baku - Tbilisi - Erzurum; railway - the Baku - Tbilisi - Kars.

ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვა

დავით ჯაფარიძე, *სტუ-ს სრული პროფესორი*
თენგიზ მაღრაძე, *სტუ-ს დოქტორანტი*

ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის საიმედოობის უზრუნველყოფაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რემონტების ოპტიმალურად დაგეგმვას. რემონტების დაგეგმვაში გათვალისწინებული უნდა იყოს ოპტიმალურობის საერთო პრინციპები, რაც ნიშნავს მოწყობილობების ფაქტიური ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის, დადგენილი ნორმატივების და არსებული რესურსების შესაბამისად პრევენციული რემონტების ჩატარებას ელექტროსადგურების და სისტემაში შემავალი სხვა მოწყობილობების გეგმიურ-გამაფრთხილებლი რემონტების არსებული სისტემის ჩარჩოებში. რემონტების ჩატარებაზე დაკვეთის მომზადებას წინ უნდა უსწრებდეს სარემონტო სამუშაოების მოცულობის და ხანგრძლივობის შეფასებას. სარემონტო რეზერვის სიმძლავრის მდგენელი უნდა დაიგეგმოს, ენერგოსისტემის მუშაობის საიმედოობისადმი წაყენებული მოთხოვნების მიხედვით, აგრეგატების და მოწყობილობების რემონტის ხანგრძლივობა უნდა შეიზღუდოს საექსპლუატაციო და ტექნოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე.

მსოფლიოს სხვადასხვა ენერგოკომპანიების მუშაობის და აღნიშნული მიმართულებით ჩატარებული კვლევების [3,7,8,9,10,11,12] ანალიზით ირკვევა, რომ ელექტროენერგეტიკულ სისტემებში რემონტების ოპტიმალური დაგეგმვის უზრუნველსაყოფად მრავალი პრობლემაა გადასაჭრელი. როგორც წესი, ენერგეტიკულ სისტემებში არ არის შემუშავებული რემონტების დაგეგმვის სტრატეგია. სისტემური ხასიათი არ აქვს მიცემული ავარიული გამორთვების ანალიზს, რემონტების დაგეგმვა ხორციელდება ძირითადად ტექნიკური მიზნების მიხედვით, სათანადო ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. რემონტების პრევენციული დაგეგმვა წარმოებს ოპტიმიზაციის ტრადიციული პრინციპებით, რემონტის ოპტიმალურობაზე მოქმედი ფაქტორების შეფასების გარეშე. რაც მთავარია პრობლემის გადაწყვეტას არ აქვს მიცემული კომპლექსური ხასიათი. აღნიშნულიდან გამომდინარე ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვა უნდა განხორციელდეს ღრმა მეცნიერული კვლევის შედეგების მიხედვით, რისთვისაც პირველ რიგში ელექტროენერგეტიკულ სისტემაში შემავალი ელექტრული სადგურების, ელექტროგადაცემის ხაზების ელექტრომოწყობილობების და დანადგარების ტექნიკური მდგომარეობა უნდა შეფასდეს კომპლექსურად. უნდა ეფუძნებოდეს მთლიანად სისტემის საიმედოობის მახასიათებლებს და ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პრევენციული რემონტების ჩატარების ოპტიმალური ხანგრძლივობის განსაზღვრის მეთოდიკას. რაც მთავარია ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედო მუშაობის უზრუნველყოფაში გამოიკვეთოს რემონტების პრევენციული დაგეგმვის როლი და რემონტების ოპტიმიზაციის ამოცანა უნდა გადაიჭრას მასზე მოქმედი ყველა შესაძლო ფაქტორის გათვალისწინებით.

დასმული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგად ელექტროენერგეტიკულ სისტემაში შემავალ ენერგოობიექტებზე არსებული მოწყობილობა-დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის კომპლექსურად შეფასებაში გამოიკვეთა არამკაფიო ლოგიკის მეთოდის დიდი უპირატესობა [1,5,6]. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა ელექტროდანადგარების ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაში გათვალისწინებულ იქნას ფაქტორების დიდი რაოდენობა. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ელექტროენერგეტიკული სისტემის ენერგოობიექტებზე არსებული ელექტროდანადგარების ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასებისათვის შეირჩეს ისეთი X_1, X_2, X_n ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ i ელექტროდანადგარის Y_d რეიტინგის სრულყოფილად დადგენას. არსებული გამოცდილების [3,7,8,9,10,11,12] და რეალური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე შერჩეული იქნა 12 ფაქტორი:

X_1 - ელექტროდანადგარის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობა (ვიზუალური), ქულა;

X_2 - პერსონალის უსაფრთხოებაზე ზემოქმედება, ქულა;

X_3 – ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედოობაზე ზემოქმედება, ქულა;

X_4 - გარემოზე ზემოქმედება, ქულა;

X_5 - ელექტროდანადგარის ღირებულება, ლარი;

X_6 - ელექტროდანადგარის ავარიული გამორთვების სიხშირე, პროცენტი/100;

X_7 - ელექტროდანადგარის რემონტის დრო, საათი;

X_8 - ელექტროდანადგარის რემონტისთვის საჭირო სარემონტო პერსონალის რაოდენობა, კაცი;

X_9 - ელექტროდანადგარის ექსპლუატაციაში ყოფნის ხანგრძლივობა, წელი;

X_{10} - ელექტროდანადგარის ტექნიკური მდგომარეობის გაზომვის შედეგები, ქულა;

X_{11} - ხანგრძლივობა (ბოლოს ჩატარებული რემონტიდან), წელი;

X_{12} - ელექტროდანადგარის საშუალო დატვირთვა, პროცენტი;

Y_d – ელექტროდანადგარის მიმდინარე რეიტინგი, ქულა.

Y_d – დაბალი ქულა (რეიტინგი) აღნიშნავს, ელექტროდანადგარის ცუდ მიმდინარე ტექნიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

$X_1,..,X_{12}$ ფაქტორების შეფასებათა სისტემა მოცემულია ცხრილ №1-ში:

$X_1,..,X_{12}$ ფაქტორების და Y_d რეიტინგის შეფასებათა სისტემა

ცხრილი №1

№	ფაქტორი	შეფასებათა სისტემა (მინიმალური და მაქსიმალური ზღვრები)		
1	X_1	1 (ცუდი)	2 (საშუალო)	3 (კარგი)
2	X_2	1 (დიდი)	2 (საშუალო)	3 (მცირე)
3	X_3	1 (დიდი)	2 (საშუალო)	3 (მცირე)
4	X_4	1 (დიდი)	2 (საშუალო)	3 (მცირე)
5	X_5	შესაფასებელი $I_1,I_2,\ldots,I_n$ ელ.დანადგარების $Z_1, Z_2,\ldots,Z_n$ ღირებულებებს შორის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა		
6	X_6	შესაფასებელი $I_1,I_2,\ldots,I_n$ ელ.დანადგარების $G_1, G_2,\ldots,G_n$ ავარიული გამორთვების სიხშირეებს შორის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა		
7	X_7	შესაფასებელი $I_1,I_2,\ldots,I_n$ ელ.დანადგარების $T_1, T_2,\ldots,T_n$ სარემონტო დროებს შორის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა		
8	X_8	შესაფასებელი $I_1,I_2,\ldots,I_n$ ელ.დანადგარების რემონტისთვის საჭირო $P_1, P_2,\ldots,P_n$ სარემონტო პერსონალის რაოდენობებს შორის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა		
9	X_9	შესაფასებელი $I_1,I_2,\ldots,I_n$ ელ.დანადგარების $E_1, E_2,\ldots,E_n$ ექსპლუატაციაში ყოფნის ხანგრძლივობებს შორის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა		
10	X_{10}	1 (ცუდი)	2 (საშუალო)	3 (კარგი)
11	X_{11}	შესაფასებელი $I_1,I_2,\ldots,I_n$ ელ.დანადგარების ბოლოს ჩატარებული რემონტიდან $K_1, K_2,\ldots,K_n$ ხანგრძლივობებს შორის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა		
12	X_{12}	0 % (მცირე)	50 % (საშუალო)	100 % (დიდი)
13	Y_d	1 (ცუდი)	2 (საშუალო)	3 (კარგი)

ექსპერტული შეფასების საფუძველზე შედგენილია $X_1,..,X_{12}$ მახასიათებლების გავლენის მატრიცა Y_d რეიტინგზე. შედეგები შეტანილია ცხრილ №2-ში.

$X_1,..,X_{12}$ მახასიათებლების გავლენის მატრიცა Y_d რეიტინგზე

ცხრილი №2

ფაქტორი	X_1	X_2	X_3	X_4	X_5	X_6	X_7	X_8	X_9	X_{10}	X_{11}	X_{12}
	ზრდა	ზრდა	ზრდა	ზრდა	ზრდა	ზრდა	ზრდა	ზრდა	ზრდა	ზრდა	ზრდა	ზრდა
Y_d	ზრდა	ზრდა	ზრდა	ზრდა	კლება	კლება	კლება	კლება	კლება	ზრდა	კლება	კლება
	დადებითი კავშირი				უარყოფითი კავშირი					დადებითი კავშირი	უარყოფითი კავშირი	

Y_d რეიტინგის და $X_1, X_2,\ldots,X_{12}$ ფაქტორების არამკაფიო სიმრავლეზე დასაყვანად გამოყენებულია სამკუთხედის წევრის ფუნქცია და ცხრილ №1-ში ასახული მაჩვენებლები დაყოფილია 32 ნაწილად. ერთ-ერთი მაჩვენებელს აქვს ნახ.1 მოცემული ზოგადი სახე:



ნახ №1. სამკუთხედის წევრის ზოგადი ფუნქცია

$X_1, X_2,\ldots,X_{12}$ ფაქტორების Y_d რეიტინგის შეფასებაზე ფუნქციურ დამოკიდებულებას აქვს შემდეგი სახე:

$$Y_1,Y_2,\ldots,Y_i = \psi_1(X_1, X_2), (1) \quad Y_s = \psi_2(Y_1,Y_2,\ldots,Y_i) \ (2)$$

სადაც, ψ_1 და $\psi 2$ პროცედურაა, რომელიც შეიცავს წესების ბაზას და აკავშირებს $X_1, X_2,\ldots, X_{12}$ და Y_d მახასიათებლებს ერთმანეთთან.

$X_1, X_2,\ldots, X_{12}$ ფაქტორების Y_d რეიტინგზე გავლენის მატრიცის n რაოდენობის ჩამოყალიბებული წესების მიხედვით დგინდება ყოველ $X_1, X_2,\ldots, X_{12}$ მახასიათებლის ცვალებადობის გავლენა Y_d-ს მნიშვნელობაზე. ეს პროცესი აღწერილია ნახ. №2-ზე:

#	IF dat1	THEN DoS	risk1fin
1	term1	1.00	term32
2	term2	1.00	term31
3	term3	1.00	term30
4	term4	1.00	term29
5	term5	1.00	term28
6	term6	1.00	term27
7	term7	1.00	term26
8	term8	1.00	term25

ნახ №2. ჩამოყალიბებული წესების ზოგადი სტრუქტურა

სადაც, $term_i$ – $X_1, X_2,\ldots,X_{12}$ და Y_d მახასიათებლების i ინტერვალია; Dos – i ინტერვალის შესაბამისი წესის წონაა;

წარმოდგენილი შემსვლელი ინფორმაციის დამუშავებისა (ფაზიფიკაცია) და საბოლოო შედეგის (დეფაზიფიკაცია) მისაღებად სხვადასხვა დატვირთვის კვანძის გათვალისწინებით შემუშავდა არამკაფიო მოდელირების პროცესის მიმდინარეობის ინტერაქტიული ზოგადი ბლოკ-სქემა (ნახ. № 3).



ნახ № 3. ელ.დანადგარის კომპლექსური ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ზოგადი მოდელი

სადაც, technical,…,datvirtva (პირველი ბლოკი) – i ფაქტორია; RB_i – i ფაქტორის Y_d რეიტინგზე გავლენის წესების მაჩვენებელი ბლოკია; Y_d – ელექტროდანადგარის მიმდინარე რეიტინგია.

საბოლოო შედეგის მიღება (დეფაზიფიკაცია) განხორციელდა მაქსიმუმის ცენტრის მეთოდის გამოყენებით (მინიმაქსის პრინციპი) [1,5,6], რომელსაც აქვს შემდეგი ზოგადი სახე:

$$Y_d = \frac{(X_1\mu_1 + X_2\mu_2 + \dots + X_n\mu_n)}{(\mu_1 + \mu_2 + \dots + \mu_n)} \quad (3)$$

სადაც, X_i - i ფაქტორია; μ_i - i ფაქტორის მნიშვნელობის დამაჯერებლობის ხარისხია (ალბათობა)

ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით ენერგოობიექტზე არსებული ყველა ელექტროდანადგარისათვის განხორციელდა ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და მიღებულია $Y_{d1},\dots, Y_{dn}$ შეფასებათა სიმრავლე.

ენერგოობიექტზე არსებული ელექტროდანადგარების პრევენციული რემონტებისათვის გამოყოფილი B_d შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში $Y_{d1},\dots, Y_{dn}$ შეფასებათა სიმრავლეების საფუძველზე ოპტიმალურად შეირჩევა ელექტროდანადგარების ის ერთობლიობა, რომელთაც გააჩნიათ დაბალი რეიტინგი (ცუდი მიმდინარე ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა).

ზემოაღნიშნული პრობლემა გამოისახება შემდეგი კრიტერიუმების სახით:

1. პრევენციულ რემონტში გასაყვანი ელ.მოწყობილობების რაოდენობის მაქსიმუმი;
2. პრევენციულ რემონტში გასაყვანი დაბალი რეიტინგის მქონე ელ.მოწყობილობების მაქსიმუმი;
3. პრევენციული რემონტისთვის გამოყოფილი თანხის გამოყენების მაქსიმუმი.

მატემატიკურად ოპტიმიზაციის [2,4] ფუნქცია, შეზღუდვებით გამოისახება შემდეგნაირად:

$$L - \max \quad (4)$$

შეზღუდვები:

$$D + R - Y_d = L \quad (5)$$

$$D1 + D2 + \dots + D_n = D \quad (6)$$

$$R1 * D1 + R2 * D2 + R3 * D3 + \dots + Rn * D_n = R \quad (7)$$

$$Y_{d1} * D1 + Y_{d2} * D2 + Y_{d3} * D3 + \dots + Y_{dn} * D_n = Y_d \quad (8)$$

$$R <= B_d \quad (9)$$

$$R = B_d \; D1, D2, D3, D4, \dots, D_n : 0, 1 \quad (10)$$

სადაც, Y_d – ელ.დანადგარების ჯამური რეიტინგია; R (B_d) – პრევენციული რემონტებისათვის გამოყოფილი ჯამური ბიუჯეტის თანხაა; D_i – 0 an 1 (0 ელ.დანადგარი არ ექვემდებარება პრევენციულ რემონტს, 1 ელ.დანადგარი ექვემდებარება პრევენციულ რემონტს); D - პრევენციულ რემონტში გასული ელ.დანადგარების ჯამური რაოდენობაა; Y_{di} – i ელ.დანადგარის მიმდინარე რეიტინგია.

ჩატარებული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე შემუშავებულია ელექტროენერგეტიკული სისტემის ენერგოობიექტზე არსებული ელ.დანადგარების/მოწყობილობების მიმდინარე ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ალგორითმი, რომელიც ასახულია ცხრილ 3-ში:

ელექტროენერგეტიკული სისტემის ენერგოობიექტზე არსებული ელ.დანადგარების/მოწყობილობების მიმდინარე ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ალგორითმი

ცხრილი №3

დასაწყისი
შესაფასებელი $I_1, I_2, \dots, I_n$ ელ.დანადგარების სიის ფორმირება
$I_1, I_2, \dots, I_n$ ელ.დანადგარების შეფასებათა სისტემის ფორმირება (მინიმალური და მაქსიმალური ზღვრები)
ექსპერტული შეფასების საფუძველზე $X_1,..,X_{12}$ მახასიათებლების Y_d რეიტინგზე გავლენის მატრიცის ფორმირება
Y_d რეიტინგის და $X_1, X_2, \dots, X_{12}$ ფაქტორების არამკაფიო სიმრავლეზე დაყვანა
$X_1, X_2, \dots, X_{12}$ ფაქტორების Y_d რეიტინგზე გავლენის მატრიცის n რაოდენობის ჩამოყალიბებული წესების ფორმირება
ელ.დანადგარის კომპლექსური ტექნიკური მდგომარეობის შეფასების მოდელის ფორმირება
შესაფასებელი $I_1, I_2, \dots, I_n$ ელექტროდანადგარისათვის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და $Y_{d1},\dots, Y_{dn}$ შეფასებათა სიმრავლის ფორმირება
პრევენციული რემონტებისათვის გამოყოფილი B_d შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში $Y_{d1},\dots, Y_{dn}$ შეფასებათა სიმრავლეების საფუძველზე ოპტიმიზაციის მიზნის ფუნქციის (კრიტერიუმების) და შესაბამისი შეზღუდვების ფორმირება
შემუშავებული (4) ოპტიმიზაციის ფუნქციის საფუძველზე პრევენციულ რემონტში გასაყვანი ელ.დანადგარების სიის ფორმირება
დასასრული

ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის პრაქტიკული აპრობაციის მიზნით განხილულია ერთ-ერთი ქვესადგურის მინაერთის უჯრედი, რომლის ცალხაზოვანი სქემა მოცემულია ნახ. №4-ზე.

ექსპერტული შეფასების საფუძველზე ნახ №4-ზე მოცემული ცალხაზოვანი სქემის ელემენ-ტების მონაცემები შეტანილია ცხრილ №4-ში.

ცხრილ №3-ში მოცემული ალგორითმის გამოყენებით, ცხრილ №4-ის მონაცემების საფუძველზე მიღებულ შედეგებს აქვთ ცხრილ №5-ში მოცემული სახე:



ნახ №4. ქვესადგურის ერთ-ერთი მინაერთის უჯრედის ცალხაზოვანი სქემა

ნახ №4-ზე მოცემული ცალხაზოვანი სქემის ელემენტების მონაცემებია

ცხრილი №4.

ელემენტი	დასახელება	X_1	X_2	X_3	X_4	X_5	X_6	X_7	X_8	X_9	X_{10}	X_{11}	X_{12}	ელ.დანადგარის პრევენციული ემონტის ხარჯი,ლარი	პრევენციული რემონტებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის მაქსიმალური თანხა, ლარი
Q_0	სალტე	3	3	1	3	2000	0.05	10	3	20	-	19	90	1000	10000
Q_2	გამთიშველი	2	2	1	3	3000	0.04	15	4	10	-	10	90	2000	
Q_3	შემომავალი სალტე	3	3	1	3	2000	0.025	10	3	20	-	19	90	1000	
Q_4	ამომრთველი	1	1	1	2	5000	0.03	25	5	10	-	12	90	4000	
Q_8	დენის ტრ-რი	1	1	1	2	2500	0.02	20	3	15	3	13	90	1500	
Q_9	გამთიშველი	2	2	1	3	3000	0.01	15	4	12	-	14	90	3000	

ელ.დანადგარების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები (რეიტინგი)

ცხრილი №5.

ელემენტი	დასახელება	რეიტინგი
Q_0	სალტე	2.0
Q_2	გამთიშველი	1.9667
Q_3	შემომავალი სალტე	1.9791
Q_4	ამომრთველი	2.1389
Q_8	დენის ტრ-რი	2.1666
Q_9	გამთიშველი	2.1963

პრევენციული რემონტებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის თანხის მაქსიმალური 10000 ლარის პირობებში ოპტიმიზაციის ფუნქცია მიიღებს შემდეგ სახეს:

$$L - \max \qquad (11)$$

შეზღუდვები:

$$D+R- Y_d - L = 0 \qquad (12)$$

$$1000* D_1 + 2000* D_2 +1000* D_3 +4000* D_4 +1500* *D_5+3000* D_6 = R \qquad (13)$$

$$2* D_1 + 1.9667* D_2 + 1.9791* D_3 + 2.1389* D_4 + +2.1666* D_5 +2.1963* D_6 = Y_d \qquad (14)$$

$$R<=10000 \qquad (15)$$

$$D_1,D_2,D_3,D_{4,\ldots,} Dn: 0, 1 \qquad (16)$$

ელექტროენერგეტიკულ სისტემაში t დროის მონაკვეთში მაგენერირებელი წყაროების რემონტების ოპტიმალური დაგეგმვის გადასაწყვეტად შემუშავებული მეთოდოლოგია ატარებს კომპლექსურ ხასიათს, მასში გათვალისწინებულია ოპტიმიზაციის შემდეგი კრიტერიუმები:

პრევენციული რემონტისთვის შერჩეული ელ.დანადგარები

ცხრილი №6.

ელემენტი	დასახელება	პრევენციული რემონტის ჩატარება
Q_0	სალტე	არა
Q_2	გამთიშველი	კი
Q_3	შემომავალი სალტე	კი
Q_4	ამომრთველი	კი
Q_8	დენის ტრ-რი	არა
Q_9	გამთიშველი	კი

1. ოპერატიული რეზერვის მაქსიმუმი (მგვტ-ში) $R \longrightarrow max$
2. ჰიდროელექტროსადგურების მიერ წყლის გამოყენების მაქსიმუმი (კუბურ მეტრში) $H \longrightarrow max$
3. რემონტში გასაყვანი გენერატორების ავარიული გამორთვების ალბათობის (კოეფიციენტის) მაქსიმუმი $O \longrightarrow max$

ზემოაღნიშნული 3 კრიტერიუმის მიხედვით შემუშავდა გენერატორების პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვის წლიური (კვირეების მიხედვით) გრაფიკის წრფივი ოპტიმიზაციის ფუნქცია და ალგორითმი, რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

$$X \longrightarrow max \qquad (17)$$

შეზღუდვები

$$X=R-H+O \qquad (18)$$

$$A_{11} + A_{12} + A_{13} + ... + A_{521} = 1$$
$$A_{21} + A_{22} + A_{23} + ... + A_{522} = 1$$
$$----------$$
$$A_{1n} + A_{2n} + A_{3n} + ... + A_{52n} = 1$$
$$G_{1dadg} * A_{11} + G_{2dadg} * A_{12} + ... + G_{ndadg} * A_{1n} = P_{1remont}$$
$$G_{1dadg} * A_{21} + G_{2dadg} * A_{22} + ... + G_{ndadg} * A_{2n} = P_{2remont}$$
$$----------$$
$$G_{1dadg} * A_{52n} + G_{2dadg} * A_{52n} + ... + G_{ndadg} * A_{52n} = P_{52remont}$$
$$R_1 = G_d - D_1 - P_{1remont}$$
$$R_2 = G_d - D_2 - P_{2remont}$$
$$----------$$
$$R_{52} = G_d - D_{52} - P_{52remont}$$
$$R = R_1 + R_2 + ... + R_{52}$$
$$H_1 = h_{11} * A_{11} + h_{12} * A_{12} + ... + h_{1n} * A_{1n}$$
$$H_2 = h_{21} * A_{21} + h_{22} * A_{22} + ... + h_{2n} * A_{2n}$$
$$----------$$
$$H_{52} = h_{521} * A_{521} + h_{522} * A_{522} + ... + h_{52n} * A_{52n}$$
$$H = H_1 + H_2 + ... + H_{52}$$
$$O_1 = o_{11} * A_{11} + o_{12} * A_{12} + ... + o_{1n} * A_{1n}$$
$$O_2 = o_{21} * A_{21} + o_{22} * A_{22} + ... + o_{2n} * A_{2n}$$
$$----------$$
$$O_{52} = o_{521} * A_{521} + o_{522} * A_{522} + ... + o_{52n} * A_{521n}$$
$$O = O_1 + O_2 + ... + O_{52}$$
$$A_{11}, A_{12}, ..., A_{1n} = 0 \text{ ან } 1$$
$$A_{21}, A_{22}, ..., A_{2n} = 0 \text{ ან } 1$$
$$R_1, R_2, ..., R_{52} \geq M_1, M_2, ..., M_{52}$$

19

19

სადაც, $A_{ij} - i$ კვირაა, j გენერატორის რემონტში გაყვანის მდგომარეობაა.

0 - აგრეგატი არ არის რემონტში, 1 აგრეგატი რემონტშია;

$R_i - i$ კვირის აქტიური სიმძლავრის რეზერვის სიდიდე, მგვტ-ში;

M_i – ელექტროენერგეტიკული სისტემისთვის i კვირის აქტიური სიმძლავრის რეზერვის საჭირო რაოდენობაა;

$G_{idadgm} - i$ გენერატორის დადგმული სიმძლავრეა, მგვტ-ში;

$D_i - i$ კვირის ელექტროენერგეტიკული სისტემის პიკური დატვირთვაა, მგვტ-ში;

$P_{iremont}$ – i კვირის რემონტში გასული გენერატორების ჯამური სიმძლავრეა, მგვტ-ში;

$h_{ij} - i$ კვირას j გენერატორის წყლის ჩამონადენია, კუბურ მეტრში;

H_i – i კვირას რემონტში გასული ჰესების მკვებავი მდინარეების ჯამური წყლის ჩამონადენია, კუბურ მეტრში;

o_{ij} – i კვირას j გენერატორის გამორთვის ალბათობაა;

O_i – i კვირას რემონტში გაყვანილი გენერატორების ავარიული გამორთვების ჯამური ალბათობებია (კოეფიციენტებია);

G_d – ელექტროენერგეტიკული სისტემის დადგმული სიმძლავრეა, მგვტ-ში;

ჩატარებული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე შემუშავებულია ელექტროენერგეტიკული სისტემაში პრევენციულ რემონტში გასაყვანი გენერატორების ოპტიმალური წლიური (კვირეების მიხედვით) გრაფიკის ფორმირების ალგორითმი, რომელიც ასახულია ცხრილ 7-ში:

ელექტროენერგეტიკული სისტემაში პრევენციულ რემონტში გასაყვანი გენერატორების ოპტიმალური წლიური (კვირეების მიხედვით) გრაფიკის ფორმირების ალგორითმი

ცხრილი №7.

დასაწყისი
რემონტში გასაყვანი $J_1,J_2,\ldots,J_n$ გენერატორების სიის ფორმირება
$J_1,J_2,\ldots,J_n$ გენერატორების და ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაცემების: G_{idadgm}, $o_{ij,}$ $G_{d,}$ $h_{ij,}$ D_i ფორმირება
ოპტიმიზაციის მიზნის ფუნქციის (კრიტერიუმების) და შესაბამისი შეზღუდვების ფორმირება
ოპტიმიზაციის ფუნქციის საფუძველზე $J_1,J_2,\ldots,J_n$ გენერატორების პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვის წლიური (კვირეების მიხედვით) გრაფიკის ფორმირება
ზემოაღნიშნული გრაფიკის საფუძველზე ელექტროენერგეტიკული სისტემის აქტიური სიმძლავრის ყოველკვირეული ოპერატიული რეზერვის ფორმირება
დასასრული

ცხრილ №7-ში წარმოდგენილი ალგორითმის და შემუშავებული მეთოდოლოგიის პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვა განხორციელებულია ერთ-ერთი ელექტროენერგეტიკული სისტემის მაგალითზე, რომელიც აერთიანებს 32 მაგენენირებელ წყაროს (გენერატორს). განხილული ელექტროენერგეტიკული სისტემის პირობებია: პრევენციულ რემონტში უნდა გავიდეს ყველა გენერატორი თითოეული 1 კვირის ხანგრძლივობით. აქტიური სიმძლავრის ყოველკვირეული რეზერვის უნდა იყოს ნოლზე მეტი. ანგარიშისათვის საწყისი მონაცემები მოცემულია ცხრილ №8, №9 და გრაფიკ №1-ზე.

ელექტროენერგეტიკული სისტემის გენერატორების ტექნიკური მონაცემები

ცხრილი №8.

გენერატორი	1 (ჰიდრო)	2 (ჰიდრო)	3 (ჰიდრო)	4 (ჰიდრო)	5 (ჰიდრო)	6 (ჰიდრო)	7 (ჰიდრო)	8 (ჰიდრო)
დადგმული სიმძლავრე, მგვტ	12	12	12	12	12	20	20	20
ავარიული გამორთვის ალბათობა	0,01	0,02	0,03	0,01	0,02	0,04	0,05	0,03
გენერატორი	9 (ჰიდრო)	10 (ჰიდრო)	11 (ჰიდრო)	12 (ჰიდრო)	13 (ჰიდრო)	14 (ჰიდრო)	15 (ჰიდრო)	16 (ჰიდრო)
დადგმული სიმძლავრე,მგვტ	20	76	76	76	76	100	100	100
ავარიული გამორთვის ალბათობა	0,02	0,02	0,01	0,02	0,01	0,01	0,03	0,02
გენერატორი	17 (ჰიდრო)	18 (ჰიდრო)	19 (ჰიდრო)	20 (ჰიდრო)	21 (ჰიდრო)	22 (ჰიდრო)	23 (ჰიდრო)	24 (ჰიდრო)
დადგმული სიმძლავრე,მგვტ	100	100	100	155	155	155	155	197
ავარიული გამორთვის ალბათობა	0,03	0,04	0,01	0,01	0,02	0,03	0,01	0,01
გენერატორი	25 (ჰიდრო)	26 (ჰიდრო)	27 (ჰიდრო)	28 (ჰიდრო)	29 (ჰიდრო)	30 (ჰიდრო)	31 (თბო)	32 (თბო)
დადგმული სიმძლავრე,მგვტ	197	197	197	197	197	350	400	400
ავარიული გამორთვის ალბათობა	0,01	0,02	0,01	0,02	0,03	0,03	0,05	0,05

ელექტროენერგეტიკული სისტემის პიკური დატვირთვის მაჩვენებლები კვირეების მიხედვით, მგვტ

ცხრილი №9.

კვირა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
დატვირთვა	2456,7	2565	2502,3	2376,9	2508	2396,85	2371,2	2297,1	2109	2100,45
კვირა	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
დატვირთვა	2037,75	2071,95	2006,4	2137,5	2054,85	2280	2148,9	2385,45	2479,5	2508
კვირა	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
დატვირთვა	2439,6	2311,35	2565	2527,95	2553,6	2453,85	2151,75	2325,6	2282,85	2508
კვირა	31	32	33	34	35	36	37	38	39	40
დატვირთვა	2057,7	2211,6	2280	2077,65	2069,1	2009,25	2223	1980,75	2063,4	2063,4
კვირა	41	42	43	44	45	46	47	48	49	50
დატვირთვა	2117,55	2120,4	2280	2510,85	2522,25	2590,65	2679	2536,5	2684,7	2764,5
კვირა	51	52	-	-	-	-	-	-	-	-
დატვირთვა	2850	2721,75	-	-	-	-	-	-	-	-



გრაფიკი №1. ჰიდროელექტროსადგურების საშუალო წყალმომარაგება (მკვებავი მდინარეების წყლის ჩამონადენი) კვირეების მიხედვით, კუბური მეტრი

(12), (13), (14) ოპტიმიზაცის ფუნქციასა და განტოლებათა სისტემაში საწყისი მონაცემების ჩასმის და შესაბამისად მისი ამოხსნით მივიღებთ ელექტროენერგეტიკულ სისტემაში მომუშავე გენერატორების რემონტების ოპტიმალურ გრაფიკს, რომლის შედეგებიც შეტანილია ცხრილ №10-ში.

გენერატორების რემონტების ოპტიმალური გრაფიკი კვირების მიხედვით

ცხრილი №10.

გენერატორი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
კვირა	21	43	24	33	44	36	28	6	52	15	19	27	21	36	1	10
გენერატორი	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32
კვირა	45	14	28	3	24	34	47	38	5	17	16	26	24	28	1	1

ჩატარებული კვლევების შედეგად, შემუშავებულია:

1. ელექტროენერგეტიკულ სისტემაში შემავალ ენერგოობიექტებზე არსებული მოწყობილობა-დანადგარების ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის კომპლექსური შეფასების მატემატიკური მოდელი და მის საფუძველზე ჩამოყალიბებულია ამ პრობლემის გადაწყვეტის მეთოდოლოგია და ალგორითმი.
2. პრევენციული რემონტებისთვის გამოყოფილი შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში რემონტში გასაყვანი ელექტოდანადგარების ოპტიმალური შერჩევის ოპტიმიზაციის ფუნქცია და ალგორითმი.
3. მაგენენირებელი წყაროების პრევენციული რემონტების წლიური (კვირეების მიხედვით) გრაფიკის ოპტიმალური დაგეგმვის ოპტიმიზაციის ფუნქცია და ალგორითმი.

ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პრევენციული რემონტების ზემოთ ჩამოყალიბებული მეთოდოლოგია ატარებს უნივერსალურ ხასიათს, მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი ენერგოკომპანიისთვის. აღნიშნული მეთოდიკის პრაქტიკაში დანერგვა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ელექტროსისტემის საიმედო ფუნქციონირებას, მომხარებელთა ელექტროენერგიით უწყვეტ ელექტრომომარაგებას და გააუმჯობესებს ორგანიზაციის ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

ლიტერატურა

1. დ.ჯაფარიძე, ზ.გაჩეჩილაძე, თ.მაღრაძე. საშუალოვადიან პერიოდში საქართველოს ელექტროენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ოპტიმალური საინვესტიციო პორტფელის შერჩევა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი "ენერგია". №3(59). 2011 წ. ივნისი. გვ: 11-19. http://www.energyonline.ge/energyonline/issue5/ge/ax-Japaridze.pdf
2. დ.ჯაფარიძე, თ.მაღრაძე. საქართველოში ელექტროენერგიის მოთხოვნის საშუალოვადიანი პროგნოზირება მრავალფაქტორული მოდელის გამოყენებით. სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა" №9. 2009 წ.
3. Резницкий Александр Исаакович. Разработка нового метода планирования ремонтов оборудования электростанций с учетом расходуемых ресурсов. Диссертация на соискание ученой степени канд. технические науки. 2007 год.
4. Amemiya. Advanced Econometrics. Harvard University Press. ISBN 0-674-00560-0. 1985 year.
5. Young Fang. Fuzzy portfolio optimization. Springer, Berlin. 2008 Year.
6. Cornelius T. Leondes. Fuzzy logic and expert system applications. Academic press. Los angeles. 1998 Year.
7. Maintenance Optimization for Power Distribution Systems. Doctoral thesis. Royal Institute of Technology Stockholm, Sweden, 2008 year. http://www.etk.ee.kth.se/personal/hilber/hilber_PhD_thesis.pdf
8. Keshav P. Dahal, Nopasit Chakpitak. Generator maintenance scheduling in power systems using
9. metaheuristic-based hybrid approaches. 2006 year. Journal "Electric power systems research". http://eastwest.inf.brad.ac.uk/document/publication/KeshavNopasit-EPSR.pdf
10. S. Baskar, P. Subbaraj, M.V.C. Rao, S. Tamilselvi, Genetic algorithms solution to generator maintenance scheduling with modified genetic operators, IEE Proceedings: Generation, Transmission and Distribution 150 (01) (2003) 56–66.
11. J. Yellen, T. M. Al-Khamis, S. Vemuri, and L. Lemonidis, "A decomposition approach to unit maintenance scheduling," IEEE Trans. Power Syst., vol. 7, no. 2, pp. 726–733, May 1992.
12. Marwali, M. and Shahidehpour, M., Maintenance Scheduling in Restructured Power Systems, Kluwer Academic Publishers, London. Page 14. 2000 year.

David Japaridze, full professor GTU
Tengiz Magradze, Phd GTU

OPTIMAL PLANNING OF PREVENTIVE MAINTENANCE IN POWER SYSTEM

SUMMARY

Based on world experience study the necessity of optimal planning of preventive maintenance in power system is proved. By using of fuzzy logic method it's developed mathematical model of comprehensive assessment of the technical-economical condition of electrical equipment and based on that it's formed methodology and algorithm of solving this problem. Optimization function and algorithm of electrical equipment selection for preventive maintenance in the conditions of limited budget allocated are made. Optimization function and algorithm are made for optimal maintenance scheduling of generators in power system. For the practical testing of above created new method for example it's examined power system and results are got.

ბიზნეს-ინჟინერინგი ქიმიასა და ფარმაციაში

ფარმაცევტული ბიზნესის ინოვაციური ასპექტები

მანანა მარიდაშვილი, სტუ-ს დოქტორანტი

საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში ფარმაცევტული კომპანიები ხმამაღალი და გააფთრებული კრიტიკის სამიზნეები არიან. ფარმაცევტულ კომპანიებს ადანაშაულებენ იმაში, რომ ისინი ფოკუსირებას აკეთებენ მედიკამენტებზე, რომლებიც სტრუქტურულად მცირედ განსხვავდებიან უკვე არსებულისაგან; ფარმაცევტული კომპანიები კლინიკური კვლევების ისეთ დიზაინს ქმნიან, რომ სამკურნალო საშუალებები უკეთესად გამოიყურებოდნენ, ვიდრე სინამდვილეში არიან. ინდუსტრიას ასევე ადანაშაულებენ ძვირ, აგრესიულ და დეზინფორმაციულ სამომხმარებლო სარეკლამო კომპანიების წარმოებაში, აგრეთვე ექიმების მოსყიდვაში. მართლაც, კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ საზოგადოება დიდწილად კარგავს ინდუსტრიის მიმართ ნდობას (The Economist, 2008 წლის მარტი, N 17).

მე-20 საუკუნეში შეიქმნა თანამედროვე მედიცინის ისტორიაში ყველაზე რევოლუციური ინოვაციები, როგორიცაა, მაგალითად პოლიომიელიტის ვაქცინა, რომელმაც 1950 წელს დაამარცხა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საშიში ეპიდემიური დაავადება. 1960 წელს კონტრაცეპტიული აბების წარდგენის შემდეგ წინასწარმეტყველებდნენ სამყაროს სექსუალურ რევოლუციას. უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ანტიბიოტიკების, დიაბეტისა და შიდსის სამკურნალო პრეპარატების, აგრეთვე ანტიდეპრესანტების გამოჩენა. მეცნიერების წინსვლამ შექმნა მრავალი ახალი სამკურნალო საშუალება, რომლებმაც მკვეთრად გააუმჯობესეს ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობა მთელს მსოფლიოში.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი მედიკამენტების რაოდენობა ყოველ წელს დრამატულად იზრდება, ფარმაცევტულ ინდუსტრიას მაინც აკრიტიკებენ ინოვაციების ნაკლებობის გამო. მაღალინოვაციური ახალი მედიკამენტები, რომლების ახალ აქტიურ ინგრედიენტებს შეიცავენ და საგრძნობ კლინიკურ გაუმჯობესებას იწვევენ, მცირეა (ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტის მოხსენება, NIHCM(National Institute for Health Care Management), 2006).

ფარმაცევტულ კომპანიებს ადანაშაულებენ ჯანდაცვის ხარჯების ხელოვნურად გაზრდაში. სამკურნალო საშუალებები ძალიან ძვირია, იმიტომ, რომ ფარმაცევტული კომპანიები თავისი მოგების დიდ ნაწილს დებენ მარკეტინგში, იმის ნაცვლად, რომ ეს სახსრები მიმართულ იქნას მეცნიერულ კვლევებზე. კრიტიკოსები ხშირად აღნიშნავენ ფარმაცევტული ინდუსტრიის მაღალი მოგების შესახებ, რაც ეკონომიკის საშუალო მოგებას ბევრად აღემატება (*Public Citizen. 2003)*.

ჩვენ განვიხილავთ თანამედროვე ფარმაცევტული ბაზრის მთავარი მახასიათებლებს, რომელთაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ ფარმაცევტული ფირმების ფუნქციონირებაზე. ესენია:1) ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენციის რამდენიმე ძირითადი პირობა, რაც მოიცავს ბაზრის განმარტებას, ფირმის ტიპებს და სამკურნალო საშუალებების ტიპებს .2)ჰაჩ-ვაქსმანის აქტი (Hatch-Waxman Act), რეგულაციების კომპლექსი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე გენერიკულ სისტემას ინდუსტრიაში 3) ინდუსტრიის მიმართ კრიტიკული შენიშვნები, მათი კონტრარგუმენტები.

ფარმაცევტული ინდუსტრია საზოგადოების საკეთილდღეოდ ორი მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება. პირველი, ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს გაუმჯობესება კონკურენტული ფასების შენარჩუნების მიზნით. მეორე, საზოგადოების საუკეთესო ინტერესია ის, რომ ინდუსტრიაში ტექნოლოგიების განვითარება ხდებოდეს სწრაფად. თუ გადავხედავთ ფარმაცევტული ინდუსტრიის ისტორიას ამ ორი მიზნის მიღწევა ხშირად კონფლიქტში შედის ერთმანეთთან (Craig and Malek, 1995; CBO, 2006).

ამ ბოლო პერიოდში, ინდუსტრია კრიტიკის ქარცეცხლში ხვდება. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ

ის სამწუხაროდ, არც ერთ ზემოთხსენებულ მიზანს არ ემსახურება (Relman and Angell, 2002). კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, საზოგადოებაში მუსირებს თვალსაზრისი, რომ ფარმაცევტული კომპანიები მოგების დიდ ნაწილს იღებენ მედიკამენტებზე არაადექვატურად მაღალი ფასების შენარჩუნებით. საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ფარმაცევტული ინდუსტრია ერთერთი ყველაზე მომგებიანია ინდუსტრიებს შორის. თუმცა ინდუსტრიაში ინოვაციების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ბაზარზე დომინირებს მცირედ სახეშეცვლილი წამლები (CBO, 2006, NIHCM, 2002). ამას გარდა, მიუხედავად იმისა, რომ ფარმაცევტული კომპანიების მიერ მეცნიერულ კვლევებზე დახარჯული სახსრების რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება, ფარმაცევტული კომპანიები ნაკლებად ინოვაციურები არიან სხვა მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრიებთან შედარებით (CBO, 2006).

გარდა ამისა, გაყიდვიდან მაღალი პროფილის კარდიოვასკულარული პრეპარატების ვაიოქსისა და ბექსტრას სკანდალურმა ამოღებამ, რაც მათი მძიმე გვერდითი მოვლენებით იყო გამოწვეული; რეკლამაზე დახარჯულმა დიდმა თანხებმა, მთავრობის შიგნით ლობისტების არსებობამ კიდევ უფო გაამყარა საზოგადოების სკეპტიციზმი (Public Citizen, 2001). ამ კრიტიკის საწინააღმდეგოდ, ფარმაცევტული ინდუსტრიის დამცველების მხრიდანაც არსებობს კონტრარგუმენტები. ახალი მედიკამენტების აღმოჩენა არის შრომატევადი, რთული და უძვირესი პროცესი. ამიტომ, ახალი სამკურნალო საშუალების შექმნის ბევრი პროექტი არის ძალიან სარისკო. ბაზარზე ექსკლუზიური უფლების ქონის რაიმე სქემის გარეშე, რაც საშუალებას მისცემს ფარმაცევტულ კომპანიას ამოიღოს ინვესტიციებში დახარჯული თანხა, ფირმებს არ ექნებათ სტიმული ინოვაციის შესაქმნელად. ამგვარად, ინდუსტრიის ფუნქციონერების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ინდუსტრიის ტექნოლოგიური კურსის გრძელვადიანი ხედვა (Scherer, 1970; Scherer, 2001; Grabowski, Vernon and DiMasi, 2001).ამას გარდა, ის ფაქტი, რომ ბაზარზე დომინირებს მცირედ სახეშეცვლილი-გაუმჯობესებული წამლები შეიძლება იმით აიხსნას, რომ იგი წარმოადგენს სოციალურ ღირებულებას, რადგან ამ წამლებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი სარგებელი შესთავაზონ მომხმარებელს (CBO, 2006). მაგალითად, უფრო მოხერხებულ დოზირებას შეუძლია მისცეს პაციენტებს სტიმული, რათა მიიღონ წამალი და ამით გააუმჯობესონ თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ფარმაცევტული ბაზრის განსაზღვრება და ტერმინოლოგია.

ფარმაცევტული კომპანიები ასრულებენ ბიზნეს საქმიანობას როგორც კვლევისა და განვითარების, ასევე მარკეტინგულ სფეროში, რაც მიზნად ისახავს პაციენტთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ტრადიციული გაგებით, მედიკამენტები არის ქიმიური ნივთიერებები. რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი ქიმიური ნივთიერება ჩვეულებრივ მკურნალობს სპეციფიკურ სიმპტომს ან დაავადებას. მაგრამ დღესდღეობით სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ბიოტექნოლოგიას, რომელიც იყენებს პროტეინებს დაავადების ძირითადი მექანიზმის სამკურნალოდ.

ინოვაციური (ბრენდული) და გენერიკული კომპანიები.

ფარმაცევტული კომპანიები იყოფა 2 ძირითად ჯგუფად. პირველ ჯგუფს შეადგენს ე.წ. ინოვაციური ანუ ორიგინალური ბრენდების მწარმოებელი კომპანიები. ეს ფირმები ატარებენ კვლევებს ახალი სამკურნალო საშუალებების აღმოსაჩენად ან უკვე არსებულის გასაუმჯობესებლად და გამოაქვთ ისინი ბაზარზე. ახლად აღმოჩენილი მედიკამენტი უნდა დარეგისტრირდეს, უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოებისა და ეფექტურობის მოთხოვნებს და უნდა მოიპოვოს ნებართვა. მაგალითად, აშშ-ში ამ ნებართვის გამცემი ორგანო არის ე.წ. ამერიკის საკვებისა და წამლის სააგენტო (Food and Drug Administration (FDA), ევროკავშირის ქვეყნებში - ევროპის წამლის სააგენტო (The European Medicines Agency (EMA), საქართველოში- წამლის სააგენტოდა ა.შ. ნებართვის აღების პროცესი ძალიან ძვირადღირებული და შრომატევადია. კომპანიების მეორე ჯგუფს შეადგენენ ე.წ. გენერიკული კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ უკვე არსებული წამლების ასლებს. მათთვის ნებართვის მიღება ბევრად უფრო იოლია.

მრავალწყაროიანი და ერთწყაროიანი წამლები.

ორიგინალ მედიკამენტებს ბრენდი მედიკამენტები ეწოდებათ. ბრენდი მედიკამენტებს პატენტი გაიცემა მათი ქიმიური ფორმულის ან წარმოების პროცესის საფუძველზე. დაპატენტებულ წამლებს შეიძლება გააჩნდეთ მსგავსი თერაპიული მოქმედების მექანიზმი, მაგრამ ჰქონდეთ განსხვავებული ქიმიური შემადგენლობა. გენერიკული კომპანიების მიერ წარმოებულ წამლებს, რომლებიც რეგისტრირდება როგორც ორიგინალის ასლები, გენერიკული ეწოდებათ.ბრენდ მედიკამენტებს, რომლებიც ჯერ კიდევ პატენტის დაცვის ქვეშ იმყოფებიან ერთი წყაროდან მიღებულ მედიკამენტებსაც უწოდებენ, ვინაიდან ამ მედიკამენტების წარმოების უფლება ეკუთვნის მხოლოდ ერთ ფირმას, რომელიც პატენტის მფლობელია. როცა პატენტის ვადა ამოიწურება, გენერიკული ვერსიების წარმოება ხდება შესაძლებელი და ასეთ წამლებს უკვე მრავალწყაროიან წამლებად მოიხსენიებენ.

ბრენდი მედიკამენტები, თავის მხრივ, იყოფა ახალი ქიმიური ფორმულის მქონემე დიკამენტებად, რომელთა აქტიური ნივთიერებაც სრულიად ახალია და ადრე არასოდეს ყოფილა წარმოდგენილი და მოდიფიცირებულ მედიკამენტებად, რომლებიც უკვე არსებული მედიკამენტების სახეცვლილების შედეგად არის მიღებული.

სუბ-ბაზრები. ფარმაცევტული ინდუსტრია მრავალი თერაპიული ბაზრისა და სუბ-ბაზრისაგან შედგება.

პრინციპულად ახალი (გარდატეხის მომხდენი) და მცირედ სახეშეცვლილი მედიკამენტები.

მედიკამენტების ბაზრის შიგნით ახალი სუბ-ბაზრების შექმნას განაპირობებს მოთხოვნა და ტექნოლოგიების განვითარება. სუბ-ბაზარზე გამოჩენილი პირველი სამკურნალო საშუალება არის ე.წ. გარდატეხის მომხდენი მედიკამენტი, რომელიც ტექნოლოგიური განვითარების შედეგია. იგი გამოირჩევა მნიშვნელოვანი თვისებებით, მაგალითად, როგორიცაა ამ ბაზარზე არსებულ წამლებთან შედარებით შემცირებული გვერდითი მოვლენები. მაგალითად, ანტიდეპრესანტების სუბ-ბაზარზე პირველი მედიკამენტი იყო პროზაკი და იგი გარდამტეხი წამალია. პროზაკის მოქმედება არის ბიოლოგიურად უფრო სპეციფიკური და ამის გამო, მას აქვს გაცილებით ნაკლები გვერდითი მოვლენები, ვიდრე მანამდე არსებულ ანტიდეპრესანტებს, მაგალითად, ტრიციკლიკს და მაოის (Currie and Park, 2002). პროზაკის თავბრუდამხვევი წარმატების შემდეგ, ბაზარზე გამოჩნდა კელექსი და ზოლოფტი. ამ ახალ მედიკამენტებს გააჩნდათ განსხვავებული ქიმიური შემადგენლობა, მაგრამ მსგავსი მოქმედი მექანიზმი. ასეთი ტიპის მედიკამენტებს მცირედ სახეშეცვლილი ეწოდება.

ბლოქბასტერი მედიკამენტები.

ფარმაცევტული იდუსტრიის შემოსავლის დიდი ნაწილი მოდის ე.წ. ბლოქბასტერ მედიკამენტებზე, რომლებსაც 1 მილიარდ დოლარზე მეტი შემოსავალი მოაქვთ. ბლოქბასტერ მედიკამენტები არიან, მარკეტინგის ენით რომ ვთქვათ, ე.წ. „მეწველი ძროხები“ და ფირმების შემოსავალი ძირითადად მათზეა დამოკიდებული (Craig and Malek, 1995).

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი ფარმაცევტულ ბაზარზე.

ტიპიური მედიკამენტი, როგორც პროდუქტი გადის სასიცოცხლო ციკლის შემდეგ ეტაპებს: წარდგენის, ზრდის, სიმწიფისა და დაცემის პერიოდებს. წარმატებული ფარმაცევტული პროდუქტი იღებს მოგებას და პატენტის ვადის გასვლის შედეგ გენერიკული კონკურენტები შემოდიან ბაზარზე. ფარმაცევტული პროდუქტი (სამკურნალო საშუალება) არის წამალი ან ფიზიოლოგიურად აქტიური, ბუნებრივი ან სინთეზური გზით მიღებული ნივთიერება ან მათი კომბინაცია, რომლებიც ნებადართულია სამედიცინო გამოყენებისათვის, მათ შორის, ფარმაცევტული პროდუქტის სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით ნებაყოფლობით რეგისტრირებული კომპლემენტარული სამკურნალო საშუალება, ბიოლოგიურად აქტიური დანამატი და პარასამკურნალო საშუალება (საქართველოს კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ, 1997წ).

ჰაჩ-ვაქსჰმანის აქტი.

1962 წლამდე ფარმაცევტული პროდუქტის ნებართვის გაცემა ხდებოდა მხოლოდ უსაფრთხოების საფუძველზე. 1956-1960 წლებში მოხდა ე.წ. თალოდომიდის ტრაგედია, როდესაც დაახლოებით 10 000 ბავშვი დაიბადა სიმახინჯეებით, იმიტომ, რომ მათი დედები ორსულობის დროს იღებდნენ ამ მედიკამენტს. ამ ფაქტმა ძირფესვიანად შეცვალა ამერიკის საკვებისა და წამლის სააგენტოს (FDA) ნებართვის გაცემის პროცესი. 1962 წლის შემდეგ ახალი ცვლილებები იქნა შეტანილი, რაც მოითხოვს არა მარტო უსაფრთხოების, არამედ ეფექტურობის მკაცრ რეგულაციასაც. ამის შედეგად, წამლის ნებართვის გაცემის პროცესი ინოვაციური ფირმებისათვის გახდა ხანგრძლივი და ძვირად ღირებული. იყო საშიშროება, რომ ეს პროცესი ხელს შეუშლიდა სამეცნიერო კვლევების პროდუქტიულობას, რაც თავის მხრივ, შეიძლება მიზეზი გამხდარიყო ახალი სიცოცხლის გადამრჩენელი მედიკამენტების წარმოდგენის დაყოვნების (Wardell, 1975).

ამავე დროს, ინდუსტრიაში იყო სხვა პრობლემაც. გენერიკულ კომპანიებსაც უნდა გაევლოთ იგივე პროცედურები ნებართვის ასაღებად, რაც ინოვაციურ(ორიგინალი ბრენდების მწარმოებელ) კომპანიებს. ეს იმას ნიშნავდა, რომ გენერიკულ კომპანიებსაც მოეთხოვებოდათ კლინიკური კვლევების ჩატარება ნებართვის მისაღებად, რაც თავის მხრივ ამცირებდ ამედიკამენტების გენერიკული ვერსიების წარდგენის მოტივაციას. 1962-1984 წლების განმავლობაში 150 მედიკამენტს გაუვიდა პატენტის ვადა, მაგრამ მათი გენერიკული ალტერნატივები ბაზარზე არ გამოსულა (Mossinghoff, 1999).

ზემოთხსენებულმა მოვლენებმა გზა გაუხსნა ახალი კანონმდებლობის ჩამოყალიბებას, რომლითაც დაიწყო ახალი ერა ფარმაცევტულ ინდუსტრიაში. 1985 წელს აშშ კონგრესმა მიიღო მედიკამენტების ფასების, კონკურენტუნერიანობისა და პატენტის ხანგრძლივობის აღდგენის ანუ ე. წ. ჰაჩ-ვაქსჰმანის აქტი. ამ აქტის მიზანი იყო რეცეპტურული წამ-

ლების დაბალი ფასების ბალანსის შენარჩუნება და ამავე დროს ინოვაციური კომპანიების სტიმულირება ინოვაციური კვლევების სფეროში. ამ აქტის მიხედვით გენერიკულ კომპანიებს არ მოეთხოვებათ იმ კლინიკური კვლევების გამეორება, რომლებიც უკვე ჩაატარეს ინოვაციურმა კომპანიებმა.

იმის სანაცვლოდ, რომ გენერიკულ კომპანიებს შეუძლიათ გადმოიღონ ინოვაციური კომპანიების აღმოჩენები, აქტი შეიცავს კანონმდებლობის გადახედვას, რომლებიც სტიმულს აძლევენ ინოვაციურ კომპანიებს. ეს სტიმულებია განსაზღვრული ფარმაცევტული პროდუქტების გაყიდვის ორი მთავარი უფლება:1)პატენტის მოქმედების ხანგრძლივობა 2) მარკეტინგული ექსკლუზიურობა. მარკეტინგული ექსკლუზიურობა არის განსაზღვრული მედიკამენტის ექსკლუზიური გაყიდვის უფლების ფორმა, რაც წამლის სააგენტოს მიერ გაიცემა. ის უკრძალავს სააგენტოს მისცეს უფლებამოსილება რომელიმე სხვა ფირმას აწარმოოს იგივე აქტიური ნივთიერების შემცველი პროდუქტი დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. პატენტები და ბაზრის ექსკლუზიური უფლება ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ორივე სთავაზობს ბაზარს დაცვას განსაზღვრული პროდუქტებისათვის. თუმცა, ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, დროის სხვადასხვა პერიოდში მოქმედებენ, შეიძლება მოხდეს მათი გადაფარვაც ანუ ერთდროული მოქმედება. აშშ-ში პატენტებს გასცემს შეერთებული შტატების პატენტის სააგენტო (USPTO), ხოლო ბაზრის ექსკლუზიური უფლებას - საკვებისა და წამლის სააგენტო (FDA).

პატენტები.

1994 წლამდე აშშ-ში პატენტის მოქმედების ვადა გრძელდებოდა 17 წელი პატენტის დამტკიცების შემდეგ. მოეწერა რა ხელი ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ძირითად შეთანხმებას 1994 წელს პატენტის მოქმედების ხანგრძლივობა 20 წლამდე გაიზარდა მთელს მსოფლიოში. ეს ვადა ითვლება პატენტის ნებართვის მიღების დღიდან.

ხშირად პატენტები გაიცემა მედიკამენტის ნებართვის გაცემამდე. ამის გამო, პატენტის ეფექტური პერიოდი მცირდება, ვინაიდან ზოგჯერ წამლის სააგენტოს ნებართვა მედიკამენტის წარმოებაზე იგვიანებს. ამ დროის კომპენსირების მიზნით, აპლიკანტებს უფლება ეძლევათ, რომ შეიტანონ განაცხადი პატენტის მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნით. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენ ხანს გრძელდება წამლის გამოშვების ნებართვის პროცესის მიღება, აპლიკანტებს უფლება აქვთ, მოითხოვონ პატენტის გაგრძელება მაქსიმუმ 5 წლამდე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, პატენტის გაცემის დროიდან 14 წელზე მეტი არ უნდა იყოს გასული. საკვებისა დაწამლის სააგენტო მოითხოვს ყველა ინფორმაციას პატენტის შესახებ. ამ ინფორმაციას სააგენტო აქვეყნებს წიგნში, რომელსაც ეწოდება „ნებადართული ფარმაცევტული პროდუქტები თავისი თერაპიული ექვივალენტებით“, რომელიც ფართოდაა ცნობილი ე.წ. "ნარინჯისფერ წიგნის" სახელწოდებით. წიგნი მოიცავს ფარმაცევტულ პროდუქტებზე სხვადასხვა ფორმის პატენტებს, როგორიცაა პატენტი აქტიურ ნივთიერებაზე, ქიმიურ ფორმულაზე, წამლის გამოყენების მეთოდზე. ნარინჯისფერ წიგნში ჩამოთვლილი პატენტები მეტად მნიშვნელოვანია იმ გენერიკული კომპანიებისათვის, ვინც ცდილობს ნებართვის მიღებას გენერიკული მედიკამენტების წარმოებისათვის. მათ შეუძლიათ მიუთითონ, რომ გენერიკულ ვერსიებს იგივე მახასიათებლები აქვთ, რაც ორიგინალ ბრენდებს. შედეგად, გენერიკული პროდუქტების მწარმოებლები აღარ არიან ვალდებულები, რომ წარმოადგინონ კლინიკური კვლევის შედეგები, რათა დაამტკიცონ გენერიკების უსაფრთხოება და ეფექტურობა, რაც მნიშვნელოვანი ფულადი თანხების ეკონომიის საშუალებას იძლევა. ამას გარდა, აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ პატენტის სერტიფიკატი, რომელიც არსებობს ოთხი ტიპის: 1)პატენტი ძალაში არ შესულა 2)პატენტის მოქმედების ვადა გასულია: 3)პატენტის მოქმედების ვადა არ გასულა, მაგრამ იწურება გარკვეულ დროს და ნებართვის მიღებასაც ამ თარიღისათვის ითხოვენ; 4) პატენტი ძალადაკარგულია.

მარკეტინგული ექსკლუზიურობა.

მარკეტინგული ექსკლუზიურობა არის ფარმაცევტული ფირმების მეორე ექსკლუზიური უფლება, რომელიც იცავს ბაზარზე ინოვაციურ კომპანიებს ახალი კონკურენტებისაგან. მარკეტინგული ექსკლუზიურობა შეიძლება მიიღონ როგორც ორიგინალი ბრენდების, ასევე გენერიკული მედიკამენტების მწარმოებლებმა. არსებობს მარკეტინგული ექსკლუზიურობის სხვადასხვა ტიპები, ხოლო მათი მოქმედების ვადა გრძელდება 6 თვიდან 7 წლამდე.

კლინიკური კვლევების ექსკლუზიურობა ენიჭებათ იმ მედიკამენტების მწარმოებლებს, რომლებიც დამატებით კლინიკურ კვლევებს ატარებენ უკვე არსებული წამლების შესაცვლელად, ეს ცვლილება შეიძლება შეეხოს წამლის დოზირებას, ფორმას, ჩვენებებს, ან რეცეპტურული წამლიდან არარეცეპტურულ, ე.წ. OTC -ის(over-the-counter) ჯგუფში გადასვლას.

პედიატრიული ექსკლუზიურობა არის 6-თვიანი პერიოდი, რომელიც ენიჭებათ მწარმოებლებს, რომ-

ლებიც ატარებენ კვლევებს ბავშვთა შორის. ეს ექსკლუზიურობა ემატება იმის შემდეგ, რაც პატენტისა და აგრეთვე ბაზრის ექსკლუზიურობის ყველა სხვა პერიოდი ამოიწურება.

7 წლიანი ე.წ. იშვიათიექსკლუზიურობის უფლება ენიჭება იმ ორიგინალ ბრენდებს (წამლებს), რომლებიც გამოიყენება იშვიათი დაავადებების სამკურნალოდ.

საბოლოო ექსკლუზიურობა ენიჭება მხოლოდ გენერიკულ მწარმოებლებს. გენერიკული 180 დღიანი ექსკლუზიურობა ენიჭება გენერიკულ კომპანიას, რომელიც პირველი აწარმოებს ორიგინალი ბრენდის გენერიკულ ვერსიას.

ფარმაცევტული ინდუსტრიის მიმართ კრიტიკა.

ფარმაცევტული ინდუსტრიის მიმართ კრიტიკა შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

1. რესურსების გადანაწილება არაოპტმალურია სოციალური თვალსაზრისით,
2. ინოვაციების ტემპი დაბალია
3. კომპანიების მიერ მიღებული მოგება კვლავ ძალიან მაღალია

რესურსების არაოპტმალური გადანაწილება.

რელამანი და ანგელი (Relman and Angell (2002)) ამტკიცებენ, რომ ის ძირითადი კვლევები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს სამკურნალო საშუალებების განვითარებაში, დაფინანსებულ იქნა საზოგადოებრივი ხარჯებით. ისინი ფიქრობენ, რომ სამედიცინო სამყაროს განვითარებაში წამყვანია საზოგადოებრივი და არა ინდუსტრიის მიერ გაწეული ხარჯები.

ფარმაცევტულ კომპანიებს ბრალს სდებენ იმაში, რომ ისინი თავიანთი რესურსების დიდი ნაწილს ხარჯავენ არა სამეცნიერო აღმოჩენებში, არამედ უკვე არსებული მედიკამენტების სხვადასხვა ვარიანტების განვითარებასა და მარკეტინგულ აქტივობებში. Public citizen (2011) გვიმტკიცებს, რომ ფარმაცევტული ფირმები თავიანთი შემოსავლის დიდ ნაწილს ხარჯავენ მარკეტინგზე. რაც კვლევების ხარჯებს ბევრად აღემატება. გრაფიკი 1 გვიჩვენებს, რომ 2010 წელს მარკეტინგზე გაწეული ხარჯები აშშ ფარმაცევტული კომპანიების მთლიანი შემოსავლის 35%-ია, იმ დროს როდესაც სამეცნიერო კვლევებზე შემოსავლის მხოლოდ 14%-ია დახარჯული.

ინოვაციების ტემპი დაბალია

ჯანდაცვის მენეჯმენტის ეროვნული ინსტიტუტის კვლევა (2002) გვიჩვენებს,რომ ფარმაცევტული ინდუსტრია მოგების დიდ ნაწილს იღებს ნაკლებად ინოვაციური მედიკამენტების

გრაფიკი 1

აშშ ფარმაცევტული ფირმების მიერ 2010 წელს მარკეტინგზე და სამეცნიერო კვლევებზე გაწეული ხარჯები



wyaro: PublicCitizen (2011)

განვითარებით (NIHCM, 2002). მაგალითად, 1989 და 2002 წლებში წამლის სააგენტოს მიერ გაცემულ ნებართვათა 62% მოდის მცირედ მოდიფიცირებულ მედიკამენტებზე,მაშინ როდესაც გარდატეხის შემტანი მედიკამენტების წილი მხოლოდ 3 %-ია.გრაფიკი 2 გვიჩვენებს, რომ პრიორიტეტული მედიკამენტების რაოდენობა დაახლოებით 3-ჯერ მცირეა სტანდარტულ წამლებთან შედარებით.

ამას გარდა, ფირმები სულ უფრო და უფრო მეტად არიან დამოკიდებული ე.წ. ბლოქ-ბასტერებისა და მათი სხვადასხვა ვერსიების გაყიდვაზე. ჯანდაცვის ანგარიშის მიხედვით მსოფლიოს 5 უდიდესი ფარმაცევტული კომპანიის წამლის გაყიდვების 48%-დან 80%-მდე მიდის ბლოკბასტერ წამლებზე (NIHCM, 2002). მიაღწევენ რა ეს წამლები პატენტის ამოწურვის ზღვარს, კომპანიები დამატებითი ნიშან-თვისებების მიხედვით იღებენ ახალ პატენტებს და 3 წლით მაინც იხანგრძლივებენ საბაზრო ექსკლუზიურობას.

3)კომპანიების მიერ მიღებული მოგება კვლავ ძალიან მაღალია

ის ფაქტი, რომ ფარმაცევტული ფირმები ახალი ქიმიური ფორმულის მქონე მედიკამენტებს ბევრს არ აწარმოებენ, იმითაც აიხსნება, რომ ისინი დაკავებული არიან უკვე არსებული პროდუქციის

გრაფიკი 2

აშშ საკვებისა წამლის სააგენტოს (FDA) მიერ ნებადართული მედიკამენტების თერაპიული ტიპები



წყარო: PublicCitizen (2011)

ხაზის განვრცობით (ღელმან ანდ ნგელლ, 2002). ეს მარადმწვანე პრაქტიკა იზიდავს ბაზრის ახალ სეგმენტებს და უზრუნველყოფს რეცეპტორული წამლების მაღალ და ხშირად ზრდად ფასებსაც. მედიცინაში ინვესტიცია ჩადებულია ისეთ აქტიურ ნივთიერებაში, რომლის უსაფრთხოება და ეფექტურობა უკვე დამტკიცებულია, გაცილებით იაფი და ნაკლებად რისკიანია, ვიდრე ინვესტიცია ისეთ აქტიურ ნივთიერებაში, რომელის შესახებაც მცირე რამ არის ცნობილი. იაფი ინვესტიციისა და მაღალი ფასების კომბინაცია ამ სტრატეგიას მეტად მომხიბლავად აქცევს და მას ხშირად მიმართავენ. ამას გარდა, აღსანიშნავია კრიტიკა ჰაჩ-ვაქსმანის აქტის მიმართ, რომელშიც როგორც ამბობენ, ბევრი შავი ხვრელებია, რაც მისი ბოროტად გამოყენების საშუალებას იძლევა. წამყვანი ფარმაცევტული კომპანიები ხშირად იყენებენ კანონიერ სტრატეგიებს, რათა არ შეუშვან გენერიკული კონკურენტები ბაზარზე. როგორც ჩანს, ფარმაცევტული ფირმების სტრატეგიები საკმაოდ კარგად მუშაობს, ვინაიდან ითვლება, რომ ფარმაცევტული ინდუსტრია ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანია მთელს მსოფლიოში, მათ შორის ამერიკასა და საქართველოშიც.

გრაფიკი 3 გვიჩვენებს, რომ ფარმაცევტული ფირმების მოგების საშუალო მაჩვენებელი სხვა ინდუსტრიების მოგების საშუალო მაჩვენებელზე მაღალია.

თუ მეორე მხარესაც მოვუსმენთ, მათ გააჩნიათ რამდენიმე არგუმენტი ზემოთხსენებული კრიტიკის მიმართ. ქვემოთ ჩვენ მოვიყვანთ, ჩვენი აზრით, მათგან ყველაზე მნიშვნელოვან კონტრარგუმენტებს.

გრაფიკი 3

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი 500 ფარმაცევტული კომპანიისა და მსოფლიოს ყველაზე მდიდარი 500 კომპანიისა რენტაბელობის მაჩვენებლები

(1970-2002)



ინფორმაციის წყარო: PublicCitizen (2006)

პროდუქტიულობის გაზვიადება

ფარმაცევტული კომპანიის მესვეურები აცხადებენ, რომ კვლევაზე დახარჯული თანხის მაჩვენებლები შეიძლება არასწორად იყოს ინტერპრეტირებული, რადგან კვლევის დაწყებასა და მედიკამენტის დამტკიცებას შორის პერიოდი დაახლოებით 12 წელია.

ხარისხის გაზომვა ძნელია, ყველა სამკურნალო საშუალება ერთნაირი არ არის

მეორე კონტრარგუმენტი დაკავშირებულია ინოვაციების შესრულების ჩვეულ შეფასებასთან. ეს სტანდარტული პროცედურა შეიცავს მიკერძოების პოტენციალს, იმიტომ რომ ის უგულველყოფს თითოეული მედიკამენტის, როგორც პროდუქტის უნიკალურობას.

უკვე არსებულის მსგავსი მედიკამენტებით მიღებული სარგებელი

მესამე არგუმენტი ეხება უკვე არსებულის მსგავსი მედიკამენტების რაოდენობის მკვეთრ ზრდას. მიუხედავად კრიტიკის ქარცეცხლისა, სამკურნალო საშუალებების ეს ტიპი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ავადმყოფთა მდგომარეობას იმის გამო, რომ მას გააჩნია ნაკლები გვერდითი მოვლენები, არის მისაღებად უფრო მოხერხებული და დამატებით სხვა პათოლოგიასაც მკურნალობს. ამის გარდა, გაცილებით უფრო იაფია მის წინამორბედებთან შედარებით.

მოგების მაღალი მარჯა ახალი აღმოჩენების სტიმულია

პატენტით მინიჭებული დაცვა ფარმაცევტულ ფირმებს აძლევს საშუალებას, რათა დააწესონ საკუთარი ფასები, რომლებიც, როგორც წესი, კონკურენტულ ფასებზე მაღალია, რაც თავის მხრივ მაღალ მოგების მიღებას განაპირობებს. თუმცა, პატენტის მარეგულირებელი თანამედროვე

კანონმდებლობა ხშირად ხდება კრიტიკის მსხვერპლი იმ ბრალდებით, რომ ის ინოვაციების განვითარებას აფერხებს (Relman and Angell, 2002; NIHCM, 2002; Public Citizen, 2001) ეკონომისტები მაინც უფრო თავშეკავებულად მსჯელობენ ამ საკითხზე. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ გამოგონებებისა და ინოვაციების რაოდენობა და სისწრაფე ფარმაცევტულ ინდუსტრიაში ყველა სხვა ინდუსტრიასთან შედარებით მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პატენტით მინიჭებულ დაცვაზე (Mansfield, 1986). ასე, რომ მაღალი მოგება ინდუსტრიაში გვევლინება ინოვაციების მასტიმულირებლად (Waldman and Jensen, 2001).

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ, 1997წ.
2. Craig and Malek, 1995.Managing innovationin a globalized economy.
3. Bahrain, pp 287 -294
4. Waldman and Jensen, 2001Lifecycleof a blockbusterdrug;MolInterv., 2, 6-11
5. Relman and Angell, 2002.Overhauling the new product process. Industrial Marketing Management, 25
6. Mossinghoff, 1999 Leadusers: A Source of novel product concepts, Management Science 32,
7. Pp 691-802.
8. Currie and Park, 2002.The price of innovation: HealthEcon., 22, pp150-187.
9. Mansfield, 1986.Estimating the cost of new drug development: is it really $802 million? HealthAffairs, 25, pp429-436
10. Scherer, 1970; Scherer, 2001; Grabowski, Vernon and DiMasi, 2001
11. Wardell, 1975.
12. CBO, 2006.
13. NIHCM, 2002.
14. The Economist, March 17th 2005
15. Public Citizen, 2001
16. *Public Citizen. 2003.*
17. PublicCitizen, 2011.
18. http://www.curatiofoundation.org/?pg=29&cid=31&id=196
19. http://www.esmt.org
20. http://www.oecd-ilibrary.org/sites/health_glance-2009-en/07/05/index.html?contentType=&itemId=/content/chapter/health_glance-2009-71

SUMMARY

This article discusses some important innovation factors of pharmaceutical business that have influenced on environment, where pharmaceutical business operates. In the beginning, it is explained some conditions of competition. Pharmaceutical market consists of many sub-markets. They often drive technological advances. The article is mainly about traditional, not about so called biotechnological drugs. In addition, it is explained, that all pharmaceutical companies can divided into two main groups: innovation (brand name) and generic firms. Innovation firms are concentrated on research and development and new drugs introduction. Generic companies produce the copies of already existing medicines. Also are defined various types of pharmaceutical products, as breakthrough, me-too (similar to existing), generic and blockbuster drugs. It is shown, that pharmaceutical product undergoes all stage of product life cycle.

Another factor is Hatch-Waxman Act. The act was introduced concerning to growing health care expenditures and aims to help generic medicines to enter the market. Simultaneously, this act tries to maintain incentives for innovation firms; such incentives are patents and market exclusivity. The act aims to balance decreasing drug prices and the same time to give incentives to research and development activities.

This article also discusses growing criticism towards the pharmaceutical business. The objects of critics' are slow rate of innovations, despite of profitability and growing expenditure on research and development. Another side has counterarguments. They argue that only a few industries rely on patent protections. Patent depended nature of technologies requires incentives in form of high profitability. Counterarguments also discuss, that modern system of innovation assessment often show the wrong picture of innovations. Also the roles of me-too (similar to existing) and generic drugs are not evaluated properly.

გლობალური გამოწვევები და სოციალური პროგრესი

ბიზნეს-გარემო და გლობალური კონკურენტუნარიანობა

ბელა გოდერძიშვილი, სტუ-ს ეკონომიკის დოქტორი

იმის მიუხედავად, რომ საკითხი ქვეყნის კონკურენტუნარიანობასა და ბიზნეს-გარემოს კავშირს ეხება, თავიდანვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ერთიც და მეორეც მიკროდონიდან იწყება. ანუ ჯერ გვაქვს მიკროდონის ბიზნეს-გარემო და მიკროდონის(კომპანიის პროდუქციის) კონკურენტუნარიანობა და შემდეგ გვაქვს მაკროდონის ბიზნეს-გარემო და ქვეყნის კონკურენტუნარიანობა.

ამდენად, არ შევცდებით თუ ბიზნეს-გარემოს დახასიათებას დავიწყებთ მიკროდონიდან, ანუ კომპანიიდან (მით უმეტეს, რომ ბიზნეს-პროცესი სწორედ უშუალოდ კომპანიებში მიმდინარეობს) და მხოლოდ შემდეგ გადავალთ მაკროდონის ანუ ქვეყნის ბიზნეს-გარემოზე და ვისაუბრებთ მის კავშირზე კონკურენტუნარიანობასთან.

ყოველი ბიზნეს-ერთეული (კომპანია) ფუნქციონირებს გარკვეულ გარემოში, რომლის ელემენტები გავლენას ახდენენ მის მუშაობაზე. ამ ელემენტებს ფაქტორები ეწოდებათ. ფირმას არ შეუძლია ამ ფაქტორების თავიდან აცილება. ამიტომ მან თავისი საქმიანობა ამ ფაქტორების გათვალისწინებით უნდა ააწყოს.

ბიზნესის გარემო არის ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ერთობლიობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის მიმართულებებზე, მის ტემპებსა და მასშტაბებზე, როგორც გარე, ისე შიდა მოქმედების გზით. ბიზნესის გარემოს ფაქტორებს ყოფენ შიდა და გარე ფაქტორებად. შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება ისეთი ფაქტორები, რომლებიც ექვემდებარებიან მართვას. მათ რიცხვშია: ბიზნეს-ერთეულის საერთო და კონკრეტული მიზნები, ბიზნეს-ერთეულის სტრუქტურა, რესურსები(მუშახელი, მოწყობილობა, ტექნოლოგია და სხვა). გარე ფაქტორები არ ემორჩილებიან ე.წ. შიდა წესრიგს. მათ მიეკუთვნება: მომწოდებლები, მომხმარებლები, კონკურენტები, იურიდიული კანონები, პოლიტიკური ვითარება და სხვა.

ბიზნეს-ერთეულის შიდა გარემოს სტრუქტურაზე მრავალი მოსაზრება არსებობს. ზ. რუმიანცევას და ვ. ალიოშინკოვას აზრით ორგანიზაციის შიდა გარემო არის მისი სტრუქტურა, კულტურა და რესურსები. მ.მესკონი, მ. ალბერტი და ფ. ხედოური ორგანიზაციის შიდა გარემოდ მიიჩნევენ მის მიზნებს, სტრუქტურას, ამოცანებს, ტექნოლოგიას და ადამიანებს.

ბიზნეს-ერთეულის მიზნები. ჰიუგო ამბობდა: „მთავარია სწორად გადადგა პირველი ნაბიჯი, რადგან შემდეგი ნაბიჯები მასზეა დამოკიდებული“. აქედან გამომდინარე კეთდება დასკვნა, რომ ფირმამ თავისი მიზნები კარგად უნდა მოიფიქროს, რადგან მისგან გამომდინარე ამოცანები საქმის წარმატების 50%-ს განაპირობებს.

ბიზნეს-ერთეულის საქმიანობის ძირითადი მიზანი მოგების მიღებაა, მაგრამ მის მისაღებად მან უნდა აწარმოოს პროდუქცია, ან გასწიოს მომსახურება. ამასთან, ორივე უნდა იყოს ისეთი, რომელიც სჭირდება მომხმარებელს. აქედან გამომდინარე, ფირმის მენეჯმენტმა უნდა გადაწყვიტოს 3 ამოცანა: დაიკავოს ბაზრის სეგმენტი, მოახდინოს დანახარჯების შემცირება და მიიღოს მოგება.

მოგებაზე ბიზნეს-ერთეულის ორიენტაციის სამ ძირითად ტიპს გამოყოფენ:

1. მოგების მაქსიმიზაცია;
2. „საკმარისი“ მოგების მიღება;
3. მოგების „მინიმიზაცია“.

მოგების მაქსიმიზაციაზე ორიენტაცია ნიშნავს იმას, რომ ბიზნეს-ერთეული ზრუნავს ყოველი გარიგებიდან მაქსიმალური მოგების მიღებას. სოციალური შედეგების თვალსაზრისით, ეს მიზანი არ არის გამართლებული და გრძელვადიან საქმიანობაში იგი ნაკლებად გამოიყენება.

„საკმარის“ მოგებაზე ორიენტაცია, ისეთი სტარატეგიული მიზანია, როდესაც მოგების დაგეგმვაში რისკის ხარისხი არის გათვალისწინებული. ასეთ

შემთხვევაში ბიზნეს-ერთეული კმაყოფილდება იმ მოგების სიდიდით, რომელსაც იგი ამავე კაპიტალის ხარჯვით მიიღებდა სხვა დარგში.

მოგების „მინიმიზაცია" არის ბიზნეს-ერთეულის ისეთი ორიენტაცია, როდესაც მისი მენეჯმენტის ორიენტირი არის არა მაქსიმალური მოგების მიღება, არამედ სარისკო სიტუაციების თავიდან აცილება. თითოეულმა ოპერაციამ ბიზნეს-ერთეულს იმდენი მოგება უნდა მისცეს, რომ მისი საშუალებით შეიძლებოდეს მომავლის რისკის თავიდან აცილება. ასეთ დროს ბიზნეს-ერთეული ორიენტაციას იღებს მხოლოდ მოსალოდნელი შემოსავლის მინიმუმის მაქსიმუმზე და მასთან ახდენს შესაძლებელ დანაკარგთა დაზღვევას. მაშასადამე, დანაკარგების მინიმიზაცია არის ასეთი ბიზნეს-ერთეული საქმინობის ორიენტირი.

ბიზნეს-ერთეულის სტრუქტურა. ბიზნეს-ერთეულის სტრუქტურა არის მისი კონსტრუქცია. იგი მოიცავს ძალაუფლების არხებს და კომუნიკაციის საშუალებებს ბიზნეს-ერთეულის სხვადასხვა ადმინსტრაციულ სამსახურებს შორის. ორგანიზაციული სტრუქტურის მთავარი მიზანი არის კონტროლი და კოორდინაცია.

ბიზნეს-ერთეულის ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებაში პირველი ნაბიჯი არის მენეჯმენტის იერარქიის გამოკვეთა, რომლის ჩარჩოებში ბიზნეს-ერთეულის ყველა წევრს ეძლევა თავისი ავტორირიტეტის და სტატუსის შესაბამისი ადგილი. იერარქიის ქვედა (პირველ) რგოლში ხვდებიან ადამიანები, რომლებიც უშუალოდ დაკავებული არიან საქმით (წარმოება, მომსახურება). მათ მენეჯმენტის გარეშე მოსამსახურეები ეწოდებათ. მათ რიცხვშია მუშები(ფაბრიკაში, ქარხანაში), აგენტები, დისტრიბუტორები (სავაჭრო ქსელში) და სხვა. მათი მართვა ხდება საამქროს უფროსების და სხადასხვა ჩინოვნიკების მიერ[1].

მეტი ძალაუფლებაა თავმოყრილი საშუალო რგოლის მენეჯერების ხელში. პირველი რგოლისაგან განსხვავებით ამ დონის მენეჯერები აკონტროლებენ სხვა მენეჯერებსაც. ამასთან ისინი მონაწილეობას იღებენ თავის დაქვემდებარებაში მყოფ ქვედანაყოფის გეგმების შედგენაში, ამოცანების დასახვაში და სხვა.

უმაღლესი რგოლის მენეჯერები გლობალური ამოცანების და ბიზნეს-ერთეულის განვითარების სტარტეგიის ფორმირებით არიან დაკავებულნი. ისინი ხელმძღვანელობენ ფირმის საშუალო რგოლის მენეჯერებსაც. ბიზნეს-ერთეულის მენეჯერები ხელ-მძღვანელობენ მის ყველა საქმიანობას, ანუ ახორციელებენ საწარმოო და ადმინისტარციულ მენეჯმენტს, საფინანსო მენეჯმენტს, ოპერაციულ მენეჯმენტს და ა.შ.

შრომითი რესურსები. შრომითი რესურსები ბიზნეს-ერთეულის საქმიანობაში, განურჩევლად იმისა წარმოება აქვს მას თუ მომსახურება, ძირით დი ფაქტორია. საჭირო შრომითი რესურსების რაოდენობას ანგარიშობს მენეჯერი. მას მოყავს შესაბამისობაში პროდუქციის(მომსახურების) წარმოება და მუშაკთა რიცხვი, გამომუშავების ნორმების მხედველობაში მიღებით. გამომუშავების ნორმების გადაჭარბებით შესრულება, რაც იწვევს შრომის ნაყოფიერების ზრდას და აქედან გამომდინარე, პროდუქციის დამატებითი რაოდენობის გამოშვებას, წახალისდება სხვადასხვა საშუალებებით – პრემია, ბონუსები, შრომის და ყოფითი პირობების გაუმჯობესება და სხვა.

ბიზნესმენს უნდა ახსოვდეს, რომ მისი საქმიანობის წარმატება ადამიანებზეა დამოკიდებული. ამიტომ მთელი მისი შემოსავლები და დანაკარგები იმაზეა დამოკიდებული, თუ მას თავის საწარმოში შრომის ანაზღაურების და სტიმულირების როგორი სისტემა აქვს გამოყენებული.

მოწყობილობა. მოწყობილობა წარმოების (მომსახურების) შიდა გარემოს ისეთივე ძირითადი კომპონენტია, როგორც მუშახელი. მოწყობილობას ახასიათებს სიმძლავრე, უნივერსალურობა და საიმედოობა. სიმძლავრე ორი სახისაა: ნომინალური და რეალური. ნომინალურია მისი საპროექტო სიმძლავრე, რეალური კი – ფაქტიური სიმძლავრე. მოწყობილობის მუშაობის ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია მათ შორის თანაშეფარდება – რეალური აჭარბებს ნომინალურს, თუ პირიქით – ნომინალური რეალურს. ცხადია, უმჯობესია, რომ რეალური სიმძლავრე აღემატებოდეს ნომინალურს.

მოწყობილობის უნივერსალურობა ნიშნავს იმას, თუ რამდენად ადვილად და მარტივად შეიძლება ერთი სახის მოწყობილობის გადაწყობა სხვა ოპერაციის გასაკეთებლად. მოწყობილობის საიმედოობა კი გვიჩვენებს, თუ რამდენად დიდხანს შეუძლია მას იმუშაოს თავის პირვანდელ ფორმაში. როცა საწარმოში მოწყობილობის რემონტები ხშირია, ეს იმას ნიშნავს, რომ აქ გამოყენებული მოწყობილობა არასაიმედოა.

მატერიალური მარაგები. თითქმის არანაირი წარმოება(ხშირად მომსახურებაც) არ დაიწყება მასალა-ნედლეულის, მაკომპლექტებელი ნაწილების, ნახევარფაბრიკატების, დეტალების და სხვათ მარაგის

[1] Румианцева З. Алешникова В. Станавление рынка управленческого консултирования. Российский экон. Журн. 1993 №3. Ст.48.

გარეშე. მათ ერთობლიობას მატერიალური მარაგები ეწოდება. მატერიალური მარაგები ყოველთვისაა საჭირო. ისინი უზრუნველყოფენ წარმოების (მომსახურების) უწყვეტ ციკლს. ამ ბოლო დროს განვითარებული ქვეყნების (მაგ. იაპონიის) რიგმა კომპანიებმა უარი თქვეს მატერიალური მარაგების რეზერვის არსებობაზე და გადავიდნენ მარაგების მართვის ახალ სისტემაზე[1] სახელწოდებით „ზუსტად თავის დროზე". ეს იმას ნიშნავს, რომ მასალა-ნედლეულის მართვა ისე ხდება

რომ მომწოდებლიდან მასალები მიეწოდებათ ზუსტად იმ დროს, როცა ის მათ სჭირდებათ. ამიტომ ეს კომპანიები ასეთი მასალების მარაგს ადგილზე აღარ ქმნიან.

ტექნოლოგიები. კომპანია „ფორდ-მოტორს" აქვს ასეთი დევიზი: „ჩვენი ძირითადი პროდუქტი - პროგ-რესია". იქ ეს პროგრესი ძირითადად გამოიხატება ახალი ტექნოლოგიების (და ტექნიკის) დანერგვაში. წარმოების სხვადასხვა მოცულობა და პროდუქციის სტანდარტიზაციის სხვადასხვა დონე სხვადასხვა ტექნოლოგიას მოითხოვს. გამოყენებაშია ტექნოლოგიის 3 ტიპი: უწყვეტი ტექნოლოგია, სპეცშეკვეთებით წარმოება და საპროექტო პროცესი. თუ რომელი ტექნოლოგია გამოადგება ბიზნეს-ერთეულს, ეს მისი მენეჯერის გადასაწყვეტია, რადგან თითოეული მათგანი წარმოების ამა თუ იმ ტიპს შეესაბამება (მაგ., უწყვეტი ტექნოლოგია მასიური წარმოებისათვისაა საჭირო, საპროექტო პროცესი – მცირე წარმოებისათვის და ა.შ). ტექნოლოგიურ სიძნელეებზე მენეჯერის სწრაფი რეაგირება ბიზნეს-ერთეულის კონკურენტუნარიანობის განმტკიცების საფუძველია.

ბიზნეს-ერთეულის გარემოს კიდევ ყოფენ მიკრო და მაკრო გარემოდ. მიკროგარემოს ქმნიან პირდაპირი ზემოქმედების ფაქტორები, მაკროგარემოს კი ირიბი ზემოქმედების ფაქტორები.

მიკროგარემო წარმოდგენილია ისეთი ფაქტორებით, რომლებიც უშუალო კავშირში არიან თვით ბიზნეს-ერთეულთან, მის საქმიანობასთან და შიდა წესრიგთან. ეს ფაქტორები შემდეგია:

- ფირმა თავისი საწარმოო სტრუქტურებით (მაგ. წარმოების ბლოკი, ლოგისტიკის ბლოკი, ეკონომიკური სამსახური, კადრების სამსახური, ეკონომიკური ანალიზის სამსახური). აქვე შევა დამხმარე წარმოება, სასაწყობო და სატრანსპორტო მეურნეობა, საცდელ-საკონსტრუქტორო სამსახური და სხვა.
- მომწოდებლები. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ყველა ის იურიდიული თუ ფიზიკური პირი, რომლიც მოცემულ ბიზნეს-ერთეულს(ფირმას) აწოდებს რაიმე სახის რესურსს. მომწოდებლების რაოდენობაც და მოსაწოდებელი რესურსის სახეც დამოკიდებულია ბიზნეს-ერთეულის სპეციალიზაციაზე და მისი საქმიანობის მასშტაბზე. თუ ბიზნეს-ერთეული მსხვილი ფირმაა და ამასთან მრავალფეროვან და დივერსიფიცირებულ საქმიანობას ეწევა, მას ცხადია, მრავალი მომწოდებლები ეყოლება, მცირე ფირმას კი თუ იგი ამასთან ერთად, მონოპროფილისაც არის, ერთი-ორი მომწოდებელიც ეყოფა. ბიზნეს-ერთეულებისთვის ძირითადი მომწოდებლების როლში გამოდიან მასალა-ნედლეულის, სათბობის და ენერგიის, მაკომპლექტებელი ნაწილების და ნახევარფაბრიკატების და მანქანა-მოწყობილობების მომწოდებლები. ზოგიერთი მეცნიერი მომწოდებლების როლში თვლის ბანკებს, რომლებიც საჭირო შემთხვევაში თავისუფალ ფულად რესურსს აწოდებენ ბიზნეს-ერთეულებს კრედიტის სახით, აგრეთვე შრომის ბირჟებს, რომლების სამუშაო ძალით ამარაგებენ ბიზნეს-ერთეულებს. [2]
- მომხმარებლები(იგივე კლიენტები). მათ მიეკუთვნებიან ბიზნეს-ერთეულის პროდუქციის (მომსახურების)[3] მომხმარებლები. მომხმარებლების როლში გამოდიან ადამიანებიც, რომლებიც პირადი მოხმარებისათვის ყიდულობენ საქონელს (მაგ: სურსათი, ტანსაცმელი, ბინა და სხვა) და ფირმებიც, რომლებიც წარმოების საჭიროებისათვის ყიდულობენ ნახევარფაბრიკატებს, ენერგიას, სათბობს და სხვას. მომხმარებლის როლში არიან სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებიც თავისი საჭიროებისათვის იძენენ საქონელს და აგრეთვე უცხოელები (ფირმები ან თვით სახელმწიფოები)[1]. მაშასადამე, ბიზნეს-ერთეულის პროდუქციის

(მომსახურების) მომხმარებლების როლში გამოდიან სხვადასხვა

ტიპის კლიენტები, რომლებიც საჭირო საქონელს ან ერთი ბაზრის სხვადასხვა სეგმენტში იძენენ (მაგ: უნივერსალურ ბირჟაზე), ანდა სხვადასხვა ბაზარზე.

- შუამავლები. მათ მიეკუთვნებიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ეხმარებიან მოცემულ ბიზნეს-ერთეულს თავისი საქმის განხორციელებაში – პროდუქციის წარმოებაში, მარკეტინგულ საქმიანობაში, პროდუქციის რეალიზაციაში, ლოგის-

[1] მ. ხარხელი, ოპერაციული მენეჯმენტი, ნაწ.II, თბ. 2011. გვ.115., ნ. პაიჭაძე, თ. ხომერიკი, მეენჯმენტის საფუძვლები, თბ. 2005. გვ.58.

[2] ნ. ბიჭიაშვილი, ლ. ბიჭიაშვილი. ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა, თბ. თსუ. 1997. გვ.161.

[3] გ.შუბლაძე, ბიზნესის საფუძვლები, თბ. 2000.გვ.43.

ტიკაში და ა.შ. მაგ., ტურისულ ფირმას თავისი საქმიანობის განსახორციელებლად ანუ ტურისტების მომსახურებისათვის სჭირდება სასტუმრო, სასადილო (ან რესტორანი) და სატრანსპორტო ორგანიზაცია. ისინი მისი პარტნიორებიც არიან და შუამავლებიც.

- კონკურენტები. მათ მიეკუთვნებათ ის იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ამზადებენ რა მოცემულ ბიზნეს-ერთეულის მიერ დამზადებულ პროდუქციის (მომსახურების) ანალოგიურს (ან ნაწილობრივ ანალოგიურს, ან მის შემცვლელს), იგივე ბაზარზე კონკურენციას უწევენ მას. საქართველოში ლუდის რეალიზაციაში „ლომისს“ კონკურენციას უწევს „ყაზბეგი“, ძეხვეულის რეალიზაციაში „ზეიკიძეს“ კონკურენციას უწევს „ნიკორა“, საცხოვრებელი ბინების მშენებლობაში ერთმანეთის კონკურენტები არიან „აქსისი“ და „მოდული“.
- საკონტაქტო აუდიტორია არის ნებისმიერი ჯგუფი, რომელიც ზღუდავს, ან პირიქით, ხელს უწყობს ბიზნეს-ერთეულის საქმიანობის განვითარებას. დადგენილია, რომ ბიზნესი შეიძლება ვითარდებოდეს 7 ტიპის საკონტაქტო აუდიტორიასთან ურთიერთობით: ესენია: საფინანსო ინსტიტუტები (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საფონდო ბირჟები), მოქალაქეთა გაერთიანებები (ასოციაციები, კავშირები, ფონდები), მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (ტელე-რადიო კომპანიები, ჟურნალ-გაზეთები, ინტერნეტ-ცენტრები), შიდა საკონტაქო აუდიტორია, ადგილობრივი საკონტაქტო აუდიტორია (საზოგადოებრივი ორგანიზაციები), სახელმწიფო დაწესებულებები და სხვები.

ბიზნესის მაკრო გარემო უფრო ფართო სპექტრის ფაქტორების გამაერთიანებელია. აქ შედის: ეკონომიკური გარემო, ბუნებრივი გარემო, მეცნიერულ-ტექნიკური გარემო, კულტურული გარემო, დემოგრაფიული გარემო, პოლიტიკური გარემო, საერთაშორისო ვითარება.

ეკონომიკური გარემო მოიცავს ქვეყნის საწარმოო პოტენციალს, მოსახლეობის ცხოვრების დონეს, სიღარიბის დონეს, უმუშევრობის დონეს, ფულად-საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკას და ა.შ.

ბუნებრივ გარემოში იგულისხმება ქვეყანაში არსებული ბუნებრივი რესურსები (წიაღისეული, სათბობი, ენერგია, ტყე და ტყის რესურსები და ა.შ), რომელთა მრავალფეროვნებაზე და სიდიდეზე ბევრადაა დამოკიდებული ბიზნესის განვითარება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ რეგიონალურ განლაგებას, რადგან რესურსის მისი წარმოებისაგან სიშორე იწვევს დიდ დანახარჯებს და უარყოფითად მოქმედებს ბიზნეს-ერთეულის პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე (მისი ფასი იზრდება). მას მნიშვნელობა აქვს სოციალური თვალსაზრისითაც, კერძოდ მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით. მაგალითად, თუ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში რაიმე საქონლის წარმოებისათვის კარგი ბუნებრივი პირობები იქნება და კახეთის რეგიონში ცუდი, კახეთის მოსახლეობა იქ ვერ წავა დასასაქმებლად და პირიქით.

დემოგრაფიული გარემო გულისხმობს ქვეყნის (და რეგიონების) მოსახლეობის ასაკობრივ და სქესობრივ შემადგენლობას, შობადობის და სიკვდილიანობის მდგომარეობას, მიგრაციულ პროცესებს, დასახლების სიმჭიდროვეს ქვეყანაში, ოჯახების ტიპებს და მათი განვითარების ტენდენციებს და ა. შ. ბიზნესისათვის ეს გარემო არის შრომისუნარიანი მოსახლეობის პროგნოზირების საფუძველი, ამ უკანასკნელზე კი აიგება ბიზნეს-ერთეულების შრომის გეგმა (დასაქმების ნაწილში).

კულტურული გარემო სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. იგი აერთიანებს ქვეყნის კულტურულ ფასეულობებს, ტრადიციებს, ქცევის ნორმებს, შეხედულებებს და სხვა. იგი ვლინდება ოჯახშიც და სამსახურშიც, მუშაობის და დასვენების დროსაც. მაგალითად: საქართველოში არსებობს ასაკით უფროსისადმი მოკრძალებული, პატივისცემითი დამოკიდებულება (ეს ტრადიცია ყველა ქვეყანაში არ არის). ამიტომ საქართველოში ასაკით უმცროსს, როცა იგი სამსახურეობრივი იერარქიის კიბეზე მაღლა დგას, უჭირს მის ხელქვეითი, ასაკით უფროსისადმი დავალების მიცემა და შესრულების კატეგორიული მოთხოვნა.

მეცნიერულ-ტექნიკური გარემო. ეს იმ სიახლეთა ერთობლიობაა(ტექნიკაში, ტექნოლოგიაში, მართვის ფორმებში და ა.შ.), რომლებსაც ტექნიკური პროგრესი იწვევს, და რომელიც ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელი ძალაა. სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ყველაზე მაღალი დონე ახასიათებს მაღალგანვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებს – აშშ-ს, იაპონიას, გერმანიას, საფრანგეთს და ინგლისს. ამიტომ მათი ეკონომიკური განვითარების ინდექსიც სხვა ქვეყნებზე მაღალია.

პოლიტიკურ გარემოში იგულისხმება ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკურიი ვითარება, კერძოდ, ქვეყნის მმართველი პარტიის პოლიტიკა, მისი საშინაო და საგარეო ურთიერთობები, კრიმინალიზაციის დონე მთავრობაში, ლობიზმი და ა.შ.

ბიზნესის ზემოთჩამოთვლილ გარემო ფაქტორების ერთი ნაწილი კონტროლირებადია, მეორე – არა. ბიზნეს-ერთეული ძირითადად აკონტრო-

ლებს შიგა ფაქტორებს, კერძოდ იმ ძალებს და შესაძლებლობებს, რომლებიც ფირმაშია და რომლებიც ფირმის ხელმძღვანელობას ექვემდებარება. ყველა დანარჩენი ფაქტორები ბიზნეს-ერთეულის მხრიდან არაკონტროლირებადი, ან ნაკლებად კონტროლირებადია.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეროვნული ეკონომიკის ბიზნეს-გარემო მასში შემავალი ბიზნეს-ერთეულების გარემოს ერთგვარი ჯამია, თუმცა ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ კონკურენტუნარიანობის ქვეყნის მასშტაბით განხილვისას მასზე დამატებით მოქმედებენ: საერთაშორისო პოლიტიკა, განათლების დონე, საზოგადოების ჩართულობა სახელმწიფო მართვაში, სამეცნიერო ბაზა, კანონის უზენაესობა, კულტურა, ინფორმაციის წვდომადობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა.

თავის დროზე კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი გარემოს ფაქტორები მ. პორტერმა დაყო სამ ჯგუფად: არსებული ფაქტორები, მაკროეკონომიკის გარემოს ფაქტორები, მიკროეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ფაქტორები.

ამ ჩამონათვალიდან არსებულ ფაქტორებად პორტერმა ჩათვალა ბუნებრივი რესურსები, გეოგრაფიული მდებარეობა და ქვეყნის ისტორიული მემკვიდრეობა. ეს ფაქტორები ეგზოგენური ფაქტორებია და ქმნიან საზღვრებს, რომლებშიც ხდება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განვითარება. თუ ქვეყანა მდიდარია რესურსებით, პორტერმა ჩათვალა, რომ მისი ბიზნესი წარმატებული იქნება იაფი ნედლეულის წყაროებით. გეოგრაფიულ მდებარეობას მან უპირატესობა მისცა საერთშორისო სატრანსპორტო კავშირების თვალსაზრისით, რაც შეეხება ისტორიულ მემკვიდრეობას, იგი არის ქონება და გარკვეულ სტიმულს აძლევს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას. თუ პირველ ფაქტორს – ბუნებრივ რესურსებს – არ მივიღებთ მხედველობაში, მეორე და მესამე ფაქტორით საქართველო კარგ მდგომარეობაშია. მას გეოგრაფიული მდებარეობაც კარგი აქვს (იგი ევროპა-აზიის დამაკავშირებელ კოროდორს წარმოადგენს) და კულტურული მემკვიდრეობაც დიდი აქვს.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გლობალიზაციის პროცესის ზეგავლენას მ. პორტერის ცნობილი „კონკურენტული რომბის“ ოთხ უმთავრეს თვისებაზე ანუ დეტერმინანტზე, რომლებიც ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას განსაზღვრავენ. ცნობილია, რომ აღნიშნულ ოთხ დეტერმინანტს წარმოადგენს: ფაქტორული პირობები, შიდა მოთხოვნის პირობები, მონათესავე დარგების არსებობა, ფირმის სტრუქტურა, სტარატეგია და შიდა დარგობრივი კონკურენცია, ასევე ორი დამხმარე დეტერმინანტი – სახელმწიფოს როლი და შემთხვევა.

გლობალიზაციის, გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში ფაქტორულ პირობებს ანუ ბუნებრივი რესურსებს, გეოგრაფიული მდებარეობას და ქვეყნის ისტორიული მემკვიდრეობას სულ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის განსაზღვრაში. როგორც თავად პორტერი აღნიშნავს: „საერთაშორისო კონკურენციაში წარმატებას განსაზღვრავენ არა იმდენად წარმოების ფაქტორები, არამედ სად და რამდენად პროდუქტიულად გამოიყენებიან ისინი.“[1] აღნიშნულის გათვალისწინებით ნათელია, რომ წარმოების ფაქტორების მხოლოდ რაოდენობრივი მხარე არ განაპირობებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკების კონკურენტული უპირატესობის უმთავრეს ფაქტორს ინდივიდის და საერთოდ, საზოგადოების განვითარების დონე წარმოადგენს. ღოგორც რუსი მეცნიერი ს. ემილიანოვი აღნიშნავს: „აქ საუბარია ეფექტიანობაზე“[2]. შეიძლება ავღნიშნოთ, რომ ამა თუ იმ რესურსის ეფექტიანი გამოყენება, თავის მხრივ, გამომყენებლის ცოდნის, განათლების ფუნქციაა. ამდენად, უმთავრესი როლი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრაში ენიჭება ადამიანისეული კაპიტალის განვითარების დონეს, ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების ინტერნაციონალიზაციის დონეს.

ამრიგად, ინდივიდის განათლების მაღალ დონეზე დაფუძნებული კონკურენტული უპირატესობა წარმოადგენს ყველაზე მდგრად და სტაბილურ უპირატესობას. რაც შეეხება, ბუნებრივ რესურსებს, მათ სულ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებათ ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის განსაზღვრაში, მით უმეტეს თანამედროვე ეტაპზე - ნანოტექნოლოგიების განვითარების ეტაპზე. ნანოტექნოლოგიების განვითარება ნიშნავს „მიკროდან ნანოზე არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ ნივთიერებებზე მანიპულაციებიდან ცალკეული ატომების მანიპულაციაზე გადასვლას. აღნიშნული ტექნოლოგიების განვითარების შედეგია ე.წ. „ნანოეკონომიკის“ წინმსწრები განვითარება.

თანამედროვე ეტაპზე გარემოს ფაქტორული პირო-

[1] ნ. ხადური. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები. თბ. 2010, გვ. 3-4.

[2] Porter M. The Competetive advantage of Nations, The Free Press. New York. 1998.

ბებიდან უმთავრეს, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ადამიანის განათლების დონე ანუ საზოგადოების განვითარების დონე, მისი უნარი შექმნას ახალი ტექნოლოგიები ან გამოიყენოს და განავითაროს არსებული.

მსოფლიოში თითქმის ყველა ქვეყანა ისწრაფვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანდეს, რომელიც გარკვეულწილად ზღუდავს ეროვნული ეკონომიკის, შიდა ბაზრის პროტექციონისტული დაცვის შესაძლებლობას, რაც ყველა ქვეყნის კომპანიას აძლევს სხვა ქვეყნის ბაზართან მიღწევადობის შესაძლებლობას. თვით განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაშიც, რომელიც უდიდესი გადახდისუნარიანი მოთხოვნით ხასიათდება, აღნიშნული ფაქტორი სულ უფრო ნაკლებად წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტული უპირატესობის განმსაზღვრელ ფაქტორს. მაგ, გერმანიაში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის უზრუნველყოფაში შიდა ფაქტორის წილი შეადგენს 1,3 პუნქტს და ასეთივე ტემპი არის მოსალოდნელი შემდეგ ორ წელიწადში. უახლოეს წლებში მხოლოდ საზღვარგარეთული მოთხოვნის ზრდას შეუძლია უზრუნველყოს ეროვნული ეკონომიკის მიერ 2%-ის გადალახვა. აღნიშნული დეტერმინანტი ანუ მოთხოვნა შიდა ბაზარზე, სულ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია აშშ-ს ეკონომიკისთვისაც, მიუხედავად სხვა განვითარებული ქვეყნებთან შედარებით მშპ-ში ექსპორტის დაბალი ხვედრითი წონისა(10%). ამ უკანასკნელის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს აშშ-ის კომპანიების ე.წ. „მეორე ეკონომიკა“, რომელიც უპირატესად საგარეო ბაზარზე არის ორიენტირებული. ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მოთხოვნა შიდა ბაზარზე ნაკლებად წარმოადგენს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის მნიშვნელოვან ფაქტორს. აღნიშნულს ასევე ადასტურებს 90-იანი წლებიდან თითქმის ყველა ეროვნული ეკონომიკის სწრაფვა ჩაერთოს რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში.

ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის მესამე დეტერმინანტია – მონათესავე დარგების განვითარება. გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში აღნიშნული დეტერმინანტის მნიშვნელობა დამოკიდებულია დარგის სახეობაზე. ცნობილია, რომ გლობალური ეკონომიკის სტაბილური განვითარება დამოკიდებულია მსოფლიო მასშტაბით პოსტუნდისტრიული საზოგადოების ფორმირებაზე, რომელიც თავის მხრივ, მეცნიერებატევადი დარგების უპირატეს განვითარებას ეფუძნება. აქედან გამომ-დინარე, მონათესავე დარგების არსებობა მხოლოდ მაშინ უწყობს ხელს სტაბილური კონკურენტული უპირატესობის შექმნას, როცა ის ხელს უწყობს მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას. როგორც რუსი მეცნიერი მ. დელიაგინი აღნიშნავს: „ინფორმაციული ტექნოლოგიები უფრო ეფექტიანად აქცევენ არა რეალურად მიმდინარე პროცესების, არამედ მათი აზრის მსვლელობის მართვას, ვინც ამ პროცესებს ხელმძღვანელობს“. აშშ-ს მაღალი კონკურენტუნარიანობა და მსოფლიო ლიდერობა სწორედ აქედან გამომდინარეობს. რაც შეეხება კონკურენტული რომბის მეოთხე დეტერმინანტს, ანუ ფირმის სტრუქტურას და სტარტეგიას, თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს კომპანიათა თითქმის ერთიანი, უნიფიცირებული მოდელის ფორმირება. აქ უპირატესობა კომპანიათა ამერიკულ მოდელს ენიჭება, რასაც ხელი შეუწყო გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში კომპანიათა ფუნქციონირების იაპონური მოდელის კონკურენტუნარიანობის გარკვეულმა შესუსტებამ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში ქვეყნის კონკურენტული რომბის დეტერმინანტები გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდიან, განსაკუთრებით შიდა მოთხოვნის პირობები და ფირმის სტრუქტურა და სტრატეგია. ამავე დროს, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელმწიფოს შეუძლია უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებში. გლობალური ეკონომიკის სრულყოფილი მონაწილეობა დამოკიდებულია ცალკეულ ქვეყანაში პოსტინდუსტრიული ეკონომიკის, საზოგადოების არსებობაზე. აქედან გამომდინარე, გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის სულ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება კონკურენტუნარიანობის კლასიკურ გარემო ფაქტორებს. აღნიშნულ ქვეყნებში უმთავრესია სახელმწიფოს ხელშემწყობი როლი. აღნიშნული მტკიცდება იმ გარემოებით, რომ უდიდესი დანახარჯები, რომელსაც მოითხოვს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, ამ ქვეყნებში ტნკ-ების არარსებობის გამო აუცილებელია ეროვნულმა სახელმწიფომ იტვირთოს. აღნიშნულ ქვეყნებში სახელმწიფო არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელსაც მიზანმიმართული პოლიტიკით შეუძლია საზოგადოების განვითარების ამაღლება, რომელიც იძლევა არა მარტო მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გამოყენების შესაძლებლობას, არამედ იმის საფუძველსაც, რომ ამ ქვეყნებში შესაძლებელი

იქნება ახალი ტექნოლოგიების გამოგონება.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, მეცნიერებატევადი წარმოება, რომელსაც ყველა სახის წარმოებასთან შედარებით დიფერენციაციის უდიდესი უნარი გააჩნია, ქვეყნებს, რომლებსაც საშუალო დონის სამეცნიერო-ტექნიკური პერსონალი გააჩნია (აღნიშნული ქვეყნების უმეტესობა სწორედ ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება) უტოვებს იმის შესაძლებლობას, განავითაროს ტექნოლოგიები, მეცნიერებატევადი წარმოება. ინფორმაციული და ნანოტექნოლოგიები არის ის დარგი, რომლებშიც წარმატება უზრუნველყოფს ცალკეული ქვეყნის მდგრად კონკურენტულ უპირატესობას. აღნიშნული შესაძლებელია სახელმწიფოს მხრიდან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების უპირატესი დაფინანსებით, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით უპირატესად მეცნიერებატევად დარგებში, სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის ამაღლებით და ა.შ. ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს არა მარტო ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, არამედ საზოგადოების ინტელექტის მიხედვით სტრატიფიკაციას, რომელიც პოსტინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია.

ბიზნესის კეთების სირთულის მიხედვით რეიტინგში საქართველოს ერთ-ერთ პირველ ადგილზე აღმოჩენა ბიზნესის წამოწყების ადმინისტრაციული მხარის სიმარტივემ განაპირობა. ეს რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ მთავარია მისი სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობა, რაც დამოკიდებულია მის მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხზე. ამ უკანასკნელს კი განაპირობებს: წარმოების დაბალი ტექნოლოგიური დონე, მოძველებული მოწყობილობა, დაბალი კვალიფიკაციის მუშახელი, სუსტი ინფრასტრუქტურა, წარმოებული პროდუქციის მაღალი ენერგოტევადობა და მრავალი სხვა.

ამასთან, დღეისათვის საქართველოს აქვს მის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი დადებითი ბიზნეს-გარემოს ფაქტორებიც, კერძოდ: კარგი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგი კლიმატური პირობები, იაფი მუშახელი და ლიბერალური კანონმდებლობა.

ასე რომ, თუ იქნება პოლიტიკური ნება, სათანადო დაფინანსება და მეწარმეების და მეცნიერების საერთო ძალისხმევა, ბიზნეს-გარემოს დადებითმა ფაქტორებმა შეიძლება გადაფარონ უარყოფითი ფაქტორების გავლენა და ქვეყანა გახდეს კონკურენტუნარიანი.

Bella goderddzishvili , GTU - Doctor of Economics

SUMMARY

Business - Environment is a combination of objective and subjective factors, which influence the direction of the business, its temps and scale, as external and internal validity ways. Business Environment factors are divided into external and internal factors. Internal factors include: business - unit of general and specific objectives, business - unit structure, resources (labor, equipment, technology, etc.). The external factors include: suppliers, customers, competitors, and laws, legal, political and other conditions.

The four main features of the impact of globalization are critical to the process, which will determine the country's competitiveness. It is known that the above four determinants are: factor conditions, domestic demand conditions, the existence of related industries, firm structure, strategy and inter sectoral competition, as well as two additional determinants - the state's role in the case.

ბიზნესის გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები

ნატო გეგენავა

თანამედროვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ტენდენცია მისი გლობალიზაციაა. **მისი ჩასახვა, მისი დღის წესრიგში დაყენება** და მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემად ქცევა თანამედროვე მსოფლიო წესრიგმა განაპირობა. ეს წესრიგი სწვდება როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ სივრცეს და მრავალი ფაქტორით არის განსაზღვრულ-დასაბუთებული.

ამჟამად ყველა თანამედროვე ქვეყანა გადადის ერთი ისტორიული ეტაპიდან – საკუთარი ეროვნული ეკონომიკის ინტერესების აბსოლუტიზაციიდან, მეორე – გლობალურ ეკონომიკის ეტაპზე. ერთი მხრივ, ვითარდება საბაზრო ანარქიის პროცესები, რომელიც უპირველესად ეხება სავალუტო-საფინანსო სისტემას, ხოლო, მეორე მხრივ, ძლიერდება ოლიგარქიული ტენდენციები. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია მრავალეროვნული, ტრანსეროვნული კომპანიების და სამრეწველო-საფინანსო ჯგუფების შექმნა. საწარმოების სწრაფვა წარმოების ეფექტიანობისაკენ, მისი გამანაწილებელი ქსელის მუდმივი განახლება და გაფართოება გადაუდებელი მოთხოვნა გახდა.

გლობალიზაციის პროცესს ასევე თან სდევს მსოფლიო მასშტაბით ეროვნულ-კულტურულ ღირებულებათა პრიორიტეტების ხელახალი განაწილება და მთელ რიგ ჩვეულებათა და რწმენათა გადასინჯვა.

მრავალი ათეული წლის განმავლობაში ინტეგრაციის პროცესი თითქმის ყველა სფეროში და განსაკუთრებით ეკონომიკაში, შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა, იხვეწოდა, ახალ-ახალ ფორმებს იძენდა და წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა. იყო პერიოდი, როდესაც უკუსვლებიც გაკეთდა, რამაც ვერაფერი სასიკეთო ვერ მოიტანა და კვლავ პრიორიტეტული გახდა ინტეგრირება. ამის კლასიკური მაგალითები უხვად დაგროვდა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში: აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში და სხვაგან.

ეკონომიკურად დიდად განვითარებულ ქვეყნებში ინტეგრაციის პროცესმა ისეთ გაქანებას მიაღწია, რომ რადიკალურად შეცვალა მისი სტრატეგიული ტემპები და მასშტაბები.

ამით დაიწყო ინტეგრაციის პროცესის რევოლუციური ცვლილება და მისი ტემპების უსწრაფესი ზრდა. ყოველივე ეს უკიდეგანო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგი იყო და სწორედ ამ პროცესმა დაუდო სათავე ახალ მსოფლიო წესრიგს, რამაც მსოფლიო ანუ გლობალური მასშტაბი შეიძინა.

როდესაც ვლაპარაკობთ ახალ მსოფლიო წესრიგზე – ეს ძირითადად ნიშნავს, რომ იქმნება და ვითარდება ისეთი მიდგომები, გადაწყვეტები, ნორმები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობები, სტრატეგია, ურთიერთობათა ეტიკეტი და ა.შ., რომელიც ვრცელდება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაზე გლობალურად. ეს წესრიგი კი, უპირატესად ყალიბდება პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტებით, სამართლებრივი ნორმებით, სოციოლოგიური ვალდებულებებით, ტექნოლოგიური სისტემებით და სხვ.

საბაზრო ურთიერთობათა განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო გლობალიზაციის საერთო სისტემაში ორი ძირითადი ურთიერთდამაკავშირებელი სფერო გამოიყოფა: ერთია – სოციალურ-ეკონომიკური სფერო, რომელიც წარმოების და მოხმარების სისტემათა ფუქციონირებას განსაზღვრავს და განაპირობებს, რაც ბიზნესის მოტივაციებს ეფუძნება; მეორეა – ბუნებათსარგებლობისა და ბუნების დაცვის სფერო, რომელიც მთელი საწარმოო ციკლის მატერიალურ საფუძველსა და მასზე ზეგავლენის მომხდენ სისტემას წარმოადგენს.

გლობალიზაციაზე, ისევე, როგორც თავის დროზე ბიზნესზე, ბევრს წერენ და მსჯელობენ, იმართება სიმპოზიუმები, შეხვედრები, დისკუსიები და რაც მთავარია, იდება სახელმწიფოთაშორისი, კორპორაციათშორისი სხვადასხვა ქვეყნის ფირმებშორისი და ბანკთაშორისი კონტრაქტები და გარიგებები. იგი საქართველოს წინაშეც მთელი სიგრძე-სიგანით დგას და ისევე, როგორც სხვა ქვეყნები, გლობალიზაციის საერთო წრედშია მოქცეული, რომელიც თანდათან ამტკიცებს თავის ძალხაზებს და გავლენის სფეროებს მსოფლიო ქვეყნებზე.

საქართველო როგორც ბიზნესს, ასევე გლობალიზაციასაც თითქმის მოუმზადებელი შეხვდა. ბიზნესის კარიბჭესთან შეყოვნებამ, შემდეგ კი არასწორმა და დაგვიანებულმა ეკონომიკურმა სვლებმა სუსტი პირობები და გარემო შექმნეს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებისათვის.

თანამედროვე მსოფლიოში პროცესები ისეთი

ტემპით ვითარდება, რომ ყოველ დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ვინც ჩამორჩება ამ ტემპებს, ის დაკარგავს ორიენტაციას და გამოვა მდევრის როლში. ეკონომიკაში მთავარია არ გამოგრჩეს სვლები და მოქნილი მექანიზმით ფეხდაფეხ მიჰყვე საერთო მოვლენებს. ეკონომიკა კი ის ღერძია, რომელზეც ბრუნავს მთელი სახელმწიფო, გლობალური გაგებით კი – მთელი მსოფლიო. საქართველო გლობალიზაციის საყოველთაო პროცესს მიადგა. ერთის მხრივ: ფრთებშეკვეცილი, ეკონომიკურად წელგაუმართავი, მართვის მოუქნელი მექანიზმით და ჯერ კიდევ დაუხვეწავი სტრატეგიით; მეორეს მხრივ კი: როგორც მდიდარი ბუნებრივი და ეკონომიკური შესაძლებლობების დიდი ისტორიული ტრადიციების, სოფლის მეურნეობის უნიკალური დარგებისა და კულტურების მქონე ქვეყანა, ბევრისათვის უცხო და აუთვისებელი მხარე, საკმაოდ წონადი გამოგონებებითა და მეცნიერული მიღწევებით დიდად საინტერესო და ყველასათვის საშური გეოპოლიტიკური სივრცე და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – კეთილმეზობლური განწყობილებებისა და მისწრაფებების მქონე რეგიონი.

გლობალიზაციის საერთო წესრიგის დიდი სახელმწიფოები ქმნიან და არეგულირებენ. როგორც კონკურენციას, ასევე გლობალიზაციასაც თავისი ულმობელი კანონები გააჩნია. ვინც მას ვერ გაუგებს და ვერ გაუძლებს, შთაინთქმევა მის წიაღში. ერთის მხრივ უნდა ვუფრთხილდეთ გლობალიზაციას და მის მახეს, მეორეს მხრივ განვჭვრიტოთ სწორად და გამოვიყენოთ მისი შესაძლებლობები.

საქართველოსთვის ამ შესაძლებლობების ჭკვიანურად გამოყენება მსოფლიო დონის გადაწყვეტა ე.წ. ტრასეკა – თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენია. ეს არის ევროპა – კავკასია – აზიის სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც ახლებურად გაიზიარებს ქვეყნებს შორის ურთიერთობის ფორმებს. ერთი იდეა და ერთი ბედით აკავშირებს მრავალ სახელმწიფოს, რომელთა შორის საქართველოს ანიჭებს ერთ-ერთ პრიორიტეტულ ფუნქციას. ასეთი სტრატეგიული და ეკონომიურად მომგებიანი სვლა, საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, რამდენიმე შეუძლია გააკეთოს, რაც რადიკალურად შეცვლის და აამაღლებს მის ადგილს მსოფლიო თანამეგობრობაში და გადაწყვეტილად განამტკიცებს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს. ეს კი საკმარისი იქნება გლობალიზაციის პროცესში საკუთარი ხელწერის შესაქმნელად და გავლენის სფეროების მოსაპოვებლად.

საქართველოს გლობალიზაციის პროცესში ჩასართავად მრავალი სფერო და მიმართულება გააჩნია, მაგრამ არის ისეთი დარგები, რომლებიც ნაკლებად ექვემდებარებიან ამ პროცესს. ასეთი დარგია სოფლის მეურნეობა, ნიადაგურ-კლიმატური უნიკალურობით და ზონებისა და მიკროზონების მიხედვით მკვეთრად განსხვავებული და ცვალებადი ბუნებრივ-ეკონომიკური გარემოთი.

გლობალიზაციას სხვადასხვა მიმართულებები გააჩნია. ერთ-ერთია ზონალური რეგიონული გლობალიზაცია. ასეთი მიმართულებაა ე.წ. „თავისუფალი ეკონომიკური ზონა“. უკანასკნელ ხანს საქართველოშიც გამოუჩნდა ამ მიმართულებას მომხრეები, მაგრამ თავისუფალი ეკონომიკური ზონების შემოღება ჩვენთან არავითარ შემთხვევაში არ არის მისაღები. იგი ზიანის მეტს არაფერს მოიტანს, თანაც პოლიტიკურ დაძაბულობას შექმნის. მხედველობაში უნდა მივიღოთ: გეოპოლიტიკური ვითარება და ძალხაზები, ისტორიულად ჩამოყალიბებული ადათ-წესები და ტრადიციები, სოციალური და დემოგრაფიული სიტუაცია და მრავალი სხვა.

ბიზნესის გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე სამეურნეო პროცესები მეტად სწრაფად იცვლება. ამიტომ, ახალი დროის გლობალური ბიზნესის განვითარების კანონზომიერებების და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების სისტემური შესწავლა მნიშვნელოვანი სფერაა.

ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიცაა საქართველო თავისუფალი ეკონომიკური ზონები არ სჭირდება. ეს უბიძგებს ქვეყნის მასშტაბით უმართავი სიტუაციისკენ და განსაკუთრებულად დაუსვამს დაღს სოფლის მეურნეობას.

საქართველო გლობალიზაციის დიდ წრედშია ჩართული, სადაც საჭიროა სწორი ორიენტაცია და გამართლებული სტრატეგია, რამაც უნდა აამაღლოს ქვეყნის როლი მსოფლიო თანამეგობრობაში.

როგორც ცნობილია, ბიზნესის გლობალიზაციის ტენდენცია ანგრევს ეროვნულ და რეგიონულ ბარიერებს, რაც მას ხელს უშლის მსოფლიო ბაზარზე გასვლაში. ამის შედეგად წარმოშობილ პრობლემათა გადაჭრის გზების ძიება და მისი ხორცშესხმა აქტუალური პრობლემა და აქედან გამომდინარე, საჭიროა იმ ცვლილებების შესწავლა, რასაც იწვევს გლობალიზაცია ეროვნული ეკონომიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. და მისგან გამომდინარე დადებითი და უარყოფითი შედეგების გამოკვლევა და გათვალისწინება ქვეყნის ეკონომიკის წინსვლის საქმეში.

მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა, საქართველო ჯერ კიდევ რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების წინაშე დგას. ვერ მოხ-

ერხდა ტრანსფორმაციული პროცესების ეთიკის ნორმებში წარმართვა, ეკონომიკური ინტერესების შეჯერება, წონასწორობის დამყარება საზოგადოებრივ ურთიერთობებში და სოციალური სოლიდარობის მიღწევა, შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება, საზოგადოებრივი სექტორის განვითარება და ა.შ.

საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდიც კი არ დასრულებულა. კვაზიდემოკრატია აფერხებს ეკონომიკურ განვითარებასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას.

საქართველოში მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, უნდა განვითარდეს აგრარული სექტორი, რომელიც დღეს რთული პრობლემების წინაშეა. ამისათვის აუცილებელია პოლიტიკური ნება და სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა, მათ შორის, შიგა ბაზრის დაცვა და პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება, სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარება, შრომითი რესურსების ადგილზე დამაგრება, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებელთა წახალისება, თევზჭერისა და სატყეო მეურნეობის განვითარება, შესაბამისი კადრების მომზადება და ა.შ. ამას თვით ეროვნული ტრადიციებიც გვკარნახობს. სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა გახდეს. აგრარულმა სექტორმა უნდა შეძლოს შიგა საწარმოო და სამომხმარებლო მოთხოვნის გარკვეულწილად დაკმაყოფილება, ამას თვით ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური სტრატეგიის – ტურიზმის განვითარებაც გვკარნახობს.

ამისათვის, აუცილებელია საქართველომ სწორად გაანალიზოს მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კონკურენტუნარიანობის მოთხოვნებს, შეიგრძნოს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პულსი.

გლობალური პროცესები, ბუნებრივია, არ შეიძლება განვითარდეს ერთი რომელიმე მოდელით – ამერიკულით ან ევროპულით, იაპონურით ან ჩინურით. გლობალიზაციას ახასიათებს ზოგადი კანონზომიერებები, რომლებიც ქვეყნის მართვის თავისებურებებიდან გამომდინარე, არა მხოლოდ სხვადასხვა რეგიონში, არამედ ცალკეულ ქვეყნებშიც კი სპეციფიკურობით ხასიათდება. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი, რომელიც მრავალი რთული პრობლემის წინაშე დგას, მაგრამ თავისი ორიგინალობით მიიპყრო მსოფლიოს ყურადღება.

მიუხედავად მძიმე პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველოს აქვს პოტენციალი გადაჭრას მის წინაშე არსებული რთული პრობლემები. უპირველეს ყოვლისა, მთავარია არსებული შესაძლებლობების გონივრულად გამოყენება. საქართველოში პრიორიტეტული უნდა გახდეს ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ხელშეწყობა, ხანგრძლივი მოხმარების საქონლის იმპორტთან შედარებით, უპირატესობა ტექნოლოგიურ იმპორტსა და ლიზინგის განვითარებას მიენიჭოს. როგორც უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს: „ეკონომიკა განვითარდება, თუ საქართველო შეინახავს ეროვნულ ფასეულობებს“.[1]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უნიკალური რესურსების მფლობელია, მდიდარია მისი ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალი, საინტერესო და მიმზიდველია ბუნებრივი რესურსებით, უნივერსალურია სასარგებლო წიაღისეულისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მრავალგვაროვნებით, თერმული, მტკნარი და მინერალური წყლებით, კურორტების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით, სამკურნალო ტალახებით, კარსტული მღვიმეებით, კულტურის უძველეს ძეგლთა სიუხვითა და ეთნოგრაფიული თავისებურებებით და ა.შ. ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გავერკვეთ, საით მივდივართ, როგორ ეკონომიკურ სისტემას ვაშენებთ.

გლობალური საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინტეგრაციის ზრდის მეტად რთულ პროცესებში საქართველომ უნდა შეინარჩუნოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა საკუთარი ეკონომიკის, კულტურის, ტრადიციების, ისტორიის განვითარების საფუძველზე, ეროვნულ ნიადაგზე ააშენოს ევროპული ცივილიზაცია.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკა არ წარმოადგენს ეკონომიკას წესების გარეშე. ამ წესების დაცვა აუცილებელია ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელმაც მიზნად ასეთი ეკონომიკის შექმნა დაისახა. ამიტომ, ბუნებრივია, ურთულესი ამოცანების წინაშე დგას დღეს საქართველო. მისი ეკონომიკა პარალიზეული აღმოჩნდა იმ დამაგრეველი ზემოქმედებით, რომელიც გამოიწვია ომმა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. ქვეყანაში გაჩნდა დევნილთა მთელი არმია, რომელიც ტვირთად დააწვა საქართველოს ეკონომიკას.

დღეს, ცივილიზებულმა სამყარომ კვლავ მოიხედა

[1] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ“, თბ., „გეორკერია“, 2004, გვ. 294.

საქართველოსაკენ. რეფორმების გატარებაში მნიშვნელოვან დახმარებას ითვალისწინებს ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „საქართველოს ბიზნეს-კლიმატის რეფორმის" პროექტი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDO) და სხვ. ყურადღება გამახვილდა ინსტიტუციურ გარდაქმნებზე, ადმინისტრაციული და საჯარო სამსახურის რეფორმირებაზე, საგადასახადო კოდექსის დახვეწასა და გამარტივებაზე, ფარული ეკონომიკისა და კორუფციის ფართო მასშტაბების ლიკვიდაციის ღონისძიებებზე და ა.შ. გამარტივდა ფირმების რეგისტრაციის პროცედურა, 2007 წელს მიღებულ იქნა ახალი საბაჟო კოდექსი, რომლის მიხედვითაც საბაჟო გადასახადების რაოდენობა შემცირდა 16-დან 3-მდე და ა.შ.

ჩვენს ქვეყანაში მოსაგვარებელია საბანკო სისტემა, რომელსაც სერიოზული პრობლემები 2008 წელის აგვისტოს მოვლენებისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებამდე გაუჩნდა. თუმცა, გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა არსებული ბზარი კიდევ უფრო გააღრმავა და აშკარა გახადა. საქართველოს ბანკებმა დიდი ზარალი ინვესტიციების მხრივაც განიცადეს.

გლობალიზაციის პროცესი მკვეთრად დიფერენცირებულია, ხასიათდება შინაგანი წინააღმდეგობებით, რომლებიც უპირატესად თავს იჩენს ტრანზიტულ ქვეყნებში. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი, რომელიც დღეს მრავალი რთული პრობლემის წინაშე დგას.

საერთაშორისო დარგობრივი კლასიფიკაციის მიხედვით, პირველად სექტორად აღიარებულია სოფლის მეურნეობა, მეორე სექტორად ინდუსტრია, ხოლო მესამე სექტორში გათვალისწინებულია მომსახურება.

საქართველოს სოფლის მეურნეობა ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია, ის მატერიალური წარმოების უმნიშვნელოვანესი დარგია, რომლის დანიშნულებაა მოსახლეობის მომარაგება კვების პროდუქტებით, ნედლეულის წარმოება მრწეველობის მრავალი დარგისთვის. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: მიწათმოქმედება და მეცხოველეობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში რაციონალურად შეიძლება გამოვიყენოთ ინვესტიციები, საექსპორტო-საიმპორტო სისტემები, ტექნოლოგიური სიახლეები და სხვ., რაც გლობალიზაციის ელემენტებს შეადგენს. აქ ძირითად პრიორიტეტებად შეიძლება გამოვყოთ დიდი ტრადიციებისა და ფართო პოტენციური შესაძლებლობების პერსპექტივების მქონე დარგები, როგორიცაა: მევენახეობა და ნიშანდობლივ, სამრეწველო მევენახეობა, ასევე სამრეწველო მეხილეობა და სუბტროპიკული მიწათმოქმედების ძირითადი დარგები, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა და მათ ბაზარზე მომუშავე კვების მრეწველობის დარგები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული პოზიციის ჩამოყალიბებისას აღსანიშნავია, რომ შრომის ინტეგრირების კოოპერირებისა და საერთაშორისო საზოგადოებრივი დანაწილების, როგორც დღევანდელი, ისე თვალსაწიერი პერსპექტივის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მისი სპეციალიზაცია ისტორიულ-ტრადიციული მოდელიდან დიდ და რადიკალურ გადახრას არ ექვემდებარება.

საქართველოს სოფლის მეურნეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სპეციფიკური ბუნებრივი და ეკონომიკური პრობლემები. ქვეყანაში ყველაფერი უნდა გაკეთდეს აგრობიზნესის განვითარებისათვის, რისთვისაც ხელსაყრელი გარემო იქმნება მსოფლიოში სურსათის გაძვირების ტენდენციის ჩამოყალიბების გამო. სასურსათო პროდუქციის წარმოების მოცულობების გაზრდის მიზნით, ჩვენი ბიუჯეტი კიდევ უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პროცესებში.

მრავალი ბუნებრივი, კლიმატური, შრომითი თუ სხვა სახის ფაქტორი, შედარებით დაბალი გადასახადები, იაფი მუშა-ხელი, იაფი უძრავი ქონება და ა.შ. საქართველოს აძლევს იმის საშუალებას, რომ არა თუ შემოიტანოს, არამედ თავად გაიტანოს მრავალი სახის პროდუქცია. ეს შეიძლება იყოს აგრარული და მათი გადამუშავებით მიღებული სამრეწველო პროდუქცია, ფარმაცევტული საქონელი, ელექტროენერგია და სხვ. ასევე დიდი საექსპორტო შემოსავლები მიიღოს ტურისტული, ფინანსური, სატრანსპორტო და ა.შ. მომსახურებით.

როდესაც ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდასა და სამამულო პროდუქციით ადგილობლრივი ბაზრის გაჯერებაზე ვსაუბრობთ, უნდა ვიზრუნოთ მათი ხარისხის გაუმჯობესებაზეც, თუ ნაწარმი ვერ დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებსა და სტანდარტებს, რომლითაც მათ ევროკავშირი და ცივილიზებული სამყარო უყენებთ, ისინი საერთაშორისო ბაზარზე თავის ადგილს ვერ იპოვიან.

თანამედროვე პირობებში საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიები იქცნენ საზოგადოების საქმიანი ურთიერთობების ახალ ენად, ბიზნეს-წრეების უმთავრეს საფუძვლად. მათ სახე უცვალეს მსოფლიო ეკონომიკურ წყობას, შექმნეს მენეჯმენტისა და მარკეტინგის ახალი საფუძვლები, დააჩქარეს საქონ-

ლისა და მომსახურების განახლება, სტიმული მისცეს გლობალური პროცესების განვითარებას და სხვადასხვა ქვეყნის სამეურნეო ურთიერთდაახლოებას. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის კომპიუტერიზაციას და მათ ინტერნეტში ჩართვას. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს სწორედ აღნიშნულ მაჩვენებელზეა თანამედროვე მსოფლიოში დიდწილად დამოკიდებული შრომის მწარმოებლურობის ზრდა.

ყველაზე უმთავრესად კი, ჩვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, უპირველეს საქმედ უნდა ჩაითვალოს შიდა ბაზრის განვითარება. ამისათვის ჩვენი დევიზი უნდა გახდეს გამოთქმა „იაზროვნე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად“. ეროვნული ეკონომიკისათვის ეს დევიზი ნიშნავს ვიფიქროთ მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ჩვენს როლსა და ადგილზე, მაგრამ უწინარეს ყოვლისა ავაშენოთ საკუთარი ეკონომიკა. ეს კი იმ მექანიზმების გარეშე, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ავამოქმედოთ საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი, შეუძლებელია. ამისათვის საჭიროა, რომ თვითდასაქმებულები, ასევე მცირე ბიზნესი ფლობდეს ინფორმაციას მსოფლიო და შიდა ბაზრის მიმდინარე ტენდენციებზე, სარგებლობდეს საბანკო მომსახურებით და სადაზღვევო სისტემით და დაცული იყვნენ კანონმდებლობით. აუცილებელი არის, რომ როგორც მცირე ისე საშუალო და მსხვილი ბიზნესის საქმიანობა გამომდინარეობდეს საქართველოს მაკროეკონომიკური პრობლემატიკიდან. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს ეკონომიკის გაძღოლის სახელმწიფოებრივმა ძალისხმევამ, ანუ ეკონომიკურმა პოლიტიკამ. სწორი, მოქნილი და მრავალმხრივ ინტერესთა შეთანხმების ბაზაზე წარმართული ეკონომიკური პოლიტიკა უნდა გახდეს ჩვენი განვითარენის უმთავრესი გარანტი.

ბიზნესის გლობალიზაციის თანამედროვე თავისებურებების გათვალისწინებით, მცირე ტერიტორიების მქონე ქვეყნებისათვის, და მათ შორის საქართველოსთვისაც, განვითარების თვალსაზრისით, წინა პლანზე უნდა წამოიწიოს საზოგადოების ცივილიზაციური და ინსტიტუციური რესურსების მნიშვნელობამ, სულიერ-კულტურულმა განვითარებამ, რაც ამავდროულად, მსოფლიოს ცივილიზაციის საგანძურის შემადგენელი ნაწილია.

Business Globalization and Economic Development Opportunities of Georgia

The main trend of Modern Foreign- Economic Activities is globalization. The total order of globalization Creates large states and so they Adjusting there Competition. Globalization has its own laws , Some of them are merciless. Those who can not endure it , will be experienced failure. At first we must Take care of globalization and on the other hand we must use proper of his opportunities.

Naturely, Globalizarion Process doesn’t develop with only one model. In this regard, Georgia is not an exception too. Which attracted worldwide attention for its originality despite the problems.

In Georgia there are many areas and direction for activate the globalization. Thats why is important to study regularity of the new Global Business Development and the socio - economic development priority of Country. Georgia must correctly analyze the process of economy, pay close attention to competitiveness requirements and Feel the pulse of world Economic Development. The development of the internal market is main case.

In the foreground should be importance of Society of Civilization and The importance of importance of institutional resources.

რეგიონთაშორისი ურთიერთობების ინფრასტრუქტურის განვითარებაში ინსტიტუციონალური გარემოს მნიშვნელობა

ნაირა გალახვარიძე, *ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
ეკა ივანიშვილი, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეგიონებისა და მისი ეკონომიკური კავშირების განვითარება ძირითადად განისაზღვრება არა მხოლოდ ბუნებრივი სანედლეულო რესურსების არსებობით, სამრეწველო, სამეცნიერო-ტექნიკური და შრომითი პოტენციალით, არამედ რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარებითაც, რაც უზრუნველყოფს ამ კავშირებს. რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ინფრასტრუქტურა წარმოადგენს საერთო საბაზრო ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს, რომლის გარეშეც შეუძლებელია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ან მისი ცალკეული ტერიტორიული წარმონაქმნის ფუნქციონირება.

გამოიყოფა საბაზრო ინფრასტრუქტურის ორი მხარე. პირველ რიგში, მისი მატერიალურ-საგნობრივი შემადგენლობა, ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც ქმნის ბაზრების სისტემის (სასაწყობე შენობები და ნაგებობები, სავაჭრო ფართობები, სავაჭრო-სასაწყობე მოწყობილობები, ბირჟის, კომერციული ბანკების შენობები და ნაგებობები და ა.შ.) ფუნქციონირების პირობებს. მეორე რიგში, ესაა ეკონომიკური ურთიერთობები ბაზრის სუბიექტების საქმიანობის კუთხით, რაც მიმართულია სასაქონლო და ფულადი მიმოქცევის პირობების შექმნაზე. ამ ურთიერთობათა მატარებელს წარმოადგენს საბაზრო ინფრასტრუქტურა.

საბაზრო ინფრასტრუქტურა მატერიალურ-საგ-ნობრივი შემადგენლობის მიხედვით იყოფა ორ ქვესისტემად: პირველი წარმოდგენილია წარმოების პროცესის მომსახურე დარგების ერთობლიობით, ხოლო მეორე დარგებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მზა პროდუქციის შეუფერხებელ გადაადგილებას მომხმარებლამდე. სწორედ საბაზრო ინფრასტრუქტურის მეორე ფუნქცია – საქონლის ეფექტური გადაადგილება რეგიონის ფარგლებს გარეთ გასაღების ბაზარზე, შეადგენს რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთქმედების ინფრასტრუქტურის არსს.

რეგიონთაშორისი ეკონომიკური კავშირების ინფრასტრუქტურა, შეადგენს რა საბაზრო ინფრასტრუქტურის ნაწილს, წარმოადგენს კარკასს, რომელზეც იგება რეგიონალური ბაზრების სისტემა. რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ფულად-სასაქონლო მიმოქცევის ციკლს, ხელს უწყობს რა რეგიონების ეკონომიკაში მატერიალური, ფინანსური, შრომითი და საინფორმაციო ნაკადების ბრუნვის დაჩქარებას.

რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთქმედების ინფრასტრუქტურის ყოველმხრივი შესწავლა განაპირობებს მისი ფორმირებისა და ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტის განხილვის მიმართ სისტემური მიდგომის აუცილებლობას. რეგიონთაშორისი ეკონომიკური კავშირების ინფრასტრუქტურულ კომპლექსს, როგორც რთულ საორგანიზაციო-ეკონომიკურ სისტემას გააჩნია მის შემადგენლობაში შემავალი ელემენტების ურთიერთკავშირები და ურთიერთდამოკიდებულებები და ის ურთიერთქმედებაშია რეგიონის ეკონომიკის სხვა ქვესისტემებთან.

რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის ინფრასტრუქტურის კლასიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი სახით:

ფუნქციური ნიშნის მიხედვით გამოიყოფა: სავაჭრო-საშუამავლო, საინფორმაციო-კომერციული, საკრედიტო-საფინანსო, ეკონომიკურ-სამართლებრივი, შრომითი გაცვლის ინფრასტრუქტურა.

დარგობრივი ნიშნის მიხედვით გამოიყოფა: სავაჭრო, მომარაგებით-საყოფაცხოვრებო, დამზადების, ფინანსური, საკრედიტო, სადაზღვევო, საინფორმაციო-გაანგარიშებითი ინფრასტრუქტურა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციების ინფრასტრუქტურა, კომერციული საქმიანობის ინფრასტრუქ-ტურა.

ბაზრების მომსახურების ნიშნის მიხედვით ინფრასტრუქტურა შეიძლება დაიყოს უნივერსალური ხასიათის საერთო საბაზრო ინფრასტრუქტურად, რომელიც ემსახურება რამოდენიმე განსხვავებულ ბაზარს (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საკონსულტაციო, სააუდიტორო ფირმები, საინფორმაციო ცენტრები და ა.შ.) და ინფრასტრუქ-ტურა, რომელიც ემსახურება ცალკეულ ბაზრებს (სამომხმარებლო, ფინანსური, უძრავი ქონების ბაზარი და ა.შ.).

ტერიტორიული ნიშნის მიხედვით რეგიონთაშო-

რისი თანამშრომლობის ინფრატრუქტურა იყოფა:

- ნაციონალურად (აუდიტორული პალატა, კომერციული ბანკები და ეროვნული დანიშნულების ბირჟა, საინვესტიციო-ფინანსური კომპანიები და ა.შ.);

- რეგიონთაშორისად (რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის ასოციაციები, მეწარმეთა და მრეწველთა კავშირები, საბითუმო ვაჭრობის რეგიონთაშორისი ასოციაციები, რეგიონთაშორისი დანიშნულების საბითუმო-საშუამავლო კომპანიები);

- რეგიონალურად (სავაჭრო-შემსყიდველი ორგანიზაციები, კომერციული ბანკები და რეგიონული დანიშნულების ბირჟები, რეგიონული საინვესტიციო ფონდები და ფინანსური კომპანიები, სავაჭრო სახლები, ბაზრის ტევადობისა და მოთხოვნის შემსწავლელი საინფორმაციო ცენტრები);

- საქალაქოდ და რაიონულად (საბითუმო და წვრილ-საბითუმო ფირმები, მარკე-ტინგული ფირმები, სარეკლამო სააგენტოები, უძრავი ქონების გაყიდვის სააგენტოები, საადვოკატო კანტორები, აუდიტორული ფირმები და ა.შ.).

საკუთრების ფორმების მიხედვით რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერქმედების ინფრასტრუქტურა შეიძლება დაიყოს:

- კერძო, კოოპერაციული, სახელმწიფო საკუთრების ფორმის ინფრასტრუქტურად;

- ინფრასტრუქტურად, რომელიც იმყოფება საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებაში (მაგალითად, კომერციული ბანკების ასოციაცია, მცირე საწარმოების კავშირი და სხვა ორგანიზაციები და მათი რეგიონული განყოფილებები);

- ინფრასტრუქურად, რომელიც ეკუთვნის უცხოელ მესაკუთრეებს (უცხოური ბანკების ფილიალები, სავაჭრო ფირმების წარმომადგენლობები და სხვ.) ;

- შერეული ფორმის საკუთრების ინფრასტრუქტურად.

ინფრასტრუქტურის კლასიფიკაციას შეიძლება დაემატოს:

მისი განვითარების დონის მიხედვით:

- ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში შექმნილი ინფრასტრუქტურა, რომელიც საჭიროებს ცვლილებებს ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით;

- ახალი, ფორმირებადი ინფრასტრუქტურა;

- ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურა, რომელიც პასუხობს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ინფრასტრუქტურის განხილვა მიზანშეწონილია განხორციელდეს ორი ურთიერთდაკავშირებული ნაწილის – რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის რეალიზაციის ინფრასტრუქტურისა და რეგიონების ურთიერთქმედების რეგულირების ინფრასტრუქტურის სახით.

რეგიონების ეკონომიკური ურთიერთქმედების ეფექტურობის შეფასებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინფრასტრუქტურის ბაზის მატერიალურ-ტექნიკურ მდგომარეობას ან მის ეკონომიკურ პოტენციალს. რეგიონთაშორისი თანამშრომლობის რეგიონული ინფრასტრუქტურის ეკონომიკური პოტენციალი წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური ობიექტების სისტემას, რომლებიც განსაზღვრავენ რეგიონული ბაზრის შევსებას სხვადასხვა სახის საქონლით, რესურსების ბრუნვადობის სიჩქარეს და გაწეული მომსახურების ხარისხს. საბაზრო ინფრასტრუქტურის ეკონომიკური პოტენციალი მოიცავს სასაწყობე შენობებს, საცავებს, სავაჭრო და საგამოფენო-საბაზრობო მოედნებსა და მოწყობილობას, სპეციალიზირებულ ტრანსპორტს, ტარა-საკონტეინერო მეურნეობას, დატვირთვა-დაცლის საშუალებებსა და მექანიზმებს, ბირჟების შენობებსა და მოწყობილობას, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების სავაჭრო-გამანაწილებელ ცენტრებს, კომერციული ინფორმაციის დამუშავების საშუალებებს, სატელეკომუნიკაციო ქსელებს, საარბიტრაჟო სასამართლოებს, საკონსულტაციო ცენტრებს, საადვოკატო და სანოტარო კანტორებს, შრომის ბირჟას და ა.შ.

რეგიონთაშორისი ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს ბრუნვის დანახარჯების შემცირება, კერძოდ, მისი იმ შემადგენელის, როგორიცაა ტრანსაქციური დანახარჯები. სამეცნიერო პუბლიკაციებში ნაჩვენებია, რომ სასაქონლო ბაზრების განუვითარებელ სტრუქტურას მეწარმეები მიყავს ზედმეტ დანახარჯებამდე კონიუნქტურის შესწავლაზე, კონტრაგენტების ძიებაზე, ხელშეკრულებების გაფორმებასა და დადებაზე, საქონლის ტრანსპორტირებაზე და მის დასაწყობებაზე ანუ იზრდება ტრანსაქციური დანახარჯები.

რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთქმედების თანამედროვე ინფრასტრუქტურული კომპლექსის ფორმირება რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც გულისხმობს, როგორც მართვის ცენტრალური, ასევე რეგიონული ორგანოების, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების, რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ასოციაციების, მეწარმეთა და მრეწველთა კავშირების აქტიურ მონაწილეობას. მხოლოდ პროცესის ყველა დაინტერესებული მონაწილის ძალისხმევის გაერთიანება იძლევა საშუალებას შეიქმნას რეგიონთაშორისი ეკონომიკური

თანამშრომლობის ეფექტური და კონკურენტუნარიანი საბაზრო ინფრასტრუქტურა.

ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად რეგიონების ეკონომიკური ურთიერთქმედების ინფრასტრუქტურის ობიექტების შემადგენლობა, სტრუქტურა და ამოცანები მუდმივად განიცდის ცვლილებასა და სრულყოფას. ინფრასტრუქტურაში სულ უფრო მეტი ადგილი ეთმობა მრავალფუნქციურ ობიექტებს, ისეთებს, როგორიცაა სავაჭრო-სამრეწველო პალატები, რომლებიც მეწარმეებს საშუამავლო, საინფორმაციო, სამართლებრივი მომსახურების ფართო გამას სთავაზობენ. ეკონომიკური განვითარების პირობებში ინფრასტრუქტურის ზოგიერთი ობიექტი განიცდის ევოლუციას, ადრინდელ ფუნქციებს ანაცვლებს რა ახლით. ასე, მაგალითად, რეგიონთაშორისი გაცვლის ინფრასტურქტურის დინამიკურად განვითარებად ელემენტს წარმოადგენს საბითუმო ბაზრობები და გამოფენები. ბოლო ხანებში ხდება მათი ფუნქციებისა და ამოცანების თვალსაჩინო ცვლილება. სპეციალისტები აღნიშნავენ ბაზრობების, როგორც გარიგებათა ორგანიზებისა და კონტრაქტების დადების მექანიზმის როლის შემცირებას. უპირატესი ხდება საქონლისა და მომსახურების ბაზრების მდგომარეობის, მწარმოებლებისა და მომხმარებლების განზრახვისა და პერსპექტიული გეგმების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება.

ბოლო წლებში აქტიურად ვითარდება ინტერნეტ-კომერცია, რომელიც აღწევს ინფრასტრუქტურის ყველა ელემენტში. მისი ფორმირება, როგორც ფუნქციური, ასევე რეგიონული კუთხით ჯერ არ დასრულებულა. ინტერნეტ-კომერციის განვითარება მნიშვნელოვნად შლის ზღვარს სავაჭრო-საშუამავლო და საინფორმაციო ინფრასტრუქტურებს შორის.

რეგიონთაშორისი ეკონომიკური კავშირების სავაჭრო-საშუამავლო ინფრასტრუქტურა მოიცავს საბითუმო ვაჭრობის ასოციაციებს, საბითუმო-საცალო საწარმოებს, რეგიონულ კომერციულ ცენტრებს, საშუამავლო სავაჭრო-შემსყიდველ ორგანიზაციებს, ბაზრობებს, ბირჟებს, საბირჟო საწყობებს, საბროკერო ფირმებსა და კანტორებს და ა.შ.

სავაჭრო-საშუამავლო ინფრასტრუქტურის ძირითად ელემენტს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობის საწარმოები.

დღეისათვის ქვეყანაში ჩამოყალიბდა და მოქმედებს საცალო ვაჭრობის მრავალარხიანი და მრავალრგოლიანი სისტემა, რომელშიც სჭარბობენ წვრილი ფირმა-შუამავლები, რაც იწვევს საქონლის არაკომპლექსურ და არარეგულარულ მიწოდებას, მიმოქცევის დანახარჯების ზრდას და საბოლოო ჯამში, ფასების უსაფუძვლო ზრდას. შედეგად საბითუმო რგოლის, როგორც ბაზრის ძირითადი რეგულატორის როლი მნიშვნელოვნად დაკარგულია, რაც ვლინდება საბითუმო ბაზრისთვის საქონლის რესურსის ფორმირებაზე საბითუმო ორგანიზაციების გავლენის შემცირებაში, სამამულო საქონლის მწარმოებელთა პროდუქციის გასაღების ორგანიზებაზე.

საცალო ვაჭრობაში პროდუქციის მიწოდებაში წამყვანი ადგილი უჭირავთ თვითონ საქონლის მწარმოებლებს, რომლებიც მსხვილი საბითუმო შემსყიდველების არარსებობისას იძულებულნი არიან შექმნან სავაჭრო სახლები და გასაღების სხვა სტრუქტურები. მიწოდების თითქმის მეათედ ნაწილს ახორციელებენ საცალო საწარმოები: ეს ძირითადად ქსელური სტრუქტურებია.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციების შემადგენლობაში მცირე საწარმოების წილი მაღალია, საშუამავლო ფირმების, ფიზიკური პირების და მცირე საბითუმო საწარმოების მიერ საქონლის მიწოდების საერთო წილი მთლიან მოცულობაში იქნება საკმაოდ მაღალი-40 %-ზე მეტი. ეს უნდა შეფასდეს, როგორც საქონელმოძრაობის ჩამოყალიბებული სისტემის უარყოფითი მომენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ არასასურსათო ბითუმის საორგანიზაციო-ტექნიკური მდგომარეობა, მისი სასაწყობე ინფრასტრუქტურა, კლიენტთა მომსახურების ფორმები და მეთოდები, საქონლის მიწოდების ტექნოლოგია არსებითად ჩამორჩება ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს და სრულად ვერ უზრუნველყოფს საცალო საქონელბრუნვის და შესაბამისი საქონლის მოწოდების ზრდის პერსპექტიული ამოცანების გადაწყვეტას. ამ პირობებში სამომხმარებლო საქონლის ბაზრის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია ეფექტური საბითუმო ვაჭრობის, კომპლექსური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებაზე, რომელსაც ფართო მასშტაბით და ნაკლები დანახარჯებით შეუძლია უზრუნველყოს საცალო საქონელმომარაგება და სხვადასხვა საქონლის რეგიონთაშორისი გაცვლა.

საცალო ვაჭრობაში მცირე საწარმოებისა და ბაზრების დომინირება მოწმობს იმაზე, რომ ქვეყანასა და რეგიონებში ცივილიზებული სამომხმარებლო ბაზრის ჩამოყალიბების პროცესი საკმაოდ ნელა მიდის და არ შეესაბამება მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების ორგანიზების თანამედროვე მოთხოვნებს.

მცირე საწარმოები და ბაზრები, ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით (ფინანსური საშუალებებისა და კვალიფიცირებული კადრების ნაკლებობის, შეზღუდული ინფრასტრუქტურული შესაძ-

ლებლობების გამო), ვერ უზრუნველყოფენ საქონლის ფართო არჩევანს მომხმარებლებისთვის, ვაჭრობის ორგანიზებისა და მომსახურების ხარისხის მაღალ დონეს, სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების, კერძოდ, საქონლის მარაგის გაყიდვის აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემის გამოყენებას, მარკეტინგული კვლევებისა და სარეკლამო ღონისძიებების ჩატარებას, კადრების კვალიფიცირებულ მომზადებასა და გადამზადებას.

რეგიონთაშორისი თანამშრომლობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სავაჭრო ბირჟებს. ბირჟა ასრულებს რეგიონულ დონეზე მოთხოვნისა და მიწოდების კონცენტრაციის ფუნქციას, ახორციელებს რა მის მთავარ მიზანს-ვაჭრობის ორგანიზებას.

უცხოური და ადგილობრივი საქონლის ბირჟების მუშაობის არსებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საბირჟო ვაჭრობა ზრდის საქონელბრუნვას და გადასახადების აკრეფას, აყალიბებს ფასწარმოქმნის მექანიზმს, ეკონომიას უწევს სახელმწიფო სახსრებს, იცავს ბაზრის სუბიექტებს საფასო რისკებისგან, ხელს უწყობს ვაჭრობის გაჯანსაღებას სურსათით, იღებს ბრუნვიდან აღურიცხავ და უხარისხო პროდუქციას, ზღუდავს ნაღდი ფულის მიმოქცევას, ამცირებს კრიმინალური სტრუქტურების მონაწილეობას კომერციულ ურთიერთობებში და მათ ზემოქმედებას ბაზრის სუბიექტებზე.

სავაჭრო–საშუამავლო ხასიათის ინფრასტრუქტურის ეფექტურ ელემენტს წარმოადგენს სავაჭრო სახლები. სავაჭრო სახლების მიზნები და ამოცანები მდგომარეობს შემდეგში:

- მთავრობისთვის დახმარების გაწევა ახალი უცხოელი ინვესტორების მოზიდვაში ქალაქისთვის საინტერესო პროექტებში მონაწილეობისთვის;
- დახმარების გაწევა ორგანიზაციებისათვის გამოფენების ჩატარებაში, საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, ქვეყნის მოქალაქეებთან ხელშეკრულებებისა და კონტრაქტების დადებასა და რეალიზაციაში;
- ქვეყნის საქმიან და ფინანსურ წრეებში ინფორმაციის გავრცელება ქალაქის, რეგიონის არსებულ და პოტენციურ შესაძლებლობებზე;
- კომერციული ორგანიზაციების შექმნა სააქციო საზოგადოებებსა და სხვა ორგანიზაციებში მონაწილეობისთვის,რომელთასაქმიანობაცშეესაბამება სავაჭრო სახლების მიზნებსა და ამოცანებს.

საბითუმო ვაჭრობის საწარმოების ქსელის განმტკიცებისთვის მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობის ასოციაციების შექმნა. ამგვარი ასოციაციები გავლენას ახდენენ წარმოებასა და საცალო ვაჭრობაზე, როგორც შუამავალ რგოლზე და ახორციელებენ რეგიონთაშორისი კავშირების უზრუნველყოფისთვის აუცილებელ რიგ ფუნქციას:

- ორგანიზებას უკეთებენ საქონლის შემოსვლას წარმოების რაიონებიდან მოხმარების რაიონებში;
- განსაზღვრავენ საქონელმოძრაობის ყველაზე რაციონალურგზებს,აჩქარებენსაქონლისბრუნვადობას, ამცირებენ შუამავლების რიცხვს, აღწევენ მიმოქცევის დანახარჯების მაქსიმალურ ეკონომიას;
- მოთხოვნის გადახდისუნარიანობის შესწავლის საფუძველზე მონაწილეობენ საწარმოების სამრეწველო პროგრამების ჩამოყალიბებაში, აქეზებენ რა მწარმოებლებს საქონლის ასორტიმენტის უწყვეტი განახლებისა და ახალი სახის საქონლის ათვისებისკენ;
- ახდენენ ფართო ასორტიმენტის საქონლის კონცენტრაციას, რომელთაც უშვებენ სხვა რაიონის საწარმოები, ახორციელებენ საქონლის პარტიის დაკომპლექტებას, გარდაქმნიან რა საწარმოო ასორტიმენტს სავაჭროდ.

საბითუმო ვაჭრობის ასოციაციები და საბითუმო-საცალო საწარმოები უზრუნველყოფენ წარმოებისა და მოხარების სფეროების უფრო მჭიდრო ურთიერთქმედებას, ახდენენ რეგიონები-მიმწოდებლებსა და რეგიონები-პროდუქციის მომხმარებლებს შორის შუალედური რგოლის ლიკვიდაციას. ამასთან დაკავშირებით, საბითუმო ვაჭრობის კომერციულად აქტიური ასოციაციები, საბითუმო-საცალო საწარმოები ხდებიან რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის ინფრასტრუქტურის უმთავრესი რგოლები.

საბითუმო ვაჭრობის ასოციაციებთან და საბითუმო-საცალო საწარმოებთან ერთად ვითარდება საქონელბრუნვის სხვა სტრუქტურებიც, ისეთები, როგორიცაა სამრეწველო საწარმოებისა და გაერთიანებების ფილიალები და საბითუმო ფირმები; მსხვილი ფირმების დილერები; საცალო ვაჭრობის შემსყიდველი ორგანიზაციები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამამზადებელი საბითუმო ფირმები. აქვე მოხსენიებული უნდა იქნეს დამოუკიდებელი აგენტების, დისტრიბუტორების და საქონლის ბროკერების მუშაობაც.

სავაჭრო-საშუამავლო ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რეგიონალურ კომერციულ ცენტრებს, რომლებიც წარმოადგენენ სპეციალიზირებულ ორგანიზაციებს და რომლებიც ბაზრების, წარმოებისა და გასაღების პროფესიონალური შესწავლის საფუძველზე კლიენტებს ურჩევენ და სთავაზობენ გარიგების ოპტიმალურ ვარიანტებს. კომერციული ცენტრების საქმიანობა მოიცავს საწარმოების, ორგანიზაციებისა და კერძო ფირმებისთვის

საშუამავლო მომსახურებას საბითუმო ბაზრობებზე საქონლის ყიდვა-გაყიდვის კუთხით, სააგენტოს პუნქტების, კომივოიაჟის სამსახურის ქსელის და ასევე საინფორმაციო მომსახურების შეთავაზების მეშვეობით. ეს ცენტრები გამოდიან საბითუმო მოვაჭრეების სახით, საკუთარ თავზე იღებენ კომერციულ რისკებს, ახოციელებენ საკომისიო ვაჭრობას, აწყობენ საბითუმო ბაზრობებსა და აუქციონებს, მონაწილეობენ საბირჟო ვაჭრობაში.

რეგიონალური კომერციული ცენტრები დებენ კონტრაქტებს სხვადასხვა საწარმოსთან, ფირმასთან. ამ ცენტრების მიერ გაწეულ მომსახურებათა ჩამონათვალშია პროდუქციის გასაღების ორგანიზება, რეკლამა, საქონლის დემონსტრაცია ცენტრის სავაჭრო დარბაზებში, გამოფენების ჩატარება, ცენტრისთვის პროდუქციის ნიმუშების შეთავაზება მომხმარებლებისთვის დემონსტრაციისა და ლიზინგის საფუძველზე გადაცემისთვის და ა.შ. რეგიონალური კომერციული ცენტრები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს რეგიონთაშორისი გაცვლის ორგანიზებაში რეგიონალური ბაზრების ასორტიმენტის გაფართოების, მოსახლეობის სასაქონლე პროდუქციისადმი მოთხოვნის უფრო სრული დაკმაყოფილების მიზნით. ცენტრები ხელს უწყობენ პროდუქციის მიმწოდებლებს შორის ეკონომიკური კონკურენციის განვითარებას, ურთიერთხელსაყრელი სამეურნეო კავშირების გაფართოებას.

თუმცა საბითუმო ვაჭრობის ჩამოყალიბებული სისტემა არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. განმტკიცებას საჭიროებს საბითუმო ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. იგრძნობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასაწყობე შენობების დეფიციტი, გაუმჯობესებას მოითხოვს საბითუმო და საცალო ვაჭრობის ურთიერთქმედება ლოგისტიკის განვითარების საფუძველზე. ყოველივე ეს უარყოფითად აისახება საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვაზე.

თანამედროვე ეტაპზე სხვადასხვა საწარმოს და საბითუმო ვაჭრობის საქონელგამტარი ორგანიზაციების განვითარების განზოგადების შედეგად შეგვიძლია გამოვყოთ საქონელმოძრაობის შემდეგი ყველაზე პერსპექტიული სტრუქტურები.

მსხვილი სპეციალიზირებული საბითუმო სტრუქტურები. არასასურსათო საქონლით საბითუმო ვაჭრობის სისტემის საფუძველს წარმოადგენს მსხვილი და საშუალო საბითუმო ორგანიზაციები, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან გარკვეული საქონლის ჯგუფის საბითუმო ვაჭრობაზე და უკავიათ ძირითადი ხვედრითი წილი საბითუმო ბრუნვაში. მათი ამოცანაა რიგი პროდუქციის ფართო ასორტიმენტის ფორმირება სხვადასხვა წყაროდან და საქონლის პარტიის საცალოდ კომპლექტური სახით მიწოდების უზრუნველყოფა.

ასეთი საბითუმო სტრუქტურების ორი ტიპი იქმნება:

1. ორდონიანი რეგიონთაშორისი საბითუმო ბაზები ცენტრალური ოფისითა და საწყობით ქალაქში და ფილიალებით-რეგიონებში. ეს ბაზები საქმიანობის შინაარსით წარმოადგენენ კომპლექტატორებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლის რთული ასორტიმენტის მიწოდებას სრულიად განსხვავებული კომპლექტაციით მაღაზიებისა და რეგიონების მოთხოვნის მიხედვით. ასეთი ბაზები ორიენტირებულია ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის, ელექტროსაყოფაცხოვრებო ტექნიკის, სამეურნეო საქონლის საბითუმო ვაჭრობაზე.

2. საბითუმო ვაჭრობის ცენტრები. ის შეიძლება იყოს ორი სახის. პირველი სპეციალიზირებულია და ჩართულია სამრეწველო ჯგუფის შემადგენლობაში. მეორე წარმოადგენს დამოუკიდებელს და მას შეუძლია მოიცვას ერთიანი სამომხმარებლო კომპლექსის საქონლის სხვადასხვა ჯგუფი: ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, საოჯახო მეურნეობა, სპორტი და დასვენება, სახლი და ინტერიერი და ა.შ.

ამ ცენტრების განმასხვავებელი შტრიხი მდგომარეობს იმაში, რომ მათში ერთი ქოლგის ქვეშ თავსდება სასაწყობე და საგამოფენო ზონები. საგამოფენო ზონა ამავდროულად ემსახურება სავაჭრო მიზნებს და მუდმივი საბითუმო ბაზრობების ჩატარებას. ამ ამოცანის გადასაწყვეტად მუდმივად ახლდება საგამოფენო ასორტიმენტი და ამიტომ მყიდველებს (საბითუმოსა და საცალოს) ეძლევათ შესაძლებლობა მუდმივად განაახლონ შეკვეთის ასორტიმენტის სტრუქტურა და ის მოარგონ ბაზრის მოთხოვნებს.

გამანაწილებელი ცენტრების ქსელი. მსხვილი საცალო სავაჭრო ქსელების გამოჩენა იწვევს მაღაზიების საქონელმომარაგების რაციონალიზაციის აუცილებლობას ერთიანი საწყობის მეშვეობით. რამდენადაც პირდაპირი მიწოდება მაღაზიებში მოითხოვს დამატებით სასაწყობე შენობებს უშუალოდ მაღაზიებში, უფრო ეფექტურს წარმოადგენს საქონლის მსხვილი პარტიის მიწოდება კომპანიის ცენტრალური საწყობისთვის (გამანაწილებელი ცენტრი), საქონლის მაღაზიებში შემდგომი რიტმული მიწოდებით.

წვრილსაბითუმო მაღაზია-საწყობების ქსელი "კეშ ენდ კერი". ამგვარი სახის ყველა მაღაზია საწყობი სულ უფრო მეტად ვრცელდება და ემსახურება არასასურსათო საქონლის წვრილ საბითუმო მყიდველებს (კორპორატიულ კლიენტებს და დამოუკიდებელ მაღაზიებს). მაღაზია-საწყობები წარმოადგენენ წვრილსაბითუმო ვაჭრობის ორგანიზების პერსპექ-

ტიულ ფორმას არასასურსათო საქონლის მთელი ჯგუფისთვის: საყოფაცხოვრებო ქიმია, სამეურნეო საქონელი ჭურჭელი, საკანცელარიო საქონელი, გალანტერეა.

საქონლის სხვადასხვა ჯგუფის საბითუმო-სავაჭრო გაერთიანებები. ბოლო ათწლეულში საზღვარგარეთის ქვეყნებში საქონლის გასაღების ორგანიზებაში გაძლიერდა ინტეგრაციული პროცესები, რომლის ერთ-ერთი გამოვლინებაა საბითუმო-საცალო გაერთიანებების შექმნა.

საინფორმაციო-კომერციული ინფრასტრუქტურა. რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის საინფორმაციო-კომერციული ინფრასტრუქტურა წარმოადგენს სამეურნეო სუბიექტების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ რეგიონების ურთიერთქმედებას ინფორმაციის ოპერატიული შეგროვების, შენახვის, დამუშავებისა და გადაცემის გზით, მათ შორის, ახალი ტექნოლოგიებისა და საბაზრო მექანიზმების გამოყენების მეშვეობით.

ეკონომიკური თანამშრომლობის საინფორმაციო-კომერციულ ინფრასტრუქტურას განეკუთვნება: სარეკლამო სააგენტოები, რეგიონული მარკეტინგული ცენტრები, კომერციული ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გადაცემის ცენტრები, კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციების ფირმები. ბოლო წლებში საინფორმაციო-კომერციულ ფუნქციებს რეგიონების თანამშრომლობაში სულ უფრო მეტად ასრულებენ გამოფენები და ბაზრობები საქონლის, მომსახურების გაწევის შესახებ კომერციული ინფორმაციის აქტიური გავრცელების ხარჯზე.

რეგიონთაშორისი თანამშრომლობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განვითარება განპირობებულია საქონელსა და მომსახურებაზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის კვალიფიცირებული და საფუძვლიანი პროგნოზირების აუცილებლობით მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლებისა და რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით.

რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს სარეკლამო საქმიანობა, რომელიც მოიცავს საქონლის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას სხვადასხვა ფორმით. ეს შეიძლება იყოს მწარმოებელთა პირადი კონტაქტი მომხმარებლებთან, სავაჭრო შუამავლებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და ასევე გამოფენებზე, ბაზრობებზე საქონლის დემონსტრაცია და ა.შ. ამასთან, სარეკლამო სააგენტოების საინფორმაციო ფუნქცია ერწყმის წარმოებასა და მიმოქცევის სფეროებს შორის მათი შუამავლის ფუნქციას, რამდენადაც მყიდველთა ახალი მოთხოვნების ჩამოყალიბება რეკლამის გავლენით ახალ სტიმულს აძლევს წარმოებას და განსაზღვრავს მისი განვითარების ტემპებს.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად აქტიურად განვითარდა სარეკლამო მომსახურებაც. გაჩნდა მრავალი სარეკლამო სააგენტო, რომლებიც აქტიურად კონკურირებენ ერთმანეთთან.

რეკლამა წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურად განვითარებად დარგს, რომელიც ასრულებს მარკეტინგულ და სოციალურ ფუნქციებს, ხელს უწყობს გაყიდვების მოცულობის ზრდას, მოსახლეობის მზარდი მსყიდველუნარიანობის დაკმაყოფილებას. სარეკლამო საქმიანობა ასევე გავლენას ახდენს რეგიონთაშორისი კავშირების გაფართოებაზე, ხელს უწყობს სამამულო საქონლის რეგიონულ ბაზრებზე უფრო აქტიურ წინსვლას.

ამასთან, სარეკლამო საქმიანობის ეფექტურობა ჯერ კიდევ არასაკმარისია მოცულობის მიხედვით, არ შეესაბამება საუკეთესო უცხოურ ნიმუშებს, არათანაბარზომიერადაა განვითარებული ქვეყნის რეგიონების მიხედვით, უპირველეს ყოვლისა, კონცენტრირდება რა დიდ ქალაქებში.

რეგიონთაშორისი თანამშრომლობის განვითარებაში სულ უფრო შესამჩნევი როლი ეკუთვნის საინფორმაციო-კომერციული ინფრასტრუქტურის ისეთ შედარებით ახალ ფორმებს, როგორიცაა რეგიონთაშორისი მარკეტინგული ცენტრები.

რეგიონთაშორისი მარკეტინგული ცენტრების სისტემის საქმიანობა მოიცავს რამოდენიმე კომპონენტს, რომელთა შორისაცაა:

- საორგანიზაციო საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს პირდაპირი ორმხრივი ხელშეკრულებების დადებას ქვეყნის ცალკეულ რეგიონებსა და დედაქალაქს შორის, პირდაპირი რეგიონთაშორისი სამეურნეო კავშირების დალაგებას, სალიზინგო ოპერაციების ურთიერთქმედების ორგანიზებას, ერთობლივი სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების შექმნას ადგილობრივი რესურსების გამოყენებით, მჭიდრო თანამშრომლობას მეწარმეებთან, მათ კავშირებთან და გაერთიანებებთან;
- საინფორმაციო საქმიანობა, რომელიც მოიცავს საინფორმაციო მხარდაჭერის ორგანიზებას და ფართო სპექტრის საინფორმაციო მომსახურების გაწევას საწარმოებისა და მეწარმეებისთვის, მომსახურებისა და საქონლის მწარმოებელი საწარმოების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და სისტემატიზაციას რე-

გიონებში, სხვადასხვა სახის თანამშრომლობით დაინტერესებული საწარმოების მონაცემთა სპეციალიზირებული ბაზის ფორმირებასა და მხარდაჭერას, მათ შორის საწარმოების ინტერესებიდან გამომდინარე სუბსანარდო სიტემის შექმნისთვის;

- სარეკლამო-მარკეტინგული საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს მომსახურების გაწევას საქონლის გასაღებისა და გადაადგილების დაგეგმვის დარგში, რეგიონული საინვესტიციო პროექტების შეფასებას და მისი შედეგების სისტემატიზაციას, მცირე და საშუალო ბიზნესის გამოფენა-ბაზრობების ჩატარებას რეგიონებში, საქონლის ბაზრების მარკეტინგულ კვლევებს და მათი შედეგების შეთავაზებას საწარმოებისთვის, რეგიონული საწარმოების სარეკლამო კამპანიის დაგეგმვას და მათი მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებას, საწარმოების საექსპერტო პოტენციალის ოპტიმიზაციას.

რეგიონთაშორისი თანამშრომლობის საინფორმაციო-კომერციული ინფრასტრუქტურის განვითარებაში საკუთარი წვლილი შეაქვთ სუბკონტრაქტაციის ცენტრებს, რომლებიც ხელს უწყობენ მსხვილ საწარმოებსა და მცირე მეწარმეებს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბებას, რაც საშუალებას აძლევს საწარმოებს მიაღწიონ წარმოების მაღალ ეფექტიანობას არსებული სიმძლავრეების რაციონალური და არსებული რესურების უფრო სრულყოფილი გამოყენების წყალობით.

ინტეგრაციის პროცესების განვითარებასთან ერთად სულ უფრო მნიშვნელოვან როლს რეგიონთაშორისი თანამშრომლობის საინფორმაციო-კომერციულ ინფრასტრუქტურაში თამაშობს საგამოფენო-საბაზრობო საქმიანობა.

საგამოფენო-საბაზრობო საქმიანობა გამოდის რეგიონების ეკონომიკური ურთიერთქმედების გაფართოების და ეკონომიკური ზრდის ეფექტური საშუალების სახით. ის უზრუნველყოფს ბაზრის მობილურობას, ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის მოცულობის ზრდას მწარმოებლების ახალ ბაზრებზე გაყვანის, პროდუქციის მომხმარებელთა წრის გაფართოების გზით. გარდა ამისა, გამოფენები და ბაზრობები ქმნიან საჭირო საინფორმაციო ველს ეკონომიკური კავშირების გასაღრმავებლად, ახდენენ მნიშვნელოვანი ფინანსური ნაკადის აკუმულირებას, რასაც მოაქვს დამატებითი შემოსავლები ყველა დონის ბიუჯეტში, მათ შორის, რეგიონულ დონეზეც.

საფინანსო-საკრედიტო ინფრასტრუქტურა. რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის საფინანსო-საკრედიტო ინფრასტრუქტურა განეკუთვნება მთლიანად საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავდროულად რთული ელემენტების რიცხვს.

საფინანსო-საკრედიტო ინფრასტრუქტურა მოიცავს ისეთ ინსტიტუტებს, როგორიცაა ბანკები, მათ შორის, რეგიონთაშორისი საკლირინგო ცენტრები, სადაზღვევო დაწესებულებები, მიკროსაფინანსო სტრუქტურები, საკრედიტო დაწესებულებები. ამ ინსტიტუტების მთავარი დანიშნულებაა რეგიონთაშორის და დარგთაშორის დონეზე კაპიტალის ხელახლა გადანაწილების უზრუნველყოფა, ამით კი რეგიონების ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისთვის ხელშეწყობა.

საფინანსო-საკრედიტო ინფრასტრუქტურის ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს კომერციული ბანკები. მათი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს თავისუფალი ფინანსური რესურსების აკუმულირება და კრედიტირების, დაფინანსებისა და ანგარიშსწორების პროგრესული ფორმების საფუძველზე დაჩქარდეს საბრუნავი სახსრების ბრუნვადობა, ამაღლდეს რენტაბელობა.

ჩამოყალიბდა კომერციული ბანკების რეგიონთაშორისი თანამშრომლობის რამოდენიმე ფორმა. საბანკო სფეროში ყველაზე გავრცელებული მექანიზმი არის ბანკების მიერ საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარება. ფართო, რეგიონული საკორესპონდენტო ქსელი ბანკის არსებითი უპირატესობაა, რაც მას საშუალებას მისცემს სწრაფად განახორციელოს გადახდები ქვეყნის ტერიტორიაზე. ბანკების რეგიონთაშორისი თანამშრომლობის სხვა ფორმას წარმოადგენს ბანკების მიერ ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნა, შვილობილი ბანკების შექმნა სხვა რეგიონებში.

რეგიონების ბანკების რეგიონთაშორისი კავშირების ფორმას წარმოადგენს სტრატეგიული კავშირების დამყარება კონკრეტული პროექტების რეალიზაციისთვის, როგორც წესი, მსხვილი საინვესტიციო პროექტების განხორციელებისთვის, რომელთაც აქვთ რეგიონთაშორისი მნიშვნელობა, მათ შორის, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების შექმნის გზით.

რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის მონაწილეების-საწარმოებისა და ფირმების ფინანსური მოთხოვნების მრავალფეროვნებასთან, თავად საფინანსო-საკრედიტო ოპერაციების სხვადასხვა ხასიათთან დაკავშირებით აუცილებელია რეგიონთაშორის ინფრასტრუქტურაში ისეთი ფინანსური ორგანიზაციების არსებობა, რომლებიც ემსახურებიან,

როგორც მსხვილ საწარმოებს, ასევე მცირე ბიზნესს. მსხვილი ბიზნესის მომსახურე საფინანსო ინსტიტუტებს განეკუთვნება: კომერციული ბანკები და მათი გაერთიანებები, საინვესტიციო ფონდები და სხვა სტრუქტურები. მცირე მეწარმეობის მომსახურებით დაკავებულია მიკროსაფინანსო სტრუქტურები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა ეკონომიკური რისკის ხარისხი მნიშვნელოვნად იზრდება, ხშირად სამეურნეო სუბიექტებს, რომელთაც განიცადეს წარუმატებლობა ან ფორსმაჟორული გარემოებების შემთხვევაში ესაჭიროებათ ფინანსური დახმარება. ამ მხარდაჭერას ახორციელებენ დამოუკიდებელი სადაზღვევო კომპანიები და ორგანიზაციები. სადაზღვევო კომპანიები წარმოადგენენ საწარმოების, ორგანიზაციების, ფირმებისა და ცალკეული მეწარმეების მყარი განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, ხელს უწყობენ რეგიონული ეკონომიკის ზრდას, რეგიონთაშორისი სამეურნეო კავშირების გაფართოებას.

სამეცნიერო კვლევებში გამოიყოფა სადაზღვევო ორგანიზაციების რამოდენიმე სახე, რომლებიც მოქმედებენ სადაზღვევო მომსახურების რეგიონულ დონეზე:

- სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც უშუალოდ დებენ დაზღვევის ხელშეკრულებებს;
- გადამზღვეველი ფირმები, რომლებიც შესაბამისი ანაზღაურების ხარჯზე საკუთარ თავზე იღებენ დიდი რისკების ნაწილს;
- შუამავლები მზღვეველებსა და დასაზღვევებს შორის; მზღვეველთა სხვადასხვა გაერთიანება.

ეკონომიკურ-სამართლებრივი ინფრასტრუქტურა. რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება და სამამულო საქონლის წარმატებული წინსვლა რეგიონულ ბაზრებზე გულისხმობს ორგანიზაციების განვითარებული ქსელის არსებობას, რომელიც მეწარმეებს ემსახურება საქონლისა და მომსახურების ხარისხის დადგენის, სამომხმარებლო პრეტენზიების ექსპერტიზის, ლიცენზირების, სერტიფიკაციის, კატეგორირების, ეკონომიკური დავების გადაწყვეტის, სამართლებრივი კონსულტაციების გაწევის კუთხით და ა.შ.

რეგიონთაშორისი ურთიერთქმედების ეკონომიკურ-სამართლებრივ ინფრასტრუქტურას განეკუთვნება: საკონსულტაციო კომპანიები, სტანდარტიზაციის, სერტიფიკაციის, ლიცენზირების ორგანოები, ლაბორატორიები, საცდელი სადგურები და ცენტრები, რომლებიც დაკავებულნი არიან პროდუქციის (საქონლის და მომსახურების) ხარისხისა და უსაფრთხოების ექსპერტიზით, საარბიტრაჟო სასამართლოები, სამართლებრივი საკონსულტაციო ცენტრები, საადვოკატო და სანოტარო კანტორები.

თანამედროვე პირობებში რეგიონთაშორისი ურთიერთქმედების ინფრასტრუქტურის განვითარების დროს საკმაოდ მნიშვნელოვანია ინსტიტუციონალური გარემოს ყველა შემადგენელის: ფორმალური წესების; არაფორმალური წესების; კულტურული ტრადიციებისა და ფასეულობების გათვალისწინება.

ფორმალურ წესებს განეკუთვნება კანონები, სამართლებრივი აქტები, ხოლო ცალკეული კომპანიების დონეზე-მათ მიერ საქმიანი კონტრაქტების დადება. რეგიონთაშორის ეკონომიკურ თანამშრომლობასთან მიმართებაში ესაა ორმხრივი შეთანხმებები და ხელშეკრულებები ცალკეულ სუბიექტებს შორის.

არაფორმალური წესები წარმოდგენილია სოციალური ნორმებით, ხოლო სუბიექტების დონეზე-მათი საქმიანი შეთანხმებებით. ფორმალურ და არაფორმალურ წესებს შორის მჭიდრო კავშირის დროს არსებობს მათ შორის პრინციპული განსხვავებაც. მხარეთა პირობები არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში ურთიერთქმედების დროს ისინი ვალდებულნი არიან შეასრულონ დადებული ხელშეკრულების, პირობების შეუსრულებლობისას საქმე წყდება საარბიტრაჟო სასამართლოში. არანაკლებია სოციალური ნორმის დაცვის ფასი, რომლის შესაბამისადაც არ შეიძლება შეთანხმების პირობების დარღვევა, რამდენადაც ეს ნიშნავს ადგილობრივი ხელმძღვანელობის, მხარის ან ქალაქის ადმინისტრაციის პრესტიჟის დაკარგვას.

არაფორმალური წესები ეყრდნობა კულტურულ ტრადიციებსა და ფასეულობებს, რომლებიც უკავშირდებიან ქცევის მყარი პრაქტიკის აღდგენას, რომელიც ჩვევადაა ქცეული და გამჯდარია ადგილობრივ ადათ-წესებში. ამ ტრადიციის გათვალისწინება საკმაოდ მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით, რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის დაგეგმვასა და განვითარებაში. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ინსტიტუციონალური დონეების განვითარების სისწრაფე ყოველთვის ერთნაირი როდია. კანონები და სამართლებრივი აქტები შეიძლება საკმაოდ სწრაფად წარმოიქმნას (მაგალითად, კანონპროექტი შეიძლება მიიღოს მთავრობამ ორი ან სამი მოსმენით), ხოლო არაფორმალურ წესებსა და მითუმეტეს, ტრადიციებს გააჩნია დიდი ინერცია და ძნელად ექცევა ცვლილებების ქვეშ. აქედან გამომდინარეობს მისაღები შეთანხმებების, ხელშეკრულებების დაბალი ეფექტურობა.

რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ინფრასტრუქტურის კომპლექსის შექმნის მნიშვნელოვან პრინციპს

წარმოადგენს ამ პროცესში სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი სტრუქტურების (ეკონომიკური ურთიერთქმედების რეგიონთაშორისი ასოციაციების, მეწარმეთა კავშირების და ა.შ.) ერთობლივი მონაწილეობა. ასეთი ურთიერთქმედება იძლევა შესაძლებლობას მოხდეს საზოგადოებრივი ინიციატივის მობილიზება მნიშვნელოვანი სახელმწიფო ამოცანების გადაწყვეტაზე, მათ შორის, რეგიონების ინტეგრაციის პროცესების განვითარებისა და გაღრმავების კუთხით. ამასთან, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს როლი რეგიონთაშორისი ურთიერთქმედების დარეგულირებასა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში უნდა დარჩეს საკმაოდ მნიშვნელოვანი. ეს რეგულირება ეხება, როგორც, უპირველეს ყოვლისა, სამამულო მწარმოებლების საქონლის მიწოდების ჩამოყალიბებას, ასევე მკვეთრად დიფერენცირებული შემოსავლების მქონე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სახელმწიფო გავლენას ახდენს ინფრასტრუქტურის ცალკეული ელემენტების დაბალანსებულ განვითარებაზე მიზნობრივი პროგრამების ინვესტირების, კრედიტებისა და ყოველგვარი შეღავათების შეთავაზების გზით ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მოსაზიდად.

რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის ინფრასტრუქტურის წარმატებული განვითარება ასევე გულისხმობს აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში. ამასთან, ამ პროცესში მათი როლი იზრდება.

ამდენად, ამ ეტაპზე აუცილებელია სახელმწიფო სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეთანხმებული მოქმედება ინფრასტრუქტურის ყველა ელემენტის დაბალანსებული განვითარების უზრუნველყოფაში, ხელსაყრელი ინსტიტუციონალურ–სამართლებრივი სფეროს შექმნა მსხვილი რეგიონთაშორისი საინვესტიციო პროექტების რეალიზაციისთვის.

რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის ინფრასტრუქტურის განვითარების კომპლექსურობის მიმართ მოთხოვნები გაიზრდება მოხმარების, მიმოქცევისა და ფინანსურ სფეროებში გლობალიზაციის დაჩქარების პროცესში.

რეგიონთაშორისი ურთიერთქმედების კომპლექსური ინფრასტრუქტურის შექმნის ამ მიმართულებების რეალიზაცია მოითხოვს ყველა რესურსის კონცენტრაციას და მართვის ორგანოს ყველა დონის შეთანხმებულ მოქმედებას. მოძრაობა უმჯ-ბესია ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ ზომების განხორციელებით და შუალედური მიზნებისა და საზღვრების მიღწევით. მიზნები უნდა იყოს ამბიციური და ამავდროულად, რეალური. საქართველოს წინაშე დგას ორი ერთმნიშვნელოვანი ამოცანა: შექმნას ინფრასტრუქტურის საუკეთესო ნიმუშები და ხელი შეუწყოს მათ დროულ დანერგვას რეგიონებში. მხოლოდ ამ პირობის დროს შეიძლება იყო კონკურენტუნარიანი გლობალურ სამყაროში.

დასკვნები

რეგიონებისა და მისი ეკონომიკური კავშირების განვითარება განისაზღვრება არა მხოლოდ ბუნებრივი სანედლეულო რესურსების არსებობით, სამრეწველო, სამეცნიერო-ტექნიკური და შრომითი პოტენციალით, არამედ რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარებით, რაც უზრუნველყოფს ამ კავშირებს. რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ინფრასტრუქტურა წარმოადგენს საერთო საბაზრო ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს, რომლის გარეშეც შეუძლებელია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ან მისი ცალკეული ტერიტორიული წარმონაქმნის ფუნქციონირება.

საქონლის ეფექტური გადაადგილება რეგიონის ფარგლებს გარეთ გასაღების ბაზარზე, შეადგენს რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთქმედების ინფრასტრუქტურის არსს.

რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთქმედების ინფრასტრუქტურის ყოველმხრივი შესწავლა განაპირობებს მისი ფორმირებისა და ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტის განხილვის მიმართ სისტემური მიდგომის აუცილებლობას. რეგიონთაშორისი ეკონომიკური კავშირების ინფრასტრუქტურულ კომპლექსს, როგორც რთულ საორგანიზაციო-ეკონომიკურ სისტემას გააჩნია მის შემადგენლობაში შემავალი ელემენტების ურთიერთკავშირები და ურთიერთდამოკიდებულებები და ის ურთიერთქმედებაშია რეგიონის ეკონომიკის სხვა ქვესისტემებთან.

თანამედროვე პირობებში რეგიონთაშორისი ურთიერთქმედების ინფრას-ტრუქტურის განვითარების დროს საკმაოდ მნიშვნელოვანია ინსტიტუციონალური გარემოს ყველა შემადგენელის: ფორმალური წესების; არაფორმალური წესების; კულტურული ტრადიციებისა და ფასეულობების გათვალისწინება.

ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად რეგიონების ეკონომიკური ურთიერთქმედების ინფრასტრუქტურის ობიექტების შემადგენლობა, სტრუქტურა და ამოცანები მუდმივად განიცდის ცვლილებასა და სრულყოფას. ინფრასტრუქტურაში

სულ უფრო მეტი ადგილი ეთმობა მრავალფუნ-ქციურ ობიექტებს.

თანამედროვე პირობებში აუცილებელია სახელ-მწიფო სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი ორგა-ნიზაციების შეთანხმებული მოქმედება ინფრასტრუქ-ტურის ყველა ელემენტის დაბალანსებული განვი-თარების უზრუნველყოფაში, ხელსაყრელი ინსტი-ტუციონალურ–სამართლებრივი სფეროს შექმნა მსხვილი რეგიონთაშორისი საინვესტიციო პროექ-ტების რეალიზაციისთვის.

ლიტერატურა

1) ბარათაშვილი ე, ჯოლია გ, გრძელიშვილი ნ, მამალაძე ი, სეხნიაშვილი დ, ჩახვაშვილი დ,– ეკონომიკის სახელმ-წიფო რეგულირება. თბილისი 2012 წ. I– I I წიგნი.
2) ბარათაშვილი ე., გალახვარიძე ნ., გრძელიშვილი ნ., ნადარეიშვილი ნ. რეგიონული ეკონომიკა, თბ. 2010
3) ნ.ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი 1997 წ.
4) ბურდული ვახტანგ. სოციალური და ეკონომიკური განვითარების კოორდინაცია რეგიონალ და ლოკალურ დონეზე (საქართველოს მაგალითზე). გამომცემლობა ,,მერიდიანი", თბილისი, 2006 წ.
5) Гаврилов А.И. - Региональная экономика и управление. Юнити, Москва 2002 г.
6) Буров М.П. - Система регулирования экономического взаимодеиствия регионов. Издательско-торговая корпорация „Дашков и К“
7) Тургель И.Д. - Региональная экономика и управление. М. 2003 г.
8) П.И. Бурак, В.Г. Ростнец, А.В. Попилин - Инфраструктура межрегиального экономического сотрудничесва и императивы инновационного развития «экономика» 2009

SUMMARY

Development of regions and their economic relations is defined not only with the existence of natural raw material resources, industrial, scientific-technical and labor potential, but also with the development of infrastructure which provides the connections. The inter-regional cooperation infrastructure is the most important part of common market infrastructure without what it is impossible for any country's economy or its individual territorial entity to function.

Efficient movement of goods on the market outside the region is the essence of regional economic interaction infrastructure.

Comprehensive study of inter-regional economic interaction infrastructure leads to the needs of systematic approach to its formation and operation. Inter-regional economic interaction complex, as a complex organizational-economic system has an interdependence of its elements and its interactions are in mutual relations with region's other subsystems.

In modern terms it's very important to take into account all components of institutional environment: formal rules, informal rules, cultural traditions and values in inter-regional interaction infrastructure.

With the development of market relations in the country, the composition, structure and objectives of regional economic interaction infrastructure constantly change and improve. More and more meanings multi-functional objects have in infrastructure.

In modern conditions concerted actions of state structures and civil society organizations play necessary part in balanced development of all infrastructure elements, creation of favorable institutional-legal sphere for realization of large investment projects.

ხარისხის კონტროლის როლი მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა წუნის პროფილაქტიკაში

ნანა თხელიძე
მაია გრძელიძე

პროდუქციის ხარისხის მართვაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხარისხის კონტროლს, რომელიც უზრუნველყოფს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების პირობის სწორ გამოყენებას. ხარისხის კონტროლის დონეზე, მის ტექნიკურ აღჭურვასა და ორგანიზაციაზე ბევრად არის დამოკიდებული წარმოების ეფექტურობა.

პროდუქციის ხარისხის კონტროლის თანამედროვე მეთოდები სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, რომელიც საშუალებას იძლევა მინიმალური დანახარჯებით მივაღწიოთ ხარისხის მაჩვენებლების მაღალ სტაბილურობას,.

კონტროლი - ეს არის ინფორმაციის განსაზღვრის და შეფასების პროცესი, არსებული მნიშვნელობების გადახრის ან თანმთხვევის შედარება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და შედეგების ანალიზი. კონტროლი შეიძლება გაუკეთდეს მიზანს, გეგმის შესრულების მსვლელობას, პროცესის განვითარების პროგნოზს. მისი საგანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ საშემსრულებლო საქმიანობა, არამედ მენეჯერის მუშაობაც. საკონტროლო ინფორმაცია გამოიყენება რეგულირების პროცესში. ასე საუბრობენ დაგეგმვისა და კონტროლის გაერთიანების მიზანშეწონილებაზე მართვის ერთიან სისტემაში: დაგეგმვა, კონტროლი, ანგარიშგება, მენეჯმენტი [1].

კონტროლი ხორციელდება იმ პირების მიერ, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად არიან დაკავშირებული პროცესთან.

კონტროლის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს მზა პროდუქციის გამოცდა. გამოცდა - ეს არის ნაკეთობის ერთი ან რამოდენიმე მახასიათებლის განსაზღვრა ან გამოკვლევა ფიზიკური, ქიმიური, ბუნებრივი ან საექსპლუატაციო ფაქტორების ან პირობების ერთობლიობის ზემოქმედებით. გამოცდა მიმდინარეობს შესაბამისი პროგრამებით. მიზნისაგან დამოკიდებულებით არსებობს გამოცდის შემდეგი ძირითადი სახეები:

- წინასწარი გამოცდა - საცდელი ნიმუშების გამოცდა ნაკეთობის მიღების შესაძლებობების განსაზღვრისათვის;

- ნაკეთობის გამოცდა მიღებისათვის - საცდელი ნიმუშების გამოცდა წარმოებაში მათი დანერგვის შესაძლებლობების განსაზღვრისათვის;

- მიღება-ჩაბარების გამოცდა - ცალკეული ნაკეთობების გამოცდა დამკვეთზე მისი ჩაბარების შესაძლებლობის განსაზღვრისათვის;

- ტიპიური გამოცდა - სერიული ნაკეთობების გამოცდა კონსტრუქციაში ან ტექნოლოგიაში არსებითი ცვლილებების შეტანის შემდეგ.

გამზომი და გამოსაცდელი მოწყობილობების სიზუსტე ზემოქმედებს ხარისხის შეფასების საიმედობაზე, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი ხარისხის უზრუნველყოფა.

პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემა წარმოადგენს კონტროლის ობიექტებისა და სუბიექტების ურთიერდაკავშირებულ ერთობლიობას, ნაკეთობის ხარისხის შეფასების სახეების, მეთოდების და საშუალებების, ასევე პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის და ხარისხის მართვის სხვადასხვა ეტაპზე და დონეზე წუნის პროფილაქტიკა. კონტროლის ეფექტური სისტემა საშუალებას იძლევა ხშირ შემთხვევაში განახორციელოს დროული და მიზანმიმართული ზემოქმედება გამოშვებული პროდუქციის ხარისხის დონეზე, აიცილოს ყველა შესაძლო ნაკლი და შეფერხება მუშაობაში, უზრუნველყოს მისი ოპერატიული ზემოქმედება და ლიკვიდაცია რესურსების უმცირესი დანახარჯებით. ხარისხის მოქმედი კონტროლის დადებითი შედეგები შეიძლება გამოიყოს და ხშირ შემთხვევაში განისაზღვროს რაოდენობრივად პროდუქციის დამუშავების, წარმოების, ექსპლუატაციის (მომხმარებლის) და აღდგენის (რემონტის) სტადიაზე.

მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის წუნის ექსპერტიზა ნაკეთობის სახეების მიხედვით განსხვავებულია. საფეიქრო მასალების ხარისხის ექსპერტიზა ტარდება სახეების მიხედვით [2, 3, 4] სელის ქსოვილების ხარისხის განსაზღვრა ხდება ფიზიკო-მექანიკური თვისებებისა და გარეგანი წუნის მიხედვით, მხედველობაში მიიღება ყველაზე ცუდი მახასიათებელი.

ბამბის, სელის და შალის ქსოვილებისათვის მიღებულია ხარისხის ორი მაჩვენებელი I და II. აბრეშუმის ქსოვილებისათვის სამი I, II, III [2, 3, 4].

საერთო საჯარიმო ქულები ჯამდება ფიზიკო-მექანიკური თვისებების წუნის, გავრცელებული გარეგანი

წუნის და ადგილობრივი წუნის ქულების ჯამით. გავრცელებული ეწოდება წუნის სახეს, რომელიც ქსოვილის მთელ ნაჭერშია გავრცელებული.

I ხარისხის ქსოვილებში შესამჩნევი წუნები არ დაიშვება. II ხარისხის ქსოვილებში დასაშვებია არაუმეტეს ერთი გავრცელებული წუნისა.

ადგილობრივი ეწოდება წუნის სახეს, რომელიც გავრცელებულია ქსოვილის განსაზღვრულ მონაკვეთში. ადგილობრივი წუნისათვის საჯარიმო ქულების რაოდენობას ითვლიან პირობით სიგრძეზე [2]:

$$Б_f = \sum Б \frac{L_g}{L}$$

სადაც: ΣБ -საჯარიმო ქულების ჯამია, გარეგანი სახის წუნისათვის L სიგრძის ნაჭერში

$L_з$ - პირობითი ქსოვილის სიგრძე (ქსოვილის განის მიხედვით) სელის ქსოვილებისათვის სტანდარტებით განსაზღვრულია წუნის რაოდენობა 3 მ2 პირობით ფართობზე [71]:

$$n_f = n_a \frac{3 \cdot 10^3}{LS}$$

სადაც: $n_ф$ -ფაქტიური წუნის რაოდენობაა;

L- სიგრძე და S- ფართობი ქსოვილის ნაჭერში.

ქსოვილებში დაუშვებელია შემდეგი უხეში წუნი. ბამბის ქსოვილებში - ნახვრეტები, ქსელის ძაფის ჩავარდნა 1 სმ სიგრძეზე, 2 სმ-ზე ლაქა, უკმარნაბეჭი, ნაკერის ანაბეჭდი, ზოლები, ხაოს არ არსებობა 5 სმ სიგრძეზე.

სელის ქსოვილებში - ძაფის შესქელება, ძაფის შესქელება 9 სმ სიგრძეზე, მისაქსელის ძაფის ჩანაქსოვი (5 ძაფზე მეტი), მარყუჟები და ნასკვები, ქსოვილის დარღვევა, ნახვრეტები, ნაჩხვლეტები, ნარღვევები, ქსელწყვეტილები 3 ძაფის და მეტი, უკმარნაბეჭი 1 სმ სიგრძის, ქსელის ძაფის დარღვევა 1სმ სიგრძეზე, ზეთოვანი ლაქა 2 სმ სიგრძეზე, სხვადასხვა სისქის და ფერის ძაფის ზოლები, მოგლეჯილი ნაწიბური, მღებავი და საბეჭდი მანქანების გაჩერების დროს წარმოქმნილი ზოლები, ლაქები და დაჭუჭყიანებული ადგილები ღებვის დროს, დაჭუჭყიანება ქსოვილის უკუღმა პირზე, დასველებები, შეუღებვადობა, ლაქები 2 სმ ზომის, ქსოვილის დამწვრობა [2, 3].

შალის ქსოვილებში - ნახვრეტები, ნაჩხვლეტები, 3 სმ სიგრძის, ლაქები 2 სმ სიგრძეზე მეტი, ქსელის ძაფის გაწყვეტა და მკვეთრად გამოხატული უკმარნაბეჭი, მისაქსელის ძაფის ფერისა და სისქის სხვადასხვა ზოლები, ნაოჭები.

აბრეშუმის ქსოვილებში - ნახვრეტები, ხლართის წუნი 1 სმ სიგრძეზე, ლაქა 1 სმ სიგრძეზე მეტი, ზოლები ქსოვის განზე, გრეხვის წუნი, მღებავი და საბეჭდი მანქანების გაჩერების დროს წარმოქმნილი ზოლები, ნაჭდევი, ნაკერიდან ქსოვილის ნაჭდევი, ნაკერები, მისაქსელის ჩათრევა 5 სმ სიგანისა და 4 სმ სიგრძეზე მეტი, საღებავის ჩათრევა 4 სმ-ზე მეტი, ხაოს არ არსებობა მთელ სიგრძეზე. ზემოთ ჩამოთვლილი წუნები ექვემდებარება პირობით ამოჭრას.

გარეგან წუნებს განსაზღვრავენ ქსოვილის სახის მხარეს საწუნმდებლო მაგიდაზე ან გამზომ-საწუნმდებლო მანქანაზე. გავრცელებული წუნის სახეების ხარისხის შეფასებისათვის იყენებენ ნიმუშებს (ეტალონებს), რომლებიც შეთანხმებულია შემდგენელსა და მომხმარებელს შორის, არის СЭВРС4171-74 რეკომენდაციები, რომლებიც იძლევა ტერმინებს და განსაზღვრავენ გარეგანი წუნის სახეებს [2, 3].

ტრიკოტაჟისა და უქსოვადი ქსოვილების ხარისხს განსაზღვრავენ, როგორც ქსოვილებისას ,ფიზიკო-მექანიკური თვისებებისა და სტანდარტის ნორმების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია I და II ხარისხისათვის, აგრეთვე გარეგანი წუნის მიხედვით, აუცილებლად მიუთითებენ დაუშვებელ გარეგანი წუნის სახეს. მაგ. ГОСТ 17923 - მიხედვით ტილოს ქსოვილებსა და სელის ბოჭკოსათვის დაუშვებელია ნახვრეტები, მარყუჟის სვეტებში ამომნემსის სიცარიელე 2 სმ-ის სიგრძეზე [2].

წუნის სახეების დადგენა ხდება ნომენკლატურული მაჩვენებლებიდან გადახრის მიხედვით. როგორც ვხედავთ, არსებობს საფეიქრო ნაწარმზე წუნის სახეების მიხედვით ხარისხის მინიჭების და ნაწარმის ფიზიკო-მექანიკური თვისებების ნორმატიული პარამეტრებიდან გადახრის განსაზღვრის მეთოდები და ყველა ისინი გამოიყენება ნაწარმის შემდგომი გადამუშავების ტექნოლოგიურ პროცესებში.

შეკერილი ნაწარმის ხარისხის განსაზღვრა ხდება სამი მეთოდით – გარეგანი დათვალიერებით, ხაზების გაზომვით და ლაბორატორიული გამოკვლევით [2, 3].

შეკერილი ნაწარმის ხარისხის შეფასება გარეგანი დათვალიერებით წარმოებს ზედაპირის ან სარჩულის მხრიდან, რისთვისაც ახდენენ წყვილი დეტალების შედარებას, ცალკეული დეტალების გაზომვასა და გვირისტის სიხშირის განსაზღვრას ცალკეულ მონაკვეთზე მისი რაოდენობის დათვლით.

შეკერილი ნაწარმის ხარისხის შეფასება ხაზების გაზომვით გულისხმობს ზედა ტანსაცმლის დეტალების ხაზობრივი ზომების განსაზღვრას მანეკენებზე, მსუბუქი კაბებისა და თეთრეულის ნაწარმის კი მაგიდაზე.

რაც შეეხება ფეხსაცლის ხარისხის შეფასებას, მის სირთულეს განაპირობებს დეტალების სიმრავლე და ნაკეთობის აკრების რთული და მრავალგვარი ტექნო-

ლოგია. საფეხსაცმელე მასალები განსხვავებულია ნაკეთობაში მისი განლაგების (საზედაპირე და საძირე - შესაბამისად გარე, შიგა და შუალედი დეტალები) და დანიშნულების მიხედვით. ნაკეთობის აკრების პროცესი განსხვავებულია გამოყენებული მეთოდებისა და საშუალებების მიხედვით და დამოკიდებულია ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულების ნორმატივების სიზუსტეზე. ამიტომ ფეხსაცმლის ხარისხის შეფასება და კონტროლი ყველა ეტაპზე უნდა მიმდინარეობდეს - მასალის მიღებიდან მზა პროდუქციის მიღებამდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნამზადის დეტალების და ნამზადთან ძირის დაკავშირების ხარისხი, რადგან მათზე პირდაპირ არის დაკავშირებული ნაკეთობის მთლიანობა.

ხარისხის განსაზღვრა ლაბორატორიული გამოკვლეით გულისხმობს ნიმუშის შერჩევას ლაბორატორიული გამოკვლევისათვის, რომელსაც აწარმოებს უშუალოდ ექსპერტი, ნაწარმის შერჩევა ხდება სხვადასხვა ადგილებიდან და შერჩეული ნიმუშების რაოდენობა დამოკიდებულია საქონლის პარტიის სიდიდეზე. ნიმუში ირჩევა სამ ეგზემპლარად, ერთი ეგზავნება ლაბორატორიას ხარისხის მაჩვენებლის განსაზღვრისათვის, მეორე - მომწოდებელს, ხოლო მესამე საკონტროლო ინახება იმ შემთხვევისათვის, თუ საჭირო იქნება განმეორებით გამოკვლევის ჩატარება.

სამეურნეო საქმიანობაში საბაზრო პირობებში არსებითად იზრდება პროდუქციის ხარისხის კონტროლის სამსახურების როლი წარმოებაში წუნის პროფილაქტიკის უზრუნველყოფაში, იზრდება მისი პასუხისმგებლობა განხორციელებული შემოწმების უტყუარ და ობიექტურ შედეგებზე, რომ არ დაუშვას მომხმარებელზე დაბალი ხარისხის პროდუქციის მიწოდება.

წარმოების ტექნიკური კონტროლის სამსახურის საქმიანობის სრულყოფის აუცილებლობა განისაზღვრება მისი განსაკუთრებული ადგილით საწარმოო პროცესში. ამრიგად, აუცილებელია უშუალო სიახლოვე საკონტროლო ობიექტებთან და პროცესებთან.

პროდუქციის მომხმარებლების მიერ ნაკეთობის დეფექტის აღმოჩენა მოწმობს ტექნიკური კონტროლის სამსახურების არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე. კერძოდ, მაკონტროლებელი პერსონალის მხრიდან საჭირო დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის უქონლობით.

ტექნიკური კონტროლი, რომელიც მიმართულია საწარმოო პროცესების დაუბალანსებლობის და ნაკეთობის ხარისხზე წაყენებული მოთხოვნებიდან გადახრის წარმოშობის პრევენციისაკენ, უზრუნველყოფს წუნის პროფილაქტიკას, მის აღმოჩენას ტექნოლოგიური პროცესის ადრეულ სტადიაზე და რესურსების მინიმალური დანაკარგებით მის აღმოფხვრას უეჭველად მივყავართ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის და წარმოების ეფექტურობის ამაღლებისაკენ.

მეორე მხრივ, ხარისხის კონტროლის განყოფილების მიერ ნაკეთობის ხარისხის სტრატეგია და ობიექტური კონტროლი აფერხებს წუნის წარმოშობას მწარმოებელ-დამამზადებლის კარს მიღმა, განაპირობებს უხარისხო ნაკეთობების მოცულობის შემცირებას, ამცირებს ალბათობას იმისა, რომ დეფექტები აღმოჩნდეს უკვე აკრებილ ნაკეთობაში, შენახვის, გადატვირთვის და მომხმარებლამდე ტრანსპორტირების დროს.

საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილებების და მართვის საქმიანობის სრულყოფა ითვალისწინებს პირველ რიგში იმ ქვედანაყოფების შექმნას, განვითარებას და განმტკიცებას კოტროლის სამსახურების ჩარჩოებში, რომლებსაც უნარი აქვთ ეფექტურად გადაჭრან შემდეგი ამოცანები:

-წარმოებაში წუნის პროფილაქტიკის ღონისძიებების დამუშავება და რეალიზაცია, დამტკიცებული ტექნოლოგიურ პროცესების გადახრის წარმოშობის აღმოფხვრა, მუშაობაში ჩავარდნების თავიდან აცილება, რომელიც იწვევს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუარესებას;

- საჭირო მონაცემების მომზადება ფაქტიური მდგომარეობის და ძირითადი პირობების ცვლილებების შესახებ ინფორმაციის თანმიმდევრული, ცენტრალიზებული დამუშავების და მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების პირობებისათვის (მოწოდებული ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, მაკომპლექტებელი ნაკეთობების და ა.შ. ხარისხი, მოსამსახურეთა მუშაობის ხარისხი, საამქროებში და უბნებზე ტექნოლოგიური დისციპლინის მდგომარეობა და ა.შ.), ასევე ინფორმაცია გამოშვებული პროდუქციის ხარისხის მიღწეული დონის შესახებ;

- ნაკეთობის ხარისხის დინამიკის სპეციალური კვლევის ჩატარება მისი ექსპლუატაციის პროცესში, რომელიც იძლევა ეფექტურ საინფორმაციაო ურთიერთკავშირის ორგანიზაციას მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის პროდუქციის ხარისხის საკითხებზე;

- პროდუქციის ხარისხის კონტროლის სამსახურების საქმიანობის სხვადასხვა ასპექტების დაგეგმვა და ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი.

წუნის პროფილაქტიკის მიზნით ტექნიკური კონტროლის პროგრესული სახეების განვითარება განაპირობებს უპირველესად განსახორციელებელი საქმი-

ანობების აუცილებლობას:

- პროდუქციის ხარისხის კონტროლი მისი დამუშავების ეტაპზე;

- საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური და სხვა დოკუმენტაციის ნორმა-კონტროლი ახლადასათვისებელ და მოდერნიზებულ ნაკეთობაზე;

- ნედლეულის, მასალების, ნ/ფაბრიკატების, მაკომპლექტებელი ნაკეთობების და სხვა პროდუქციის შემავალი კონტროლი, რომელიც მიეწოდება კორპორაციულად და გამოიყენება საკუთარ წარმოებაში;

-ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვის კონტროლი საწარმოო ოპერაციების უშუალო შემსრულებლების მიერ;

- ძირითადი მწარმოებელ-მუშების, ბრიგადების, უბნების, საამქროების და წარმოების სხვა ქვედანაყოფების თვითკონტროლი.

კონტროლის ჩამოთვლილი სახეების სწორი გამოყენება უზრუნველყოფს მისი აქტიური ზემოქმედების მნიშვნელოვან ამაღლებას ნაკეთობის ხარისხის ფორმირების პროცესზე, რამდენადაც წარმოებაში ხორციელდება წუნის არა პასიური ფიქსაცია, არამედ მისი წარმოშობის პროფილაქტიკა.

კონტროლის ნაჩვენები სახეების გამოყენება საშუალებას იძლევა განხორციელდეს დადგენილი მოთხოვნების ნორმებიდან გადახრის დროული აღმოჩენა, ოპერატიული ზემოქმედება და პროდუქციის ხარისხის დაცემის სხვადასხვა მიზეზების აღმოფხვრა, მომავალში მათი განმეორების შესაძლებლობის აღკვეთა.

კონტროლს ექვემდებარება:

- წარმოებაში შემოტანილი ნედლეული, ძირითადი და დამხმარე მასალები, ნ/ფაბრიკატები, მაკომპლექტებელი ნაკეთობები;

- წარმოებული ნაკეთობები, დეტალები, ასაკრები ერთეულები;

- მზა ნაწარმი;

- მოწყობილობები, აღჭურვილობა, პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიური პროცესები.

ტექნიკური კონტროლის ძირითადი ამოცანები მდგომარეობს ხარისხიანი პროდუქციის გამოშვების უზრუნველყოფაში, ტექნიკურ პირობებსა (ТУ) და სტანდარტის (ГОСТ, ISO) მოთხოვნებთან შესაბამისობაში, წუნის გამოვლენასა და შესაძლებლობის მიხედვით კორექტირებაში, პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების გატარებაში.

დეფექტების ხასიათისაგან დამოკიდებულებით წუნი შეიძლება იყოს გამოსწორებადი და გამოუწორებელი (საბოლოო). პირველ შემთხვევაში, შესწორების შემდეგ ნაკეთობა შეიძლება გამოყენებულ იქნას დანიშნულებისამებრ. მეორე შემთხვევაში - ტექნიკური შესწორება პრაქტიკულად შეუძლებელი ან ეკონომიურად მიზანშეუწონელია. ამიტომ საჭიროა მათი ანალიზი, რისთვისაც გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, რომელთაგან სტატისტიკური მეთოდები წუნის გამოვლენის სრულყოფილ სურათს იძლევა.

ტექნოლოგიური პროცესების კონტროლისათვის საჭიროა გადაწყდეს ტექნოლოგიური პროცესის სიზუსტის და სტაბილურობის სტატისტიკური ანალიზის ამოცანები და მათი სტატისტიკური რეგულირება. ამასთან, ეტალონად მიღებულია დაშვებები საკონტროლებელ პარამეტრებზე, რომელიც მოცემულია ტექნოლოგიურ დოკუმენტაციაში, და ამოცანა მდგომარეობს ამ პარამეტრების დასაშვებ ზღვრებში მკაცრ დაცვაში. შეიძლება დაისვას ასევე ოპერაციების შესრულების ახალი რეჟიმების ძიების ამოცანა წარმოების საბოლოო შედეგის ხარისხის ამაღლების მიზნით.

ჩვეულებრივ, მონაცემების ანალიზისათვის გამოიყენება ხარისხის კონტროლის შვიდი, ე.წ. სტატისტიკური მეთოდი: მონაცემების დაყოფა დონეებად (ფენებად) (სტრატიფიკაცია); გრაფიკები; პარეტოს დიაგრამა; მიზეზ-შედეგობრივი დიაგრამა (ისიკავას ან „თევზის ჩონჩხის“ დიაგრამა); საკოტროლო ფურცელი და ჰისტოგრამა; გაბნევის დიაგრამა; საკონტროლო რუქები [1].

პარეტოს დიაგრამა წარმოადგენს სქემას, რომელიც იგება კლებადობის მიხედვით რანგირებული დისკრეტული ნიშნების დაჯგუფების საფუძველზე (მაგ. გამოვლენის სიხშირის მიხედვით) და უჩვენებს კუმულაციურ (დაგროვებულ) სიხშირეს (პარეტო - იტალიელი ეკონომისტი და სოციოლოგია, რომელიც თავის დიაგრამას იყენებდა იტალიის სიმდიდრეების ანალიზისათვის).

სტატისტიკური ანალიზის მეთოდს პარეტოს დიაგრამის საშუალებით ასევე ხარისხობრივი მნიშვნელობების მეთოდსაც უწოდებენ, რომელიც მაქსიმალურ ეფექტს იძლევა იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა ხარისხის შემოწმება რამდენიმე ფაქტორის მნიშვნელობების მიხედვით. გარდა ამისა, ისინი გამოიყენებიან პრობლებური საკითხების მოგვარებისთვისაც. პარეტოს დიაგრამების საშუალებით შეიძლება გაანალიზდეს ნიმუშში აღმოჩენილი წუნის სახეები და მასთან დაკავშირებული დანაკარგები.

პარეტოს დიაგრამების ასაგებად მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ხარისხის შეფასებისათვის ჩატარებული კვლევების დროს გამოვიყენეთ წუნის სახეებისა და ფიზიკო-მექანიკური თვისებების მიხედვით შედარება. ცხრილში 1 მოცემულია წუნის სახეები ნიმუშების მიხედვით.

ცხრილი 1. წუნის სახეები

წუნის სახე	წუნის რაოდენობა n_i	მზარდი ჯამი Σn_i	$\Sigma I = n_i/\Sigma n_i$ *100%	მზარდი ჯამი Σn_i %
გარეგნული წუნის სახეები (1)	32	32	47	47
ნიმუშ-ეტალონთან შეუსაბამობა (2)	1	33	2	49
დაბალი ფიზიკო-მექანიკური მაჩვენებლები (3)	9	42	14	63
მარკირებისა და შეფუთვის დარღვევა (4)	18	60	26	89
სხვადასხვა (5)	7	67	11	100

ცხრილი 1-ის საფუძველზე ავაგეთ კუმულაციური მრუდი წუნის რაოდენობის მიხედვით (სურ. 1).



სურ. 1. წუნის ძირითადი სახეების განაწილება

სამომხმარებლო თვისებების მიხედვით წუნის განაწილება ნაჩვენებია ცხრილში 2, რის საფუძველზეც იგება მისი განაწილების დიაგრამა (სურ. 2).

ცხრილი 2. წუნის სახეები სამომხმარებლო თვისებების მიხედვით

წუნის სახეები სამომხმარებლო თვისებების მიხედვით	ნიმუშის რაოდენობა შემცირებული ხარისხით	მზარდი ჯამი ? n_i	?I =n_i/? n_i*100%	მზარდი ჯამი ? n_i %
ბოჭკოვანი შემადგენლობა	1	1	5	5
ქსოვილის სისქე	3	4	14	19
სიხისტე, დრეკადობა, დრაპირება	2	6	10	29
შეკლება	5	11	24	53

როგორც დიაგრამიდან (სურ. 1 და სურ. 2) ჩანს სამომხმარებლო თვისებების დინამიკა ასეთია: ჰაერგამტარებლობა (8), შეკლება (5), ელექტროსტატიკური მუხტი (4), ქსოვილის სისქე (3), სიხისტე, დრეკადობა, დრაპირება (2) და ბოჭკოვანი შემადგენლობა (1).



სურ. 2. წუნის განაწილების დიაგრამა

მასალების წუნის შეფასების შემდეგ ჩავატარეთ ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულების ხარისხის შეფასება მზა ნაწარმში (ცხრილი 3) და ავაგეთ შესაბამისი დიაგრამა (სურ. 3).

ცხრილი 3. ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულების წუნის სახეების მაჩვენებლები

წუნის სახეების მაჩვენებლები	ნიმუშის წუნის რაოდენობა	მზარდი ჯამი ? n_i	?I =n_i/? n_i *100%	მზარდი ჯამი ? n_i %
საყელოს ლაცკანის არასწორი გადაკეცვა	3	3	5	5
ჩამაგრების ნაკერის გამრუდება	9	12	14	19
ბორტების სიგრძეთა სხვადასხვაობა	2	14	3	21
სახელოს არათანაბარი განაწილება ჭრილში	2	16	3	24
ჯიბის ჭრილის ჩარჩო მოჭიმულია	5	21	8	32
შარვლის წელის სარშული ჩანს წაღმა მხარეს	2	23	3	35
შარვლის ბოლოზე თასმა არ არის დადებული	3	26	5	40
შუასადების მასლის დეფორმაცია	7	33	11	51
გააფორმებელი ნაკერის გადახრა	8	41	12	62
ნაკერში ძაფების დაწყვეტა	4	45	6	68
ძაფის გასქელება	3	48	5	65
ქსელწყვეტილი	2	50	3	68
სურათის აცდენა	3	53	5	73
შეუღებავი ადგილები	4	57	6	79
ლაქები	8	65	11	100



სურ. 3. ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულების წუნის განაწილების დიაგრამა.

დიაგრამიდან (სურ. 3) ჩანს, რომ ყველაზე მეტად გავრცელებულია 1) ჩამაგრების გვირისტის არარსებობის წუნი (9), 2) ლაქები (8) და გასაფორმებელი გვირისტის გადახრა (8), 3) შუასადები მასალის დეფორმაცია (7), 4) ჯიბის ჭრილის ჩარჩოს მოჭიმულობა (5), 5) შეუღებავი ადგილები (4) და ნაკერში ძაფების დაწყვეტა (4), 6) შარვლის ბოლოზე თასმა არ არის დადებული (3) და ძაფების გასქელება (3), სურათის აცდენა (3), საყელოს ლაცკანის არასწორი გადაკეცვა (3), 8) ბორტების სიგრძეთა სხვადასხვაობა (2), სახელოს არასწორი განაწილება ჭრილში (2).



სურ. 4. ერთობლიობაში ხარისხის დანაკარგი წუნის სახეებზე დამოკიდებულებით.

ამგვარად, ჩვენს მიერ გაანგარიშებული იქნა წუნის სახეზე დამოკიდებულებით ერთობლიობაში ხარისხის დანაკარგი და აგებული იქნა კუმულაციური დიაგრამა (სურ. 4), იგივე პარამეტრის მნიშვნელობა ცალეკეული ნაწარმის მიხედვით მოცემულია ცხრილში 4.

კვლევის ანალიზი აჩვენებს, რომ ყველაზე მეტი ფასის დანაკარგი (70%) მოდის მე-16 ნიმუშზე, ქალის კოფთა შეუღებავი ადგილების წუნით.

ამრიგად, პროდუქციის ხარისხის შეფასების სტატისტიკური მეთოდები საშუალებას გვაძლევს მასალებისა და ნაკეთობის წუნის სახეებზე დამოკიდებულებით მოვახდინოთ მზა ნაწარმის სამომხმარებლო თვისებების შემოწმება და დანაკარგების შეფასება, რომელიც თავის მხრივ გამოყენებულ უნდა იქნას წარმოებაში წუნის პროფილაქტიკისათვის. მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის დამზადების ყველა

ეტაპზე ხარისხის შეფასების მეთოდების სრულყოფა კონკურენტუნარიანი ნაწარმის დამზადების და შესაბამისად წარმოების ეფექტურობის ამაღლების აუცილებელი პირობაა.

ცხრილი 4. ხარისხის დანაკარგის კოეფიციენტის გაანგარიშება (ნიმუშების მიხედვით)

ნიმუშის №	წუნის რაოდენობა	სამომხმარებლო თვისებეის გაუარესება	ხარისხის დანაკარგის კოეფიციენტი	ფასის შემცირება %
1	3	2	1,5	15%
2	4	2	1,5	15%
3	2	1	2	20%
4	3	1	3	30%
5	2	1	3,5	35%
6	1	-	2	20%
7	1	-	1,5	15%
8	2	1	2	20%
9	2	1	2	20%
10	1	-	1,5	15%
11	2	1	3	30%
12	2	1	2	20%
13	1	-	2	20%
14	1	-	2	20%
15	2	1	1,5	15%
16	2	1	7	70%
17	2	-	3	30%
18	2	-	3	30%
19	2	-	3	30%
20	1	-	2	20%
21	1	-	2	20%

ლიტერატურა:

1. Ребрин Ю.И. Управление качеством. Таганрог: Изд-во ТРТУ, 2004. с. 230.
2. Соловьев А.Н., Кирюхин С.М. Оценка и прогнозирование качества текстильных материалов. – М: Легкая и пищевая промышленность, 1987, с. 268.
3. Соловьев А.Н., Кирюхин С.М. Оценка качества и стандартизация текстильных материалов. М: Легкая индустрия, 1974, с. 288.
4. Гущина К.Г, и др. Эксплуатационные свойства материалов для одежды и методы оценки их качества. –М: Легкая и пищевая промышленность. 1984.

Nana Tkhelidze, MaIa Grdzelidze

Quality control role in prevention of defects of production of light industry

SUMMARY

In article is discussed methods of prevention of defects of production of light industry and its value for production high-quality a product which provides quality of goods in the market and is an important condition for hanging economic the effect of production. The analysis and statistical assessment of types of defect of materials and finished product is carried out.

ტურიზმის სფეროს ფინანსირება და საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი საკითხები

ბესიკ ბარკალაია, *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
ზურაბ ვაშაკიძე, *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
ქეთევან ქაჯაია, *სტუ-ს ასისტენტ პროფესორი*

ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი გეგმებისათვის პირველყოვლისა გასათვალისწინებელია ეტაპურობა და მის საწყის ეტაპზე სამი ძირითადი ტიპის ფინანსირება. მათ მიეკუთვნება:

- ტურიზმის ეროვნული კონცეფციისა და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება (ეროვნული გეგმა);
- ტურიზმის განვითარების ზონების (მათ შორის რეგიონული) დეტალური დაგეგმარება;
- ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და ანალიზი განვითარების ზონებში, ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის ელემენტების მშენებლობების საწარმოებლად.

ზემოთ ჩამოთვლილი ტიპების ფინანსირება ძირითადად უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ (დასაშვებია ფინანსირება უზრუნველყოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმაც). გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ტურისტული ღირსშესანიშნაობების მოწყობის, წყალმომარაგებაკანალიზაციის, გზების, ელექტროენერგიის უზრუნველყოფის, საკომუნიკაციო და სხვა ნაგებობების ფინანსირება.

ერთობლივი ფინანსირების (სახელმწიფო და კერძო სექტორი) ობიექტი შესაძლებელია იყოს ადამიანის რესურსების განვითარება. მაგალითად, კადრების მოსამზადებელი ცენტრების შექმნა და სხვ.

უშუალოდ, კერძო ფინანსირების სექტორს მიეკუთვნება – სასტუმროების, რესტორნების, კაფე-ბარების, მაღაზიების მშენებლობა. აგრეთვე, სხვადასხვა საქმიანობა დაკავშირებული კონცესიებთან.

ტურიზმის განვითარების ფინანსირებისათვის არსებობს რიგი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, კერძოდ:

- რეკონსტუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი - ახორციელებს მსხვილმასშტაბიან ფინანსირებას სხვადასხვა პროექტებისათვის დაკავშირებულს ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, გარემოს დაცვასთან და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასთან, რომელიც პირდაპირ კავშირშია ტურიზმის განვითარებასთან;
- განვითარების საერთაშორისო ასოციაცია - ახორციელებს სხვადასხვა ქვეყნებისათვის დაბალპროცენტიან, შეღავათიანი კრედიტების გაცემას 10 წლის ვადით, სადაც მის მიერ დაფინანსების წილი შეადგენს 25 %;
- საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია - ახორციელებს კრედიტების გაცემას კერძო სექტორისათვის, მათ შორის, სასტუმროებისათვის და სხვა ტურისტული ობიექტების მშენებლობებისათვის;
- გაეროს განვითარების პროგრამის - ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ტექნიკური დახმარების აღმოჩენა განვითარებადი ქვეყნებისათვის. იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს ტურიზმის დაგეგმვის ფინანსირებისათვის და თავის საქმიანობას ახორციელებს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის შუამავლობით;
- გაეროს კაპიტალური განვითარების ფონდი - ახორციელებს წვრილმასშტაბიან ფინანსურ დახმარებას გრძელვადიანი კრედიტების სახით სოციალური ობიექტებისა და მომსახურების, აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის სახეობებისათვის;
- ევროპის კავშირი - ახორციელებს ტურიზმის სფეროში ტექნიკურ დახმარებას, რომელიც ეხება დაგეგმვას, მარკეტინგს, პროფესიულ მომზადებას და ინვესტიციებს;

ფინანსირების წყაროს საფუძველს შეიძლება ასევე, წარმოადგენდეს ორ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება, როდესაც ერთი სახელმწიფო გარკვეული პირობებით გამოუყოფს კრედიტს მეორეს, მიზანმიმართული საქმიანობისათვის.

გარდა ამისა, არსებობს რიგი ბანკებისა და ფონდებისა, რომლებიც სხვადასხვა პირობებით გასცემენ კრედიტებს ტურიზმის სფეროში გარკვეული საქმიანობისათვის. მაგ. ევროპის საინვესტიციო ბანკი (მარკეტინგი, კონცესიები); ევროპის განვითარების

ფონდი (ადამიანთა რესურსების ინსტიტუციური განვითარება, მარკეტინგის განვითარება და სხვ.); რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპის ბანკი (მარკეტინგის განვითარება) აგრეთვე, სხვა კერძო ფონდები.

ტურიზმის სფეროს საინვესტიციო პოლიტიკის ჭრილში, ინვესტიციების განხორციელების წინაპირობად აუცილებელია განხილულ იქნას ქვეყნის საინვესტიციო გარემო და მისი ფორმირების ფაქტორები, ხოლო აქედან, შესაძლოა გამოიყოს საინვესტიციო კლიმატზე მოქმედი ძირითადი:

- მაკროეკონომიკური ფაქტორები;
- ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი;
- საინვესტიციო პოტენციალი;
- საფინანსო-საკრედიტო პოტენციალი;
- ინფრასტრუქტურული პოტენციალი;
- სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური პოტენციალი;
- საკადრო პოტენციალი;
- საბაზრო გარემოს ფაქტორები;
- სოციალური და სოციო-კულტურული ფაქტორები.

ქვეყნის ერთიან, ტურიზმის სფეროს საინვესტიციო ჭრილში, სახელმწიფოს

მხრიდან ძირითადი პრიორიტეტები განპირობებული უნდა იყოს ორი ასპექტით:

1) <u>სახელმწიფო პოლიტიკა</u>. შადაც, დეტალური ანალიზისათვის განცალკევდება შემდეგი პოზიციები:

- უცხოელი ინვესტორებისათვის შექმნილი პირობები დააბანდონ თავისი ფულადი სახსრები;
- კანონი შრომის შესახებ და საგადასახადო კანონმდებლობა;
- ფინანსური და საბანკო რეგულირების ძირითადი ვითარებანი.

2) <u>სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა</u>. ეს ძირითადად ეხება მსხვილ საინვესტიციო პროექტებს, რომლებიც ემსახურება მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრას და რისკის ფაქტორებს.

საინვესტიციო გარემოს შეფასებისას აუცილებელია გამოყენებულ იქნას ფაქტორული ანუ გაფაერთოებული მიდგომა რაც შესაძლოა დახასიათდეს ობიექტურობითა და საიმედობით. იგი ეფუძნება ამ ფაქტორების ნაკადების შეფასებას, რომლებიც გავლენას ახდენენ საინვესტიციო გარემოზე. ასეთ ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს:

- ეკონომიკური პოტენციალი;
- საქმიანობის პირობები;
- საბაზრო პირობები;
- პოლიტიკური ფაქტორები;
- სოციალურ-კულტურული ფაქტორები;
- ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფაქტორები;
- ფინანსური ფაქტორები.

გარდა ამისა, დარგის განვითარებისათვის უნდა შემუშავდეს ინვესტიციების განხორციელების სტრატეგია, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს დარგის მდგომარეობას და მოთხოვნებს. ასეთმა სტრატეგიამ უნდა მოიცვას შემდეგი ძირითადი ასპექტები:

- სანამ წინადადებები მომზადდება საინვესტიციოდ, აუცილებელია განისაზღვროს ტურიზმის სექტორის პრიორიტეტები. საინვესტიციო სტრატეგია უნდა იყოს რეალური და მიზანმიმართული დასმული ამოცანების გადასაწყვეტად;
- დარგის განვითარებისათვის ჩასადებ ინვესტიციებს წინ უნდა უძღოდეს შემუშავებული შესაბამისი განვითარების გეგმა და პროგრამა;
- საინვესტიციო პროექტების შერჩევის დროს, უპირველესად უნდა შეირჩეს ისეთი პროექტები რომლებიც მინიმალური დანახარჯებით პასუხობენ მაქსიმალურ მოთხოვნებს;
- საინვესტიციო პროექტები უნდა შეირჩეს ობიექტის ზუსტი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე;
- ადმინისტრაციულმა სტრუქტურებმა მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი შერჩეული პროექტების რეალიზებას და არ შეუქმნან დაბრკოლებები მის განვითარებას;
- პროექტის რეალიზაციის პროცესი უნდა კონტროლდებოდეს სათანადოდ ისეთი ფორმით, რომ ხელი არ შეუშალოს მის ნორმალურ მსვლელობას;
- ყოველ ჩადებულ ინვესტიციას უნდა გააჩნდეს მყარი სამთავრობო გარანტიები რათა არ მოხდეს მისი ნაციონალიზაცია ან კონფისკაცია;
- ინვესტიციების ეფექტურად მოსაზიდად საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული შეღავათების დაწესება, რაც გარკვეულწილად ეფექტურს გახდის დარგში ჩადებულ ინვესტიციებს და გაზრდის პოტენციურ ინვესტორთა რაოდენობას.

ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება:

- მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას;
- საინვესტიციო აქტივობის უზრუნველმყოფი ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბებას;
- სახელმწიფოს მასტიმულირებელ ფულად-საკრედიტო და ფისკალურ პოლიტიკას.

საერთოდ, საინვესტიციო გარემოს დახასიათებისთვის მიღებულია ისეთი მაჩვენებლების გამოყენება, როგორიცაა: ინვესტიციების მთლიანი მოცულობა; მთლიან შიდა პროდუქტში ინესტიციების ხვედრითი წილი; ინვესტიციების დარგიბრივი და ეკონომიკური დანიშნულების სტრუქტურული მაჩვენებლები; ინვესტიციების სტრუქტურა დაფინანსების წყაროების მიხედვით; ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლები და ინვესტიციების ადმინისტრირებისას ქვეყანაში ინფლაციის ინდექსის მაჩვენებელი.

ამგვარად, სტატიაში განხილულია ტურიზმის სფეროს ფინანსირება და საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი საკითხები. კერძოდ, ტურიზმის განვითარების გრძელვადიან გეგმებში ძირითადი ფინანსირების ტიპების გათვალისწიება. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და მათი ძირითადი საქმიანობის პროფილები. ტურიზმის სფეროს საინვესტიციო კლიმატზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები. ტურიზმის სფეროს საინვესტიციო ჭრილში, სახელმწიფოს მხრიდან ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა. საინვესტიციო გარემოზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორების ნაკადების შეფასება. ინვესტიციების განხორციელების სტრატეგიაში შემავალი ძირითადი ასპექტები და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირების ძირითადი საკითხები.

B. Barkalaia – Associated Professor of the Georgian Technical University
Z. Vashakidze – Associated Professor of the Georgian Technical University
K. Kajaia – Assistant Professor of the Georgian Technical University

Financing of the Tourism Sphere and Core Issues of the Investment Policy

SUMMARY

The article reviews financing of the tourism sphere and the core issues of the investment policy. In particular, these issues are: focal types of the financing in the long-term plans of the tourism development; international financial institutes and profiles of their main activity; essential factors affecting investment climate of the tourism sphere; State driven definition of the central priorities of the tourism investment; evaluation of the stream of factors having influence on the investment environment; central aspects of the development strategy for the investment and core issues of the formation of the advantageous investment environment.

სამართალი და პოლიტიკა

საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ორიენტაციის ზოგიერთი საკითხი

წერილი მესამე

ივორ კვესელავა, სტუ-ს სრული პროფესორი

1. კონვერგენციული საზოგადოება და კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემები

მეცნიერები (ი. ფრანგიშვილი, ი. გორსკი, ვ. ლავშუკი, ვ. შაპოვოლოვი, ვ. გრიცხოვი, ი. ბუტრინი და სხვა) სერიოზულად მსჯელობენ იმ ობიექტური საზოგადოებრივ კანონზომიერებაზე, რომელიც ბევრად განსაზღვრავს საზოგადოებრივი და ბუნებრივი სისტემების მოქმედებას. ისინი მას შიდასისტემურ და **სისტემათაშორის კონვერგენციას** უწოდებენ.

კონვერგენცია სხვადასხვა გახსნილ სისტემას, ანუ, უფრო ზუსტად, ერთიანი სისტემების შიგნით სხვადასხვა გახსნილ ქვესისტემის ურთიერთგავლენას, ურთიერთდაახლოებას გულისხმობს.

კონვერგენციული საზოგადოების — კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების მეტად საყურადღებო გააზრება აქვს მოცემული აკადემიკოს ი. ფრანგიშვილს, რომელიც განიხილავს **შიდასისტემური** და სისტემათშორისი კონვერგენციის კანონზომიერების მოქმედებას კაპიტალისტური და სოციალისტური საზოგადოებრივი სისტემებისა და მათი ღირებულებების კონვერგენციის მარტივ მაგალითზე.

შიდასისტემური კონვერგენცია — ეს არის **კაპიტალისტური და სოციალისტური საზოგადოების ურთიერთდაახლოება ერთი კაპიტალისტური ან სოციალისტური სისტემების შიგნით**. ცხადია, ეს იმ შემთხვევაში თუ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ღირებულებანი უკვე არსებობენ მოცემული წყობილების წიაღში დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის ძლიერი, **ურთიერთმოდავე** ტენდენციით.

სისტემათშორისი კონვერგენცია — ეს არის **სხვადასხვა აღნიშნული სისტემის ურთიერთდაახლოების პროცესი ან შედეგი. ამასთანავე, აქ აუცილებელია ძლიერი და ურთიერთმოდავე ტენდენციების არსებობა.** სწორედ შიდასისტემურმა და არა ***სისტემათშორისმა კონვერგენციამ*** განსაზღვრა უმთავრესად ცივილიზებული (ევროპული, ამერიკული, იაპონური და ა.შ.) კაპიტალიზმის თანამედროვე სახე.

შიდასისტემური კონვერგენცია დიდი ხანია წარმოიშვა და დღესაც ვითარდება კაპიტალიზმის წიაღში და თავისი სიძლიერითა და საზოგადოების მდგომარეობაზე გავლენით მხოლოდ სამეცნიერო-ტექნიკური პროცესის თანაფარდია.

თანამედროვე ვითარებაში პირობითად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებობს კაპიტალიზმის ორი სახეობა — ძველი, ველური, ანუ კონვერგენციამდელ კაპიტალიზმი და ახალი, თანამედროვე, ცივილიზებული ანუ კონვერგენციული კაპიტალიზმი.

ძველი სახის კაპიტალიზმი კლასობრივი საზოგადოებაა, იგი მკვეთრადაა დაყოფილი მდიდრებად და ღარიბებად, რომელთაც პოლარულად საპირისპირო ინტერესები აქვთ. ზედა და ქვედა ფენები გამსჭვალულია კლასობრივი ურთიერთსიძულვილით, ბოროტებით, უნდობლობით. ამასთან, არ არსებობს მრავალრიცხოვანი, საშუალო კლასი — თანამედროვე კაპიტალიზმის სტაბილური არსებობის საფუძველი.

ძველი კაპიტალიზმი ჰგავს ველურ ბუნებას,

სადაც მიმდინარეობს ბრძოლა არსებობისათვის და ყველას მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს, სადაც შიმშილობენ და მათხოვრობენ და ეს მაშინ, როდესაც თანამედროვე კაპიტალიზმი გარკვეულწილად წარმოადგენს საზოგადოებას, რომელშიც შედარებით ესწრაფვიან პარტნიორობასა და თანამშრომლობას. ამასთან, შენარჩუნებულია ქონებრივი განსხვავება ამა თუ იმ **სოციალურ-პროფესიულ** ჯგუფებს შორის. ქვეყნის სტაბილურობასა და სიმდიდრეს განსაზღვრავს მრავალრიცხოვანი საშუალო კლასი (მოსახლეობის 80%); ამავე დროს, ორივე ტიპის კაპიტალიზმს აქვს ბევრი საერთო, მათ შორის კერძო საკუთრება, კონკურენცია, დაქირავებული შრომა და სხვა.

თანამედროვე კაპიტალიზმის სისტემა ცდილობს ადამიანები საბაზრო სტიქიის ულმობლობას ცოტათი მაინც მოარიდოს. აქ უფრო გონივრულად არის შეხამებული ლიბერალიზმი – კონკურენციის თავისუფლება და სახელმწიფოებრივი (სოციალიზმი), რაც უფრო ეფექტიანია და პერსპექტიული.

თუ ველური კაპიტალიზმი დემოკრატიულია უმაღლესი ფენებისათვის, ანუ დემოკრატია არსებობს ხელისუფლებისათვის, თანამედროვე კაპიტალიზმში შედარებით მეტი დემოკრატიაა **მთელი საზოგადოებისათვის**, თუმცა ამ უკანასკნელს ბევრი ნაკლი აქვს; მათ შორის, ის, რომ ტელევიზიისა და რეკლამის მეშვეობით იგი მასობრივი ცნობიერების მანიპულირებას ახდენს. მაინც პრაქტიკულად ეს არის დემოკრატია ყველასათვის, კანონის დიქტატურა უკლებლივ ყველასათვის.

საბოლოო ჯამში, რა უნდა თქვას თანამედროვე კაპიტალიზმი შესახებ? პასუხი ცალსახაა: მან ამოწურა თავისი შესაძლებლობანი. ამის შესახებ დაუფარავად ლაპარაკობენ კიდევაც დასავლეთელი პოლიტიკოსები, მეცნიერები და სახელმწიფო მოღვაწეები. ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ალბერტ გორი წიგნში „დედამიწა სასწორის თეფშზე“ წერს: „ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა სადღეისოდ იმდენად არის გაცვეთილი და ბოროტად გამოყენებული, რომ ეროვნული განვითარების გზაზე გონივრული არჩევანის უნარი არ არსებობს. კაპიტალიზმის მოდელი ამოიწურა, ხოლო მის გამეორება ცივილიზაციის სრულ კრახამდე მიიყვანს“. თუ ანგარიშს გავუწევთ გამოჩენილ მეცნიერთა დასკვნებს იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ეპოქებს გააჩნიათ დაბადების, **განვითარებისა** და დასასრულის პერიოდი და ზოგადი კანონზომიერებიდან გამომდინარე, ვერ ასცდებიან შეცვლის პროცესს, კაპიტალიზმის სისტემას იგი უკვე მიუახლოვდა. XX საუკუნე ამ სისტემის ბოლო თარიღია. კაცობრიობა თანდათანობით უნდა გადავიდეს ჰუმანისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემაზე – სოციალიზმზე, რომელმაც მეცნიერთა გათვლით უნდა იარსებოს **400-500 წელი. სოციალიზმს** ამჟამად თავის განვითარების ყრმობის პერიოდი უდგას და, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, მომავალში მას შეცვლის ახალი – უფრო **ზეპიროვნული** სისტემა კომუნიზმის ან მსგავსი სისტემის სახით, – ხალხთა კეთილდღეობის თუ ხალხთა ჰარმონიის საზოგადოება. თუმცა მეცნიერების ვარაუდით იგი ხანმოკლე იქნება და მისი დაბადება, განვითარება და დასასრული სულ 100-150 წელიწადში მოიაზრება.

დღეს ამაზეც ბევრი იწერება, რომ თანამედროვე **კაპიტალიზმი** და თანამედროვე სოციალიზმი ერთმანეთს უახლოვდებიან. ხდება ადრე ერთმანეთისათვის უცხო კაპიტალისტური და სოციალისტური ღირებულებების დაახლოება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ საეჭვოა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემებს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური და კულტურული განსხვავება თანდათან წაიშლება, რაც, საბოლოოდ, მათ ურთიერთმსგავსებამდე მიიყვანს.

როგორც ცნობილია, „კონვეგენციის“ თეორია ჩამოყალიბდა **XX საუკუნის 50-60-იან წლებში**. მისი მიმდევრები თვლიდნენ და თვლიან, რომ კაპიტალისტური და სოციალისტური **სისტემების** დაახლოების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად ტექნიკური პროგრესი და მსხვილი წარმოება უნდა მივიჩნიოთ. ცხადია, არსებობს სოციალურ-ეკონომიკური სისტემისადმი ტექნოლოგიური თვალსაზრისით მიდგომა – ადამიანებისა და საზოგადოების ფენების საზოგადოებრივ-წარმოებით ურთიერთობათა შეცვლა ტექნიკით, მაგრამ წარმოების ორგანიზაციისა და სამრეწველო წარმოების სტრუქტურაში არსებული საერთო ნიშნები არ გამორიცხავს კაპიტალიზმის და სოციალიზმის ძირეულ განსხვავებას და, მიუხედავად თანამედროვე კაპიტალიზმისა და თანამედროვე სოცი-

ალიზმის ზოგიერთი საერთო ნიშნისა, მათ შორის აშკარაა ძირითადი წინააღმდეგობანი და დაპირისპირებანი.

მაინც რა ნაკლი აქვს თანამედროვე კაპიტალიზმს? რა წინააღმდეგობითა და კონფლიქტებით ხასიათდება იგი? არსებული კოლიზიების მიზეზთა შორის ნათლადაა გამოკვეთილი თანამედროვე კაპიტალიზმის ეპოქაში არსებული ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც იწვევენ კონფლიქტებს ეროვნებათა და სახელმწიფოთა შორის: მათ მოსაგვარებლად ამაოდ ცდილობენ გამოიყენონ მსოფლიო სახელმწიფოთა გაერთიანება – **გაერო**.

თანამედროვე კაპიტალიზმი ძველი კაპიტალისტური ურთიერთობების წიაღში წარმოშობილი სისტემაა. ცხადია, გამონაკლისი იყო რუსეთი და შემდეგ სხვა ქვეყნებიც. ძველი კაპიტალიზმის მსხვრევის სათავეებთან რუსეთში ევროპის კაპიტალისტური ქვეყნები იდგნენ და საპირისპირო შედეგი მიიღეს. აქ სოციალიზმი დამკვიდრდა. მოგვიანებით დასავლეთი შეეცადა გამოეყენებინა სსრ კავშირის შინაგანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობანი და ხელი შეუწყო **საბ**ჭოეთის დაშლას, მაგრამ საპირისპიროდ მიიღო 15 ახალი, მეტწილად გაურკვეველი საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფო, რომლებშიც ანარქია, კორუფცია, ტერორიზმი, კონფლიქტები და სხვა საშიში კატაკლიზმები ბატონობს.

რათ უნდა ითქვას თანამედროვე სოციალიზმის შესახებ? **მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ კონვერგენ**ტული სოციალიზმი ორი ფორმით არსებობს.

პირველი – „ევროპული" ფორმა, რომელიც წარმოიშვა შიდასისტემური თანამედროვე კაპიტალიზმის საფუძველზე.

მეორე – „აღმოსავლური" ფორმა, რომელიც წარმოიშვა სისტემათშორისი კონვერგენციის საფუძველზე კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლით. თავის მხრივ, როგორც წესი, თანამედროვე კაპიტალიზმში თავის იჩენს ორი საპირისპირო ტენდენცია:

1. სოციალისტური ტენდენცია;
2. ლიბერალურ-კონსერვატიული ტენდენცია.

ამასთან, თუ ჭარბობენ სოციალურ-დემოკრატიული ტენდენციები, მაშინ საზოგადოებამ შეიძლება გადაინაცვლოს მარცხნივ – სოციალიზმის მხარეს და ეს გადანაცვლება იყოს მნიშვნელოვანი და **ხან**გრძლივი. ამ შემთხვევაში ლაპარაკობენ ესპანურ და შვედურ სოციალიზმზე. სწორედ ეს არის თანამედროვე სოციალიზმი, რომელიც მოიცავს როგორც სოციალისტურ-საზოგადოებრივი, ასევე კაპიტალისტური (თავისუფალი ბაზარი, კონკურენცია, ადამიანის უფლებების, დაცვა სხვადასხვა დემოკრატიული ინსტიტუტები და ა.შ.) ღირებულებებს.

ამრიგად, თანამედროვე სოციალიზმი, თანამედროვე კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, მეტ ყურადღებას აქცევს სოციალისტურ ღირებულებებს და საკმარისი წარმატებით უზრუნველყოფს თანამედროვე საზოგადოების განვითარების დონეს.

თანამედროვე სოციალიზმის მეორე ფორმა, ანუ „აღმოსავლური" ფორმა, წარმოიშვა ყოფილ საბჭოთა, ანუ უფრო ზუსტად, ვარშავის ბლოკის ზოგიერთ ქვეყანაში. ხავერდოვანი დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ამ ფორმის გამოკვეთილი წარმომადგენლებია: ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი. მართალია, ეს ქვეყნები ამჟამად აღარ იყენებენ სოციალიზმის ცნებას, მაგრამ აქ მეტნაკლებად მოხერხებულად ყალიბდება საბაზრო დემოკრატიული წყობილება სოციალიზმის ძირითად ღირებულებათა მნიშვნელოვანი ელემენტებით.

თანამედროვე სოციალიზმის ფორმებს შორის მთავარი განსხვავება ის არის, რომ საზოგადოების მოწყობის პირველი ფორმის შემთხვევაში (ესპანეთი, შვეცია) ძლიერდება სოციალისტური **ღირებულე**ბანი, საზოგადოების მეორე ფორმის შემთხვევაში კი (ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი) იქნება ფართო ასპარეზი ლიბერალიზაციისათვის, რომელიც ადრე პრაქტიკულად არ არსებობდა.

თანამედროვე სოციალიზმის პირველი ფორმა (ევროპული) შიდასისტემური კონვერგენციის ნათელი მაგალითია, მეორე კი (აღმოსავლური) სისტემათშორისი კონვერგენციისა, ამრიგად, თუ წინათ ორი მტრული – კაპიტალისტური და სოციალისტური – სამყაროს არსებობისას ვამჩნევდით მხოლოდ **ში**დასისტემურ კონვერგენციას, მასთან ერად გააჩნდა თანამედროვე სოციალიზმისაც. სოციალისტური ბანაკის დაშლის შედეგად წარმოიშვა სისტემათშორის კონვერგენცია სოციალისტური სისტემის საფუძველზე.

მეცნიერები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ამჟამად მსოფლიოში არ არის კაპიტალიზმი საერთოდ, არამედ

არის ძველი, ველური კაპიტალიზმი და არის ახალი, თანამედროვე კაპიტალიზმი, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ანალოგიურად შეიძლება ითქვას, რომ არის არა სოციალისტური წყობილება საერთოდ (ანუ **აბსოლუტური** ზღვრული სოციალიზმი, როგორც მას უწოდებენ მეცნიერებაში), არამედ არის ისევ და ისევ ძველი სოციალიზმი და არის ახალი, თანამედროვე სოციალიზმი, და ისინი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, პირველ რიგში, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, საზოგადოებრივი ურთიერთობებით, სახელმწიფო საკუთრებით და ა.შ. ცხადია, ამ ორ სოციალიზმს შორის მსგავსი სოციალური ღირებულებებიც არსებობს.

საზოგადოებრივი წყობილების დღევანდელი **ქართული** ვარიანტი ერთგვარი შერეული ტიპია, ზუსტად რომ ვთქვათ, აქ თითქმის არ არის თანამედროვე არც სოციალიზმი და არც კაპიტალიზმი; ეს გაუკუღმართებული ჰიბრიდული სტრუქტურაა, რომელიც შორდება ყოფილ საბჭოთა საზოგადოებას, მაგრამ უფრო ახლოა ველურ კაპიტალიზმთან, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „ნომენკლატურული კაპიტალიზმი“, **მაფიოზურ-ოლიგარქიული რეჟიმი“, „ოლიგარ**ქიულ-ინფორმაციული **კაპიტალიზმი“, „კომპრომატუ**ლი“ და ა.შ. და ა.შ., მაგრამ არავითარ შემთხვევაში — დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო.

აღნიშნული წყობილებისთვის ნიშანდობლივია ეფექტიანობის დაბალი დონე, ექსტენსიურობა, მტაცებლობა რესურსების ყველა სახეობის გამოყენებაში, მონოპოლიზმი, დემოკრატიული პროცედურებისა და ინსტიტუტების ფორმალური ხასიათი, მდიდრებისა და ღატაკების ფენის გაჩენა და დამკვიდრება, საშუალო კლასის არარსებობა, მშრომელების დაუცველობა ძალაუფლებისა და საკუთრების მფლობელებისაგან, მართვის **კრიმინალურ-მაფიოზუ**რი სტრუქტურა და ა.შ.

ამიტომ საქართველოს საზოგადოების ცენტრალური ამოცანა უნდა იყოს დღეს არსებული გაურკვეველი მდგომარეობიდან რაც შეიძლება სწრაფი და, რაც შეიძლება, უმტკივნეულო გადასვლა **თან**ამედროვე სოციალიზმის რელსებზე.

საქმე ის არის, რომ მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ნაწილი აცნობიერებს ზოგად **დემოკრა**ტიულ ღირებულებებს, ხოლო საზოგადოების უმრავლესობისათვის მისი არსი გაურკვეველია, ზოგჯერ მიუღებელიც კი. დემოკრატიას ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავს. იგი პოლიტიკური კულტურის დონის გამომხატველიცაა.

თუ ვაღიარებთ, რომ ეკონომიკა დემოკრატიის მსაზღვრელია და არა პირიქით, მაშინ ნათელია, რომ იმ პერიოდის საქართველო შორს დგას დემოკრატიისაგან. ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი გაღატაკებული იყო, შიმშილს კი არავითარი საერთო არა აქვს დემოკრატიულ ღირებულებებთან და იგი არც შეიძლება არსებობდეს იქ, სადაც საზოგადოებრივი სიმდიდრის არასამართლიანი განაწილება ხდება.

საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი, როდესაც დემოკრატიაზე მსჯელობდა, აღიარებდა, რომ დემოკრატიულ პროცესებს ქვეყანაში ნარეკლიანი გზა უნდა გაევლო „დემოკრატიის შექმნა — ეს არ იყო მყისიერი აქტი, — არამედ მრავალმხრივი პროცესი მრავალფეროვანი ჟანრებით, ტრაგედიიდან ტრაგიკომედიამდე, ჰეროიკული ეპოსიდან კომიქსამდე, იმის კვალობაზე, თუ ვინ გამოდის ამ საჯარო მოქმედების ავანსცენაზე... მთელმა ხალხებმა გაიარეს ტანჯვა-ვაების სკოლა, სანამ დემოკრატიის უნივერსიტეტში მოხვდებოდნენ“.

ცხადია, აქ ხაზგასმა ასეთია, — მიზანი ამართლებს საშუალებას. **უნდა დაიძლიოს შინაგანი წინააღმდე**გობა და აშენდეს საზოგადოება, სადაც დემოკრატია ცხოვრების წესად იქცევა. შეიქმნას სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების ისეთი სისტემა, რომელიც ყველაზე უკეთ შეეფერება საზოგადოების დემოკრატიულ მისწრაფებებს.

უდაოა, თეორიულად ყველაფერი თავის ადგილზე დგას და ხელისუფლების თეორიული შეხედულებების კრიტიკა თითქოს უნიადაგოა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო. ქვეყანაში დემოკრატია პრაქტიკულად საზოგადოების უმნიშვნელო ფენისათვის იქცა ცხოვრების წესად, არ შექმნილა სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების სისტემა, რომელიც უპასუხებდა საზოგადოების დემოკრატიულ მისწრაფებებს. უმცირესობის ფინანსური და პოლიტიკური დიქტატურის პირობებში არსებობდა ხელისუფლებისა და არა ხალხის დემოკრატია. ხელისუფლების მიერ ჩადენილი სერიოზული ცდომილებების კრიტიკა მიუღებელი ხდებოდა და სახელისუფლებო კარის

მიერ დაქირავებული მსუბუქი ჟანრის მეცნიერების, მწერლების თუ ჟურნალისტები უსამართლო განრისხებას და არაობიექტურ, აშკარა ტენდენციურ შეფასებას იწვევდა.

სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას უკანასკნელ ხანებში მცირე მოცულობის ბროშურის – „დავიწყებას არ ექვემდებარება – 1992-1993: სამეგრელოს ტრაგედია“ – გამოცემის გამო ატეხილი დიდი „განგაში“, რაც საბოლოოდ ბროშურის გავრცელების აკრძალვით დამთავრდა, რომელიც ადგილობრივმა სახელისუფლო ორგანოებმა სამეგრელოს რეგიონში „წარმატებით“ განახორციელეს. თუმცა **ბროშურა**-ში მოკრძალებულად იყო გამოთქმული მოსაზრება. ქვეყნის მმართველობის, მცდარ პოლიტიკაზე სამეგრელოს ინტელიგენციისა და მოსახლეობის მიმართ, – კერძოდ, 1992-1993 წლებში იქ დატრიალებულ ნეგატიურ მოვლენებზე.

სამწუხაროდ, მავანი და მავანი „რეცენზენტი“, ავტორების ნააზრევს საგაზეთო ტექსტისა თუ ბროშურის წაუკითხავად აძლევდა უარყოფით შეფასებას. ზოგიერთი არც მალავდა, რომ ბროშურის საწინააღმდეგო კომპანია ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების შეკვეთილი იყო, ხოლო ამ შეკვეთილ, ე.წ. პუბლიცისტურ პროდუქციას ფართოდ უხსნიდა მწვანე გზას გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ – ხელისუფლების ფაქტობრივი რუპორი.

საზოგადოების გარკვეული ნაწილის აშკარად გაღიზიანების ფონზე, გაზეთი ცდილობდა დაენერგა ე. შევარდნაძის კულტი მაღალფარდოვანი ეპითეტების მოშველიებით: „მსოფლიოში ყველაზე გამოჩენილი პოლიტიკოსი“, „უნიკალური მოღვაწე“, „ერის გადამრჩენელი“, „ახალი ერის შემქმნელი“, „დავით აღმაშენებლის დარი“, „საქართველოს დიადი აღმაშენებელი“ და ა.შ. და ა.შ.

სწორედ ასე და ამდაგვარ გარემოებებში იქმნებოდა ვითარება, როდესაც არ იყო რაღაც ზღვარი – ზღვარი დასაშვებსა და დაუშვებელს შორის.

საქართველოს საზოგადოების ანატომიური სურათი ცხადი იყო, ხელისუფლების ზოგიერთი სამსახური და პრეზიდენტის გარემოცვა ცდილობდა ქვეყანაში მაამებლობისა და სიცრუის ატმოსფერო შექმნას. გრძელდებოდა „პოტიომკინის სოფლების“ აგება.

2. ძირითადი კანონზომიერებანი და საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ტენდენციები

დღეს გამოჩენილ მეცნიერთა დიდ ყურადღებას იპყრობს სხვადასხვაგვარი ბუნების რთული სისტემების ფუნქციონირების ზოგადი სისტემური კანონზომიერებანი. ამ თეორიის ფუძემდებელთა აზრით, კანონზომიერებანი უნივერსალური, ზოგადი და კერძო ხასიათისაა.

უნივერსალური კანონზომიერება ახასიათებს ყველანაირ სისტემას მისი ბუნების მიუხედავად. ზოგადი კანონზომიერებანი დამახასიათებელია სისტემის მრავალრიცხოვანი ჯგუფებისათვის, ხოლო კერძო – თან სდევს მხოლოდ სისტემის განსაზღვრულ სახეს. ყოველი მათგანი მოქმედებს შესაბამის სისტემაში და გამოიყენება კონკრეტული ამოცანებისა და პრობლემების პრაქტიკულად გადაწყვეტაში.

გამოყოფენ თერთმეტ კანონს, უფრო ზუსტად, უნივერსალურ კანონზომიერებებს, რომლებსაც ემორჩილება ყველა ტიპის რთული სისტემის **ფუნქ**ციონირება (ტექნიკური ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ორგანიზაციული და ა.შ.). ქვეყნის საერთო პრობლემებიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია გამოვყოთ რამდენიმე მათგანი:

1. სისტემის ერთი თვისებრივი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის კანონზომიერება: იგი სხვადასხვა რთულ ნეგატიურ პროცესებთან არის დაკავშირებული, მაგრამ უნდა დაექვემდებაროს გარკვეულ რეგულირებას, რაც მიზნად უნდა ისახავდეს გადასვლის მომენტში კრიტიკული წერტილის შერბილების ტენდენციას. საქართველოს მაგალითით შეიძლება აიხსნას, რომ ქვეყნის კრიზისულ ეკონომიკაში ფიზიკური გადასვლა დაკავშირებული იყო აქტიურ პროცესთან – ძველ, მყარ კავშირებთან ურთიერთობის გაწყვეტა, მათი სტრუქტურების განადგურება და ახალი კავშირებისა და სტრუქტურების ძიებადანერგვა. ამ შემთხვევაში კრიტიკულ წერტილად აღიქმება მომენტი, როდესაც ძველი განადგურებულია ან მკვეთრად შესუსტებულია, ხოლო ახალი არ არის დამკვიდრებული.

ცხადია, საბჭოთა კავშირში 80-იან და 90-იან წლების დამდეგს შექმნილმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ საქართველოზეც

მოახდინა დიდი გავლენა გარდაქმნის საჭიროება აშკარად იგრძნობოდა. საჭირო გახდა შედარებით სიცოცხლისუნარიან და ეფექტიან ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა, მაგრამ მოუფიქრებელი და გაუთვლელი მექანიზმების გამო, მისი რეალიზაცია ვერ განხორციელდა, საბჭოეთის მაშინდელი ხელმძღვანელობა შეცდომით ფიქრობდა, რომ ეკონომიკის გარდაქმნა შეიძლებოდა მხოლოდ ზემოდან, გეგმებით და ბრძანებებით, ხოლო ქვეყნის მთლიანობა შენარჩუნებოდა საკავშირო ხელშეკრულების ხელმოწერით.

ერთი მდგომარეობიდან მეორეში ფაზისური გადასვლის მომენტისათვის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურები და კავშირები (იდეოლოგია, პარტიული დისციპლინა, ცენტრისა და რესპუბლიკების ურთიერთობა და ა.შ.) დანგრეული აღმოჩნდა, ხოლო ახალი საბაზრო და დემოკრატიული სტრუქტურები და კავშირები სიცოცხლის უუნარო. გორბაჩოვის მიერ დაგეგმილმა, 1991 წლის აგვისტოს ე.წ. გადატრიალების მცდელობამ, დააჩქარა სოციალისტური სისტემის დაშლის პროცესი და კრიტიკულ ზღვრამდე დაყვანილი სისტემა, მცირე ძალდატანების გზით გადაიყვანა ერთი თვისებრივი მდგომარეობიდან მეორეში. ამ პერიოდიდან საბჭოეთი არ მოიაზრება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. არ არსებობს ცენტრალიზებული ეკონომიკა. იგი ნაჩქარევად გადადის მონიტარულ საბაზრო, ნაწილობრივ კი დემოკრატიულ პრინციპებზე. იწყება ღირებულებების შეცვლა.

2. ერთიანობისა და ურთიერთდაპირისპირების სისტემური კანონზომიერება ცხადყოფს, რომ საბჭოეთის დაშლას ახასიათებდა მნიშვნელოვანი რაოდენობის ენერგიის გამოყოფა, ხოლო შემდგომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგიერთ ქვეყანაში მოხდა კიდევაც მეორადი დაშლა.

ი. ფრანგიშვილი ფიქრობდა, რომ საზოგადოებრივ წყობილებაშიც არსებობს კიბოს დაავადება, ადამიანის ანალოგიური დაავადების მსგავსად. საზოგადოების ორგანიზმში იბუდებენ კიბოს უჯრედები, სისტემას არ შეუძლია მას წინააღმდეგობა გაუწიოს იმუნიტეტის დაქვეითების გამო, რაც ღუპავს ნებისმიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემას თუ სახელმწიფოს.

დასავლეთის მონოპოლისტურმა სისტემამ შესანიშნავად გამოიყენა საბჭოეთში შექმნილი შინაგანი ობიექტური თუ სუბიექტური ხასიათის წინააღმდეგობები და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში მოიყვანა მის მიერვე ზომბირებული მოღვაწე – გორბაჩოვი, რომელმაც შესაბამისად, შეარჩია დამანგრეველი გუნდი და მოახერხა მმართველობის სტრუქტურის ჯაჭვის გაწყვეტა. თავის მხრივ, ამან გამოიწვია ურთიერთობის ხასიათის შეცვლა. პარიტეტის ნაცვლად დამყარდა დამორჩილებისა და დაქვემდებარების ურთიერთობა, ასეთ ვითარებაში კი საბჭოთა კავშირი გახდა დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ის სატელიტი. ცხადია, აქ გადამწყვეტ როლს ასრულებდა ამერიკის შეერთებული შტატები. სხვათა შორის, როდესაც აშშ-ს სახელმწიფო მდივანი და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი საბჭოეთის დასანგრევ ხელშეკრულებებს ამზადებდნენ ხელმოსაწერად, ამერიკელები ამის აღსანიშნავად სახელმწიფო დეპარტამენტში იელის უნივერსიტეტის გუნდს პატიჟებდნენ და ქართულ „მრავალჟამიერს“ უსმენდნენ.

დასავლეთის ქვეყნების მისწრაფება კარგად ჰქონდა შემჩნეული საქართველოს პირველ პრეზიდენტს. მისი აზრით, დასავლეთის ქვეყნების მთავრობები თავიანთი გავლენის გასაძლიერებლად ცდილობდნენ მოესყიდა სხვა ქვეყნის მეთაურები. წინააღმდეგობის შემთხვევაში კი დაემხოთ ისინი. ეს მტაცებლური მიდგომა საბოლოოდ დამკვიდრდა ნატოს წევრ ქვეყნებში. მისივე თქმით, იმპერიული ძალების სათავესი ამერიკა იდგა, რომელიც ისწრაფოდა მსოფლიო ბატონობისაკენ. ზ. გამსახურდია წინააღმდეგი იყო საქართველო დასავლეთის კოლონია გამხდარიყო და უსიტყვოდ შეესრულებინა მათი ნებასურვილი. იგი თვლიდა, რომ საერთოდ დასავლეთი იბრძოდა ნებისმიერი ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ, უწოდებდა მათ ნაციონალისტურ მოძრაობას და მიზნად ისახავდა შეექმნა ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი, ერთიანი ხელისუფლებით, ე.ი. მთელი მსოფლიოს მართვა მომხდარიყო ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგით.

3. ამ კონტექსტში ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს განსხვავებული ბუნების მქონე დაპირისპირებულთა – ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთობის საკითხიც. ცენტრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს პერიფერიის გაერთიანება, ხოლო პერიფერიის ამოცანაა ცენტრის არსებობის

უზრუნველყოფა.

ხშირ შემთხვევაში ცენტრი დადებითი მუხტის მატარებელია, ხოლო პერიფერია – საპირისპირო ძალაა – უარყოფითი მუხტით. მათ შორის არსებობს აშკარა და ფარული წინააღმდეგობანი, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების კვალობაზე ეს ტენდენციები ხან სუსტდებიან, ხან კი ძლიერდებიან.

თუ ადამიანის ორგანიზმში ცენტრია ტვინი, ხოლო პერიფერია დანარჩენი სხეული, საზოგადოებაში ცენტრია ხელისუფლება, პერიფერია კი – ქვეყნის მოსახლეობა. საქართველოში ცენტრია თბილისი და ცენტრალური ხელისუფლება, პერიფერიები კი რეგიონები და რეგიონალური ხელისუფლება. ცენტრისა და რეგიონების ურთიერთობა საქართველოში ურთიერთდაპირისპირების გზით წარიმართა (აფხაზეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთი). აქ აშკარად ძალადობრივმა პროცესებმა გადასწონეს ჩვეულებრივი ურთიერთწინააღდმეგობის ევოლუციური პროცესები. ცხადია, ნებისმიერ სისტემაში არსებობენ წინააღმდეგობები – დიდნი და მცირენი, რომელთა ცვლა კანონზომიერია, რადგან ერთი დაპირისპირებული იცვლება მეორით, მათი სიძლიერის მიხედვით.

სხვათა შორის, საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვლილი ისტორიული გზა ადასტურებს ქვეყანაში გარკვეული დროის მონაკვეთში სხვადასხვა საზოგდოებრივ-პოლიტიკური ცენტრის არსებობას პერიფერიებში (ქუთაისი-ლეონიდების დინასტია მე-8 მე-10 საუკუნეები; ბაგრატიონების დინასტია, დავით აღმაშენებელი მე-11 საუკუნე).

ცხადია, ყოველივე ამას განაპირობებდა ცენტრისა და პერიფერიების ურთიერთდამოკიდებულება და განვითარება, სიძლიერის მიხედვით ერთის მიერ მეორის შეცვლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ი. ფრანგიშვილი ნებისმიერი სისტემის ევოლუციურ განვითარებაში სავარაუდოდ გამოჰყოფს 4 ძირითად ეტაპს:

1. ცენტრის განვითარება;
2. პერიფერიის განვითარება;
3. ცენტრსა და პერიფერიას შორის სუსტი ურთიერთობა;
4. ცენტრისა და პერიფერიას შორის ძლიერი ურთიერთობა.

როგორც ცნობილია, ბუნებაში ყველგან ნათლად ჩანს ევოლუციური სპირალის ოთხეტაპიანი ხვია. მოვლენების სპირალური განვითარების გზა დამახასიათებელია საზოგადოებრივი წყობისათვის (ანარქია, რევოლუცია, დიქტატურა, დემოკრატია), იგი გამოკვეთილი რეალობაა მსოფლიო ქვეყნების და, მათ შორის, საქართველოს ისტორიაშიც.

ამ ოთხეტაპიანი ევოლუციის დროს ხდება ენერგიის ერთი დაპირისპირებიდან მეორეში გადასვლა. მაგალითად, ცენტრიდან პერიფერიებში და პირიქით. მაგრამ საინტერესოა, რომ იგი არ მიდის სისტემიდან, ე.ი. მუდმივად ცირკულირებს სისტემების შიგნით. მაგალითად, უკანასკნელ ხანებში აშკარად იგრძნობა რუსეთის ცენტრიდან – მოსკოვიდან მძლავრი ენერგიის გადანაცვლება პერიფერიებში. ბევრ შემთხვევაში ისინი თავის პირობებს კარნახობენ კრემლს და ეს უკანასკნელიც იძულებულია დაჰყვეს რეგიონების ნებას.

ანალოგიური ვითარება შეინიშნებოდა საქართველოშიც. ენერგიის გადანაცვლება მოხდა აფხაზეთში, ყოფილ სამხრეთ ოსეთში, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ამ პროცესს საშინაო პირობებთან ერთად ხელი შეუწყო საგარეო ფაქტორმაც. დაიწყო საქართველოს დაშლის პროცესი, თბილისიდან ენერგიის გადანაცვლების პროცესი მიმდინარეობდა აჭარის რეგიონში, თუმცა ცხადია, რომ იგი შიდასისტემური მოვლენა იყო და თავს არ ამოყოფდა გარე, უცხო სისტემაში.

სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში მსგავსი მოვლენები სხვაგანაც განვითარდა, და ეს მოსალოდნელიც იყო. მოსკოვიდან ენერგიის გადანაცვლება მოხდა რესპუბლიკებში, რომელმაც გამოიწვია საბჭოთა კავშირის დაშლა. ზოგიერთი რესპუბლიკიდან შესაბამისად მოხდა ენერგიის გადასვლა პერიფერიებში. რამაც შემდგომში ცნობილი ნეგატიური პროცესები გამოიწვიეს მძიმე შედეგებით რუსეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდავეთში და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი წყობილებისათვის დამახასიათებელი მოვლენების განვითარების სპირალური გზა – ანარქია, რევოლუცია, დიქტატურა, დემოკრატია – ნებისმიერი ქვეყნის ისტორიის თანმდევი მოვლენაა. მოკლედ დავახასიათოთ ისინი ცალ-ცალკე.

1. **ანარქია**. ეს სისტემა ხასიათდება სუსტი ცენტრით და ძლიერ განვითარებული პერიფერიით. ასეთი სისტემა პერიფერიების ძირითადი მოთხ-

ოვნილებისკენაა მიმართული და მკაცრად კარნახობს ცენტრს, ხოლო ცენტრი იძულებულია თავისი სისუსტის გამო ფაქტიურად დაემორჩილოს მას. ასეთ შემთხვევაში პერიფერია ღებულობს ფაქტიურად დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას და დგას მასთან მოწყვეტის ზღვარზე, მისი ცენტრიდან მთლიანად გამოყოფისათვის საჭიროა ენერგიის უმნიშვნელო დამატება. სწორედ ენერგიის ეს ნაწილი მიიღო აფხაზეთმა და ყოფილმა სამხრეთ ოსეთმა გარეშე ძალებისაგან საქართველოში ანარქიული წყობის პერიოდში, რასაც მათი გასვლა მოჰყვა ქვეყნიდან. ანარქიიდან ერთი ნაბიჯია ქაოსამდე, რომლის დროსაც სისტემის ელემენტები საერთოდ არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. არ არსებობს არავითარი კავშირი და თითოეული ელემენტი მთლიანად დამოუკიდებელია.

2. რევოლუციური. ეს სისტემა აერთიანებს ანარქიასა და დიქტატურას. ხასიათდება არა ბრძოლით წინააღმდეგობებთან და დაპირისპირებებთან, არამედ აქეზებს მათ ერთმანეთის წინააღმდეგ. მას დიქტატურა და ანარქია აჰყავს მაქსიმალური ენერგიის სიმაღლეზე, მაშინ, როდესაც დემოკრატიას მინიმალურად იერთებს. რევოლუციურ სისტემაში როგორც დიქტატურა, ისე ანარქია ძლიერი საპირისპირო ძალაა და ერთიანი ენერგიის მატარებელია.

3. **დიქტატურა**. აღნიშნული მდგომარეობა შეეხამება სისტემას, როდესაც ცენტრი პერიფერიასთან შედარებით ძლიერია და მას თავის პირობებს კარნახობს, იღებს ძირითად გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფს ურთიერთკავშირს, ფლობს ურთიერთქმედების ყველა ბერკეტს.

დიქტატორულ სისტემაში მის ყველა ელემენტის ემორჩილება ერთ საერთო მიზანს – მთელი სისტემის და არა მისი ცალკეული ელემენტის სიცოცხლისუნარიანობას. დიქტატორული სისტემის მაქსიმალურად განვითარებული ცენტრი ანარქიის მინიმალურ ნარჩენებს შეიცავს, თუმცა, როგორც ოპოზიციური ელემენტი, განაგრძობს ბრძოლას მასთან.

4. მეოთხე სისტემა – **დემოკრატია** – დიქტატურის საპირისპირო ფორმაა. დემოკრატიის არსებობის პერიოდში დიქტატურა და ანარქია სუსტია, მაგრამ ისინი იბრძვიან და ორივე ერთად აღებული, შეიძლება თითქმის გაუტოლდნენ კიდევაც – დემოკრატიის სისტემის ელემენტებს. თუმცა ეს წონასწორობა ძალზე არამყარია. დემოკრატიული სისტემა ადამიანების თავისუფლებას მაინც ნახევრად საზღვრავს, რაც სახელმწიფოს ინტერესებით აიხსნება.

სხვათა შორის, ოთხ ეტაპიანი პოლიტიკური სისტემის შეცვლის ციკლი თითქმის ყველა ქვეყანამ გაიარა. მათ შორის საქართველომაც. ქვეყნის საზოგადოებრივმა წყობამ სხვადასხვა დროს გაიარა ანარქიის, რევოლუციის, დიქტატურის და დემოკრატიის ეტაპები. საზოგადოების ისტორიის პროცესში ეს ციკლი მეორდებოდა, რაც ბევრი მაგალითით დასტურდება. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს საზოგადოებრიობამ უკანასკნელ, მოკლე პერიოდში, მეტნაკლებად გამოსცადა განვითარების ოთხ ეტაპიანი სისტემა, თუმცა არც ერთ მათგანს დასრულებული სახე არ ჰქონია და ამ შემთხვევაში უფრო შერეულ სისტემასთან უნდა გვქონდეს საქმე.

აქ და ამ ჭრილში აუცილებელია გამოიკვეთოს რამდენიმე არსებითი მომენტი, ანუ კანონზომიერება, რომელიც ჩვენს სინამდვილეს უნდა მივუსადაგოთ, როგორც გარკვეული ამოსავალი წერტილი.

ი. ფრანგიშვილი ფიქრობს, რომ პირველ რიგში ეს კანონზომიერებაა, რომელიც დაკავშირებულია მიზეზ-შედეგობრიობის კავშირის სისტემასთან. ამ შემთხვევაში მიზეზი აუცილებლად იწვევს შედეგს – დადებითი – დადებითს, უარყოფითი – უარყოფითს; გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუ ადამიანი თავის ცხოვრებაში სჩადის რაღაც მნიშვნელოვანს (კარგს ან ცუდს), მაშინ არაიშვიათად ბოროტება თუ სიკეთე გარკვეული დროის მანძილზე რაღაც ფორმით უბრუნდება მას, როგორც უკუშედეგი მისი სამართლიანი თუ უსამართლო ქმედებისა. თუ, მაგალითად, ამ კანონს საქართველოში განვითარებული ბოლო წლების მოვლენებს მივუსადაგებთ. აღმოჩნდება, რომ 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ტრაგიკული ქმედების შედეგები ბუმერანგად შემობრუნდა მის ინიციატორებს და სულისჩამდგმელებს. ამ მიმართულებით ჩადენილი დანაშაულის თუ ბოროტების საზღაურს ეს ძალები შემგომშიც უნდა ელოდონ.

თუ ფართო პლანით განვიხილავთ საკითხს, დეკემბერ-იანვარში განვითარებული მოვლენები სახელდობრ, ძალადობის გზით კანონიერი ხელისუფლების დამხობა, იძლევა ამა თუ იმ ფორმით ნეგატიურ შედეგს – ქვეყანაში არსებობდა ხელისუ-

ფლების კრიზისი და, ერთი შეხედვით, ეს კანონზომიერად აღიქმებოდა.

ი. ფრანგიშვილის აზირთ, დიდად საინტერესოა ის საერთო-სისტემური კანონზომიერება, რომელიც სისტემის ელემენტების არსებობის ტემპების დაშორიშორებასთან ან შეთანხმებასთან არის დაკავშირებული. ნებისმიერ სისტემას აქვს თავისი ჩვეული რიტმი, რომლის დარღვევისას ისმის გაფრთხილების სიგნალი. რადგანაც ყველა სისტემა, როგორც წესი, გადის თავის ფაზებს: **დაბადება, ბავშვობა, ყრმობა, მოხუცობა და სიკვდილი**. სისტემური დაშორიშორება თუ შეთანხმებულობა ნიშნავს, რომ თანდათანობით ხდება განსხვავებულობის შემცირება სისტემის შემცველი ელემენტების დიფერენციაციის გზით. ე.ი. მთლიანი ნაწილი ხდება სხვადასხვაგვარი. ამასთანავე, დროთა ვითარებაში სისტემის ელემენტების შეთანხმებულობა თუ დაშორიშორება ხდება, ძალიან დიდი – ნაწილები ხდებიან ძალიან სხვადასხვაგვარი იმდენად, რომ იწყებენ გაფანტვას, რასაც მივყავართ მთელი სისტემის დეზორგანიზაციამდე და, საბოლოოდ, სიკვდილამდეც;

ი. ფრანგიშვილის მოსაზრებთ, ერთ-ერთი საერთო-სისტემური კანონზომიერებაა ევოლუციური განვითარების ყველა ეტაპის აუცილებელი გავლა, ანუ ევოლუციის კანონზომიერება. ამ შემთხვევაში ნებისმიერმა სისტემამ უნდა გაიაროს ევოლუცია. არ შეიძლება გაკეთდეს „დიდი ნახტომი“ და რომელიმე ევოლუციური სტადიის გამოტოვება. თუმცა, შესაძლებელია, თითოეული ამ ეტაპის ხელოვნურად შენელება ან აჩქარება. მაგალითად, სტაბილური საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელია პირველადი დაგროვების ეტაპის გავლა, ყველა მისი თანმდევი ნეგატიური გამოვლინებით. თუ რა უარყოფითი შედეგი მოაქვს ნახტომისებურ პროცესებს, ყველაზე მეტად თვალსაჩინოა საქართველოს მაგალითზე. 1992 წლიდან ხელისუფლების სათავეში მოსული ძალები ცდილობდნენ ხელოვნურად დაეჩქარებინათ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები, საქართველოს ხელისუფლება აცხადებდა რომ 50 წლიანი გასავლელი პერიოდი ქვეყანას უნდა გაევლო რამდენიმე წელიწადში. ხდებოდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროცესების ფორსირება. საბაზრო ეკონომიკაზე რევოლუციური გზით გადასვლა. ხელისუფლება საზოგადოებას სწრაფ ეკონომიკურ და კულტურულ აყვავებას პირდებოდა აშკარად შეიმჩნეოდა სახელისუფლებო ტრაბახისა და სიცრუის ტენდენციები, რომელსაც მოსახლეობაში ოფიციალური არხებით ნერგავდნენ (სახელმწიფო ტელევიზია, სახელისუფლებო გაზეთები, მმართველი პარტია და მისი საპარლამენტო ფრაქცია, სამთავრობო სტრუქტურები, ხელისუფლების რუპორი ინტელიგენცია და ა.შ.).

საზოგადოების განსაკუთრებულ გაკვირვებას იწვევდა ამ მიმართულებით საქართველოს აღმასრულებელი ორგანოების უმაღლესი პირების განცხადებები გამოსვლები, ინტერვიუები, რომელნიც ბევრ ალოგიკურ და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს მოიცავდნენ.

საყურადღებოა ი. ფრანგიშვილის მიერ ამ კანონზომიერების გამოყოფაც, რომლებიც დამოუკიდებლობის ხარისხს ითვალისწინებენ, ანუ სუვერენიტეტის სისტემის პარამეტრებს განსაზღვრავენ გარსშემორტყმულ გეოპოლიტიკურ სივრცეში. ზოგჯერ მას „კუნძულის ეფექტს“ უწოდებენ და სუვერენიტეტის დამოკიდებულების ხარისხზე ან კუნძულის, თუ სისტემის იზოლაციაზე მსჯელობენ. მაგალითად, ასეთ შემთხვევაში იგულისხმება სუვერენული სახელმწიფო, მოსახლეობის რიცხვით, დაკავებული ფართობით, მისი სიმდიდრის რაოდენობით თუ ხარისხით და მასზე გარშემორტყმული გეოპოლიტიკური გარემოთი. ამასთანავე, ეს კანონზომიერება არ ითვალისწინებს ძლიერი პოლიტიკური სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური სისტემის არსებობას შედარებით პრიმიტიულ გარემოცვაში.

ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები 11 კანონზომიერებიდან ყურადღებას იმსახურებს კიდევ ერთი საინტერესო სისტემური კანონზომიერება, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში პირამიდის კანონზომიერების სახელწოდებით არის ცნობილი.

ამ სისტემით მსხვილი ეკონომიკური ქაოტური დოტაციები, კრედიტები, ურთიერთანგარიშები, საფინანსო თუ სხვა სახის დახმარებები არ იძლევიან ასპროცენტიან შედეგებს. საქმე იმაშია, რომ ამის კონცენტრირება ეკონომიკურ სისტემაში თანდათანობით ხდება, საბოლოო, მთლიანი პროდუქტის სახით. ხოლო ამ საბოლოო პროდუქციამდე მისასვლელი გზა მრავალ ეკონომიკურ და სხვა წინააღმდეგობასთან, მათ შორის სუბიექტურ ფაქტორებთანაც იყო დაკავშირებული. ამიტომ, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის გამოყოფილი აღნიშნული საგარეო

დახმარებები მეტწილად სახელისუფლო პირამიდის მაღალ საფეხურზე რჩებოდა, რასაც მოჰყვა მთელი ეკონომიკური წონასწორობის დარღვევა. პირამიდის კანონზომიერებიდან გამომდინარე, ყოველთვის, როდესაც ეკონომიკურ სისტემაში შეინიშნება მნიშვნელოვანი რაოდენობის ფულის, რესურსების, ენერგიის გადაქაჩვა, შემდგომი უმაღლესი საფეხური იწყებს რყევას, რაც შედეგად იწვევს სტაბილურობისა და მდგრადობის დაკარგვას.

საქართველოში იმ პერიოდში სწორედ ასეთი პროცესები მიმდინარეობდა და, სწორედ ასეთი მიდგომებიდან უნდა განსაზღვრულიყო ის, რისი გაკეთებაც გვმართებდა და, რაც არსებითი და მთავარი იყო. ქვეყანა რაც შეიძლება სწრაფად უნდა დადგომოდა მდგრადი განვითარების გზას და სწორედ ზემოაღნიშნულ კანონზომიერებათა ფარვატერში ეპოვა თავისი წინსვლის პერსპექტივაც.

ლიტერატურა:

1. „დედამიწა სასწორის თეფშზე“, ნიუ-იორკი, 1996.
2. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997, 22 ივლისი.
3. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997, 24 ივლისი.
4. გაზეთი „ნაროდნაია პრავდა“, 1992, №41.

Igor Kveselava, *Fill Professor of GTU*

Some Issues of Georgian Economic and Political Orientation

Letter 3

SUMMARY

The article describes the convergence society and the capitalistic and socialist systems. As well as old and modern capitalism and various forms of socialism.

Is given the basic regulations and the tendency of socio-political development of Georgia. Hence, are defined 11 laws of universal regulatory.

The given work defines the stages of any evolutionary development system. On this basis, are determined this spiral ways of social development - anarchy, revolution, dictatorship, democracy.

Is concluded that all systems have to pass the phases of their own development: the birth, childhood, adolescence, old age and death.

The article highlights that there used to be the violations of law in Georgia, it was tried to make a “big leap” and missed out several evolutionary stages, and all these brought the country to the political, economic and social collapse.

ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკა უნდა შეიცვალოს

ჯემალ გახოკიძე, *სტუ-ს სრულ პროფესორი*
მიხეილ მამნიაშვილი, *სამართლის დოქტორი,*
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
ნონა ლომიძე, *სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი*
ზურაბ მელქაძე

სანამ სისხლის სამართლის პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობის დასაბუთებას შევუდგები მინდა წარსული გავიხსენო. 70-80-იან წლებში ვმუშაობდი შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე, მათ შორის წლების განმავლობაში საგამოძიებო სამსახურის უფროსად და მინისტრის მოადგილედ. სწორედ ამ პერიოდში სხვადასხვა დროს მონაწილეობა მაქვს მიღებული რამდენიმე კოლეგიის მუშაობაში, სადაც იხილებოდა რესპუბლიკაში პატიმართა რაოდენობისა და მათი დასაქმების პრობლემები. მთელი პასუხისმგებლობით მინდა აღვნიშნო, რომ პატიმართა რიცხვი თუ 10 000-ს გადააჭარბებდა, ეს იყო განგაშის საფუძველი და იქმნებოდა სასწრაფოდ სპეციალური კომისია იმ მიზეზების გასარკვევად, თუ რა განაპირობებდა პატიმართა ზრდის ტენდენციას. მე არაერთი ასეთი კომისიის წევრი გახლდით და როგორც წესი იწყებოდა ფიქრი ამინისტიის აქტის გამოცემის თაობაზე, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენთათვის და პირველად ნასამართლები პირებისათვის არასაპატიმრო აღმკვეთი ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობაზე. დანაშაულთან ბრძოლის მაშინდელი სისტემა სიმკაცრით გამოირჩეოდა და მისთვის ეს დამახასიათებელიც იყო, მიუხედავად ამისა მიუღებული და საგანგაშო იყო პატიმართა ზრდის ტენდენცია, მით უმეტეს, თუ ეს ციფრი 10 000-ს გადააჭარბებდა. საქართველოს მოსახლეობა 4.5 მილიონს აღემატებოდა.

სწორედ ამ გარემოებებმა მიბიძგეს გამომეთქვა ზოგიერთი მოსაზრება არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით.

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა

ჩვენი აზრით მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სისხლის სამართალწამოებისას აშკარად ფორმალურ ხასიათს ატარებს, ის განსაკუთრებით პრობლემატურია გამოძიების სტადიაზე. ფორმალურად კანონმდებელი აფიქსირებს დაცვისა და ბრალდების მხარის თანასწორობას და შეჯიბრებითობას და ამასთან დაცვის მხარეს შეზღუდული და აკრძალული აქვს მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება (მათ შორის ჩხრეკა, ამოღება), მაშინ როცა პროკურორისათვის გარდა იმისა, რომ მინიჭებული აქვს ამ თვალსაზრისით ფართო უფლებები, **მის განკარგულებაშია „მძიმე არტილერია" ოპერატიულ-სამძებრო აპარატების სახით, რომელთა მიერ მოპოვებულ მონაცემებს ლამის წინასწარ დადგენილი ძალა აქვს, რაც ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს – „არცერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა" (მე-13 მუხლი) ეწინააღმდეგება**. ამასთან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული დაცვის მხარისთვის ხელმისაწვდომი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცედურა. **სწორედ ამითაა განპირობებული, რომ სასამართლოში განხილულ საქმეებში დაცვის მხარის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები პრაქტიკულად არ მოიპოვება.**

ხსენებული ხარვეზების აღმოფხვრისა და საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით აუცილებელია სისხლისსამართალწარმოების პროცესში ბრალდებისა და დაცვის მხარეთა უფლებების დაბალანსება.

გამომძიებელი

მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად პროკურორთან ერთად გამომძიებელიც მოიაზრება ბრალდების მხარედ. ვფიქრობთ გამომძიებლის სტატუსს აუცილებლად უნდა ჩამოცილდეს ბრალდების ფუნქცია და ასეთი უნდა დაეკისროს მხოლოდ პროკურორს, ხოლო გამომძიებელი უნდა გახდეს ნეიტრალური, მიუკერძოებელი თანამდებობის პირი, რომელსაც უნდა დაეკისროს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის სრულყოფილი, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიება. მან ერთნაირი მონდომების ხარისხით უნდა შეკრიბოს, როგორც გამამტყუნებელი, ასევე გამამართლებელი მტკიცებულებები და დაადგინოს როგორც დამამძიმებელი, ასევე შემამსუბუქებელი გარემოებები. ამასთან, ერთმანეთისგან მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს გამოძიება და პროკურორის მიერ

განხორციელებული დისკრეციული სისხლის სამართლებრივი დევნა და მისი მხრიდან გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა;

ვფიქრობთ კანონმდებელმა ხელოვნურად გააუფასურა გამომძიებლის ინსტიტუტი, იგი საქმეზე პრაქტიკულად არავითარ გადაწყვეტილებას არ ღებულობს და პროკურორის ტექნიკური თანაშემწის როლში გვევლინება. გამომძიებელს არ გააჩნია რა არავითარი უფლებამოსილება არც რაიმე პასუხისმგებლობას გრძნობს გამოძიებული საქმის მიმართ. სინამდვილეში კი გამომძიებელი თავის თავს პროკურორის „ოპონენტად" უნდა თვლიდეს. აქ კანონმდებლის მიზანი, მხოლოდ ერთია პროკურორმა დაუბრკოლებლად, ყოველგვარი შიდა წინააღმდეგობის გარეშე განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა მისთვის სასურველი შედეგების დადგომის მიზნით. ჩვენ ზემოთ აღვიშნეთ, რომ აუცილებელია ბრალდებისა და დაცვის მხარეთა უფლებების დაბალანსება. სწორედ გამომძიებლისათვის დამახასიათებელი ფუნქციების აღდგენას მივიჩნევთ დაბალანსების ერთ-ერთ ფაქტორად.

უფრო რთულადაა საქმე გამომძიებლის ორგანიზაციული და პროცესუალური დამოუკიდებლობის თვალსაზრისით. **მაგალითად შსს-ს გამომძიებლები ოპერატიულ-სამძებრო სამსახურების უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებიან და მათთ ნება-სურვილის შემსრულებლად გვევლინებიან.** საკმარისია აღინიშნოს, რომ გამოძიების საქმიანობის ორგანიზაციული ხელმძღვანელობის მიზნით შსს-ს ცენტრალური აპარატი გაუქმებულ იქნა, **სამაგიეროდ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა კუდ-მა და სოდ-მა, თავის „საკუთარი" გამომძიებლებით.**

ეს მოვლენა მით უფრო საშიში გახდა, როცა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით მოპოვებული „მტკიცებულებები" (ფარული ვიდეო, აუდიო ჩაწერა, სატელეფონოსაუბრებისმოსმენა,ფარულითვალთვალი და სხვა) თავის დროზე „აღიარებითი ჩვენებისათვის" მინიჭებულ მნიშვნელობას გაუთანაბრდა. უფრო მეტიც ამ გზით მოპოვებული მონაცემების გადამოწმება-გამოძიების მიერ სისხლის სამართლის საპროცესო წესით არ ხდება და სასამართლოები იღებენ მათ, როგორც დასაშვებ მტკიცებას. დასანანია, რომ გამოძიებისა და ოპერატიული სამძებრო ფუნქციების დაახლოების ერთ-ერთი პირველი მომხრე ჩვენ გახლდით. მიზანი მარტივი იყო, რაც შეიძლება სწრაფი გამოძიების უზრუნველყოფა, ამასთან გამოგვერიცხა ამ ორ სამსახურს შორის ბიუროკრატია და პარალელიზმი. ეს მხოლოდ მაშინ იყო დასაშვები თუ ყველაფერი გამომძიებლის პასუხისმგებლობით და მისი ხელმძღვანელობით განხორციელდებოდა. მოხდა პირიქით, გამომძიებელმა დაკარგა ყველანაირი პროცესუალურიდამოუკიდებლობადაიგიოპერატიული სამახურების მეტად საშიში ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდა. სამწუხაროდ, კარგი წამოწყება გამოძიების რეფორმასთან დაკავშირებით ასე დამთავრდა.

გამოძიებასთან დაკავშირებით გვაქვს რამდენიმე წინადადება:

1. უნდა განისაზღვროს გამომძიებლის სტატუსი სისხლის სამართალწარმოებაში და იგი მსოფლიოში დღეს აღიარებულ რომელიმე მოდელში უნდა ჩაჯდეს.

2. მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს ფარული გამოძიება და არა კანონით ოპერაციულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ.

3. უნდა გადაიხედოს და შეფასდეს რამდენად გაამართლა გამოძიების დეცენტრალიზაციამ (დღეს ის სსსკ-ის 34-ე მუხლის თანახმად 7 უწყებაშია გადანაწილებული) და ხომ არ იქნება უმჯობესი დანაშაულთა სახეების, მისი ბუნების გათვალისწინებით გამოძიება ორი მიმართულებით განვიხილოთ: კრიმინალური გამოძიება და ფინანსურ დანაშაულთა გამოძიება. აქედან გამომდინარე კრიმინალური გამოძიების უფლება მიენიჭოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო ფინანსური დანაშაულის – ფინანსთა სამინისტროს.

დაზარალებული

დაუსაბუთებლადაა იგნორირებული დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლისსამართალწარმოების პროცესში, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით დაზარალებული ბრალდების მხარეს აღარ წარმოადგენს და ის გათანაბრებულია მოწმესთან (სსსკ 56-ე მუხლი). **ვფიქრობთ კანონმდებლობის მიერ დაზარალებულის სტატუსის ასეთი სახით დარეგულირება უმთავრესად განპირობებულია იმით, რომ პროკურორმა დაუბრკოლებლად მიიღოს გადაწყვეტილება საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით.** დაზარალებული საერთოდ უსამართლოდაა გაძევებული სისხლის სამართალწარმოების პროცესიდან და უგულებელყოფილია მისი ფუნდამენტური უფლება. ეს მაშინ, როცა უმეტეს შემთხვევაში გამოძიების და სისხლის სამართლის დევნის დაწყების საფუძველი სწორედ დაზარალებულის განცხადებაა.

ბოლო წლებში ქვეყანაში აშკარად მახინჯი ფორმა მიიღო საპროცესო შეთანხმებამ და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის იგი

ვაჭრობის საგნად იქცა, უფრო მეტიც თითოეული მუხლს დამნაშავის პიროვნებისა და მისი ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავისი ფასი დაედო.

უფრო მეტიც სისხლის სამართლის პოლიტიკა საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა, რაც ერთ-ერთ ყველაზე საშიშ მოვლენად იყო მიჩნეული ყველგან და ყოველთვის.

ამასთან დაკავშირებით მიგვაჩნია დაზარალებულის უფლებამოსილება გაიზარდოს და მას უფლება მიეცეს სისხლისამართლებრივი დევნის არ დაწყების ან შეწყვეტის, მათ შორის საპროცესო შეთანხმების დროს ეს გადაწყვეტილება ერთჯერადად გაასაჩივროს არა ზემდგომ პროკურორთან, როგორც ეს გათვალისწინებულია სსსკ-ს 106-ე მუხლის პირველი ნაწილით, არამედ უფლება უნდა მიეცეს ასეთი გადაწყვეტილებები გაასაჩივროს სასამართლოში, რომელთა პროცედურული წესები კონტინენტური ევროპის ქვეყნებში (საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი და ა.შ.) დანერგილია და აპრობირებული. კიდევ მეტი, დაზარალებული უნდა წარმოადგენდეს ბრალდების მხარის სრულუფლებიან სუბიექტს და უფლება უნდა ჰქონდეს განაჩენის სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრებისა. რაც შეეხება საპროცესო შეთანხმებას, იგი უნდა ემსახურებოდეს განსაკუთრებით საშიში კრიმინალების, მათ შორის ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების ხელმძღვანელების, ორგანიზატორების და წამქეზებლების მხილების საქმეს და ამის სანაცვლოდ საპროცესო შეთანხმებას სასჯელზე და ბრალზე, და არა მათ გამოსყიდვას ფულით. თავის დროზე სწორედ ამ იდეის განხორციელებას ემსახურებოდა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღება აშშ-ში და რიგ ევროპის ქვეყნებში.

კიდევ ერთ ჩვენის აზრით მნიშვნელოვან პრობლემაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება – გამამართლებელი განაჩენების რაოდენობაზე. საქმე გვაქვს ქვეყანაში გამამართლებელი განაჩენის მიმართ სისხლის სამართლის პოლიტიკის მხრიდან ფაქტიურად უარის თქმასთან. საზოგადოებისათვის უკვე კარგად ცნობილ მიზეზებთან ერთად, გამამართლებელ განაჩენებთან მიმართებაში ასეთი მდგომარეობა განაპირობა იმანაც, **რომ უარი ვთქვით სისხლის სამართლის საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებაზე.** აქ უპრიანი იქნება მხოლოდ მშრალი სტატისტიკით შემოვიფარგლო. 70-80-იან წლებში გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენების შეფარდება ასეთი იყო: ყოველ ას საქმეზე 5-7 საქმე გამამართლებელი განაჩენით მთავრდებოდა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კი ყოველ ათას საქმეზე გამამართლებელ განაჩენთა რაოდენობა სამის ფარგლებში მერყეობს.

დასკვნა: „ქართული ოცნების" პოლიტიკაში მოსვლით სავსებით შესაძლებელია საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკაში გაბატონებულ ნულოვან ტოლერანტობას სამართლიანობა ჩაენაცვლოს. დღეს ასეთი მიდგომა საქართველოსათვის გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს და ამის კარგ მაგალითს იძლევა აშშ-ს ნაციონალური კომისიის 1996 წლის მე-11 რეკომენდაცია, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „სისხლის სამართლის იუსტიციის დღის წესრიგი სასურველია შეიცვალოს ომიდან მშვიდობისაკენ".

SUMMARY

In Georgia policy of criminal law should be changed immediately to humanity and fairness. Georgian law production was disfigured by cruelty and zero tolerance. Because of this, equality and competition of sides must become real. Investigation must fit some recognized model of the world. The investigator should not be busy only with the function of charge. The victim should become valuable participant of the process. As for verdict of not guilty, it should be perceived as the expected result of criminal law.

ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობები

არჩილ კალანდია

ჩინეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობებს მდიდარი, მაგრამ ამავე დროს უკიდურესად რთული ისტორია გააჩნია. სხვადასხვა ეტაპებზე ორ ქვეყანს შორის მჭიდრო კავშირებს, ენაცვლებოდა ორმხრივი ურთიერთობების გაუარესება.

მე-20 საუკუნემდე ჩინეთსა და რუსეთს შორის კონტაქტები საკმაოდ მწირი იყო.

ამ პერიოდიდან აქტიურდება მათ შორის თანამშრომლობა.

1949 წლიდან, მას შემდეგ რაც მაო ძედუნის კომუნისტური ხელისუფლება მოვიდა ჩინეთის სათავეში და დაარსდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, პეკინის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი იყო მაქსიმალური სიახლოვე საბჭოთა კავშირთან. გასული საუკუნის 50-იანი წლებში ორივე სოციალური ბანაკი ძალიან ახლოს იყო, ერთობლივი სტრატეგიული კავშირის ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ 60-იან წლებში საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობები საგრძნობლად გაუარესდა და ომის პირამდეც კი მივიდა. 1969 წლის მარტში სადაო კუნძულ დამანსკზე მოხდა შეიარაღებული დაპირისპირება, რის შემდეგაც ოფიციალურმა პეკინმა ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოაცხადა, მაგრამ მოლაპარაკებების შედეგად, ორივე ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები შეთანხმდნენ საზღვრების გადახედვაზე. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კუნძული საბოლოოდ ჩინეთის იურისდიქციის ქვეშ გადავიდა.

1978 წლიდან ჩინეთის გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკის დაწყების შემდეგ, პეკინსა და მოსკოვს საკმაოდ ფრთხილი ურთიერთობები გააჩნდათ, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლისა და რუსეთის ფედერაციის ჩამოყალიბების შემდეგ ორ ქვეყანას შორის იწყება თანამშრომლობის ახალი ეტაპი, რაც ორმხრივ და მრავალხრივ ფორმატში ურთიერთსასარგებლო და სტრატეგიულ-პარტნიორულ კავშირებში გადაიზარდა.

ჩინეთი და რუსეთი საერთაშორისო არენაზე თითქმის ნებისმიერ საკითხში თანმხვედრ პოზიციებს აფიქსირებდნენ *(მათი ხედვები იყოფა საქართველოსთან დაკავშირებით. პეკინი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას).*

თუ ადრე, რუსეთისთვის ჩინეთი უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარტნიორად განიხილებოდა, უკანასკნელ წლებში გამოიკვეთა ორ დედაქალაქს შორის საერთაშორისო არენაზე აქტიური კონსოლიდირების და ამ გზით მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვების მცდელობა.

ეს, ბუნებრივია, მათ შორის ურთიერთობების ტრანსფორმაციაზე და უპრეცედენტო აღმავლობაზე მეტყველებს.

ნიშანდობლივია, რომ ჩინეთი და რუსეთის გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრები არიან.

2001 წელს მოსკოვში მხარეებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური, მეგობრული და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის შესახებ, რაც წარმოადგენს სამართლებრივ ფუნდამენტს ჩინეთსა და რუსეთს შორის სანდო, პარტნიორული და სტრარეგიული კავშირების ჩამოყალიბებისთვის.

გარდა ამისა, პოლიტიკური კონტაქტების გასამყარებლად, არანაკლებ აღსანიშნავი ფაქტი გახლავთ პეკინისა და მოსკოვის ინიციატივით, იმავე 2001 წელს შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის შექმნა. მის შემადგენლობაში აგრეთვე შევიდნენ ცენტრალური აზიის ქვეყნები (ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი), თურქმენეთის გარდა.

ამასთან, ურთიერთქმედება ცენტრალურ აზიის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებზე, რომელიც განლაგებულია ჩინეთისა და რუსეთის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სამხედრო ობიექტების მახლობლად, წარმოადგენს პეკინსა და მოსკოვს შორის თანამშრომლობის ცალკე სფეროს.

აღსანიშნავია,რომ პოსტსაბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული პეკინსა და მოსკოვს შორის ხელი მოეწერა 200-ზე მეტ სამთავრობათაშორისო და უწყებათაშორისო შეთანხმებას.

ჩინეთ–რუსეთის სავაჭრო–ეკონომიკური ურთიერთობები უკვე გამოვიდა საერთაშორისო ფინანსური კრიზისის ნეგატიური გავლენიდან და წარმატებით ვითარდება. კერძოდ, 2012 წლის მონაცემებით, ორმხრივი სავაჭრო ეკონომიკური ბრუნვის მოცულობამ გადააჭარბა 86 მილიარდ აშშ დოლარს.

ჩინეთ-რუსეთის ორმხრივი ენერგეტიკული თანამშრომლობის კონტექსტში, რუსეთი ფლობს რესურსულ უპირატესობას, ხოლო ჩინეთი ტექნიკურ, ფულად და საბაზრო უპირატესობას ერთდროულად. ამ ტიპის თანამშრომლობას ორივე მხარისთვის სარ-

გებელი მოაქვს.

2010-2011 წლებში ორ ქვეყანას შორის გაფორმდა მთელი რიგი ხელშეკრულებები, ენერგორესურსების (ნავთობი, ბუნებრივი აირი, ნახშირი), ელექტროენერგეტიკის, ბირთვული ენერგიის, ეკონომიკის, ტექნიკის, ჰუმანიტარული გაცვლების, კულტურის და სხვა სფეროებში. დასრულდა ნავთობსადენის ,,სკოვოროდინო–დაცინი''–ს მშენებლობა. გარდა ამისა, მხარეებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩინეთის ჩრდილო–აღმოსავლეთ რაიონებსა და რუსეთის შორეული აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ ციმბირს შორის თანამშრომლობას. შეთანხმდნენ, რომ შემდგომშიც განავითარებენ ინფრასტრუქტურის მშენებლობას საზღვრისპირა რაიონებში.

სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის დღევანდელი ტემპების შენარჩუნების შემთხვევაში ნავარაუდევია, 2015 წლისთვის ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ბრუნვის მოცულობის ზრდა 100, ხოლო 2020 წლისთვის 200 მილიარდ აშშ დოლარამდე.

ჩინეთის ეკონომიკის განვითარება დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე პირდაპირ კავშირშია ჩინეთის მზარდ მოთხოვნასთან რუსულ ნავთობზე, ქვანახშირზე, რკინის მადანზე, ფერად და შავ ლითონებსა და ქიმიურ პროდუქციაზე, რაც, თავის მხრივ, კარგ წინაპირობას ქმნის რუსეთის საწარმოების განვითარებისთვის. ამავე დროს, საუბარი იმაზე, რომ ჩინეთის ეკონომიკის მომავალი რუსეთის ნავთობზე და გაზზეა დამოკიდებული რბილად რომ ვთქვათ გადაჭარბებულია, რადგან პეკინი ცდილობს დივერსიფიკაცია გაუკეთოს ნავთობისა და გაზის საკუთარ შესყიდვებს. ისინი ენერგომატარებლებს, ასევე ყიდულობენ ყაზახეთისგან, კანადისგან, ინდონეზიისგან და საუდის არაბეთისგანაც. რუსეთს ერთგვაროვანი ეკონომიკური ბერკეტი ჩინეთზე არ გააჩნია.

გარდა ამისა, პეკინი და მოსკოვი დიდ მნიშვნელობას ანიჭებ, მაღალ ტექნოლოგიურ, ინოვაციურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, ტრანსპორტის, ჰუმანიტარულ და განათლების სფეროებში ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას.

მხარეებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მუდმივი სტიმულირების მთავარი მიზანია მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის დამყარება. ჩინეთისა და რუსეთის ინტერესებში შედის, დანარჩენ მსოფლიოში ამერიკისა და ''ნატო''-ს გავლენის წინააღმდეგ შესაბამისი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა.

„ჩინეთთან ურთიერთობების განვითარება რუსული დიპლომატიის პრიორიტეტული მიმართულებაა, რაც არასდროს შეიცვლება. რუსეთისა და ჩინეთის მეგობრობა წარმოადგენს იმ ფაქტორს, რაც ყველაზე მეტ გავლენას ახდენს თანამედროვე მსოფლიოზე" - სერგეი ლავროვი, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი. ამგვარი პათოსის განცხადებებს ხშირად აკეთებენ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები.

თავის მხრივ, ოფიციალური პეკინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსკოვთან სტრატეგიულ-პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას, ჩინეთში რუსეთთან დაახლოების პოლიტიკას, ხშირ შემთხვევაში განიხილავენ მათი რეგიონალური და გლობალური პოზიციების გამყარების ერთ-ერთ პირობად.

''არ არსებობენ მუდმივი მეგობრები, არსებობს მუდმივი ინტერესები'' უინსტონ ჩერჩილის ეს ცნობილი გამონათქვამი მიესადაგება ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობებს.

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე პეკინს და მოსკოვს საერთო ინტერესები გააჩნიათ, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ჩინეთის გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკის შედეგად, ეს უძველესი ცივილიზაციის სახელმწიფო, რუსეთისგან განსხვავებით სწრაფად ვითარდება და სულ უფრო და უფრო ძლიერდება მისი გავლენა საერთაშორისო ასპარეზზე.

ჩინეთი მიზანმიმართულად ახორციელებს რეფორმებს ყველა მიმართულებით, მათ შორის სამხედრო სფეროშიც. გრძელვადიანი პროგრამა ჩინეთის შეიარაღებული ძალების მშენებლობისა სამ ეტაპად იყოფა.

პირველი ეტაპი. 2000 წლისთვის ჩინეთის არმიას უნდა შეეძლო ჩინეთის ძირეული ინტერესებისა დაცვა, მათ შორის დაბალი და საშუალო ინტენსივობის ლოკალური ბრძოლების წარმატებით წარმოება ქვეყნის საზღვრების მთელ პერიმეტრზე (ამერიკისა და დასავლეთის სამხედრო ექსპერტები ადასტურებენ, რომ ეს გეგმა შესრულებულია)

მეორე ეტაპი. 2010 წლისთვის ჩინეთის სახალხო გამათავისუფლებელ არმიას უნდა შეძლებოდა საჭიროების შემთხვევაში სტრატეგიული საზღვრებისა გარანტირებული გაფართოება. (არაოფიციალურ დონეზე ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ ეს გეგმაც შესრულებულია).

მესამე ეტაპი. 2050 წლისთვის სამხედრო ძალებს უნდა შეეძლოთ გამარჯვების მოპოვება ნებისმიერი მასშტაბისა და ნებისმიერი ხანგრძლივობის შეიარაღებულ დაპირისპირებებში.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ კონცეფციაში არ არის დაკონკრეტებული, საჭიროების შემთხვევაში, თუ რა მიმართულებით გააფართოვებს ჩინეთი სტრატეგიულ საზღვრებს, შეგვიძლია ლო-

გიკურად ვივარაუდოთ, რომ ეს სწორედ რუსეთის ფედერაციას ემუქრება, უფრო კონკრეტულად კი მის აღმოსავლეთ რეგიონებს, რომლებიც ესაზღვრებიან ჩინეთს.

აღმოსავლეთ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთს დიდი ტერიტორიები და ბუნებრივი რესურსები გააჩნია, საკმაოდ მცირე და ისიც სწრაფად კლებადი მოსახლეობით.

„ჩინეთი არ წარმოადგენს საფრთხეს რუსეთის უსაფრთხოებისთვის... ჭორები იმის თაობაზე, რომ თითქოსდა ჩინეთის მრავალმილიონიანი არმია ერთ მშვენიერ დღეს დაიკავებს ჩვენი შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიების ნაწილს, გადაჭარბებულია...“, – ეს განცხადება რუსეთის ყოფილმა პრემიერ–მინისტრმა (ახლანდელმა პრეზიდენტმა) 2010 წლის 6 სექტემბერს სოჭში გამართულ ერთ-ერთ პრეს–კონფერენციაზე გააკეთა. მისი თქმით, რუსეთს არ უნდა ეშინოდეს ჩინეთის, რადგანაც ჩინეთს არ გააჩნია საკმარისი რესურსები შორეულ აღმოსავლეთში იმიგრაციის დასაწყებად (“ჟენმინ ჟიბაო“-ს ვებ-გვერდი - ჰტტპ:პეოპლე.ცომ.ცნ 2010 წლის სექტემბერი).

შექების ღირსია ბატონი პუტინის ოპტიმიზმი, მაგრამ ალბათ ზედმეტად ოპტიმისტურად ყოფნა, ჩინეთთან მიმართებაში რუსეთის ფედერაციის არც ერთ პრეზიდენტს მოუტანს სარგებელს.

ფაქტია, რომ ორ ქვეყანას შორის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობები დინამიურად ვითარდება, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთი რუსეთს თვითგანვითარების მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთ ბერკეტად განიხილავს.

მართალია, ორმხრივი სავაჭრო ეკონომიკური ბრუნვის მოცულობა მხარეებს შორის ყოველწლიურად იზრდება (როგორც აღინიშნა 2012 წელს 86 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა), მაგრამ მაგალითად სამხრეთ კორეასთან იგივე მაჩვენებელმა უკვე 300 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. პეკინის უმთავრესი სავაჭრო პარტნიორია შეერთებული შტატები, იაპონია და გერმანია. რუსეთს ჩინეთის ტვირთბრუნვების საერთო მოცულობის მხოლოდ ორი პროცენტი უკავია.

როგორც სტატიის დასაწყისშია აღნიშნული, ისტორიულად სხვადასხვა ეტაპებზე, ორ ქვეყანას შორის მჭიდრო კავშირებს, ენაცვლებოდა ორმხრივი ურთიერთობების გაუარესება. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ჩინეთი გამოდის რუსეთის უმცროსი ძმის კომპლექსიდან, უახლოეს მომავალში სავსებით შესაძლებელია პეკინმა იქით უკარნახოს მოსკოვს თამაშის წესები, მეორე საკითხია, როგორ მიიღებს ან შეეგუება თუ არა ამას რუსეთი.

როდესაც დიდ დათვს სძინავს, დრაკონი იღვიძებს.

ლიტერატურა

1. Алексей Маслов, заведующий отделением востоковедения Высшей школы экономики: «Россия для Китая лишь один из рычагов развития», გაზეთი “პრავდა“ იანვარი, 2013.
2. Юрий Уфимцев, ექსპერტი - «Россия и Китай расширяют отношения», «Конкурент.Ru» იანვარი, 2013.
3. 2011 და 2012 წლებში ჩინეთის კომერციის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მასალები ჩინეთის საგარეო ეკონომიკური ბრუნვის მოცულობისა და მაკროეკონომიკის სფეროში არსებული ვითარების შესახებ. ჩინეთის სამთავრობო გაზეთის “ჟენმინ ჟიბაო“-ს ვებ-გვერდი - http:people.com.cn 2011-2012 წწ.
4. გაზეთი “China Daily“, 2012 წლის ნოემბერი, პეკინი.
5. “ჟენმინ ჟიბაო“-ს ვებ-გვერდი - http:people.com.cn 2010 წლის აგვისტო.

SUMMARY

Recent year`s relations between China and Russia has moved to a qualitatively higher level. Contacts between Beijing and Moscow feel the best period, but will their “brotherhood“ last long? Hard to say, probably not.

Regarding the rapid development of China and growth of its influence at the international arena and also, if we will take into consideration ambitions of Russia, then it is real to clash of their interests.

ეროვნული დამოუკიდებლობა და ეროვნული იდეოლოგია

ვაჟა შუბითიძე, *სტუ-ს სრული პროფესორი*
რეზო რუხაძე, *სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი*

ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა ერმა მძიმე შრომით და ბრძოლით, ჭირნახულივით უნდა მოიპოვოს და მოიწიოს. შესაბამისად უნდა შემზადდეს განვითარების ეროვნული პროგრამები, რომლებიც ეროვნულ იდეოლოგიას უნდა დაეფუძნოს (როგორც ეს მოხდა ისრაელში სიონიზმის სახით).

ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობა ზემოდან ებოძა - საბჭოთა კავშირის უეცარი დაშლის შედეგად, ამიტომ ერი თითქმის მოუმზადებელი შეხვდა ასე ნანატრ დამოუკიდებლობას - ჩვენ გავხდით დამოუკიდებელნი, მაგრამ არა თავისუფალნი. დღემდე არაა შემუშავებული განვითარების ეროვნული პროგრამა, ეროვნული იდეოლოგია. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს:

1. სამოქალაქო დაპირისპირება და კანონიერი ხელისუფლების დამხობა 1992 წელს, 2003 წელს, პერმანენტული კრიზისები და რევოლუციური სიტუაციები;
2. დამარცხება ცხინვალის და აფხაზეთის კონფლიქტებში, რამაც გამოიწვია ერის სულით დაცემა, ანარქიის და უზნეობის მომძლავრება;
3. 1990 წლიდან თითქმის დღემდე ქუჩიდან მოსული ადამიანების, არაპროფესიონალების მართვა-გამგეობა, რამაც ქვეყანა ილიას და ნიკოლაძის გზას ააცდინა.

ჩვენ დიდი მოხერხება გამოვიჩინეთ ძველის ნგრევაში, მაგრამ ახლის შექმნას ვერ ვახერხებთ - შენობის აგებას საძირკველის გარეშე ვაპირებთ და ისიც მალე ინგრევა ქარიშხლისა თუ ავდრის შემთხვევაში, კრიზისის დროს.

ასეთ ვითარებაში სხვისი მოიმედეობა და აზიური ინერტულობა, იოლი გზით სიარული კვლავ იქცევა ქართველი ხალხის ნორმალური განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად. არადა „ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისთვის დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, არამედ ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ. ისიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებს და არა ადამიანისას... უცხოელი ძიძა, რაგინდ საღი იყოს, შენს დედაენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს (ნიკო ნიკოლაძე).

როცა ერს არა აქვს ეროვნული იდეოლოგია, აღმშენებლობის პროგრამები, მაშინ მისი სამთავრობო და პოლიტიკური წრეები (შეგნებულად თუ შეუგნებლად) ინტუიციურად ირჩევენ გლობალურ და ლოკალურ (ადვილად მოსაგვარებელ) მიზანთა სისტემას და თითქმის მთლიანად ექცევიან უცხოელთა გავლენის ქვეშ, საიდანაც თავის დაღწევა ძალზე რთული ამოცანაა.

ეროვნული იდეოლოგია ყალიბდება შეხედულებათა 10 სისტემის სახით. ესენია:

1. ეკონომიკური;
2. დემოგრაფიული;
3. ზნეობრივი;
4. სამართლებრივი;
5. რელიგიური;
6. კულტურის;
7. ფილოსოფიური;
8. ეროვნული ცნობიერება;
9. ეკოლოგიური;
10. პოლიტიკური.

ამ მთლიან მაჩვენებელთა სისტემას მიხაკო წერეთელი უწოდებდა „ერის იდეალს“. დღეს ამ სისტემებიდან საქართველოში თითქმის არც-ერთი არ მუშაობს ან კრიზისს განიცდის.

მხოლოდ პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმებით ქვეყნის აღმშენებლობა და ცხოვრების სრულყოფა შეუძლებელია: რელიგიური მრწამსის (ოღონდ ჭეშმარიტი და არა ფარისევრული), ზნეობისა და ჯანსაღი ეროვნული ტრადიციებისაკენ ქართული საზოგადოების შემობრუნების გარეშე ძლიერი სახელმწიფოს შექმნა წარმოუდგენელია.

საზოგადოების თვითაღზრდა და თვითგანწმენდა, კულტურის და ზნეობის ამაღლება, პიროვნების საკუთარი ცხოვრების გააზრებიდან საზოგადოებრივი ცხოვრების გააზრებაზე ასვლა, პიროვნული მსხვერპლის გაღება ეროვნული იდეალებისათვის მხოლოდ თითოეული მოქალაქის რწმენის გაძლიერების და სულიერი გასუფთავების შედეგია.

ძლიერი სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური წყობის საფუძველია მისი შემადგენელი ნაწილების (ადამიანი, ოჯახი, სოფელი, ქალაქი, კუთხე) მაღა-

ლი მიზნისკენ სწრაფვა, საერთო ძალისხმევა და ჰარმონია. თუნდაც ბიზნესის განვითარების მცდელობა განათლებისა და მეცნიერების, რწმენის და პატიოსნების, ზნეობისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლების გარეშე ასევე განწირულია დღეს.

ჩვენი გონიერი და ბრძენი წინაპრები გვასწავლიდნენ, რომ "ხალხის განვითარება და გაძლიერება ყოვლად შეუძლებელია ეროვნული პრინციპების გარეშე... ერი თავისებური კოლექტიური აგებულებაა, თავისებური კოლექტიური პიროვნებაა. ამიტომ მისი აღორძინება შეიძლება მხოლოდ თავისებური ეროვნული გზით. ისტორიაში ვერ მოძებნით ისეთ მაგალითს, რომ ერს ეღალატნოს თავისი ეროვნებისათვის, ეროვნული კულტურისათვის და არ გახრწნილიყოს, არ აღმოფხვრილიყოს... ძალ-ღონე ყოველის ერისა უმთავრესად დამოკიდებულია ეროვნულის, მამულიშვილურის გრძნობის განვითარება-გაღონიერებაზე. სადაც ეს ცენტრალური გრძნობა სუსტია, იქ ხალხი უძლურია" (იაკობ გოგებაშვილი).

ჩვენს დიდ წინაპრებს ძალიან მცირე პირადი მოთხოვნილებები და უდიდესი იდეალი ასულდგმულებდათ. ეს იდეალი იყო საქართველოს დიდება და ქვეყნის უანგარო სამსახური. თითოეული მათგანი მზად იყო ქვეყნის საკეთილდღეოდ სამსხვერპლოდ მიეტანა თავისი ოჯახი, ქონება და სიცოცხლეც კი (ო.ქოჩორაძე).

ქართული ცხოვრების წესის მთავარი ხერხემალია „ქართველობა", როგორც უნიკალური ფენომენი, რომელიც შეიძლება შევადაროთ გრაალის თასს, სადაც საუკუნეთა განმავლობაში წვეთობით გროვდებოდა ერის სულიერი და ხორციელი ცხოვრების შემაკავშირებელი დუღაბი.

საზოგადოებაც და ხელისუფლებაც ღრმად ეროვნული და ზნეობრივი უნდა იყოს. წინაპართა გონივრული ტრადიციების გარეშე არ არსებობს არც ეროვნული სული, არც ეროვნული ცნობიერება და არც ცივილიზაციის მიღწევები.

ქართული ცხოვრების წესის სხვა უმნიშვნელოვანესი ფასეულობებია: სამშობლოს შეგნებული სიყვარული, ღვთისმოშიშობა და ზნეობრიობა, მუშაკობა - როგორც სოციალური ნორმა, ოჯახის და ოჯახიშვილობის კულტი, სამართლიანობა და ღირსება, კაცთმოყვარეობა და ჰუმანიზმი, ავკარგიანობა, მადლის ქმნისა და მიტევების ნიჭი, ბავშვების, ქალების და მოხუცების მიმართ მოწიწება და პატივისცემა, მათზე ზრუნვა და მონანიების უნარი, მხედრული მოვალეობა და სიმამაცე, ცოდნის მიღებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა, თვითკრიტიკულობა, პასუხისმგებლობა, კაცის კაცობა და ქალის ქალობა, მშობლიური ენის სიყვარული და პატივისცემა, კარგი მეზობლობა და მეგობრობა და ა.შ.

მხოლოდ ამ გზით შეიქმნა ის ძლიერი, დავითის საქართველო, რომელზე ნოსტალგიაც დღესაც გვკლავს და არ გვასვენებს.

სამწუხაროდ ყოველივე ზემოჩამოთვლილი, ყველაფერი, რაც ქართველმა ხალხმა საუკუნეთა სიღრმეში შეიმუშავა და ათას ჭირვარამგამოვლილი დღემდე შეურყევლად მოიტანა, გლობალიზაციის (გაერთფეროვნების) მცირე ერებისათვის დამანგრეველი პროცესებისა და ჩვენი დაუდევრობის შედეგად თითქმის დაშლის პირასაა.

დღევანდელი ქართული საზოგადოება - ესაა ანარქიულ-ნერვოზული საზოგადოება - უამრავი თავსდატეხილი პრობლემა, ცხოვრების გიჟური რიტმი, საშინელი კონკურენცია, გაზრდილი მოთხოვნები, გადაღლა, მღელვარება, სოციალური დაპირისპირება და პოლიტიკური ბრძოლის მიუღებელი მეთოდები, ადამიანთა გამოფიტვა და ჯანმრთელობის აღდგენის შეუძლებლობა, ძალადობის და შიშების ზრდა, პათოლოგიური ტიპების მომრავლება, დაუნდობლობა, ელიტის ზნეობრივი დეგრადაცია, დაუცველობა და სამართლიანობის დიდი დეფიციტი, განუკითხაობა, უღირსთა პარპაში და ყველაფრისადმი და ყველასადმი მომხმარებლური დამოკიდებულება, დემოგრაფიული და ტერიტორიული პრობლემები, 300 ათასი დამცირებული ლტოლვილი და დევნილი, ქალისა და კაცის ფუნქციების აღრევა და ა.შ. აი, ამ შტრიხებით ხასიათდება 21-ე საუკუნეში ჩვენი საზოგადოება.

ასე ცხოვრება აღარც შეიძლებოდა და ვეღარც მოხერხდება! 1 ოქტომბრიდან ერის ცხოვრებაში გარკვეული შემოტრიალება დაიწყო.

„მთელი არმიების შემოსევა შეიძლება შეაჩერო, მაგრამ არა ის იდეები, რომელთა დროც უკვე დადგა" - უთქვამს ვიქტორ ჰიუგოს.

როგორ ჩავბეროთ ახალი სული საქართველოს, როგორც ეს თავის დროზე წარმატებით შეძლო დავით აღმაშენებელმა? დღევანდელ ვითარებაში ქვეყანას მხოლოდ ერთი ადამიანის ძალისხმევა ვეღარ უშველის. ერის ისტორიული მეხსიერება და კოლექტიური აზროვნება ერთი მიზნისკენ უნდა წარიმართოს - როგორ მოუაროს ხალხმა თავის ქვეყანას და თავის თავს? გათითოკაცებულმა ერმა კოლექტიური აზროვნება, კოლექტიური გადაწყვეტილების მიღება და კოლექტიური ქმედებაც უნდა ისწავლოს. უნდა შექმნას ეროვნული იდეოლოგიის ათივე ქვესისტემა და დაიწყოს მისი პრაქტიკაში განხორციელება. ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა უკვე ჩატარებულია ქართველ მწერალთა და მეცნიერთა (ი. ჭავჭავაძე, ნ.ნიკოლაძე,

ა.ჯორჯაძე, გ. ასათიანი, ჯ. ღვინჯილია, პ. იაკაშვილი, ო.ქოჩორაძე, ა.გასვიანი, ვ.შუბითიძე და სხვ.) ძალზე მისასალმებელია, რომ ეს მუშაობა გააქტიურდა XXI საუკუნიდან ქართველი მოაზროვნეების ემზარ ხვიჩიას და ვასო კუკუნაშვილის სერიოზულ ნაშრომებში და ქმნილებებში (ემზარ ხვიჩია "ქართული ერი და მსოფლიო ცივილიზაცია" თბ; 2004, ვასო კუკუნაშვილი „ჯვარ-პატიოსანი (თბ; 2009). აქამდე ქართველ მოაზროვნეებს არ შემოუთავაზებიათ ის სქემა და მოდელი, რომლითაც დავით აღმაშენებელმა შეძლო საქართველოს აღდგენა მკვდრეთით. ეს საინტერესო მცდელობა განახორციელა ვასო კუკუნაშვილმა, რომელმაცორიგინალურითვალსაზრისიშემოგვთავაზა ამ კუთხით. მის მიერ მიმოქცევაში შემოტანილი „დიდი სამოქალაქო ზნეობრივი კანონი" ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას, კრიტიკულ გაანალიზებას და ხორცშესხმას ახალი, თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით. ეს ყველაფერი საფუძვლად შეიძლება დაედოს ეროვნული იდეოლოგიისა და მისი ყველა ათივე ქვესისტემის შექმნას სხვათა შენიშვნების და დასაბუთებული მოსაზრებების გათვალისწინებით.

ვინაიდან გლობალიზაციის პროცესი ამიერიდან მუდმივ ხასიათს ატარებს და არსებობს ერებისა და ეროვნული კულტურების ნიველირების სერიოზული საშიშროება, ამიტომ გლობალური კულტურულ-ზნეობრივი კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი საშუალებაა გლობალიზაციის იდეოლოგიის ისეთი უნივერსალური მოდელის შექმნა, რომელიც თავისი არსით იქნებოდა რა მოძღვრება საბაზო სულიერ და ზნეობირვ ღირებულებათა შესახებ, მსოფლიოში არსებულ სხვადასხვა ეროვნული და რელიგიური წარმომავლობის წარმონაქმნებს მისცემდა ისეთი თანასწორუფლებიანი თანაარსებობის საშუაალებას, რომ თითოეული მათგანის ინდივიდუალური, ეროვნული თუ რელიგიური სახე ყოფილიყო შენარჩუნებული.

სწორედ ასეთი მოძღვრბის შექმნის საინტერესო მცდელობაა ვასო კუკუნაშვილის აღნიშნული ნაშრომი. ავტორმა მას უწოდა „გლობალიზაციის იდეოლოგიის იბერიულ-ქართული მოდელი ანუ დიდი სამოქალაქო ზნეობრივიკანონი", ეს მოძღვრება შეიძლება გამოდგეს ქართული ეროვნული იდეოლოგიის საძირკველად, ჩონჩხად, რომელსაც ყველა კუთხით ხორცი უნდა შეესხას.

ჯერ კიდევ 2004 წლის 28 ნოემბერის თავის ერთ-ერთ ქადაგებაში საქათველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ხაზგასმით ამბობდა, რომ „აუცილებლად, რაღაც ისეთი იდეა უნდა გვქონდეს ერს, ხელისუფლებას, ეკლესიას, რომელსაც გაჰყვება ჩვენი ერი, რომელსაც ხელში აიტაცებს, როგორც ძვირფას საუნჯეს და ამით შეაბიჯებს მომავალში". ვასო კუკუნაშვილის ეს ნაშრომიც და ისტორიული რომანიც „ჯვარ-პატიოსანი" სწორედ პატრიარქის ამ სიტყვების შთაგონებითაა შექმნილი.

ამ მოძღვრების პრაქტიკაში დანერგვით მნიშვნელოვანწილად შეიძლება თავიდან იქნას აცილებული მცირერიცხოვანი ერების ასიმილირების საფრთხე, მათ შეიძლება გაეხსნათ თვითდამკვიდრების ახალი საშუალებანი.

დიდი სამოქალაქო ზნეობრივი კანონი არის მოძღვრება ერების სამოქალაქო ცხოვრების მოწყობის პრინციპების შესახებ, რომელიც ისე განსაზღვრავს და წარმართავს როგორც ერის (საზოგადოების) შიდა, ისე ერთაშორის (საზოგადოებათშორის) ურთიერთობებს, რომ არც ერთი მათში მონაწილე ეროვნული საზოგადოების ეთნო-კულტურულ თვითმყოფადობას, მიუხედავად მისი ეროვნული წარმომავლობისა და რელიგიური კუთვნილებისა, არავითარი შეზღუდვა არ მოელის.

ამრიგად, მას საერთაშორისო, უნივერსალური ხასიათი და მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი შინაური და განსაკუთრებით გარე მტრები ცდას არ აკლებენ, რომ ქართველობა დააჩოქონ და ამის პირველი საშუალებაა ის, რომ წაიშალოს ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა, ტრადიციები, ადათები, ყოველივე ის, რაც შეადგენს „ქართველობის" ხერხემალს. თუ ჩვენ სხვებს დავემსგავსებით, მათში ავითქვიფებით., მაშინ აზრს დაკარგავს ისეთი ცნებები, როგორიცაა „საქართველო", „სამშობლოს სიყვარული", „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა", „დედა-ენა", „დედა-ეკლესია" და ა.შ.

ეროვნული თვითმყოფადობის განმსაზღვრელია ეროვნული თვითშეგნება, რომელიც, როგორც ხედვათა ერთობლიობა, აგებულია გარკვეულ სულიერ ღირებულებათა სისტემაზე. ერის ამოცანაც სწორედ იმ სულიერი ღირებულებების სწორი მიმართულებით განსაზღვრაში და გამოყენებაში მდგომარეობს, რომლებიც იმთავითვე ქმნიდნენ და დღესაც ქმნიან ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებას. ამ სულიერ ღირებულებათა განმსაზღვრელნი იყვნენ, არიან და იქნებიან ნამდვილი ქართველი მამაკაცები და დედაკაცები. ქალაჩუნების, ჰომოსექსუალისტებისა და ლესბოსელების მიერ აშენებული ქვეყანა ჯერაც არავის უნახავს.

ეკუმენიზმისაგან განსხვავებით დიდი სამოქალაქო ზნეობრივი კანონის მოძღვრება მსოფლიო ერთ-ღმერთიანობას კი არ ქადაგებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ხატავს საზოგადოების სამოქალაქო ცხოვრების პრინციპთა ისეთ ერთობლიობას, რომლის უარყოფაც მათი თვალნათელობისა და გასაგებობის,

სიმარტივის გამო თითოეულის მიერ შეუძლებელია.

გლობალიზაციის ეპოქის მიერ ჩვენს წინაშე წამოჭრილი გლობალური ამოცანის ამოხსნა, ასევე, გლობალური შეიძლება იყოს თავისი განსაზღვრებებით და, ბუნებრივია, მისი არსებობა შეიძლება ვეძიოთ მხოლოს იმ სიღრმეებში, საიდანაც იგი წარმოიშვა.

ამ აზრით, წინამდებარე ნაშრომის მიხედვით ქართულ-იბერიული კულტურის ღრმა შრეების შესწავლა ნიშნავს, გარკვეულწილად, ყოველი ერის მიერ თავისი დასაბამის და არსის შეცნობას იმ მთავარი პირველსაწყისისას, რომლის გარეშეც არ არსებობს არც ერთი ერი და რომელზედაც დაშენებულია შემდგომი კულტურული შრეები. ამგვარი გაგებით ქართული კულტურა ავტორის მიერ განიხილება მსოფლიო ცივილიზაციის უნიკალურ ნაკრძალად, რომელშიც ჯერ კიდევ შემორჩენილია საერთაშორისო საზოგადოების შემადგენელი თითოეული წევრი ერისა და ეთნოსის არსებობის რეალური ყოფნის და ფუნქციონირების საწყისი ფორმულა.

შესაბამისად, ამ ნაშრომშის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ის, რომ თემა იბერიულ-ქართული კულტურის არსის შესახებ იქცეს საერთაშორისო მეცნიერული კვლევის, ანალიზისა და დისკუსიის საგნად.

ავტორი სამართლიანად სვამს კითხვას, რომ თუ ცივილიზაციის ისტორია და ღვინის წარმოება ქრონოლოგიურად ერთმანეთს ემთხვევა, ხოლო ღვინის წარმოების სამშობლოდ საქართველო ითვლება, მაშინ განა ლოგიკური არ არის დასკვნა იმის შესახებ, რომ ცივილიზაციის ისტორიის პირველწყაროდ, გარკვეულ საწყისად თავად ქართული კულტურა გვევლინება?

ამის მერე მკითხველმა უნდა განსაჯოს, რა უფრო მისაღებია ჩვენთვის - ბრმად გადმოვიღოთ დასავლეთიდან ის სულიერი (ხანდახან ძალიან საეჭვო და დაბალზნეობრივი) ღირებულებები, რომლებსაც ის გვთავაზობს და რომლის გარკვეული ნაწილი ამა თუ იმ ფორმით, სავარაუდოდ, მას ჩვენგან აუღია, თუ პირიქით, გამოვიკვლიოთ და გავიცნობიეროთ ის უდიდესი საგანძური ადამიანური კულტურის არსებობისა, რომელიც ჩვენს თანამედროვე ქართულ კულტურაში არსებობს და იქით შევთავაზოთ დასავლეთს, რომელსაც თავად გასჩენია პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია კულტურის და ზნეობრივ კრიზისთან?

ჩვენ ვიზიარებთ ავტორის დასკვნას იმის შესახებ, რომ **ჩვენი ერის კულტურულ-ინტელექტუალური პოტენციალი არის ის უმნიშვნელოვანესი ქართული პროდუქტი (საბაზრო ეკონომიკის გაგებით), რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება მსოფლიო კულტურულ-ეკონომიკურ ბაზარზე.**

ჩვენ ასევე სრულად ვიზიარებთ ვასო კუკუნაშვილის თვალსაზრისს, რომ **„თუ დაფერდდა და დააფრაკდა ზნეობა, და, შესაბამისად, დაყრუვდა და დამუნჯდა ერი, გადამხვეველი სამოქალაქო ზნეობრივი კანონის აღსრულების გზიდან, კანონი, რა ლამაზი და მშვენიერიც არ უნდა იყოს იგი, შერმყვნელია და არა მომწესრიგებელი ხალხის თანაცხოვრებისა. როგორც კი გადაუხვევს სამოქალაქო ზნეობრივ კანონს, ეგრევე თავისი ხორცის მომსახურე და მონა ხდება ერი, და, შესაბამისად, ლაჩრობობითა და სიმხდალით აღივსება... თავკაცი ერით უნდა იყოს ძლიერი, ხოლო ერის გარეშე ერთი კაცის ზღვარგადასული სიძლიერე პირდაპირი ნიშანია ერის სისუსტისა და მისი არაბრძნულ მდგომარეობაში ყოფნისა. და იგი ბრალია არა იმ კაცისა, არამედ მთელი ერისა. მონა დუმს თავისი ერის უხამსობისა ზედა, ხოლო თავისუფალი მოქალაქე ითხოვს არაშელახვას ღირსებისა. ვიყოთ არა მონები, არამედ მოქალაქენი და ვუპატრონოთ ქვეყანასა ჩვენსა. ჩვენ თითოეულს გვაქვს ვალი წინაშე უფლისა და წინაშე ჩვენი ქვეყნისა, რომლის მსახურება უმთავრესი მოვალეობაა“ („ჯვარ-პატიოსანი“).**

Vazha Shubitidze, Rezo Rukhadze

SUMMARY

National Independence and National Ideology

National independence is a vital and necessary condition for the nation. The Georgian nation gained national independence twice in the 20th century, and it was given to the country from top, not below. It was not gained through the hard work. Nowadays, building of the national state is taking place without the basement, i.e. the national ideology, in fact. There are not elaborated its ten sub-systems, and therefore, the country is swinging and flinging away as a ship without a compass in the huge ocean. The new government should necessarily solve this problem if we want Georgia to be able to build normal, national, and civilized state.

2012 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პოლიტიკური ანალიზი

თამარ კუპრეიშვილი

2012 წლის გაზაფხულზე საფრანგეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები მოექცა როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს ყურადღების ქვეშ. არჩევნებს წინ უძღოდა საინტერესო, წინასაარჩევნო კამპანია და მსოფლიოში გახმაურებული სკანდალური ფაქტები.

არჩევნების შედეგებზე მნიშვნელოვნად იმოქმედა მოქმედი პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის როგორც შიდა პოლიტიკურმა კურსმა, ასევე საგარეო ვექტორმა, რასაც მწვავედ აკრიტიკებდნენ საფრანგეთში.

"ამომრჩეველს სულ უფრო და უფრო მეტად აღიზიანებდა მისი პოპულიზმი და ევროკავშირის რეფორმის ფარგლებში განხორციელებული პროექტები, გარდა ამისა დანახარჯები ლიბიის ომში, რომელსაც საფრანგეთი უჭერდა მხარს ფინანსურად, გამუდმებით იზრდებოდა" – აღნიშნა ელიზაბეთ ჰატმანმა Carnegie Europe-დან. მისივე განმარტებით, კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ ჩატარებული სამხედრო ოპერაციისგან საფრანგეთს არ მიუღია პოლიტიკური და ეკონომიკური დივიდენდები.

შიდა პოლიტიკაში პრეზიდენტი თავისი წინამორბედის ზომიერად სოციალისტურ კურსს მიჰყვებოდა. მისი მმართველობის პერიოდში იყო საპროტესტო გამოსვლები დიდი ქალაქების გარეუბნებში – ემიგრანტები აფრიკიდან და აზიიდან გამოთქვამდნენ პროტესტს ამ ზონებისადმი ხელისუფლების უყურადღებობის გამო.

კრიზისის დასაწყისშივე აღმოჩნდა, რომ შიდა პოლიტიკაში ერთ-ერთი პირველი მსხვილი ბანკი, რომელმაც დანაკარგების შესახებ განაცხადა ფრანგული Société Générale იყო. ერთი თვის მანძილზე საფრანგეთის ეკონომიკის ამ ფინანსურმა საყრდენმა 7,2 მლრდ. დოლარის დანაკლისი განიცადა. ამ დროიდან ხელისუფლებამ დაიწყო სოციალური დახმარებების აქტიური შემცირებების პოლიტიკა. ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა გახდათ საპენსიო ასაკის 65 წლამდე გაზრდა. შემდგომი წლების განმავლობაში პრეზიდენტის პოპულარობა განაგრძობდა ვარდნას.

წინა საარჩევნო კამპანიის დასაწყისში სარკოზის პოპულარობის მაჩვენებელი 20%-ს არ აღემატებოდა. მას შემდეგ, რაც სააგიტაციო კამპანიის წარმოება დაიწყო, ეს მაჩვენებელიც გაიზარდა. [Vaisse Justin,"The 2012 French Presidential Elections", p.3-4]

ფრანგი ექსპერტების თქმით, სარკოზის ყველაზე დიდი გამარჯვება ამ წინასაარჩევნო კამპანიაში გახდა დომინიკ შტროსს-კანის დაპატიმრება. შტროსს-კანი 2011 წლის გაზაფხულზე აშშ-ში დააკავეს სასტუმროში მოახლის გაუპატიურების მცდელობისთვის. მას ბრალდებულებები მოუხსნეს და გაანთავისუფლეს, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობისგან თავი ძალიან შორს დაიჭირა.

ამით, ნიკოლა სარკოზს თავისი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკური კონკურენტი ასპარეზს ჩამოშორდა.

საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა თუ ვინ იქნებოდა არჩეული 6 მაისის არჩევნებში და ვინ შევიდოდა უმრავლესობით – ეროვნულ ასამბლეაში, ან "თანაცხოვრების" სიტუაციურ სახეცვლილებაში ვინ იქნებოდა ჩაბმული. ამ არჩევნების მთავარი მიზანი იყო ხალხს სწორედ განესაზღვრა თავისი არჩევანი და საფრანგეთი გამოეყვანა ევროზონის კრიზისიდან.

2007 წელს სარკოზიმ დაამარცხა მთავარი მოწინააღმდეგე სეგოლენ რუიალი (ფრანსუა ოლანდის ყოფილი მეუღლე) საერთო განახლებისა და აქტივობის ლოზუნგით. "მაშინ ჟაკ შირაკის 12 წლიანი მმართველობის შემდეგ ფრანგებს სურდათ რეფორმები, ახალგაზრდა პრეზიდენტმა შეძლო მათთვის სასურველი იმიჯის მორგება" – თვლის ჟოსტინ ბაისი ბრუკინგსის ცენტრიდან. წინა არჩევნებში სარკოზმა იმის ხარჯზეც მოიგო, რომ გადასახადების შემცირების, საბიუჯეტო სფეროში რეფორმების გატარების და მიგრაციის სამინისტროს შექმნის პირობა დადო, რითაც გადაიბირა მემარჯვენე ამომრჩეველი, რომელმაც პირველ ტურში ხმა მარი ლე პენს მისცა.

2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანია სარკოზიმ უფრო მეტი ხალისით და უწყვეტი რეჟიმით დაიწყო. მისი ლოზუნგი იყო "ძლიერი საფრანგეთი". სარკოზმა თავისი საარჩევნო კამპანია მარსელში გამართული მასობრივი მიტინგით დაიწყო. საკუთარი მომხრეების წინაშე სიტყვით გამოსვლი-

სას სარკოზიმც განაცხადა, რომ მისი ეკონომიკური პოლიტიკა საფრანგეთს კრიზისის სავალალო შედეგების თავიდან აცილებაში დაეხმარა. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მიზნად მან "ტრადიციული ინტერესების დაცვა დაასახელა". [Vaisse Justin,"The 2012 French Presidential Elections", p.5-6]

2012 წლის გაზაფხულზე საფრანგეთში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც შედგა ორი რაუნდისაგან. პირველი რაუნდი ჩატარდა კვირას, 22 აპრილს და მეორე რაუნდი, კი – ორი კვირის შემდგომ – 6 მაისს. ამის შემდგომ გახდა ცნობილი, რომ მხოლოდ ორ კანდიდატს ჰქონდა მომდევნო რაუნდში მონაწილეობის უფლება, რომლებიც იყვნენ: მოქმედი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი და სოციალისტი ფრანსუა ოლანდი.

მე-5 რესპუბლიკის კონსტიტუციურ სისტემაში, პრეზიდენტს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მას არ შეუძლია კანონი ერთპიროვნულად მიიღოს თუ მას არ დაეთანხმება უმრავლესობა და პრემიერ მინისტრი. 2000 წლიდან საპრეზიდენტო მანდატი შეიცვალა 7-ის ნაცვლად 5 წლით და სინქრონიზირებული გახდა აღმასრულებელი ციკლით.

2012 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ეგზიტპოლის შედეგებით ლიდერობდა პირველი ოთხი კანდიდატი: ფრანსუა ოლანდი, ნიკოლა სარკოზი, მარი ლე პენი და ჟან-ლუკ მელენშონი, თუმც საბოლოო გამარჯვება მხოლოდ სოციალისტ ფრანსუა ოლანდს ერგო.

სოციოლოგიური კვლევების მონაცემებით, ფრანსუა ოლანდი ღირსეულ კონკურენციას უწევდა ნიკოლა სარკოზის არჩევნების მეორე ტურში. ეს პოლიტიკოსი ფრანსუა მიტერანის პოლიტიკისა და ქცევის კოპირებას ცდილობდა და საკმაოდ ხმამაღალ დაპირებებს იძლეოდა; ისეთს, როგორიცაა 2017 წლისათვის ბიუჯეტის სტაბილიზება და საპენსიო ასაკად 60 წლის დაწესება.

"1981 წელს, ფრანსუა მიტერანი არჩეულ იქნა თავისი თამამი პროგრამით, რომელსაც ეწოდებოდა "შევცვალოთ ცხოვრება" თავისი 110 პროგრესული პროგრამით, დაწყებული ბანკების ნაციონალიზაციით და 35 საათიანი სამუშაო კვირის, სასიკვდილო სასჯელის გაუქმებით. პროგრამა ძალიან გაბედული იყო ფრანგი ელექტორატის დასარწმუნებლად. ის იყენებდა სლოგანს "მშვიდი ძალა" – ეს ყოველივე მკაფიოდ შეესაბამება 2012 წლის ფრანსუა ოლანდის საარჩევნო კამპანიას, სადაც სოციალისტი კანდიდატი შედარებით უფრო შეზღუდულ სლოგანს იყენებდა "შევცვალოთ, ახლა" (უფრო ზუსტად: "ცვლილებები, ეს ახლაა!"). [ჟაკ სეგელა "ხმებზე ნადირობის ნაციონალური თავისებურებანი", გვ.60-68].

სარკოზი უკანასკნელი რამოდენიმე თვის განმავლობაში აქტიურად ცდილობდა მჭიდრო თანამშრომლობა აღარ ჰქონოდა ანგელა მერკელთან. ორი ქვეყნის ლიდერები არჩევნებამდე თითქმის ყოველკვირეულად ხვდებოდნენ ერთმანეთს იმისათვის, რომ განეხილათ ევროკავშირის მომავალი, მაგრამ ეს იმ ფრანგებს, რომლებიც თვლიდნენ, რომ საფრანგეთი ასეთი თანამშრომლობით მოგებული არ დარჩება, დიდად არ მოსწონდათ.

სარკოზი ცდილობდა ჩამოშორებოდა ევროკავშირის გაძლიერებაზე მუშაობას და უფრო მეტ აქცენტს აკეთებდა ნაციონალურ ინტერესებზე. მან დაიწყო ბრძოლა ნაციონალისტურად განწყობილი ამომრჩევლების ხმებისთვის, რათა გადაესწრო სოციალისტების წარმომადგენლისათვის.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის, რომ ოლანდს უფროდაუფრო მეტი გავლენიანი პოლიტიკოსი უჭერდა მხარს საჯაროდ. ყველასათვის მოულოდნელად მათ რიცხვს ქალბატონი ფადელა ამარიც შეუერთდა. საქალაქო პოლიტიკის ამჟამინდელი მთავრობის (სარკოზის საპრეზიდენტო მანდატის ამოწურვამდე) ყოფილი სახელმწიფო მდივნის ეს დემარში მნიშვნელოვანი დარტყმა აღმოჩნდა სარკოზისათვის.

სოციალისტური პარტიის ლიდერი ფრანსუა ოლანდი საპრეზიდენტო კანდიდატად 2011 წლის 16 ოქტომბერს დასახელდა და 23 იანვარს (2012 წლის) ოფიციალურად დაიწყო საარჩევნო კამპანია. ის საპროგრამო სიტყვით გამოვიდა მიტინგზე, რომელსაც დაახლოებით 25 ათასი ადამიანი ესწრებოდა. მან განაცხადა, რომ დღეს საფრანგეთს მართავს არა ნიკოლა სარკოზი, არამედ "ფინანსების უსახური სამყარო". მან ასევე განაცხადა, რომ აპირებდა ხელისუფლებაში მოეყვანა მემარცხენე ძალები, რომლებიც ქვეყანაში ცვლილებებს განახორციელებდნენ. უფრო კონკრეტულად, ოლანდმა განაცხადა, რომ აპირებდა რეფორმების გატარებას განათლების, ჯანდაცვის და გადასახადების სფეროში. [Pascal Perrineau "L'élection présidentielle en France",p. 10]

2012 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების მთლიანმა პროცესმა სოციალისტი ფრანსუა ოლანდის უპირატესობით ჩაიარა. ოლანდი სტაბილურად ლიდერობდა წინა საარჩევნო გამოკითხვებში. პირველ ადგილზე გავიდა არჩევნების პირველ ტურში, სადაც ხმების 51, 63% მოიპოვა, ხოლო მისმა კონკურენტმა ნიკოლა სარკოზიმ 48, 37%. 1995 წის შემდეგ ფრანსუა ოლანდი საფრანგეთის პირველი სოციალისტი პრეზიდენტი გახდა. [Résul-

tats de l'élection présidentielle 2012, p.2]

საფრანგეთში არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელი შინაგან საქმეთა სამინისტროა. ფრანგული არჩევნების მიმართ საერთაშორისო ბიუროების ნდობა იმდენად დიდია, რომ მიუხედავად დროული მოწვევისა, მათ თავიანთი დამკვირვებლები თითქმის არც გაუგზავნიათ. 10 და 17 ივნისს საფრანგეთმა აირჩია პარლამენტის 577 წევრი და უმრავლესობაში აქაც ოლანდის მომხრეები აღმოჩნდნენ.

საფრანგეთის სენატის (პარლამენტის ზედა პალატა) ინფორმაციით ქვეყანას არჩევნების ორგანიზება და ჩატარება 217 მილიონი ევრო დაუჯდა.

საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის ისტორიაში ეს მეათე საპრეზიდენტო არჩევნები იყო.

ამრიგად, ელექტორატის მიერ გამარჯვებულ კანდიდატზე მთავარი შეკვეთა იყო საფრანგეთის ფინანსური პრობლემების მოგვარება, რასაც წინა საარჩევნო კამპანიაში ფრანსუა ოლანდი ჰპირდებოდა ამომრჩეველს. თუმცა თუ როგორ გაართმევს თავს ამას მომავალი გვიჩვენებს. ვინაიდან მსოფლიოში სულ უფრო იზრდება გლობალური ეკონომიკური პრობლემები, რომელსაც თავს ვერც საფრანგეთი აარიდებს. აქედან გამომდინარე, საფრანგეთის პოლიტიკურ მესვეურებს მოუწევთ უარი თქვან რიგ ნაციონალურ ინტერესებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Michel Winock "L'élection présidentielle en France 1958-2007", France, 2008
2. Pascal Perrineau "L'élection présidentielle en France 1962-2012", France, 2012
3. ჟაკ სეგელა "ხმებზე ნადირობის ნაციონალური თავისებურებანი", თბილისი, 2010
4. http://www.brookings.edu/research/opinions/2012/04/04-france-elections-vaisse
5. http://en.wikipedia.org/wiki/French_presidential_election,_2012#Campaign
6. http://ru.euronews.com/2012/04/30/far-right-voters-still-key-to-french-presidential-poll/
7. http://www.economist.com/node/21557386
8. http://www.guardian.co.uk/world/2012/may/04/french-presidential-elections-hollande-sarkozy
9. http://www.brookings.edu/research/opinions/2012/05/07-hollande-france-vaisse
10. http://www.leparisien.fr/election-presidentielle-2012/resultats.

Tamar Kupreishvili

The Political Analysis of the 2012 French Presidential Elections

SUMMARY

A presidential election was held in France on 22 April 2012 (or 21 April in some overseas departments and territories), with a second round run-off held on 6 May (or 5 May for those same territories) to elect the President of France (who is also ex officio one of the two joint heads of state of Andorra, a sovereign state). The incumbent Nicolas Sarkozy was running for a second successive and, under the terms of the constitution, final term in the election.

The first round ended with the selection of Nicolas Sarkozy and François Hollande as second round participants. Hollande won the runoff with a vote of 51.63% of the vote to Sarkozy's 48.37%.

Since the first round there has been a drive to woo far-right voters with Sarkozy making immigration a major issue of his campaign and Hollande focussing on the euro-zone crisis and the state of the economy. Hollande's slogan was: "Change, now" ("Le Changement, c'est maintenant).

The result of May 6 will have a profound impact on European Leaders' ability to cope with the financial crisis.

პიროვნების აქტიური როლი მოთხოვნილებების ჩამოყალიბებაში

ინგა სიჭინავა, *სტუ-ს დოქტორანტი*

ეპოქა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, გარდაქმნებისა და ცვლილებების ეპოქაა. ეს ცვლილებები სუბიექტების გარდაქმნასაც მოითხოვს. პიროვნება არის რთული, კომპლექსური, თვითრეგულირებადი მთლიანი, რომელიც დროთა განმავლობაში ვითარდება.

ცხოვრების თითოეული ეპიზოდი მთელ რიგ შინაგან, ურთიერთმოქმედ მოთხოვნილებებს ბადებს, რომლებიც გარემოში არსებული შესაძლებლობების მიხედვით გამოიხატება. სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ამოცანა არის ძირითად ადამიანურ მოთხოვნილებათა თანამედროვე ეპოქის შესაბამისად ფორმირება და ორგანიზება. დევიდ მაკლელანდის თქმით - „ქვეყნის წინსვლას ამბიციური მოთხოვნილებები განაპირობებენ“.

ეკონომიკური კრიზისი და მოსახლეობის მატერიალური ცხოვრების დონე საბოლოო ჯამში, არაერთგვაროვან ზეგავლენას ახდენს ადამიანის რწმენის, შეხედულებებისა და ინტერესების ფორმირებაზე. ეს არაერთგვაროვნება კი, თავის მხრივ, ზემოქმედებს ინდივიდის მოთხოვნილებებისა და შესაბამისად ქცევის სხვადასხვა ტიპის გამოვლენის ინტენსივობაზე. ეკონომიკურმა სიტუაციამ ადამიანის საქმიანობა და მოღვაწეობა შეიძლება სხვა და სხვანაირად წარმართოს, რადგანაც თითოეული ინდივიდის კულტურული და ზნეობრივი სახე განსხვავებულია და ისინი ერთნაირად არ რეაგირებენ ეკონომიკური პირობებისა და სიტუაციის შეცვლაზე. თუმცა კრიზისული მოვლენები ეკონომიკაში, წინააღმდეგობები და მწვავე დეფიციტი საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ, სულიერ და სხვა სფეროებში, აგრეთვე დისციპლინისა და პასუხისმგებლობის შესუსტება, აისახება ზოგადად ადამინების ქცევაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაში არსებულ მოთხოვნილებათა ფორმირებაზე მოქმედებს არა მარტო ეკონომიკური და მატერიალური, არამედ მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. მოთხოვნილებათა ცვლილება თან სდევს სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს. ტრანსფორმაცია ჯერაც მიმდინარეობს, ასე რომ მოსალოდნელია მოთხოვნილებათა შემდგომი ცვლაც.

მოთხოვნილების, როგორც დამოუკიდებელი პრობლემის კვლევა XX საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო. ამ დრომდე მოთხოვნილებები განიხილებოდა სხვადასხვა ემოციონალურ პრობლემებთან ერთად, მაგალითად ინსტიქტთან ერთად.

ლექსიკონებში სიტყვა ,,მოთხოვნილება“ სხვადასხვაგვარადაა განმარტებული, მაგრამ ძირითადი არსი ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება.

თანამედროვე განმარტების მიხედვით მოთხოვნილება არის ადამიანის, როგორც ბიო-ფსიქო-სოციალური არსების სწრაფვა სიცოცხლის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის აუცილებელი პირობების მიღებისკენ. იგი ძირითადად რაიმეს დეფიციტით არის გამოწვეული.

იქ სადაც მოთხოვნილება ყოველგვარი შეფერხების გარეშე აღწევს და ღებულობს თავის საგანს, იგი ფსიქოლოგიურად შეუმჩნეველი რჩება და როგორც ნდომა და მისწრაფება არ განიცდება. მაგალითად ჩვენ არ ვგრძნობთ მოთხოვნილებას ჰაერზე, როცა უკანასკნელი საკმაოდ გვაქვს და სუნთქვის პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს, მაგრამ საკმარისია ვიგრძნოთ მისი უკმარისობა, რომ მოთხოვნილებაც გაიზრდება. ასევე ჩვენ არ ვაფასებთ ტვინის იმ ფუნქციას, რომელიც ძილის პროცესს უზრუნველყოფს, ვინაიდან ეს ბუნებრივად, მექანიკურად ხდება. როდესაც ადამიანი იღლება, მას ეძინება, მაგრამ, საკმარისია დაირღვეს ძილის პროცესი, რომ ადამიანს უჩნდება სურვილი და მოთხოვნილება სრულყოფილი ძილისა.

ძლიერი მოთხოვნილება ინდივიდს სწორედ იმ საგნებისა და მოვლენებისაკენ მიმართავს, რომლის დანაკლისიც მასში იგრძნობა და რომლის მოხმარებაც მას აკმაყოფილებს. ადამიანს უამრავი მოთხოვნილება აქვს. ცხადია, რომ მოთხოვნილებები არ არიან ერთმანეთისგან სრულიად იზოლირებულნი, ისინი ურთიერთქმედებენ. რა თქმა უნდა არსებობს მოთხოვნილებათა იერარქია, რომელშიც გარკვეულ ტენდენციებს უფრო მაღალი მდგომარეობა უკავიათ, ვიდრე სხვებს. ასეთ მოთხოვნილებებს დომინანტი მოთხოვნილებები ეწოდებათ რომლებიც დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში უფრო ძლიერნი არიან და მძლავრობენ სხვებზე. როდესაც ორი ან სამი არათავსებადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საჭიროება იქმნება, სწორედ დომინირებული მოთხოვნილება გახდება ქმედითი, ვინაიდან შეუძლებელია მისი დაკმაყოფილების გადავადება.

სხვადასხვა მკვლევარები მოთხოვნილებათა კლასიფიკაციის სხვადასხვაგვარ მოდელებს გვთავაზობენ.

თუმცა მთავარი დასკვნა ნათელია: თეორია, რომელიც მოტივირების ერთიან და უნივერსალურ კონცეფციას შემოგვთავაზებდა, ჯერჯერობით, არ არსებობს. მიუხედავად ამისა, თითოეულ ავტორს უეჭველად აქვს შემოთავაზებული ფასეული მოსაზრებები. ეს თეორიები ერთმანეთს არ გამორიცხავენ.

დღესდღეობით ყველაზე პოპულარულია ამერიკელი მეცნიერის აბრაამ მასლოუს მოთხოვნილებათა კლასიფიკაცია, თუმცა თვითონ მასლოუმაც აღიარა, რომ მის მიერ დადგენილ მოთხოვნილებათა იერარქიული სტრუქტურა არ იყო ისეთი „მტკიცე", როგორც ის ვარაუდობდა. მასლოუს თეორიას ძირითადად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო გაეთვალისწინებინა ადამიანთა მოთხოვნილებებში ინდივიდუალური განსხვავებები, რომელთა გამოც ერთი ადამიანი შეიძლება უფრო მეტად დაინტერესდეს თვითგამოხატვით, მეორე - აღიარებით, მესამე კი - სოციალური მოთხოვნილებებით. როგორც არ არსებობს ერთნაირი თითის ანაბეჭდის მქონე ორი ადამიანი, ისე არ არსებობს ორი ადამიანი, რომელსაც იდენტური მოთხოვნილებები ექნებოდა. მოტივები, რომლებიც ადამიანს ამოძრავებს, ყოველთვის ინდივიდუალურია.

სხვადასხვა ადამიანისთვის სხვადასხვაგვარად მნიშვნელოვანია ძალაუფლება, ავტორიტეტი, ფული, სტაბილურობა, აღიარება, მოწონება და ა.შ. მაგალითად, აზრი არ აქვს, ადამიანს მოტივაცია იმით გაუზარდო, რომ რთული და სარისკო ამოცანების დამოუკიდებლად შესრულება მიანდო, თუკი ამ ადამიანისთვის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი სიმშვიდე და სტაბილურობაა.

ადამიანი მწვავედ განიცდის დაუკმაყოფილებლობასა და რაღაცის დაუსრულებლობის შეგრძნებას. ადამიანი, რომელიც ცუდად ახერხებს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას არის აგრესიული, გაღიზიანებული, არ არის დარწმუნებული საკუთარ ძალებში, და ადამიანი მსგავსი ემოციებითა და შეგრძნებებით კიდევ უფრო ნაკლებად ახერხებს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ასე იქმნება ჯადოსნური წრე, რომლიდან თავის დაღწევაც ძალიან უჭირთ ხოლმე. ცხოვრებისეულ სიტუაციებში იმარჯვებენ ის ადამიანები, რომლებიც ფლობენ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარებს. რაც უფრო განვითარებული აქვს ადამიანს ეს უნარები, მით უფრო კარგად ახერხებს იგი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ობიექტებს მოძიებას.

პიროვნება არ არის პასიური არსება და ამიტომ თვითონაც უნდა ახდენდეს მოთხოვნილებების იერარქიის ფორმირებას. იგი თავისი ღირებულებების სისტემას უნდა ქმნიდეს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ადამიანებს ბავშვობიდან მშობლები, პედაგოგები, კეთილმოსურნე ახლობლები ასწავლიან ცხოვრებას. წვრთნიან მათ გონებას, რათა მათ იფიქრონ ისე, როგორც ყველამ, აკეთონ ისე, როგორც სურთ სხვებს. ეს ადამიანები იზრდებიან და სწავლობენ რა არის კარგი, რა არის ცუდი, რა უნდა გააკეთონ, როგორ უნდა გააკეთონ, რომელი მოთხოვნილება უნდა დაიკმაყოფილონ, რომელი არა, მშობლები ბავშვობაშივე უხშობენ შვილებს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარებს, ისინი თვითონ წყვეტენ თუ რა არის მათი შვილისათვის საჭირო და მნიშვნელოვანი, ისინი წყვეტენ თუ ვინ უნდა გამოვიდეს, სად უნდა ჩააბაროს, ვისზე იქორწინოს და ასე შემდეგ. ეს პროცესი არ სრულდება, რადგან ასე აღზრდილი ადამიანიანები ამ ყველაფერს ასწავლიან თავიანთ შვილებს და აქ ისევ იქმნება ,,ჯადოსნური წრე".

თუკი ადამიანი ვერ იკმაყოფილებს მოთხოვნილებებს და აკრძალვები ზომაზე მეტია, ასეთ შემთხვევაში იგი ბავშვობიდანვე კარგავს ცხოვრების ინტერესს, ცხოვრებით ტკბობის შეგრძნებებს, ჰარმონიულობისა და მთლიანობის განცდას, შინაგან თავისუფლებას, ინიციატივის, თვითგამოხატვის უნარს, ემართება სოციალური სიზარმაცე, აღარ უსმენს საკუთარ სხეულსა და სულს, კარგავს საკუთარი მოთხოვნილებების აღქმისა და შეგრძნების უნარს, კარგავს ინტერესს ყველაფრისადმი. ყოველივე ამის გამო თავს იჩენს მრავალი პრობლემა და კომპლექსი, რომელიც არ აძლევს ადამიანს მშვიდი ცხოვრების საშუალებას. საბოლოო ჯამში კი უჭირს იმის გაცნობიერება და აღიარება რომ მის პრობლემებს ღრმა ბავშვობაში აქვს ფესვები გადგმული. თუკი მისი ღირებულებების სისტემა მას არ ეკუთვნის, მაშინ იგი მუდმივად დაუკმაყოფილებლობის შეგრძნებას განიცდის ან ჩნდება დესტრუქციულ საქმიანობაში ჩართვის საფრთხე. თუკი ადამიანი ცდილობს დაიკმაყოფილოს რამდენიმე მოთხოვნილება ერთდროულად, მაგალითად საკუთარი, მშობლების, ნათესავების და ასე შემდეგ მაშინ მას უჩნდება გაურკვევლობის შეგრძნება. იგი ასეთ შემთხვევაში ვერ გამოავლენს მთავარს უმნიშვნელოსგან. ეს არის წარუმატებელი ადამიანების ერთ-ერთი თვისება. ასეთ დროს ადამიანმა არ იცის რომელ მოთხოვნილებას მიანიჭოს უპირატესობა. თუკი იგი არასწორად იკმაყოფილებს მოთხოვნილებებს ყოველთვის წაგებულის როლშია.

ჯეკ კენფილდს თავის ერთ-ერთ წიგნში მოყავს შედეგები გამოკითხვისა, რომელიც ჩაატარეს ღრმად მოხუცებულ, ავადმყოფ ადამიანებთან. ისინი პასუხობენ კითხვაზე: ,,რას შეცვლიდით

თქვენს ცხოვრებაში, რომ მოგცემოდათ მისი თავიდან დაწყების შესაძლებლობა?“ პასუხების შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ თითოეული მათგანი ნანობდა არა იმას რაც ჩაუდენიათ ცხოვრებაში, არამედ იმას რაც არ გაუკეთებიათ და ერთ–ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი ამ უმოქმედობისა იყო შიში (ან პასუხისმგებლობა). შიში - წარუმატებლობის წინაშე, შიში რომ სწორად არ გაუგებდნენ, რომ მათი საქციელი სხვებს არ მოეწონებოდათ, დასცინებდნენ და ასე შემდეგ.

რა თქმა უნდა ნებისმიერი ნორმალური ადამიანი განიცდის შიშისა და პასუხისმგებლობის გრძნობას, მაგრამ ერთია, როცა ის აიძულებს პიროვნებას გამოიჩინოს სიფრთხილე, უფრო გულდასმით აწონ-დაწონოს თითოეული ნაბიჯი და მეორე, როცა შიშის გამო ადამიანი ვერ ახერხებს მოქმედებას, უარს ამბობს მიზნისკენ წინსვლაზე, როცა ეს გრძნობა ფაქტიურად ახდენს მის პარალიზებას. ეს არის შემთხვევა, როცა რამის კეთება სურს ადამიანს, მაგრამ ეშინია მარცხი არ განიცადოს, ის გაურბის რისკს და ამით მიდის კიდევ უფრო დიდ რისკზე – განიცადოს სრული იმედგაცრუება, ვინაიდან ვინც არაფერს აკეთებს ის ვერაფერს მიაღწევს, ხოლო ვინც ვერაფერს მიაღწევს, ის არ არის რეალიზებული. ცნობილი რუსი ფსიქოლოგი ნატალია გრეისი ამბობს: „შიში ეს არის გამადიდებელი შუშა, რომელიც მრავალჯერ ადიდებს რეალურ საშიშროებას“.

ადამიანებს ეშინიათ გაკიცხვის, კრიტიკის, არ უყვართ მისი მოსმენა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კრიტიკა არ მიიღო, რადგან ის შეიძლება რაციონალურ აზრსაც შეიცავდეს. მაგალითად ცნობილი კომპანიის „დანონის“ ერთ-ერთმა დაქირავებულმა დირექტორმა, რომელიც თვლიდა, რომ ყველას მაინც ვერ ასიამოვნებ, მიმართა თავისი ჭკუით გონივრულ ხერხს, მან დაიბარა თანამშრომლები, მომსახურე პერსონალი, და უთხრა, რომ კრიტიკული და პრეტენზიული წერილები გამოეგზავნათ მისთვის. ოღონდ სათაურშივე მიეთითებინათ, რომ წერილი შენიშვნებს ეხება. იგი პირდაპირ სანაგვე ყუთში ყრიდა ასეთ წერილებს, რამაც თათბირიდან ორ თვეში მისი კარიერული წინსვლის დასრულება გამოიწვია.

თუმცა გარდა კრიტიკის შიშისა მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობისა და წარუმატებლობის მიზეზი იმ შეზღუდვებშია, რომლებიც ადამიანის ქვეცნობიერში ბუდობს. მაგალითად ადამიანი, რომელსაც სურს, გახდეს მატერიალურად უზრუნველყოფილი და ამ მიმართულებით ბევრს მუშაობს, შეიძლება ყველაფერს სწორადაც აკეთებს, მაგრამ რა ხდება, თუ მის ქვეცნობიერში არის პროგრამა, რომ „ფული - ხელის ჭუჭყია“, „მდიდარ ადამიანებს არა აქვთ სუფთა სინდისი“, „მდიდრები სინამდვილეში კი არ უყვართ, უბრალოდ მათ სიმდიდრისთვის ეტანებიან“; „მდიდრებს მშვიდი ცხოვრება არა აქვთ“ და ა.შ. ადამიანის ფიზიოლოგია და განსაკუთრებით ტვინი როგორც წესი მოწყობილია ისე, რომ ის ყოველთვის ცდილობს შეგვიქმნას კომფორტი და ეწინააღმდეგება ყველაფერს რაც არ მოდის შესაბამისობაში იმ პროგრამასთან, რომელიც მასში დევს და რომელიც განსაზღვრავს რა არის მისთვის პრიორიტეტული. ამიტომ ხშირ შემთხვევაში, მიუხედავად მთელი იმ ძალისხმევისა, რომელსაც ადამიანი მიმართავს რაიმე მიზნების მისაღწევად, მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში, სპორტი, ბიზნესი, სამსახური, ურთიერთობები და ა.შ., ხშირად შედეგები იმაზე ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე შეეძლო მიეღო. მიზეზი კი სწორედ იმ შეზღუდვებშია, რომლებიც მის ქვეცნობიერშია.

ნებისმიერ ადამიანს აქვს თავისი ცხოვრებისეული პრიორიტეტები და დროთა განმავლობაში, ცხოვრების მანძილზე ისინი იცვლებიან, მაგრამ მარკ ტვენი ამბობს: «შეუძლებელია ადამიანი იყოს ცხოვრებით კმაყოფილი, თუ ის საკუთარი თავით არის უკმაყოფილო!» ადამიანის თვითმიზანს წარმოადგენს იყოს რეალიზებული პიროვნება. როდესაც ინდივიდი თავისი თავით უკმაყოფილოა, ბუნებრივია უკმაყოფილოა იმ გარემოთიც, რომელშიც ვერ შეძლო თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. აქედან გამომდინარე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილება საკუთარი თავის სიყვარულია. ადამიანი რომელსაც არ უყვარს საკუთარი თავი ვერ შეიყვარებს სხვებს და შესაბამისად ვერც სხვების სიყვარულსა და პატივისცემას მოიპოვებს. საკუთარი მოთხოვნილებების პატივისცემა მისცემს ადამიანს საშუალებას დაეხმაროს სხვებსაც. ხოლო ის ადამიანი, რომელიც მხოლოდ სხვისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ფიქრობს, საკუთარს ვერ იკმაყოფილებს და რჩება იმედგაცრუებული და გაღიზიანებული.

სწორედ ამიტომ საჭიროა ადამიანმა გამოავლინოს პრიორიტეტული მოთხოვნილებები, შექმნას საკუთარი პრიორიტეტულ მოთხოვნილებათა სისტემა. საჭიროა სურვილი აქციოს მოთხოვნილებად, შემდეგ კი მოახდინოს ამ მოთხოვნილების მატერიალიზაცია, მაგრამ ვინაიდან ოცნება და სურვილი ეს არის გონების მდგომარეობა, ჩვენ მას ვერ ვეხებით, ამიტომ ხშირად მიუღწევლის შთაბეჭდილებას ტოვებს, სინამდვილეში ადამიანის ტვინს არ შეუძლია შეუძლებელზე ფიქრი. სწორედ ამიტომ

მესამეთასსწლეულის ფსიქოლოგები გვირჩევენ მოვახდინოთ ჩვენი ოცნებების ვიზუალიზაცია. ვიზუალიზაციის დროს მოქმედებს ე.წ. „მიზიდულობის კანონი" ანუ, როცა ჩვენი გონება შეგნებულად დაიწყებს რაიმეზე მუდმივად და თანმიმდევრულად კონცენტრირებას, და თუ ამას თან ვიზუალიზაციაც ახლავს, მაშინ ადამიანის ქვეცნობიერი იწყებს სამყაროში ანალოგიური ინფორმაციის მოძიებას და მოზიდვას.

არსებობს ერთი ძველი ანდაზა «გეშინოდეთ თქვენი ოცნებების, ისინი შეიძლება მართლა ასრულდნენო». ამ პრინციპის მიხედვით თუ სურვილს ვაქცევთ მოთხოვნილებად და ეს მოთხოვნილება იქნება ინტენსიური ის აუცილებლად დაიწყებს დაკმაყოფილებისათვის საჭირო საგნების მოძიებას, მაგრამ თუკი ადამიანს ახასიათებს საკუთარი აზრების უარყოფითად ფორმირება, ეს ნათლად აისახება მის ქცევებზეც და ცხოვრებაზეც. მაგალითად რატომ არიან ადამიანები წარუმატებლები? პირველი უმთავრესი მიზეზი მათი წარუმატებლობის არის არასწორი ფიქრი «მე ვინ მომცა ამის ბედი» ან «ჩემსას ოქროსაც არავინ იყიდის». სწორედ ეს ნეგატიური სიგნალი, რომელსაც მათი ქვეცნობიერი გამუდმებით უგზავნის კოსმოსს, ბლოკავს მათ ცხოვრებაში ნებისმიერ წარმატებას.

ადამიანი მუდმივად ფიქრობს, მაგრამ სამწუხაროდ, მისი აზრები ხშირად ქაოტურია და ამ ქაოტური აზროვნების გამო მისი ცხოვრებაც სავსეა მოულოდნელობებით. საქმე იმაშია, რომ ქაოსური და უმისამართო ფიქრი ისევე არ იძლევა შედეგს, როგორც ქაოტური და არამიზანმიმართული შრომა, ამის გამო მას მუდმივად უწევს ფიქრი უკვე მიღებული მისთვის არასასურველი შედეგების ლიკვიდაციაზე, შეცდომების გამოსწორებაზე, მაგრამ ხშირად შეუმჩნეველი რჩება, რომ მისი შეცდომები და პრობლემები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, ანუ თითქოს ადამიანი ტკეპნის ერთსა და იმავე ადგილს. ამას მესამე ათასწლეულის ფსიქოლოგები ცხოვრების გაკვეთილებს უწოდებენ. ცხოვრება ჩვენი მეწყვილე პარტნიორია, ის ჩვენი ტრენერია, სადაც გვიჭირს იმ კუთხით გვანვითარებს და გვასწავლის. ალბერტ აინშტაინი ამბობს: „კაცობრიობის სიბრიყვე მდგომარეობს იმაში, რომ ერთსა და იმავე საქმის კეთებისას ისინი ელოდებიან სხვადასხვა რეზულტატს". ამიტომ საჭიროა სწორად მივიღოთ და ავხსნათ ჩვენს გარშემო არსებული სიტუაციები, ვინაიდან უამრავი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება ერთ დიდ გროვად იკვრება და უქმნის მთელ რიგ პრობლემებს არა მხოლოდ კონკრეტულ ადამიანებს, არამედ ზოგადად საზოგადოებასაც, ვინაიდან საზოგადოებას სწორედ ეს კონკრეტული ადამიანები ქმნიან.

ლიტერატურა:

1. შ. ჩხარტიშვილი. „აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია". თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1974 წ.
2. დ. უზნაძე. „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები". თბილისი. 2004.
3. А. Маслоу. „Мотивация и личность". Перевод – А.М. Татлыбаевой. Москва 2002.
4. Д. Кенфилд. „Историй,которые стоит рассказать". Москва. 2000.

SUMMARY

Active role in shaping the individual`s needs An era where we live is the period of transformation and changes. A person living in these changes is forced to be changed as well. One of the main task for formatting perfect personality is the basic human needs what has to be organized and fitted to the modern era. The needs of community are determined with social, economic and political changes and accordingly, with many objective and subjective factors. The Transformation is in the process, therefore it is expected changing of the needs as well. It follows that this issue is very popular and important.

საგადასახადო, აუდიტისა და აღრიცხვის ტექნოლოგიები

საგადახდო ბარათების ბაზარი საქართველოში

მედეა ჭელიძე, *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

საქართველოში საგადახდო ბარათების ბაზრის ჩამოყალიბების პირველი ნაბიჯები XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან გადაიდგა. პირველად კომერციულმა ბანკებმა დაიწყეს ლოკალური ბარათების ემისია. 1998 წლიდან გამოშვებულ იქნა Visa-ს საერთაშორისო ბარათები, ხოლო 1999 წელს - MasterCard-ის ბარათები. საქართველოში არსებული კომერციული ბანკები ასევე უშვებენ American Express-ის და ლოკალურ (Georgian Card-ის, UFC-ის, Smartivi და სხვა) ბარათებს.

საგადახდო ბარათების მარეგულირებელი პირველი ნორმატიული აქტი - „დებულება საბანკო პლასტიკური ბარათების შესახებ" ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 70 ბრძანებით დამტკიცდა 2007 წლის 15 მარტს, რომელიც ჩაანაცვლა ახალმა ნორმატიულმა აქტმა - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 16 მაისის 38/04 ბრძანებით დამტკიცებულმა „საგადახდო ბარათების შესახებ დებულებამ". საგადახდო ბარათების მარეგულირებელი ახალი აქტი მიზნად ისახავს ინოვაციური ტიპის საგადახდო ბარათების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობას.

საქართველოს საგადახდო ბარათების ბაზარი წარმოდგენილია სადებეტო და სხვადასხვა კატეგორიის საკრედიტო ბარათებით: ელექტრონი და Cirrus/Maestro-დან დაწყებული, მაღალი კლასის - გოლდი, პლატინუმი და ინფინიტის ბარათებით დამთავრებული. თანდათან პოპულარული ხდება ასევე ბიზნეს ბარათები, რომლებიც განკუთვნილია იურიდიული პირებისთვის.

საქართველოს საგადახდო ბარათების ბაზარი ხასიათდება ინოვაციური პროდუქტების დანერგვის მაღალი ტემპით, რასაც თავისი მხრივ ეროვნული ბანკი ხელსუწყობს რეგულაციური თვალსაზრისით. ქვეყანაში განვითარებულია ჩიპიანი ბარათების ტექნოლოგიები, შემოდის უკონტაქტო ბარათების ტექნოლოგიებიც, რომლებიც გამოიყენება საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში, სკოლის სასადილოებში და ა.შ.

საგადახდო ბარათების ბაზრის მკვეთრი განვითარება შეიმჩნევა 2004 წლიდან, რაც მეტწილად გამოიხატა გამოშვებული საგადახდო ბარათების რაოდენობისა და ბარათების მიმღები ობიექტების ქსელის საგრძნობი ზრდით მთელი ქვეყნის მასშტაბით. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით იმატა საგადახდო ბარათებით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვამ როგორც რაოდენობრივად, ასევე თანხობრივად.

საგადახდო ბარათების, როგორც საგადახდო ინსტრუმენტის განვითარებაში კომერციულ ბანკების მიერ გატარებულ ღონისძიებებთან ერთად დიდი როლი ითამაშა სახელმწიფო პოლიტიკამაც, კერძოდ:

- ყველა სოციალური დახმარების (პენსიები, დევნილთა დახმარებები და სხვა) გაცემა დაიწყო საბანკო არხების საშუალებით. ბანკებმა, აღნიშნული დახმარებების გაცემის მიზნით, მომხმარებლებს დაუმზადეს საგადახდო ბარათები, რის შედეგადაც მათ აღარ სჭირდებათ კონკრეტული მომსახურების ცენტრში მისვლა, არამედ შეუძლიათ კუთვნილი თანხა გამოიტანონ ბანკომატიდან (სერვის ცენტრიდან) ან განახორციელონ გადახდა ბარათის მომსახურების ნებისმიერ ობიექტში;
- საჯარო სამსახურებისთვის სავალდებულო გახდა თანამშრომლისთვის ხელფასების გაცემა მათი პირადი საბანკო ანგარიშის საშუალებით. ამ შემთხვევაშიც ყველა ბანკმა საჯარო სამსახურის თანამშრომლებს შესთავაზა საგადახდო ბარათები. არასაჯარო სექტორიც თავის თანამშრომლებზე ხელფასების გაცემას ძირითადად საგადახდო ბარათების საშუალებით ახორციელებს;
- მთელ რიგ საჯარო სკოლის კვების ობიექტებში

შეიზღუდა ნაღდი ფულით ვაჭრობა. ბანკებმა გამოუშვეს სპეციალურად მოსწავლეებისათვის ლიმიტირებული ფუნქციის მქონე ბარათები, რომელიც მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ კონკრეტულ ობიექტში (სკოლის სასადილოში) და მშობლის მიერ წინასწარ განსაზღვრული თანხის ფარგლებში.

დღეს, საქართველოში არსებული 20 კომერციული ბანკიდან, 16 ბანკი უშვებს საგადახდო ბარათებს, რომელთა საშუალებითაც შესრულებული ოპერაციები მუშავდება 6 საპროცესინგო ცენტრის საშუალებით. აქედან, 4 საპროცესინგო ცენტრი საქართველოს ტერიტორიაზეა განლაგებული, ხოლო ორი - საქართველოს ფარგლებს გარეთ.

საქართველოში საბარათე ოპერაციების დამუშავებას უზრუნველყოფენ დამოუკიდებელი და ასევე ბანკის შიდა საპროცესინგო ცენტრები. სს „ჯორჯიან ქარდი" და სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია" (UFC) არიან დამოუკიდებელი კომპანიები, რომელთა საქმიანობაში შედის საბარათე ტრანზაქციების დამუშავება, ბარათების პერსონალიზაცია, სავაჭრო ობიექტების ექვაირინგის ქსელის მხარდაჭერა, ბანკომატების ქსელის მხარდაჭერა და მართვა და საგადახდო ბარათებთან დაკავშირებული სხვა სერვისები. ქვეყანაში ასევე ფუნქციონირებს 2 ბანკის - „ლიბერთი ბანკის" და ბანკი „ქართუს" შიდა საპროცესინგო ცენტრი.

საქართველოში არსებულმა ყველა საპროცესინგო სისტემამ წარმატებით გაიარა სერტიფიცირება და აკმაყოფილებენ მათ მიერ განსაზღვრულ უსაფრთხოების მოთხოვნებს.

კლიენტის სურვილით ბანკი კლიენტისთვის ხსნის ერთ-ერთი გადახდის სისტემის საგადახდო ბარათს. ბანკი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს კლიენტების იდენტიფიცირება, რომლებიც ხსნიან საბარათე და სხვა ანგარიშებს ბანკში და საგადახდო ბარათების მფლობელების იდენტიფიცირება, რომლებიც ამ ბარათების მეშვეობით ახორციელებენ ოპერაციებს ამ ანგარიშებზე.

ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია წარმოადგინოს დოკუმენტები და ცნობები, რომლებიც საჭიროა მისი პიროვნების, საქმიანობის არსის, ფინანსური მდგომარეობის გარკვევისათვის. თუ კლიენტმა არ წარმოადგინა საჭირო დოკუმენტები ან ცნობები, ან განზრახ წარადგინა არასწორი ინფიორმაცია თავის შესახებ, ბანკს უფლება აქვს უარი უთხრას კლიენტს მომსახურებაზე.

საგადახდო ბარათი წარმოადგენს ემიტენტის საკუთრებას და ეძლევა კლიენტს ან მის მინდობილ პირს კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად. ხელშეკრულების დადების წინ ემიტენტი აცნობებს კლიენტს გადახდის ბარათის მიღების პირობებს, მომსახურების ტარიფებს და გადახდის ბარათის გამოყენების წესებს.

გადახდის ბარათების გამოყენებით ოპერაციებზე სახსრების აღრიცხვისათვის ემიტენტი კლიენტებს უხსნის საბარათე ანგარიშებს საბალანსო ანგარიშებზე, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს ბანკებში გადახდის ბარათების გამოყენებით ოპერაციების საბუღალტრო აღრიცხვის საკითხებში ეროვნული ბანკის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით.

ბანკები ახორციელებენ სახსრების ჩარიცხვას საბარათე ანგარიშებზე ანგარიშის დადგენილი რეჟიმების და კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების გათვალისწინებით.

გადახდის სისტემის წევრის მიერ ემიტირებული საგადახდო ბარათის სახე, მისი საიდენტიფიკაციო მონაცემების მატარებლის ტიპი (მაგნიტური ზოლი, მიკროსქემა და ა.შ.), მასზე გრაფიკული სახით დასატანი რეკვიზიტები დგინდება შესაბამისი გადახდის სისტემის გადახდის ორგანიზაციის მიერ, რომელშიც ეს ბარათი გამოიყენება, საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო სტანდარტებით და სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. გადახდის ბარათზე დასატანი სავალდებულო რეკვიზიტებია ის რეკვიზიტები, რომლებიც იძლევიან გადახდის სისტემის და ბარათის ემიტენტის იდენტიფიცირების საშუალებას. გადახდის ბარათი უნდა შეიცავდეს რეკვიზიტებს (გრაფიკული და/ან ელექტრონული სახით), რომლებიც იძლევიან მისი მფლობელის იდენტიფიცირების საშუალებას. გადახდის სისტემის წესებით შეიძლება დადგენილ იქნას გადახდის ბარათის დამატებითი რეკვიზიტები.

ბარათის თავიდან გაცემის შემთხვევაში მფლობელი ვალდებულია ბანკს გასანადგურებლად დაუბრუნოს ვადაგასული ბარათი, დაკარგული ან მოპარული ბარათების გარდა.

საგადახდო ბარათის გამოყენებით შესრულებული ოპერაციების კონტროლი. მოვაჭრეების, ფინანსური დაწესებულებების, ტექნიკური ეკვაიერების საქმიანობის, რომელიც დაკავშირებულია საგადახდო ბარათებთან, კონტროლს და მეწარმე სუბიექტების და საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ კორპორაციული საგადახდო ბარათების გამოყენებით ჩატარებულ ოპერაციებზე სახსრების მიზნობრივი გამოყენების კონტროლს ახორციელებენ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები, რომელთა საქართველოს

კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ ასეთი უფლებამოსილება.

ვფიქრობთ, მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს „საქართველოს ბანკის“ მიერ ბაზარზე ახალი თაობის უკონტაქტო საბანკო ბარათის - Express Card-ის გამოტანა. ბანკის ხელმძღვანელთა განცხადებით, Express Card სრულიად ახლებური სადებეტო ბარათია, რომელიც ერთდროულად ასრულებს საბანკო და სამგზავრო ბარათის ფუნქციას, მას ასევე აქვს ქულების დაგროვების საკუთარი სისტემა Express Bonus. აღნიშნული ბარათით გადახდა არის მარტივი და მოსახერხებელი, მასზე ქულების დაგროვება - ავტომატური, ხოლო დაგროვილი Express ქულებით ტრანსპორტში მგზავრობა - უფასო. Express Card პირველი ბარათია ქართულ ბაზარზე, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს გადაიხადოს, დააგროვოს და იმგზავროს ყველაზე მარტივად და სწრაფად - მხოლოდ ერთი შეხებით, Express Pay საგადახდო სისტემის მეშვეობით. Express Card-ით შესაძლებელია სასურველი ნივთისა თუ მომსახურების შეძენა სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში და ასევე მგზავრობის საფასურის გადახდა თბილისის მეტროში, ავტობუსში, სამარშრუტო ტაქსში და საბაგიროზე. Express Card-ით PIN კოდის აკრეფის გარეშე, ანუ ერთი შეხებით გადახდა შესაძლებელია 20 ლარამდე ღირებულების ნივთის ან მომსახურების შეძენისას. მომხმარებლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მეტი ღირებულების მომსახურების ან საქონლის შეძენისას, საჭიროა ბარათის PIN კოდის შეყვანა.

ბარათით ნებისმიერი საბანკო ოპერაციის ჩატარებისას (ტრანსპორტში გადახდის გარდა), მომხმარებელს ავტომატურად დაერიცხება ქულების გარკვეული რაოდენობა, რომლის გადაცვლაც შესაძლებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასო მგზავრობაზე და სხვა მომსახურებაზე. დარიცხული ქულების გადაცვლა უფასო მგზავრობაზე და ქულების რაოდენობის შემოწმება შესაძლებელია Express Pay-ს გადახდების აპარატებისა და საქართველოს ბანკის ბანკომატების მეშვეობით. Express Card-ის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრში, აგრეთვე Express Pay გადახდების აპარატით, ინტერნეტბანკით და მობილბანკით.

Express Card-ის ანგარიში იხსნება ოთხ ვალუტაში: ლარი, აშშ დოლარი, ევრო და გირვანქა სტერლინგი. ბარათის ვადა 4 წელია, ბარათის ტიპი - MasterCard Debit (წლიური ღირებულება 10 ლარი) და MasterCard Standard (წლიური ღირებულება 40 ლარი). ანგარიშის მომსახურების საკომისიო - 1 ლარი (თვეში). Express Card-ით სარგებლობა შეუძლია ყველას მიუხედავად იმისა, ერიცხება ხელფასი საქართველოს ბანკში თუ ნებისმიერ სხვა ბანკში.

საგადახდო ბარათების სტატისტიკა. საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2012 წლის III კვარტლის ბოლოს არსებული მდგომარეობით:

- საქართველოში გამოშვებული საგადახდო ბარათების რაოდენობა შეადგენს 4,573,685-ს, რაც 258 ათასით (ანუ 6%-ით) მეტია მეორე კვარტლის ბოლოს გამოშვებული ბარათების რაოდენობაზე. მიმდინარე წლის დასაწყისიდან გამოშვებული ბარათების რაოდენობა გაიზარდა 595 ათასი ბარათით (15%-ით). ერთ სულ მოსახლეზე გამოშვებულია ერთი ბარათი.

-

მიმოქცევაში არსებული საგადახდო საკრედიტო და სადებეტო ბარათების რაოდენობა

(2007-2012 წწ. III კვარტალი)[1]

პერიოდის ბოლოს	საკრედიტო ბარათი (CR)	ცვლილება %-ში	სადებეტო ბარათი (DB)	ცვლილება %-ში	სულ	ცვლილება %-ში
2007	90.920		1.704.347		1.795.267	
2008	365.257	302%	2.562.572	50%	2.927.829	63%
2009	250.875	-31%	2.954.142	15%	3.205.017	9%
2010	410.997	64%	2.662.911	-10%	3.073.908	-4%
2011	560.918	36%	3.169.821	19%	3.730.739	21%
2012 (სექტ.)	658.477	17%	3.915.208	24%	4.573.685	23%

საგადახდო ბარათებით 2012 წლის 9 თვეში სულ შესრულდა 14,2 მლნ ოპერაცია, თანხით 1,94 მლრდ ლარი. აქედან ოპერაციების რაოდენობის 97% და თანხის 94% შესრულდა ქვეყნის შიგნით. სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდის ოპერაციები შეადგენდა სულ ბარათებით განხორციელებული ოპერაციების რაოდენობის 34%-ს და თანხის 14%-ს. დანარჩენი კი იყო ნაღდი ფულის გატანის ოპერაციები. 2012 წლის II კვარტალთან შედარებით საგადახდო ბარათებით განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა შემცირდა 1%-ით და თანხა გაიზარდა 3%-ით. აქედან, სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდის ოპერაციების რაოდენობა გაიზარდა 6%-ით, ხოლო თანხა 10%-ით. ნაღდი ფულის გატანის ოპერაციები რაოდენობრივად შემცირდა 4%-ით, ხოლო თანხობრივად გაიზარდა 2%-ით (შენიშვნა: ეს მონაცემები ასახავს ქართული ბარათებით განხორციელებულ ოპერაციებს როგორც ქვეყნის

[1]http://nbg.ge/uploads/sagadaxdo/pyment_card_statistics__iii_2012public1.pdf

შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ).

საქართველოში ემიტირებული ბარათებით ქვეყნის შიგნით არსებულ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში განხორციელდა 4,5 მლნ ოპერაცია. 2012 წლის III კვარტალში ქვეყნის შიგნით სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში შესრულებული გადახდის ოპერაციების რაოდენობა 45%-ით, ხოლო თანხა 37%-ით მეტია 2011 წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებთან შედარებით. მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდის ოპერაციების რაოდენობრივი მაჩვენებელი იანვრის თვესთან შედარებით გაიზარდა 12%-ით, ხოლო თანხობრივი 9%-ით. მაშინ, როცა გასულ წელს იმავე პერიოდში ზრდამ შეადგინა 68% რაოდენობრივად და 76% - თანხობრივად. 2012 წლის 9 თვის მონაცემების საფუძველზე გადახდის ოპერაციების რაოდენობის ზრდის ყოველთვიური საშუალო მაჩვენებელი არის 1.5%, ხოლო თანხის ზრდის 1.1%. გასული წლის ანალოგიური მაჩვენებელი კი შეადგენს 7%-ს რაოდენობრივად და 8%-ს თანხობრივად.

რეზიდენტი ემიტენტების მიერ ემიტირებული საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები (იშუინგი)
(2007-2012 წწ. III კვარტალი)

პერიოდის ბოლოს	ოპერაციების რაოდენობა, ერთეული	მათ შორის		ოპერაციების მთლიანი მოცულობა, ათასი ლარი	მათ შორის	
		რეზიდენტი ემიტენტების მიერ ემიტირებული საგადახდო ბარათებით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ოპერაციების რაოდენობა, ერთეული	რეზიდენტი ემიტენტების მიერ ემიტირებული საგადახდო ბარათებით საზღვარგარეთ განხორციელებული ოპერაციების რაოდენობა, ერთეული		რეზიდენტი ემიტენტების მიერ ემიტირებული საგადახდო ბარათებით ქვეყნის შიგნით განხორციელებული ოპერაციების მოცულობა, ათასი ლარი	რეზიდენტი ემიტენტების მიერ ემიტირებული საგადახდო ბარათებით საზღვარგარეთ განხორციელებული ოპერაციები, ათასი ლარი
2007	1 731 636	1 702 852	28 784	368 858	352 813	16 045
2008	2 890 888	2 834 508	56 380	405 103	381 014	24 089
2009	3 261 481	3 187 707	73 774	506 899	483 842	23 057
2010	3 996 092	3 892 324	103 768	632 882	604 311	28 571
2011	5 348 678	5 190 144	158 534	757 984	721 294	36 690
2012 (9 თვე)	4 680 570	4 503 224	177 346	750 663	713 534	37 129

წყარო: http://nbg.ge/index.php?m=306

– ინტერნეტით განხორციელებული ოპერაციების რაოდენობამ 2012 წლის 9 თვეში შეადგინა 533 399 ერთეული, თანხით 23 583 ათასი ლარი, რაც 35%-ით მეტია 2011 წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებთან შედარებით (17 435 ათასი ლარი).

– საქართველოში ემიტირებული ბარათებით ქვეყნის შიგნით განხორციელდა 9.3 მლნ ნაღდი ფულის გატანის ოპერაცია, თანხობრივად 1.63 მლნ ლარი (რაც რაოდენობრივად 4%-ით ნაკლებია, ხოლო თანხობრივად 2%-ით მეტია წინა (მეორე) კვარტლის შესაბამის მაჩვენებლებზე).

– ნაღდი ფულის გატანის ოპერაციების რაოდენობრივი მაჩვენებელი 8%-ით შემცირდა, ხოლო თანხობრივი 1%-ით გაიზარდა 2011 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში ქვეყნის შიგნით ნაღდი თანხის გატანის ოპერაციების რაოდენობრივმა

ინტერნეტით განხორციელებული ოპერაციები (იშუინგი)
(2007-2012 წწ. III კვარტალი)

პერიოდის ბოლოს	**სულ**	
	ოპერაციების რაოდენობა, ერთეული	**ოპერაციების მთლიანი მოცულობა, ათასი ლარი**
2007	26 246	2 122
2008	370 174	3 821
2009	244 884	5 725
2010	172 067	5 219
2011	508 684	30 462
2012 (სექტემბერი)	533 399	23 583

წყარო: http://nbg.ge/index.php?m=306

მაჩვენებელმა იანვრის თვესთან შედარებით მოიმატა 1%-ით, ხოლო თანხობრივმა 24%-ით. მაშინ, როცა გასულ წელს ამ მატებამ შეადგინა 39% რაოდენობრივად და 46% - თანხობრივად.

– 2012 წლის 9 თვეში ნაღდი ფულის გატანის ოპერაციების რაოდენობის ზრდის საშუალო თვიური მაჩვენებელი არის +0.3%, ხოლო თანხობრივი კუთხით ზრდის საშუალო თვიური მაჩვენებელი შეადგენს +3%-ს. თუ შევადარებთ გასულ წელს, მაშინ რაოდენობრივი თვალსაზრისით ანალოგიური მაჩვენებელი არის +4% რაოდენობრივად და +5% თანხობრივად.

– ექვაირერი ბანკების მფლობელობაში არსებული მომსახურე ობიექტების საშუალებით დამუშავდა 14,8 მლნ საბარათე ოპერაცია, თანხით 2,1 მლრდ ლარი. ოპერაციების რაოდენობის 93% და თანხის 89% შესრულებულია საქართველოში ემიტირებული ბარათებით. მეორე კვარტალთან შედარებით ექვაირინგის მიერ დამუშავებული ოპერაციების რაოდენობა გაიზარდა 0.4%-ით, ხოლო თანხა 5.5%-ით. განხორციელებული ტრანზაქციების 36% რაოდენობრივად და 17% თანხობრივად შესრულდა სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში განთავსებულ პოს-ტერმინალებში, 58% რაოდენობრივად და 76% თანხობრივად შესრულდა ბანკომატების საშუალებით, ხოლო დანარჩენი ოპერაციები განხორციელდა ბანკის ფილიალებში არსებული პოს-ტერმინალებით.

– 2012 წელს ქვეყნის შიგნით სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში განხორციელებული ტრანზაქციების თანხობრივი მაჩვენელის ზრდის დინამიკა არის უფრო ნელი წინა წელთან შედარებით. 2012 წლის დასაწყისში შეინიშნებოდა ნაღდი ფულის გატანის ოპერაციების თანხობრივი მაჩვენელის ზრდა როგორც წინა თვესთან, ასევე გასული წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით, თუმცა აპრილის შემდგომ შეინიშნება ამ მაჩვენბლის კლება (სექტემბერში გაუტოლდა 2011 წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებს).

საგადახდო ბარათების მომსახურე ობიექტების რაოდენობა

(2008 – 2012 წწ. III კვარტალი)

პერიოდის ბოლოს	ბანკომატები	სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში არსებული პოს–ტერმინალები	ბანკის ფილიალებსა და სერვის–ცენტრებში არსებული პოს–ტერმინალები
2008	1 333	6 088	1 535
2009	1 365	5 785	1 709
2010	1 500	7 164	2 191
2011	1 568	8 914	2 742
2012 (სექტემბერი)	1 836	10 607	2 827

წყარო: http://nbg.ge/index.php?m=306

MEDEA CHELIDZE, Associate professor of GTU

Payment Cards Market in Georgia

SUMMARY

Since 2004 some drastic changes have been observed in the development of Payment cards market in Georgia that is attributable basically to the increase of the number of payment cards emitted and significant growth of chains accepting them. Particularly, number and amount of transactions using payment cards have increased considerably in recent period.

The market of payment cards in Georgia is represented by debit cards as well as credit cards of different category. Business cards for legal entities are also becoming more and more popular.

Today 16 commercial banks out of 20 are offering payment cards in Georgia and transactions made using the credit cards are supported by 6 processing centers.

The article covers the following issues: general situation in the Georgian market of payment cards; activities that are connected to issuing payment cards by banks; control of transactions made via payment cards; government participation in the development of payment cards market; statistical data on payment cards, and etc.

Tables containing latest information on the number of credit and debit cards in circulation, transactions using payment cards emitted by resident emitters as well as via internet (issuing), number of places accepting payment cards are included in the article for better illustration.

საგადასახადო რეგულირების არსი და კრიტერიუმები

***მარინა ბაღათურია**, ეკონომიკის დოქტორი,*
სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი

საქართველოს ეკონომიკა ღრმა ტრანსფორმაციულ ცვლილებებს განიცდის საბაზრო ეკონომიკის განვითარების შეუქცევადი პროცესი გულისხმობს საკუთრებრივი ურთიერთობების რადიკალურ გარდაქმნას, ეკონომიკის ფინანსურ გაჯანსაღებას, ფულადი მიმოქცევის სტაბილიზაციას და ფულის რეალურ განმტიცებას, აქტიურ ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას, კონკურენციულ გარემოებას და საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნას, მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმებისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფას, ეკონომიკური თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, წონოსწორობასა და ეფექტიანობას, საბოლოო ანგარიშით, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებამ სტიმული უნდა მისცეს, ერთი მხრივ, მიწოდებას და, მეორე მხრივ, მოთხოვნას, რაც ეკონომიკური ზრდის საწინდარია. დღეისათვის საქართველოში გამოიკვეთა ლიბერალური საბაზრო ტენდენციები, მაგრამ მას შესაბამისი საგადასახადო პოლიტიკა არ მოჰყოლია. ეკონომიკური სიტუაცია ამჟამად არაორდინალურია. არსებული ეკონომიკური პოლიტიკა წმინდა სახით არ ემყარება არც კლასიკურ-ლიბერალურ, არც კეინზიანური თუ ნეოკეინზიანურ, არც მონეტარისტულ და ა. შ. თეორიებს.

როგორც ცნობილია, თანამედროვე პირობებში მიუხედავად ნეოლიბერალური ეკონომიკური მიმართულებების დიდი პოპულარობისა, ეკონომიკის რეგულირების კეინზიანური მეთოდები განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში მთლიანად არ შეცვლილა. უფრო ზუსტად კი, განხორციელდა მისი ძირითადი პოსტულატების სინთეზი ნეოლიბერალური თეორიის ზოგიერთ დებულებებთან. მიკროეკონომიკურ პოლიტიკაში ფეხი მოიკიდა „ნეოკლასიკურმა სინთეზმა“ როგორც კეინზიანური და ნეოკლასიკური თეორიების სინთეზმა. მასში წინა პლანზე მონეტარისტული თეორიაა, რომელიც ეყრდნობა ფულის „ძირითადი კანონის“ მოთხოვნათა დაცვას და ინფლაციის ტემპების დაცემის საფუძველზე მიზნად ისახავს ფულის მიმოქცევის სტაბილიზაციას.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის ლიბერალური მოდელი გულისხმობს: სახელმწიფოს უმნიშვნელო ჩარევას ეკონომიკურ პროცესებში, კერძო ინტერესების წინა პლანზე წარმოჩენას, სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში სახელმწიფოს მინიმალურ მონაწილეობას. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება ძირითადად მონეტარისტული ტენდენციების მატარებელია და შემოიფარგლება მაკროეკონომიკური პროცესებით. მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების ცხოვრების მინიმუმის რეგულირება ძირითადად მიიღწევა ეროვნული შემოსავლის გადანაწილების ხარჯზე. საგადასახადო სისტემის მეშვეობით მოცემული მოდელი გამოიყენება აშშ-ში, ინგლისსა და საფრანგეთში.

რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებულ მოდელს, აქ სახელმწიფოებრივი რეგულირება მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. მისთვის დამახასიათებელია ბაზრის რეგლამენტირების მაღალი ხარისხი არა მარტო მაკრო, არამედ მიკროდონეზე, სახელმწიფო დახმარება ვრცელდება მოსახლეობის ყველა ფენაზე. საბაზრო ეკონომიკის სოციალური მიმართულების ჩამოყალიბება განაპირობა მოქალაქეთა სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის მაღალი დონის მიღწევის მიზანმიმართულებამ. საბაზრო ეკონომიკურ პროცესებში ორი სუბიექტის (ბაზრისა და სახელმწიფოს) ურთიერთქმედებამ ხელი შეუწყო საბაზრო ეკონომიკის სოციალური მიმართულების გაძლიერებას. საქმე ისაა, რომ საბაზრო მეურნეობა ეკონომიკური სისტემის „მზიდი კონსტრუქციაა“, სახელმწიფო კი არეგულირებს მას. მათ გადაკვეთაზე იქმნება სოციალური საბაზრო მექანიზმი, რომელიც ამ მიმართულების ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების ამომავალ საწყისად უნდა მივიჩნიოთ. საბაზრო თვითრეგულირებისა და სახელმწიფოს ხელშეწყობით საზოგადოების სტრატეგიული ამოცანების განხორციელებამ გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა. ადამიანი ეკონომიკური პროცესების ყველა სტადიის უშუალო მონაწილე გახდა, ამიტომ, ბუნებრივია, ეკონომიკის უზენაესი მიზანი ადამიანის მრავალმხრივი ინტერესების რეალიზაცია უნდა იყოს. საბაზრო ურთიერთობებში ადამიანი, როგორც მხოლოდ ინდივიდი, არ მონაწილეობს. თავისი პირადი ეკონომიკური ინტერესებით იგი იმავდროულად სოციალური ჯგუფის ან საერთო საზოგადოების წევრია, თანაც არაეკონომიკური

მიზნების მატარებელიც. ასე რომ, თანამედროვე პირობებში საბაზრო ურთიერთობათა ახსნისას და შეფასებისას რეალურად დგას სოციალური მოტივაციის ობიექტურად გათვალისწინების ამოცანა. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებებს, რომ სოციალური მოტივები, რომელსაც ეკონომისტები ტრადიციულად განიხილავენ, როგორც გარე ფაქტორს, უნდა წარმოვიდგინოთ საბაზრო ურთიერთობათა სისტემის ერთ-ერთ ელემენტად.

სოციალური ეკონომიკის შექმნის იდეა, ზოგიერთი ავტორის აზრით, სათავეს იღებს სამი წყაროდან: პირველი, ნეოლიბერალიზმიდან, ამ სემთხვევაში იგი გულისხმობს სახელმწიფოს ჩართვას ეკონომიკის განვითარებაში მხოლოდ მაშინ, როცა საჭიროა კონკურენციის წანამძღვარების უზრუნველყოფა; მეორე, ქრისტიანულ-სოციალური მოძღვრებიდან. აქ ორი პრინციპი გამოიყენება – პიროვნებისა, რომელიც ადამიანს ყურადღების ცენტრში აყენებს და ხდის მას მთელი საზოგადოებრივი და ეკონომიკური საქმიანობის საზომად და პრინციპი, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის დეცენტრალიზაციას. ის, რისი გაკეთებაც შეუძლია ნაკლებად მსხვილ საზოგადოებრივ ერთეულს, არ უნდა წაართვას მას ზემდგომმა ინსტანციამ; მესამე, დემოკრატიული სოციალიზმიდან, რომელსაც ეხმარება პროფკავშირი და სოციალური პარტია, რომლებიც მოითხოვენ, რომ ეკონომიკის გადაწყვეტილებები უნდა დაექვემდებაროს განსაზღვრულ საზოგადოებრივ კონტროლს, კერძოდ, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შემოსავლის მინიმუმი მაინც, რომელიც სამუშაოს შემსრულებლის ფიზიკურ არსებობას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები შემოსავლების შედარებით გათანამედროვეობისთვის, რათა მაღალ და დაბალ შემოსავლებს შორის მკვეთრი განსხვავება არ წარმოიშვას.[1]

საბაზრო ეკონომიკის უპირატესად სოციალური მიმართულების ქვეყნებია: გერმანია, ავსტრია, ნორვეგია, შვედეთი, იაპონია და ა. შ.

ბაზრის რომელიმე მოდელის არჩევა განსაზღვრავს გადასახადების სიდიდესა და მათ როლს ეკონომიკის განვითარებაში. ლიბერალური მოდელი სახელმწიფოს საშუალებას აძლევს, მინიმუმამდე შეამციროს გადასახადები, ხოლო სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებს გადასახადების მაღალ განაკვეთებს, გადამხდელთა ფართო წრეს და უმნიშვნელო შეღავათებს.

[1]იხ. „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“ ნაწ. II, თბ., 1999, გვ. 27.

70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში დაიწყო საბაზრო ეკონომიკის რეგულირების მეთოდების გადახალისება. მდგომარეობა განისაზღვრება სახელმწიფოს ექსტენსიური ჩარევის გაფართოებისა და მისი მატერიალური საფუძვლით-სახელმწიფო ფინანსებით. მაქსიმალური პრიორიტეტი მიენიჭა სამეურნეო საქმიანობისა და კონკურენციულ ურთიერთობათა სტიმულირების საბაზრო მექანიზმს. ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ფისკალური პოლიტიკა ორიენტირებულ იქნა უნიფიკაციასა და ჰარმონიზაციაზე. ყველა ქვეყანაში აღინიშნება პირდაპირი გადასახადების ლიბერალიზაციისა და არაპირდაპირი გადასახადების სფეროს გაფართოების ტენდენცია, რამაც განსაზღვრა თანამედროვე საგადასახადო სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები.

80-იანი წლების საგადასახადო რეფორმა ითვალისწინებდა:

- ეკონომიკის ფუნქციონირების გრძელვადიან ეფექტიანობას და ზრდას;
- ეკონომიკის ყველა სფეროში სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას;
- სამომხმარებლო და სამეცნიერო-ტექნიკურ ინვესტიციებში მოსახლეობისა და კორპორაციათა დაბანდებათა წახალისებას;
- მოსახლეობის სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

80-90-იანი წლების საგადასახადო რეფორმის ანალიზისას, მეცნიერები აღნიშნავენ, რომ განვითარებულ ქვეყნებში საგადასახადო სისტემა, როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის გადანაწილების ინსტრუმენტი, მოითხოვდა არსებით კორექტირებას. საგადასახადო პოლიტიკის კურსის შეცვლისას ძირითად მიზეზად სახელდება: ინფლაციური პროცესების განვითარება, სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა და მოსახლეობის ძირითადი ნაწილის შემოსავლებში წარმოშობილი „ეროზიული“ ტენდენცია.

80-90-იანი წლების საგადასახადო რეფორმის ერთ-ერთი ობიექტური მიზეზი გახდა 50-70-იან წლებში ჩამოყალიბებული საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების შეუსაბამობა ან წინააღმდეგობრიობა საწარმოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ორიენტაციასთან.

80-იან წლებში გამოიკვეთა საწარმოო პროცესის ძირითადი მახასიათებლები:

1. წარმოების ძირითადი რგოლი თავისი არსით გახდა სამეცნიერო საწარმო;
2. წარმოების სამეცნიერო-ტექნოლოგიურ განვითარებას უნივერსალური ხასიათი მიეცა;

3. მეწარმეობის განვითარებამ დარგთაშორისი ხასიათი შეიძინა;
4. გაძლიერდა წარმოების ინტერნაციონალიზაციის პირობები;
5. შემცირდა ახალი ტექნიკის სასიცოცხლო ციკლი, ხოლო საწარმოს ტექნიკური გადაიარაღება მისი ფუნქციონირებისა და რენტაბელობის საფუძველი გახდა. ამან ობიექტურად მოითხოვა წარმოების ორგანიზაციის ახალი ფორმები და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის ტექნიკური სიახლეების რეალიზაციის სტიმულირება. ამის შედეგად საწარმოს სამეცნიერო-ტექნოლოგიურ განვითარებასთან და ამ პროცესების საგადასახადო რეგულირების მეთოდებს შორის ჩამოყალიბდა გარკვეული წინააღმდეგობა. თვით საბაზრო ეკონომიკის განვითარების პროცესი კარდინალურად შეიცვალა, ხოლო გადასახადებით რეგულირების მეთოდები დარჩა ტრადიციული, წარმოების განვითარების ვიწროდარგობრივი ორიენტაციით.

80-იან წლებში განხორციელებული საგადასახადო რეფორმის მთავარი კონცეპტუალური მიდგომაა სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის განვითარებაზე მიმართული ინვესტიციების საგადასახადო სტიმულირება.

დღეისათვის საგადასახადო თეორიასა და პრაქტიკაში დიდი ყურადღება ეთმობა შემდეგ მიმართულებებს:

- საწარმოებისა და ფიზიკური პირების საინვესტიციო აქტიურობის სტიმულირების საგადასახადო მეთოდების სრულყოფას;
- გადასახადების, როგორც ბიუჯეტის შევსების ეფექტური წყაროს მოქმედების სფეროს გაფართოებას.

საგადასახადო პოლიტიკის ეს მიმართულებები ურთიერთკავშირშია. საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური ინვესტიციების წახალისება დაკავშირებულია საბიუჯეტო შემოსავლების, ფიზიკური პირებისა და კორპორაციების საგადასახადო განაკვეთების შემცირებასთან, რისი კომპენსაციაც ხდება არაპირდაპირი გადასახადების გაზრდით.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 15 წლის მანძილზე განხორციელებული ეკონომიკის ორგანიზაციის ლიბერალური მეთოდის პრიორიტეტი, ბაზრის თვითრეგულირება და, კერძოდ, ინიციატივის სტიმულირება უზრუნველყოფილია საგადასახადო პოლიტიკის ამ ორი მიმართულებით.

საგადასახადო რეგულირების მეთოდებმა მოსახლეობას უნდა უბიძგოს შემოსავლები გადაანაწილოს ხარჯებად და დანაზოგებად (ინვესტიციებად) უკანასკნელის სასარგებლოდ. დღეისთვის მრავალი ქვეყნის მთავრობა მიზანშეწონილად თვლის, ერთდროულად დაბეგროს მოსახლეობის შემოსავალი და ხარჯი, რის შედეგადაც ყალიბდება ოპტიმალური თანაფარდობა საშემოსავლო გადასახადსა და დღგ-ს შორის. აშშ-ისა და ირლანდიის ადმინისტრაცია სერიოზულად განიხილავს საკითხს, პირდაპირი გადასახადი შემოიღონ მოხმარებაზე. ეს ალტერნატიული სისტემა, რომელსაც მომხმარებლის გადასახადს უწოდებენ, არ დაამახინჯებდა დაზოგვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს. ხარჯებზე პირდაპირი გადასახადისა და კორპორაციების ფულადი გასავლების დაბეგვრა ასტიმულირებს დანაზოგებსა და, შესაბამისად, ინვესტიციებს.[1]

თანამედროვე პირობებში განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემა სცილდება გადასახადებისთვის იმანენტური ფისკალური ფუნქციის ფარგლებს და ასრულებს მარეგულირებელ და მასტიმულირებელ ფუნქციებს. საგადასახადო რეფორმებმა დაგვანახა საბაზრო ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედება და მისი განვითარების მიმართულებების გააქტიურების მიზნით სახელმწიფო პოლიტიკაში გადასახადების მარეგულირებელი და მასტიმულირებელი ფუნქციების აქტიურად გამოყენების მნიშვნელობა.

ამ ფუნქციების არსი ძირითადად გამოიხატება:

- საკუთრების ნებისმიერი ფორმის საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის პირობების რეგულირებით;
- საქმიანობის ცალკეული სახეების სხვადასხვა საქონლის წარმოების, საგარეო ეკონომიკური ოპერაციების სტიმულირებით;
- საინვესტიციო საქმიანობის რეგულირებით;
- გადაწყვეტილების რეგულირებით;
- დასაქმების და საზოგადოების სოციალური დიფერენციის დონის რეგულირებით;
- უცხოური კაპიტალის მოზიდვის რეგულირებით;
- ინფლაციური პროცესების რეგულირებით და ა.შ.

საკუთრების ნებისმიერი ფორმის საწარმოსთვის ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობები გულისხმობს ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვას, რაც დაბეგვრის პრინციპების საგადასახადო განაკვეთების, აგრეთვე, საგადასახადო შეღავათების ერთიანი სისტემის არსებობით ვლინდება.

აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ

[1] Реформы и перспективы налоговых систем в странах Запада – По публикациям Мирового Анка. «ЭКО», 1994б №3б стр. 146.

გადასახადები არ უნდა აღემატებოდეს საწარმოს შემოსავლის 30-40%-ს, რაც მსოფლიო პრაქტიკაშია აპრობირებული (იგი ბევრ ქვეყანაში ნაკლებია, ხოლო საქართველოში 60%-ის ფარგლებში), და არ უნდა აიძულებდეს მეწარმეს, გადასახადების გადასახდელად გამოიყენოს ძირითადი კაპიტალის ღირებულების ნაწილი.

საგადასახადო პოლიტიკა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, საგადასახადო ბერკეტების მეშვეობით იგი ახორციელებს საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას და მის სოციალურ ორიენტაციას, მოქმედი საგადასახადო პოლიტიკა უნდა იქცეს ინვესტიციების და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის, პრიორიტეტული დარგების განვითარებისა და წარმოების სტრუქტურული ცვლილებების სახელმწიფოებრივი რეგულირების ბერკეტად.

როგორც წარმოებაში, ისე სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში ინვესტიციების შემცირება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის სამეწარმეო პოტენციალს. ინვესტიციების მოცულობა ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის მნიშვნელოვან მაჩვენებლად განიხილება, ხოლო საინვესტიციო დაბანდებები ეროვნული წარმოებისა და მოსახლეობის დასაქმების პერსპექტივად.

საინვესტიციო აქტიურობის შემაფერხებელ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გადასახადების მაღალ დონეს. გადასახადები გავლენას ახდენს საინვესტიციო პოლიტიკაზე. ოპტიმალურმა საგადასახადო პოლიტიკამ სტიმული უნდა შექმნას წარმოებაში ინვესტიციების გაზრდისათვის. თუმცა, ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, საგადასახადო სტიმულები გადამწყვეტ ზემოქმედებას ვერ ახდენს ინვესტირების დინამიკაზე. ამ შემთხვევაში განსაზღვრული მნიშვნელობა ენიჭება მაკროეკონომიკურ გარემოს. თუ ეს არ უწყობს ხელს ინვესტიციებს, მაშინ ინვესტირების სტიმულირების სხვა ღონისძიებები არავითარ ეფექტს არ იძლევა.

როგორც ცნობილია, „საბაზრო კონკურენცია იწვევს საზოგადოების შემოსავლების დიფერენციაციას და მათ უსამართლო განაწილებას. ბაზარი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ფენებს საქონლითა და მომსახურებით. მას არ შეუძლია, აღკვეთოს სოციალური ბოროტება, დაიცვას გარემო, გადაჭრას სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებული პრობლემები, განავითაროს ფუნდამენტური მეცნიერება, რომლის გარეშეც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ეკონომიკის ახალი თვისებრივი ზრდის მიღწევა შეუძლებელია“.[1] სახელმწიფო, გადასახადების მეშვეობით მონაწილეობს მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიას შორის ერთობლივი შემოსავლის გადანაწილებაში. მაღალშემოსავლიანი ფიზიკური და იურიდიული პირების პროგრესული საგადასახადო განაკვეთებით დაბეგვრის მეოხებით მიმდინარეობს თანხების გადანაწილება დაბალშემოსავლიანი და დაუცველი მოსახლეობის სასარგებლოდ. იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან აკრეფილი გადასახადების სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულირებით ხდება ამ სახსრების გადანაწილება ეკონომიკური პროგრამების დასაფინანსებლად, კერძოდ, წარმოებრივი და სოციალური, მეცნიერული, ტექნოლოგიური და სხვა კომპლექსური მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად, კაპიტალტევადი დარგების (საავტომობილო გზების, ჰიდრო და ატომური ელექტროსადგურების და ა. შ.) ინვესტირებისათვის. გადასახადების ეს ფუნქცია იძლევა მსხვილმასშტაბიანი სოციალური პროგრამების განხორციელების საშუალებას, როგორც ეს ხდება, მაგალითად, გერმანიაში, შვედეთში და ა. შ.

განვითარებული ქვეყნების სოციალურ სტრუქტურაში ისეთ გლობალურ ცვლილებებზე, როგორიცაა: საზოგადოების შრომისუუნარობითა და უმუშევართა რაოდენობის ზრდა, რეაგირებისთვის ფართოდ გამოიყენება ზოგიერთი საგადასახადო ინსტიტუტი. საგადასახადო რეგულირება ხელს უწყობს მოსახლეობის გარკვეული ფენების დასაქმების დონის ამაღლებას. მაგალითად, ცნობილია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში იმ საწარმოებში, სადაც დასაქმებულია ინვალიდების 50%-მდე, მოგებაზე გადასახადის განაკვეთი ორჯერ მცირეა, ხოლო ორთოპედიული და საპროთეზო

საწარმოები საერთოდ არ იბეგრება. ეს ფუნქცია გამოიხატება, აგრეთვე, დაბალშემოსავლიან მოქალაქეთათვის საგადასახადო შეღავათების დაწესებით, გადასახადებისაგან მათი ნაწილობრივ ან მთლიანი განთავისუფლებით.

მთლიანად ეროვნული ეკონომიკისა და მათ შორის კორპორაციების კონკურენტუნარიანობა შეუძლებელია დარგთაშორის, რეგიონთაშორის თუ საერთაშორისო კონტაქტებისა და შესაბამისად კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების გარეშე. ეს პირობა ნებისმიერი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია.

საგადასახადო სისტემა გავლენას ახდენს უცხოური კაპიტალის მოზიდვასა და მის ეფექტიან

[1] რ. ასათიანი, მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993, გვ. 32-33.

გამოყენებაზე. ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში უცხოური ინვესტიციებით ფუნქციონირებადი საწარმოებისთვის დგინდება დაბეგვრის შეღავათიანი პირობები. ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნა ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისაგან მოითხოვს საინვესტიციო საქმიანობის დაბეგვრისადმი უნიფიცირებულ მიდგომას. კორპორაციათა დასაბეგრი ბაზრის უნიფიკაცია, საგადასახადო განაკვეთები, ინვესტიციების შეღავათების სისტემა მოიცავს ეროვნული მეწარმეობის ფართო დიაპაზონს.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს მიზნობრივი დანიშნულების უცხოური ინვესტიციებისთვის საგადასახადო შეღავათების დიფერენცირებული სისტემის ეფექტიანობას. შეღავათიანი დიფერენცირებული სკალა ხელს უწყობს უცხოური კაპიტალის მოზიდვას. ქვეყანა, რომელიც დაინტერესებულია უცხოური კაპიტალის ფართო გამოყენებით, ცდილობს გააფართოოს შეღავათიანი რეჟიმი მათთვის. ეს მას საშუალებას აძლევს, გაატაროს სელექციური სტრუქტურული პოლიტიკა, ოპტიმალურად მოაგვაროს საჭირო დარგში კაპიტალის მოზიდვა და, აქედან გამომდინარე, ხელი შეუწყოს კაპიტალის დაგროვებას.

დიდი ყურადღება ექცევა საგადასახადო შეღავათების გავრცელებას მოგების რეინვესტირების პროცესზე. საქართველოში სწორედ რეინვესტირება უნდა გახდეს ამ სფეროში ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზანი.

ამასთან, უცხოური კაპიტალის მოდენის გაფართოების ღონისძიებების გატარებისას გასათვალისწინებელია ქვეყნის ეკონომიკური უშიშროების ინტერესები.

უცხოური ფირმების მიერ ეკონომიკის წამყვანი დარგების ხელში ჩაგდებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის განვითარებაზე არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ, სოციალური და პოლიტიკური ასპექტითაც. ეს ამწვავებს ეკოლოგიურ სიტუაციასაც, ამიტომ სახელმწიფოს როლი ერთობლივ საწარმოთა მუშაობის კონტროლის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია.

საგადასახადო მექანიზმი დიდ ზემოქმედებას ახდენს ფულად-საკრედიტო რეგულირებაზე. ვინაიდან, საგადასახადო წნეხი ხელს უწყობს საქონელზე ფასების ზრდას. ამიტომ, ბუნებრივია, მაღალი გადასახადები აძლიერებს ინფლაციურ პროცესებს, რის გამოც განვითარებული ქვეყნები საგადასახადო მექანიზმებს ფართოდ იყენებენ ინფლაციასთან ბრძოლაში.

ბიუჯეტის შევსება ფულადი ნიშნების ემისიის ხარჯზე თავისებური გადასახადია, ოღონდ ემისიური ყველაზე მძიმეა გადასახადებს შორის. იგი იწვევს ინფლაციის ზრდას და მძიმე ტვირთად აწვება ძირითადად მოსახლეობის ფართო ფენებს, არამესაკუთრე, დაქირავებულ ნაწილს, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა გაზარდოს თავისი შემოსავლები საცალო ფასების ზრდის პროპორციულად.

ინფლაციის მოლოდინში მოსახლეობა ცდილობს, თავიდან მოიცილოს ფული, დააბანდოს იგი მატერიალურ ფასეულობებში, უძრავ ქონებაში, წარმოებრივ რეზერვებში და ა. შ. ამიტომ, სახელმწიფოს ბიუჯეტის დეფიციტის ზრდისას საგადასახადო განაკვეთების შემცირება გაუფასურებული ფულადი ნიშნების ემისიის ტოლფასია და ძირითადად პოპულისტური ნაბიჯებია. მაგალითად, საგადასახადო განაკვეთების ამგვარი შემცირება გულისხმობს მოგების ან საშემოსავლო გადასახადების ნაწილობრივ შეცვლას გაცილებით მძიმე „ემისიური გადასახადით". გადასახადების ფუნქციების წარმატებით რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე საგადასახადო სისტემის აგებით.

თანახმად გადასახადების კლასიკური თეორიისა (საგადასახადო ნეიტრალიტეტის თეორია), რომელიც შეიმუშავეს ა. სმითმა, დ. რიკარდომ და მათმა მიმდევრებმა, გადასახადები – ესაა სახელმწიფოს შემოსავლების ერთ-ერთი სახეობა, რომელმაც უნდა დაფაროს მთავრობის შენახვის ხარჯები. ამდენად, გადასახადებს სხვა რომელიმე როლს (ეკონომიკის რეგულირების, სადაზღვევო გადასახადის და სხვ.) არ მიაკუთვნებენ. ადამ სმითის აზრით, ბაზრის პირობებში სახელმწიფოს პირდაპირი შემოსავლების წილი მცირდება (სახელმწიფოს საკუთრებისაგან), ამიტომ, აღნიშნული ხარჯების დაფარვის ძირითადი წყარო უნდა იყოს შემოსავლები (გადასახადებისაგან, ხოლო, რაც შეეხება სხვა ხარჯების დაფინანსებას (გზების მშენებლობა და მოვლა, სასამართლო ხელისუფლების შენახვა და სხვა), ისინი უნდა დაიფაროს დაინტერესებული პირების მიერ გადახდილი მოსაკრებლების ხარჯზე.

კლასიკური თეორიის წარმომადგენლები აღიარებენ მხოლოდ გადასახადების ზოგიერთ მარეგულირებელ მნიშვნელობას. მათი აზრით, მსგავსი მიდგომები ეკონომიკაში არ არის საჭირო, რადგანაც ისინი იწვევენ ერთი დარგის განვითარებას სხვა დარგების საზიანოდ.

დღეისათვის კლასიკური თეორია აბსოლუტურად უსაფუძვლოდ გამოიყურება, რადგან თანამედროვე

პირობებში შეუძლებელია გადასახადების საშუალებით ამოიღო ეროვნული პროდუქციის მეოთხედი ისე, რომ მას არ ჰქონდეს სერიოზული ეკონომიკური შედეგები. გადასახადების ამოღება ამცირებს მოქალაქეების მსყიდველობით უნარს და დაბლა სწევს საწარმოს ინვესტიციურ შესაძლებლობებს. არაპირდაპირი გადასახადები კი მაღლა სწევს საქონლის ფასებს და მოქმედებს მოხმარებაზე. ეს კი თავისთავად ზემოქმედებს საზოგადოების მრავალ ეკონომიკურ პროცესზე.

კლასიკური თეორიის საპირისპირო მოსაზრებით გამოვიდა კეინზიანური თეორია, რომელიც დაფუძნებული იყო ჯონ მეინარდ კეინზის და მისი მიმდევრების შრომებზე. ამ თეორიის არსი არის, რომ გადასახადები ეკონომიკის რეგულირების ძირითადი ბერკეტია. კეინზის აზრით, რომელიც მან განავრცო წიგნში – „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია", ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია ფულად დანაზოგებზე მხოლოდ სრული დასაქმების პირობებში. ამ დროს დიდი დანაზოგები ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას, რამდენადაც ისინი არ იდება წარმოებაში და შემოსავლის პასიურ წყაროდ იქცევა. ნეგატიური შედეგების ასაცილებლად საჭიროა ზედმეტი დანაზოგის გადასახადების საშუალებით ამოღება.

მონეტარიზმის საგადასახადო თეორია 50-იან წლებში წამოსწია ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა მილტონ ფრიდმენმა. მისი აზრით, ეკონომიკის რეგულირება შესაძლებელია მხოლოდ ფულადი მიმოქცევით, რომელიც დამოკიდებულია ფულის რაოდენობისა და ბანკის საპროცენტო განაკვეთებზე, რის გამოც გადასახადებს არ ეკუთვნის ისეთი მნიშვნელოვანი როლი, როგორც კეინზიანურ კონცეფციაში (კერძოდ, გადასახადების მეშვეობით ფულის ზედმეტი რაოდენობის ამოღება).

უკანასკნელ წლებში ყველა თანამედროვე ეკონომიკური თეორია აღიარებს გადასახადების უდიდეს როლს ეკონომიკაში. მიწოდების ეკონომიკური თეორიის თანახმად, რომელიც ჩამოყალიბდა 80-იან წლებში ამერიკელი მეცნიერის მ. ბერნსონმის, გ. სტაინომის, ა. ლაფერისა და სხვათა მიერ, გადასახადები განიხილება როგორც ეკონომიკური განვითარებისა და რეგულირების ძირითადი ფაქტორი. აღნიშნული თეორიის მიხედვით, მაღალი გადასახადები უარყოფითად მოქმედებს სამეწარმეო და ინვესტიციურ აქტიურობაზე, რაც, საბოლოო ანგარიშით, იწვევს გადასახადების შემცირებას და შეღავათების დაწესებას. ასე, რომ, გადასახადების განაკვეთის შემცირება, ამ თეორიის ავტორთა აზრით, იწვევს სწრაფ ეკონომიკურ ზრდას.

დღეისათვის შეიძლება ვაღიაროთ, რომ გადასახადების მარეგულირებელი ფუნქცია, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ამა თუ იმ საფინანსო-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაა.

მარეგულირებელი ფუნქციის გამოვლენის ერთ-ერთი მიმართულება მაინტეგრირებელი ფუნქციაა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ზემოქმედებს საგადასახადო ვაჭრობასა და საგარეო ურთიერთობების სხვა ფორმების განვითარებაზე. იგი ეფუძნება თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო მეურნეობის განვითარების თავისებურებებს, ეროვნული ეკონომიკის შიდა და საგარეო ურთიერთდამოკიდებულების პროცესების გაძლიერებას და სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივ ინტერნაციონალიზაციას. სახელმწიფოსთვის ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირების ერთ-ერთი საშუალება გადასახადებია.

მაინტეგრირებელი ფუნქციის პრაქტიკული რეალიზაცია ხდება ქვეყნებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელთა მეშვეობით იხსნება საბაჟო ბარიერები, კაპიტალის იმპორტისა და ექსპორტის წახალისების მიზნით ხდება შემოსავლების ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება, საერთაშორისო საგადასახადო კანონმდებლობის განვითარება, ეროვნული საგადასახადო უნიფიკაცია და ჰარმონიზაცია.

საგადასახადო ურთიერთობების მოცემული ასპექტების გაანალიზებით, საჭიროდ მიგვაჩნია გადასახადების მასტიმულირებელი ფუნქციის გამოყოფა. ის რეალიზდება შეღავათების სისტემების დაწესების საშუალებით, ან კიდევ გადასახადებისგან განთავისუფლებით. ისტორიამ იცის სპეციალური გადასახადების შემოღების მაგალითები ამა თუ იმ ეკონომიკური შედეგების მისაღწევად. მაგალითად, 1948 წელს საფრანგეთში „განსაკუთრებული გადასახადი ინფლაციის წინააღმდეგ საბრძოლველად". მისი მიზანი იყო, შეემცირებინა ჭარბი მსყიდველობითი უნარი.

გადასახადების ზემოქმედება ეკონომიკურ განვითარებაზე შეიძლება იყოს არა მხოლოდ მასტიმულირებელი, არამედ შემაფერხებელიც. ეს აუცილებლობა აღმოცენდება ხოლმე, უპირველეს ყოვლისა, წარმოებისა და მოსახლეობის მაღალი კონცენტრაციის მქონე რაიონების განვითარების დასარეგულირებლად. მოსახლეობისა და სამეურნეო აქტიურობის გადაჭარბებული კონცენტრაცია იწვევს გარემოს დაცვის, რესურსებით უზრუნველყოფისა და სხვა პრობლემების გამწვავებას, შეზღუდვის ამოცანა ყველაზე ადრე წარმოიშვა დიდ ბრიტანეთსა

და საფრანგეთში. ამ ქვეყნებში აღმოცენდა მონოცენტრალური სტრუქტურა, სადაც დომინირებს ერთი ქალაქი (ან რაიონი) ქალაქებისა და აგლომერაციის იერარქიის სათავეში.

სახელმწიფოსა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შემაფერხებელ ზომებს საფუძვლად უდევს დამატებითი გადასახადები ან სამეურნეო საქმიანობის ლიცენზირება. დამატებითი გადასახადები ამ მიზნით პრაქტიკულად ხორციელდება ნიდერლანდებსა და იაპონიაში. მასტიმულირებელი გადასახადები დაწესდა გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, ნეგატიური ეკონომიკური მოვლენების წინააღმდეგ გამოიყენება როგორც მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ისე გადასახადები კაპიტალის გატანაზე, მაღალი საბაჟო გადასახადები, აქციზები და ა. შ.

ასევე, შეიძლება დავასახელოთ აღწარმოებითი ფუნქცია, რომელიც დაწესებულია (განკუთვნილია) გამოყენებული რესურსების აღსადგენი სახსრების აკუმულირებისთვის. ამ ქვეფუნქციას ასრულებენ გადასახადების დაწესებით მინერალურ-სანედლეულო ბაზაზე, წყლის რესურსებზე და ა. შ.

ამასთან, ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციები წინააღმდეგობრივია არა მარტო ერთმანეთთან მიმართულებაში, არამედ თავისთავადაც (შინაგანად). კერძოდ, ფისკალურ კომპონენტს გააჩნია დიდი მასტიმულირებელი მნიშვნელობა, იმ შემთხვევაში, როდესაც იწვევს საერთო საგადასახადო შეღავათების შემცირებას. ეს შესაძლებელია მხოლოდ საგადასახადო ტვირთის გადანაწილებით გადამხდელებს შორის, რაც მოითხოვს გადასახადების დაწესების მარეგულირებელი მექანიზმების გათვალისწინებას. ნებისმიერ შემთხვევაში გადასახადი არ ითვალისწინებს საკუთარი წყაროს მოსპობას. გადასახადი არ არსებობს ნაწილობრივ შეზღუდვის, აკრძალვის, კონფისკაციისა და დასჯისთვის. ასე, რომ საბაჟო გადასახადების გადიდება ძირითადად გამოწვეულია პროტექციონისტულ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ხოლო გადასახადების გადიდება სამორინეებსა და ალკოჰოლურ ბიზნესზე გამოწვეულია როგორც გადახდისუნარიანობით, ასევე, მოხმარების შეზღუდვით.

არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ საგადასახადო მექანიზმის მნიშვნელობა სახელმწიფოს ეკონომიკის რეგულირებასა და მართვაში გადაჭარბებულია.

ლიტერატურა:

1. ლ. ბახტაძე, რ. კაკულია, მ. ჩიკვილაძე, საგადასახადო საქმე, თბ., 2007;
2. მ. კორძაძე, საგადასახადო სისტემა საქართველოში, თბ., 2006;
3. მ. მიქელაშვილი, სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის ტეორიული ასპექტები, თბ.: გამომცემლობა „სიტყვა“, 2011;
4. ზ. როგავა, საგადასახადო სამართალი, საგადასახადო კონტროლი და საგადასახადო პასუხისმგებლობა, თბ.: ბაკმი, 2009;
5. Е. В. Шувалов, В. В. Кдимовицкий, А. М. Пузин, Налоговие системи зарубежных стран, Москва, Дашков и К, 2011.

SUMMARY

The work is dedicated to the substance of the tax system and taxes, as well as research methodologies. The essence of taxes, as an economic category is considered and analyzed; in particular, the taxation experience of the countries with the civilized market economy is described (Germany, Austria, Norway, Sweden, Japan etc.), emphasizing their social direction. At the same time, one should tale into consideration that the tax system of civilized countries spreads beyond the fiscal function, acquiring regulating and stimulating functions.

There is stressed necessity of fairness of the tax system to ensure promotion of effective resource allocation. In the same chapter, there is emphasized necessity of regulation of tax rates and its impact on entrepreneurship activities.

Optimal taxation system and politics bears and will always bear stimulating function in the process of economic development. This is the fact that in modern economic practice the taxation system could be classified in two categories – liberal and strictly fiscal directions. At the same time, it should be mentioned that in any case, improvement of the tax system is the trend of economic subjects for achievement of successful economic growth.

მათემატიკის მოდელირების მეთოდების გამოყენება გარემოს დაცვის ამოცანების გადასაწყვეტად

დიმიტრი აბზიანიძე, *ფიზიკა-მათემატიკის აკადემიური დოქტორი*
გოდერძი ტაბატაძე, *სტუ-ს სრული პროფესორი*
ნანა ხუნდაძე, *სტუ-ს სრული პროფესორი*
თამარ მესხიშვილი, *პროფესორი*

ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ბუნების მკვლევარები ინტერესდებოდნენ მათი გარემომცველი ფიზიკური სამყაროთი, კერძოდ, ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედებით. ბუნების დაცვისა და გაჯანსაღების, მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების მეცნიერულ ღონისძიებათა შემუშავება თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. თანამედროვე ეტაპზე სიტყვა ეკოლოგია გახდა პოპულარული, ესაა მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმებისა და ბუნების ურთიერთკავშირებს. /1/

ეკოლოგიის პრობლემაში მოიაზრება ბუნებრივ მეცნიერული და სოციალური პრობლემების კავშირები. მეცნიერების ამოცანაა – შეისწავლოს ეს კავშირები რეალურ სინამდვილეში. **ამიტომაა, ეკოლოგიური** პრობლემატიკა ასე საინტერესო ჩვენთვის და ექსპერიმენტებისა და სისტემური პროფესიონალიზმის გარეშე მისი გადაწყვეტა შეუძლებელია.

გარემოს პრობლემების გაგება გვარწმუნებს, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარების ტრადიციული მიმდინარეობა წინააღმდეგობაში მოდის ბუნებაში მიმდინარე ცვლილებებთან. ეკოლოგიური კვლევების ძირითადი ამოცანა მდგომარეობს ცოცხალ ორგანიზმებსა და გარემოს ურთიერთობების რაოდენობრივ მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაში, სისტემატიზაციასა და ანალიზში. მისი მიზანია ისეთი შედეგების მიღება, როგორიცაა ეკოსისტემების ხარისხის შესწავლა (მათი ადამიანის მიერ გამოყენების შესაძლებლობის თვალსაზრისით), მასზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორების გამოვლენა, ეკოსისტემის მდგრადობის და გარემოს ცვლილებებისა და მასზე დატვირთვის შესაძლებლობების პროგნოზი.

ამ სტატიაში გადმოცემულია მათემატიკოსების მიდგომა ეკოლოგიის მიმართ, მის პრობლემებზე, მათ უნარზე – გამოიყენონ ცოდნა ამ პრობლემების გადასაჭრელად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მარტო მათემატიკური ცოდნა საკმარისი არ არის გარემოს დაცვის ამა თუ იმ ამოცანის გადასაწყვეტად. საჭიროა აგრეთვე ამოსავალი ამოცანის გადაყვანა მათემატიკურ ენაზე. სწორედ ამაშია მათემეტიკური მოდელის ხელოვნების დაუფლების პრობლემა.

მათემატიკური მოდელის აგების ზოგადი წესები მდგომარეობს შემდეგში. /2/

პრაქტიკაში ამოსავალ პუნქტად გვევლინება რომელიღაც ემპირიული სიტუაცია, რომელიც მკვლევარების წინაშე აყენებს „ამოცანას", რომელზეც საჭიროა „პასუხის" პოვნა, პირველ რიგში საჭიროა გარკვევა თუ რაში მდგომარეობს ეს „ამოცანა". ეს შენიშვნა დაკავშირებულია იმასთან, რომ რეალური სიტუაციები იშვიათად არიან გამოკვეთილნი, ხოლო რთული ურთიერთობები გარემოსთან განაპირობებს სიტუაციების ზუსტი აღწერილობის სირთულეს. „ამოცანის" დასმის პროცესი, ხშირად ხანგრძლივვადიანია და მოითხოვს ბევრ ისეთ ცოდნას, რომელთაც კავშირი არა აქვთ მათემატიკასთან (მაგალითად, საუბრები ამ სფეროში მომუშავე კოლეგებთან, ეკოლოგიის გარშემო ლიტერატურის კითხვა, რომლებიც მათემატიკური მოდელირების მნიშვნელოვან ელემენტად გვევლინება.)

ხშირად ამოცანის დასმის სტადიის პარალელურად მიმდინარეობს მოვლენათა ძირითადი და არსებითი თავისებურებების გამოვლენის პროცესი. კერძოდ, ეკოლოგიური მოვლენებისათვის იდეალიზაციის ეს პროცესი გადამწყვეტ როლს ასრულებს, რამდენადაც რეალურ მოვლენებში მონაწილეობს უკიდურესად რთული, მრავალი პროცესი.

მას შემდეგ, რაც არსებითი ფაქტორები გამოვლენილია, შემდეგი ნაბიჯია ამ ფაქტების გადაყვანა მათემატიკურ ენაზე. როგორც წესი, ეს მათემატიკური მოდელირების პროცესის ყველაზე ძნელი სტადიაა.

მოდელის აგების შემდეგ იგი უნდა შემოწმდეს; მოდელში ფორმულირებული ტოლობები ან სხვა მათემატიკური ფარდობები, მუდმივად უნდა შეპირაპირდეს ამოსავალ სიტუაციებთან.

მათემატიკოსების შრომა არ მთავრდება იმ მომენტში, როდესაც მრავალრიცხოვანი მათემატიკური მანიპულაციებით მიიღება ან ფორმულა ან სხვა შედეგი. მათ მოუწევთ ამ შედეგების უკუგადაყვანა მათემატიკური ენიდან ამოსავალი ამოცანის ფორმულირების ენაზე.

ახლა განვიხილოთ მოდელირების გამოყენების მაგალითი გარემოს დაცვის საკითხთან დაკავშირებით.

გარემოს დაცვის პრობლემა მკვლევარებისაგან

მოითხოვს ეკოსისტემების შესწავლას. ეკოსისტემების შესწავლის ამოცანა განიხილება როგორც ერთიანი მთლიანისა, რაც დამახასიათებელია ე.წ. სისტემური მიდგომისათვის. /3/

ამ მიდგომის არსი გულისხმობს სისტემის საერთო სტრუქტურის განსაზღვრას ამ სისტემის ელემენტებს შორის და თვით სისტემის გარემოსთან ურთიერთქმედების ორგანიზაციას.

გარემოს სისტემური ანალიზის ნებისმიერი მეთოდის დროს გამოიყენება გარემოს მათემატიკური აღწერილობა.

მათემატიკური მოდელის აგება ცენტრალური ეტაპია გარემოს კვლევაში (ან დაპროექტებაში). მოდელის ხარისხზე დამოკიდებულია მთელი შემდგომი ანალიზის ბედი.

განვიხილოთ ეკოლოგიური სისტემის ფორმალიზაციის მათემატიკური სქემა, რომელიც მდგომარეობს შემდეგში.

ეკოლოგიური სისტემის ფუნქციონირების პროცესის შესწავლის საფუძველზე წარმოებს მისი, როგორც მართვის ობიექტის აღწერა. სისტემის ქცევის მოდელირებისათვის შეიძლება შევარჩიოთ ისეთი პარამეტრები, როგორიცაა: x(t)-გამომავალი სიდიდეები (მართული პარამეტრები); u(t)-მმართველი პარამეტრები (ჩვენს მიერ შერჩეული ზემოქმედება პროცესებზე); θ(t) –პროცესზე შემაშფოთებლად მოქმედი სიდიდეები (ჩვენგან დამოუკიდებელი). მმართველი და შემაშფოთებელი ზემოქმედება მიეკუთვნება შემავალ სიდიდეებს.

ეკოსისტემის მართვის მიზანია როგორც გარემოს სათანადო ხარისხის უზრუნველყოფა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, ასევე ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირება. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მოდელირების დროს ეს პარამეტრები განიხილება როგორც გამომავალი პარამეტრები.

ეკოსისტემის მართვა ხორციელდება როგორც მის სანედლეულო ბაზაზე, ასევე შიდა და გარე ინვესტიციებზე დაყრდნობით. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველო ჯერჯერობით ეკონომიკურ კრიზისში იმყოფება, მართვისას შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ ინვესტიციებით. (ქვეყნის სანედლეულო ბაზა მაინც დამაკმაყოფილებელია. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით მისი საბაზრო ღირებულება 90 მლრდ აშშ დოლარს აჭარბებს).

გარემოზე მოქმედი შეშფოთებები იყოფა ბუნებრივ და ანთროპოგენურად. ბუნებრივს მიეკუთვნება ყველა ის ზემოქმედება, რაც გამოწვეულია არა ადამიანის საქმიანობით (მიწისძვრები, ხანძრები, ჭექა-ქუხილისაგან, ვულკანების ამოფრქვევები და ა.შ.). ანთროპოგენური (ტექნოგენური) ზემოქმედებები იყოფა წინასწარგანზრახულ (ტექნოლოგიით გათვალისწინებული-მოხმარება და გამოტყორცნები) და არაწინასწარგანზრახულ საწარმოთა ზემოქმედების შედეგად.

საბოლოოდ, ისმის კითხვა შემავლებისა და გამომავლების მათემატიკური დამოკიდებულების, როგორც ოპერატორის, $\Phi \in \{ u(t) \times \theta(t) \rightarrow x(t)\}$ შესახებ, რომელიც ხშირად გვევლინება დიფერენციალურ ოპერატორად. ჩვეულებრივად ოპერატორ Φ-ს უწოდებენ მათემატიკურ მოდელს.

მიღებული დაშვებისას ეკონომიკური სისტემა აღიწერება დიფერენციალური განტოლებით

$$\frac{dx}{dt} = f[t, x(t), u(t)\ \theta(t)] \qquad (1)$$

სადაც t - არის დრო, x(t), u(t) და θ(t) – შესაბამისად სამ – ერთ და k-განზომილებიანი ვექტორები; k – შემაშფოთებელი ზემოქმედების რიცხოვნობა; f – ნამდვილი ვექტორული ფუნქცია.

მოდელი (1)-ის გამოყენება ეკოლოგიური სისტემის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად. იმის გამო, რომ ფორმულა (1)-ის მარჯვენა ნაწილში შედის შეშფოთებები, x(t)-შემთხვევითი სიდიდეა. ამიტომ მართვის ამოცანა წყდება მისი დაყოფით ორ ამოცანად: შეშფოთების შეფასების ამოცანად (პარამეტრული იდენტიფიკაცია) და ეკოლოგიური სისტემის ოპტიმალური მართვის ამოცანად.

ასეთი დაყოფა ხარისხობრივად გასაგებია, რამდენადაც თავიდან საჭიროა განისაზღვროს სისტემის მოქმედება, ამ მოქმედების შემცვლელი მმართველობითი ზემოქმედების გამოთვლამდე.

შემაშფოთებელი ზემოქმედების შეფასების მეთოდიკა განუსაზღვრელობების პირობებში განხილულია /4/-ში. შემოთავაზებული მეთოდი საშუალებას იძლევა მივიღოთ ადაპტირებული ალგორითმები შემაშფოთებელი ზემოქმედების შესაფასებლად, რომელზეც ინფორმაცია მთლიანად ან ნაწილობრივ არ არსებობს. ამასთან, შეფასებები წარმოებს დინამიკური მახასიათებლების – მათემატიკური მოლოდინის და დისპერსიის მიხედვით.

ეს მახასიათებლები საშუალებას იძლევა შევარჩიოთ ყველაზე ეფექტური გზა ეკოლოგიური სისტემის სამართავად. იდენტიფიკაციის ამოცანის გადაწყვეტისას მიღებული შეფასებები შეიყვანება მართვის ალგორითმში მართვის სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად შიგა და გარე აღშფოთებების კომპენსაციის მიზნით. ამრიგად, მმართვადი სისტემა

შეიძლება ვაიძულოთ იმოქმედოს სასურველი სახით.

გამოვსახოთ ეს კონკრეტული მაგალითით. სიმარტივისათვის დავუშვათ, რომ ეკოსისტემა დამოკიდებულია მხოლოდ ერთ შემაშფოთებელზე, რომლის დინამიკური მახასიათებლები (დროის მომენტში $t_n \equiv n$) აღვნიშნოთ m(n)-ით და D(n)-ით დავუშვათ, რომ რეგულირებადი კოორდინატა აღვნიშნოთ $x_2^*(n)$-ით (მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა).

$t_n \equiv n$ დროის მომენტში წარმოქმნილი დანახარჯები მოცემულია ფუნქციით

$$g\,[\sigma(n), u(n)] = M\,\{[x_2(n) - x_2^*(n)]^2 / \sigma(n)\},$$

სადაც $\sigma_{n=}(m(n), D(n))$ აქ M -არის მათემატიკური მოლოდინის სიმბოლო. თუმცა, რამდენადაც $g(\sigma_n, u_n)$ (არაუარყოფითი) ფუნქციაა, მისი მინიმუმის საპოვნელად საკმარისია შესრულდეს პირობა $g(\sigma_n, u_n) = 0$, საიდანაც მარტივი გარდაქმნებით ვღებულობთ

$$u(n) = \frac{x_2^*(n)}{a(n) + b(n)m(n)}$$

სადაც a(n) და b(n) –არის პროპორციულობის კოეფიციენტები.

მართვის მიღებული ალგორითმი უზრუნველ-ყოფს ეკოსისტემის უსაფრთხო ფუნქციონირებას.

ამრიგად, მოცემულ სტატიაში განხილულია მათემატიკის შესაძლებლობები მოახდინონ გავლენა ეკოლოგიურ პროცესებზე. ამასთან ერთად, ნაშრომის მიზანი მთლიანად იქნება გამართლებული, თუ ეკონომიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რომლებიც მოწოდებულნი არიან გადაწყვიტონ გარემოს დაცვის ამოცანები, შეძლებენ უკეთ გაიგონ ადამიანების ზემოქმედების მექანიზმი გარემოზე და გაითვალისწინონ იგი თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში.

ლიტერატურა:

1. პარმენ ლემონჯავა გარემოს დაცვისა და ბუნების გამოყენების აქტუალური ეკონომიკური პოლიტიკა, თბილისი, 2008წ.
2. Математическое моделирование /Пер. с анг. Под ред Ю. П. Гупало.-М.: Мир, 1979
3. ნ. ფოფორაძე, დ. აბზიანიძე, მ. დვალი, თ. მესხიშვილი. მათემატიკური ეკოლოგიის როლი ეკოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში.(ინგ.ენ). // გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება: საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური კონფერენციის შრომები, თბილისი, სტუ, 2010, გვ. 242-244.
4. Н.Г. Попорадзе, Д.В. Абзианидзе, М.С. Двали. О проблеме экологической безопасности и оптимизации управления экологическими системами //Сб.тр, ГТУ, №2(476). 2010. - с.59-63.

About use of mathematical modeling in environmental protection

SUMMARY

It is shown in this work the discussion of mathematicians about description and analysis the real ecological problems and the using methods of mathematical modeling for resolving practical problems, connecting to environmental protection.

In order to use modeling methods in ecology it is necessary at first create the model and after-the corresponding apparatus, which will help us to analyze process, see outcomes (results) of the decision, evaluate our possibility with the different alternatives and only on the basis of such analysis form the object.

The ecological model has the face of the nonrectilineal differential equation of the first line.

The object of managing of ecosystem is to provide the corresponding environmental quality and increase the living standard of Georgian population as well as to form the budget incomes. That is why these factors in modeling must be considered as exit parameters.

Simultaneously it is taken into consideration that the ecological process is affected by antropogenous as well as different not controlled troubles.

On the concrete example it is considered the practical use of the model for solving the object of the ecosystem's management.

საგადასახადო კანონმდებლობა როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების მასტიმულირებელი ფაქტორი

პაატა გიორგაშვილი
დავით ჭელიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

"მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს,
რომ ერთის გზით თავისი ხალხის მეურნეობის ნამდვილს,
უტყუარს და აუცილებელ საჭიროებას დღემუდამ გრძნობდეს
და მეორეს გზით-მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით
დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც,
საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გაწვდება"

წმინდა ილია მართალი

XXI საუკუნის განვლილი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში განვითარებული მოვლენების ფონზე ცალსახად იკვეთება "გლობალისტთა" გააქტიურების და თითქმის ყოვლისმომცველი ფინანსური კრიზისის ანგარიშგასაწევი და მტკივნეული ტენდენციები. აღნიშნული მოვლენები ნებისმიერი საზოგადოების შესწავლის საგანს უნდა წარმოადგენდეს. ხოლო მცირერიცხოვანი და მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნ(ებ)ისათვის მათი კომპლექსური ანალიზი უმნიშვნელოვანეს ეროვნულ-სახემწიფოებრივ მიმართულებად უნდა მიიჩნეოდეს. აქედან გამომდინარე, ქართული სოფლის, როგორც ქვეყნის თვითმყოფადობის უმნიშვნელოვანესი გარანტის პრობლემათა სიღრმისეული კვლევა და დაძლევის გზების ძიება მეტად აქტუალურ საკითხთა კატეგორია წარმოადგენს.

იმ ფაქტის გათვალისწინებით რომ საქართველოში სადღეისოდ აღარ ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის საკითხთა შემსწავლელი მრავალი (მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულება, დარგში შექმნილი სიტუაციის განხილვისათვის ჩვენს მიერ ინფორმაცია ძირითადად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაციებიდანაა აღებული. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ წყაროზე დაყრდნობით შედგენილი და ქვემოთმოყვანილი ცხრილებით წარმოდგენილი მონაცემები ჩვენი აზრით გარკვეულ წარმოდგენას გვექმნიან საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სოფლის მოსახლეობის რიზოვნება და სოფლის მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წილი მშპ-ის სტრუქტურაში

ცხრილი №1

წელი	სოფლის მოსახლეობა (ათასი კაცი)	სოფლის მოსახლეობა პროცენტობით მთელ მოსახლეობასთან	სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, ნადირობის და თევზჭერის ხვედრითი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში
2006	2 091	47,5	12,8
2007	2 086	47,5	10,7
2008	2 078	47,4	9,4
2009	2 076	47,3	9,4
2010	2 086	47,0	8,4
2011	2 098	46,9	–

ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, სტატისტიკური პუბლიკაციის "საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010", თბილისი 2011 წ. მონაცემებზე დაყრდნობით გვ. 17.

როგორ ცხრილ №1-ში არსებული მონაცემებიდან ვრწმუნდებით 2006-დან 2011-წლამდე საქართველოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის რიცხოვნება უმნიშვნელო, (7000 ათასით), მაგრამ ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. თუმცა მისი ხვედრითი წილი ქვეყნის მოსახლეობის საერთო როცხოვნებაში 0,6 პროცენტული ერთეულით შემცირდა, რაც ზოგადად დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნების ზრდაზე მიგვანიშნებს.

სამწუხაროდ განსხვავებული ტენდენცია იკვეთება სასოფლო-სამეურნეო სექტერში წარმოებული პროდუქციის დინამიკის თვალსაზრისით. 2006-10 წლიებში დარგში წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქთან მიმართებაში 4,4%-ით არის შემცირებული. სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნების თითქმის ნახევარი, (47,5–46,9%) ხვედრითი წილის მქონე, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მიერ, 2006 წლისათვის წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის ისედაც მცირე, მხოლოდ 12,8%-ს ტოლი პროდუქცია, 2010 წლისათვის 8,4%-მდე არის შემცირებული, რაც დარგის დაბალ მწარმოებლურობას და ნაკლებეფექტურობას ცხადყოფს.

ზემოაღნიშნულის პარალელურად საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი სიტუაციის სიმძიმეზე ასევე მიგვანიშნებს ქვემოთმოყვანილ ცხრილ №2-ით წარმოდგენილი მონაცემები.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე

ცხრილი №2

დასახელება (ზომის ერთეული)	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**
ხორბალი (კგ)	16	18	18	12	11
სიმინდი (კგ)	49	68	75	66	32
კარტოფილი (კგ)	***38***	***52***	***44***	***49***	***51***
ბოსტნეული (კგ)	41	43	38	37	39
ხილი (კგ)	35	52	36	41	28
ყურძენი (კგ)	37	52	40	34	27
ხორცი (კგ)	19	17	13	12	13
რძე (კგ)	138	143	146	124	132
კვერცხი (ცალი)	**52**	**100**	**100**	**97**	**100**

2 ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, სტატისტიკური პუბლიკაციის "საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010", თბილისი 2011 წ. მონაცემებზე დაყრდნობით გვ. 18.

როგორც ცხრილიდან ვრწმუნდებით 2006-2010 წლებში ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე რიგი დასახელების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოება შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. აღნიშნულ პერიოდში ქვეყნის ყოველ მოსახლეზე წარმოებული ხორბლის ოდენობა 31,25%-ით; სიმინდის 34,69%-ით; ბოსტნეულის 4,88%-ით; ხილის 20,0%-ით; ყურძნის 27,03%-ით; ხორცის 31,58%-ით, ხოლო რძის 4.35%-ით არის შემცირებული. ამ არასასურველი დინამიკის ფონზე, მეტად დადებით მოვლენას წარმოადგენს კარტოფილის და კვერცხის წარმოების მაჩვენებლების 34,21 და 75,43 პროცენტული ერთეულით ზრდის ტენდენცია.

2006-2010 წლებში ქვეყნაში უმნიშვნელოვანესი სახეობების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემცირების გამომწვევ მიზეზთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას ქვემოთმოყვანილ ცხრილებში №3 და №4-ი ასახული ტენდენციები იმსახურებენ.

როგორც №2 და №3 ცხრილებით წარმოდგენილი მონაცემებიდან ვრწმუნდებით, 2006 წლიდან 2011 წლამდე ქვეყნის მოსახლეობის ყოველ სულზე წარმოებული ხორბლის ოდენობის 31,25%-ით შემცირება, სხვა მიზეზებთან ერთად აღნიშნული კულტურის ნათესი ფართობების 14,82%-ით შემცირებით იყო გამოწვეული. სამწუხაროდ, ანალოგიური ტენდენციით ხასიათდება სხვა ისეთი ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების დინამიკა, როგორიცაა სიმინდი და ბოსტნეული. საანგარიში პერიოდში მათი ნათესი ფართობები, 15.88% და 17.45% პროცენტული ერთეულით არის შემცირებული. აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ 2006-10 წლებში არ შემცირებულა ლობიოს ნათესი ფართობები, 2010 წლისათვის ამ კულტურის ნათესი ფართობების მაჩვენებელი სრულად ემთხვევა 2006 წლის მონაცემს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშემოდგომო და საგაზაფხულო ნათესი ფართობები ყველა კატეგორიის მეურნეობაში

ცხრილი №3.

	2006	2007	2008	2009	2010
ნათესი ფართობები სულ (ათასი ჰექტარი)	330,0	297,2	329,3	308,3	275,3
მათ შორის:					
ხორბალი	58,7	45,4	48,6	57,5	50,0
შიმინდი	129,1	125,5	146,2	130,1	108,6
ლობიო	**7,2**	**6,7**	**7,3**	**5,5**	**7,2**
კარტოფილი	23,5	21,5	24,0	18,0	21,2
ბოსტნეული	29,7	32,0	27,3	23,7	24,4

ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის,სტატისტიკური პუბლიკაციის "საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010", თბილისი 2011 წ. მონაცემებზე დაყრდნობით გვ. 31; 35; 36; 37; 39; 40.

უაღრესად საყურადღებოა აღნიშნულ პერიოდში კარტოფილის წარმოების და ნათესი ფართობების ურთიერთშედარებითი დინამიკა. საქმე ისაა, რომ 2010 წლისათვის კარტოფილის ნათესი ფართობების, 2006 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 9,79%-ით შემცირების მიუხედავად, აღნიშნული კულტურის წარმოების მაჩვენებელი ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე 34,21%-ით არის გაზრდილი. რაც უაღრესად დადებით ფაქტს წარმოადგენს რადგან კარტოფილის მოსავლიანობის ზრდის პოზიტიურ ტენდენციას ცხადყოფს.

2006-10 წლებში სასოფო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების პარალელურად, ასევე შემცირების ტენდენციით ხასიათდება ქვეყანაში პირუტყვის სულადობის მაჩვენებლები (იხ. ცხრილი №4). კერძოდ, 2010 წლისათვის 2006 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2,86%-ით; ღორის 67,95%-ით, ხოლო ცხვრის 14,35%-ით მცირდება. განსხვავებული მდგომრეობაა ფრინველის რიცხოვნების თვალსაზრისით, 2010 წლისათვის ქვეყანში ფრინველის რიცხოვნება 2006 წელთან შედარებით 20,75%-ით არის გაზრდილი.

პირუტყვის და ფრინველის სულადობა ყველა კატეგორიის მეურნეობებში (წლის ბოლოსათვის, ათასი სული/ფრთა)

ცხრილი №4.

დასახელება (ზომის ერთეული)	2006	2007	2008	2009	2010
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ათასი სული)	1080,3	1048,5	1045,5	1014,7	1049,4
ღორი	343,5	109,9	86,3	135,2	110,1
ცხვარი	696,8	711,0	690,0	602,3	596,8
ფრინველი (ათასი ფრთა)	5400,7	6149,7	6682,3	6674,8	6521,5

ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის,სტატისტიკური პუბლიკაციის "საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010", თბილისი 2011 წ. მონაცემებზე დაყრდნობით გვ. 61.

2006-10 წლებში ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზემოაღნიშნულ ტენდენციებს, ერთი შეხედვით სრულიად ლოგიკურად უნდა გამოეწვია ამ პროდუქტების იმპორტის ზრდა. თუმცა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში ძირითადი სახეობების საკვები პროდუქტების იმპორტი (გარდა ხორცისა) მნიშვნელოვანი ზრდით არ ხასიათდება. რაც გარკვეულწილად დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ რადგან მისი არსებობით მძლავრი იმპულსი არ ეძლევა ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი სალდოს კიდევ უფრო მაღალი ტემპით ზრდის ტენდენციას. თუმცა ამის მიუხედავად სიტუაციის დეტალური ანალიზი ქვეყნაში არსებულ უარღესად მძიმე მდგომარეობაზე მიგვანიშნებს (იხ. ჩხრილი №5).

ქვეყნის მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სასურსათო პროდუქტის ცალკეული სახეობების ბალანსი (რესურსები და გამოყენება)

ცხრილი №5.

დასახელება/მაჩვენებლები	ზომის ერთეული	2006	2007	2008	2009	2010
ხორბალი	ათასი ტონა					
ადგილობრივი წარმოება	–"–	70	75	80	54	48
იმპორტი	–"–	798	788	613	624	797
ექსპორტი	–"–	38	27	14	16	36
იმპორტ-ექსპორტის სალდო	–"–	-760	-761	-599	-608	-761
მოხმარება ერთ სულზე (ფქვილის სახით)	კგ. წელიწადში	112	110	112	109	108
მოხმარება ერთ სულზე წელიწადში, 2006=100%	%	***100,0***	***98,21***	***100,0***	***97,32***	***96,43***
სიმინდი	ათასი ტონა					
ადგილობრივი წარმოება	–"–	217	296	328	291	141
იმპორტი	–"–	42	16	16	32	16
ექსპორტი	–"–	28	17	7	5	10
იმპორტ-ექსპორტის სალდო	–"–	-14	+1	-9	-27	-6
მოხმარება ერთ სულზე (ფქვილის სახით)	კგ. წელიწადში	29	26	31	33	18
მოხმარება ერთ სულზე წელიწადში, 2006=100%	%	***100,0***	***89,65***	***106,9***	***113,8***	***62,07***
კარტოფილი	ათასი ტონა					
ადგილობრივი წარმოება	–"–	169	229	193	217	229
იმპორტი	–"–	24	52	32	18	2
ექსპორტი	–"–	1	-	-	1	8
იმპორტ-ექსპორტის სალდო	–"–	-23	-52	-32	-17	+6
მოხმარება ერთ სულზე	კგ. წელიწადში	44	47	48	44	44
მოხმარებია ერთ სულზე წელიწადში, 2006=100%	%	***100,0***	***106,82***	***109,1***	***100,0***	***100,0***
ბოსტნეული	ათასი ტონა					
ადგილობრივი წარმოება	–"–	180	190	165	170	176
იმპორტი	–"–	52	64	58	59	67
ექსპორტი	–"–	3	2	5	5	14
იმპორტ-ექსპორტის სალდო	–"–	-49	-62	-53	-54	-53
მოხმარება ერთ სულზე	კგ. წელიწადში	55	58	59	53	51
მოხმარება ერთ სულზე წელიწადში, 2006=100%	%	***100,0***	***105,45***	***107,27***	***96,36***	***92,73***
ყურძენი	ათასი ტონა					
ადგილობრივი წარმოება	–"–	162	227	176	150	121
იმპორტი	–"–	6	8	2	1	2
ექსპორტი	–"–	24	24	28	25	32
იმპორტ-ექსპორტის სალდო	–"–	+18	+16	+26	+24	+30
მოხმარება ერთ სულზე	კგ. წელიწადში	37	36	35	33	31
მოხმარება ერთ სულზე წელიწადში, 2006=100%	%	***100,0***	***97,3***	***94,59***	***89,19***	***83,78***
ხორცი	ათასი ტონა					
ადგილობრივი წარმოება	–"–	83,3	73	57,3	54,3	56,4
იმპორტი	–"–	32,1	53,3	62,1	61,9	61,9
ექსპორტი	–"–	0,9	1,2	0,8	0,2	0,7
იმპორტ-ექსპორტის სალდო	–"–	-30,2	-52,1	-61,3	-61,7	-61,2
მოხმარება ერთ სულზე	კგ. წელიწადში	26	28	27	25,5	27
მოხმარება ერთ სულზე წელიწადში, 2006=100%	%	***100,0***	***107,69***	***103,85***	***98,08***	***103,85***
რძე და რძის პროდუქტები	ათასი ტონა					
ადგილობრივი წარმოება	–"–	606	625	695	551	588
იმპორტი	–"–	136	77	51	50	48
ექსპორტი	–"–	2	1	2	1	6
იმპორტ-ექსპორტის სალდო	–"–	-134	-76	-49	-49	-42
მოხმარება ერთ სულზე	კგ. წელიწადში	162	155	162	131	137
მოხმარება ერთ სულზე წელიწადში, 2006=100%	%	***100,0***	***95,68***	***100,0***	***80,86***	***84,57***
კვერცხი	ათასი ტონა					
ადგილობრივი წარმოება	–"–	249	438	438	431	445
იმპორტი	–"–	45	-	22	11	10
ექსპორტი	–"–	-	-	1	16	-
იმპორტ-ექსპორტის სალდო	–"–	-45	-	-21	+5	-10
მოხმარება ერთ სულზე	ცალ წელიწადშ.	60	85	91	90	97
მოხმარება ერთ სულზე წელიწადში, 2006=100%	%	***100,0***	***141,67***	***151,67***	***150,0***	***161,67***

როგორც ცხრილ №5-ში მოყვანილი მონაცემებიდან ვრწმუნდებით, 2006-10 წლებში ქვეყნის მოსახლეობის ყოველ სულზე მოხმარებული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო, ანუ კვების პროდუქტების მაჩვენებლები შემცირების მეტად მტკივნეული ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ ქვეყნის თითოეული მოსახლის მიერ ფქვილის სახით მოხმარებული ხორბლის ოდენობა 3,57%-ით; სიმინდის 37,93%-ით; ბოსტნეულის 7,27%-ით; ყურძენის 16,22%-ით, ხოლო რძისა და რძის პროდუქტების 15,43%-ით არის შემცირებული.

მეტად სპეციფიური სიტუაციაა შექმნილი ხორცის მოხმარების თვალსაზრისით. საქმე ისაა, რომ 2006-დან 2010 წლამდე ქვეყნის მოსახლეობის ყოველ სულზე ხორცის მოხმარება 3,67%-ით არის გაზრდილი. რაც არალოგიკურად შეიძლება მივიჩნიოთ რადგან, იმ სიტუაციაში როდესაც მოსახლეობა ამცირებს თითქმის ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კვების პროდუქტის მოხმარებას, ძნელი წარმოსადგენია ზრდიდეს ისეთი ძვირად ღირებული პროდუქტის მოხმარებას როგორიცაა ხორცი და ხორც-პროდუქტები.

ექსპერტთა მოსაზრების თანახმად შექმნილ სიტუაციას განპირობებდა ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრზე შექმნილი მეტად რეალობა. კერძოდ, 2006-დან 2011 წლამდე, ქვეყანაში თითქმის ყველა სახეობის საკვებ პროდუქტზე ფასების მნიშვნელოვანმა ზრდამ, ფასების ის ახალი სტრუქტურა ჩამოაყალიბა, რომლის პირობებშიც ნაკლებად კალორიული ბოსტნეულის ფასი მნიშვნელოვნად დაუახლოვდა შედარებით მაღალკალორიული იაფფასიანი იმპორირებული ხორცის ფასს. რამაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მხრიდან რიგი საკვები პროდუქტების მოხმარების შეზღუდვის ხარჯზე, მათი შედარებით ნაკლებად გაძვირებული იაფფასიანი იმპორტირებული ხორცით ჩანაცვლება გამოიწვია. ექსპერტთა აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში ხორცის იმპორტის 32,1 ათასი ტონიდან, 61,9 ათას ტონამდე, ანუ 92,83%-ით ზრდის მაჩვენებელი. ამასთან ერთად იაფფასიანი ხორც-პროდუქტების იმპორტის მოცულობის პრაქტიკულმა გაორმაგებამ არაკონკურენტული გარემო შეუქმნა ხორცის ადგილობრივ წარმოებას, რის შედეგად საგრძნობლად, 83,3 ათასი ტონიდან 56,4 ათას ტონამდე შემცირდა ქვეყანაში ხორცის წარმოება, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი სალდო და გაართულა სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა.

2006-10 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობაში განვითარებულ ზემოაღნიშნულ მტკივნეულ მოვლენათა ფონზე გამონაკლის წარმოადგენს კარტოფილის და კვერცხის წარმოების ზრდის გამოკვეთილი ტენდენციები. აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში კარტოფილის წარმოების საერთო ოდენობის 169 ათასი ტონიდან, 229 ათას ტონამდე ანუ 35,5%-ით, ხოლო კვერცხის 196 ათასი ტონით ანუ 78,71%-ით ზრდამ საანალიზო პერიოდში 45 ათასი ტონიდან 10 ათას ტონამდე, ანუ 77,77%-ით შეამცირა ქვეყანაში იმპორტირებელი კვერცხის ოდენობა. ხოლო კარტოფილის იმპორტი 24 ათასი ტონიდან 2 ათას ტონამდე, ანუ 91,67%-ით შემცირდა. ამასთან ერთად განსაკუთხებულ აღნიშვნას იმსახურებს ამავე პერიოდში კარტოფილის ექსპორტის მაჩვენებლის 7 ათასი ტონით ზრდის დადებითი ტენდენცია.

მოსახლეობის ერთ სულზე კარტოფილის და კვერცხის წარმოების მაჩვენებლების ზრდის მიუხედავად, მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის თვალსაზრისით ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის სიმძიმეს ცხადყოფს ცხრილში №6 არსებული მონაცემები.

როგორც ცხრილ №6-დან ვრწმუნდებით საქართველოს ყოველი მოქალაქე 2006-10 წლებში მოიხმარდა გაცილებით ნაკლებ ბოსტნეულს, ხორცს და რძის პროდუქტს ვიდრე სხვა 14 ქვეყნის (მათ შორის შვიდი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის) მოქალაქეები. გამონაკლის წარმოადგენდა პური და პურპროდუქტები, რომელთა მოხმარება საქართველოს მოსახლეობის ყოველ სულზე საგრძნობლად აღემატებოდა აშშ-ს, გერმანიის, იაპონიის, უნგრეთის, ფინეთის და ბელორუსიის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია რომლის სიმძიმეზე ექსპერტთა ის შეფასებები მიგვანიშნებენ რომელთა თანახმად: -"2010 წელს მოსახლეობა საშუალოდ დღიურად 2790 კილოკალორიას მოიხმარდა, რაც 2004 წლის მაჩვენებელთან შედარებით 6,3%-ით ნაკლებია. საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი დღეში მოიხმარს საერთაშორისო სტანდარტებით (მსოფლიო სასურსათო პროგრამა -WFP) საქართველოსათვის რეკომენდირებულ მინიმალურ 2100 კილოკალორიაზე ნაკლებს, ხოლო 25%-ი დღიურად 1600 კილოკალორიაზე ნაკლებს, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება აბსოლუტურ მინიმუმს 1800 კილოკალორიას. ამასთან, რეკომენდირებული

ძირითადი სახეობის საკვები პროდუქტების მოხმარება ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში კილოგრამებში

ცხრილი №6.

ქვეყნები	პური და პურპროდუქტები*				ბოსტნეული				ხილი				ხორცი და ხორცპროდუქტები*				რძე და რძის პროდუქტები			
	2006	*2007*	*2008*	*2009*	*06*	*07*	*08*	*09*	*06*	*07*	*08*	*09*	*06*	*07*	*08*	*09*	*06*	*07*	*08*	*09*
აშშ	92	93	93	-	122	128	-	-	119	116	110	-	119	119	117	-	273	272	270	-
გერმანია	92	95	93	-	100	98	96	-	132	129	123	-	86	89	88	-	444	446	442	-
იაპონია	94	94	91	-	95	95	94	-	57	60	-	-	46	46	-	-	92	93	86	-
პოლონეთი	117	114	112	111	109	115	115	116	54	41	55	56	70	73	71	71	276	277	282	291
უნგრეთი	92	88	89	88	120	118	120	117	91	77	89	92	63	61	59	59	189	189	184	177
ფინეთი	79	80	80	80	75	79	-	-	91	95	-	-	72	74	74	73	403	393	405	410
ჩეხეთი	98	105	96	-	81	83	83	-	88	85	89	-	81	82	80	-	342	342	352	-
აზერბაიჯანი	181	178	168	164	181	170	157	151	69	61	53	62	22	24	23	32	173	176	178	224
ბელორუსია	94	93	91	88	136	140	145	148	60	59	60	61	68	71	76	78	257	253	237	228
მოლდოვა	136	119	123	119	132	76	99	106	39	28	41	35	38	36	32	30	177	175	155	169
რუსეთი	121	121	120	119	90	94	100	103	48	51	54	56	54	57	61	61	238	241	243	246
სასომხეთი	126	119	115	111	273	317	324	324	90	83	102	112	32	39	49	42	188	190	194	178
კრაიანა	120	116	115	112	127	118	129	137	35	42	44	46	42	46	51	50	235	225	214	212
საქართველო	112	110	112	109	55	58	59	53	-	-	-	-	26	28	27	25,5	162	155	162	131
ყირგიზეთი	131	131	130	135	148	147	146	151	43	39	31	30	36	35	36	39	210	209	209	213

წყაროები:
www.gks.ru/bgb/reg/b11_44; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, სტატისტიკური პუბლიკაციის "საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010", თბილისი 2011 წ. *პური და პურპროდუქტების გადაანგარისებულია ფქვილზე; ხორცი და ხორცპროდუქტები გადაანგარიშებულია ხორცზე.

ნორმებისაგან მკვეთრად განსხვავდება კვების სტრუქტურაც"[1]

საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა ექსპერტთა მოსაზრების თანახმად განპირობებულია: –"ულტრალიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით, რის შედეგადაც მივიღეთ დაუხვეწავი კანონმდებლობა, არაპროფესიონალური კადრები, ენერგოშემცველებზე გაუმართლებლად მაღალი მონოპოლიური ფასები, პესტიციდებითა და ქიმიკატებით ვაჭრობაში არსებული განუკითხაობა, შემოტანილი თესლის ხარისხის უკონტროლობა, დაბალტექნოლოგიური მიწათმოქმედება, არაეფექტური საერთაშორისო დახმარება."[2]

ქვეყნის სოფლის მეურნეობაში შექმნილი სიტუაცია წლების განმავლობაში წარმოადგენდა სხვადასხვა დონეებზე განხილვისა და მსჯელობის საგანს. არსებულ პრობლემათა დაძლევისათვის იქმნებოდა და ფართო საზოგადებისათვის ცნობილი ხდებოდა სახელისუფლებო, სამეცნიერო თუ საექსპერტო წრეებში შემუშავებული რეკომენდაციები, სამოქმედო გეგმები, პროგრამები და კონცეფციები, რომელთა ფორმატში შემუშავებულ მნიშვნელოვან და ანგარიშგასაწევ მოსაზრებათა შორის, ჩვენი აზრით განსაკუთრებულ ყურადღებას სასოფლო-სამეურნეო სექტორის ინდუსტრიალიზაციის მიმართულება მოითხოვს.

როგორც ცნობილია, ენერგომატარებლებზე, შხამ-ქიმიკატებზე, ვეტერინალურ მომსახურებასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქიის წარმოებისათვის საჭირო სხვა საქონელსა და მომსახურებაზე სამომხმარებლო ფასების მნიშვნელოვანმა ზრდამ, ქვეყნაში არსებული დაბალი გადახდისუნარიანი მოთხოვნის პირობებში, სამეწარმეო ინტერესი დაუკარგა ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებში, მცირე სასაქონლო პარტიებით წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ახლომდებარე რაიონულ ცენტრებსა და ქალაქებში ტრანსპორტირება-რე-

[1] "საქართველოს აგროსასურსათო სექტორის განვითარების სტრატეგია 2013 - 2020 წ.წ. გავაძლიეროთ სოფელი და დავძლიოთ სიღარიბე" თბილისი 2011 წ. http://www.fd.ge/admin/PDF/FD_AgroStrategy%2025.11.2011_Final%20(1).pdf

[2] "საქართველოს აგროსასურსათო სექტორის განვითარების სტრატეგია 2013 - 2020 წ.წ. გავაძლიეროთ სოფელი და დავძლიოთ სიღარიბე" თბილისი 2011 წ. http://www.fd.ge/admin/PDF/FD_AgroStrategy%2025.11.2011_Final%20(1).pdf

ალიზების ტრადიციულად არსებულ და კარგად დამკვიდრებულ მეთოდებს.

სადღეისოდ მცირე საწარმოო პოტენციალის მქონე ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებში ასევე მცირე სასაქონლო პარტიებით წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ვერ უზრუნველყოფს მისი წარმოების, ტრანსპორტირებისა და რეალიზების პროცესთან დაკავშირებულ ხარჯებს. იქმნება სიტუაცია რომლის პირობებშიც ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებში შექმნილი პროდუქცია კარგავს ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრებზე მოხვედრის ეკონომიკურ მოტივაციას. ამდენად მოქმედების ეფექტს კარგავს "ერთობლივი მოთხოვნით", "ერთობლივი მიწოდების" პროცესის სტიმულირებების უმნიშვნელოვანესი საბაზრო პრინციპი. აღნიშნული ფაქტორების (განსაკუთრებით წარმოების მცირე მასშტაბების) ზემოქმედების შედეგად ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრებზე შედარებით მაღალ სარეალიზაციო ფასებში მოხვედრილი ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ვერ უძლებენ დიდი სასაქონლო პარტიებით იმპორტირებულ უცხოურ ანალოგებთან კონკურენციას. რაც ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრებიდან მათ განდევნას და ამ ბაზრებზე იმპორტირებული პროდუქტების დამკვიდრებას განაპირობებს. შედეგად: -"საქართველოს სასოფლო წარმოება სულ ურო იღებს ნატურალური მეურნეობის ხასიათს: შინამეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქციის მხოლოდ 18% იღებს სასაქონლო სახეს."[1] სიტუაციას მნიშვნელოვნად ამძიმებს ქვეყანაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტრადიციული (რუსული) ბაზრებიდან გამოდევნის, სხვა ქვეყნებში ნაკლები ცნობადობის, მალფუჭებადი ხასიათით და რიგი სხვა მიზეზებით განპირობებული რეალობა. რაც, უახოეს მომავალში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის ზრდის არსებობის ნაკლებად სავარაუდო რეალობის პირობებში პრაკტიკულად შეუძლებელს ხდის, რეალიზაციის ზრდის მეშვეობით მათი წარმოების ზრდის სტიმულირების საბაზრო მექანიზნის ამოქმედებას.

აქედან გამომდინარე აბსოლუტურად ცხადია სადღეისოდ რაოდენ მნიშვნელოვანია ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგის, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის მასტიმულირებელი ფაქტორის, გააქტიურების აუცილებლობა. აღნიშნულს ადასტურებს მარავალი ქართველი ეკონომისტის მოსაზრება რომელის თანახმად: –"ადგილობრივი და ახლომდებარე საბაზრო სეგმენტის გასაჯერებლად, ფართოდ უნდა განვითარდეს . . . საკონსერვო მრეწველობა".[2] აღნიშნულ მოსაზრებას კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის ის ფაქტი, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა საქართველოს ეკონომიკის ტარდიციულ და უახლოეს ისტორიულ წარსულში ერთ-ერთ განვითარებულ დარგს წარმოადგენდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემების დაძლევისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სასაოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის წინაშე არსებულ პრობლემათა სიღრმისეული კვლევა, კერძოდ მათი იდენტიფიკაცია, ანალიზი და დაძლევის გზების ძიება.

როგორც ცნობილია ეკონომიკის ნებისმიერი დარგის განვითარება შეუძლებელია ქვეყნის საბიუჯეტო და სამეწარმეო ინტერესებთან ჰარმონიზებული, მოქნილი და ეფექტური საგადასახადო კანონმდებლობის გარეშე. აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობის სტიმულირების დატვირთვის მატარებელი საკანონმდებლო ნორმების თვალსაზრისით, 2011 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული საქართველოს საგადასახადო კოდქსი, ბევრად პროგრესულ დოკუმენტს წარმოადგენს ვიდრე მანმადე არსებული (1997 და 2004 წლებში მიღებული) საგადასახადო კოდექსები.

საქმე ისაა, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტიმულირებისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ნორმებსა და დებულებებს რომელთა თანახმადაც:

–საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება:

სასოფლო სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირ(ებ)ის მიერ საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი (გადაუმუშავებლი) სახით რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი, თუ მისი წლიური ოდენობა არ აღემატება 200000 ლარს. (82-ე მუხლის პირველი ნაწილის "ლ" ქვეპუნქტი);

ზემოაღნიშნული პირ(ებ)ის მიერ, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად დაქირავებული მუშა-ხელისათვის გადახდილი, ხელფასი.

[1] "საქართველოს აგროსასურსათო სექტორის განვითარების სტრატეგია 2013 - 2020 წ.წ. გავაძლიეროთ სოფელი და დავძლიოთ სიღარიბე" თბილისი 2011 წ. http://www.fd.ge/admin/PDF/FD_AgroStrategy%2025.11.2011_Final%20(1).pdf

[2] "საქართველოს ეკონომიკა" რ. ასათიანის რედაქტორობით, თბ. ამომცემლობა "სიახლე" 2012 წ. გვ 126

(82-ე მუხლის პირველი ნაწილის "ც" ქვეპუნქტი);

–მოგების გადასახადისაგან თავისფლდება:

იურიდული პირ(ებ)ის მიერ, საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი (გადამუშავებელი) სახით მიწოდებით მიღებული მოგება, თუ ამ საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავალი არ აღემატება 200000 ლარს. (99-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტი);

სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული იურიდიული პირების მოგების ის ნაწილი რომელიც რეინვესტირებული იქნება სასოფლო-სამეურნეო სფეროში (99-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტი);

–ჩათვლის უფლების გარეშე დამატებული ღირებულების გადასახადისაგან თავისუფლდება:

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის (გარდა კვერცხისა) პირველადი სახით მიწოდება. (168-ე მუხლის პირველი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტი);

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ ჩამონათვალში არსებული სასოფლო-სამეურნეო პესტიციდების, აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების იმპორტი. (168-ე მუხლის პირველი ნაწილის "ძ" ქვეპუნქტი);

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და მათი მწარმოებლების მიმართ საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული შეღავათები ჩვენი აზრით დარგის მასტიმულირებელ, მაგრამ არასაკმარის ნორმებად უნდა იქნენ მიჩნეულნი. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის უფრო ეფექტური სტიმულირებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული დოკუმენტის ცალკეული დებულებების გარკვეული კორექტირება.

როგორც ავღნიშნეთ საქართველო საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის "ძ" ქვეპუნქტით დამატებული ღირებულიების გადასახადიდან თავისუფლდება ქვეყნის ტერიტორიაზე პესტიციდების, აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების მხოლოდ იმპორტი. აქედან გამომდინარე დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება, აღნიშნული საქონლის იმპორტის შემდგომი, ანუ უშუალო მომხარებლებზე მიწოდება. რაც გარდა იმისა, რომ ზრდის მათ ღირებულებას, არათანაბარ პირობებში აყენებს მომხმარებელთა ცალკეულ კატეგორიებს.

საქმე ისაა, რომ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმის მოქმედების პირობებში მეწარმე სუბიექტები რომლებსაც გააჩნიათ ფინანსური შესაძლებლობა თვითონ განახორციელონ პესტიციდების, აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების იმპორტი, აღნიშნულ საქონელს დამატებული ღირებულების გადასახადის გადაუხდელად, ანუ მნიშვნელოვნად დაბალ ფასებში იღებენ. ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირები, (ძირითადად გლეხური მეურნეობები), რომლებსაც არ გააჩნიათ შესაძლებლობა თვითონ განახორციელონ მათთვის საჭირო ზემოაღნიშნული საქონლის იმპორტი, ამ საქონელს დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგრილი სახით იღებენ. ამდენად, აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის მოქმედების პირობებში, სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული, ფინანსურად ის ძლიერი წარმომადგენლები რომლებიც თვითონ ახორციელებენ საიმპორტო ოპერაციებს ზემოაღნიშნულ საქონელს, 18%-ით იაფად იძენენ, ვიდრე მსგავსი ფინანსური შესაძლებლობის არ მქონე სასოფლო-სამეურნეო სექტორის სხვა (მცირე ფინანსური შესაძლებლობის მქონე) წარმომადგენლები. რაც სასოფლო-სამეურნეო სფეროში არაკონკურენტული სამეწარმეო გარემოს გამომწვევ და ამდენად დარგის განვითარების ხელშემშლელ მიზეზად უნდა იქნეს მიჩნეული.

შექმნილი სიტაციის დაძლევის და ზოგადად სასოფლო-სამეურნეო სფეროს სტიმულირებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან განთავისულდეს ზემოაღნიშნული საქონლის როგორც იმპორტი ისე ქვეყნის შიგნით იმპორტის შემდგომი მიწოდება. რისთვისაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის "ძ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბებული უნდა იქნეს შემდეგი რედაქციით:

–"საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნუსხის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების იმპორტი და/ან მიწოდება".

სასოფლო-სამეურნეო სფეროს სტიმულირების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 2012 წლის მარტში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილში "ფ" ქვეპუნქტის სახით შეტანილი დამატება რომლიც მეტად ხელსაყრელ საგადასახადო რეჟიმს უწესებს, ქვეყანაში წარმოებულ და ჯერ კიდევ პირველადი სახით არსებულ სასოფლო-სამეურნეო (გარდა კვერცხისა) პროდუქციის ვაჭრობით, ტრანსპორტირებით და შენახვა-დისტრიბიუციით დასაქმებულ პირებს. აღნიშნული დებულიებით მათ უფლება ეძლევათ უკან

დაიბრუნონ ან სხვა გადასახადებში ჩაითვალონ საქმიანობის პროცესში დამატებული ღირებულების გადასახადის სახით გადახდილი თანხები. თუ რამდენად შეესაბამება მსგავსი შეღავათის მხოლოდ საქართველოში წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე დაწესება ქვეყნის მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში აღებულ ვალდებულებებს ეს ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს და მასზე ამჯერად არ შევჩერდებით.

ასევე მსჯელობის საგნს წარმოადგენს აღნიშნული შეღავათის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის არა მწარმოებელ არამედ მხოლოდ, ვაჭრობით, ტრანსპორტირებით და შენახვა-დისტრიბიუციით დაკავებულ პირებზე გავრცელების ლოგიკურობა. თუმცა, თუ მხედველობაში მივიღებთ დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლის მექანიზმის სპეციფიურ თავისებურებებს და ადმინისტრირების სირთულეს, მოცემულ ეტაპზე მისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებზე გავრცელება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად.

ჩვენი აზრით აღნიშნულ საგადასახადო ნორმასთან დაკავშირებულ სადღეისო მსჯელობის საგნს მისი მოქმედების არიალის გაფართოება უნდა წარმოადგენდეს. აღნიშნულის გათვალისწინებით სავსებით შესაძლებელად მიგვაჩნია ზემოაღნიშნული ნორმის მოქმედების არიალის გაფართოვება და მისი გავცელება არა მხოლოდ პირველადი სახით არსებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ვაჭრობით-დისტრიბიუციით დაკავებულ, არამედ ქვეყნის სოფლის მეურნეობაში (მათ შორის გადამამუშავებელ მრეწველობაში) წარმოებული ნებისმიერი პროდუქციის ვაჭრობით, ტრანსპორტირებით და შენახვა-დისტრიბუციით დაკავებულ პირებზე.

შემოთავაზებული მოსაზრების ლოგიკურობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ქ" ქვეპუნქტით ჩათვლის უფლებით დამატებული ღირებულების გადასხადისაგან განთავისუფლების ამგვარი რეჟიმი ვრცელდება საქართველოს ბინადარი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ბატკნის და თხის ხორცის სამრეწველო გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციისა და ყველით ვაჭრობით, ტრანსპორტირებით და შენახვა-დისტრიბიუციით დაკავებულ პირებზე. საგადასახადო კოდექსის ზემოაღნიშნული დებულებებით გათვალისწინებული მეტად ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმის მხოლოდ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ბატკნის და თხის ხორცის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტით და ყველით ვაჭრობით, ტრანსპორტირებით და შენახვა-დისტრიბიუციით დაკავებულ პირებზე გავრცელება არ მიგვაჩნია საკმარისად.

ქვეყნის სოფლის მეურნეობის წინაშე არსებულ პრობლემათა დაძლევისათვის, დამატებული ღირებულების გადასხადისაგან განთავისუფლების აღნიშნული რეჟიმი სასურველია გავრცელდეს ქვეყანაში (მათ შორის გადამამუშავებელ მრეწველობაში) წარმოებული ნებისმიერი სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ვაჭრობის, ტრანსპორტირებისა და შენახვა-დისტრიბუციის პროცესთან დაკავშირებულ ოპერაციებზე. რისთვისაც შესაბამისი შესწორება უნდა შევიდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსში. კერძოდ დოკუმენტის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ფ" და "ქ" ქვეპუნქტები უნდა გაერთიანდეს ერთ ქვეპუნქტად, რომლის ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: –"საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის და მისი (მათ შორის საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის და ბინადარი ცხოველებისაგან მიღებული პროდუქტის) სამრეწველო გადამუშავების შედეგად წარმოებული საქონლის მიწოდება, გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა".

როგორც ცნობილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგის, ისევე როგორც წარმოების ნებისმიერი სფეროს გამართული ფუნქციონირება შეუძლებელია საწარმოო დანახარჯების ეფექტური სისტემის არსებობის გარეშე. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის იმ დებულებების მოქმედების პირობებში რომელთა თანახმად მეწარმის: –"ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან". ამასთან ერთად გამოქვითვას დაქვემდებარებული: –"ყველა ხასრჯი დოკუმენტურად უნდა იყოს დადასტურებული".

აქედან გამომდინარე აბსოლუტურად ცხადია რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეწარმე სუბიექტებისათვის გაწეული ხარჯების დოკუმენტალურად დადასტურებას. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს სამეწარმეო პრაქტიკაში არსებული იმ საშიშროებების პირობებში, როდესაც მაკონტროლებელ ორგანოებს მეწარმ(ეებ)ის ხარჯების დოკუმენტალურად დადასტურებულად არ მიჩნევის მოტივით შესაძლებლობა ეძლევათ მნიშვნელოვანი ფინანსური სანქციები დააკისრონ მათ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მალფუჭებადი ხასიათს და რიგი სხვა სპეციფიური თავისებურებების პირობებში ზემოღნიშნული საშიშროების ალბათობა კიდევ უფრო იზრდება. რაც აბსოლუტურად ცხადყოფს რაოდენ მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგის საწარმოებისათვის ნედლეულის დანაკარგების ზღვრული ოდენობის, პროდუქციის გამოსავლიანობის და წარმოების პროცესთან დაკავშირებული სხვა იმ ნორმების დადგენა, რომელებიც მაკონტროლებელი ორგანოების მიერ დოკუმენტალურად დადასტურებულად იქნებიან მიჩნეულნი.

აღნიშნულ საკითხი წლების მანძილზე პრობლემას წარმოადგენდა მეწარმეთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის. გამონაკლის წარმოადგენდნენ ბუნებრივი გაზის, ნავთობპროდუქტების, მარცვლეულის და ელექტროენერგიის სფეროს (ანუ მაღალ დონეზე ლობირების შესაძლებლობის მქონე) მეწარმეები, რადგან ამ დარეგებისათვის ბუნებრივი და ტექნოლიგიური დანაკარგების ნორმები საქართველოს მთავრობის დადგენილებებით რეგულირდებოდა.

მეტად საყურადღებო და მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობება, ქვეყანაში საგადასახადო კანონმდებლობის ამოქმედებიდან (1993 წელი) ცხრამეტი წლის შემდგომ გახდა შესაძლებელი. კერძოდ 2012 წლის თებერვალში –"საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში შეტანილი დამატებით: –"ბუნებრივი/საწარმოო დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების, საქონლის გამოსავლიანობისა და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური ნორმების დადგენა" შემოსავლების სამსახურის პრეროგატივად და ფასიანი მომსახურების კატეგორიად იქნა მიჩნეული. აღნიშნული ფაქტი მეტად დაგვიანებულ მაგრამ უდაოდ დადებით მოვლენად, თუმცა პრობლემის გადაჭრის რეალურ ბერკეტად მიჩნევის თვალსაზრისით საკმაოდ საკამათო საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული.

საქმე ისაა, რომ აღნიშნული დებულებით ქვეყანაში მოქმედ მეწარმე სუბიექტებს მხოლოდ 5000 ლარის გადახდის შემდგომ ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ მათთვის საჭირო ერთ კონკრეტულ პროდუქციაზე ბუნებრივი და ტექნოლოგიური დანაკარგების დამადასტურებელი ის დოკუმენტი რომელიც მათ თავიდან ააცილებთ საგადასახადო შემოწმებების პროცესში მოსალოდნელ პრობლემებს. ამდენად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოებს, რომლებიც აწარმოებენ დაუშვად ათი დასახელების პროდუქციას, მეტ-ნაკლებად სტაბილური საგადასახადო გარემოს შექმნისათვის 50000 ლარის გადახდა მოუწევთ. ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული საწარმოები გააფართოვებენ წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტს, განახორციელებენ ტექნიკურ გადაიარაღებას, ან სრულყოფენ ტექნოლოგიურ პროცესებს, მათ ახლად ათვისებული, ახალ მოწყობილობა-დანადგარებზე, ან ახალი ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებით წარმოებული პროდუქციისათვის, ზემოაღნიშნული ნორმების განახლება და საკმაოდ სოლიდური ფინანსური სახსრების დამატებით გაღება მოუხდებათ. შექმნილი სიტუაცია ჩვენი აზრით ეწინააღმდეგება სამეწარმეო საქმიანობის მათ შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის სტიმულირების მოთხოვნებს.

ამასთან ერთად თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სასოფლო-სამეურნეო (მათ შორის გადამამუშავებელი) სფეროს სტიმულურებისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტი, სოფლის მეურნეობაში რეინვესტირებული თანხების ოდენობით მეწარმეთა დასაბეგრი მოგების შემცირებას ითვალისწინებს, ცხადია რა კურიოზულ ფაქტთან გვაქვს საქმე. რადგან საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილება ანუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებულ მეწარმეებს, ახალი პროდუქციის ან ტექნოლოგიების ათვისება-დანერგვის, ანუ რეინვესტირების შედეგად შექმნილი ახალი რეალობის დასაბუთებისათვის საკმაოდ სოლიდურ ფინანსურ ვალდებულებებს უწესებს, რითაც პრინციპულად ეწინაღმდეგება საკანონმდებლო აქტით, კერძოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ზემოაღნიშნულ ნორმას.

სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმეს ის გარემოება, რომ აღნიშნული ხელს უწყობს არაკონკურენტული სამეწარმეო გარემოს ფორმირების პროცესს. საქმე ისაა, რომ ფინანსურად ძლიერი სამეწარმეო სტრუქტურები რომლებსაც გააჩნიათ შესაძლებლობა, თანხის გადახდის გზით მოიპოვონ საგადასახადო შემოწმებებისათვის დამახასიათებელი გართულებებიდან თავის დაღწევის გარანტიის მატარებელი ზემოაღნიშნული დოკუმენტები, პარტნიორებისა და ბანკების მიერ განხილებიან ნაკლები რისკის მატარებელ და აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანი

უპირატესობის მქონე პარტნიორებად. რაც კიდევ უფრო ართულებს დარგში ახლი მეწარმე სუბიექტების დამკვიდრების და კონკურენტული გარემოს ფორმირების პროცესს.

შექმნილი სიტუაციის დაძლევისათვის ჩვენი აზრით შესწორება უნდა იქნეს შეტანილი საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში. კერძოდ დადგენილების მე-11 მუხლით გათვალისწინებული, მომსახურების საფასურის გადახდისაგან განთავისუფლებულ სტრუქტურათა ჩამონათვალს "ი" ქვეპუნქტის სახით უნდა დაემატოს ფრაზა: –"სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგის საწარმოები". თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამავე დადგენილების მე-11 მუხლის "თ" ქვეპუნქტით აღნიშნული მომსახურების საფასურის გადახდისაგან განთავისუფლებულია ისეთი მძალვრი ფინანსური სტრუქტურა როგორიცაა საქართველოს ეროვნული ბანკი, შემოთავაზებული შესწორება არ უნდა წარმოადგენდეს კამათის საგანს. მით უმეტეს, რომ მისი ამოქმედება ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვის პარალელურად, დამატებით იმპულსს მისცემს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგის განვითარებას.

Tax legislation as means for stimulating agricultural development

SUMMARY

Analysis of current state of agriculture in the country is carried out on the basis of data from the National Statistic Office of Georgia. Namely by looking at the dynamics of the share agricultural products occupied in the GDP during the recent period; production dynamics of basic agricultural products per capita, area of arable land, dynamics of livestock and fowl.

Based on the balance analysis of vital agricultural products and of the negative trend of year-over-year decrease in consumption (in kilogram) per capita, promotion of agricultural industry can be considered as means of overcoming of existing issues. Recommendations are provided regarding the provisions of tax code regulating business environment crucial for the stimulation of aforementioned field.

საქართველოს საგადახდო სისტემის სრულყოფის სამართლებრივი და აქტუალური საკითხები

გიორგი ხანთაძე, *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
ალეკო ქუთათელაძე, *სტუ-ს სრული პროფესორი*

ყველა გარიგება, რაც დაკავშირებულია ნებისმიერ სფეროში საქმიანობის განხორციელებასთან (წარმოება, სამუშაოთა შესრულება, მომსახურების გაწევა), სრულდება ფულადი ანგარიშსწორებით, რომელმაც შეიძლება მიიღოს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ფორმა.

ანგარიშსწორების განხორციელებისას ერთდერთი მხარე ყოველთვის გამოდის გადამხდელის როლში, მეორე კი – გადახდის მიმღების როლში. ამასთან გადამხდელი და მიმღები შეიძლება იმყოფებოდნენ ერთი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა თუ რეგიონში, ან სულაც სხვადასხვა ქვეყანაში და კონტინენტებზე. ყოველივე ეს მოითხოვს უნაღდო ფულადი ბრუნვის განვითარებული სისტემის ორგანიზებას, რაც იძლევა კონტრაგენტებს შორის ანგარიშსწორების შეუფერხებლად (მოქმედი წესების დაცვით) ჩატარების საშუალებას.

უნაღდო **ანგარიშსწორებების ორგანიზაცია** ემყარება გარკვეულ ფუძემდებლურ პრინციპებს:

საბაზრო პირობებში უნაღდო ანგარიშსწორების პირველი პრინციპი მდგომარეობს მის განხორციელებაში საბანკო ანგარიშების მეშვეობით. ეს ანგარიშები ეხსნება კლიენტებს სახსრების შესანახად და გადასარიცხად. ეს პრინციპი ხასიათდება იმით, რომ საწარმოთა და ორგანიზაციათა ყველა ანგარიშსწორება ხორციელდება ბანკების დაწესებულებების მეშვეობით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში უნაღდო ანგარიშსწორების ეს პრინციპი ეხება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს.

უნაღდო ანგარიშსწორების მეორე პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ გადახდები ანგარიშებიდან უნდა განხორციელდეს ბანკების მიერ ანგარიშების მფლობელთა განკარგულებით მათ მიერ დაწესებული გადახდების რიგითობის წესით და ანგარიშზე არსებული სახსრების ნაშთის ფარგლებში. ეს პრინციპი განამტკიცებს ბაზრის სუბიექტთა უფლებას, თავად განსაზღვრონ მათი ანგარიშებიდან გადახდების რიგითობა. არ დაიშვება ანგარიშის მფლობელის უფლების შეზღუდვა თავად განკარგოს მის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მესამე პრინციპია ბაზრის სუბიექტთა მიერ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმების არჩევის თავისუფლების და მათი ხელშეკრულებებში განმტკიცების პრინციპი. ბანკები არ ერევიან სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებში. ფულადი სახსრების ჩამოწერა ანგარიშიდან ხორციელდება დადგენილი ფორმის საანგარიშსწორებო დოკუმენტების საფუძველზე, ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ფარგლებში, თუკი სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებებში. ბანკს გადახდებში მხოლოდ შუამავლის როლი ეკისრება.

ზემოჩამოთვლილის გარდა, გასათვალისწინებელია უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზაციის ისეთი პრინციპები, როგორიცაა გადახდის ვადიანობა და უზრუნველყოფა.

გადახდის ვადიანობის პრინციპი ნიშნავს ანგარიშსწორებათა განხორციელებას გამომდინარე ვადებიდან, რომლებიც გათვალისწინებულია სამეურნეო, საკრედიტო, სადაზღვევო ხელშეკრულებებში, შრომით შეთანხმებებში, ივჯარის ხელშეკრულებებში და ა.შ. ფულადი სახსრების მიმღები დაინტერესებულია თავის ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვაში არა ნებისმიერ, არამედ წინასწარ დათქმულ და დაფიქსირებულ ვადებში.

გადახდის ვადიანობის პრინციპს აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. სუბიექტებს, გააჩნიათ რა ინფორმაცია გადახდის განხორციელების დროის შესახებ, შეუძლიათ უფრო რაციონალურად ააგონ თავიანთი ფულადი ბრუნვა, უფრო ზუსტად განსაზღვრონ მოთხოვნილება ნასესხებ სახსრებზე და, მაშასადამე, შეუძლიათ თავიანთი ბალანსის ლიკვიდურობის მართვა.

გადახდის უზრუნველყოფის პრინციპი მჭიდროდაა დაკავშირებული გადახდის ვადიანობის პრინციპთან. გადახდის უზრუნველყოფა გულისხმობს გადახდის ვადიანობის დასაცავად გადამხდელის ან მისი გარანტის ხელში ლიკვიდური სახსრების არსებობას, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს ფულადი სახსრების მიმღების წინაშე ვალდებულებათა დასაფარად. გადახდის უზრუნველყოფის პრინიციპი ქმნის გადახდის გარანტიას, განამტკიცებს საგადახდო დისციპლინას.

ანგარიშსწორების ყველა პრინციპი მჭიდროდაა დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული. ერთ-ერთი მათგანის დარღვევა იწვევს სხვების დარღვევასაც.

საგადახდო ბრუნვის განსახორციელებლად აუცილებელია გვქონდეს ანგარიშები, რომლებზედაც მოთავსებულია თანხები ან რომლებზეც ბანკის კლიენტებს ეძლევათ კრედიტები. ამასთან მათი ანგარიშები შეიძლება გახსნილი იყოს როგორც ერთ, ისე სხვადასხვა ბანკში. თავის მხრივ, ბანკებს, რომლებშიც განთავსებულია კლიენტთა ანგარიშები, შეუძლიათ ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ ერთმანეთში პირდაპირი ურთიერთობები ანგარიშსწორებისათვის. ეს და სხვა მრავალი გარემოება გავლენას ახდენს უნაღდო ანგარიშსწორების ჩატარების წესისა და ფორმის არჩევაზე.

ოპერაციები უნაღდო ანგარიშსწორების დროს აისახება ანგარიშებზე, რომლებსაც ბანკები უხსნიან თავიანთ კლიენტებს შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.

საქართველოში დაინერგა საგადახდო და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა (GPSS), მართვის თანამედროვე მაღალტექნოლოგიური მექანიზმებით. საქართველოს კანონით „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საგადახდო ბაზრის ყველა მონაწილისათვის განისაზღვრა ერთიანი სამართლებრივი ჩარჩო მათი საქმიანობის განხორციელებისათვის, შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი როგორც სისტემური, ისე ლიკვიდობისა და საკრედიტო რისკების მართვის მხრივ. კანონით განისაზღვრა საგადახდო მომსახურების სახეები, საგადახდო სისტემების, საგადახდო მომსახურების რეგულირებისა და ზედამხედველობის პრინციპები, ფინანსური გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

კანონი აძლიერებს მომხმარებელთა დაცვის მექანიზმებს საგადახდო მომსახურების ურთიერთობებში. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა საგადახდო ინსტრუმენტებით (მათ შორის საგადახდო ბარათებით) განხორციელებული არაავტორიზებული ოპერაციების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხების დარეგულირება. ასეთი ტრანზაქციებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება კანონის მიღებამდე ხორციელდებოდა პროვაიდერსა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულების და აგრეთვე საერთაშორისო საბარათე სისტემების წესებისა და პროცედურების მიხედვით. შესაბამისად არ არსებობდა ერთიანი მიდგომა უფლებების, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის განაწილების მხრივ.

ზემოხსენებული კანონის თანამხად, „გადამხდელი პასუხისმგებელია მოპარული ან დაკარგული საგადახდო ინსტრუმენტით ან მისი უკანონო მითვისებით ან უკანონო გამოყენებით გამოწვეული, საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული არაავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის არა უმეტეს 100 ლარისა“ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიყენებული ზარალი გამოწვეულია გადამხდელის (მომხმარებელი) დანაშაულებრივი ქმედებით ან ამავე კანონით განსაზღვრული საგადახდო ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვალდებულებების დაუცველობით. კერძოდ, მომხმარებელი ვალდებულია საგადახდო ინსტრუმენტის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან უკანონო გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში მისი აღმოჩენიდან უმოკლეს ვადაში შეატყობინოს ამის თაობაზე თავის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს ან ამ პროვაიდერის მიერ განსაზღვრულ პირს. ამ შეტყობინების შემდეგ მომხმარებელი სრულად თავისუფლდება მიყენებული ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობისგან, ხოლო ამგვარ შეტყობინებამდე წარმოშობილ ზარალს 100 ლარის ზემოთ ანაზღაურებს საგადახდო მომსახურების პროვაიდერი.

2012 წლის განმავლობაში დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემაში განხორციელდა 11.2 მლნ გადახდის ოპერაცია, თანხობრივი მაჩვენებლით 126 მლრდ ლარი. გადარიცხვების ბრუნვის საშუალო დღიური მაჩვენებელი შეადგენდა 44.3 ათას საბუთს, თანხობრივად 498.9 მლნ ლარს. 2011 წელთან შედარებით RTGS სისტემაში გადარიცხვების რაოდენობა გაიზარდა 889 ათასით (8.7%-ით), ხოლო თანხობრივი მაჩვენებელი გაიზარდა 44.7 მილიარდი ლარით (55.3%-ით).

RTGS სისტემის მონაწილეები არიან საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური და კომერციული ბანკები.

ახალი RTGS სისტემის დანერგვით მინიმუმამდეა დაყვანილი საოპერაციო რისკები, მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული სისტემაში გადარიცხვების დამუშავების პროცესი, საოპერაციო საათების განმავლობაში ბანკთაშორისი გადარიცხვები იწარმოება დავალებათა დამუშავების უწყვეტ რეჟიმში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველყოფილია წვდომის უსაფრთხოება და სისტემაში გამავალი ინფორმაციის დაცულობა.

დიაგრამა №1 **RTGS სისტემაში განხორციელებული გადარიცხვები (2012 წელი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა №2 **RTGS სისტემაში განხორციელებული გადარიცხვები (2002-2012 წელი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

RTGS სისტემა ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს როგორც მაღალი თანხობრივი მოცულობის, ასევე მცირე მოცულობის (საცალო) გადახდების კუთხით. 2012 წელს ეროვნული ბანკის RTGS სისტემით დამუშავდა საქართველოში განხორციელებული ტრანზაქციების საერთო ბრუნვის (თანხობრივი სიდიდის) 72.3%. აღნიშნული სულ მცირე 4-ჯერ აღემატება უნაღდო გადახდებისათვის საქართველოში გამოყენებულ ნებისმიერ სხვა სისტემას/საშუალებას და ამგვარად ფინანსური რესურსების შეუფერხებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. გარდა ქვეყანაში არსებული საგადახდო სისტემებისა, ბანკები საჭიროების შემთხვევაში უნაღდო ანგარიშსწორებისათვის ასევე იყენებენ პირდაპირ საკორესპონდენტო ურთიერთობებსაც. განსაკუთრებით ეს ეხება უცხოური ვალუტით გადარიცხვებს. რაც შეეხება უნაღდო გადახდების რაოდენობრივ მაჩვენებლებს, RTGS სისტემა ამ მხრივაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს - მისი მეშვეობით ხორციელდება უნაღდო გადახდების საერთო რაოდენობის 24%, თუმცა ამ მაჩვენებლით ის ჩამორჩება როგორც ბანკების შიდა გადახდებს (37%), ასევე ბარათებით გადახდებს (38%).

დიაგრამა № 3 **გადახდის ოპერაციები საგადახდო სისტემებისა და მათი შესრულების სხვა საშუალებების მიხედვით (2012 წ.)**



შენიშვნა: უცხ. ვალუტით არარეზ. ბანკების გამოყენებით გადარიცხვა მოიცავს რეზიდენტი ბანკების კლიენტებს შორის გადარიცხვას, რომლის მიხედვითაც ბანკებს შორის საბოლოო ანგარისსწორება განხორციელდა არარეზიდენტ ბანკებში არსებული საკორესპონდენტო ანგარიშებით

წყარო: *საქართველოს ეროვნული ბანკი*

უნაღდო ფორმით გადახდის ოპერაციების შესრულებისას RTGS სისტემის ზემოაღნიშნული როლიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის უწყვეტ ფუნქციონირებას. (2012 წლის განმავლობაში სისტემის უწყვეტობის მაჩვენებელი შეადგენდა 99.8%-ს)

2013 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ტერიტორიაზე საბანკო გადახდის ოპერაციები ხორციელდება მხოლოდ IBAN ფორმატის ანგარიშებით. აღსანიშნავია, რომ IBAN ანგარიშების გამოყენების შემთხვევაში მნიშვნელოვნად მცირდება ანგარიშის ნომრის შეცდომით მითითების ალბათობა და გადახდის ოპერაციის თანხის მიმღების ანგარიშზე ასახვის ხანგრძლივობა.

საბანკო ანგარიშების ნომრების IBAN სტანდარტი შეიმუშავა „საბანკო სტანდარტების ევროპის კომიტეტმა“, ხოლო მოგვიანებით, აღიარებულ იქნა საეთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციის ISO 13616:1997 მიერ. ამჟამად რეგულირდება ISO 13616-1:2007 სტანდარტის შესაბამისად.

ISO 13616-2:2007-ის მიხედვით IBAN ანგარიშების ფორმატების რეგისტრაციას აწარმოებს საერთაშორისო ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციების საზოგადოება (SWIFT), რომელიც არეგისტრირებს სახელმწიფოების მიხედვით ანგარიშების ნომრების ფორმატებს. სარეგისტრაციო მოთხოვნების მიხედვით, IBAN ფორმატის რეგისტრაციის ფორმა შესაძლებელია წარადგინოს შესაბამისი ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა, ან ეროვნული სტანდარტიზაციის დაწესებულებამ. IBAN ანგარიშების ნომრები გამოიყენება 48 სახელმწიფოში საქართველოს ჩათვლით.

საქართველოში მომხმარებელი უნაღდო გადახდების განსახორციელებლად სულ უფრო მეტად იყენებს ელექტრონულ საშუალებებს (საგადახდო ბარათებს, ინტერნეტ-ბანკინგს და სხვა). მომხმარებლების მიერ გამოყენებული საგადახდო ინსტრუმენტებიდან წამყვან როლს თამაშობს საგადახდო ბარათები (მათზე მოდის განხორციელებული გადახდის ოპერაციების რაოდენობის 47.5%). შედარებით მცირე ტემპით გაიზარდა ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა და 2012 წლის შედეგებით 22% შეადგინა მთლიან უნაღდო გადახდებში. აღსანიშნავია, რომ ამ ელექტრონული ინსტრუმენტებით გადახდების წილის ზრდა ძირითადად ქაღალდით წარდგენილი საკრედიტო საგადახდო დავალებების ხარჯზე მოხდა. თანხობრივი მაჩვენებლებით ინტერნეტ-ბანკით ინიცირებული დავალების საფუძველზე განხორციელებული გადახდები უნაღდო გადახდის ოპერაციებს შორის

ლიდერია (მისი წილი შეადგენს 53%-ს.

საქართველოში დისტანციური მომსახურების საშუალებებით მოსარგებლე კლიენტების რაოდენობა 750 ათასზე მეტია. დისტანციური მომსახურების საშუალებებით მოსარგებლე უნიკალური კლიენტების რიცხვი სავარაუდოდ უფრო მცირეა, რადგანაც ერთი და იგივე პირი შესაძლებელია სარგებლობდეს რამდენიმე ბანკის დისტანციური მომსახურებით.

2012 წელს საქართველოში არსებული 19 კომერციული ბანკიდან საგადახდო ბარათებს უშვებდა 16 ბანკი. საგადახდო ბარათებით შესრულებული ოპერაციების დამუშავება ხდებოდა 6 საბარათე საპროცესინგო ცენტრის საშუალებით, საიდანაც 4 მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე (2013 წლის დასაწყისში მათ რიცხვს დაემატა კიდევ ერთი ადგილობრივი საპროცესინგო ცენტრი).

2012 წლის ბოლოსთვის საქართველოში გამოშვებული საგადახდო ბარათების რაოდენობამ 4.9 მლნ-ს მიაღწია. წლის ბოლოს მაჩვენებლით ერთ სულ მოსახლეზე გამოშვებულია 1.1 საგადახდო ბარათი. 2011 წლის დეკემბრის თვესთან შედარებით 2012-ში გამოშვებული ბარათების რაოდენობის ზრდამ 24% შეადგინა. თითქმის არ შეცვლილა თანაფარდობა საკრედიტო და სადებეტო ბარათებს შორის. საკრედიტო ბარათები შეადგენს სულ გამოშვებული ბარათების 15%. საკრედიტო ბარათების რაოდენობა გაიზარდა 218 ათასით, რაც პროცენტულად შეადგენს 37%-ს.

2012 წლის განმავლობაში VISA ბარათების წილი სულ გამოშვებულ ბარათებში შეადგინა 76%, ხოლო MasterCard ბარათებისა და ლოკალური ბარათების წილმა 11%. AmericanExpress-ის ბარათების წილი 3%-ია.

დიაგრამა №4 **გამოშვებული ბარათები საბარათე სისტემების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ამავე პერიოდში საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული საგადახდო ბარათებით როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ სულ განხორციელდა 58 მლნ ოპერაცია 7.7 მლრდ ლარის მოცულობით, აქედან მხოლოდ 3% რაოდენობრივად და 6% თანხობრივად შესრულდა საზღვარგარეთ. 2011 წელთან შედარებით, 2012 წელს საბარათე ოპერაციების რაოდენობა გაიზარდა 14%-ით, ხოლო თანხა 9%-ით.

დიაგრამა №5 **საქართველოში გამოშვებული ბარათებით განხორციელებული ტრანზაქციები წლების მიხედვით (2007-2012)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2012 წელს ქართული საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციების რაოდენობის მხოლოდ 34 პროცენტი, ხოლო თანხის 14 პროცენტი მოდის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში შესრულებულ გადახდებზე. 2011 წელთან შედარებით 2012 წელს საგადახდო ბარათებით სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდის წილი სულ ბარათებით განხორციელებულ ტრანზაქციებში გაიზარდა 9 პროცენტული პუნქტით რაოდენობრივად და 3 პროცენტული პუნქტით თანხობრივად. ასევე, აღსანიშნავია რომ 2012 წელს წინა წელთან შედარებით სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში საგადახდო ბარათებით განხორციელებული გადახდის ოპერაციები გაიზარდა 56 პროცენტით რაოდენობრივად და 44 პროცენტით თანხობრივად, როცა ნაღდი თანხის გატანის ოპერციები გაიზარდა უმნიშვნელოდ (0.01 პროცენტით რაოდენობრივად და 4.97 პროცენტით თანხობრივად).

უკანასკნელი წლების განმავლობაში სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში არსებული პოს-ტერმინალების ქსელი უფრო სწრაფად იზრდება ბანკომატებისა და ბანკის ფილიალებში განლაგებული პოს-ტერმინალებთან შედარებით.

მიუხედავად ზემოხსენებული ზრდადი მაჩვენებლებისა, ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემა საჭიროებს კიდევ უფრო სრულყოფას. კერძოდ, მიზანშეწონილია საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებობდეს ISO27001 სტანდარტის შესაბამისი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს და ფორმალიზებულს გახდის ბანკში მონაცემთა დაცვის პროცესებს.

დიაგრამა №6 საგადახდო ბარათების მიმღები ობიექტების დინამიკა (2008–2012)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკის სტრატეგიული ამოცანა ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების საქმეში მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოფილი იქნას საბანკო საქმიანობის ავტომატიზაციის მაღალი დონის სტანდარტების მიღწევა, ინფორმაციული ტექნოლოგიების საიმედოობა და უსაფრთხოება. უახლესი თანამდროვე ინფორმაციული ტექნოლოგების სისტემის გამოყენებით მიიღწევა ინვესტიციების ზრდა, რაც ბანკისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.

ლიტერატურა:

1. ხანთაძე გ.; ცაავა გ.;-საბანკო ოპერაციები., 2012. გვ. 74-76.
2. ინგოროყვა ა., ჩხაიძე ზ.; ცაავა გ.-საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები.; 2009., გვ. 385.
3. საქართველოს ეროვნული ბანკის მასალები; www.nbg.gov.ge
4. http://www.swift.com/solutions/messaging/information_products/directory_products/iban_format_registry/index.page?lang=en
5. http://rtgs.org/

Legal and actual issues of improvement of payment system of Georgia

SUMMARY

The country has introduced a new system of payment and securities settlement (GPSS) with modern high technological mechanisms. The system enables to be executed the inter-bank payment even more safely and quickly. The law applies to the payment system and payment service which defines common legal framework for implementation of their activities for all participants of payment market. There was established the legal basis for the system, in terms of liquidity and credit risk management. The law defines the types of payment services and the principles of supervision, payment system, payment service regulation and financial bail-related issues and etc.

This law significantly strengthens consumer protection mechanism in relationships of payment service. The same law defines the responsibilities of the instrument holder and issuer in the event of conducting an unauthorized operation by payment instrument (including payment by the card) in Georgia.

ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო კონცეფციები

სოციალური განწყობების განმსაზღვრელი ფაქტორები

გიორგი ტალახაძე, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

ინდივიდის ფსიქიკური აქტივობა სპეციფიკურია, რთული ბუნებისაა, ამიტომ მისი გაგებაც პრობლემატურია, განსაკუთრებით ისეთ სფეროში, როგორიცაა სოციალური პროცესები. ექსპერიმენტულ კვლევათა საფუძველზე ვითარდებოდა განწყობის საკითხის დამუშავება, რაც ბუნებრივ აუცილებლობას იწვევდა შესწავლილიყო სოციალური ღირებულებები, სოციალური ქცევის რიგი ფაქტორი და შესაბამისად, საზოგადოებრივი მოთხოვნილებები, სადაც აისახება უნიკალური სოციალური და პიროვნული მომენტები, რომელთა გამოვლენა მიმდინარეობს ფსიქიკური აქტივობის უმაღლეს ცნობიერ საფუძველზე.

დ. უზნაძის თეორიის თანახმად, თავისთავადი ფსიქიკური აქტივობის ბუნების გააზრება მიმდინარეობს სოციალურ-ზნეობრივი მოთხოვნილებების ზეგავლენით წარმოქმნილ **განწყობათა ნიადაგზე, რის ფორმირებაც** ხდება აზროვნების მეშვეობით, რაშიც ნებელობა ეხმარება, რა შემთხვევაშიც სუბიექტში აღიძვრება შესატყვისი განწყობა, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია სოციალური **მოთხოვნილების შესაბამისი** შეგნებული ქცევის შესრულება.

გააზრებული ქცევის განწყობა **სუბიექტის ფსიქიკური** აქტივობის უმაღლეს დონეზე ჩამოყალიბდება და მის **განმსაზღვრელ ფაქტორებს, გარდა მოთხ**ოვნილების, სიტუაციისა **და იმპულსური უნარებ**ისა, ცნობიერებისათვის თანამდევი ძირითადი ფაქტორები შეადგენენ. დ. უზნაძის შეხედულებით, ეს ფაქტორებია: აზროვნება და ნებისყოფა.

აზროვნება არის ის იარაღი, რასაც ადამიანი იყენებს, როცა მას გზაზე დაბრკოლება ეჯახება, ის ამ მომენტში ყურადღებას ძაბავს ხელისშემშლელ ქცევაზე, გამოყოფს სხვა მოვლენებიდან ანუ იწყებს ობიექტივაციის აქტის განხორციელებას, ამ პროცესში ხდება მასში აზრის მოძრაობა, რომ ახსნას მიმართება ქცევასა და სინამდვილეს შორის და აზროვნების დახმარებით მონახავს ქცევის შეფერხების მიზეზს და იპოვის უფრო სრულყოფილ ქცევას, თეორიულ გადაწყვეტას საკითხისას. მაგრამ შეიძლება ესეც საკმარისი აღმოჩნდეს, რადგან აზროვნების ნიადაგზე განხორციელებული რაციონალური ქცევა, შესაძლოა ვერ შესრულდეს.

ადამიანებს გარკვეულ შემთხვევაში, როცა ვიცით რისი გაკეთება არის საჭირო, თუ რა ქცევა უნდა განახორციელო რაც ხელს გვიშლის. ამ მომენტში, მათი დამაბრკოლებელი სხვა მოვლენებთან ერთად შესაძლოა აღმოჩნდეს განწყობა. ამ დროს ადამიანში არსებობს სხვა განწყობა, მოქმედი სხვა მიმართულებით, რაც ხელს უშლის თავად მის აზროვნებას, რადგან მისი ყურადღება მიპყრობილია სხვაგან, ე.ი. ვერ ხერხდება ყურადღების კონცენტრაცია სასურველი ქცევის განსახორციელებლად. ე.ი. ქცევას, რომელიც მისაღები იყო ჩვენთვის, არ შეუძლია გადალახოს ჩვენი განწყობის სხვა მიმართულებისკენ მიმავალი გზა და ის ვერ შესრულდება.

როგორც ვხედავთ, აზროვნების პროცესი, თუ განწყობა წინააღმდეგია, ანუ სხვა მხარეს არის მიმართული, **ობიექტივაციის აქტის დროს, შე**ჩერებულია, გამორთულია. მაგრამ ადამიანს აქვს მეორე თავისთავადი ხასიათის უნარი ნებელობა. დ. უზნაძე ნებელობის უშუალო ამოცანად სახავს, რომ განწყობა აქციოს ქმედით აქტიურ ძალად, რომელიც წარმართავს აზროვნებას და განახორციელებს მისაღებ ქცევას. ე.ი. აზროვნების მიერ დაგეგმილ ქცევას სუბიექტი ახდენს რეალურ ვითარებაში ნებელობის საშუალებით. ფსიქიკური აქტივობის, სხვა ფაქტორებთან ერთად, აზროვნებისა და **ნებ**ელობის მეშვეობით **იქმნება შეგნებული მოღვაწეო**ბის განწყობა, რის ნიადაგზე ადამიანი მიმართავს გააზრებულ საქმიანობას და აქვს შეგნებული თავისი ქცევის შედეგები.

დ. უზნაძის მოსაზრებით, **ობიექტივაციის დონ**ეზე, ჩვენ წინაშე მეტნაკლები სირთულის ახალი ამოცანები დგება და მისი გადაჭრისათვის უნდა მივმართოთ ობიექტივაციას და აზროვნებას და

ამ გზით მიღებული განწყობა მოქმედ განწყობად ვაქციოთ.

ადამიანი სოციალური ცხოვრების პროცესში ხშირად ხვდება დაბრკოლებების წინაშე, საკუთარი ქცევების განხორციელებისას, ის იწყებს ქცევის **შემაფერხებელი** ფაქტორების გაანალიზებას, რისთვისაც საჭიროა შეაჩეროს ყოფიერების მიმდინარეობა და მისი ცნობიერებაში სისტემური მიდგომა, რაც საშუალებას მისცემს გაერკვეს მოვლენებში არსებითი შემეცნების საფუძველზე მონახოს ქცევის რაციონალური გაგრძელება. ცხადია, ამ დროს ის იყენებს აზროვნებას, ნებელობას, რომელთა ნიადაგზეც სხვა აუცილებელ ფაქტორებთან ერთად, მასში წარმოიქმნება შეგნებული ქცევის განწყობა, რის **საფუძველზე იგი ასრულებს შეგნებულ საქმიანობას**, რომელშიც გათვალისწინებულია სამყაროს, საზოგადოებისა და პიროვნული მოთხოვნილებები, ამ ფორმის არის ის ფსიქოლოგიური პირობები, რომელთა საფუძველზე, პიროვნება, როგორც სოციალური არსება, ერთვება, ერწყმება სოციალურ კავშირურთიერთობებს.

პიროვნებას ობიექტივაციისა და აზროვნების მეშვეობით რეალობასთან ახალი ურთიერთობის, კავშირის ჩამოყალიბების გამო, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ახალ მიმართულებებთან ერთად უჩნდება ახალი მოთხოვნილებები, რაც დაკავშირებულია მისი პიროვნების ფორმირებასთან.

ნებელობა ადამიანის **ფსიქიკის ერთ-ერთი არსებითი** თვისებაა, როგორც ვნახეთ, აზროვნებასთან ერთად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ უწევთ სხვადასხვა ფუნქციის შესრულება, რაც საჭიროებს გარკვეული **გადაწყვეტილების მიღებას, რაც შესაბამისად**, მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენს მიმდინარე სოციალურ ვითარებაზე. რა თქმა უნდა, პიროვნებათა საქმიანობაზე ბუნებრივად ახდენს ზემოქმედებას საზოგადოების მოთხოვნები, **ასევე პირადი მოთხ**ოვნილებანი. შეიძლება მრავალი მაგალითის მოყვანა ჩვენი ცხოვრებიდან, ისტორიიდან, ლიტერატურიდან და ა.შ. ამ მომენტში ვლინდება პიროვნებათა ღირებულებები და სოციალური ორიენტაციები. მათ აქვთ სხვადასხვა პროფესია, შესაბამისად გარკვეული ვალდებულებები, რაც ხშირად ეწინააღმდეგება მათ შინაგან **მოთხოვნილებებს, მაგრამ მოვალეობის, პას**უხისმგებლობის გრძნობები უბიძგებს საზოგადოების წევრებს შესაბამისი მიმართულებით წარმართონ თავიანთი საქმიანობა, რაც მოითხოვს ნებისყოფის გამოჩენას. ეს ყველას არ ძალუძს, მაგრამ პიროვნებათა ცალკეული კატეგორია უმორჩილებს თავის სურვილებს, ემოციებს, აზრებს არსებულ სოციალურ გარემოს, სხვანაირად გაუჭირდებათ ადაპტაცია სოციალურ სივრცეში თუ არ გამოიჩენენ ნებელობით უნარს, წარმატებას ვერ მიაღწევენ, მათ მიერ დასახული მიზნების განხორციელებაში.

ამ შემთხვევაში გვინდა ისტორიული **მაგალ**ითი მოვიყვანოთ, სადაც ვლინდება პიროვნების დამოკიდებულება სამშობლოს ბედის მიმართ. ამის ნიმუშად გამოდგება ქართველი მთავრის, **ცოტნე და**დიანის საქციელი, რაც არის ერთ-ერთი გამორჩეული ზნეობრივი გმირობის მაგალითი, ჩვენი ხალხის ისტორიაში თავისი ერის უანგარო სამსახურია. ამ **შემთხვევაში, ცოტნეს მოქმედებაში, გამოვლინ**და აზროვნისა და ნებელობის საოცარი შეხამება. მან მიიღო გადაწყვეტილება, სადაც გამომჟღავნდა მისი ნებისყოფის ძალა, რამაც შექმნა შესაბამის განწყობა, რასაც საფუძვლად ედო საქართველოს სახელმწიფოებრივი ყოფნა-არყოფნის ბედი, საკუთარი ნებით მივიდა მონღოლებთან, ქართველი მამულიშვილები ხსნისათვის და უდრტვინველად, მზად იყო გაეზიარებინა ის უმაგალითო წამება, რაც მათ ელოდათ. ამ უნიკალურმა საქციელმა თვით ველური მონღოლებიც განაცვიფრა, აღაფრთოვანა. მათ პატივი სცეს ქართველი რაინდის ღირსებას და ყველა გაათავისუფლეს, რადგან ცოტნემ გონივრულად დაარწმუნა ისინი, რომ ქართველებს მათი ღალატი არ ედოთ გულში, რადგან ქართველთა დასჯისათვის ხელისშემშლელი ქცევა, მათი აზროვნებისათვის მისაღები და გასაგები გახდა. ე.ი. განხორციელდა, ფსიქოლოგიურ ენაზე რომ ვთქვათ, ობიექტივაციის აქტი.

ადამიანთა ქცევას როცა რაიმე შემაფერხებელია, გამოყოფს ამ მოვლენას, **გააანალიზებს შექმნილ ვი**თარებას, აზროვნების საშუალებით და მოახდენს მის ობიექტივაციას, ხოლო როდესაც ადამიანის ფსიქიკურ აქტივობას, სოციალურ მოთხოვნები და მისი პიროვნული მოთხოვნილებიდან გამოსული აზრები ეწინააღმდეგებიან, მაშინ ინდივიდი **მსჯელო**ბის გზით იწყებს არსებული გარემოების შეფასებას და ნებელობით მოქმედებას მიმართავს.

ნების დახმარებით ხდება გადაწყვეტილების მიღება ამა თუ იმ კონკრეტული ქცევის სასარგებლოდ, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული პიროვნების სოციალურ ღირებულებებთან და თავად პიროვნება არის ავტორი და შემსრულებელი, მის მიერ შესრულებული ქცევისა.

გადაწყვეტილება არის ნებელობითი პროცესის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ფაქტორი. პიროვნების სოციალური არსი ძირითადი **ფსიქოლოგიური სპეცი-**

ფიკა (თავისებურება) ვლინდება გადაწყვეტილებაში, რაშიც გამოხატული არის ქცევის საყრდენად მდებარე განწყობის წარმოქმნის ერთ-ერთი ყველაზე თავისებური, ადამიანური ფორმა, რომელშიც საკუთრივ პიროვნება არის აქტიური საწყისი და მონაწილე.

ინდივიდის ყველანაირი ქცევის განწყობა შინაგანი და გარეგანი ფაქტორების გავლენით იქმნება, ცხადია, მათ მნიშვნელობა ქცევის წარმოშობისა და განხორციელების პროცესში არ არის ერთნაირი. ნებელობით ქცევას **განაპირობებს პიროვნების შინაგანი** თავისებურებები, რაც ვლინდება მის საფუძვლად მდებარე განწყობის ფორმირებაში. ამნაირი სახის განწყობის შექმნისათვის ინდივიდი იყენებს საგნობრივი ვითარების, სოციალური და პიროვნული მოთხოვნილების მონაცემებს. იგი აგრეთვე ახდენს ამ მონაცემების თავმოყრას აზროვნებისა და წარმოსახვის მეშვეობით.

ადამიანის ნებაზე არაა დამოკიდებული იმპულსური და შემეცნებითი აქტივობის საფუძვლად მდებარე განწყობის ფაქტორები, ამ ფაქტორებს გვაწვდის რეალობა. როცა ჭამის სურვილი გაუჩნდება ადამიანს, აგრეთვე რა საგანი შეხვდება მას სინამდვილეში, ეს განპირობებულია ობიექტური სინამდვილით. ხოლო ადამიანის ნებელობითი ქცევა, თავისუფალია მოცემული სინამდვილის პირდაპირი ზეგავლენისაგან, მის წარმოშობასა და მიმდინარეობაში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების შინაგან ფსიქიკურ კანონზომიერებას, რაც შეეხება რეალობას, ის მასზე მოქმედებს მხოლოდ შემოვლითი გზით.

უზნაძის თეორიიდან გამომდინარე, პიროვნების შინაგანი აქტივობის საფუძველზე აღმოცენდება ნებელობითი ქცევა. აქტივობა კი გააზრებულია და დაგეგმილია ქცევის განწყობის **წარმოშობისა**თვის საჭირო ფაქტორების თავმოყრაში. საკმაო რაოდენობით შინაგანი და გარეგანი ფაქტორების გაერთიანებისას იქმნება შეგნებული ქცევის განწყობის აღმოცენება, წარმოშობა.

პიროვნება თავის გადაწყვეტილებაში განიცდის განწყობის შექმნას. გადაწყვეტილების შინაარსის გაგებაში, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ის პროცესებიც, რომლებიც ცნობიერების საფუძვლად მდებარე ფსიქოფიზიკურ სფეროში, განწყობაში ხდება. გადაწყვეტილება, როგორც სპეციფიკური ფორმის განწყობის ფორმირების აქტი, წარმოადგენს პიროვნების როგორც ფსიქოფიზიკური ერთეულის შეგნებული ქცევისათვის მზადყოფნაში მოყვანის აქტს, რომელიც მის საქმიანობას შესაბამისი გზით უბიძგებს.

ნებელობის პროცესის ერთგვარი მწვერვალი არის მიღებული გადაწყვეტილება, რა დროსაც ადამიანი თავის ცნობიერებაში აგროვებს განწყობის წარმოქმნისათვის აუცილებელი და საჭირო ფაქტორების ერთობლიობას, რომელთა თავმოყრისას ცნობიერების ველში ხდება სასურველი ქცევის შესაფერი განწყობის წარმოშობა.

როგორც **ზემონათქვამიდან დავასკვენით, ნებ**ელობის პროცესში, **როცა პიროვნება იღებს გადაწყ**ვეტილებას. ყალიბდება ახალი განწყობა, რომელიც საზოგადოებისა და მე-ს მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს, რაც მას აძლევს **შეგნებული ქცე**ვის შესრულების საშუალებას, ადამიანი განვლილი ისტორიული პროცესის შედეგად წარმოქმნილი, ტრადიციები, წეს-ჩვეულებათა მატარებელია, იგი სოციალურ პროცესში იძენს შესაბამის გამოცდილებას და აქვს განსაზღვრული მოთხოვნილებები, რომლებიც განაპირობებენ მის ქცევებს. **ამ შემთხვევა**ში, შესაბამისი სოციალური მოთხოვნილებების და ღირებულებების მიმართ, **რომლებთანაც დამოკიდ**ებულებაში აქვს დადებითი ან უარყოფითი შეფასება, უჩნდება ჩამოყალიბებული სოციალური განწყობები.

ადამიანის ქცევის წარმოშობაზე აგრეთვე ზეგავლენას ახდენს **მოტივი, მასში იგულისხმება ცნ**ობიერების ის შინაარსი, რომელიც განსაზღვრავს ქცევებს, აქედან გამომდინარე, პიროვნებას აქვს საშუალება შეიმეცნოს თავისი შეგნებული სოციალური აქტივობის მოტივი, რომელიც, თავის მხრივ, რეალურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანურ აქტივობაზე.

ესა თუ ის გაცნობიერებული მოტივი, ადამიანთა საქმიანობაზე თავიანთი თავისთავადი ცნობიერი შინაარსით დიდ გავლენას ახდენს. ისინი მეტწილად, მართებულად აყალიბებენ თავიანთი ქცევის მოტივებს. ამ მოტივების განსაზღვრის დონის, პიროვნებები გამოყოფენ ორ მომენტს. პირველ შემთხვევაში ისინი ყურადღებას აქცევენ იმპულსებს ანუ იმპულსური ქცევის შესრულებისას ისინი განიცდიან იძულებას, ზეწოლას საგნების მხრიდან, რისი მაგალითებიც უამრავია. სხვადასხვა სახის სასმელი, აღმგზნები ნივთიერება ნიკოტინის სახით და სხვ. ზიანს აყენებს პიროვნებას, მაგრამ ის მას მოთხოვნილებად ექცევა და ამ განწყობით მოქმედებს, ასევე იგი განახორციელებს ცალკეულ ქცევას და მის მოტივად თვლის დადებით ან უარყოფით ემოციას, მაგრამ იმპულსური ქცევა, რეალურად მოტივის გარეშე მიმდინარე ქცევად უნდა ჩაითვალოს, მეორე შემთხვევაში ქცევის მოტივად, უნდა ჩაითვალოს პიროვნების მიერ ჩამოყალიბებული ცნობიერი ფსიქიკური აქტივობა, მოქმედება, რის ნიადაგზეც, პიროვნების მიერ არჩეული ქცევა

სრულდება. ცხადია, მოტივი, რომელიც ნიშნავს გაცნობიერებულ განზრახვას და **მზაობას ახალი** ქცევისათვის, არ უნდა მივამსგავსოთ ისეთ იმპულსებს, რაც ადამიანს უჩნდება დაღლილობის, გაურკვევლობის, დაუკმაყოფილებლობისა და შინაგანი დაძაბულობის დროს.

მოტივი, როგორც გააზრებული და ორგანიზებული მიზანი, ქცევის წინამძღოლია და მას **იზიდავს. მ**ოტივი წარმოიშობა მაშინ, როცა ქცევა განიცდის შეფასებას და ამის შედეგად წარმოქმნილი მიზნები განსხვავებული ფორმით მოქმედებს ადამიანის სოციალურ აქტივობაზე, ვიდრე **ბიოლოგიური იმ**პულსები. მოტივი ყალიბდება მაშინ, როცა პიროვნება ალტერნატიული ქცევის არჩევანის **სიტუაციაში იმყ**ოფება, ის არის შეგნებული, ნებელობითი ქცევის დროს წარმოქმნილი ფუნქცია. პიროვნების აქტივობის შემთხვევაში მოტივების როლს ასრულებენ მისი **შეგ**ნებული ქცევის საფუძვლად მდებარე სოციალური განწყობები, რომელთა არსი და ღირებულება პიროვნებას გააზრებული აქვს.

ადამიანი მოქმედებს, ფსიქიკურ აქტივობას ახორციელებს „გაადამიანურებულ" გარემოში, მის ფსიქიკურ აქტივობას ბიოლოგიურ მოთხოვნებზე, არანაკლებ, უფრო მეტადაც განსაზღვრავენ სოციალური მოთხოვნებზე. იგი საქმიანობს რა სოციალურ სინამდვილეში, სადაც ურთიერთობა აქვს გარკვეულ საგნებთან, ხდება მის ქცევის შეფერხება მოცემული სინამდვილესთან, რის შემდეგაც, ის აჩერებს საკუთარ ქცევას და გაიგებს მიზეზს, გაიაზრებს და მოახდენს ობიექტივაციის აქტს, ამის გარდა, პიროვნება უთანხმოებაში შედის საკუთარ ნააზრევთან, სოციალურ ღირებულებებთან ურთიერთობებში, ჩამოყალიბებულ სინამდვილესთან.

პიროვნება ცხოვრობს სოციალურ სამყაროში, სადაც შექმნილია შესაბამის დამოკიდებულებათა სისტემა, გამოხატული სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტების სახით, საზოგადოებრივ ფენები, პროფესიულ ჯგუფში, **ოჯახი და ა.შ. ამ სისტე**მაში ადამიანი განსხვავებულ როლს თამაშობს და, აქედან გამომდინარე, ერთმანეთის **მიმართ, უყალიბ**დებათ გარკვეული მოლოდინები, რიგი ორიენტაცია და მოთხოვნა, რასაც იკისრებს საზოგადოება და პიროვნებების, თავისი მხრივ, ერთმანეთსაც უყენებენ მოთხოვნებს. ამის შესაბამისად, მათი საქმიანობის და აქტივობის საფუძვლად მდებარე განწყობები არის სოციალური წარმოშობის.

ადამიანები მოქმედებენ რა, სოციალურ გარემოში, მათ მიერ, შექმნილი სოციალური ქცევის სტრუქტურა, ბევრად რთულია. პრაქტიკულ და თეორიულ ქცევებთან შედარებით, ამიტომაც სოციალური აქტივობისათვის საჭირო განწყობის წარმოქმნა, დამატებითი ფაქტორების მოძიებას თვლის საჭიროდ, რომელიც პიროვნებას საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესში უყალიბდება, განსხვავებით იმისაგან, როცა იგი სინამდვილის შემეცნებას აწარმოებს.

„გაადამიანურებული" გარემო ხდება განმსაზღვრელი პირობა სოციალური ქცევის განწყობის ფორმირებისა, რომელიც საძირკვლად ედება ადამიანის გაცნობიერებულ მოქმედებას, რაც არის ორიენტირებული სოციალურ **ღირებულებებზე. მ**აგრამ არასაკმარისია, პიროვნების ცოდნა სოციალური ღირებულებების სისტემაზე, ამის გარდა, მას უნდა ჰქონდეს ადრე ჩამოყალიბებული, შენახული იგივე ფიქსირებული სოციალური **განწყობილებები, რომ**ლებიც ინახება წარსულ გამოცდილებაში. წარსულში ჩამოყალიბებული სოციალური განწყობილებების გამოყენება ადამიანს, სოციალური ღირებულებების მიმართ მისწრაფების სახით ეძლევა.

ადამიანი, თავისი სოციალური ცხოვრების მიმდინარე პროცესში, აწყდება სხვადასხვა სირთულის ამოცანებს და შესაბამისად იყენებს ფსიქიკური აქტივობის განსხვავებულ დონეებს, თავიდან ცდილობს, მარტივი საშუალებებით, გადაწყვეტის, მის წინაშე, წარმოშობილი შეფასება, შემდგომ იგი, მოცემული ამოცანის სირთულის კვალობაზე იყენებს, **შესა**ბამისად, უფრო ძლიერ, ეფექტურ საშუალებებს.

დ. უზნაძემ დაახასიათა ადამიანის აქტივობის ფორმები. მან გამოყო ქცევის ფორმები და მოახდინა მათი ანალიზი თუ როგორი სახის მოთხოვნილების საფუძველზე წარმოიშობიან ისინი, რაც წარმოადგინა ორი დიდი კლასის სახით. **საგნებზე მოთხოვნილე**ბათა ჯგუფს მან უწოდა **სუბსტანციური მოთხ**ოვნილებები და **მეორე ჯგუფს – სუბიექტების ფუნ**ქციების მოთხოვნილება, სწორედ ამ უკანასკნელის შეზღუდვა, აკრძალვა არის ყველაზე მძიმე სასჯელი პიროვნებისათვის, იგი ხომ მოქმედების, **აქტიურო**ბისათვის არის შექმნილი, რაც არის მისთვის ღირსეული ცხოვრების პირობა.

უზნაძე ასხვავებს, მოხმარებისა და შრომის ქცევებს, ცხადია, ორივე ეს ქცევა მიმართულია სინამდვილისადმი. მოხმარების ქცევა, სადაც ხდება შრომის იარაღების დამზადება ემსახურება ადამიანის უშუალო მოთხოვნილებას, რომ გაიუმჯობესოს, საკუთარი არსებობის, ცხოვრების მატერიალური პირობები. ასეთი მომხმარებლური ქცევა პრაგმატული ანუ გამოყენებითი ხასიათისაა. ხოლო შრომის ქცევაში, განსხვავებული დამოკიდებულება იქმნება სინამდვილის მიმართ, ის არაა შეზღუდული, მხოლოდ

პრაქტიკული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით, ადამიანის მიზანი მომავლისკენაა მიპყრობილი, რათა შექმნას გარკვეული ღირებულება, რომლის მოცემა პრაქტიკულ მოთხოვნილებას და მის შესაბამის სიტუაციას არ შეუძლია. აქ არის პიროვნების შემოქმედი სული, შეგნებული უნარი, რომელიც აუცილებელია სინამდვილის საგნის გადააქცევს ღირებულებად, ცნობიერებისა და **ნებელობის უნ**არები, რომლებიც ადამიანის ფსიქიკურ უნარებს, ძალებს შემოქმედების მიმართულებით აღძრავს.

შეიძლება ამ ფორმითაც **განვსაზღვროთ გან**წყობა, რომ იგი არის აქტიურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი **ფსიქოფიზიკური მდგომარ**ეობა, რომელიც მისი კონკრეტული ფსიქიკური ქცევის მიზანშეწონილ სკალას აპირობებს, მასში პოტენციურად თავმოყრილი არის პიროვნების მთლიანი ფსიქოფიზიკური ძალები, **უნარები, რომ**ლებიც არსებული გარემოს მიმართ გააზრებული ქცევის შესრულებისათვის არის საჭირო.

ადამიანის წარმოშობა, **განვითარება** რეალურ სინამდვილესთან ერთად, მის მიერვე შექმნილ „გაადამიანურებულ" გარემოში ხდება, სადაც პიროვნებაში თავს მოიყრის, საგნობრივ და სოცი-ალურ გარემოსთან ურთიერთკავშირისათვის აუცილებელი ფსიქოლოგიური თვისებები. ამნაირად ორგანიზებულ სოციალურ პირობებში ხდება ბავშვის ფსიქოფიზიკური ძალების შესატყვის ფორმირება. ე.ი. ბავშვის ფსიქიკა თავიდანვე ვითარდება მოცემული სინამდვილისა და სოციალურ ურთიერთობათა შესაბამისად. ამრიგად, ბავშვის ფსიქიკაში ისეთი მომენტები ისახება და **ყალიბდება, რომლებიც შემ**დგომ განაპირობებენ მის სოციალურ აქტივობას.

ადამიანის ფსიქიკურ აქტივობაში სოციალური ფაქტორების გააზრება, იმის შემდეგ გახდა **შესაძლე**ბელი, როცა ადამიანის შეგნება ამაღლდა გრძნობადბუნებრივ რეალობაზე და მიხვდა მის რეალურ მნიშვნელობას, ღირებულებას. ამას ადამიანმა მიაღწია ობიექტივაციის აქტის საფუძველზე, იგი საგნებს გარკვეული ნიშნით გამოყოფს და ქმნის სიმბოლოების სისტემას. სოციალური მოთხოვნების გათვალისწინებაში უდიდესი როლი ენიჭება სინამდვილეში მოცემული საგნების კლასიფიკაციას, რაც უკავშირდება ენას, ვინაიდან **ადამიანები იმყ**ოფებიან **რა ერთმანეთთან სოციალურ ურთიერთო**ბებში, საჭიროებს ენობრივ სისტემას.

ინდივიდთა კავშირი რეალობასთან არამარტო მისი მოთხოვნილებების, ინდივიდუალური გამოცდილების ნიადაგზე მტკიცდება, არამედ აქვს მას სოციალური გამოცდილება, რომლის საშუალებითაც სრულდება მისი ყველა სახის აქტივობა, ე.ი. კონკრეტული სიტუაციისათვის პიროვნების მომზადება ყოფიერებაში არსებული საგნებისა და სოციალური მოთხოვნების ზემოქმედების შედეგად, რომლებიც არის მოცემული ენობრივი და სხვა ფორმის კულტურული **სისტემე**ბის საფუძველზე.

განწყობისა და ქცევის მიმართების საკითხს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება უზნაძის მოსაზრების თანახმად, ადამიანის ქცევის ახსნის 2 ძირითადი პირობა **არსებობს. ესაა: მოთხოვნილება და სიტუა**ცია, რომელშიც **ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილე**ბა შესაძლებელია და იგი არის ყველა ქცევის და მისდამი წარმოქმნილი განწყობის განმსაზღვრელი საფუძველი. აქედან გამომდინარე, ეს ძირითადი პირობებია აუცილებელი, რომელიმე განსაზღვრული განწყობის წარმოშობისათვის. ამ ორი მოცემული ფაქტორის გარდა, განწყობის აღმოცენებისათვის, არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც მეორე რიგისაა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ განწყობის შემდგომ განვითარებაზე.

მოცემულ ვითარებაში ხდება, რომ განწყობის წარმოქმნის აუცილებელი ფაქტორების საფუძველზე, რომელიმე მისი ფორმათაგანი, განსაკუთრებული პირობების ზეგავლენით, იმდენად განმტკიცდნენ, დაფიქსირდნენ, რომ გარკვეულ ხანს ახალს არ მისცენ გამოვლენის, **აქტუალიზაციის შესაძლე**ბლობა. ამ მომენტში, ადექვატური განწყობის ნაცვლად ყოველთვის ძველი, მტკიცე ფიქსირებული განწყობა გაიღვიძებს და არ მისცემს ახალს, მოცემული სიტუაციის მიმართ **ადექვატური განწყო**ბის წარმოქმნის შესაძლებლობას და მის ადგილს იკავებს. ამ განწყობას ეწოდება ფიქსირებული, იგივე განმტკიცებული და ეს ფაქტორი უნდა ედოს საფუძვლად ახალ ფაქტორს, რომელიც სუბიექტის აქტივობის შემდგომ მსვლელობაზე, უდავოდ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

განწყობის ფიქსაცია მიმდინარეობს შემდეგი ფორმით: განსაზღვრული სიტუაციის ვითარებაში, ჩემში მისი შესაბამისი (ადექვატური) განწყობა წარმოიშვა, რამაც ჩემს ქცევაზე იქონია შესაბამისი გავლენა, შეასრულა თავისი ფუნქცია და შემდგომ თავისი მოქმედება შეწყვიტა. ქრება თუ არა იგი უკვალოდ? ბუნებრივია, რომ შეასრულებს თუ არა განწყობა თავის როლს, მან ადგილი უნდა დაუთმოს უფრო აქტიურ განწყობას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამით ძველი სამუდამოდ ქრება. პირიქით, თუ მოხდება ისე, რომ პიროვნება მსგავს სიტუაციაში ადრინდელივით მოექცა, მაშინ ძველი განწყობა განახლდება და ეს მოვლენა შედარებით

სწრაფად ვითარდება, ვიდრე ახალი განწყობა, ახალ სიტუაციაში წარმოიშობა.

აქედან დავასკვნით, რომ ერთხელ აქტივირებული განწყობა, საერთოდ არ ქრება, იგი ინარჩუნებს **მზაობას** ხელახალი აქტივობისათვის და იჩენს თავის შესაბამისი პირობების წარმოქმნისას. ცხადია, ეს მზაობა არის უთანაბრო, დიდად არის განსაზღვრული განწყობის სიმტკიცით, რომელიც მოცემული წესის თანახმად, იზომება **საგანწყობო განმეორებების** რიცხვით. როცა უფრო ხშირად მეორდება, მით უფრო, მტკიცედ ფიქსირდება განწყობა და აქტივობის ძლიერი უნარი უყალიბდება, მეორე მხრივ, ჩატარებული ცდების შედეგად გამოირკვა, რომ არსებობს განწყობის მოქმედების ერთეული შემთხვევები, როცა ისინი განმეორების გარეშეც კი მნიშვნელოვან კვალს ტოვებენ და აქტივობის თვალსაჩინო სახეს იძენენ. ამის გარდა, ცხოვრების პირობებშიც ექსპერიმენტების ჩატარების გარეშეც, ხდება არსებული სიტუაციისათვის ადეკვატური განწყობის შენაცვლება ახლობელი ფიქსირებული განწყობით, აგრეთვე ისეთისაც, სადაც ფიქსირებული განწყობა ადეკვატურის მსგავსია.

მოცემული შემთხვევების გარდა, შეუძლებელია ადგილი **ჰქონდეს ვითარებებს, როდესაც აქტივაცია**, გამომჟღავნება ხდება არა იმ განწყობებისა, რომელნიც ოდესმე სუბიექტის ცხოვრებაში იყვნენ ფიქსირებული, აგრეთვე იმ განწყობათა, რომელნიც ამ ინდივიდს გვარში იყვნენ **ფიქსაციაქმნილი. ამგვარი** აქტივობის ფაქტები არის ბავშვის ცხოვრებაში, როცა იგი ამა თუ იმ ქცევას იმიტომ მიმართავს, რომ მასში მძლავრი მისწრაფება იჩენს თავს, იღვიძებს ფუნქციების მოთხოვნილება, რაც ფიქსირებული განწყობის მემკვიდრეობით განმტკიცებულ ფორმას წარმოადგენს, რომელიც თაობებზე გადადის.

საგნობრივ გარემოში მოქმედების პროცესში ადამიანები, ხშირად სტერეოტიპულ ქცევებს მიმართავენ და უყალიბდებათ ქცევის ავტომატური ხასიათი ე.ი. განსაზღვრულ სიტუაციებში, ისინი ხშირად იმეორებენ ქცევებს, რასაც ჰქვია ჩვევები, რომლებიც უმუშავდებათ ინდივიდებს პრაქტიკული საქმიანობის პროცესში, სადაც აგროვებენ დიდ გამოცდილებას, რის შემდეგადაც მათი ჩვევები წარმოიქმნებიან ქცევებისაგან დამოუკიდებელი სახით.

ჩვევის გარდა, ფსიქოლოგიაში მოცემულია ჩვეულება, რაც გამოხატავს შესაბამისი ქცევის გადაქცევას მოთხოვნილებად, მის შესახებ, მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ არაა აუცილებელი, არსებობს სასარგებლო და მავნე ჩვეულებები, ჰიგიენური ჩვეულება სასარგებლოა, ალკოჰოლის ზედმეტი მოხმარების ჩვეულება კი, ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ჩვევა და ჩვეულება ადამიანის მიერ სოციალურ **ცხოვრებაში** შეძენილი ფსიქიკური ხასიათის მოვლენაა, მათ გარდა არსებობენ, დ. უზნაძის აზრით, **„მე-ს მოთხოვნილებები“**, რომლებიც ცალკე მდგომი, მაღალი მოთხოვნილებებია, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენს სოციალურ ქცევის მოქმედებაზე.

მაღალი მოთხოვნილებები განსხვავდება ჩვევისა და ჩვეულებისაგან, რადგან ისინი არ განეკუთნება რეალურ მოთხოვნილებებს, ისინი მოთხოვნილების მსგავსი ფსიქიკური მოვლენებია, ისინი წარმოიქმნება გამოცდილების პროცესში, რის შესაბამისადაც აპირობებენ ადამიანის დადებით დამოკიდებულებას სოციალური ღირებულების და ობიექტების მიმართ. ასევე გამოცდილების პროცესში არის შეძენილი. პიროვნებათა მიერ, კიდევ ერთი ფსიქიკური მოვლენა მოლოდინი, როცა მათ ექმნებათ მზაობა რეალობასთან ურთიერთობაში ისეთი ვითარების მიმართ, რომელთა გამოჩენა, გამოსვლა სინამდვილეში დიდი ალბათობით არის მოსალოდნელი. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია ფსიქოლოგიაში სოციალური მოლოდინების მოვლენის შესწავლა, გაანალიზება, როცა ადამიანები, მათდა მოულოდნელად სოციალურ სიტუაციაში წინასწარ მომზადებული არიან განსაზღვრული სვლისათვის, რაც მოცემულ საზოგადოებრივ ვითარებაში სხვათა აქტივობის პასუხი შეიძლება იყოს.

ყოველდღიურ, სოციალურ პროცესში, მოქმედ პიროვნებებს უხდებათ განსხვავებულ სიტუაციებში, თავიანთი ფსიქიკური აქტივობის გამოვლენა და შექმნილი აქვთ ამ სიტუაციის შესაფერისი განწყობა, ხოლო ადრინდელ მსგავს სიტუაციაში მოხვედრისას, ხდება მათი განწყობის ხელახალი აქტივაცია და მის შესაბამისი ქცევა ხორციელდება, ამ აქტივირებული განწყობის მეშვეობით. ე.ი. მოცემულია ქცევის შესრულების მზაობა, რომელიც ხორციელდებოდა წარსულში ინდივიდის მიერ. ამ შემთხვევაში, გამოხატულია **სოციალური განწყობა, რომლის მეშვეობითაც** ხდება ადამიანის ქცევის ახსნა, რომელიც გულისხმობს ქცევის მოთხოვნილებებს, მოტივებს საკუთარ თავში.

საზოგადოებრივ ურთიერთობაში ფორმირებული მაღალი ანუ „მე“-ს მოთხოვნილებები განაპირობებენ ადამიანთა სოციალური ქცევების შესრულებას. აქ მოცემული განწყობები გულისხმობს პიროვნებათა იმ სოციალურ ორიენტაციებს, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ეკისრებათ მათი **პიროვნული ურთიერთობების** საქმიანობაში. **ჩვენი დროისათვის მიმდინ**არეობს, სოციალურ ფსიქოლოგიაში, კომპლექსური

შესწავლა სოციალური ორიენტაციებისა, რომლებიც ადამიანებს უყალიბდებათ სოციალურ ურთიერთობებში, რასაც **შედარებით ადრე მაღალ მოთხოვნილებებს** უწოდებდნენ. ფსიქიკურ მოვლენებს, რომლებიც სოციალური ურთიერთობის პროცესში იქმნება, ჰქვია სოციალური განწყობა.

ადამიანის ფსიქიკურ აქტივობას, მასზე მოქმედი ფაქტორების სახით, ცხადია, იწვევს პირველადი განწყობა, მის მსგავსად მოქმედებს აქტუალიზებული ფიქსირებული განწყობა, მაგრამ აქ არის მოცემული განსხვავება, **ფიქსირებული განწყობის მოქმედება გამ**დიდრებულია წარსულში შენახული გამოცდილებით, აქედან გამომდინარე, **საშუალება გვეძლევა, დადგ**ინდეს მისი მომავალი ფსიქიკური აქტივობის პროგნოზირება. ამ კუთხით კვლევა გრძელდება სოციალურ ფსიქოლოგიაში, სოციალური განწყობის კანონზომიერებათა შესწავლა საფუძვლიანად აღრმავებს ჩვენს ცოდნას განწყობის სტრუქტურის, ხასიათის და მოქმედების ფორმებზე.

სოციალური განწყობის ჩამოყალიბებას თავისი სპეციფიკა ახასიათებს, რამდენადაც რთული, მრავალფეროვანია მიმდინარე სოციალური პროცესებში ჩართული, საზოგადოების პიროვნებათა ფსიქიკური სტრუქტურის გაგება, **„გაადამიანურებული“ სო**ციალური გარემო, ახალ პრობლემებს, თავსატეხს უქმნის მის შემოქმედთ. ადამიანი გარდაიქმნა რა არსებულ რეალობად, შესაბამისად იცვლება ის სულიერ თვისება, ტემპერამენტი, ხასიათი, ვითარდება ცნობიერება. ამ პროცესში მოქმედი პიროვნებები ხშირად რაღაცით ემსგავსებიან კიდეც ერთმანეთს, ბაძავენ ერთმანეთის ქცევებს, აზრებს და სხვ. ცხადია, ეს პროცესი არაერთგვაროვან ხასიათს ატარებდა. გარკვეულად ბაძავდნენ **ბუნებასაც. მიბაძ**ვა არ არის ადამიანის თანდაყოლილი ბიოლოგიური უნარი, იგი მიღებულია, შეძენილია საზოგადოებრივ ურთიერთობებიდან, რაც შესაბამისად მოქმედებდა მათ ფსიქიკაზეც. ამ შეძენილმა თვისებამ ადამიანებს განუვითარა მიდრეკილება ხელოვნების სხვადასხვა დარგის მიმართ: ქანდაკება, ფერწერა. ხელი შეუწყო მათი გემოვნების ჩამოყალიბებას და ა.შ. ბუნებრივია, მიბაძვას თავისი უარყოფითი შედეგებიც აქვს, რადგან როცა პიროვნება ბრმად ბაძავს სხვათა ქცევებს, უნდა გაითვალისწინოს საკუთარი უნარი, რადგან, შეიძლება სულიერი პრობლემები შეექმნას.

ლიტერატურა:

1. უზნაძე დ. შრომები,ტ. VI,თბილისი,,,მეცნიერება“, 1970;
2. ნადირაშვილი შ. განწყობის ფსიქოლოგია, თბილისი, „მეცნიერება“ 1985;
3. მეგრელიძე კ. აზრის სოციალური ფენომენოლოგია, თბ., 1990;
4. ტალახაძე გ.,ფსიქოლოგია,თბილისი,,,ტექნიკური უნივერსიტეტი, 2011.

George Talakhadze

The determining factors of social mood

SUMMARY

Among the determining factors of social mood, besides demands, situation and impulsive skills are the cognitive factors – thinking and volition. Thinking helps to solve problem situations, to analyze own interfering behavior in the same time of thinking, to find rational answers. But, sometimes, the acting process cannot be completed because the mood is acting in a different direction. In such cases person can get assistance from the volition. So, mood became active force, directed designed by thinking behavior. Complete acting of factors trough the moods creates whole mood of meaningful action.

ემპირიული სოციოლოგიის ფუძემდებლები

რაულ ღიბრაძე, *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

კონკრეტული მეცნიერული დარგების გაჩენასა და ჩამოყალიბებას თავისი წინაპირობები აქვს. ახალი მეცნიერებისა და მათ შორის სოციოლოგიის ფილოსოფიიდან გამოყოფასა და ცალკე მეცნიერებად დაფუძნებას ახალ პერიოდში განვითარებულმა უმნიშვნელოვანესმა გარდაქმნებმა სოციალ-პოლიტიკური, ეკონომიკურ თუ სამეცნიერო სფეროში დაწყებულმა მთელმა რიგმა პროცესმა დიდად განაპირობეს კონკრეტულ მეცნიერებათა განვითარების პერსპექტივა.

მე-17 საუკუნიდან მოყოლებული, როგორც საბუნებისმეტყველო დარგებში, ისე სოციალურ სფეროში მომხდარი მნიშვნელოვანი აღმოჩენების, ახალი ხედვებისა და მიდგომების ჩამოყალიბების კვალდაკვალ, წარმატებით ვითარდებოდა შესაბამისი მეცნიერებები. სოციალურ სფეროში ფ. ბეკონის, თ. ჰობსის, ჯ. ლოკის, ჯ. ვიკოს, დ. იუმის, ჟ.ჟ. რუსოს, შ. მონტესკიესა და სხვა მოაზროვნეთა მოღვაწეობამ შეცვალეს წარმოდგენები სოციალურ ცხოვრებაზე. „სამრეწველო-ტექნიკურმა" და „სამეცნიერო" რევოლუციებმა დიდი ძვრები გამოიწვია საზოგადოების განვითარებაში. ახლებურმა ვითარებამ შეცვალა, გაართულა და გაამწვავა ადამიანებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობები, თუნდაც ახლად ჩამოყალიბებულ მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის. ადგილი ჰქონდა სოციალურ მოძრაობებს ევროპაში მე-19ს. 30-40-იან წლებში, მუშათა გამოსვლებს გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, რამაც კიდევ ერთი ძლიერი სტიმული მისცა როგორც ადამიანთა გააქტიურებასა და მობილობას, ისე ამ მიმართებით აზრის განვითარებას. დგება ამ დაძაბული და გართულებული ვითარების მოგვარება-მოწესრიგების აუცილებლობა. ცხოვრებამ დაისაჭიროვა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების მეცნიერული ანალიზი, მომავალზე გათვლილი, მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებული თეორიები. ისეთი მეცნიერება, რომელიც შეისწავლიდა და დაადგენდა საზოგადოების განვითარებაში არასტაბილურობისა და ნეგატიური პროცესების გამომწვევ მიზეზებს, მეცნიერულად გამოიკვლევდა და შეისწავლიდა კონკრეტულ პრობლემებსა და საკითხებს, რომლებიც სისტემატურად შემოწმდებოდა და მოგვცემდა საზოგადოებაში მიმდიმარე პროცესების განვითარებისა და ტენდენციების ნათელ სურათს. სწორედ ამ ძირითადმა პირობებმა და მოთხოვნებმა განაპირობეს გამოყენებითი სოციოლოგიის ჩამოყალიბება.

სოციოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბების სათავეებთან შეუძლებელია არ გავიხსენოთ და არ მივაგოთ სათანადო პატივი ისეთ მოაზროვნეებს, როგორიც არის **ადამ სმითი** (1723-1790), იგი ცნობილია, როგორც დიდი ეკონომისტი, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისი მოღვაწეობის პერიოდში ეკონომიკა და სოციოლოგია ერთმანეთისაგან არ იყო გამიჯნული. მისმა ბრწყინვალე შრომებმა: „ზნეობრივი გრძნობების თეორიამ", „ადამიანთა სიმდიდრე" და სხვა, ღრმა კვალი დატოვა საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე.

ა.სმითის უმთავრეს მიზანს საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, კი საზოგადოების გამაერთიანებელი, შემაკავშირებელი მიზეზის დადგენა წარმოადგენდა, რაც მან ეკონომიკაში დაინახა. მისი აზრით, საზოგადოების განმსაზღვრელი, მაინტეგრირებელი არის საბაზრო ეკონომიკა და კონკურენცია.

სოციალური აზროვნების ჩამოყალიბებაში აგრეთვე დიდი წვლილი მიუძღვით: **ჯერემი ბენთამს** (1748-1832) და **ჯეიკობ მილს** (1773-1835), რომლებმაც განავითარეს ა. სმითის პოზიციები ფსიქოლოგიურ-მორალური კუთხით, რომელთა აზრითაც ინდივიდუალიზმსა და უტილიტარიზმზე დაფუძნებული საზოგადოება ვერ შეძლებდა მოწესრიგებულ თანაცხოვრებას, ამიტომ საზოგადოებრივი ურთიერთობები უნდა წარმართულიყო მათემატიკური მეთოდით გათვლილი კრიტერიუმებით.

მიუხედავად აღნიშნული მოზაროვნეების დიდი ღვაწლისა სოციოლოგიის ფუძემდებლად ითვლება პირველი ფრანგი სოციოლოგი ფილოსოფოსთა შორის და ფილოსოფოსი სოციოლოგთა შორის **ოგიუსტ კონტი** (1798-1857), რომელმაც შემოიღო და დაამკვიდრა ტერმინი სოციოლოგია. მოახდინა მეცნიერებათა კლასიფიკაცია და განალაგა პრინციპით ზოგადიდან კონკრეტულისაკენ – მათემატიკა, ასტრონომია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ბოლოს სოციოლოგია. ამ უკანასკნელს განუსაზღვრა ახალი ამოცანები და ფუნქციები. სოციოლოგიას დაევალა

თეორიულ ნაწილთან ერთად მეცნიერულად ეკვლია კონკრეტული, ემპირიული სოციალური ურთიერთობები, რაც მას მიაჩნდა ყველაზე რთულ და მნიშვნელოვან საქმედ.

ო. კონტმა ჩამოაყალიბა კაცობრიობის ინტელექტუალური ევოლუციის ძირითადი კანონი, რომლის მიხედვითაც ადამიანურმა და საზოგადოებრივმა ცხოვრებამ განვლო განვითარების სამი სტადია: თეოლოგიური, მეტაფიზიკური და პოზიტიური.

თეოლოგიურ სტადიაზე ადამიანები ზებუნებრივი ძალების ტყვეობაშია, განვითარების ამ სტადიაზე მითოლოგიური და რელიგიური აზროვნების ფორმები ბატონობს და თანდათანობით მითოლოგიური და რელიგიური წარმოსახვებიდან სინამდვილის რეალურ ასახვაზე გადადის.

მეტაფიზიკურ სტადიაზე წარმოსახვითმა აზროვნებამ ცნებითი აზროვნების ფორმა მიიღო, მაგრამ ეს ცნებები ჯერ კიდევ აბსტრაქტულია. შემეცნებისაკენ მიდრეკილი აზროვნების მეტაფიზიკური მეთოდი ვერ იძლევა მოვლენების რეალურად ასახვის სურათს, რადგან აზროვნება, განვითარების ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ არის განთავისუფლებული მითოლოგიური და რელიგიური ცრურწმენებისაგან.

პოზიტიურ სტადიაზე, რომელიც იწყება ნ. კოპერნიკიდან, გ. გალილეიდან და ამ პერიოდს მიაკუთვნებს იგი თავის თავს, ნამდვილ, პოზიტიურ მეცნიერებას ეყრება საფუძველი. პოზიტიური ცოდნა კი მიიღწევა მეცნიერული დაკვირვებისა და კვლევების საფუძველზე, რაზე დაყრდნობითაც ადამიანები ადგენენ კანონზომიერებებს და მოწმედებენ მათ შესაბამისად.

ო. კონტის მიზანს წარმოადგენს შექმნას მოძღვრება საოზგადოების შესახებ, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მსგავსად დაადგენს უნივერსალურ კანონზომიერებებს საზოგადოების განვითარების შესახებ და დასახავს უკეთესი მომავლის პერსპექტივებს, რისთვისაც მან უნდა შეიმუშაოს კვლევის ახალი, მკაცრი, ობიექტური მეთოდოლოგია. ინდუქციურ მეთოდზე დაყრდნობით, ემპირიულ ფაქტებზე დაკვირვებით, აღწერით, ექსპერიმენტით, შედარებით, მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენით უნდა გაკეთდეს სათანადო დასკვნები, საზოგადოებრივი პროცესების, მისი განვითარების ტენდენციების კვლევით უნდა შევძლოთ მომავლის პროგნოზირება. როგორც ო. კონტი აღნიშნავს, ასეთი პოზიტივისტური მიდგომებით არის შესაძლებელი სოციოლოგიური მეცნიერების განვითარება.

ამგვარად, ო. კონტმა ძლიერი ბიძგი მისცა სოციოლოგიის მეცნიერების შემდგომ განვითარებას, რომელსაც სხვაგვარად სოციალურ ფიზიკასაც უწოდებდა. სოციოლოგია, როგორც პოზიტიური მეცნიერება დაუნტერესებული უნდა იყოს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებების დადგენით; მისი განვითარების ტენდენციების განსაზღვრით; საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის ურთიერთობებისა და დამოკიდებულებების კვლევით; ადამიანთა შორის სტაბილური და ჰარმონიული ურთიერთობების დამკვიდრებით; მეცნიერული თეორიისა და პრაქტიკის დაახლოებითა და შერწყმით.

ო. კონტის მიერ დაწყებული საქმის გამგრძელებელია ინგლისური პოზიტივიზმის ფუძემდებელი ჯონ სტიუარტ მილი (1806-1873), რომელიც ო. კონტის შრომების გაცნობით და მათი პოზიციების თანხვედრით აღფრთოვანებული დარჩა (თუმცა მათი შეხედულებები შემდგომში ერთმანეთს დასცილდა). ო. კონტის გავლენით იგი უფრო მეტად დაინტერესდა ადამიანთა სოციალური ქცევებით და ცდილობდა შექმნა ახალი მეცნიერება – „ეტალოგია". ამასთანავე მას უნდოდა სოციოლოგიისათვის, როგორც ახალი მეცნიერებისათვის დაენერგა და გამოეკვეთა კვლევის ახალი მეთოდები. დ. რიკარდოს შრომების გაცნობის შემდეგ მისთვის ნათელი გახდა, რომ ინდუქციური მეთოდი (კონკრეტული ფაქტების განზოგადებისკენ სვლა) მთლიანად ვერ ამოწურავს მრავალფეროვან სინამდვილეს, მით უმეტეს სოციალურ სფეროში, ამიტომ საჭიროდ და აუცილებლად ჩათვალა მეცნიერულ კვლევებში დედუქციის და აბსტრაქციის მეთოდების შემოტანა.

ჯ.ს. მილის აზრით, სოციალურ სფეროში, რადგან დიდ სიზუსტეებთან არ გვაქვს საქმე ექსპერიმენტალური მეთოდი, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში გამოიყენება განმსაზღვრელ მეთოდად, სოციალურ სფეროში უნდა გამოიყენებოდეს შეზღუდულად. ხოლო სოციალურ მეცნიერებებში წამყვან მეთოდად უნდა აღიარებულ იქნას დედუქციური და ისტორიული კვლევის მეთოდები. ჯ.ს. მილის მიხედვით, ისტორიიდან შესაძლებელია გამოვყოთ და დავადგინოთ ემპირიული კანონზომიერებები, რომლებიც უნდა შევაჯეროთ თანამედროვე ადამიანთა ქმედებებთან და დედუქციით გზით გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები, სოციალურ ცვლილებებსა და განვითარების ტენდენციებზე.

საინტერესოა ჯ.ს. მილის „მოვლენის თანმხლები ცვლადის მეთოდი", რომელიც შემუშავებულია ფ.

ბეკონის გავლენით, რომლის მიხედვითაც ყოველი მოვლენა ყოველთვის განიცდის გარკვეულ ცვლილებებს, როცა აღნიშნული მოვლენის თანმხლები მოვლენა იცვლება, რომელიც შეიძლება იყოს ამ მოვლენის მიზეზი ან შედეგი, ან სხვა რამ მიზეზ-შედეგობრივად დაკავშირებული. მაგალითად, თუ ჩვენ გვინდა მთვარის დედამიწაზე ზემოქმედების დადგენა, ჩვენ არ შეგვიძლია მთვარის დედამიწისგან მოშორება, რომ მის გარეშე დავაკვირდეთ დედამიწაზე განვითარებულ პროცესებს. სამაგიეროდ ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ მთვარის კალენდარი და დედამიწაზე დავაკვირდეთ ზღვის მიმოქცევის გრაფიკს, რაც მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ მთვარე სრულად ან ნაწიობრივ არის ამ პროცესის მიზეზი. ჯ.ს. მილის ასეთმა მიდგომამ და კვლევის „მოვლენის თამ,ხლები ცვლადის მეთოდის" შემოტანამ სააზროვნო არეალში დიდი სამსახური გაუწია შემდგომში მეცნიერებას. აღნიშნული მეთოდის გარდა, ჯ.ს. მილმა შემოიტანა აგრეთვე: „შეთანხმების მეთოდი", „განსხვავების მეთოდი", „ნაშთთა მეთოდი".

მართალია ჯ.ს. მილმა ბოლომდე ვერ მიიყვანა მეცნიერული კვლევის მეთოდებზე მუშაობა, მაგრამ იგი მაინც გამოირჩევა სოციოლოგიის სხვა კლასიკოსებისაგან, თუნდაც: ო. კონტის, ჰ. სპენსერის, კ. მარქსის, მ. ვებერისაგან, თუ არ ჩავთვლით ე. დიურკჰაიმს, რომელსაც დიდიწ წვლილი მიუძღვის, როგორც კვლევის მეთოდების ჩამოყალიბებაში, ისე სოციოლოგიის მეცნიერების განვითარებაში.

შემდგომი დიდი მოაზროვნე სოციოლოგიაში, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის სოციოლოგიური კვლევის მეთოდიკის დამუშავებაში იყო ფრანგი სოციოლოგი **ემილ დიურკჰაიმი** (1858-1917), რომელიც თავის წინამორბედ კლასიკოს-თეორეტიკოსებს საყვედურობდა, რომ მათ მართალია შექმნეს სხვადასხვა სოციალური თეორიები, მაგრამ კვლევის მეცნიერული მეთოდების შექმნაზე სპეციალურად არ უზრუნიათ, რაც ასე საჭირო და აუცილებელია ადამიანთა ქცევებისა თუ სხვა სოციალური ფაქტებისა და მოვლენების გამოსაკვლევად.

ე.დიურკჰაიმი სოციალური მოვლენების ახნაში აქტიურად უპირისპირდებოდა ინდივიდუალისტურ და ფსიქოლოგისტურ მიდგომებს, რომლის მიხედვითაც ადამიანთა ქცევაში და საერთოდ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მათი შინაგანი ფაქტორები: ადამიანთა მიზნები, ისწრაფებები, განწყობები, სურვილები და ა.შ. ე. დიურკჰაიმის აზრით, სოციალური მოვლენები ახსნილი უნდა იქნეს არა ინდივიდუალური და ფსიქოლოგიური, არამედ სოციალური ფაქტორებით, რომ ადამიანთა განსხვავებული ქმედება განსაზღვრულია საზოგადოებრივი სისტემით, ანუ სოციალური გარემოთი. მართალია ადამიანები თავიანთი ისტორიის მომქმედნი თვითონ არიან, მაგრამ პირობებს თვითონ არ ირჩევენ. პირობები პირდაპირ არის მოცემული წარსულიდან. მას მიაჩნია, რომ საზოგადოების ორგანიზებულობა, რომელსაც „სოციალურ სოლიდარობას" უწოდებს ის შემთხვევაა, როცა მთელი მეტია მის შემადგენელ ნაწილებზე. აქედან გამომდინარე, საზოგადოების კვლევა ინდივიდების კვლევისაგან განსხვავებული მიდგომებით უნდა ჩატარდეს, რადგან სოციალური იდეები, ღირებულებები, ნორმები, ფაქტები შემუშავებულია საზოგადოების კოლექტიური ცნობიერებით, ინდივიდებისათვის ისინი არსებობენ ობიექტურად, რომლებიც აიძულებენ ინდივიდებს იმოქმედონ მათ შესაბამისად. სოციალური ფაქტები ადამიანებზე ზემოქმედებენ ორგანიზებულად სამართლებრივი კანონების, მორალური ნორმების, ტრადიციული თუ რელიგიური წესებითა და დოგმებით, ერთი სიტყვით საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ინსტიტუტების საშუალებით.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ე. დიურკჰაიმის მიხედვით, რადგან სოციოლოგია არის მეცნიერება სოციალური მოვლენებისა და ფაქტების შესახებ, რომლებსაც ადამიანები ახორციელებენ და მათ შექმნასა და შემუშავებაში ინდივიდებს არსებითი წვლილი არ მიუძღვით, სოციალური ფაქტები მათ მზამზარეული სახით ხვდებათ. საზოგადოებრივი ცნობიერების მატარებელი ადამიანები იძულებულნი არიან აითვისოთ საზოგადოებრივი ცნობიერების მიერ შექმნილი მონაპოვარი და სახელმძღვანელოდ გაიხადონ იგი. ე.ი. ინდივიდუალური ცნობიერება ყალიბდება კოლექტიური ცნობიერების მეშვეობით. ამიტომ სოციალური მოვლენების კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი უნდა იყოს რაციონალისტურ-ლოგიკური ახსნის მეთოდი, რომელიც თავის ერთ-ერთ ძირითად შრომაში „სოციოლოგიის მეთოდში" ჩამოაყალიბა, სადაც აღნიშნავს, რომ სოციალური ფაქტები უნდა შევისწავლოთ უშუალოდ, ობიექტურად „გვერდიდან" სისტემური დაკვირვების გზით.

სოციოლოგიური კვლევის მეცნიერულმა მეთოდოლოგიამ უნდ უზრუნველყოს სოციალური ფატქების, ცდომილებების, მონაცემთა სისტემური ემპირიული და ლოგიკური მოპოვება, შეგროვება და ანალიზი, რასაც უნდა ეყრდნობოდეს კვლევა. ამ მხრივ ე. დიურკჰაიმმა შექმნა და ჩამოაყალიბა მეცნიერული კვლევის სანიმუშო სქემა.

1. **პრობლემის განსაზვრა**
(საკვლევი თემის შერჩევა და მთავარი კონცეფციების განსაზღვრა)

2. **ლიტერატურის მიმოხილვა**
(არსებული თეორიების გაცნობა და თემის კვლევა)

3. **ჰიპოთეზის ჩამოყალიბება**
(კავშირის დადგენა ზომვად ცვლადებს შორის, ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გაზომვა და ჰიპოთეზის შემოწმება)

4. **კვლევის გეგმის შერჩევა**
(შესწავლილი მეთოდის შერჩევა: ექსპერიმენტი,
მიმოხილვა,საველე დაკვირვება,ან ისტორიული მეთოდი)

5. **მონაცემთა შეგროვება**
(ჰიპოთეზის შესამოწმებელი მონაცემთა შეგროვება)

6. **მონაცემთა ანალიზი**
(მონაცემებზე მუშაობა და მათი შემოწმება, ჰიპოთეზის ასახსნელად)

7. **დასკვნის გაკეთება**
(კვლევის შედეგების შეჯამება, აღმოჩენის დაკავშირება არსებულ თეორიასა და კვლევასთან და მომავალი კვლევისთვის პრობლემების დადგენა).

წარმოდგენილი სქემა საყოველთაოდ აღიარებული და მართლაც სანიმუშოა თანამედროვე მკვლევართათვის. ამიტომ მოკლედ განვიხილოთ და განვმარტოთ თითოეული მათგანი.

1. **პრობლემის განსაზვრა**. მის ფართოდ განხილვას და ცვლად სიდიდედ წარმოდგენას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი შეიძლება მერყეობდეს, იცვლებოდეს, ჩნდებოდეს სხვადასხვა სიხშირითა და აქტივობით. ამიტომ საჭიროა ცვალებადობის ნებისმიერი მიზეზის დადგენა და ანალიზი. დადგენილი კოეფიციენტებით უნდა განისაზრვროს სხვადასხვა სოციალური ვარიანტები, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს კვლევის პროგრამის ჩამოყალიბებას.

2. **ლიტერატურის მიმოხილვის** დროს აუცილებელია მსგავსი პროგრამების, არსებული თეორიებისა და მოსაზრებების გაცნობა, რაც აგრეთვე აუცილებელია კონკრეტული კვლევისთვის საჭირო პოზიციის ჩამოყალიბებისთვის.

3. **ჰიპოთეზის ჩამოყალიბებაში** ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანთა ფუნქციურ ინტეგრაციას, თუ რამდენად ინტეგრირებულია ადამიანი სოციალურ ჯგოფთან. ფუნქციურად ინტეგრირებული სისტემის ყოველი ნაწილი შესაბამის ზემოქმედებას ახდენს სხვაზე და თავადაც განიცდის სხვისგან ზემოქმედებას. ფუნქციური ინტეგრაციის ხარისხზეა დამოკიდებული მათი ურთიერთზემოქმედების ხარისხი. შესაბამისად კვლევის დროს ყურადღება უნდა მიექცეს 5 მთავარ ცნებას: ფუნქციას, სტრუქტურას, კულტურას, ძალას და ქმედების ინსტენსიობას.

4. **კვლევის გეგმის შერჩევა** გულისხმობს მონაცემთა შეგროვებას, კვლევისათვის საჭირო გეგმის ჩამოსაყალიბებლად, რომლის დროსაც ტარდება გამოკითხვები, მკვლევარები უშუალოდ აკვირდებიან ობიექტს, ანდა ატარებენ ექსპერიმენტს; ეცნობიან საარქივო მასალებს; შესაძლებელია გეგმის შერჩევა მოხდეს კომბინირებულად – გამოკითხვა + დაკვირვება + დოკუმენტების მოძიება.

მონაცემთა შეგროვება გულისხმობს შესასწავლი ცვლადის გაზომვას, ინდიკატორი შეიძლება იყოს „შემცვლელი" საზომი, მაგალითად სოციალური ინტეგრაციის გასაზომად შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი ფაქტორი, როგორიცაა „ქორწინაბეში ყოფნა", ან „ეკლესიურობა", ან „ასაკი" და სხვა რამ. შერჩეული გეგმა უნდა უზრუნველყოფდეს მაქსიმალური ინფორმაციის მოპოვებას.

5. **მონაცემთა ანალიზი და დასკვნის გაკეთება**. ანალიზი წარმოადგენს მონაცემთა გააზრებისა და ერთმანეთთან დაკავშირების პროცესს, თუ რომელი ფაქტორები შეისწავლოს და როგორ გაზომოს ისინი, რომლებიც როგორც წესი, სტატისტიკის ან რიცხვებით არის წარმოდგენილი.

სტატისტიკის გასაანალიზაბლად იყენებენ საშუალომაჩვენებლებს და კორელაციებს. არსებობს 3 ტიპის **საშუალო მაჩვენებლები:** 1. მოდა – არის ციფრი, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება მონაცემთა სიმრავლეში; 2. საშუალო მნიშვნელობა ანუ „საშუალო", რომელიც დგინდება მონაცემთა სიმრავლის ყველა რიცხვის შეკრებით და შემდეგ ჯამის გაყოფით მონაცემთა პუნქტების რაოდენობაზე; 3. მედინა – არის რიცხვი, რომელიც მონაცემთა თანამიმდევრობის შუაშია.

არსებობს სტანდარტული გადახრის სიდიდის ცნება, რაც ნიშნავს საშუალო მნიშვნელობიდან დასაშვებ ფარგლებში გადახრას.

რაც შეეხება კორელაციას იგი წარმოადგენს ორ ცვლადს შორის მიმართებას, ფუნქციურ დამოკიდებულებას. კორელაციის კოეფიციენტი ათწილადი

რიცხვია 0-დან 1-მდე. როცა ცვლადებს შორის კორელაცია ანუ რაიმე მიმართება არ არსებობს, მაშინ კორელაციის კოეფიციენტი 0; როცა ორი ცვლადი მუდმივად ერთად გვხვდება, მაშინ დადებითი კორელაციის კოეფიციენტი +1-ია; ხოლო როცა ერთის არსებობა გულისხმობს მე-2-ის არარსებობას, მაშინ გვაქვს უარყოფითი კორელაცია, რომლის კოეფიციენტიც არის 1.

შეიძლება კორელაცია იყოს შემთხვევითი ან სხვა ცვლადებზე დამოკიდებული. ამიტომ საჭიროა კორელაციის გადამოწმება.

თანამედროვე სოციოლოგიაში კორელაციასთან დაკავშირებით ცვლადებს შორის არსებობს ორი სახის დამოკიდებულება – ფუნქციონალური და სტატისტიკური:

ფუნქციონალური დამოკიდებულების დროს, ერთი ცვლადის ყოველ მნიშვნელობას შეესაბამება მეორე ცვლადის სრულიად განსაზღვრული მნიშვნელობა. მაგრამ პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ერთმანეთზე დამოკიდებული ცვლადები, როცა ერთ-ერთი ცვლადის ყოველ მნიშვნეობას შესაბამება მეორე ცვლადის მნიშვნელობათა სიმრავლე. რაც შეეხება ცვლადის სტატისტიკურ კავშირს, მასთან საქმე გვაქვს მაშინ, თუ ერთ-ერთი ცვლადის თითოეულ მნიშვნეობას შეესაბამება მეორე ცვლადის განაწილება, რომელიც იცვლება პირველის ცვლილებასთან ერთად როგორც თავისი სიხშირით, ისე მნიშვნელობით.

დიდი გერმანელი სოციოლოგი – კლასიკოსი **მაქს ვებერი** (1864-1920), ე. დიურკჰაიმისაგან განსხვავებულ სოციალურ თეორიას წარმოგვიდგენს. თუკი ე. დიურკჰაიმი პოზიტივისტურ პოზიციებს ავითარებდა და სოციოლოგიის კვლევის ობიექტად კოლექტიურ ცნობიერებას ანუ საზოგადოებას მიიჩნევდა, მ. ვებერი თვლის, რომ სოციალური ფაქტები სხვა არაფერია, თუ არა იდივიდების სოციალურ მოქმედებათა ჯამი. მას სოციოლოგიის ძირითად ამოცანად მიაჩნია ადამიანი, პიროვნება, მისი შინაგანი სამყაროს მამოძრავებელი ძალებისა და ცხოვრების საზრისის კვლევა და არა საზოგადოებისა მთლიანობაში. სოციალურ გარემოში ძირითადი და რეალურია არა საზოგადოება, არამედ ინდივიდი. შესაბამისად შემეცნებისა და კვლევის საგანი უნდა იყოს იმის ძიება თუ რატომ ირჩევენ და ახორციელებენ ცალკეული ადამიანები თავიანთ ქმედებებს.

მ. ვებერმა შემოიტანა სოციალური ცხოვრების სუბიექტური ბუნების ცნობიერება, იგი სუბიექტურ მოტივაციასა და გაგებაზე აფუძნებს თავის დოქტრინას, რომლის მიხედვითაც სოციოლოგია უნდა შეისწავლიდეს ადამიანებისა და სოციალუარიჯგოფების ისეთ ქმედებებს, რომლებიც გააზრებული და შინაგანად ორიენტირებულნი იქნებიან სხვა სუბიექტებზე და ამ ქმედებათა სუბიექტურ მოტივაციებში. ე.ი. ადამიანთა სულიერ ღირებულებებში მკვლევარი ღრმად უნდა ჩაწვდეს გამოსაკვლევი სუბიექტის სულიერ სამყაროში, რასაც მ. ვებერი „თანაგანცდას" უწოდებს. სოციოლოგებმა თანაგანცდის საშუალებით უნდა შეძლონ ადამიანთა იმ აზრების, გრძნობების და განწყობების შეცნობა, რომლებიც გააპირობებენ და განსაზღვრავენ მათ კონკრეტულ მოქმედებებს. ამას გულისხმობს სწორედ მისი „გაგების" თეორია.

მ. ვებერის მიხედვით სოციალური მოვლენები და ფაქტები ახსნილი უნდა იქნეს მეცნიერული მეთოდის მეშვეობით. ადამიანის სულის სამყაროში ღრმა წვდომით, თანაგანცდისა და გაგების საშუალებით ახსნილი და განმარტებული უნდა იქნას ადამიანთა ქმედებების მოტივაციები: მათი სულიერი მდგომარეობის, მათი აზრების, ღირებულებები, გრძნობების, განცდების, შეხედულებების, ლტოლვების, შინაგანი განწყობები, რაც წარმოადგენს „გაგების სოციოლოგიის" ძირითად არსს.

ნ. ვებერი ფიქრობს, რომ სოციოლოგიური კვლევის პრინციპები იმით განსხვავდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კვლევის მდგომარეობისაგან, რომ სოციოლოგიას საქმე აქვს გონიერ არსებებთან – ადამიანებთან, რომლებიც თავიანთ მოქმედებას გარკვეულ საზრისს ანიჭებენ და მოქმედებენ თავიანთი ინტერესებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, შესაბამისად უფრო რთულია მათი ქმედებების მოტივაციის ახსნა და გაგება, ვიდრე ბუნებრივ წესრიგზე აგებული ობიექტურად არსებული ფიზიკური სამყაროს კანონზომიერბების დადგენა, რომლის ახსნა შესაძლებელია მათემატიკური წესით, ხოლო რაც შეეხება ადამიანურ სუბიექტურ ქმედებათა ახსნას, ეს უპირველეს ყოვლისა,ნიშნავს მის ქმედებაში საზრისის პოვნას, გაგებას, თუ რა მოტივაციითაა განპირობებული ესა თუ ის ქმედება, რაც მოითხოვს კვლევის განსხვავებულ მეთოდსა და მიდგომას.

ადამიანური ქმედების საზრისის დასადგენად მას შემოაქვს მიზან-რაციონალური მეთოდი, რომელიც მიმართულია ქმედების საზრისის გაგებისკენ და არა ახსნისკენ. იგი თვლის, რომ რაციონალურ ცნობიერებას შეუძლია თავისი თავი შეიცნოს სხვის რაციონალურ ცნობიერებაში. ეს იდეა, რომელსაც (ჰერმენევტიკოსები ავითარებენ) გულისხმობს, რომ მკვლევარმა თავისი თავი უნდა დააყენოს გამოსაკვლევი სუბიექტის ადგილზე და თანაგანცდის საშუალებით მიაღწიოს ობიექტური ვითარების წვდომას. მიზან-რაციონალური მოქმედება საშუალებას მოგვცემს რაციონალურად გავიგოთ, ჩავწვდეთ საზრისს და არა მიზეზს. მიზან-რაციონალური და რეფლექსური მოქმედებები, რომელიც საზრისის პრობლემას გადაგვაწყვეტინებს, ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხია, რომელიც აადვილებს და ეფექტურად დაგვეხმარება როგორც თეორიული, ისე

პრაქტიკული საკითხების წარმატებით გადაჭრაში.

აქედან გამომდინარე, მ. ვებერი თვლის, რომ სოციოლოგია უფრო მნიშვნელოვანი და მაღალი სტატუსის მქონე მეცნიერებაა, რადგან იგი მიზეზების დადგენაზე კი არაა ორიენტირებული და მოვლენების აღწერით კი არ კმაყოფილდება, არამედ დაკავებულია სოციალური მოვლენების საზრისისა და არსის დადგენით.

მ. ვებერისეული აღნიშნული პოზიცია განსაკუთრებით კარგად მოერგო ამერიკულ-პრაგმატულ გამოყენებით სოციოლოგიეს. ამერიკელი სოციოლოგები (ევროპელებისგან განსხვავებით) ნაკლებ დროს უთმობენ თეორიულ განაზრებებსა და დასაბუტებებს. მათთვის ტრადიციულად ყოველთვის პრიორიტეტულია პრაქტიკული, გამოყენებითი საქმიანობა. მათთვის თეორია იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც იგი გამოყენებადია. მათი აზრით, სოციოლოგია ფრიად მნიშვნელოვანი მეცნიერებაა, რომელსაც შეუძლია სოციალური პროცესების დარეგულირება და მართვა. ეს მართლაც სერიოზული და მნიშვნელოვანი განაცხადია და შესაბამისად, სათანადო ყურადღებაც ექცევა, განსაკუთრებით სოციალური მართვისა და გამოყენებითი სოციოლოგიის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების კვლევისას, რითაც ძირითადად ჩიკაგოს სოციოლოგიური სკოლის თანამედროვე წარმომადგენლები გამოირჩევიან.

ამგვარად, ნ. ვებერისეული მიდგომები და პოზიციები, რომელზედაც დაფუძნებულია თანამედროვე დასავლეთის უმრავლესი სოციოლოგიური თეორიები, მიმართულია იქითკენ, რომ ისტორიას ჩაბარდეს მეცნიერებისადმი ტრადიციული მიდგომები, როცა რომელიმე ავტორიტეტის პოზიცია ან გამოთქმული სიბრძნე განიხილებოდა უცვლელ და ერთადერთ ჭეშმარიტებად, სახელმძღვანელოდ მომავალი თაობებისათვის; ის სოციალური თითქოს მარადიული ღირებულებები, როგორიცაა: მორალური, რელიგიური, პოლიტიკური, ესთეტიკური და სხვა. მ.ვებერის აზრით, ზეისტორიული და მარადიული კი არ არის, არამედ ისტორიული ეპოქის საკუთრებას წარმოადგენს, რაც არსებითად ცვლის სოციალური განვითარების ვექტორს და ორიენტირებს და საზოგადოება გადაჰყავს ახალ პოზიციებზე და პრიორიტეტებზე.

თანამედროვე პერიოდში მას მიაჩნია, რომ სოციალური ინსტიტუტების მზარდი მიზნობრივი რაციონალიზაცია, ე.ი. მეცნიერების კვლევებზე დაფუძნება, როცა ნებისმიერი გადაწყვეტილება და ქმედება იქნება წინასწარ მიზნობრივი- გათვლებზე და სათანადო კვლევებზე დაფუძნებული, იქნება მეცნიერული ცოდნის შეძენის ძირითადი წყარო და საზოგადოების წინსვლის ეფექტური საშუალება. მიზნობრივი-რაციონალიზაცია და ლოგიკური, გონივრული მიდგომები გამოიწვევს უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების კეთილდღეობისკენ მიმართულ სფეროებს: საბაზრო ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, წარმოების ეფექტურობის მაქსიმალურად გაზრდას, ფინანსური ინსტიტუტებისა და ინვესტიციების მოზიდვას, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ექსპანსიას და რასაც დანარჩენი სფეროების გაჯანსაღება მოჰყვება.

ძალზედ მნიშვნელოვანია მ. ვებერის თვალსაზრისი იდეალური სოციალ-ფსიქოლოგიური ტიპის შესახებ, რომელსაც დიდი თეროუიული და მითუმეტეს პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. არსებობს ადამიანთა 4 ძირითადი იდეალური ტიპი, რომლებიც ნათლად გამოიკვეთება (ამიტომაც არიან ისინი იდეალურნი), ეს ტიპებია: 1. მიზან-რაციონალური; 2. ღირებულებით-რაციონალური; 3. აფექტური; 4. ტრადიციული.

1.მიზან-რაციონალური ტიპი, რომელსაც ნათლად აქვს გათვითცნობიერებული საკუთარი მიზნები და მიზანსწრაფულად იღწვის მის მისაღწევად. ამავე დროს, მას გათვალისწინებული აქვს სირთულეები და სხვა ადამიანთა რეაქციები მის მიზნობრივად წინსვლაზე. მიზან-რაციონალური ფსიქო-ტიპის ამოსავალი და ძირითადი ინტერესი წარმატების მიღწევაშია.

2. ღირებულებით-რაციონალური ტიპი დარწმუნებულია თავის გონიერ და ჭეშმარიტ ღირებულებებში, ერთგულია მის მიერ არჩეული ღირებულებების და რაციონალურად და დინჯად ახორციელებს მას.

3. ტრადიციული ტიპი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირებულებებისა და ადათ-ჩვევების მატარებელი, პატივისმცემელი და დამცველია.

4. აფექტური ტიპი იმპულსურია, ახასიათებს გრძნობებზე აყოლილი, გაუცნობიერებელი ქმედებები.

მ. ვებერის ფსიქოტიპოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით, ცნობიერებისა და რაციონალიზაციის დონე თანდათან იზრდება აფექტურიდან მიზანრაციონალურისაკენ, თუმცა ადამიანთა ქცევებში მეტ-ნაკლებად ყველა ტიპის ქცევა ვლინდება. მ. ვებერი მიიჩნევს, რომ თანამედროვე საზოგადოების განვითარების პერსპექტივაში სულ უფრო იზრდება და მომავალშიც გაიზრდება მიზან-რაციონალური ქმედებები, როგორც სოციალურ სუბიექტებში, ისე მიდგომები ცხოვრების ყველა სფეროში. რაციონალური ხდება ადამიანთა აზროვნება, მეურნეობის ხელმძღვანელობა, სახელმწიფო მართვა და საერთოდ, საზოგადოების ცხოვრების წესი, რომელიც საბოლოოდ გამოხატულებას ჰპოვებს: რაციონალურად შედგენილი კანონების უზენაესობაში; სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, სადაც მირწეული იქნება მოქალაქეთა რაციონალური თანხმობა და ჰარმონიული ცხოვრება.

„ცხოვრების სტილის“ გამომუშავების მნიშვნელოვანი ფაქტორები ფსიქოანალიზში

როზა გაფრინდაშვილი, *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

მეოცე საუკუნეში სოციოლოგებმა ცივილური ადამიანის ფსიქიკის ანალიზის შედეგად აღიარეს, რომ პიროვნება საზოგადოების პროდუქტია, ანუ ადამიანი, პირველ რიგში სოიალური არსებაა.

ამ აზრის შეღწევამ ფსიქოლოგიაში და ფსიქოანალიზში შეარყია ფროიდიზმის საფუძვლები – ბევრმა ფსიქოლოგმა – ალფრედ ადლერმა, ერიხ ფრომმა, კარენ ჰორნმა, ჰარი სალივანმა, გაწყვიტა კავშირი კლასიკურ ფროიდიზმთან, რომლის მიხედვით ადამიანი პირველ რიგში სექსუალური არსებაა და არა სოციალური.

ამ ოთხეულიდან ალფრედ ადლერს „ახალი სოციალურ–ფსიქოლოგიური შეხედულებების მამას“ უწოდებდნენ. იგი ჯერ კიდევ 1911 წლიდან სოციალური ინტერესისა და უპირატესობისაკენ სწრაფვის თეორიის დამუშავებას შეუდგა. ერიხ ფრომის თქმით ადლერი პირველი ფსიქოანალიტიკოსი იყო, რომელმაც ხაზი გაუსვა ადამიანის, როგორც სოციალური არსების ფუნდამენტურობას.

ადლერის მიხედვით ადამიანის სოციალური ინტერესი თანშობილია, თუმცა ის იმ საზოგადოებით განისაზღვრება, სადაც დაიბადა; მისი აზრით ადამიანის ქცევების დეტერმინანტი არის სოციალური ინტერესი; პიროვნულობის განმსაზღვრელი ფაქტორი გამოცდილებაა, რაც მას ცხოვრების უნიკალური სტილის განხორციელებაში ეხმარება; ეს იყო პიროვნების უნიკალურობაზე აქცენტის გადატანა, რაც ადლერის დიდ დამსახურებადაა მიჩნეული.

ყოველი პიროვნება ადლერს წარმოდგენილი ჰყავს როგორც მოტივთა, ინტერესთა და ღირებულებათა უნიკალური სისტემა. ადამიანის ყოველი მოქმედება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ცხოვრების სტილის ნიშანს ატარებს. ადლერის თეორიაში სექსუალური ინტერესების როლი მინიმუმამდეა დაყვანილი. მისი მამოძრავებელია სოციალური და არა სექსუალური მოტივები; მისი არასრულყოფილება სექსუალური სფეროთი კი არ შემოიფარგლება, არამედ ყოფიერების მთელ სფეროზე ვრცელდება, ადამიანები ცხოვრების უნიკალური სტილის განვითარებას ესწრაფვიან, რაშიც სექსუალობას უმნიშვნელო ადგილი უჭირავს, სექსუალურობის დაკმაყოფილებაც კი ცხოვრების სტილზეა დამოკიდებული და არა პირიქით.

ადლერი პიროვნების ცენტრად შემეცნებას მიიჩნევდა. ადამიანები ცნობიერი არსებები არიან, ესმით თავიანი ქცევის მიზეზები, თავიანთ არასრულყოფილებას და ქცევის მიზნებსაც აცნობიერებენ. მან ადამიანის ქცევათა განმსაზღვრელად საკუთარი ქცევების მოსალოდნელი შედეგები მიიჩნია. მისი აზრით, ადამიანის იდეალებსა და მისწრაფებებზე მისივე მოლოიდინები ზემოქმედებს. მაგალითად, თუ კაცს ჯერა, რომ მართალნი ცის სასუფეველს, ცოდვილნი კი ჯოჯოხეთს დაიმკვიდრებენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს რწმენა გავლენას მის ქცევაზეც მოახდენს. ეს მიზანი შეიძლება მიუღწეველი დარჩეს, ე.ი. ფიქციაც იყოს და ქცევათა რეალური სტიმული და ამხსნელიც გახდეს. უპირატესობისკენ სწრაფვა ის საბოლოო მიზანია, რისკენაც ადამიანები მიისწრაფიან და რაც პიროვნების უნიკალობას უდევს საფუძვლად. ადამიანს აგრესიულობა, ძალაუფლებისკენ სწრაფვა და უპირატესობის მოპოვების სურვილი ამოძრავებს.

ორივე სქესის ადამიანში აგრესიულ მისწრაფებებს იწვევს არაადეკვატურ და დამამცირებელ სიტუაციაში პროტესტის გძნობა, რაც უპირატესობისკენ სწრაფვაში იჩენს თავს.

ადლერი უპირატესობაში თვითაქტუალიზაციას გულისხმობს და არა საზოგადოებაში მაღალ მდგომარეობას. ესაა სრულყოფილებისაკენ, „სიმაღლისაკენ დიდებული სწრაფვა“. ამ სწრაფვას ადლერი თანშობილად მიიჩნევს. მისი აზრით თვით ესაა ცხოვრება. უპირატესობისაკენ სწრაფვას ადამიანი განვვითარების სულ უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს.

უპირატესობისკენ სწრაფვა ათასი განსხვავებული საშუალებით შეიძლება; თითოეული ადამიანი თავისებურად ცდილობს მის მიღწევას; ეგოისტი, ნევროსთენიკი თავისი თავის პატივისცემის, ძალისა და თვითამაღლებისკენ მიისწრაფის, იმ დროს როცა ჯანმრთელი ადამიანის მიზნები პირველ რიგში სოციალურია.

ადლერი გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ, როცა ადამიანს რაიმე ნაკლი აქვს, ხშირად მის კომპენსაციას ინტენსიური ვარჯიშით ახდენს და შედეგსაც სასურველს აღწევს. ამის მაგალითად მოყავს ყველასთვის ცნობილი დემოსთენეს იგავად ცნობილი ამბავი, რომელიც დაბადებიდან ენაბლუ იყო, მაგრამ სისტემატური ვარჯიშთ უდიდესი ორატორი გახდა. ახლო წარსუ-

ლიდან კი თეოდორ რუზველტის მაგალითს იხსენებს; იგი ბავშობაში ძალიან სუსტი ყოფილა, ინტენსიური ვარჯიშის წყალობით კი ფიზიკურად განვითარებული და ძლიერი გახდა.

არასრულყოფილების გრძნობა ადამიანს ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციაში შეიძლება აღმოუცენდეს – სიღარიბის, ობლობის, თანატოლების დაცინვის და ა.შ. შედეგად, რაც მას უფრო მაღალი განვითარებისკენ უბიძგებს; მიზნის მიღწევის შემდეგ კვლავ არასრულყოფილების გრძნობა და სიმაღლისკენ სწრაფვის სურვილი უჩნდება ანუ კვლავ მისი მამოძრავებელი იმპულსი ხდება. ეს პათოლოგია კი არა, ადამიანის სრულყოფის მიზეზი და მამოძრავებელი ძალაა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს გრძნობა არანორმალურად ძლიერია და ასოციალურ ქმედებაში იჩენს თავს.

ადამიანზე თავის შეხედულებებში ადლერმა „სოციალური ინტერესის“ ცნება შეიტანა. ესაა საკუთარი მიზნის მისაღწევად საზოგადოებისთვის დახმარების გაწევის იდეა და იგი ინდივიდების ბუნებრივი სისუსტეების აუცილებელ კომპენსაციად მიიჩნია.

ადამიანი პირველი დღეებიდანვე საზოგადოებაზეა მიჯაჭვული; იმავე პერიოდიდანვე, ახალშობილი პიროვნებათშორის ურთიერთობებშია ჩართული, პიროვნებად ფორმირდება და უპირატესობის მოპოვების გზებსაც სწავლობს; უხეში ამბიციებისა და ეგოისტური ინდივიდუალური სისუსტეების კომპენსაციას საყოველთაო სიკეთის მიღწევით ცდილობს.

ადლერი ვარაუდობდა, რომ სოციალური ინტერესი თანშობილია. ადამიანები ბუნებით არიან სოციალურები და არა ჩვეულების ძალით.

პიროვნების ფუნქციობის საფუძველი და მისი უნიკალობის ამხსნელია ცხოვრების სტილი; ყოველ ადამიანს თავისებური ცხოვრების სტილი აქვს, არ არსებობს ორი ერთნაირი ცხოვრების სტილის მქონე ადამიანი, მაგრამ ყველას წინაშე ერთი ამოცანა დგას – უპირატესობის მიღწევა! ერთნი ამას ინტელექტის განვითარებით აღწევენ, მეორენი – ფიზიკური სრულყოფით, მესამენი – სიმდიდრის დაგროვებით, განმარტოებული ცხოვრებით, სხვანი კიდევ – ძალადობით და ა.შ.

ცხოვრების სტილი ბავშვობაში, ხუთი წლის ასაკამდე ყალიბდება და ფაქტიურად ამის შემდეგ აღარც იცვლება. ცხადია შემდეგში ადამიანი მრავალ სიახლეს იძენს და თვალსაწიერს იფართოვებს, მაგრამ ეს ბავშვობაში ჩამოყალიბებული სტილის კონკრეტიზაციაა და სხვა არაფერი.

ადლერი ვარაუდობდა, რომ ცხოვრების სტილის გასაგებად ადრეული ბავშვობის მოგონებები გამოდგება. მაგალითად: „ვაჟმა, რომელმაც მწვავე ფსიქიკური დისკომფორტის დროს მომაკითხა, მეხსიერებაში შემდეგი სცენა აღიდგინა: როცა ოთხი წლისა ვიყავი, ფანჯარასთან ვიდექი და მშენებლებს ვუცქეროდი, რომლებიც მისი ქუჩის მეორე მხარეს სახლს აშენებდნენ. ამ დროს დედა წინდებს ქსოვდა; ეს მოგონებები იმის მაჩვენებელია, რომ ბავშვობაში მას ანებივრებდნენ, რადგან მეხსიერებამ მზრუნველი დედის სახე შემოინახა. ხოლო იმის გამო, რომ ის სხვების მუშაობას უყურებდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი ცხოვრების სტილი უფრო მეტად დამკვირვებლობაა, ვიდრე პროცესში მონაწილეობა. ეს ვარაუდი იმით გამართლდა, რომ ისეთ პროფესიის დაუფლება ვურჩიე, რაც დამკვირვებლის უნარს მოითხოვდა, რაკი ის ახალგაზრდა პროფესიის არჩევაზე ფიქრისას მუდამ ნერვიულობდა. მან ეს რჩევა მიიღო და ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობას მიჰყო ხელი, რითაც დიდ წარმატებას მიაღწია“ – ამბობს ადლერი.

ადლერმა სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოჰყო, რაც ცხოვრების სტილის გამომუშავებაზე ჯერ კიდევ ბავშვობისას ახდენს გავლენას. ესენია: ბავშვის არასრულფასოვნება ანუ რაიმე ნაკლი, ბავშვის განებივრება და ბავშვის დაჩაგვრა, შეურაცხოფა.

ფიზიკური ან გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვები თავს დაჩაგრულად გრძნობენ. ისინი მეტწილად ცხოვრებაში ხელმოცარულები არიან. მიუხედავად ამისა, მშობლების მხარდაჭერის შემთხვევაში თავიანთი ნაკლის კომპენსირებას ახერხებენ და სისუსტეს საკუთარ ძლიერებად გადააქცევენ. ისტორია მათი რიგებიდან გამოსულ ბევრ გამოჩენილ ადამიანს იცნობს.

საზოგადოებისთვის უფრო დიდი უბედურება განებივრებული ბავშვები არიან, რადგან მათ სოციალური გრძნობა არ უვითარდებათ. ხშირად ისინი დესპოტები ხდებიან და საზოგადოებისგან ეგოცენტრული სურვილების შესრულებას მოითხოვენ. ადლერი მათ საზოგადოებისთვის ყველაზე საშიში პოტენციალის ადამიანებად მიიჩნევს.

შეურაცხოფილი და დაჩაგრული ბავშვებიც, ადრევე გამოსცადეს რა ცუდი დამოკიდებულება, არასახარბიელო შედეგებამდე მიდიან – მოზრდილობისას საზოგადოების მტრები ხდებიან, მათი ცხოვრების სტილი შურისძიებითაა განპირობებული და ხშირად პათოლოგიური ცხოვრების სტილად ყალიბდება.

ადლერი პიროვნების სოციალურ დეტერმინანტად ოჯახში ბავშვის დაბადების თანმიმდევრულობას ასახელებს, ე.ი. პიროვნების ჩამოყალიბებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახში ბავშვი უფროსია, საშუალო თუ უმცროსი. მისი აზრით, ადამიანის ხასიათის თავისებურებებს ადრეული ბავშვობის განცდები ქმნის.

პირველ შვილს მეორის დაბადებამდე დიდ ყურადღებას უთმობენ; შემდეგ მშობლების სიყვარულსა

და ზრუნვას მეორე ბავშვი ჩაენაცვლება; ამ განცდებმა უფროს ბავშვზე შეიძლება სხვადასხვაგვარად იმოქმედოს; შესაძლოა გაუჩნდეს ადამიანების მიმართ სიძულვილის, მათგან თავდაცვის და საფრთხის გრძნობები.

ადლერის დაკვირვებით ნევროტიკები, დამნაშავეები, ლოთები და სხვა ასოციალური ადამიანები, უფრო ხშირად ოჯახის უფროსი შვილები არიან. თუ მშობლები ბრძნულად მოიქცევიან, ბავშვს „მეტოქის“ გამოჩენისთვის სათანადოდ შეამზადებენ, რითაც უმცროს და-ძმებზე მზრუნველად ჩამოყალიბების დიდი შანსი ეძლევა.

მეორე, საშუალო შვილი ამბიციურობით ხასიათდება, რომელიც გამუდმებით უფროსის ჩამოშორებას ცდილობს. ისიც ბუნტისა და შურიანობისადმია მიდრეკილი, მაგრამ სოციალური გარემოსადმი უკეთ შეგუებულია, ვიდრე უფროსი და უმცროსი.

უმცროსი შვილი ყველაზე უფრო „გაფუჭებულია“, მას პრობლემურ ბავშვად, მოგვიანებით კი ნევროტიკად და არაადაპტირებულ მოზრდილად ჩამოყალიბების დიდი შანსი აქვს.

თავდაპირვალად „დაბადების თანმიმდევრულობის თეორიამ“ დიდი მოწონება ვერ დაიმსახურა, მაგრამ მოგვიანებით ადლერის მოსაზრებები დადასტურდა და მას ბევრი მხარდამჭერიც გამოუჩნდა.

ადლერი გვთავაზობს, რომ ამ ფაქტორების უტყუარ ჭეშმარიტებად მიღება არ შეიძლება, მაგრამ მისი ცოდნა საინტერესო და საჭიროა, რათა ეს ცოდნა ბავშვების აღზრდის პროცესში პროფილაქტიკის მიზნით იქნას გამოყენებული.

ამგვარად რაკი ადლერმა ადამიანს თანამშრომლობის გრძნობები მიაწერა ამით საკუთარი ღირსების გრძნობა დაუბრუნა, რაც მას ფსიქოანალიზმმა დაურღვია.

ადლერის მოძღვრება იმ ცნობილ იდეებს შეესატყვისება, რომელთა მიხედვით ადამიანი თავისი ბედის მსხვერპლი კი არა, მისი განმკარგველია, – წერენ კელვინ ჰოლლი და გარდნერ ლინდსეი, რის გამოც მის ფსიქოლოგიას ჰუმანისტურს უწოდებენ.

ლიტერატურა:

1. ადლერი ა., ინდივიდუალფსიქოლოგია. დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმართულებები, ტფილისი 1935.
2. იუნგი ა., ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი 1995.
3. კაკაბაძე ვ., სიღრმის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები, თბ., 1979.
4. გაფრინდაშვილი რ., ალტერნატიული ეთიკა და ფსიქოლოგია, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2000.
5. Адлер А. Практика и теория индивидуальной психологии. М., 1995.

Roza Gaprindashvili

SUMMARY

As a result of analysis of civilized human's mentality the 20th century sociologists have acknowledged that person, human is first of all social being.

Penetration of this idea in psychology and psychoanalysis has shaken the basis of Freudism.

Alfred Adler has been called "the Father of new social-psychological view", since he was the first one who has developed the theory of striving for social interests and advantages. He was the first psychoanalyst who emphasized the fundamental nature of human as of social being.

According to Adler the human nature is determined by the society where he is born; social interest is a determinant of his behavior, while experience is the determining factor of personhood, and assists him in implementation of unique lifestyle.

Humans strive for development of unique lifestyle, wherein sexuality takes up negligible place. Elaboration of lifestyle from the very childhood occurs under the influence of three important factors: child's inferiority or some deficiency, child's spoiling and child's suppression and violence.

Striving for advantages is the ultimate goal to which humans are aspiring and that forms the basis of human's uniqueness. At the same time aggression, will to power and desire to gain advantage are the inducements of human's behavior.

გენდერი: პრობლემები და პერსპექტივები

მაია ყიფიანი, *სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
ქეთევან კვესელავა, *სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი*

დღევანდელი საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს მოსახლეობის დასაქმება წარმოადგენს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის 2011 წლის მონაცემებით (2012 წლის მონაცემები ჯერ-ჯერობით არ არის დაფიქსირებული), უმუშევრობის დონის მაჩვენებელი 15.1% შეადგენს. სხვადასხვა მიზეზთა გამო, აღნიშნული რიცხვები ცხადია არ ასახავს დღეს არსებულ რეალობას, უმუშევართა რაოდენობა გაცილებით მეტია. დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლის სქესობრივ ჭრილში განხილვისას ცხადი ხდება, რომ ტრადიციულად, ქალებში უმუშევრობის დონე (დღევანდელი უკანასკნელი მონაცემებით 13.1%) ნაკლებია ვიდრე მამაკაცებში. ამის ძირითადი მიზეზია ის რომ ქალები რომლებიც არ არიან დასაქმებული, ძირითადად დიასახლისები არიან და შესაბამისად არააქტიური მოსახლეობის რიცხვს განეკუთვნებიან, ქალებში არააქტიურობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება მამაკაცების ანალოგიურ მაჩვენებლებს (შესაბამისად 44.2% და 23.5%). საბოლოოდ, ქალებში მამაკაცებთან შედარებით დაბალი დონეა, როგორც აქტიურობის, ასევე დასაქმების თვალსაზრისით.

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება აქტივობის მიხედვით (ათასი კაცი)

	2007	2008	2009	2010	2011
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	1965,3	1917,8	1991,8	1944,9	1959,3
დასაქმებული	1704,3	1601,9	1656,1	1628,1	1664,2
დაქირავებული	625,4	572,4	596,0	618,6	632,0
თვითდასაქმებული	1078,8	1028,5	1059,0	1007,1	1025,4
გაურკვეველი	0,1	1,1	1,2	2,4	6,8
უმუშევარი	261,0	315,8	335,6	316,9	295,1
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	1138,6	1145,2	1139,3	1083,3	1045,9
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	13,3	16,5	16,9	16,3	15,1
აქტიურობის დონე (პროცენტებში)	63,3	62,6	63,6	64,2	65,2
დასაქმების დონე (პროცენტებში)	54,9	52,3	52,9	53,8	55,4
ცხრილებში მოცემული მაჩვენებლები მიღებულია შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევიდან.					

15 წლის და უფროსი ასაკის ქალების განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით (ათასი კაცი)

	2007	2008	2009	2010	2011
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	933,5	889,7	920,5	907,9	915,6
დასაქმებული	816,2	746,3	778,6	776,7	795,3
დაქირავებული	293,5	259,2	278,5	300,2	297,9
თვითდასაქმებული	522,6	487,0	500,0	475,6	493,2
გაურკვეველი	0,1	0,1	0,1	0,8	4,3
უმუშევარი	117,3	143,4	141,9	131,2	120,3
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	763,6	772,9	774,4	728,1	725,3
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	12,6	16,1	15,4	14,5	13,1
აქტიურობის დონე (პროცენტებში)	55,0	53,5	54,3	55,5	55,8
დასაქმების დონე (პროცენტებში)	48,1	44,9	45,9	47,5	48,5
ცხრილებში მოცემული მაჩვენებლები მიღებულია შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევიდან.					

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შრომის ბაზარზე მამაკაცის ეკონომიკური აქტივობის უმთავრესი განმაპირობებელი ეკონომიკური მოტივაციაა, ქალის ეკონომკიკური აქტივობა კი ძირითადად სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორებით განისაზღვრება. მამაკაცის, როგორც ოჯახის მარჩენალის მისია ეკონომიკური აქტივობა, მისი ძირითადი მასტიმულირებელი მაღალი შემოსავლია, რითაც იგი ოჯახის კეთილდღეობას უზრუნველყოფს. ოჯახური მოვალეობები და პასუხისმგებლობა მამაკაცთან არ ასოცირდება. ქალის ეკონომიკური აქტიურობა კი მის სოციალურ სტატუსს განსაზღვრავს და მეორეა რეპროდუქციული ფუნქციის შემდეგ. თუმცა, დღეს არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად ქალები აქტიურად არიან ჩაბმული შრომით საქმიანობაში, თეზა - ქალისათვის უპირატესია ბავშვის აღზრდა, ოჯახური მოვალეობები და მერე სხვა საქმიანობა, დღესაც, თავის აქტუალობას არ კარგავს. რეალობა სხვა სურათს გვიჩვენებს, იმის გარდა, რომ ქალი ოჯახს უვლის, ასაევე დიდი დატვირთვით ეწევა შრომით საქმიანობას. იგი მამაკაცთან შედარებით ორმაგად დატვირთულია, მაგრამ ქალები ამის შესახებ არ წუწუნებენ, პირიქით, ეძებენ სამსახურს, წუხან ე.წ. ,,შუშის ჭერის" (ქალთა კარიერული წინსვლის უხილავი ბარიერის) არსებობის შესახებ, მაგრამ ჩვენი სტატიის ძირითადი თემა სხვაა, ამიტიტომ საუბარს ქალთა დასაქმიბისა და ეკონომიკური წინსვლის შესაძლო პერსპექტივებზე განვაგრძობთ.

ტრადიციულად ქალისა და მამაკაცის მიერ პროფესიის არჩევა გენდერული სეგრეგაციით იყო და ნაწილობრივ ახლაც არის განპირობებული. გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში არსებულ ტრადიციებს, საზოგადოების მენტალიტეტს, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს, რაც დიდ გავლენას ახდენს ბავშვობიდანვე ქალისა და ვაჟის აღზრდაზე. აგრეთვე სქესობრივი ნიშნის მიხედვით ყალიბდება, განათლების სპეციფიკური ორიენტაცია და პროფესიის არჩევა, რომელიც შემდგომ პროფესიული დასაქმების ხელმისაწვდომობას განსაზღვრავს.

XIX ს-დან საფეიქრო მრეწველობის განვითარებამ დიდი რაოდენობით მდედრობითი სქესის მუშახელი მიიზიდა, XX ს-ის 30-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ბამბეულისა და საფეიქრო მრეწველობაში ქალთა დიდი რაოდენობა შენარჩუნდა. მეორე მსოფლოს ომის შემდეგ ქალთა დიდი ნაწილი განათლების, ჯანდაცვისა და კულტურის სფეროში დასაქმდა, მათი მონაწილეობის ხვედრითი წილი გაიზარდა მსუბუქ მრეწველობაშიც. დღეისათვის ქალისა და მამაკაცის ცხოვრების სტილი, ინტერესთა სფეროები დაუახლოვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ქალთა უმრავლესობისათვის მაინც პრიორიტეტული ტრადიციული ქალთა პროფესიებია.

ქალთა დასაქმების ევოლუცია ძირითადად ე.წ. ქალთა დარგების განვითარებას შეესაბამება: პრეინდუსტრიულ საზოგადოებაში წარმოების სფერო არ იყო სქესის ნიშნით მკვეთრად სეგრეგირებული, მაგრამ საოჯახო საქმიანობა როგორიცაა ბავშვის აღზრდა, დალაგება, დარეცხვა, დასუფთავება, ხელსაქმე-რთვა, ქსოვა, კერვა და სხვა, ტრადიციულად ქალის საქმედ მიიჩნეოდა.

ცნობილია, რომ გარდამავალ პერიოდში სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომკურ ცვლილებებს, ცხოვრების პირობების უკიდურესი გაუარესება მოჰყვა. მოქალაქეები მოულოდნელად სოციალური და ეკონომიკური რისკის სიტუაციაში აღმოჩნდნენ - ინიციატივისა და პასუხისმგებლობის სიმძიმის ცენტრმა სახელმწიფოდან მათზე გადაინაცვლა.

პოსტსაბჭოთა პერიოდისთვის დამახასიათებელმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა კრიზისმა, ასევე შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, უპირველეს ყოვლისა, ქალებზე იქონია დიდი გავლენა, მათი რიცხვი კი საქართველოს მოსახლეობის 52%-ზე მეტია და შესაბამისად, მოსახლეობის შრომითი რესურსების უმრავლესობას წარმოადგენს. აღნიშნულმა პირობებმა შეცვალა ქალთა ცხოვრების სტილი, ხელი შეუშალა მათ პიროვნულ და სოციალურ განვითარებას, ბევრმა ქალმა შეიცვალა პროფესია შრომის ბაზარზე არსებული რეალობის გათვალიწინებით.

გენდერული თანასწორობის კონცეფცია, რომელიც 2006 წელს საქართველოს პარლამენტის მიერაა დამტკიცებული, ხაზგასმით მიუთითებს ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფას და ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე.

ზოგადად, გენდერულად მგრძნობიარე ეკონომიკა, მოიაზრებს ქალთა დასაქმებას, პროფესიული კადრების განმტკიცებას, ანაზღაურებას, მამაკაცებთან თანასწორი საერთაშორისო და ეროვნული დონის სტანდარტების საფუძველზე ეკონომიკური პირობების ლობირებას. გლობალიზაციის პროცესმა, საქართველო ერთის მხრივ, დაახლოვა მსოფლიოში მიმდინარე აქტუალურ საკითხებს (მაგალითად გენდერული თანასწორობის პრობლემატიკის წინ წამოწევა), მაგრამ, მეორეს მხრივ, გამოიწვია ქალთა ე.წ. „ჩრდილოვან დინებაში" ჩაბმა (ქალების შრომა მეტად დაბალანაზღაურებადი და ხშირ შემთხვევაში აუნაზღაურებელია), რაც ეკონომიკური კრიზისითა და საბაზრო ეკონომიკის არაცივილიზებული კანონების არსებობით არის განპირობებული. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლი

არამარტო ქალები, არამედ მამაკაცებიც არიან, როგორც საქართველოში ასევე მთელ მსოფლიოში. ტრანსნაციონალური კორპორაციების ამცანაა დაბალანაზღაურებადი სამუშაო ძალის მიზიდვა, რაც განსაკუთრებული წარმატებით განვითარებად, კონფლიქტებგამოვლ და ახალწარმოქმნილ ქვეყნებში ხორციელდება, სადაც სახელწიფო ინსტიტუტები ჯერ არ არის ჩამოყალიბებული ან სუსტადაა განვითარებული.

მსოფლიოში გენდერული თანასწორობის საკითხებზე მსჯელობა მე-20 საუკუნის ბოლოს გააქტიურდა, საქრთველოც უკვე 20 წელზე მეტია რაც ჩაბმულია აღნიშნულ პროცესებში. შექმნილია მრავალი არასამთავრობო ქალთა უფლებების დამცველი, ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური დაცვის ორგანზაცია, მიუხედავად ამისა ქალთა წინსლის მაჩვენებელი მაინც დაბალია. აღნიშნულთან დაკავშირებით,, თბილისი (BPI) The Economist“ -მა ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების 2012 წლის ინდექსი გამოაქვეყნა. კვლევის მონაცემებით, ქალთა გაზრდილი ეკონომიკური აქტივობის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 128 ქვეყანას შორის 59-ე ადგილზეა. იმისათვის, რომ ქვეყანამ რეგიონში მაღალი პოზიცია დაიკავოს, ქალებისა და მამაკაცებისათვის დასაქმება, ფინანსებზე წვდომა, უმაღლესი განათლება და პროფესიული სწავლება თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

მიუხედავდ აღნიშნულისა, საქართველოში ქალთა ეკონომიკური წინსვლის ნიშნები შეინიშნება. საინფორმაციო პორტალ BPI-ge-ის ჩატარებულმა გამოკითხვამ 2013 წლის ყველაზე საქმიანი ქალების სია გამოაქვეყნა. კვლევა მიმდინარეობდა 2013 წლის 2 მარტიდან 2 აპრილამდე, გამოიკითხა 444 რესპოდენტი. პირველ ადგილზე დასახელდა საკონდიტრო ქსელის ,,ბელას“ ხელმძღვანელი ბელა ქაძანია 26.8%, მეორე პოზიციაზე ,,TV მაესტროსა“ და საქართველოში ,,მერსედესის“ ოფიციალური წარმომადგენელის ,,აკას“ მფლობელი მაკა ასათიანი 23%, მესამე ადგილზე კომპანია ,,გუდვილის“ ხელმძღვანელი ნინო შევარდნაძე 11,5%. გამოკითხვაში რეიტინგის დასადგენად 14 წარმატებული ქალი იყო წარმოდგენილი, მათი შერჩევა შედეგი კრიტერიუმების მიხედვით განხორციელდა: 1. ქალები, რომლებიც ფლობენ ბიზნსს; 2. ქალები, რომლებიც მოღვაწეობენ მსხვილი კომპანიის მენეჯმენტში; 3. ქალები, რომლებიც ეკონომიკური პროფილის სამინისტროებსა და უწყებებში არიან პირველი პირები ან მოადგილეები.

მოხარულნი ვართ, რომ საქართველოს ახალი, 2012 წელს არჩეული მთავრობა საუბრობს ქალთა საკითხების გაუმჯობესების შესახებ (ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული მეტად აქტუალური თემა რიტორიკად არ დარჩება). მთავრობის მხრიდან რეალურად მხარდაჭერის შემთხვევაში საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში, მათ შორის ეკონომიკასა და ბიზნეს წრეებში გაიზრდება წარმატებულ ქალთა რაოდენობა, რაც საქართველოს გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით თანდათან უკეთეს პოზიციაზე გადაიყვანს. ასევე სასურველი იქნებოდა, რომ მთავრობას ქალთა შრომითი საქმიანობის ტრადიციული დარგების აღორძინების საქმისათვის შეეწყო ხელი, რაც ისეთ პრიორიტეტულ საკითხებს მოაწესრგებდა როგორიცაა: ეკონომიკის განვითარება და ქალთა წინსვლა. ხელშესაწყობია, განსაკუთრებით რეგიონებში, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი თანამედროვე ისეთი ტიპის პროფესიული სასწავლებლების დაარსება, სადაც ცოდნას ძირითადად ქალები შეიძენენ და დაეუფლებიან ისეთ პროფესიებს როგორიცაა: მზარეული, კულინარი, ფლორისტი, სტილისტი, ძიძა, მკერავი, მაღაზიის კონსულტანტი, დიზაინერი, მედდა, ბებიაქალი და სხვა. აღნიშნული ტიპის პროფესიული სასწავლებლის დაარსების აუცილებლობას იმ თვალსაზრისით მივიჩნევთ მნიშვნელოვნად, რომ ამჟამად არსებული პროფესიული სასწავლებლის უმრავლესობა უფრო მეტად მამაკაცების განათლებაზეა ორიენტირებული. აგრეთვე, რეგიონების განვითარებისათვის მეტად მნშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის სახლკარიდან, ოჯახიდან მოუწყვეტლად პროფესიული განათლების მიღება (სასწავლებლის მოსწავლე სკოლის მერხიდან თავისივე რეგიონში გააგრძელებს სწავლას, დაეზოგება ბინის გადასახადი, არ მოწყდება მშობლიურ კერას, იქვე, თავისივე სოფელსა თუ რაიონში დასაქმდება), რაც ვფიქრობთ, შემდგომში ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

იმედი გვაქვს, რომ ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, თანამედროვე ტიპის პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულები როგორც თბილისისათვის, ასევე რეგიონებისთვისაც მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და წინსვლისკენ ორიენტირებული კადრები იქნებიან, რომლებიც მცირე და საშუალო დონის საწარმოებში უფრო ადვილად და მოკლე დროის მონაკვეთში დასაქმდებიან, ან მცირე საწარმოებს თვითონ დააარსებენ. მათი კვალიფიკაცია ხელს შეუწყობს საწარმოების განვითარებას, რაც თავისთავად ეკონომიკის ზრდის საწინდარია. მცირე და საშუალო საწარმოების სწრაფი განვითარების კვალდაკვალ ქალებს გაუჩნდებათ სტაბილურობისა და სიმყარის შეგრძნება, სამუშაოს დაკაგვით გამოწვეული სტრესის არარსებობა მათ რენტაბელურობასა და კადრების ძირითადი ბირთვის ერთ სამუშაო ადგილზე

დაკავებას გამოიწვევს, კარიერული წინსვლის მოტივაციაც გაძლიერდება.

სტატიით დაინტერესებულ ზოგიერთ მკითხველს შესაძლოა გარკვეული სკეპტიციზმი გაუჩნდეს, თუ რამდენად შესაძლებელია რიგითი მცხობელი, მკერავი, მაღაზიის კონსულტანტი თუ სხვა, გახდეს წარმატებული ადამიანი. მონდომებისა და პროფესიული ცოდნის ქონის შემთხვევაში კარიერული წინსვლა ნამდვილად შესაძლებელია, ამის ნათელი დადასრუტებაა ზემოთ ნახსენები, საქმიან ქალთა რეიტინგის სათავეში მდგომი ბელა ქაძანია. მან ბიზნესი მე-20 საუკუნის 90-იან წლებში წამოიწყო, ტორტების შეკვეთებს სახლში იღებდა, მომხმარელის რაოდენობის გაზრდის შემდეგ პროდუქტის შეტანა სახლის მახლობლად მდებარე მაღაზიებში განაგრძო. პირველი საცხობი და მაღაზია ფალიშვილის ქუჩაზე განათავსა, ტორტს ნამცხრები დაამატა. მძაფრი კონკურენციის მიუხედავად, თავდაუზოგავი შრომის, პროდუქციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისა და ინოვაციების დანერგვის საფუძველზე, ქალბატონმა ბელამ შექმნა საკონდიტრო მაღაზიების ქსელი ,,ბელა". ამჟამად ,,ბელას" თბილისში 5 მაღაზია, 1 დიდი და 1 მინი საცხობი აქვს, სადაც საფირმო ტორტის გარდა მზადდება შოკოლადის, ხილის ტორტები, სამარხვო ნამცხვრები და სხვა ნუგბარი, პროდუქტის ღირებულება სტაბილური და ხელმისაწვდომია. აქვე დავძენთ, რომ სხვადასხვა სფეროში მომუშავე წარმატებული ქალების ისტორიიდან მრავალი ანალოგიური მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი, მაგრამ სტატიის მოცულობის ფორმატი არ გვაძლევს ამის შესაძლებლობას.

ქალთა წინსლის, გაძლიერებისა და გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობეზე დანიშვნის ხელშესაწყობად სხვადასხა ორგანიზაციები ატარებენ ტრენინგებს, მართავენ სემინარებს, ,,ვორკშოფებს''. ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ქალთა წინსვლის ხელშესაწყობად ჩვენც გადავდგით ქმედითი ნაბიჯები: კერძოდ, 2012 წელს დავაარსეთ საქართველოს ტექნიკურ უნივესიტეტთან არსებული „გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრი" (ცენტრის ერთ-ერთი მიმართულებაა ტრენინგების ჩატარება შემდეგ თემატიკაზე: გენდერი, ქალთა უფლებები, კრიზისული პროცესების მართვა, ლიდერობა და სხვა) და ,,ტექსტილისა და ტყავის ნაწარმის სამეცნიერი-სასწავლო კველევითი ცენტრი" (ცენტრის ბაზაზე დაარსდა თნამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამკერვალო საწარმო, სადაც ხორციელდება ქალთა გადამზადება, ჭრაკერვის შესწავლა, კურსდამთავრებულებს გადაეცემათ სერტიფიკატი). ვფიქრობთ , აღნიშნული ქმედებებით მცირე წვლილს ჩვენც შევიტანთ ქალთა საკითხების მოგვარების რთულ საქმეში.

ლიტერატურა

1. WWW.geostat.ge
2. ჯაში. ჩ. „გენდერული ეკონომიკის აქტუალური საკითხები" თბ. 2005. გვ. 51-52
3. Вихтерих К. Женщины в гсловиях глобализации, Москва, 2005.

Maia Kipiani, Associate Professor of GTU
Ketevan Kveselava, Assistant Professor of GTU

Gender: concerns and perspectives

SUMMARY

The article refers to some aspects of woman's employment and carrier advancement, discusses the priorities of female professions and fields. Here are described the State Department Statistics percentage of woman unemployment rate of the year 2011. It is noteworthy to mention that according to the statistics of "Tbilisi (BPI) the Economist" in 2012, the economic opportunities for women are very low. What's more, among the world's 128 states Georgia is on the 28th place. The article highlights that the thesis that - the most important things for woman are to up bring and educate her children, family obligations and after all other activities still remains relevant. However, today's reality shows us a very different picture, beside that woman takes care of the house, at that very time she is busy at work too. In comparison with the men they are busy doubly, but still they do not complain about it. Furthermore they look for the job and are concerned about the pitfalls in the women's career advancement. As well as the article shows the informational portal "BPI" poll's results about the top successful women of the year 2013. Article gives recommendations about the support of female's professional education, employment and career advancement, the promotion of women in the economic sphere and regional development. There is highlighted in article that in 2012 at the Georgian Technical University were founded two centers - a «Research Center for Gender Equality» and a " Research Center for Textile and Leather Products" it is a certain kind of opportunity to solve a gender issue.

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი

რეცენზია
პროფესორ ლოიდ ქარჩავას წიგნზე _ „კომუნიკაციები საერთაშორისო ბიზნესში“

ბადრი ცხადაძე, *სტუ-ს აისტენტ-პროფესორი*

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ლოიდ ქარჩავას წიგნი, რომელიც, როგორც სათაურიდან ჩანს, საერთაშორისო ბიზნესის აქტუალურ საკითხებს ეხება, კერძოდ, კომუნიკაციის როლსა და მნიშვნელობას საერთაშორისო ბიზნესურთიერთობებში, ახლახანს გამოცემული სახელმძღვანელოა. წინამდებარე სარეცენზიო სახელმძღვანელო ფაქტობრივ სალექციო კურსია, რომელშიც ძირითადად ზოგადთეორიული რაკურსით წარმოდგენილია კომუნიკაციის არსი და მისი ეტაპობრივი განვითარება ფორმებისა და სახეების კლასიფიკაციის ჩვენებით, იმავდროულად, ქართული ენის მასალებზე დაყრდნობით, განხილულია პრაქტიკული საკითხებიც. როგორც წიგნის ანოტაცია გვამცნობს, სალექციო კურსი განკუთვნილია ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტებისათვის, ასევე ბიზნესის პრობლემატიკით დაინტერესებული მეცნიერი-მკვლევრებისა და პრაქტიკოსი ეკონომისტებისათვის.

სარეცენზიო წიგნის რედაქტორია ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს სრული პროფესორი **თეიმურაზ შენგელია**, ხოლო რეცენზენტები არიან: **ავთანდილ ჩუთლაშვილი** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, **რევაზ გველესიანი** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს სრული პროფესორი და **სლავა ფეტელავა** – ეკონომიკის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სარეცენზიო წიგნი შედგება წინასიტყვაობისა და 14 თავისაგან. ბოლოში დართული აქვს ბიბლიოგრაფია, რამდენიმე დანართი და წიგნის ავტორის პერსონალია (ბიოგრაფიული მონაცემები).

წიგნი, როგორც ჩანს, სილაბუსის მიხედვითაა აგებული, რადგან, როგორც ზემოთ ვახსენეთ, 14 თავისაგან შედგება. ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება, აქვე წარმოვადგინოთ ამ თავების ჩამონათვალიც. ესენია (მოგვყავს უცვლელად ავტორისეული დეფინიციით):

- კომუნიკაციების არსი და მისი როლი საერთაშორისო ბიზნესში;
- კომუნიკაციების განვითარების ეტაპები;
- წერილობითი კომუნიკაციები საერთაშორისო ბიზნესში;
- ვერბალური (ზეპირი) კომუნიკაციები საერთაშორისო ბიზნესში;
- ვიზუალური, ხმოვანი და ინტეგრირებული კომუნიკაციები საერთაშორისო ბიზნესში;
- ბიზნესკომუნიკაციების სახეები და საშუალებები;
- ინტერნეტის განსაკუთრებული როლი საერთაშორისო ბიზნესში; კომუნიკაციების კულტურა საერთაშორისო ბიზნესში;
- პიროვნული ურთიერთობების როლი საერთაშორისო ბიზნესში;

PR-კომუნიკაციები საერთაშორისო ბიზნესში; რეკლამა და ბრენდინგი, როგორც საერთაშორისო კომინაკაციების მარკეტინგული სფერო; საერთასორისო ბიზნესკომუნიკაციების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე; საქართველოს სამთავრობო პოლიტიკა კომუნიკაციებთან მიმართებაში და მისი გავლენა ქართულ ბიზნესზე საერთაშორისო ბიზნესურთიერთობებში; ბიზნესკომუნიკაციების განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში.

ბიზნესი და ბიზნესურთიერთობები კაცობრიობის თანამდევი ფორმა- და სახეცვალებადი პროცესია, რომელიც დღეს, საინფორმციო ინდუსტრიის ეპო-

ქაში, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, კომუნიკაციის კუთხითაც, არნახულად ვითარდება. ინფორმაციის დაუმახინჯებლად, დროულად, მყისიერად და თავისუფლად მიღება-გადაცემა ბიზნესის წარმატებით განხორციელების საწინდარია, რადგან მომხმარებლისა და მიმწოდებელის ურთიერთობა, თუნდაც ტელეფონით ან ინტერნერტით, ქალაქში თუ ქალქგარეთ, ქვეყნის შიგნით თუ მსოფლიოს მასშტაბით და ონლაინ რეჟიმით (on line – ხაზზე) ბევრად განაპირობებს ცალკეული ბიზნესის, საზოგადოებისა თუ ქვეყნის განვითარებას.

ასეთ ფონზე განსაკუთრებულ როლს თამაშობს კომუნიკაცია – საერთაშორისო ბიზნესურთიერთობა, რომელიც არა მარტო ტექნიკურ საკომუნიკაციო საშუალებებს გულისხმობს, არამედ ადამიანურ და ცივილიზებულ რესურსებს, კულტურულ-ეთიკურ ღირებულებებს.

ამიტომაც, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ტიპის სახელმძღვანელოების შექმნას, როგორიც გახლავთ ლ. ქარჩავას „კომუნიკაციები საერთაშორისო ბიზნესში", მით უფრო, როცა ჩვენში მსგავსი ტიპის სახელმძღვანელოებით განებივრებული არა ვართ – ძალზე მცირეა და რაც გვაქვს, იმასაც საზოგადოების უმეტესი ნაწილი არ კითხულობს, არ კითხულობენ არათუ ე. წ. „ადგილობრივი ქართველი ბიზნესმენები", არამედ ე. წ. სახელმწიფო მოღვაწეებიც – პოლიტიზებული ბიზნესმენები, პარლამენტარები, მინისტრები – უწიგნურობას მოუცავს ყოველი სფერო – სამხედრო თუ სამოქალაქო, განსაკუთრებით „დემოკრატიის კაკაფონიის ფონზე" თავისი უწიგნურობითა თუ ნაკლებწიგნიერებით, გაუმართავი, „ჩიქორთული" ქართულით, ნახევარფაბრიკატულობით ყველაზე მეტად თავს გვამახსოვრებენ ტელეჟურნალისტები, საერთოდ, მასმედია, საჯარო სამსახურის მოხელენი. კომუნიკიცია, ურთიერთობა ხომ მშობლიური, სალიტერატურო და სახელმწიფო ენის ღრმად დაუფლების გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია. ჟურნალისტები და ე. წ. გუშინდელი „ლაბორანტები და „მეპერაშკეები" – საჯარო სამსახურის მოხელეთა დიდი ნაწილი, თავიანთი დილეტანტური მიდგომით, „ძაან", „ვეუბნევი", „მიცვალებული გვამი"-ს ლაპარაკით, „ახალი ამბები კეთდება აქ"-ის ყოველდღიური ძახილითა და ტელეგადაძახილით კიდევ უფრო გვიმტკიცებენ იმის რწმენას, რომ რაფირინებული, დახვეწილი ეტიკეტისა და საქმიანი კომუნიკაციის მიმართ მწყრალად არიან. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება ერთი ფაქტი, რომელიც აშშ-ში საქართველოს მთავრობის დელეგაციას გადახდა – საქართველოს ამჟამინდელი ყავლგასული პრეზიდენტის, ქართველური იდენტობის მომშლელის, ქართული მიწების გამყიდველის, გამჩუქებლისა და დამქუცმაცებლის მიხეილ სააკაშვილის ვიზიტისას რომ ვიხილეთ ჩვენივე ტელევიზიით – როდესაც ერთ-ერთმა ქართველმა თინეიჯერმა ჟურნალისტმა ჯორჯ ბუშს, ინტერვიუს აღებისას, მიკროფონი მილიმეტრულად მოკლე მანძილზე სამეტყველო აპარატთან ისე ახლოს მიუტანა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი იძულებული შეიქნა, მიკროფონისათვის ხელი აეკრა – გვერდზე გაეწია – ამერიკის პრეზიდენტმა მიკროფონის „პირში ჩაჩრა" ქართველ თინეიჯერ ჟურნალისტს არ აპატია – უხმოდ, ჯენტლმენური ჟესტიკულაციით, პერსონალური შენიშვნა მისცა, რითაც საჯაროდ, ხატოვნად რომ ვთქვათ, სიმბოლურად „ალიყური გააწნა".

ასეთი „აყვავებულ-დაყვავებული" დილეტანტი ჟურნალისტები, ახლად გამომცხვარი პოლიტიკანები, მოპოლიტიკო ნუვორიშები, იურისტები, დიპლომატები და ბიზნესმენები საქართველოს, სამწუხაროდ, მრავლად ჰყავს (იხ. ამის შესახებ ჩვენი სპეციალური კრიტიკული წერილი: ბოლო სადღეგრძელო ჩვენში პოპულარული სიმღერის ხმაზე „აყვა-ვე-ბულ-ა დილე-ტანტი-ზმი". „მწერლის გაზეთი", მარტი-აპრილი, 2013). **ამიტომ ლ. ქარჩავას სახელმძღვანელო** წიგნი არა მარტო სტუდენტებისათვის, არამედ ზემოთჩამოთვლილი საჯარო და „სახელმწიფო" მოხელეთათვისაც არის განკუთვნილი, რომელთა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა „წაჯექ-უკუჯექობამ" (ილია ჭავჭავაძის ტერმინია), „ნულოვანმა ტოლერანტობამ", ქართველ ერზე თავსმოხვეული მახინჯი საარჩევნო კოდექსითა და კამპანიათა წყალობით „საპარლამენტო ბუტკაში" შესვლამ და იქ ჯდომამ – თბილისურმა და ქუთაისურმა პოლიტ- და ეკონომიკურმა საუბრებმა თუ ცხარე და უხეშმა, აგრესიაში გადაზრდილმა დებატებმა ქვეყანა დაღუპვის პირას მიიყვანა – დაკარგულ ტერიტორიებს დაკარგული მილიონები და უცხოეთს გადახვეწილი მოქალაქენი შეჰმატა – ახლად ასფალტდაგებული გზებითა და სხვა ინფრასტრუქტურით „ცვრიანბალახიანი მამული" სეპარატისტებს და ზედამდგომლებს კაპიტულანტურად გადაულოცა, ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც...

ამრიგად, საქართველოში მასობრივი დილეტანტიზმის, საგანმანათლებლო ცრურეფორმისა და საჯარო სკოლის მოსწავლეთა, სტუდენტის ნახევარფაბრიკატად მომზადების პროცესში, კვლავ ვიმეორებთ, მსგავსი წიგნების დაწერა და მომზადება მისასალმებელია.

„სალექციო კურსის'' ავტორი ზედმიწევნით, თანამიმდევრულად განიხილავს მრავალმხრივი საქმიანობის კომუნიკაციის სახეობებს (ინტერპერსონალური კომუნიკაცია, ჯგუფური კომუნიკაცია, მასობრივი კომუნიკაცია, შიგასაწარმოო (ლოკალური) კომუნიკაცია, წერილობითი კომუნიკაცია, ვერბალური კომუნიკაცია...), ასევე ბიზნესკომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს (ტელეფონი, ფაქსი, ინტერნეტი, ელექტრონული ფოსტა, რადიო-ტელევიზია, ბეჭდური მედია, სატრანსპორტო საშუალებები და სხვ. **შენიშვნა:** სამწუხაროდ, ავტორს გამორჩენია ფაქსის წარმატებით შემცვლელი და კიდევ უფრო ნეოლოგიური სხვა მობილური საშუალებები, როგორიცაა: სკაიპი და ტვიტერი...).

პედაგოგიური თვალსაზრისით, სახელმძღვანელო წიგნის ერთგვარ სიახლედ მიგვაჩნია ყოველი თავის ბოლოს დართული ავტორისეული საკონტროლო კითხვები, თუნდაც, მაგალითად:

1. **რა არის კომუნიკაცია?**
2. **რას გულისხმობს ტერმინი „ბიზნესკომუნიკაცია''?**
3. **კომუნიკაციის რა სახეები არსებობს ბიზნესში?**
4. **დაასახელეთ ბიზნესის კომუნიკაციის ფორმები;**
5. **რამდენი ძირითადი სახე არსებობს კომუნიკაციური საშუალებებისა?**
6. **რა და რომელი კომპონენტებისაგან შედგება კომუნიკაციის პროცესი?**
7. **რას შეისწავლის ბიზნესკომუნიკაცია, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური და ბიზნესადმინისტრიტრების მეცნიერების ერთ-ერთი ქვედარგი**? და სხვ.

ფაქტობრივ აქ ჩამოთვლილი საკონტროლო კითხვები, დღეს საუნივერსიტეტო საგნობრივი სწავლებისას ჩვენში დანერგილი და პოპულარული, ერთგვარი „ტესტებია'', რომელთა საგანმანათლებლო სივრცეში შემოღება და ადაპტირება ყველა დისციპლინის სწავლებისას, ჩვენი აზრით, აუცილებელია.

წიგნის ავტორი გამოწვლილვით განიხილავს ვერბალური და არავერბალური კომუნაკიციების არსს. სათანადოდ მოშველიებული სქემებით, ნიმუშებითა და მაგალითებით სტუდენტს ახედებს საქმიანი კომუნიკაციის პრობლებათა სიღრმეში, აფართოებს მის ცოდნით თვალსაწიერს, ყურადღებას მიაპყრობს ვიზუალური მოქმედებისას თავჩენილ სხვადასხვა არასასურველ, უეთიკო და უეტიკეტო ქცევას, ინდივიდის პირადულ და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს, იქვე, ფაქტის ანალიზის საფუძველზე, ნაკლის გამოსწორების მიზნით, გვთავაზობს არაერთ კონკრეტულ და საგულისხმო რჩევას.

სახელმძღვანელოს ზოგიერთი ავტორი რატომღაც გვერდს უვლის გამოყენებული და რეკომენდებული სამეცნიერო ლიტერატურის დასახელებას. მეტიც – ცდილობენ მხოლოდ საკუთარი ნაშრომების გაჯერებით სახელმძღვანელოს დაწერა-შექმნას. სარეცენზიო „სალექციო კურსის'' ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისივე პრაქტიკული და თეორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, წიგნი საინტერესოდ იკითხება, სტუდენტი და კოლეგა, მეცნიერი აქ იპოვის არაერთ საინტერესო კითხვასა და მასზე გაცემულ პასუხს. როგორც სახელმძღვანელოს დართული ბიბლიოგრაფიიდან ვიგებთ, პროფ. ლ. ქარჩავას გამოუყენებია ქართველ და უცხოელ მკვლევართა 227 დასახელების ნაშრომი (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე) ინტერნერტწყაროების ჩათვლით. მეტიც: ავტორს რომელიმე წიგნის რედაქტორის წინასიტყვაობაც არ გამორჩენია და სათანადოდ გაუანალიზებია და დაუმოწმებია, მათ შორის ჩვენიც.

ჩვენ წინაშეა პროფესიული განსჯითა და ეთიკით შესრულებული სახელმძღვანელო, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს როგორც სტუდენტებს, ისე ბიზნესკომუნიკაციით დაინტერესებულ ყველა პირსა და პიროვნებას, როგორც დამწყებ ბიზნესმენს, ისე სერვისმენეჯმენტში ჩართულ რიგით მომხმარებელს, დამწყებ, ბიზნესის გზაზე შემდგარ თუ გაწაფულ და გაწვრთნილ ბიზნესმენს. როგორც ვიცით, ბიზნესს, როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგებით, საზღვრები არ გააჩნია – საერთაშორისო ბიზნესი ხომ იმავდროულად ადგილობრივ, ლოკალურ ბიზნესურთიერთობებსაც გულისხმობს საქონლის მიმწოდებლისა და კლიენტურის ჩათვლით.

ჩვენში, საქართველოში, წიგნები, სამწუხაროდ, არაერთი ხარვეზით და ადვილად გამოიცემა, აქ, ამ შემთხვევაში, უპირველესად, წიგნის ენობრივ მხარეს, თხრობის სტილს ვგულისხმობთ. გამონაკლისი არც ეს სარეცენზიო სახელმძღვანელოა. მიუხედავად იმისა, რომ ლ. ქარჩავას „სალექციო კურსს'' სოლიდური რედაქტორი და რეცენზენტები ჰყავს, როგორც ჩანს, სტილისტურ-გრამატიკულად იგი არავის წაუკითხავს, საბოლოოდ გამოცემისას თვით ავტორსაც კი. ამიტომ, სარეცენზიო სახელმძღვანელო წიგნის შემდგომში ხელმეორედ და უკეთ გამოცემის მიზნით, ავტორს რამდენიმე შენიშვნა-სურვილს წერილობით აქვე მივაწვდით.

1. რადგანაც წიგნს სათაურად გატანილია „კომუნიკაციები საერთაშორისო ბიზნესში'', ამიტომ I, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X თავებში წინადადებების ბოლოს დართული სიტყვათშეხამება **„საერთაშორისო ბიზნესში"** სტილისტურად სრულიად ზედმეტია, ასე რომ წიგნის ხელმეორედ გამოცემისას ავტორმა ეს

სინტაგმა (resp. სინტაქსური წყვილი) უნდა ამოიღოს (შეელიოს), რადგან სამეცნიერო ტექსტში, სტილური თვალსაზრისით, გამეორება შეცდომაა – სტილისტიკური ხარვეზია და არა მხატვრული ხერხი.

2. ავტორი წიგნის ბოლო გვერდზე გვაუწყებს: „წიგნი აეწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „ლოი"-ს კომპიუტერულ ცენტრში" (გვ. 328). სამწუხაროდ, წიგნი მართლაც რომ „აეწყო კომპიუტერულ ცენტში" და არა გამომცემლობაში, „ლოი"-ს როგორც გამომცემლობის ფუნქცია, როგორც ჩანს, ამით ამოიწურა, რადგან წიგნს არც კორექტორი ჰყოლია და არც სტილური რედაქტორი, თვით დაკაბადონებაც ალაგ-ალაგ, ზოგიერთ გვერდზე, მოიკოჭლებს. ამიტომ წიგნის ყოველ გვერდზე რამდენიმეგზის გვაქვს არაერთი კორექტურული შეცდომა (გვ. 21, ეტეპი, გვ. 49 გდაეცემა, მისამრთის მიწერა, გვ. 53, ფინასნთა მინისტრი, გვ. 55, გვ. 114 ჩვენს მიერ), გაუმართავი ან კალკირებული ფრაზა, დაუხვეწავი სტილი.

ჩვენი შენიშვნა რომ უფრო ნათელი და კონკრეტული გახდეს, საილუსტრაციოდ რამდენიმე ნაწყვეტს დავიმოწმებთ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როცა წიგნის, როგორც სახელმძღვანელოს პრეტენზიულობას და მის აქცენტირებას ვახდენთ „სალექციო კურსის" სახით, მით უფრო ბიზნეს-ადმინისტრირების სტუდენტისათვის განკუთვნილს, იგი უშეცდომო და გამართული უნდა იყოს – დაზღვეული ყოველგვარი ცდომილებისაგან. მაგალითად, სტილისტურად გაუმართავია ფრაზაა: *„მეხუთე, კომპიუტერისა და ტელეკომუნიკაციების გამოგონება, რომელიც **თავის თავში** მოიცავს **სხვადასხვა კლასის კომპიუტერების** შექმნას, რომელთაც წამში ასობით მილიონი და მილიარდი ოპერაციის გაკეთება **შეუძლიათ**. მძლავრ დამამახსოვრებელ მოწყობილობებს, რომლებიც ასობით ათას გიგაბაიტს **ითვლიან,** შემდგომი განვითარების საზღვარი არ უჩანთ"* (გვ. 21). სამწუხაროდ, აქ იმდენი შეცდომაა, რამდენიც წინადადებაც. სტილი უხეიროა და გასარანდი, რადგან მთელი აბზაცი უცხოური ენის (რუსული) სინტაქსის სიტყვათგანლაგებითა და წესწყობითაა შექმნილი და არა ქართულით. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაკაბადონებული ტექსტი არათუ გამომცემლობის სტილურ რედაქტორს, საბოლოოდ თვით წიგნის ავტორსაც კი არ წაუკითხავს. მსგავსი მაგალითები უხვად და მოჭარბებულად ლამის ყოველ გვერდზეა, ამიტომ სხვა ნიმუშების დამოწმებისაგან აქ თავს შევიკავებთ, მაგრამ ერთი რამ კი ყველა ავტორს და გამომცემელს, აქვე, „ანბანური ჭეშმარიტება" უნდა შევახსენოთ: კომპიუტერული ცენტრი არ არის გამომცემლობა, არც მხოლოდ გამომცემლობაა პასუხისმგებელი წიგნის ხარისხზე.

3. რუსულენოვანი კალკებია: „კონტროლზე აიყვანება" (გვ. 51); „კონტროლზე აყვანილი წერილები" (იქვე, გვ. 51), „კონტროლზე აყვანილი დოკუმენტი" (იქვე, გვ. 51), „აკეთებს რეზოლუციას" (გვ. 49), „კონტროლზე აყვანა" (გვ. 52), „წინააღმდეგ შემთხვევაში" (გვ. 112), „უშვებს ორმაგ განმარტებას" (გვ. 112), „საქმე იმაში გახლავთ" (გვ. 121) და ა. შ.

4. გვაქვს გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომებიც, წერითმეტყველებისას ჩართულია ზეპირმეტყველებითი სტილის შემცველი წინადადებები, როგორიცაა: 1. „იგივე წესით" (გვ. 49), „იგივე პრინციპით" (გვ. 52), „ლაკონური" (გვ. 53), სხვადასხვა ვარიანტები (გვ. 113), დაინტერესებულები არიან (გვ. 113) და მისთ.

.5. უხეირო და წარუმატებელი, ქართული ენის ბუნებას ხელოვნურად თავსმოხვეული ტერმინოლოგიური და ტერმინშემოქმედებითი მახინჯი ნეოლოგიზმია **„მტრედოგრამა"** (იხ. გვ. 26. „ტერმინი" ნაწარმოებია ***ფონოგრამის*** და მისთ. ანალოგიით, სადაც **ო** ვოკალი ამ შემთხვევაში მართლაც უცხო ენის [სიტყვის]ეულია, „ქართული" მტრედოგრმა კი სიმბიოზურ-ჰიბრიდული: **მტრედ+ო+გრამა**).

6. აქ არაფერს ვამბობთ ერთსა და იმავე წინადადებაში ან აბზაცში გამეორებულ ერთსა და იმავე სიტყვაზე, რაც ავტორის ენობრივი და ლექსიკური მარაგის სიმწირის მაჩვენებელია;

კვალიფიკაციურ და საქმეში ღრმად ჩახედულ ეკონომისტებს და ბიზნესკომუნიკაციებით დაინტერესებულთ ჩვენგან არ ესწავლებათ, რომ დამზადებული და გასაყიდად გამზადებული ნივთი, კოსტომერიზაციის თვალთახედვით, უზადო და მიმზიდველი უნდა იყოს, თორემ უმეტეს შემთხვევაში ორიენტირებულ მომხმარებელს დავკარგავთ. ასე რომ საზოგადოებისა და მომხმარებლის წინაშე გამოტანილი წიგნი აზრობრივად, ფორმობრივად და შინაარსეულად – ერთობილად მიმზიდველად უნდა გამოიყურებოდეს.

ნუ დავუკარგავთ წიგნს პეწს, გემოვნებიან და მომზადებულ მკითხველს.

მეურნე ილიასეული გონების თვალით
პაატა კოღუაშვილის წიგნის „ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალით“ შესახებ

გიორგი მოლაშხია, სტუ-ს სრული პროფესორი
ალექსანდრე სიჭინავა, სტუს-სრული პროფესორი

გონების თვალი, ფიზიკური გარემოს აღმქმელისაგან განსხვავებით, სივრცისა და დროის უკიდეგანო ჭვრეტის ძალას ფლობს. მისი არე მით უფრო ფართოა, რაც უფრო ძლიერია გონება. დიდი ილიას გონების თვალი იმითაა განსაკუთრებული, რომ ის წარსულის თუ მომავლის მოვლენებს ძირში წვდება, უმთავრეს ტენდენციებს ნათლად ჭვრეტს. ამიტომაცაა, რომ მისი ნააზრევი დროის მიჯნებს სცდება და მძლავრი ძალის ჭშმარიტებას არ კარგავს, თაობათა ცხოვრების წიგნად რჩება.

ილია განსაცვიფრებლად მასშტაბური, მრავალმხრივი მოაზროვნე იყო, რაც მისი მხატვრული ქმნილებებით, ბასრი პუბლიცისტური კალმით, კრიტიკული ნაშრომებით, ფილოსოფიური, სოციოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტოლოგიური კვლევებით, პრაქტიკული საზოგადოებრივი მოღვაწეობით ვლინდება. მათში მზის შუქივით ჩანს გენიალური პირონება, ბრძენი, ღრმა პატრიოტიზმთან ეროვნულობასთან შეწყვილებული, საკაცობრიო იდეების მოღადღადე გიგანტი მოაზროვნე, დიდ დემოკრატი, ყველა ადამიანის მეგობარი, თანამგრძნობი, მეჭირნახულე.

ილიას სიდიადე ნათლად გამოჩნდა ცხოვრების მიერ წამოჭრილი ყველა თემისადმი მის დამოკიდებულებაში, როგორიცაა: ცხოვრების საზრისი, ადამიანის თავისუფლება, სამართლიანობა, სამშობლოს სიყვარული, ადამიანთა შორის ურთიერთობები, სოციალური ფასეულობები, ეკონომიკური, ყოფითი პრობლემები. ილიას ნააზრევში და პრაქტიკულ მოღვაწეობაში ერთერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს სოფლის მოწყობა, მისი ყოველმხრივი განვითარება, სოფლის მეურნეობის პროგრესი, ქართველი მეურნე კაცის ღირსებები და ხვედრი.

აგრარული ეპოქის შვილი, რომელიც ნათლად ხედავდა მის სამშობლოში, ახალი ინდუსტრიული ტალღის შემოტევას გარდამქმნელ როლს, გვასწავლის, რომ სოფელი უკვდავია, მისი ადგილი შეუძლებელია გაქრეს კაცობრიობის ცხოვრებიდან. ყველა ერი, ქვეყანა, მათ შორის საქართველო, იმდენად მოაწყობს ბედნიერ ცხოვრებას, რამდენად დროის შესაბამისად წელში გამართული, კეთილმოწყობილი, განვითარებული სოფელი ექნება. ისევე როგორც მუდამ დასჭირდებათ ადმიანებს საკვები, თავის მნიშვნელობას არ დაკარგავს სოფელი და სოფლის მეურნეობა. ილია გვმოძღვრავს, რომ სოფელი არაა მხოლოდ სასურსათო პროდუქტების წარმოება, ის ხალხის, საკაცობრიო ცხოვრების შენაკადია, ცხოვრების წესის, კულტურის ნაწილია.

სოფლისადმი დიდი ილიას დამოკიდებულებას, მისი იდეების თანამედროვე ჟღერადობას, ნებისმიერი ჩვენგანი – ქალაქელი თუ სოფლელი, საქმიანობის ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელი, მათ შორის ხელისუფლებისა, ღრმად უნდა აცნობიერებდეს. ამ მიზანს ემსახურება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქარველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ პაატა კოღუაშვილის ახალი წიგნი.

ილიაზე, მის შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე იმდენად ბევრია დაწერილი, რომ ერთი ადამიანის ცხოვრება არც კმარა მათ წასაკითხად. თითქოს ძნელია ახალი სიტყვა ითქვას. სამწუხაროდ, ილიას სხვადასხვაგვარად გებულობენ, ხშირად საკუთარ შეხედულებებს გადმოგვცემენ მის აზრებად. ილიას ზოგიერთები წარმოგვიდგენენ მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწედ, დროის ჩარჩოში ან ქვეყნის ერთი კუთხის, თუნდაც ერთი ქვეყნის ფარგლებში მოქცეული მოაზროვნედ. ამარტივებენ, სიღრმის გარეშე წარმოგვიდგენენ მის შეხედულებებს, მემკვიდრეობას. ამიტომ დღესაც მნივნელოვანია მართალი, დროის შესატყვისი ჟღერადობით გადმოცემული ილიას ნაფიქრალი და ნაღვაწი.

სწორედ ასეთია პროფესორ პაატა კოღუაშვილის წიგნი ილიაზე, რომელიც უმთავრესად ილიას სოფლისადმი, სოფლის მეურნისადმი დამოკიდებულებას ეძღვნება. მაგრამ ავტორი არ კმაყოფილდება ამ ასპექტით და არც შეიძლებოდა სხვანაირად. ეს თემა გადმოცემლია ილიას, როგორც მოაზროვნისა და მოღვაწის, მთლიანობით კონტექტსში. პაატა კოღუშვილის ნაშრომის მთავარი ღირსება, ჩვენი აზრით, ისაა, რომ ილიას აზრები და მოღვაწეობა ფართო ხედვით, სწორედ ილიასეული გააზრებითაა მკითხველისთვის მოწოდებული. ავტორის სტრიქონები დატვირთულია

არა მარტო ილიასეული სიბრძნით, არამედ ემოციებით, განწყობით, გრძნობებით, რაც მათ ცოცხალ ენერგიას ანიჭებს და მკითხველზე ზემოქმედების ძალას მატებს. ჩვენ თვალწინ დგას ილია გონების თვალით დანახული ქართველი გლეხის ამაღლებული ფიგურა: ,, უბრალო გლეხობაა სული და გული ჩვენი ეროვნული იმედები". ილია გვმოძღვრავს: ,,გლეხია ,,ქვეყნის პირველი ნომერი მარჩენალი", ,,ერის ფესვი და რეზერვი". ამაზე ღრმად, ამაზე ადამიანური სითბოთი ვინმეს წარმოუდგენია გლეხი კაცი სადმე?! რამდენად აუცილებელია ყველა – დიდი და პატარა, ჩინიანი და უჩინო აცნობიერებდეს ამას. ბატონი პაატა კი თავისი დამოკიდებულებით სოფლისადმი, ფართო ხედვით, გონებით და უფაქიზესი ადამიანური გრძნობით ნერგავს გლეხკაცის როლის ამ ღრმა გაგებას.

პაატა კოღუაშვილმა ილიას ნააზრევებიდან განსაკუთრებით გამოყო ის პრობლემები, რომლებიც თანამედროვე საქართველოს სოფლის განვითარების საკვანძო გამოწვევებთან უშუალო კავშირშია. მათი სწორად გადწყვეტის გარეშე სოფლისა და ქვეყნის განვითარება ვერ შედგება. ისინი ეხმიანება თანამედროვე განვითარების ხარვეზებს, სიმწვავესა და გამოწვევებს.

აქ პირველ რიგში უნდა ითქვას სოფლად სამართლიან საკუთრებით ურთიერთობათა დამკვიდრების შესახებ, რის გარეშე მუდმივი წინააღმდეგობები, დაბრკოლებები იარსებებს და ვერ შეიქმნება კეთილდღეობის საფუძვლები სოფლის მოსახლეობისა და მთელი ქვეყნისთვის. ცნობილია, თუ რა დიდი ზრუნვა და ამაგი გამოიჩინა, იდეური და სამათლებრივი ბატალიები გამართა ილიამ თავის დროზე გლეხის საკუთრებაში მიწის გადაცემასთან დაკავშირებით. მას ნათლად ესმოდა, რომ საკუთრების გარეშე არ არსებობს პიროვნება და პიროვნული თავისუფლება: ,,საჭიროება მოითხოვს, რომ გლეხი მიწის პატრონად შეიქმნას". მიწის საკუთრების, როგორც ადამიანებისა და მთელი ქვეყნისათვის, ეროვნული ინტერესებისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტის საფუძვლად ავტორი სავსებით მათებულად თვლის ილიას თვალსაზრისს. მიწა უნდა იყოს საერთო–ეროვნულ და ქვეყნის მაცხოვრებელთა, მიწის დამუშავებელთა საკუთრებაში. ავტორი ააშკარავებს იმ ულტრალიბერალთა უნიადაგო შეხედულებას, რომლის მიხედვით ნებისმიერ უცხოელს კარი უნდა გაეხსნას ქვეყანაში შემოსასვლელად და მიწის საყიდლად. მიწის დაცვა სამშობლოს დაცვის ტოლფასად უნდა გამოცხადეს. არ კმარა ილიას სახელის ხშირი ხსენება, მის აზრების დეკლარირება, საჭიროა მისი იდეების ჭეშმარიტი გაგება და განხორციელება.

გასაოცარია ილიას ჩახედულობა სოფლის პრობლემებში, განვითარების საკითხებში, მათი მეცნიერული სიღრმით წვდომა, რაც პაატა კოღუაშვილმა მძაფრი ჟღერადობითა და სიზუსტით წარმოადგინა ნაშრომში. ეს ეხება სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურას, ტექნოლოგიურ პროგრესს, კადრებით უზრუნველყოფას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციას, საფინანსო–საკრედიტო ურთიერთობებს, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის, განსაკუთრებისთ ყურძნის გადამუშავებას, პროდუქციის გასაღებას, კვების პროდუქტების იმპორტს, ქართული სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებას. შთამბეჭდავი და საოცრად მიმზიდველია ილიას მიერ სოფლის პრობლემების გადმოცემა არა მარტო ქართული, არამედ ევროპის, ამერიკის და სხვა ქვეყნების მასალების ფართოდ და ღრმა ცოდნით, მდიდარი ინფორმაციის მოხმობით ევროპული წყა-როებიდან და სხვ. ეს იმ ეპოქის ინფორმაციულობის დონის გათვალისწინებით, გაკვირვებასაც კი იწვევს. ილიას შესახებ პაატა კოღუაშვილის ამ ახალ წიგნში ყოველივე ეს დროის სულისკვეთების შესატყვისად აისახა.

ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია საზოგადოებრივი მოწყობის, სისტემის პროგრესულობა, რაზეცაა გამოკიდებული ქვეყნის გამძლეობა, მდგრადობა. ილიას მიხედვით იგი დროის შესატყვისი უნდა იყოს. ამან გადაარჩინა ქართველობა მრავალ გასაჭირს; ,,ჩვენი წყობა ისეთი ყოფილა, რომ იქიდამ ჰქონია ის ძალ–ღონაე, რომლითაც იგი გაძღოლია ამოდენა ვაი–ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში".

ინდივიდუალურად და განცალკევებულად, კარჩაკეტილად ადამიანები ვერ მოაწყობენ თავიანთ ცხოვრებას. ეგოისტური და და უხეში ინდივიდუალისტური მრწამსი ილიასთვის უცხოა. იგი ერთობისაკენ, ადამიანური ურთიერთთანამშრომლობისაკენ მოუწოდებს: ,,ყველამ ერთად და თითოეულმა ცალკე კარგად უნდა იცოდეს, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელი ერისა და ამიტომაც კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელი ერის კეთლდღეობაში". ან კიდევ: ,,ყველამ უნდა დააჩუმოს თავისი ,,მე", საცა სასახელო და სადიდებელი ,,ჩვენ" უნდა ჰღაღადებდს ."ილიას ეს სიტყვები სავსებით შეესაბამება ცხოვრებაზე ერთობით, ურთიერთ თანადგომით გამსჭვავულ ცხოვრების ქართულ მსოფლხედვას, განსხვავებით საკუთარ ნაჭუჭში, ინტერესებში ჩაკეტვის მომხრეებისაგან (თუმცა ასეთებიც, სამწუხაროდ, არიან).

უეჭველია, რომ ილიას მოძღვრების ღრმად ცოდნა და გააზრება დაეხმარა ავტორს ნაშრომის ბოლო ნაწილში მწყობრად, სისტემურად და დამაჯერებლად გადმოეცა საქართველოს სოფლის მეუნეობისა და

მთლიანობაში სოფლის თანამედროვე მდგომარეობა, ეპოქის კონტექტსში წარმოედგინა მათი განვითარების თანმიმდევრული და მეცნიერულ საფუძველზე განმტკიცებული ანალიზი და კონცეფცია. აქ არ შევუდგებით ავტორის ნააზრევის გადმოცემას, ძნელიც არის ამისი მოკლედ გაკეთება. მას მკითხველი თავად უნდა გაეცნოს. გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ შემდეგი.

აუცილებელია ხაზი გაესვას ავტორის მიერ ილიას დიადი მოძღვრების გაცოცხლებას ქართული სოფლის დღევანდელი გამოწვევების ფონზე და მათი გადაჭრის გზების ძიებას ილიასეული სიბრძნის დახმარებით. პაატა კოღუაშვილის ნაშრომი ბოლო ნაწილი, რომელიც ეძღვნება ქართული სოფლის, საერთოდ, და აგრარული პროდუქციის წარმოების, კერძოდ, პრობლემებს, მათ უმწვავეს ხასიათს, ჩიხიდან, კრიზისიდან გამოყვანის გზებს, უთუოდ მრავალგზის აწონილ-დაწონილი, გააზრებული, პროგრამულია. სავსებით დასაბუთებულია ნაშრომში გადმოცემული ქართველ აგრარიკოსთა თვალსზრისი, რომ საქართველოს თავისი ბუნებრივი და ადამიანური რესურსებით შეუძლია 10-12 მლნ ადამიანის სამყოფი სასურსათო პროდუქცია აწარმოოს თანამედროვე ტექნოლოგიების, წარმოების ორგანიზაციისა და ცივილიზებული ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში, მაშასადამე, იყოს ამ პროდუქციის წარმატებული ექსპორტიორიც. ამ ფონზე რაოდენ სავალალოა ქვეყანაში უკიდურესად ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის არსებობა, სადაც ჩაბმული ერთი მუშაკი 2-3 ადამიანის სარჩენ პროდუქციას თუ იძლევა, მაშინ როცა აშშ-სა და ევროპაში დაახლოებით 90-ს არჩენს. სურსათზე ჩვენი მოთხოვნილების 80 პროცენტი იმპორტით რომ კმაყოფილდება, ეს მეტად საგანგაშოც კია.

პაატა კოღუაშვილის ნაშრომში წრმოდგენილი მეცნიერული კონცეფცია და კონკტერულ ღონისძიებთა სისტემა, რომელიც შეეხება აგრარული წარმოების განვითარების, არსებულ ყველა ძირითად ხარვეზს და ყველა მხარეს, ღონისძიებას, სახელმძღვანელოდ უნდა მიიღონ არა მარტო ხელისუფლების ყველა რგოლის, არამედ აგრობიზნესის, მეურნეობის ყველა ტიპის წარმომადგენლებმა, რომელთა საქმიანობის ხარვეზების ერთობლივი შედეგია დღეს სოფლად არსებული სიტუაცია.

ავტორი არანაკლებ ყურადღებას აქცევს მთლიანობაში სოფლის განვითარების საკითხებს, მისი სოციალური ინფრასტრუქტურის, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა, კულტურულ, პოლიტიკური მოწყობის საკითხებს. საგულისხმოა, რომ ეს ასპექტები განხილულია ფართო, სოციალურ-ფილოსოფიური რაკურსით, თანამედროვე აზროვნების დონეზე, ცხოვრების წესის, საერთო–საკაცობრიო ფასეულობათა კონტექსტში.

ავტორს ღრმად წამს კეთილდღეობის, ადამიანთა სიმდიდრის ილიასეული ბრძნული გაგება: ,, რა არის სიმდიდრე? ასში და ათასში ერთის ოქროში ჯდომა, თუ ცოტად თუ ბევრად გათანასწორებული მაძღრობა ყველასი? ჩვენ უკანასკნელი გვგონია და ეგ უკანასკნელია, ჩვენი ფიქრით, ერთადერთი საწყაო ერის სიმდიდრისა.“ სწორედ ესაა ის, რისი გათავისება დღეს ბევრს აკლია და სჭირდება. ამ სულისკვეთებითაა დაწერილი პაატა კოღუაშვილის წიგნი, რაშიც ჩანს მის მიერ ქვეყნის მთავარი საზრუნავის სრულად გაცნობიერება.

ნაშრომის გაცნობა უთუოდ ადვილად მიგვიყვანს იმ აზრამდე თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბრძენი წინამორბედის მოძღვრება, მეცნიერული აზრი ცხოვრების გამოწვევების საპასუხოდ, მათ დასაძლევად და, ამასთანავე, თუ რამდენად საზიანოა, დიდი დანაკარგების შემცველია მათი უგულებელყოფა. აქ შეიძლება მკითხველს გაუჩნდეს აზრი იმის შესახებაც, თუ ვინ უნდა იდგეს საჭესთან ამგვარ პრობლემათა გადაწყვეტისას.

იმედია, ჭეშმარიტება თავის გზას ოდესღაც მაინც იპოვის და თავის ადგილს დაიჭერს, თავის საქმეს გააკეთებს.

ე.ა.დ. თეოლოგიის დოქტორის ჭუთაისის უნივერსიტეტის სრული პროფესორის ნიკოლოზ ჩიხლაძის ახალი ნაშრომი მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები

ალექსანდრე სიჭინავა, სტუ-ს სრული პროფესორი
პაატა კოღუაშვილი, სტუ-ს სრული პროფესორი

საქართველოში სამეურნეო საქმიანობის წარმართვის მსოფლმხედველობრივი და თეორიული საფუძველი ფაქტობრივად ყოველთვის იყო წმინდა წერილი და მასზე დაფუძნებული „სახლმშენებლობა", "სამეურნეო საქმიანობის გაძღოლა". ეს უკანასკნელი უპირატესად მოიაზრებოდა, როგორც მეცნიერება პატიოსანი შრომის, შინამეურნეობებისა და საერთოდ, ეროვნული მეურნეობის საკუთარი ძალებით წარმართვის, სიყვარულით შექმნისა და უპოვართა მხარდაჭერის შესახებ ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე.

სამწუხაროდ, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ზეობის პერიოდში ეკონომიკურ და, საერთოდ, საზოგადოებრივ ურთიერთობებში, ათწლეულების მანძილზე, მიიჩქმალა ქრისტიანულ დოგმატზე დაფუძნებული ქცევის მოდელი. თავის მხრივ, ეს იყო შედეგი მეცნიერების სახელით რელიგიის უარყოფისა, მეცნიერებასა და რელიგიას შორის ღრმა უფსკრულის გაჩენისა, რაც მათი ჰარმონიის რღვევის პროპაგანდით „დაგვირგვინდა" დროებით, ბოროტის სასიკეთოდ.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომებში სულ უფრო მძაფრდება და მყარ საფუძველს იძენს მოსაზრებები იმის შესახებ, რომ წმინდა წერილის მცნებების დარღვევით გამოწვეული ეკონომიკური დეფორმაციები უდიდეს მასშტაბებს აღწევენ არა მარტო სულიერ სფეროში, არამედ მატერიალური წარმოების კუთხითაც. სამართლიანად მიიჩნევენ, რომ თუ მართლმადიდებლები აღასრულებენ და იცავენ ბიბლიურ მცნებებს, ეკონომიკაში პოზიტიური ძვრები განხორციელდება და ქვეყანა სწრაფად განვითარდება.

სწორედ ამ მოსაზრებათა სინთეზი შემოგვთავაზა თავის ნაშრომში „მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები" პროფესორმა ნიკოლოზ ჩიხლაძემ, რომელიც ახლახანს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დასტამბა.

საბაზრო ურთიერთობათა გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე, მეცნიერ-ეკონომისტთა ერთი ნაწილი სავსებით სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ეკონომიკურ თეორიებსა და პრაქტიკულ სამეურნეო საქმიანობაში თითქმის სრულად იყო უგულებელყოფილი ქრისტიანული სარწმუნოების პრინციპები და ზნეობრივი ნორმები. თუკი საზოგადოებრივი წარმოების საბოლოო მიზნად ამქვეყნიური სიამოვნებისა და მაქსიმალური მოგების ნებისმიერი გზით მიღება იქცევა, ასეთ საფუძველზე დამყარებული ეკონომიკის ფუნქციონირება გაღმერთებას, ცოდვების საყოველთაო გაბატონებას, საზოგადოების სულიერ დაცემას და ადამიანთა საბოლოო წარწყმედას გამოიწვევს.

ზოგადად, ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს მართლმადიდებლობაში ძირითადი ეკონომიკური პარალელების გამოვლენასა და მათ სისტემატიზაციაში, რწმენისა და ბიზნესის სინთეზისა და თეოლოგიური ეკონომიკის საფუძვლების ფორმირების აუცილებლობის დასაბუთებაში.

სარეცენზიო ნაშრომში ***დასაბუთებულია,*** რომ რწმენისა და ბიზნესის ჰარმონიული შერწყმა აუცილებელი პირობაა მეწარმე-მართლმადიდებლისათვის. ნაჩვენებია, რომ ეკონომიკური პროცესების მონაწილეთა არარელიგიურობას ან ნაკლებ ღვთისმოშიშობას და ბაზრის ეფექტიანობას შორის უარყოფითი კორელაციური დამოკიდებულება არსებობს. აღნიშნულს კი შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკური ციკლების ვარდნისა და დეპრესიის სტადიების გააქტიურება, კრიზისული სიტუაციები, რაც თავის მხრივ იწვევს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებას, ასევე პირადი შემოსავლების მკვეთრ დიფერენციაციას, ქონებრივ და სოციალურ უთანასწორობას და ა.შ. **გაანალიზებულია** გადასახადების და ბეგვრის მართლმადიდებლური საკითხები. ნაჩვენებია, რომ საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა და კანონმორჩილების გამოვლენა მართლმადიდებელი ქრისტიანის განუყოფელი მოვალეობაა. ეს არის ვალდებულების ფორმირების, თუნდაც გადამხდელის კულტურის ფორმირების აუცილებელი პირობა. **გამოკვლეულია** რესურსების შეზღუდვის ეკონომიკური და მართლმადიდებლური კანონზომიერებები. **შემოთავაზებულია** სულიერ ზრდასა და ალერნატიულ არჩევანს შორის კანონზომიერების ასახვის მოდელი. ამისათვის აგებულია „ზეციური მარგალიტების" ძიების

შესაძლებლობათა მრუდი, რაც ინდივიდების მიერ სხვადასხვა ძალისხმევის და, შესაბამისად, მიღებული სიკეთეების პროპორციულია; წარმოდგენილია ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ეკონომიკური შეხედულებები. ეკონომიკაში მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ურთიერთობების უფალთან სინთეზის ასახვის მიზნით **შემუშავებულია** სივრცული მოდელი, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ სხვა ბლოკებთან და სექტორებთან ურთიერთობას ყველა ძალისხმევით მოგების მისაღებად, არამედ, პირველ რიგში, უფალთან ურთიერთობას და ისეთი საქმიანობის გაწევას, რომელიც უზენაესისაგან იქნება ხელდასხმული. ნაშრომში **აქტუალიზირებულია** მსჯელობა და დასკვნა იმის შესახებ, რომ ქრისტიანულ ეთიკას დაქვემდებარებული მოხმარების ძირითადი პრინციპების პრაქტიკული რეალიზება საოჯახო მეურნეობებსა და რეალურ სექტორში ეროვნული ეკონომიკის სასიკეთოდ გარდაქმნის რეალურ ქვაკუთხედად იქცევა. მოთხოვნის შეკვეცით (დარეგულირებით) და მართებული ეკონომიკური პოლიტიკით შესაძლებელია მომავალში მოვახდინოთ მიმდინარე პროდუქციის დიდ წილის ინვესტირება, რაც უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდის ერთგვარი გარანტია. მონოგრაფიაში **კონსტატირებულია,** რომ საეკლესიო მოღვაწეთა გადაწყვეტილებებს ეკონომიკისათვის გაცილებით სწრაფად შეუძლიათ პოზიტიური შედეგების მოტანა, ვიდრე გრძელვადიან და მათემატიკური პროგნოზირების საფუძველზე გათვლილ „თანამიმდევრულ ღონისძიებებს“. **ხაზგასმულია,** რომ უფლისათვის მისაღებია პატიოსანი, ღვთის მოსაწონი და მისი ხელდასხმით განხორციელებული საქმიანობა. ნაშრომში **შეფასებულია** მევახშეობისადმი მართლმადიდებლური მიდგომა და გავლებულია პარალელი ეკონომიკაში კრედიტების მნიშვნელობასთან. საპროცენტო განაკვეთი ყოველთვის არ არის უბედურების მომტანი - მისი ზომიერი ოდენობა ინფლაციის გათვალისწინებით ეკონომიკისათვის, სამეწარმეო საქმიანობისათვის სტიმულირებადიც კი შეიძლება იყოს.

ავტორის მიერ შერჩეული კვლევის საგანი ზოგადად მოიცავს ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის შესაბამისობას და ძირითადი პარალელების გამოვლენა-დაზუსტებას წმინდა წერილთან, ფსალმუნებთან და წმინდა მამათა გამონათქვამებთან. კვლევის საგანია მართლმადიდებლური და ეკონომიკური სწავლებების კორელაცია რესურსების შეზღუდულობის, შრომისა და სამეწარმეო საქმიანობის, მევახშეობის, მოხმარების, ჩრდილოვანი ეკონომიკის, გადასახადებისა და დაბეგვრის ძირითადი პრინციპების შესახებ. ასეთი კვლევა მოიცავს როგორც სამეცნიერო აგებებსა და დისკუსიებს, ასევე თეორიულ დამუშავებასა და პრაქტიკულ ქმედებებს. კვლევის ობიექტია ეკონომიკური პრინციპები, ურთიერთობები, ფორმები, მოვლენები და კანონზომიერებები მართლმადიდებლური სწავლების ჭრილში, ასევე სამეურნეო და ეკონომიკური პოლიტიკის მართლმადიდებლური გამოცდილება.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია წმინდა წერილი, ფსალმუნები, წმინდა მამათა ცხოვრება და გამონათქვამები, საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრება, ასევე ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების თეორიულ-მეთოდოლოგიური და გამოყენებითი ხასიათის შრომები, გამოკვლევები თეოლოგიური ეკონომიკის მიმართულებით და ამავე პროფილით ჩატარებული სამეცნიერო ფორუმების მასალები. დასმული კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისათვის ავტორი იყენებს კვლევის ისეთ მეთოდებს, როგორიცაა: ლოგიკური, შედარების, ინდუქციის, დედუქციის, ანალოგიის, სტატისტიკური დაკვირვების, ანალიზის, სისტემურ-სტრუქტურული, დაჯგუფების, განმაზოგადებელი მაჩვენებლების, ისტორიული და სხვა თანამედროვე მეთოდები.

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი მონოგრაფია ამ საკითხების ერთ-ერთი პირველი ავტონომიური კვლევაა, რომელიც მიკრო და მაკროეკონომიკის ძირითადი პრობლემების გადაწყვეტას მართლმადიდებლური სიბრძნის პრიზმაში გატარებით გვთავაზობს. ამ მხრივ ნაშრომი წონადი შენაძენია ქართული ეკონომიკური მეცნიერებისათვის.

რა არის ეკონომიკური პოლიტიკა

თამაზ ნუცუბიძე, სტუ-ს ასოსტენტ-პროფესორი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის. სრული პროფესორის მერაბ გველესიანის სარეცენზიო წიგნში „რა არის ეკონომიკური პოლიტიკა“ დასმული საკითები ძალზე მნიშვნელოვანია და მრავალმხრივია არა მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის თეორიისა და პრაქტიკისათვის, არამედ საერთოდ პოლოტოლოგიის, ფილოსოფიის, ისტორიისა თუ სხვა სფეროებში.

წიგნის თემატურ მრავალფეროვნებაზე მეტყველებს მასში განხილული და დასმული საკითხების შემდეგი არასრული ჩამონათვალი”

-ტერმინის „პოლიტიკა“ ქართული ძირი ისტორიული ფაქტებითა და ლოგიკური მსჯელობით განმტკიცებული დასაბუთება;

-ამავე ტერმინის ცნებითი შინაარსის ახალი განსაზღვრება;

-სახელმწიფოს თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის გაჩენის თარიღის დასაბუთება, განვითარების ეტაპების გამოყოფა და სიმწიფის დონის შეფასება;

-ეკონომიკური სტრატეგიისა და ეკონომიკური პოლიტიკის ერთიანობისა და განსხვავების დასაბუთება;

-ეკონომიკური პოლიტიკის არაეკონომიკურ-ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორების ანალიზი და იმის განმარტება, როგორ აისახებიან ეს ფაქტორები სტრატეგიაში – როგორ იღებენ ისინი ეკონომიკურ შეფასებას;

-წყაროებზე დაყრდნობით და ლოგიკური მსჯელობით იმის დასაბუთება, რომ მსოფლიოს ჯერჯერობით არ გააჩნია თავისი გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;

-ყოველივე ამის საფუძველზე, ეკონომიკური პოლიტიკის არსის განსაზღვრა.

შეიძლება დაიბადოს კითხვა, რა კავშირშია ეკონომიკური პოლიტიკის არსის განსაზღვრასთან პოლიტიკის განვითარების ეტაპიზაცია და სიმწიფის დონის შეფასება, ან იმის დასაბუთება, რომ საზოგადოებას არ გააჩნია თავისი გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა. ჩემთვის როგორც ეკონომისტისა და ფილოსოფოსისათვის, განსაკუთრებით საინტერესოა ამ კავშირის ფილოსოფიური განმარტება, რომელსაც ავტორი რამდენიმე ადგილას იძლევა და ბოლოს კი წიგნის ძირითად დასკვნაში გააქვს. შედარებით ვრცლად ეს კავშირი წარმოდგენილია მე-2 თავის ბოლო პარაგრაფში „ხიდი მესამე თავისაკენ ანუ რა კავშირშია ეკონომიკური პოლიტიკის სიმწიფე მის არსთან“ (გვ. 77-82); ხოლო მისი საკვანძო იდეაა ის, რომ არსის შეცნობა შესაძლებელი ხდება მოვლენის – ამ შემთხვევაში ეკონომიკური პოლიტიკის – განვითარების მხოლოდ მაღალ საფეხურზე, როდესაც ეს არსი მრავალი ფორმით გამოვლინდება. სწორედ ეს მიდგომა აკავშირებს ერთმანეთთან და ერთ მთლიანობაში წარმოგვიდგენს წიგნის თემატიკას, რომლის საკითხებსაც, თითოეულს, თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თითოეული მათგანი საბოლოოდ მაინც ემსახურება იმის განსაზღვრას, თუ რა არის ეკონომიკური პოლიტიკა. გამონაკლისია მხოლოდ ტერმინის „პოლიტიკა“ ქართული წარმომავლობის მოკლე და ხატოვანი გადმოცემა, რომელიც ალამაზებს წიგნს.

შევეხები უწინარეს ყოვლისა მას. ძველი საბერძნეთის „ქალაქები, - წერს ავტორი – ვაჭრობდნენ და ომობდნენ, ეწეოდნენ პოლიტიკას, თუმცა არ ჰქონდა სიტყვა „პოლიტიკა“.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში ამ ქალაქთა შორის ...გაჩნდა პოლა. ისტორიული წყაროების მიხედვით, იგი მედეას მდევარმა კოლხებმა დააარსეს. რას წარმოიდგენდნენ კოლხები, თუ ქართული ძირის ეს სახელწოდება მრავალი ასწლეულის შემდეგ დასაბამს მისცემდა ტერმინს, რომელიც – უკვე შემდგომში – სულ უფრო ფართოდ გავრცელდებოდა და სამუდამოდ გაჰყვებოდა საზოგადოებას“ (გვ. 11). ხოლო 139 გვერდზე, სქოლიოში, ავტორი განმარტავს, როგორ შეიძლებოდა ქცეულიყო ქართული სიტყვა „რბოლა“ „პოლად“, რომელიც მედეას დადევნების აღსანიშნავად ეწოდა ქალაქს.

რაც შეეხება პოლიტიკის განსაზღვრებას, ავტორი გამოდის იქიდან, რომ იგი მართვაა, მართვის განსაკუთრებული ფორმაა, მაგრამ ლიტერატურაში არ არის გამოკვეთილი, რა არის ის ნიშანი, რომელიც ამ ფორმის განსაკუთრებულობას განაპირობებს. ავტორი ასაბუთებს, რომ ეს არის არა პირდაპირი მართვა, არამედ ადამიანების ინტერესებზე ზემოქმედება. მარტივი და ლოგიკური აზრია, რომელიც არ ჩანს ამ ცნების დღემდე არსებულ დეფინიციებში. ავტორი ასაბუთებს არა მხოლოდ მას, არამედ არკვევს იმასაც, რატომ აქამდე ვერ მოხერხდა ცნების განსაზღვრა (იხ. მესამე თავის დანართი 3), ასახელებს არაერთ საყურადღებო გარემოებას, რომელთაგან მოვიტან მხოლოდ ერთს, ბოლოს: „პოლიტიკის არსში წვდომა შეუძლებელია სხვა რომელიმე სფეროში, გარდა ეკონომიკისა, რადგან პოლიტიკის ეს სფეროა ყველა დანარჩენის საძირკველი. ეკონომიკური პოლიტიკის თეორია კი ახალგაზრდა მეცნიერებაა და დღემდე ვერ მოვიდა

ამ ამოცანის გადაწყვეტამდე... პოლიტიკა მართვაა და პოლიტიკოსსაც და არაპოლიტიკოს მმართველსაც ადამიანებთან აქვთ საქმე. რაზეა მიმართული მათი ფუნქცია – ადამიანზე, როგორც რესურსზე, თუ მის ინტერესზე? ამ ორი მიმართების გამიჯვნა შეუძლებელია, თუ პრობლემა ეკონომიკურ ასპექტში არ გავიაზრეთ" (გვ. 143-144).

ამ დებულებაში ლაკონურადაა მოცემული პოლიტიკის, როგორც განსაკუთრებული ფორმის მართვის, განსხვავებაც ჩვეულებრივი მართვისაგან: უკანასკნელ შემთხვევაში მართვა არის ადამიანური რესურსების მართვა, პოლიტიკა კი ინტერესების მართვაა.

ეკონომიკური პოლიტიკის თეორიისა და პრაქტიკისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია იმის კვლევა, თუ სიმწიფის რა დონეზეა პოლიტიკის ეს სფერო. მას ავტორი წიგნის უდიდეს ნაწილს უთმობს და გამოყოფს სახელმწიფოს თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების სამ ეტაპს, რომელთაგან პირველზე კეინსიანური თეორიის ზეობით აღინიშნა, მეორეზე კი – ნეოლიბერალური თეორიისა. ლიტერატურაშიც ამ ნიშნებითაა გამოყოფილი ეტაპები 1970-იან წლებამდე და მას შემდეგ, მაგრამ ავტორის მიდგომა მაინც ახლებურია. იგი ასახელებს პირობებს, რომლებშიც კეინსიანური მეთოდებით განხორციელებულმა ანტიციკლურმა პოლიტიკამ შეძლო წარმატების მოტანა გასული საუკუნის 70-იან წლებამდე; ამასთან, აკრიტიკებს არა მხოლოდ კეინსის თეორიას, არამედ მის კრიტიკოსებსაც ზოგადი ფრაზებისათვის და მიუთითებს, რომ მათ ვერ შეძლეს ჩაენაცვლებინათ ეს თეორია ახლით (მაინც შევნიშნავ, რომ მიუხედავად კეინსის თეორიის ღირსება-ნაკლოვანებების საკმაოდ ვრცელი და ორიგინალური ანალიზისა, ვფიქრობ, ავტორს ისინი უფრო ნათლად და უკეთ აქვს გადმოცემული ახალ სტატიაში: ჯ. კეინსის თეორიის შუქ-ჩრდილები და ეკონომიკური კრიზისის ტექნოლოგიური, მიკრო და მაკრო ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ასპექტები (ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი", №1, 2011, გვ. 49-55). სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემდგომი ეტაპის სიმწიფის დაბალი დონის მაჩვენებლად ავტორს მიაჩნია ის, რომ პრობლემები, რომლებიც ნეოლიბერალურმა პოლიტიკამ 80-იანი წლების დასაწყისიდან გაუჩინა ეკონომიკას, დაბრალდა არა საერთოდ ნეოლიბერალურ მიდგომას, არამედ ცალკეულ კონცეფციებს. კერძოდ, შარლატანობის ნიმუშად იქნა მიჩნეული ლაფერის მრუდის (კონცეფციის) გამოყენება რეიგანომიკაში. მაგრამ ლაფერის კონცეფციას აქვს რაციოალური მარცვლებიც, რომლებზეც საუბარია ლიტერატურაში და რომლებსაც ავტორი ახალი არგუმენტებით განამტკიცებს.

მთავარი სახელმწიფოს თანამედროვე პოლიტიკის ავტორისეულ ეტაპიზაციაში არის მესამე ეტაპის გამოყოფა, რაც არ არის გაკეთებული ლიტერატურაში. ავტორი თვითონაც მიუთითებს, რომ ამით „ახალი ხანა დაიწყო, მაგრამ ვერ დადგა. დაიწყო ეფექტიანი სახელმწიფოს ძიება, ოღონდ საკითხი, როგორი უნდა იყოს ეს სახელმწიფო, ჯერაც ბურუსითაა მოცული" (გვ. 22). ძიება დაიწყო 1990-იანი წლების შუახანებშიც, რაც აისახა მსოფლიო ბანის 1997 წლის ანგარიშში „სახელმწიფო ცვალებდ მსოფლიოში" და ბანკის იმდროინდელი პრეზიდენტისა (ჯ. ვულფენსონი) და უფროსი ვიცე-პრეზიდენტის (ცნობილი მეცნიერის, ნობელიანტ ჯ. სტიგლიცის) პუბლიკაციებში. ავტორი გამოთქვამს წუხილს, რომ ამან „ვერ შექმნა ამინდი, ვერ გაიყვანა ახალი ტიპის სახელმწიფო ახალ მიჯნებზე" (გვ. 25), და ასახელებს პოლიტიკის განვითარების იმ მიმართულებებს, რომელთაც ამის გაკეთება ძალუძთ.

თავიდანვე ვთქვი, რომ ძნელია ავტორის შემოქმედებისა და, მაღ შორის, ამ წიგნის შეფასება ერთი რომელიმე კუთხით, რადგან იგი მრავალმხრივია და მრავალთემიანია. ამიტომ კვლავ ხაზს გავუსვამ იმას, რომ თითოეული თემა და საკითხი, რომლებიც გამოკვლეულია ამ წიგნში, ძალზე მნიშვნელოვანია და ითხოვს საზოგადოების, უწინარეს ყოვლისა კი მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა ყურადღებას. იმსახურებს კიდეც ამ ყურადღებას არა მხოლოდ დასმული საკითხების მნიშვნელობით, არამედ კვლევის ლოგიკითა და დასაბუთების დონით. რა თქმა უნდა, ამ ლოგიკასა და საბუთებშიც შეიძლება აღმოჩნდეს ხარვეზები და ოპონენტებს ამ ხარვეზთა გამოვლენითაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ დასაბუთების დონის კიდევ უფრო ამაღლებას.

Tamaz Nutsubidze

WHAT IS ECOMONICAL POLITIC

SUMMARY

The reviewing book "The Essence of the Economical Politics" by the doctor of economical sciences, full professor Merab Gvelesiani, deals with the issues which are important and multi-lateral not only for the theory and practice of economical politics but, in general, that of politology, history of philosophy and in other spheres.

While defining the politics the author states that it is a management, a specific form of the management but in literature it is not distinguished what is that sign which conditions the peculiarity of this form. The author substantiates that it is not a direct management but is the influence on the interests of people. Each theme and issues which have been distinguished in this book are very important and require an attention of the society and, first of all, those of the representatives of various fields of the scientists.

სარედაქციო მოთხოვნები

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის ახალ შედეგებს ბიზნესსა და ინჟინერიის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

- ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული ასპექტები;
- ბიზნეს-პროცესების მართვის ტექნოლოგიები;
- საინჟინრო-საკონსულტაციო საქმიანობის ეკონომიკური შეფასებები;
- ბიზნესის განვითარების მიზნები და მიმართულებები;
- ბიზნეს-ინჟინერინგი: ენერგეტიკაში, ინფორმატიკაში, ქიმიასა და მეტალურგიაში, ფარმაციაში, მშენებლობაში, ტრანსპორტში, არქიტექტურასა და დიზაინში, სამთო გეოლოგიაში, ნანოტექნოლოგიებსა და ჰიდროტექნიკაში;
- ინოვაციები და ინვესტიციები;
- საინჟინრო საქმიანობის სამართლებრივ-საექსპერტო და სოციალური ასპექტები;
- სამართალი და პოლიტიკა;
- ევროპული და ევროატლანტური ინტეგრაცია;
- ახალი წიგნები.

◊ მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

◊ სტატიების მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

◊ სტატიის ელექტრონული ვერსია მოგვაწოდეთ რედაქციაში. მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 613ბ. ტელ.: (+995 32)236 53 91; (+995) 595 719 177, ან გამოგვიგზავნეთ ელექტრონული ფოსტით: **info@bpengi.com ან alecosichi@mail.ru**

სტატიის გაფორმების წესი:

- სტატიის მოცულობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 15 გვერდს და სტატიას თან უნდა დაერთოს: გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, რეზიუმე ქართულ და უცხოურ ენაზე (რეზიუმე უნდა შეიცავდეს არანაკლებ 100-150 სიტყვას).
- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Sylfaen ან AcadNusx, ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman.
- შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.
- სტატიის თავში მოათავსეთ შემდეგი ინფორმაცია: ავტორის (თანაავტორის) სახელი, გვარი, აკადემიური წოდება, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი.
- ავტორმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს სტატიის ამობეჭდილი ვაირიანტი და ელექტრონული ვერსია გადმოაგზავნოს მითითებულ მისამართებზე.
- ნახაზები, გრაფიკები, სქემები და ა.შ. – ფორმატში TIFF 300 dpi; 600 dpi, ფორმულები უნდა აიკრიფოს Microsoftequation 2.0 (2.1.).